

საქონ-სატა თხოველიანი

თხზულებანი
ათხ ჭომაღ



სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1963

სულხან-საბა
ორბელიანი

თხზულებანი

ტომი

III

გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა,
შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო
ივანე ლოლაძევილმა

გ 1
879.962,1+899.962.1—3
თ 522

ტომის რედაქტორი

აკად. კ. კეკელიძე

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა მდიდარი და შინაარსიანია. ის ყურადღებას იქცევს ცხოვრების ღრმა ცოდნით, მრავალფეროვანი თემატიკით, მაღალმხატვრული ენით, შემოქმედებითი ფანტაზიით და მეცნიერული ერუდიციით. ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ამ მემკვიდრეობიდან კარგად ცნობილია ოთხი საერო შინაარსის თხზულება — „სიბრძნე სიცრუისა“, „ქილილა და დამანა“, „ქართული ლექსიკონი“ და „მოგზაურობა ევროპაში“, მაგრამ სასულეიერო თხზულებანი — „სწავლანი“, „საქრისტიანო მოძღვრება“ (ანუ „სამოთხის კარი“), „აღთქმა ქრისტიანეთა, რომელთა ენებოს სწავლებად კეთილისა გზისა ჟამსა სიკვდილისასა“, „შენდობის წიგნი წმიდისა პაპისა რომაელისა მიტევებისათვის ცოდვილთა მონანულისა“, „ვითარ ჭერ-არს აღსარებათა თქმა წინაშე მოძღვრისა მიერ“, „ცოლქმართ ნათესავნი — ქმრისა და ცოლის ქორცთ-ერთობისა და მათთა ნათესავთა ერთობისათვის“ და „წამება წმიდისა ფლავიოს კლემენტოსისა“ ჭერ კიდევ ხელნაწერების სახით ინახება ჩვენს სიძველეთსაცავებში. ამათგან მესამე ტომში ქვეყნდება მხოლოდ ორი დაუბეჭდავი თხზულება — „სწავლანი“ და „საქრისტიანო მოძღვრება“.



„სწავლანი“ შეიცავს 46 ჰომილიას (ქადაგებას) და თითოეული მათგანი დაწერილი და წარმოთქმულია დავით-გარეჯის მონასტერში, 1698—1710 წლებში საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებით. იგი ულტრა-კლერიკალური შინაარსის ძეგლია, მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით მრავალმხრივია საინტერესო: მასში ენათმეცნიერი

მონახავს მდიდარ ლექსიკურ მასალას, ისტორიკოსი — სოციალური და პოლიტიკური ყოფის ამსახველ ფაქტებს, ლიტერატორი — მოსაზრებებს მწერლის მსოფლმხედველობისა და განსწავლულობის გასათვალისწინებლად, ლიტერატურის მეთოდტიკოსი — მკვერმეტყველურ თქმებსა და საერთოდ მხატვრული მეტყველების საუცხოო ნიმუშებს, ფსიქოლოგი — სხვადასხვა ზნეობის ადამიანთა შესანიშნავ დახასიათებას, ჰედაგოგი — სწავლა-აღზრდის მეთოდურ მითითებებსა და შეგონებებს, ფოლკლორისტი — იგავენსა და სენტენცია-აფორიზმებს. „სწავლანი“ ერთ-ერთი ძირითადი წყაროა სულხან-საბას საეკლესიო-სამწერლო მოღვაწეობის შესასწავლად, ამავე დროს იგი შეიცავს ძვირფას მასალებს დავით-გარეჯის ლიტერატურული სკოლის კულტურული ცხოვრებისა და ქართული ორიგინალური ჰომილეთიკური მწერლობის ისტორიისათვის. ამ თხზულებით სულხან-საბა გვევლინება როგორც მგზნებარე მკვერმეტყველი, რომელმაც 46 ჰომილიის სახით ქართულ ორატორულ ხელოვნებას ძვირფასი განძი შესძინა. ეს ჰომილიები თამამად შეიძლება გავუტოლოთ საეკლესიო ისტორიით ცნობილ მქადაგებელთა თხზულებებს¹.

„სწავლანმა“ აღმოჩენის დღიდანვე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. 1899 წელს გაზ. „ივერიაში“ (№ 21, 61) პ. კარბელაშვილმა და მ. ჯანაშვილმა მიუძღვნეს მას ვრცელი წერილები, 1928 წ. სპეციალურად შეისწავლა გ. ლეონიძემ, 1949—1959 წლებში — ამ სტრიქონების ავტორმა, შემდეგ — ლ. მენაბდე, ქრ. შარაშიძემ და ნ. მახათაძემ, 1958—1959 წლებში კი — კ. კეკელიძემ, ა. ბარამიძემ; ნ. კანდელაკმა და ს. სხირტლაძემ². ამ ავტორთა ნაშრომებში „სწავლანი“

1 სულხან-საბას ეს ორატორული თხზულება სპეციალურ შესწავლას მოითხოვს, უპირველესად გასარკვევია საკითხები: რა ურთიერთობაშია „სწავლანი“ ძველ-ქართულ თარგმნულ და ორიგინალურ ჰომილეთიკურ ძეგლებთან და რა გავლენა იქონია მან XVIII საუკუნის საეკლესიო მქადაგებლებზე.

2 ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა: სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-სიცრუისა, გ. ლეონიძის რედაქციით, თბ., 1928, გვ. LXIX—LXXVIII; მისივე, თხზულებანი, I, 1959, გვ. 384—389; გ. ლეონიძე, გამოკვლევები, 1958, გვ. 143—145; ი. ლოლაშვილი, სწავლანი, თქმულნი სულხან-საბა ორბელიანის მიერ (ლიტ. და ხელოვნება, 1949, № 28); მისივე, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1698—1713), 1959, გვ. 50—103; ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი, 1953, გვ. 119—122; ქრ. შარაშიძე, ბირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955, გვ. 63—67; ნ. მახათაძე, სამოქალაქო მოტივები XVII.II საუკუნის ქართველი მკვერმეტყველების ძეგლებში (ავტორაფეატი, რუს.), 1955, გვ. 1—39; ა. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი — ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა, 1959, გვ. 73—82; ქართული მკვერმეტყველება, ჰეგლები და მასალები, შეკრიბა, ნარკვევი წაუძღვარა და საძიებლები დაურთო ნ. კანდელაკმა, 1958, გვ. 175—184; ნ. კანდელაკი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც მკვერმეტყველი (ცისკარი, 1959,

განხილულია სხვადასხვა მხრიდან და სხვადასხვა თვალსაზრისით. მაგრამ ყველგან ერთნაირადაა აღნიშნული ძეგლის დიდი ლიტერატურული ღირებულება. მიუხედავად იმისა, რომ „სწავლანი“ თემატიკურად ახალს არაფერს იძლევა, ე. ი. თითქმის ყველა სწავლა დაწერილია ჰომილეთიკურ მწერლობაში დამკვიდრებული თემების შესაბამისად საეკლესიო დღესასწაულებზე წასაკითხავად, მკითხველს აჯადოებს მწერლის ფართო ლიტერატურული განათლება, მკვერ-მეტყველური ოსტატობა, საბასთვის დამახასიათებელი იუმორი და გაბედული სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, რომლებითაც გამსჭვალულია თითოეული ქადაგება.

თხზულების ზოგიერთი სწავლა წარმოთქმულია ნათლისმცემლის მონასტრის ძმათა კრებულის დაკვეთით (ან თხოვნით), როგორც ეს მიღებული იყო სამონასტრო პრაქტიკაში. მაგრამ რაკი სულხან-საბას ნათლისმცემლის მონასტერში მოძღვრის თანამდებობა ეჭირა და მის მოვალეობას შეადგენდა კრებულში ძმათა განსწავლა ღვთისმეტყველებასში, ამიტომ სწავლათა დიდი ნაწილი დაწერილია თავისი ნებით, დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. საბა ორივე შემთხვევაში მოსწრებულად სარგებლობს თავისი მღვდმარეობით და სამონასტრო კათედრიდან ჰქადაგებს ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის იდეებს, რომელთაც მოხერხებულად ~~უფენებს~~ ~~მსმენელთა~~ უარყოფითი მხარეების განსაჭიქებლად და იმდროინდელი ცხოვრების ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მაგ., საბა ერთ ქადაგებას იწყებს ამგვარად: „ქადაგება ნებაეს კრებულთა ამათ ჩემი. და უკეთუ ვთქვა რამე, ცუდ არს და შრომა ჩემი უძმარ იქნების: ეკლესიასა შინა სდგახართ, და ლოცვათა არა ისმენთ და ამოთა საუბართა ზრახავთ; წმიდისა სახარებისა სიტყვასა არ ისმენთ, რომელი გიბრძანებს გულისა საუნჯესა შინა შესლვასა და ენისა და ყურთა კართა დაშვასა და ეგრეთ ლოცვასა, — მე თუცა მრავალი ვთქვა, ვინ მისმინებთ? წმიდათა მოციქულთა სიტყვათა და წმიდათა მღვდელთმოდგართა სწავლისა კითხვათა ზედა დაღადებთ და იცინით, ჩემისა ლაპარაკითა რაჟსა ბოროტთა მოიკვეთთ?“ (გვ. 26).

სულხან-საბამ „სწავლანით“ ერთ-ერთმა პირველთაგანმა აიმაღლა ხმა სოციალური უსამართლობისა და რენეგატი ფეოდალების ანტი-

№ 10, გვ. 129—132); მისივე. ქართული კლასიკური მკვერმეტყველება, 1961, გვ. 270—279; ს. სხირტლაძე, სულხან-საბა ორბელიანის გამოუქვეყნებელი ძეგლი „სწავლა-მოდვრებანი“ (ცისკარი, 1959, № 2, გვ. 124—134). კ. კეკელიძე, სულხან-საბა ორბელიანი (ვტბუღები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VIII, თბ., 1962, გვ. 330 — 333). თ. ჰყონია, სულხან-საბა ორბელიანის „სწავლა ენებისათვის“ და მისი აპოკრიფული წყარო, ხელნაწერთა ინსტიტუტის შოამბე, III, 1961, გვ. 27—32.

პატრიოტული საქმიანობის წინააღმდეგ. XVII — XVIII ს-ების საქართველო თურქ-სპარს დამპყრობელთა უღლის ქვეშ გმინავდა. ქართლ-კახეთის გამაჰმადიანებული მეფეები შაჰებისა და ურჩი ფეოდალების სათამაშო ობიექტს წარმოადგენდნენ, სამეფო კარის არისტოკრატია შვება-განცხრომას მისცემოდა, საეკლესიო მოღვაწენი „ემღერდენ ურთიერთს სიძვა-მრუშებასა და მეძაობასა“, გლახობა კი ბატონყმობის სიღატაკეში იტანჯებოდა. საბა ყოველივე ამას კარგად ხედავდა და მთელი თავისი შესაძლებლობით ცდილობდა არსებული მდგომარეობის გამოსწორებას. იგი დაუნდობლად ამთრახებდა „უამთა მკვრეტ“ (ე. ი. მედროვე) ფეოდალებს, რომელნიც მაჰმადიანობის მიღებით თავიანთ თანამდებობრივ მდგომარეობას იუმჯობესებდნენ; მოურიდებლად ამხელდა საერო და საეკლესიო პირთა ზნედაცემულობას, გათახსირებას და პიროვნების განურჩევლად ჰკიცხავდა ყველას, ვინც კი სამშობლოს ინტერესებს სცვლიდა პირად განდიდებაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ორი ქადაგება — „სწავლა გიორგობისა დღისა და ქართველთა თათრობისათვის“ და „სწავლა მწყემსისათვის და სამწყროს დამწყისისათვის“. ორივე ეს ქადაგება დიდი პატრიოტული გრძნობითაა დაწერილი. საბა განრისხებული მიმართავს ქვეყნის მოღალატეებს: „თქვენ წარხვალთ მცირედისა ნიჭისათვის, გინა მეზობელთა შურისათვის და ნებსით თვისით დაუტევებთ სჯულსა ქრისტესსა“, მაგრამ ვის დაეტევებთ და სადა წარხვალთ?“ ნუთუ არ იცით, რომ მამა პაპის სჯულის უარყოფით სამშობლოს მოღალატენი ხდებით? ამის მოქმედი რატომ „არა ინანი, არა იცემ მკერდთა ორითავე მჯიღითა, არა განბან სარეცელთა, არა ოხრავ და სულთქვამ დღე და ღამე?“ (გვ. 176)¹.

სულხან-საბა არც საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწეთ ინდობს. მათი ნაკლიც მზის სინათლეზე გამოაქვს:

„შენ ქრისტეს ეკლესიასა შინა მზრახველობ მტერისა შენისა შურსა... მეგობართა შენთა ძვირსა იზრახავ... მრისხანეობ მოყვასთა შენთა ზედა... ეკლესიასა შინა განიგულავ ტაცებასა მოყვარეთასა და პარვასა მეზობელთასა... არა შეამსქვეალავ თვალთა შენთა ხატთა უფლისათა და კვნესით არა დაღადებ, არამედ მიმოდა არებ თვალთა, სადა იხილო შვენიერი და გული გითქმიდეს მისთვის... შენ ჰლამი, რაცა ვისიმე რამე იხილო კეთილი, შეთვის მიპყრობად... აუბნებ გესლოვანსა ენასა შენსა დაუტადებელად, რომლითა მოკვდებიან მრავალნი კაცნი... თქვენ სდევნით გლახაკთა და შეიპყრობთ ქვრივთა

¹ გვერდები მითითებულია წინამდებარე გამოცემიდან.

და დაბზარავთ ტყავთა ობოლთასა... თქვენ ეკლესიათა შინა განაგებთ სადილთა თქვენთა და მონათა უბრძანებთ და ასწავლით მზადებასა ჭამადთასა და არა აცადებთ ლოცვისა დასრულებასა, რათა ღმერთმან გცეს თქვენ ჭამადი... თქვენ დაუდგამთ საბრძენსა მოყვასთა თქვენთა და მთხრებლთა უთხრით მოძმეთა თქვენთა... თქვენ რომელნიმე სცემთ მოყვასთა თქვენთა ჰელითა, რომელნიმე წიხლითა და რომელნიმე ბოროტმეტყველებითა... თქვენ გნებაგვსთ მავნებლობა ყოველთა და არა განკრძალვა ღმრთისა“ (გვ. 33 — 34).

სულხან-საბას აზრით, ყოველივე ბოროტების საწყისი ურჩ და უგვან ფეოდალთა შორისაა საძიებელი. ამპარტავნობა, ზვაობა, გულქვაობა, მრისხანება, მაგინებლობა, მემთვრალეობა, მექრთამეობა, გლახაკთუწყალობა, მლიქვნელობა, უზომო სმა-ჭამა, განცხრომა, სხვისი ოფლით გამდიდრება, მეგობრის განსყიდვა და სამშობლოს ღალატი დამახასიათებელია საზოგადოების მაღალი ფენებისთვის, რადგანაც ესენი ვეცხლის მოყვარულნი არიან და ცდილობენ სხვისი ყოველივე კეთილისთვისად მიხევექას. ამიტომ ვეცხლისმოყვარეობა ყოველგვარი საცდურის ბუდეს წარმოადგენს. იგი კერპთმსახურების სწორია. საუნჯე, რომელსაც ემონება ვეცხლისმოყვარე, იგივე კერპია. რაკი ადამიანი თავისუფალი დაიბადა, მან თავისი სიცოცხლის დღენი თავისუფალ ცხოვრებაში უნდა განლიოს. ვეცხლისმოყვარე კი ხდება სიმდიდრის მონა და მისგან დამონავებულს ვერ წარმოუდგენია, რომ ცხოვრება ოქრო-ვერცხლის გარეშეც შეიძლება, რომ „ქვიშა ზღვისა და ოქრო და ვეცხლი სწორი რამე არიან“. ამდენად, ვერცხლის მონა ყოველგვარ ბოროტებას სჩადის; ის ფულზე ჰყიდის სამშობლოს; მეგობარს ჰღალატობს, ყმა-გლეხებს ტყავს აძრობს და თავის თავსაც ზიანს აყენებს. მაშასადამე, ჩვენ უნდა შევიძულოთ ვეცხლისმოყვარეობა და ვიზრუნოთ ქველი საქმეებისთვისო.

სულხან-საბა ბატონყმობის უღელქვეშ მგმინავი გლეხკაცობის მოსარჩლელად გვევლინება. „სწავლანში“ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სამსახურისა და ლუკმა პურის მაძიებელ გლეხკაცებს მეპატრონენი სოფლისანი უდიერად ექცევიან, მათ გაჭირვებას ყურადღებას არ აქცევენ. ზოგიერთი მათგანი მხეტურადაც იქცევა: თავის ქვეშევრდომებს ხელით, ან წიხლითა სცემს. უფრო მეტიც: მეპატრონის წინაშე მდბიო კაცებს ლაპარაკის უფლებაც კი არა აქვთ. ისინი შიშით დუმილს ეძლევიან. თუ მეპატრონესთან სათხოვნელად ან სხვა რაიმე საქმეზე მდბიო კაცები მივლენ და მას ლაპარაკს ან თხოვნას უჭეროდ დაუწყებენ, მაშინ მეპატრონის მსახურნი მათ აგინებენ და სცემენო.

„მრავალნი ქელარგნოსანნი მეპატრონისა კართა დგანან, რომელნიმე წინარე უდგანან არგანთა მპყრობელნი, მშვიერნი, მღუმარენი, არცა ერთსა კიდესა მიმხედველნი, გარნა უფალთა თვისთა, მზერელნი მრავალგზის მზეთა და სიციხეთა შინა, მრავალგზის თოვლთა და სიცივეთა შინა, ვიდრე უფალთა მათ დაიძინონ, ელიან მათ“... (გვ. 27). ღიახ, ეს მშვიერ-მწყურვალნი მოწყალებსათვის მარად-ჟამს „ელიან მათ“, მაგრამ გულქვა მეპატრონენი ყურსაც არ იბერტყავენ, არ ფიქრობენ, თუ რა ბედი მოელოთ მშვიერ ხელარგნოსანთ. ამიტომ საბა იქვე განცვიფრებით კითხულობს: „ნუთუ მოიკითხნეს, ნუთუ სამსახური უბრძანეს ანუ კეთილნი სიტყვანი?“

„სწავლანში“ აღწერილია გლეხთა აუტანელი შრომის პირობებიც. საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში საბა ჰქადაგებს მოთმინებას და თავისდა უნებლიედ მოჰყავს ისეთი მაგალითი, რომელშიც მშვენიერად მოჩანს გლეხთა მძიმე მდგომარეობა: „იხილე, მომკალნი ყანათანი ვითარ მოითმენენ სიციხესა მზეთასა და სიგრძეთა დღეთასა: მუშაკობენ ცხელთა და ურწყულთა ველთა, შვრებიან, ბოროტსა ჰაერსა არა რიდებენ, რამეთუ მაშინ არს დრო სნეულებისა და ცხროპურვებისა, მაშინ არს გესლოვნება ბოროტი გველთა და მკბენარობა ღრიანკალთა, არამედ არა განეკრძალებიან და არცა წამისა განსვენებასა მისცემენ თავთა თვისთა, რამეთუ იციან, უკეთუ მას ჟამსა არა შეუტკობა იფქლი თავთა თვისთა, ვერღარა გამოიზრდების წელიწადთა სიგრძესა მისნა“... (გვ. 50).

ცხადია, „მომკალნი ყანათანი“ ის ყმა-გლეხები არიან, რომელნიც ბატონყმობის ეპოქაში მძიმე ფიზიკურ შრომას ეწეოდნენ. საბას თქმით, მათ არ აზინებთ „ცხელი და ურწყული ველი“, „დრო სნეულებისა და ცხროპურვებისა“. ისინი ოფლით შოულობენ ლუკმა პურს; წლიური გამოსასზრდელის შესაკრებად ყოველგვარ გაჭირვებას იტანენ, ზრუნავენ თავიანთი ცოლშვილის გამოსაკვებად. „განიცადენით: მუშაკნი, მოთმინენი სიციხეთა და სიცივეთანი, ვითარ ოფლთა დენითა განაქარვებენ და განდევნიან უმაშენოთა ჰაერთა და მავნეთა სნეულებათა. და იშვით არიან მუშაკნი შრომისა მოთმინენი სნეულ, არამედ, რომელნი უდებ და მჭამელ და უთმინო არიან, იგინი არიან სნეულ და მონა მკურნალთა და მკვნესელ და მევაღალე და ვერცა-ლა მოითმენენ სნეულებათა მათთა“ (გვ. 50). მაშასადამე, შრომა ადამიანს აკეთილშობილებს, აჯანმრთელებს, აკაჟებს და კაცთმოყვარეობის გრძნობას უნერგავს, ხოლო მცონარეობა, ფუქსავატობა და მხოლოდ მუცლისათვის ზრუნვა ასნეულებს, „მონად მკურნალთა“ ხდის, აკვნესებს და ავაღალებს. ამიტომ ადამიანს მართებს არა მარტო ფიზიკური შრომის მოთმინება, არამედ „სულიერი

შრომის“ მოთმინებაც, რადგანაც პირველი თუ „მრთელად ამყოფებს გვამთა“, მეორე „უფროხსად განაცხოველებს და კეთილად და მყუდროებით ამყოფებს სულთა“. მაგრამ დიდებულნი არა მარტო შრომას, არამედ სიმდაბლესაც კი არა კადრულობენ: ყურადღებას არ აქცევენ ღარიბ-ღატაკს, სახლში არ უშვებენ მას, კარებს უკეტავენ, ზედმეტი სიტყვის თქმის უფლებას არ აძლევენ. „ჭირი, შრომა და იწროება“ მათთვის (დიდებულთათვის) უცხოა. პირიქით, „მსოფლიოთა დიდებულთა ცოლნი მიდგომილნი არა თავს-იდებენ ცხენთა აკაზმულთა ზედა აღჯდომათა ზეაობისთვის და მოაბითა ტვირთულნი მართა კაცთათა ვლენან საბურველებითა და გავალაკებითა ოქროქსოვილითა... მსოფლიონი მთავარნი განამზადებენ პალატთა დიდთა, შეამკობენ ნოხ-ფარდავითა და კრეტ-საბმელებითა, ბადე-კარვითა, ოქრო-ვეცხლ-პეტლებითა და საგებელითა სხეპლათა ჩარყაფად კერულითა, რაყამს ცოლი უშობდეს... მსოფლიონი აზნაურნი მოკაზმვენ აკვანთა ხარატულთა, საგებელითა ლბილითა და ზეწრითა პიროქროვითა“, რომ მდიდრულად აღზარდონ თავიანთი შვილები, და დავიწყნიათ მარიამ ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს სიმდაბლე, მათი „ჭირი, შრომა და იწროება“ (გვ. 52).

ცნობილია, რომ ბატონყმობის დროს ბატონის სტუმრობა ყმა-გლეხისათვის გამანადგურებელი იყო. ყმა მოვალე იყო ბატონს თავისი ხარჯით გამასპინძლებოდა. ხშირად ეს სტუმრობა ყმა-გლეხს წლიურ სარჩო-საბადებელს მთლად გამოუღვედა ხოლმე და ოჯახს საბედისწერო მდგომარეობაში აყენებდა. ხალხში დარჩენილი თქმა-- „აზნაურის სტუმრობაო ნუ გგონია ხუმრობაო“ ამ ამბის გამოძახილს წარმოადგენს. თუ გლეხისათვის აზნაური ძნელი ასატანი იყო, მით უმეტეს მძიმე ბეგარად ითვლებოდა ამალით მოგზაური ბატონის სტუმრობა. უუფლებო ყმა-გლეხი მტრის ვალში უნდა ჩამდგარიყო და არასასურველს სტუმარს წესიერად გამასპინძლებოდა, თორემ ბატონი მას იძულებით გაიმასპინძლებდა. საბა ჰვმობს ასეთ „სტუმარ-მასპინძლობას“ და მსმენელებს გაახსენებს მლიქვნელური თუ იძულებითი მასპინძლობის შემთხვევებს, რომელთაც ძველად მასიური ხასიათი ჰქონია მიღებული: „უკეთუ მდიდარი ვინმე მოგადგეს კართა, უმასპინძლებ დიდად და მოიშობებ, რა არა გაქვს, რათა მდიდრისა მისგან შეიძინო მცირედი რამე, და დაუცლი სახლთა შენთა და წარხვალ მეზობელთასა და ყოველთა სახლთა შენთა მიუთვალავ მათ, რათა გაქებდენ. უკეთუ მოვიდეს ძლიერნი, მათ უაღრესად მიხადით, რამეთუ უწყით: უკეთუ არა ნებსით უმასპინძლოთ, უნებლიეთ გავმასპინძლებს... ელი მდიდრისაგან მონიჭებასა რასამე და გეშინის ძლიერთაგან და დასცლი სახლთა შენთა სრულიად; უკეთუ ზამთარი,

ყინელიცა იყოს, იტვირთავ სიცივესა, რაოდენ დღე იყოს სახლსა შენსა“. ამ შემთხვევაში ორი კატეგორიის მასპინძლებზეა საუბარი. ერთნი მდიდარს ფეხქვეშ ეგებიან, რათა მისგან ქება დაიმსახურონ, ან რაიმე საბოძვარი მიიღონ, მეორენი კი შიშითა და იძულებით ზღებთან მასპინძლები. ამ მეორე კატეგორიაში იგულისხმებიან ყმა-გლეხები, რომელნიც მებატონეთა („ძლიერთა“) შიშისაგან ნებსით ან უნებლიეთ სკლიან თავის სახლ-კარს და დროებით სტუმარს უთმობენ. საბა ჰკიცხავს ასეთ მლიქვნელ და მშიშარა მასპინძლებს და ყველას (მდიდარსაც და ღარიბსაც) მოუწოდებს ისტუმრონ გლახაკნი და უპოვარნი (გვ. 100).

ეს სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი გაპირობებულია. გაბატონებული კლასის ფეოდალური არისტოკრატიის იდეოლოგიით. სულხან-საბა არჩილის მსგავსად ფეოდალთა ინტერესებიდან გამომდინარეობს, როდესაც ის გლეხთა უუფლებო მდგომარეობაზე ან ფეოდალთა თავაშვებულებაზე მსჯელობს. ის თავისი წოდების წინაშე ბოდიშსაც კი იხდის ერთ ქადაგებაში ამბობს: „მრცხვენიან, საყვარელნო, ვინაფთგან ესოდენნი ბოროტნი ვთქვენ თქვენდა მომართ. მეშინის, უფალნო ჩემნო და მთავარნო, ვინაფთგან ვიკადრე მე, უღარესმან თქვენმან, უღარესისა მიმართ ჩემთასა ესეთი კადნიერება, არამედ არა სიძულვილისათვის თქვენისა მიქმნიეს, არცა მტერობისა შურიტა, თქვენცა უწყით, რამეთუ აღშენებისა თქვენისათვის ვიტყვი, ნუ უკვე რომელმანცა სიტყვამან შეგაკადიმნეს, და მოიკვეთნეთ ეკლესიისა შეურაცხყოფა, ნუ უკვე რომელმე სიტყვა შთავადეს ყურთა თქვენთა, და არღარა უზნობდეთ წინაშე საკურთხევისა“ (გვ. 34).

ცხოვრების ქვაკუთხედი, საბას აზრით, ქრისტიანული სარწმუნოებაა. ის არის საწყისი ყველაფრისა: სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრებისა, სიბრძნისა და მეცნიერებისა. თუ ადამიანი მტკიცედ დაიცავს თავის მამაპაპურ სარწმუნოებას, მაშინ მოისპობა სოციალური უთანასწორობა, მტრობა, შური, შუღლი, ქიშპობა, მზაკვრობა, ამპარტავნობა, ურჩება და ყველა ამორალური მოვლენა, რომლებიც თავს იჩენენ ხოლმე გაბატონებული საზოგადოებრივი ფენის ღეკადანსის დროს. სარწმუნოებრივი სიმტკიცე ქვაკუთხედი სახელმწიფოებრივი სიძლიერისაც. ბრძოლა ქრისტიანობისათვის იგივეა, რაც ბრძოლა სამშობლოსათვის. ის, ვინც ქრისტიანობას ჰგმობს და მაჰმადიანდება, სამშობლოს მრღალატეა, ქართველი ხალხის მტერია. იმისათვის, რომ არსებული ცხოვრება გარდაიქმნას, მოისპოს სოციალური უთანასწორობა და ხალხმა მოიპოვოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, საჭიროა ხალხში პატრიოტული გრძნო-

ზის გაღვივება, ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება და მაჰმადიანობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის საეკლესიო მოღვაწეს, რომელიც მოვალეა ბრძნული შეგონებებით, რჩევა-დამრიგებლობით და სწავლა-აღზრდით აამაღლოს საზოგადოების კულტურული დონე, მორალური შეგნება. ამდენად, საბა ორბელიანი მორწმუნე იდეალისტიკია. მას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარდაქმნისათვის აუცილებელ პირობად ქრისტიანული სარწმუნოებისა და მორალის განმტკიცება მიაჩნია. მაგრამ „სწავლანის“ ავტორი ცხოვრების ობიექტურად ამსახველი მწერალია, რომელიც მზად არის ამხილოს ანტისაზოგადოებრივი და ამორალური მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდა XVII—XVIII საუკუნეების საქართველოში. „სწავლანის“ მეცნიერული ღირებულებაც სწორედ ამაში მდგომარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს თხზულება ულტრა-კლერიკალურა შინაარსის ძეგლია, იგი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ძველი საქართველოს პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის შესახებ. ამ მხრივ „სწავლანი“ „სიბრძნე სიცრუის“ ლოგიკური გაგრძელებაა. თუ ახალგაზრდა სულხანი იგავთა კრებულში სოციალურ უთანასწორობასა და სხვა საზოგადოებრივ მოვლენებზე იგავსიტყვაობით მსჯელობდა და სატირულ ფორმებში ამათრახებდა უღირს სახელმწიფო მოღვაწეთ, მოხელეებს, საეკლესიო პირებს და საერთოდ ცხოვრების ნაძირალეებს, სწავლათა კრებულში უკვე მონაზონი საბა შეუნიღბავად და მოუტირებლად ჰუმანიზმის პოზიციებიდან იბრძვის „სოფლის უფალთა“ და „ქვეყნის მებატრონთა“ წინააღმდეგ. ამდენად „სწავლანი“ საბა ორბელიანის სოციალურ-პოლიტიკურ და რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა შესწავლისათვის დიდა მნიშვნელობა ენიჭება.

*



„საქრისტიანო მოძღვრება“ (ანუ „სამოთხის კარი“) წარმოადგენს თეოლოგიის სახელმძღვანელო წიგნს, დაწერილს „უსწავლელ ბერთა და ყრმათათვის“ სასწავლოდ. თხზულება თავისი ლიტერატურული ღირებულებით ნაკლებმნიშვნელოვანია, მაგრამ იგი საყურადღებოა მწერლის რელიგიურ-პოლიტიკური მრწამსისა და მისი შემოქმედებითი პროცესის გასათვალისწინებლად. სულხან-საბა უდიდესი შრომისმოყვარე იყო, ის მუდამ შემოქმედებითს ძიებას აწარმოებდა. ეს მშვენიერად ვლინდება არა მარტო „ქართულ ლექსიკონში“, რომე-

ლიც 30 წლის ბეჯითი მუშაობის შედეგია, არამედ „საქრისტიანო-მოდღერებაშიც“.

ამ ძეგლმა მოაღწია ორი ავტორისეული რედაქციით. პირველი რედაქცია შექმნილია 1701 წელს, მეორე — 1713 წელს. ორივე ერთმანეთისაგან განსხვავდება ენობრივად და შინაარსობრივად და თითოეული მათგანის შესწავლა ურთიერთთან მიმართების თვალსაზრისით არკვევს სულხან-საბას ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს საკითხს, სახელდობრ იმას, თუ მწერალმა როგორი ცვლილება განიცადა რელიგიურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის მხრივ და რატომ სდევნიდნენ მას და მის ნაწერებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურები.

თხზულება კომპოზიციურად აგებულია კითხვა-მიგების ფორმით. მოძღვარი აყენებს კითხვებს, ყრმა კი იძლევა პასუხებს. მოძღვარ-მოწაფის დიალოგში გაშლილია თხზულების შინაარსი, რომლის დანიშნულებაც მოსწავლეს მისცეს ელემენტარული წარმოდგენა ქრისტიანულ დოგმებსა და საღვდელთმსახურო წესებზე; უნდა ვივარაუდოთ, რომ რაკი სულხან-საბა გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში იყო მოძღვრად, „უსწავლელ ბერებსა და ყრმებს“ ღვთისმეტყველებას თავის მიერ შეთხზული „საქრისტიანო მოძღვრების“ მიხედვით ასწავლიდა. ამ დროს საბა ფარული კათოლიკე იყო (კათოლიკობა მან მიიღო 1687 წლის 15 აგვისტოს). ამიტომ თხზულების პირველ რედაქციაში, სადაც შეიძლებოდა გამოვლენილიყო სულხან-საბას სარწმუნოებრივი ტენდენციები, ის მოძღვრის კითხვებზე იძლევა ისეთ განმარტებას, რომელიც არ იყო სადავო მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიებისთვის. მაგ., კათოლიკური სარწმუნოებით, სამი არსება — მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი, და სული წმიდა იმთავითვე არსებობდა ერთ-არსების სახით აბსტრაქტულად. მამა-ღმერთი უშობელია, ძე-ღმერთი მამისაგან შობილი, ხოლო სული წმიდა გამოსულია მამისაგან და ძისაგან. მართლმადიდებლური სარწმუნოებით კი მესამე ჰიპოსტასი — სულიწმიდა გამოსულია მხოლოდ მამისაგან. ამას გარდა კათოლიკური სარწმუნოებით რომის პაპი ითვლება ამქვეყნად ქრისტეს მონაცვლედ, ღვთის მიერ დადგენილ მწყემსად, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყველა ქრისტიანი. სულხან-საბა „საქრისტიანო მოძღვრების“ პირველ რედაქციაში რომის პაპის შესახებ არაფერს ამბობს, პირველი დოგმის შესახებ კი ყრმის პასუხში წერს: „ოდეს იყო მამა, მაშინ ძე და მაშინ სული წმიდა, რამეთუ მამა უშობველ არს, ხოლო ძე შობილ და სული წმიდა გამოსულ“ (გვ. 230).

როგორც ხედავთ, აქ დასავლური და აღმოსავლური ეკლესიის სადა-
 ვო საკითხი ღიადაა დატოვებული. საბა არ ამბობს გარკვევით, თუ
 სულიწმიდა ვისგან გამოვიდა: მხოლოდ მამისაგან თუ მამისა და
 ძისაგან? ის მარტო აღიარებს სულის გამოსვლის მოვლენას, რაც
 ორივე ეკლესიისათვის საერთო იყო. სულ სხვა ვითარება გვაქვს
 „საქრისტიანო მოძღვრების“ მეორე რედაქციაში. ეს რედაქცია მწე-
 რალმა პირველის საფუძვლიანი გადამუშავების შედეგად მოგვცა.
 მასში მან ველარ დაფარა თავისი კათოლიკური ტენდენციები. სახელ-
 დობრ, მან მთელი ტრაქტატი ჩაურთო იმ დოგმის დასასაბუთებლად,
 რომ რომის პაპი არის ქრისტეს მიერ დადგენილი მწყემსი ამქვეყ-
 ნად; ხოლო ზემოთ დამოწმებული ციტატი ასე შეცვალა: „ოდეს
 იყო მამა, მაშინვე ძე და მაშინვე სულიწმიდა, რამეთუ მამა უშობ-
 ველ არს, ხოლო ძე მამისაგან შობილ და სულიწმიდა მამისა
 და ძისაგან გამოსული“ (გვ. 230). სულხან-საბას ეს სარწმუნ-
 ნოებრივ-აღმსარებლობითი ტენდენცია საქვეყნოდ გამოქვეყნდა
 ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, მაშინ, როდესაც მან თავისი სარ-
 წმუნოებრივი და პოლიტიკური ორიენტაციის დაცვა საჯაროდ და-
 იწყო. ამის გამო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მესვე-
 ურებმა (მათ შორის ზოგიერთმა მეგობარმაც) გაკათოლიკებულ
 სულხან-საბას დევნა დაუწყეს, ხოლო „სამოთხის კარს“ ანტონ
 ბაგრატიონმა შეარქვა „ჯოჯოხეთის ბჭე“. სულხან-საბას ნაწერებზე
 დაწესდა მკაცრი საეკლესიო ცენზურა. ყველგან, სადაც კი რომელი-
 მე ხელნაწერში სულხან-საბას სახელი იყო მოხსენიებული, შლიდნენ
 ან კაბადონებს საბასრობელი მინაწერებით ავსებდნენ. ერთი სიტყ-
 ვით, სულხან-საბას ლიტერატურული მემკვიდრეობა დაღუპვის
 საშიშროების წინაშე დადგა. მაგრამ ნიკოლოზ, დიმიტრი და ზოსიმე
 (ზაალ-ყოფილმა) ორბელიანებმა (სულხან-საბას ძმებმა) მოსკოვში
 დიდად იღვაწეს თავიანთი ნიჭიერი ძმის თხზულებათა გადარჩენა-
 გავრცელებისათვის. მათ შეაგროვეს სულხან-საბას შრომები, გაუკე-
 თეს რედაქცია, გადაწერეს და გაავრცელეს ხალხში ანდერძ-
 მინაწერებით: „თქმული (ან დაწერილი) სულხან-საბა ორბელიანის
 მიერ. ვინც მისი სახელი ამოჰოცოს ამ წიგნიდამ წყეულ იყოს უკუ-
 ნისამდე“, ან „ვინც აქედამ გადაწეროს და საბას სახელი არ დაწე-
 როს, ღმერთმან მესი სახელი აღმოჰოცოს სასუფეველიდამ“ და სხვა.
 ასე გადაურჩა მოსპობას „ქართული ლექსიკონის“ რამდენიმე ავტო-
 გრაფი, „სწავლანი“ და „საქრისტიანო მოძღვრება“.

1725—1729 წლებში მოსკოვში ნიკოლოზ ორბელიანმა შეიმუ-
 შავა „საქრისტიანო მოძღვრების“ მესამე რედაქცია. მან მეორე
 რედაქცია, რომელსაც ხელნაწერის სახით სულხან-საბა უბით ატა-

რებდა, გაწმინდა კათოლიკური ტენდენციებისაგან: მსჯელობანი რომის პაპის პრიმატობის შესახებ ტექსტიდან ამოიღო, ხოლო იქ, სადაც ეწერა „სულიწმიდა მამისაგან და ძისაგან გამოსული“ შეასწორა მართლმადიდებლური თვალსაზრისით — „სულიწმიდა მხოლოდ მამისაგან გამოსული“, და ბოლოში ტექსტს დაურთო მეორე რედაქციის შემუშავების თარიღი: „დავსწერე ქრისტეს აქეთ 1713, ქორონიკონსა უ, ივნისის 21“. ამ რედაქციის გადაწერა მოსკოვშივე დაიწყეს, შემდეგ ის საქართველოშიც გავრცელდა. „საქრისტიანო მოძღვრების“ ავტოგრაფული ნუსხა სულხან-საბას ძმებმა არქივში შეინახეს საიდუმლოდ.

1750 წელს ეს ნუსხა ხელთ ჩაუვარდა ვახუშტი ბაგრატიონს მოსკოვში. მან „საქრისტიანო მოძღვრების“ ტექსტი გადაწერა და ამავე დროს შეიმუშავა მისი მეოთხე რედაქცია. ის კითხვა-მიგებანი, რომლებშიც რომის პაპის პრიმატობის მტკიცებაა მოცემული, ვახუშტიმ გადაამუშავა მართლმადიდებლური გაგებით და თავისი სარწმუნოებრივი თვალსაზრისი დაუპირისპირა კათოლიციზმს. მან გამოთქმა „რომის პაპის მორჩილება“ შეასწორა „ეკლესიის მორჩილებით“ და საღმრთო წერილის ციტატებს დაურთო საკუთარი კომენტარები, გამოძინარე მართლმადიდებლური ეკლესიის მსოფლმხედველობიდან¹.

სულხან-საბას „საქრისტიანო მოძღვრება“ საინტერესოა არა მარტო თავისი უჩვეულო თავგადასავლით, არამედ მისი სხვა თხზულებებთან დამოკიდებულების თვალსაზრისითაც. უპირველესად ეს ძეგლი შინაარსობრივად ახლოს დგას „სწავლანთან“. მკითხველი მათ შორის ბევრ საერთო მოტივს შენიშნავს. ამავე დროს „საქრისტიანო მოძღვრების“ ერთ-ერთი წყაროა „ქართული ლექსიკონი“. ყრმის პასუხებში შემონახულია ზოგიერთი ცნების ისეთი განმარტება, რომელიც მომდინარეობს საბას ლექსიკონის სხვადასხვა რედაქციიდან (შდრ. განმარტებანი არსებისა, გვამისა, ღმერთისა, ბუნებისა და სხვათა). ყრმის პასუხს შემოუნახავს ერთი საყურადღებო ცნობაც, რომელიც არკვევს, თუ ვახტანგის სამეფო კარზე ლექსიკოლოგიური საქმიანობისადმი როგორ ინტერესს ამჟღავნებდნენ. მოღვაწეთა შორის საცილობელი გამხდარა სიტყვა „ძაალის“ მნიშვნელობა. სულხან-საბა პირველი ზედაქციის 164-ე პასუხში წერს: „ძკალის“ შესახებ „რომელნიმე მდელთა მწვერ-

¹ ამ რედაქციების შესახებ ვრცლად იხ. ჩენს წიგნი „სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან“, 1959, გვ. 104—132. შდრ. ა. ბარამიძე. სულხან-საბა ორბელიანი, 1959, გვ. 53—87.

ვალსა იტყვიან, არამედ ამას საქმესა ზედა ფრიადი გამოძიება იყო წინაშე ქართველთ მეფის ძის ვახტანგ მეოთხესა და აღმოიღეს ლექსიკონები ელენთანი და ლათინთანი და სხვა წიგნები მრავალი“ და „მაშინ პოეს“, რომ იოანე ნათლისმცემელი „დამტკიცებით მართალს მკალსა სჭამდაო“. ეს ცნობა არკვევს აგრეთვე სულხან-საბას ლექსიკოლოგიური მუშაობის სტილს.

ერთი სიტყვით, „საქრისტიანო მოძღვრება“ საყურადღებო ძეგლია არა მარტო იმით, რომ მასში ვლინდება სულხან-საბას სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი ტენდენცია, რომელსაც საფუძვლად უდევს მისივე სოციალურ-პოლიტიკური შეხედულება, არამედ იმითაც, რომ მის. გარეშე სულხან-საბას ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა ცალმხრივი იქნებოდა.

სულხან-საბას სარწმუნოებრივი თვალსაზრისი, რომელიც ყველაზე მკვეთრად იჩენს თავს „სწავლანსა“ და „საქრისტიანო მოძღვრებაში“, წარმოადგენს ეპოქის ხარკს, რომელიც მძიმე ტვირთად აწვა ფეოდალური ხანის ადამიანის აზროვნებას.

ი. ლოლაშვილი

სწავლანი

თქმულები

სულხან-სამა ორბელიანის

მიერ

1. სწავლა ეკლესიისათვის, თუ რა არს შეპყრება მუშ

„ნეტარ არს კაცი, რომელი იღვძებდეს ბჭეთა ჩემთა წინაშე და სცვდეს ზღრუბლთა ჩემთა შესავალთა“, — იტყვის ბრძენი სოლომონ იგავსა შინა¹.

სადა არს ბჭე მისი, ძმანო, ანუ სადა ვსცვიდეთ წინაშე მისსა ზღრ/უბლთა მისთა? 2

ამას ეკლესიისათვის იტყვის, რამეთუ გაწვევსთ ღმერთი კაცთა ეკლესიისათა და ჰნატრის, ვინა მარადის იყოს კართა ეკლესიისათა მომავალი სავედრებელად.

ეკლესია შესაყრებელად გამოითარგმანების, რომელსა მოასწავებდენ პირველადვე მამანი ჩვენნი, რამეთუ დასაბამსა აღწერა მოსემ წიგნსა სჯულისასა მეორეს თავში: „დაასხა ღმერთმან/ სამოთხე ედემს აღმოსავალით, და დაადგინა მას შინა ადამ და მცნო მას: ყოველისაგან ხისა სამოთხისა ჰამით სჰამოთ, ხოლო ხისა მის ცნობადისა კეთილისა, და ბოროტისა არა სჰამოთ და არცა შეეხნეთ, რამეთუ, რომელსა დღესა სჰამოთ, სიკუდილითა მოჰკუდიეთ“². 3

სამოთხე სახე არს ეკლესიისა. და შეგვკრიბნა მას შინა და დავვიდგინა კაცი, რომელ არს ადამი, დაცვად მცნებათა მი/სთა, რათა ყოველი საღმრთო წერილი ვისმინოთ, და გავიგონოთ და სულიერისა გონებით ვჰამოთ, რომელ არიან ესე ყოველნი ხილნი სამოთხისანი, ხოლო გარეშე და მსოფლიო სიტყვა და ზრახვა არა ვიუბნოთ, რომელ არს ურჩებისა ხილისა ჰამა, და არცა გულთა დავიძარხოთ, რომელ არს შეხება. 4

კვალად დასწერს: „სამოთხით გამოვალს მდინარე ერთი, რომელი განიყოფის ოთხ თავად“³. ესე მოვლის ყოველსა ქვეყანასა. ესე

¹ იგავნი 8, 34.

² შესაქმე 2, 16—17.

³ შესაქმე 2, 10.

სახე არს წმიდისა სახარებისა, რომელი გამოვალს ეკლესიით ოთხნი
5 თა/ვნი სახარებისა მდინარეთა სწავლანი; და მორწყავს ყოველსა
პირსა ქვეყანისასა და ნაყოფითა აღავსებს. რომელიცა ისმენს მცნე-
ბათა ღმრთისათა და არა სკამს მსოფლიოსა სიტყვისა ხილსა და
საღმრთოსა სწავლასა ზედა დაადგების, ჭეშმარიტად ამა ეკლესიის
სამოთხის სახითა აღვალს ზეცისა სამოთხესა, რომელ არს შესაკრე-
ბელი წმიდათა, სადა არს უკვდავება საუკუნო. და უკეთუ ისმენთ
6 გველისა მის მკეცისასა, რომელ არს ეშმაკი, და სოფლისა ამის ზრუნ-
ვითა გონებითა სკ/ამთ, რომელ არს ურჩებისა ხილი, თქვენცა გან-
ვარდებით ეკლესიით და სამოთხით და საღმრთოდა ნათლისაგან
განშეშვლებულნი ეშმაკისა, მიერ წარიტაცებით სატანჯველსა სა-
უკუნესა.

კვალად სახე იყო ეკლესიისა კიდობანი ნოესი ზ თავში, რომელ
შევიდა ნოე კიდობნად; და არავინ შეიწყნარა სიტყვანი ნოესნი,
გარნა შევიდა მათ სახლეულთა მისთა, და მოვიდა რღვნა წყალთა
და ყოველნივე დაინთქნეს, ხოლო ნოე განერა სახლეულით¹.

7 ოდესცა იხილნე სოფლისა ამის ღე/ღვათა შფოთნი, შენცა
მოისწრაფე ეკლესიად მალიად, ვითარცა ისწრაფა ნოე კიდობნად
შესლვად და შევიდნი სახლეულნი თვისნი განარინნა. შენცა ოდეს
შეხვიდე ეკლესიად, თანა შეიხვნენ შენცა შევიდნი სახლეულნი გვა-
მისა შენისანი: გულ-გონება, სიტყვა, თვალი, ყური, ენა, საყნოსელი
და გვაში, და ამათითა შენცა განერე სოფლისა ამის ღეღვათა დაწ-
თქმისაგან.

8 და ვითარცა ნოესგან ივლტოდა ყორანი, შენგანცა განივლტო-
დეს მსგავსე ყო/რნისა ეშმაკი, და მოგივიდეს სული წმიდა სახედ
ტრედისა და მოგიტანოს რტო ზეთისხილისა — პოხიერება სული-
ერი.

9 კვალად სახე იყო ეკლესია, ოდეს ჟამთა აბრაჰამისთა შეითქვენს
ხუთნი მეფენი და მოუბდეს და წარტყვენვეს სოდომ-გომორი და
ძმისწულიცა აბრაჰამისი ლოთ წარიტაცეს. სენა აბრაჰამ და შეკ-
რიბნა სამას ათვრამეტნი მონანი თვისნი და ეწია, დაესხა ღამე ხუთ-
თა მათ მეფეთა, განემარჯვა და დაჰყარნეს ნატყვენაენი და ლოთცა,
ძმისწული აბრაჰამისი, და ივლტოდეს. მოიქცა აბრაჰამ სვიანად და
მღვდელი ღმრთისა მელქიზედეკ და მიუძღვნა ალაფთაგან ათისთავი
შესაწირავად ღმრთისა და მოილო კურთხევა მელქიზედეკისა მიერ.

აბრაჰამ მამად მრავალთად გამოითარგმნების და არავინ არს
შვილმრავალ, გარნა ეკლესია, რამეთუ ყოველნი ქრისტეანენი შვილ-

¹ შესაქმე 7.

ნი ეკლესიათანი ვართ. ხოლო მსგავსად ვითარმედ აბრაჰამისა, შუკ-
რი/ზნა ნიკიას ეკლესიამან სამას ათვრამეტნი წმიდანი მამანი და 10
დევნა უყო წინა-აღმდგომთა თვისთა — ხუთთა მათ მწვალებელთა:
არიოზს, ორიგენეს, ნესტორს, საბელიოსს და აპოლინარს, განაქიქა
და შეარცხვინა, მოაქცია და დაამტკიცა მართალი სარწმუნოება —
ძმისწული ეკლესიისა.

აწ შენცა, საყვარელო, ოდეს შეითქვენენ შენ ზედა ხუთნი მეფენი
პორცთა შენთანი, ცოდვის-მოყვარენი: ერთი მეფე თვალი შენი,
რომელი რასაცა იხილა/ვს, ნებაეს მიღება თვისად და მიგიზიდავს 11
შრუშებად და ანგარებად; — მეორე მეფე ყური შენი, რომელი
მარადის განარისხებს გულსა შენსა სმენითა ამაოთა სიტყვათათა
და დაგიმარხავს გულსა შინა უნჯად ძმათ-მოძულებასა და ძვირის-
ზრახვასა, — მესამე მეფე ენა შენი, რომელი ზრახავს ბოროტსა, და
გინებასა და ტყუილსა და ცრუფიცობათა იწვრთის, — მეოთხე მე-
ფე საყნოსელი შენი, რომელი მისდევს სოფლისა ამის გემოთა და
სიამოვნეთა, — მეხუთე მეფე შენი პელნი და ფერჳნი, რომელნი 12
განმ/ზადებულ არიან ტაცებად, და ზვეჳად და პარვად. ესენი არიან
ხუთნი მეფენი, რომელნი მარადის ებრძვიან ჰულთა კაცისათა.

ამა ხუთთა საგრძნობელთა ზედა შეიყარენ შენცა, საყვარელო,
სამას ათვრამეტნი მოღვაწებანი და წარუძღვანე წინა კერძო სასო-
ება, ეწიე და დაესხი ხუთთა ამათ მეფეთა, სძლიე და დასთრგუნე
და მოაქციე სულისა შენისა ძმისწული: გონება და საცნობელი,
რომელნი მიგტაცეს და ტყვე-ყვეს, და მოიქიე ეკლესიად, და შეწი-
რე ათისთავად სინანული უფლისა მელქიზედეკისა და მანცა გაკურ-
თხოს და მოგცეს სასყიდელი მოღვაწებისა შენისა./ქ/

მრავალნი წინასწარმეტყველნი მოასწავებდენ ეკლესიათათვის, 13
არამედ სიგრძისათვის მნებაეს შემოკლება, რათა არა გულკლებულ
იქნეთ მოუძღვრებულნი პორციითა.

ხოლო მოსესაცა აჩვენა ღმერთმან კარავი საწამებელი ცათა
შინა სახედ ეკლესიისა და შემზადა მანცა, რომელსა შინა ეტყოდა
ღმერთი პირის-პირ. და დავით და სოლომონ აღაშენეს სახლი და
ტაძარი ღმერთისა ეკლესიად და სავედრებელად.

შემდგომად თვით უფალი ეტყვის პეტრეს, თავსა მას მოციქულ-
თასა, მათე მახარებლის იდ თავში: „შენ ხარ კლდეა სიმტკიცისადა 14
და შენ ზედა აღ/ვაშენო ეკლესია ჩემი, რომელსა ბქენი ჯოჯოხეთი-
სანი ვერ ერეოდინა“¹.

საყვარელნო ძმანო, თქვენ ყოველთა კაცთა პორცნიცა ღმრთისა

¹ მათე 16, 18.

ეკლესიად აღშენებულ არს, რომლისათვის მიუწერს პავლე მოციქუ-
ლი კორინთელთა ა ებისტოლესა შინა: „არა უწყითა, რამეთუ ტა-
ძარნი ღმრთისანი ხართ და სული ღმრთისაჲ დამკვდრებულ არს
თქვენ შორის?“¹ ვინაჲთგან ესოდენტა წინასწარმეტყველთა მიერ
მოსწავებულსა სახლსა ღმრთისასა მოსრულ ხართ და სდგახართ,—
და თქვენცა ტაძარნივე ღმრთისანი ხართ, რომლისათვის იტყვის
დავით იღ ფსალმუნსა შინა: „უფალო, ვინ დაეშენოს კარავსა შენსა,
15 ანუ ვინ დაემკვდროს /მთასა წმიდასა შენსა? რომელი ვიდოდის
უბიწოდ და იქმოდეს სიმართლესა?“².

საყვარელნო ჩემნო, ტაძარნო ღმრთისანო და სადგურნო სული-
სა წმიდისანო, თქვენცა ეკლესია ეგე პორცთა თქვენთა აღაშენეთ
კლდეთა ზედა სიმტკიცისათა და ნუ ცუდსა და ფლატულსა,
მზვლარსა მიწათა; და მოკაზმენით გვაგნი თქვენნი სიმშვიდით
და შეამკვენით სიმდაბლითა, რათა მოვიდეს ქრისტე და დაივანოს
თქვენ შორის. და განისვენოს თქვენგან აღშენებულთა ეკლესიათა
შინა.

განიხილე სახე ესე: ოდესცა მოიყიდო მონა ერთი ყმა ჩჩვილი
და აღზარდო ფუფუნებითა და განამდიდრო და შემდგომად უბრძა-
16 ნო სახლად მისად მისლვა და კეთილად განმზადება მასპინძლობად.
და მან არა თავს-იღვას და არა განმზადებული დაგზედეს, რა მიხვი-
დე, და იხილო განუმზადებელი, ვითარ განრისხნე და ვითარი მისა-
გებელი მიაგო მას მონასა შენსა?

ეგრეთვე ღმერთმან კაცნი თვისად სამკვიდრებელად: შექმნნა,
რათამცა თვით კაცთა თანა მკვიდრ იყოს და კაცნი თვისთა თანა
ამყოფოს. და მას თვისი ტაძარი ჰგონიე შენ და შენ მისთვის არა
განემზადები და კეთილსა ვერარასა იხილავს შენ შორის, რაჲმცა
უნდა გიყოს ღმერთმან შენ?

17 ნუ, ძმაო, ნუ, საყვარელო, ნუ მისდევ მუხთ/აღსა ამას სოფელ-
სა! თუცა დიდი რამე საცთური მოიწიოს სოფლისაგან, მოიბრძინე
ეკლესიასა ამას შინა და გიჰსნის უფალი ღმერთი შენი; უკეთუ სა-
სიხარულო რამე მოგცეს ღმერთმან, მოვედ ეკლესიად და აქებდი
ღმერთსა, რომლისათვის დავით იტყვის: „ეკლესიასა შინა აკურ-
თხევდით უფალსა“³. თუ მტერი გებრძოდეს, მოვედ ეკლესიად, და
ევედრე ღმერთსა წმიდითა გულითა დი განერე მას. თუ გულისთქმა
რამე შეგაწუხებდეს, მიისწრაფე ეკლესიად და განიხილენ ხატნი

1 პავლეს 1 კორ. 3, 16.

2 ფსალმუნი, 14, 1 — 2.

3 ფს. 67, 26.

წმიდათანი და განგჳარდეს გულისთქმანი შენნი. უკეთუ ცოდვასა რასამე შთავარდე, ნუ იტყვი: «მრცხვენის ეკლესიად მისლვისათვის», არამედ სწ/რაფით მოვედ და აღუარე მღვდელსა და ევედრე ღმერთსა გულითა მპურგალითა და აღიოცოს ცოდვანი შენნი. 18

ეკლესიისა გარეგან რა იყოს კაცი, პირუტყვისა ჰგავს და საქმეთაცა პირუტყულთა იქმს, რამეთუ მარადის ზრუნავს ჰორცთა და მუცელთასა, და, ოდეს შევალს ეკლესიად, მაშინდა იქმნების კაც და სცნობს სულსა თვისსა და სოფლისა ამის სიცუდესა. ეკლესიისა გარეგან ტყვე არს სული და დაბმულ, ხოლო, რა ეკლესიად შემოვალს, განთავისუფლდების სოფლისა შფოთისაგან. და მოეგების თავსა თვისსა.

ეკლესიისა გარეგან მძინარე არს კაცო სულიე/რისა საქმისათვის და უქმ, ხოლო, რა ეკლესიად შემოვალს, განიღვიძებს და დაიწყებს მუშაკობად საზრდელსა სულთა თვისთასა. ეკლესიისა გარე მკვდარ არს სული ჰორციელთა საქმართა დევნისათვის, ხოლო, რა ესმის რეკა, და აღდგების, ვითარცა ანგელოზთა საყვირის დაცემითა, - და ეკლესიად რა მივალს, განცბოველდების, უგალობს ღმერთსა და აქებს ჩვენთვის ჯვარცმულსა ძესა მისსა იესუს. 19

ეკლესიისა შეკრებილნი კაცი ერთითა კმითა და ერთითა პირითა რასაცა სთხოვენ ღმერთსა, მიიღებენ, რამეთუ თვით თავადი ღმერთი ბრძანებს: „სადაცა იყვნენ ორნი, გინა სამნი/ შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ შორის მათსა“¹, და სხვაგან იტყვის: „რაცა სთხოოთ მამასა სახელითა ჩემითა, მიიღოთ“². ეკლესიისა შინა შეკრებულთა კაცთა რამცაღა უნდეს ამისა უმეტეს, რომელსა ქრისტე უქადებს მას თანა დამკვიდრებასა და საკუთარ მისსა ჰყოფს? რა გნებაეს ამისა უპატიოსნესობა? რომლისა მეფისა თანა-განმზრახეობა უმჯობეს არს ქრისტეს მეგობრობასა? რომლისა ჰელმწიფისა ერთგულება ედარება იესუს ერთგულებასა? რომელთა უფალთა ნიჭი უმეტეს არს ქრისტეს ნიჭთაგან? რომელთა დიდებულთა/ ხილვა სჯობს იესუს პირის-პირ ჰკერტასა? 20

და იღვიძებდეთ ბჭეთა მისთა წინაშე და სცვიდეთ ზღრუბლთა მისთა შესავალსა, რათა ღმერთმან ნეტარეულად გამოგაჩინოსთ, და განეკრძალენით და მოისწრაფეთ ეკლესიად, რათა ქრისტემან დაიმკვიდროს თქვენ შორის და დასთრგუნოთ მტერი თქვენი ეშმაკი ქრისტეს იესუს მიერ, უფლისა ჩვენისა თანა მამით და სულით წმიდითურთ, ამინ³. 21

¹ მათე 18, 20.

² იოანე 15, 16.

³ ხელნაწერი უმატებს: „ქრისტე, შეიწყალე საბა“.

2. სწავლა ეკლესიასა შინა ღუმილისათვის

22 ქადაგება ნებავსთ კრებულთა ამათ ჩემი. და უკეთუ ვთქვა რამე, ცუდ არს და შრომა / ჩემი უქმარ იქმნების: ეკლესიასა შინა სდგახართ, და ლოცვათა არა ისმენთ და ამოთა საუბართა ზრახავთ; წმიდისა სახარებისა სიტყვასა არა ისმენთ, რომელი გიბრძანებს გულისა საუნჯესა შინა შესლვასა და ენისა და ყურთა კართა დაშვასა და ეგრეთ ლოცვასა, მე თუცა მრავალი ვთქვა, ვინ მისმინებთ? წმიდათა მოციქულთა სიტყვათა და წმიდათა მღვდელთ-მოძღვართა სწავლისა კითხვათა ზედა ღაღადებთ და იცინით, ჩემისა ლაპარაკითა რასა ბოროტთა მოიკვეთთ?!

23 პირველად ერთი დიდი ცოდვა ესე არს, რომელ კაცი / ლოცვასა ზედა უბნობდეს, და მეორე უდიდესი, რომელ სხვა კაციც ლოცვასა მოაქცინოს; მესამე ცოდვა ესე უფროსი იქნება, რომელ ვასწავლო და არა დაიმარხოს.

გულისხმა-ყავთ ლოცვასა ზედა, მოუბარხო, თუ ვითარისა სატან-ჯველისა თანა-მდებ ხართ! უკეთუ შენ თანა მონა შენი დგეს ანუ ქელქვეშე, მოყვასი შენი და შენ კეთილსა ჰამბავსა იტყოდე, ანუ სხვასა მეცნიერსა წიგნთა რასამე აკითხვებდე და იგი შენი უღარესი¹ ყურთა არა გაპყრობდეს², იცინოდეს³ და სხვათაცა მოაქცინდეს და შენსა არა ისმენდეს, თუ ვითარ / განრისხდეს და მას კაცსა ზედა, რაცა ძალ-გედევას, იგი არ უყო?

24 მაშა, გულისხმა-ყავ: მოწყალება ღმრთისა და სულგრძელება უკეთუმცა შენებრ სულმოკლებდეს, მაშინვემცა განხეთქნა მიწა და ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთავთხივნა. ბრძანებასა ღმრთისასა იკითხვენ, შენ ყურთა არა მიუპყრობ?

ეკლესიასა შინა სდგახარ და არა მოშიშ ხარ. ქრისტეს ჯვარცმასა ხედავ და შენთა ცოდვათა არა ჰგოდებ, რომელ შენისა მსინათვის რაოდენნი ტანჯვანი თავს-ისხნა. შენ ღმრთის-მოწყალება და გვიწყებია და ეშაყისა მეგობარ ქმნილ ხარ, ეკლესიაში უგვანად / პყვირ და მთრვალივით იცინი. არა უწყია, რაცა გარეგან ამოინი სიტყვანი გითქმიან, ანუ უწესოდ გიცინიან, ანუ ბოროტად რამე გიქმნიან, ყოველთა სინანულისა ქმნა ეკლესიათა შინა ჯერ-არს?

ეკლესიათა შინა ყოველნივე შენ მიერ ქმნილნი ცოდვანი მოიქსენონ და სინანულით სტიროდეს; არა თუ ოდეს შემოხვიდე, პირველ-

¹ შენი უღარესნი.

² გაპყრობდენ.

³ იცინოდენ.

თა ბოროტთა შენთა მოგონებისა ნაცვლად იგიცა დაივიწყო და სი-
ცრუვე და სიცილი იწყო.

უკეთუ ღმერთი უხილავ არს და ანგელოზნი არა იხილვებიან,
ვერცა-და წმიდათა ხატთა ხედავა? არა ხედავა წმიდისა ღმრთის-
შშობელისა ხატსა, რო/მლისაგან იესუ ქრისტემან პორცნი შეისხნა,
დაგლახაქნა და ყოველივე შეურაცხება თავს-იღვა, რათა ჯოჯოხე-
თით აღმოიყვანოს კაცნი? და შენ ესე პატივნი დაგივიწყებიეს
და წმიდისა მარიამისა ხატთა პირთა აქცევ და სხვათა კაცთა ეზრახ-
ვები?.

26

ამა სოფლისა საქმესა გაიგებ, რომელ ხვალე სოფელიცა გან-
ქარდების და გაშვებელი მისიცა.

კაცი თუ ერთი ვინმე მივიდოდეს გზასა ზედა და დაჰხედეს წინა
შკვლარი ვინმე, ესრეთ შეწუხდების, ვიდრე მწუხრადმდე ზრუნვა
ექმნების. და შენ წინარე ჯვარცმული ქრისტე, შენთვის ჰურიათა-
გან მომკვლარი, ვითარ ტანჯული, ვითარ დამსქვალული გისვენია,
რომელმან დასთხია ჩვენთვის სი/სხლი და მით მოგვიყიდა და ნაც-
ვლად მონებისა ძედ ღმრთისა გვეო და შვილ სასუფეველისა გამოგვა-
ჩინა. ესე კადნიერება დაგივიწყებიეს და ქრისტეს ჯვარზე სიკვდი-
ლი გულით განგიქარვებიეს, და შენ მოყვასთა შენთა თანა განსცხ-
რები, რომელი ხვალე განგეშორების და საფლავისა კართაცა არა
მოგყვების, და ქრისტეს მიერ სისხლით მოსყიდული სული შენი
ჯოჯოხეთსა შინა მეორედ შენ მიერისა საქმითა დაემკვიდრების!

27

ამისათვის მიუწერს წმიდა მოციქული პავლე კოლასელთა დ, ბ:
„ლოცვასა განეკრძალებით და იღვძებდეთ მას შინა მადლობით“.

გულისხმა-ყავ; თუ რომელსაცა საქმესა კაცმან საქნელად პელ-
ყოს — ანუ / მუშაკობასა, ანუ ვაჭრობასა, გინა ნადირობასა —
იგი საქმე დაუტეოს და სხვასა რომელსამე საუბარსა იწყოს თქმად,
თუცა საქმე იგი არა განირყვნეს. უკეთუ ამა წუთისა ეამისა საქმე-
თათვის ესრეთ მომპირვეობა ჰამს, თუცა სხვა რამე მცირედი იუბენ,
ყოველივე მოიშლება. იხილუ: წინაშე ღმრთისა დგომა და უშიშრად
ყოფნა და ყურის მიუპყრობლობა ვითარძი იქმნას!

28

მრავალნი ჰელარგნოსანნი მებატრონისა კართა დგანან, რომელ-
ნიმე წინარე უდგანან არგანთა მპყრობელნი, მშვიერნი, მღუმარენი,
არცა ერთსა კიდესა მიმხედველნი, გარნა უფალთა თვისთა, მზე-
რელნი მრავალგზის მზეთა და სიცხეთა შინა, / მრავალგზის თოვლ-
თა და სიცივეთა შინა, ვიდრე უფალთა მათთა დიძინონ, ელიან
შათ. ნუთუ მოიკითხნეს, ნუთუ სამსახურნი უბრძანნეს ანუ კეთილ-

29

ნი სიტყვანი?! არა ხოლო თუ ნიჭი ყოველთა იშოვნონ და, უკეთუმ-
ცა ნიჭიცა იშოვნონ, ადრე განქარდეს მისაცემელიცა და მიმცემე-
ლიცა.

უკეთუ წუთისა ჟამისა უფალსა ესრეთ განეკრძალიან, თქვენ
მცირესა ჟამთა წინაშე მდგომარეთა ფერაზე დგომა მოგაძაგდებისთ:
რომელნიმე ჰყვენსით, რომელნიმე სწუხთ, რომელნიმე დასჯდებით,
სხვანი უგვანად ზრახავთ, ლოცვისა სიგრძეთა გმობთ, წიგნთა-
30 კითხვაზედ გთვლემსთ, გალობ/ის სიგრძისათვის სტუმნავთ და ჯო-
ჯობეთისა სატანჯველისა დაუსრულებლობისათვის არა იურვით.

რამათვის ჰკოდია სირაქლემის კვერცხი თქვენ წინაშე? —
ამისთვის, რომელ სირაქლემი კვერცხთა სადამდის გამოსჩეკდეს,
წინარე უც და თვალმოუღებლად უმზერს. უკეთუ თვალი და გონე-
ბა მოაშორვა, განულაყნების. ამის ნიშნად დაჰკიდებენ კვერცხთა
მათ. უკეთუ ლოცვათა. თვალი და გული მოაშორე, ლოცვანი სრუ-
ლიად განგიქარდებიან და შენ გულისა მოშორებისა კიდე სიტყვითა-
31 სხვათა კაცთაცა მოაცდენ¹, რომელ ლოცვანი ვერაღა მოის/მინნენს.

ესე საქმე ეშმაკისა მსგავსება არს: ეშმაკი თვით გამოვარდა.
სასუფეველით და ესე ნებავეს, რათა ყოველი კაცი დააყენოს მუნ
შესლვად.

რომელიცა კაცი ლოცვასა ზედა მოყვასა ეზრახების, სამსახუ-
რისგან ღმრთისა თვითონ განვარდნილ არს და სხვათცა ნებავეს,
რათა არა უტეოს სამსახურად ღმრთისა. ამისთვის იტყვის წმიდა
მანარებელი მათე კგ, იდ: „ვაჲ, თქუენდა, რომელთა დაშენით
კარნი სასუფეველისანი. თქუენ არა შეხვალთ და შემავალთაცა
არა უტევეთ შესლვად“².

ჰოი კაცო, თუმცა გაწვია ვინმე და ანუ სახილველთა ადგილთა
32 სდგახარ, განეკრძალე/ბი და დუმილს შეიწყნარებ, რათა გაქონ; ანუ
პატიოსანი დედაკაცი და დიდებულთა ცოლნი სადამე იყვენენ,
გინა უცხონი კაცნი, იტყვი: «ესევეითარნი მხედვენ და პატიოსნად
ვიწყლ და მდუმრიად, რათა კეთილად მიხილონ და მომიწონონ», და
ეკლესიათა საუბრითა აღაშფოთებ?

ჰოი უგუნურო, გგონესა აქა არავინ გხედვიდეს? თვით თავადი
ღმერთი გხედავს და წმიდა მისი მშობელი, რომელი უადრეს არს
ყოველთა დედაკაცთა და ყოველთა დედოფალთა, და წმიდანი ანგე-
ლოზნი; იგინი უფრორე უცხონი არიან შენთვის, წმიდანი მოცი-
ქულნი, წინასწარმეტყველნი, წმიდანი მღვდელთ-მოდღვარნი და მო-

¹ მუაცდენ.

² მათე 23, 14.

წამენი, ხოლო კაცინცა და ღედაკაცინცა ფრიად მრავალნი, აქა ეკლესიასა შინა/ მდგომნი, შენგან მოცთუნებულნი, ყოველივე გზედვენ და არა განეკრძალები? 33

იხილეთ, საყვარელნო, სოფლისა ამის მიმყოლნი, ორძალთა და ფანდურთა მკერელები, გინა სტვირთა და ნესტვთა მამწყობარნი! თუცა ერთი კმა რამე ამოდ ქმნა, ყოველივე შეწყობილება მათი მონიშლების და იავარ-ექმნებათ. თუმცა ცუდთა სტვირთა და ფანდურთა და ეგვეითართა ესოდენ განკრძალვა უნებს, განიგულე, ლოცვისა მოსმენასა ვითარი განკრძალვა უქმს და ღუმილით ღგომა და სმენა.

ღუმილით ლოცვითა მოსე უფლისაგან მღალადებლად იწოდა. ღუმილით ლოცვითა ანნა წინასწარმეტყველი შვილიერ/ იქმნა. 34 ლოცვითა მღუმრადითა იპოება სოფელი ესე. ღუმილისა ლოცვითა და ვედრებითა აღგმატების დღენი. ღუმილისა ლოცვითა მოგეცემისთ სიმდიდრე. ღუმილის ლოცვა მჭურვალე აღვიზრდისთ შვილთა. მღუმრადი ლოცვა მოგცემსთ ცვართა წვიმათათა და ნაყოფთა ქვეყანისათა. ღუმილით ლოცვა მჭურვალე მოგაშორებსთ მტერთა უხილავთა.

განკრძალული ლოცვა დაგამოყვრებსთ მტერსა ჰორციელსა. ლოცვა მოწყალე ჰყოფს მებატრონესა შენ ზედა. ლოცვა წარგიმართებს ყოველთა გზათა შენთა. ლოცვა ადავებს საეპქროსა შენსა/ საუნჯითა. ლოცვანი გიპსნიან ყოვლისა ფათერაკისაგან. ლოცვა გან- 35 გარინებს უჯამოდ სიკვდილისაგან. ლოცვა დაგიფარავს ცოდვისაგან. ლოცვა შეგინდობს ნაქმნარსა. ცოდვათა. ლოცვა განვიღებს კართა საშოთხისათა. ლოცვა შეგიყვანებს სასუფეველსა შინა. ლოცვა მოგაშორებს ეშმაქსა. ლოცვა დაგამეგობრებსთ ანგელოზთა. ლოცვა გაჩვენებსთ პირსა ღმრთისასა და დაგამკვიდრებს მუნ საუკუნოდ.

უკეთუ არა, ლოცვასა ზედა უბნობა და ლოცვათა ყურთა მიუჰყრობლობა, ყოველივე რაოდენი გითხარ, ყოველთა მოგაშორებსთ და ჯოჯონეთს საუკუნოდ დაგიმკვიდრებსთ. განეკრძალენით, რათა არა შეხვიდეთ ჯოჯონეთსა შინა და არა განეშორნეთ დიდებასა ღმრთისა/სა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა, ამინ. 36

3. სწავლა ეკლესიასა შინა ღუმილისათვის, მიორე.

„ასწავებდით და მოძღუორდით თავთა თქუენთა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა მადლითურთ. უგალობდით გულთა შინა თქუენთა უფალსა“ — პავლე მოციქული მიუწერს კო[ლასელთა]!

¹ კოლასელთა 3, 16.

გესმისთ, საყვარელნო, ყოვლისა სოფლისა მანათობელი მოციქული ვითარ გასწავებსთ: ასწავებდით თავთა თქვენთაო ყოველსა ეამსა ფსალმუნითა და გალობითა უფლისა მადლობასა/

37 ხოლო თქვენ არა თუ მარადის უგალობთ უფალსა, არამედ უკეთუ ოდენ ეკლესიად შეხვიდეთ, მუნცა განგიდევნიეს ქება და ვედრება უფლისა გულთაგან შენთა, და დაგივიწყებინეს შიში ღმრთისა და სატანჯველი ჯოჯოხეთისა და არა ზრუნავ დღისა მისთვის, ოდეს განკითხვად ხარ, თუ რა-ღი გიყოს შენ. არამედ აღგივისიეს გონება შენი ამოჯთა და სოფლისა ამის სიციბილითა და მზრახველობ სიცრუესა და განაგებ წარმავალსა და დაუტევებ წარუვალსა, განსცხრები და განიქიქები; არა გამოიძიებ, თუ რა არს ეკლესია და რახსათვის აღშენებულ არს? არა განიზრახავ, თუ ცოდვათა მძიმეთა

38 ტვირთთა აღსასუბუქებელ არს; / არა განიცდი ხატთა მოციქულთასა, რომელთა შინა არიან ტანჯვანი და ჯვარცმანი მათნი აღსაძრველად გონებათა; არა მიხედავ ღვაწლთა მოწამეთასა, რათამცა მწუხარებითა ვდიოდიან ცრემლნი მღუღარენი; არა მოიძინებ სიმანეთა ქალწულთასა, წარმატებულსა გმირთასა, რათა განგიმრავლდეს სულთქმანი მწარენი; არა მოიგონებ სიმდაბლესა ღმრთისასა, რომელი შენთვის დაგლახაკდა, რათა ძრწოლა შეგედვას; არა გულისხმაყოფ სიკვდილსა ქრისტესსა შენთვის, რათა განციფრებამან შეგიპყროს, არამედ ესე ყოველი ჰაერად განგიხნვეიეს და რომელიმე მოყვასისასა ზრახვენ, რომელიმე ძმათა საქმეთა ზედა იცინით, რომელიმე მუცელთასა და გვამთასა იურვით; / სხვანი პირუტყვთა და ძაღლთა საქმესა ზედა იხარებთ. არა გულისხმა-გიყოფიესთ, ღმერთმან პირმეტყველად დაგბადათ და ნებავეს, რათა შეგაერთოს წმიდათა ზეცისა ძალთა, და თქვენ თავნი თქვენნი პირუტყულთაცა უღარესად გიყოფიათ.

39 ნოემ ოდეს კიდობანი აღაშენა განსარინებელად რღვნათასა, მსგავსად ეკლესიათასა ქმნა იგი. და მას შინა შეკრებოდა ყოველივე იძვრისი, უგულისხმონი; არავინ ასწავლიდა, არავინ მოუწოდდა, არცავინ ამცნებდა, არამედ თავით თვისით პირუტყვნი მორბიოდენ, ფრინველნი მოფრინვიდ/ენ და მძრომნი მოძვრებოდენ. და აღივსო კიდობანი იგი უცხოათა მით კრებულითა. არა ემტერებოდა ფასკუნჯი ვეშაპსა, არცა რქენდა მარტორქა პილოსა; არა ებრძოდა ლომი ჰარსა, არცა წარიტაცებდა მგელი ცხოვარსა; არა სჭამდა არწივი ფარშამანგსა, არცა სდევნიდა ქორი კაკაბსა. მაშინ იყო მშვიდობა შორის კაცთა და გველთა, ძაღლთა შორის ჭა ყურდგელთა, ციცათა და თავეთა. რომელნი რომლისა მტერ იყვნენ, არა უმტერიან. რომელთამე არა აქსოვდა საქმელი თვისი, სხვათა დავიწყებოდა მეგო-

ბართა ალერსი, არამედ ში/შსა ღმრთისასა განკრძალულ იყვნენ და გონება მათი მიეპყრათ ღმრთისათვის, რათა განერეს ღელვისა მისგან რღვნისათა. 41

ათოთხმეტსა თვესა ესრეთ განკრძალვა იყო დღე და ღამე კაცთა პირმეტყველთაგან, პირუტყვთა უგულისხმოთაგან, მკეცთა მძვინვარეთაგან, გველთა გესლიანთაგან, მფრინველთა დაუდგრომელთაგან, ძალლთა მკებენართა, დათეთა ნაყროვანთა და მელთა მცბიერთა, ცხენთა მწიხლაეთა და ვირთა მყვირალეთაგან, რათა განარინონ სული თვისი წყალთა მიერ დაშობასა.

პატროსანრო და საყვარელნო ქრისტეანენო, აწ შემოკრ/ებულ ხართ მრავალნი ერნი ეკლესიასა ამას ღმრთისასა, წარმოლტოლილნი სოფლისა ამის ღელვისაგან, და შემოსრულ ხართ კიდობანსა ამას, არა ნოესსა, არამედ მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესსა, და მარადის გესმისთ სწავლა, აღმოკითხვა საღმრთოთა წერილთა და თქვენ გაქვსთ გულისხმის-ყოფა და მეცნიერება კეთილთა და ბოროტთა. 42

უკეთუ გნებაეს, რათა განარინო სული [შენი] დანთქმისაგან, განკრძალვით და დუმილით დეგ წინაშე საკურთხეველისა და მიუპყარ გონება შენი უფალსა, ვითარცა იმყოფებოდენ ყოველნი ცხოველნი კიდობანსა მას შინა ნოესსა, და შეგიწყალოს შენ ღმერთმან. იგი ცხოველნი ათოთხმეტსა თვესა იყვნენ მყუდროებით უშფოთველად, უზრუნველად და უშურისძიებოდ, ხოლო შენ ათოთხმეტსა წუთსა შინა დეგ მპურვალითა გულითა და ყოველივე ჭეროვანი სათხოველი შენი მიიღო. 43

რასა მიუწერს მოციქული პავლე ა კო[რინთელთა იდ თავში]?— „უკეთუ ვილოცვდე ენითა, სული ჩემი ილოცავს, ხოლო გონება ჩემი უნაყოფო არს. აწ უკუე რასა ვილოცვდე თუ სულითა, ვილოცვდე გონებითაცა, ვიდესალმუნებდე თუ სულითა, ვიდესალმუნებდე გონებითაცა“¹.

ხედავა, მოციქული ვითარ გაწიქრძალეების და სულსა, გონებასა და ენასა არა ბრძანებს ურთიერთას განშორებასა? ხოლო უკეთუ გონება განაშორა, უნაყოფო ჰყოფს. აწე უკეთუმცა ცუდ არს ჩვენი ესე შრომა, რადმცა ვშერებით ცუდად? რაჲსათვის განაქარვებთ შრომასა თქვენსა ცუდად წუთისა ქამისათვის, მპურვალედ ღგომისათვის და გონებისა შემოკრებისათვის? 44

უკეთუ მონა შენი მოვიდეს თხოვისა წინაშე შენსა, და სათხოველი იგი არა კეთილად გთხოოს და არა მჭირსნედ და იგი ეზრახე-

¹ I კორინთელთა 14, 14.

ბოდეს მოყვასთა თვისთა და იცინოდეს ურცხვად და დგეს კადნიერად, მას უსმინება სათხოველისა მიცემასა, ანუ შეურაცხად განავლინებ-თქუ?

- 45 ეგრეთვე თავი შენი იხილე წინაშე ღმრთისა მდგომარე, რამეთუ სათხოვარი გაქვს ღმერთსა თანა, რათა ამა წუთისა/-სოფელსა მშვიდობით, სიმართლით და სიმდიდრით წარვლო და ცხოვრება საუკუნო დაიმარხო და მას თანა სუფევდე, ხოლო შენ ესე სათხოველი უგულვებელს-გიყოფიეს და რაოდენსა ზრახავ და სიბოროტეთა იწვრთი. არა უწყია, მოყვასნიცა შენნი მოგიცთუნებიან, რათა იგინიცა დაკლებულ იქმნეს წყალობისაგან ღმრთისა, ესრეთ შიში ღმრთისა განგიქარებია?

რასა იტყვის დავით ლგ ფსალმუნსა შინა? — „გეშინოდენ უფლისა და ყოველთა წმიდათა მისთა, რამეთუ არა არს ნაკლულევაება მოშიშთა მისთა“¹.

- 46 უკეთუ ეკლესიასა შინა ესრეთ ურცხვად სდგახარ, სადა-ლა შეიშინო უფლისაგან, მითხარ მე, ანუ ყოველთა წმიდათა მისთაგან-თქუ?/.

ეკლესია სახლად ღმრთისად აღშენებულ არს, სადა დამკვიდრებულ არს იესუ ღმრთაებითა, სადა დაიკლვის ქრისტე კაცებითა, სადა განეყოფების ნიჭი სამებისა ყოველთა ერთა მუნ შეკრებულთა. და მუნ მდგომარესა არარა გეურეების, არამედ ბოროტ-მზრახველობ და აცთუნებ კაცთა!

- 300 კაცნო, ვითარი კადნიერება არს ეგე? არა აღმოგიკითხავსა, ოდეს-იგი მიეცემოდა ქრისტე ჭვარცმად თქვენთვის, რათა ჯოჯობით აღმოგიყვანოსთ, მას ღამესა ვითარ-ღი ილოცვიდა და იურვოდა, ვითარ დაშვრა, ვიდრე სისხლთა ოფლისა დინებადმდე, ვითარ მოუძღურდა და დავარდა ქვეყანასა ზედა, რათა გასწაოსთ ლოცვა
- 47 ღვაწლთათვის წინა გამზადებულება? /

აწე რასა იტყვი, ვინაფთგან ქრისტე შენთვის ესრეთ მჭირსნელ ილოცვიდა, რათა შენ გაცხოვნოს და გასწაოს გზა სასუფეველად აღსაყვანებელი, მაშა შენდა რაღა ჯერ-არს, რათა გულსმოდგინედ არა ილოცვიდე, და ლოცვათა [შინა] ყოვლითა საუბრითა ამაოთა აღავსებდე ყურთა მოყვასისა შენისათა? ვითარ გისმინოს ქრისტემან, ვინაფთგან თვით ლოცვასა შინა სისხლის ოფლი იღინა, ხოლო შენ მის წინაშე ლოცვასა ზედა სიცილისა ცრემლნი გდიან?

ნუ, საყვარელნო, მოიდრიკენით გულნი თქვენნი და მოიხსენი-ნით შრომანი ქრისტესნი, რომელ რაოდენგზის დაშვრა სულისა

¹ ფსალმუნნი 33, 10.

თქვენისა ძიებისათვის, და დაშენით კარნი მეტყველებისა თქვენი-
სანი, რამეთუ ორნი კარნი აბიეს პირ/თა თქვენთა: კბილნი და ბაგე- 48
ნი. უკეთუ ეპენი დაშნე, კერლარა გამოვიდეს სიტყვანი პირისაგან
თქვენისა.

კაცნო გონიერნო და პატროსანნო, მოიჰსენენით კიდობანსა მას
შინა ნოესსა მყოფნი კაცნი და პირუტყვნი განკრძალულნი და მიჰ-
ბაძენით ნოესს და ძეთა მისთა, რამეთუ კაცი კაცისა მიმბაძებელი
ჰამს. უკეთუ ვერა მიჰბაძოთ¹ კაცთა, მიჰბაძენით უკვე პირუტყვთა.

რასა იტყვი: ფასკუნჯმან უწყალომან დაუტევა მტერობა თვისი
კიდობანსა შინა ნოესსა და არა ერჩდა ვეშაჰსა და შენ ქრისტეს
ეკლესიასა შინა მზრახველობ მტერისა შენისა შურსა. მარტორქა /
მეგობარ ექმნა პილოსა და შენ მეგობართა შენთა ძვირსა იზრახავ. 49

ლომმან დაუტევა მძვინვარება და შენ მრისხანებ მოყვასთა შენთა
ზედა. მგელი არღარა იტაცებს დღისი, არცარას იპარავს ღამე და
შენ ეკლესიასა შინა განიგულავ ტაცებასა მოყვარეთასა და პარვასა
მეზობელთასა. არწივთა თვალნი დაუწუხვან შევნიერებასა ზედა

ფაქრაშამანგათასა, რათა განიძლონ მისგან მომყმარება თვისი, და შენ
არა შეამსჭვალავ თვალთა შენთა ზატთა უფლისათა და კენესით არა
ლაღადებ, არამედ მიმოდა არებ თვალთა, სადა იხილო შევნიერო
და გული გითქმიდეს მისთვის. ქორნი დამშვიდებულან კაქაბთა შეპყ-
რობად და შენ ჰლა/ში, რაცა ვისიმე რამე იხილო კეთილი, შენთვის 50

შეპყრობად. გველი არღარა უმზერს ბრწყალთა კაცთასა, არცაღა
გამოაქვს გესლი პირით მისით, ხოლო შენ აუბნებ გესლოვანსა
ენასა შენსა დაუცადებელად, რომლითა მოკვდებიან მრავალნი კაც-
ნი. ძაღლი არღარა სდევნის ყურდგელთა, არცა ღრენს შემავალთა

უცხოთა, ხოლო თქვენ სდევნით გლახაკთა და შეიპყრობთ ქვრივთა
და დაბზარავთ ტყავთა ობოლთასა. დათვი არა ნაყროვნობს, არამედ
მორჩილებით მიიღებს ნოესაგან საზრდელთა, ხოლო / თქვენ 51

ეკლესიათა შინა განავებთ სადილთა თქვენთა და მონათა უბრძანებთ
და ასწავლით მზადებასა ჰამადლთასა და არა აცადებთ ლოცვისა დას-
რულებასა, რათა ღმერთმან გცეს თქვენ ჰამადლი. მელი დაცადებულ
არს მზაკვარობისაგან, ხოლო თქვენ დაუდგამთ საბრძკესა მოყვასთა

თქვენთა და მთხრებლთა უთხრით მოძმეთა თქვენთა. ცხენი განლი-
გებულ არს და არა ისრ[ვის] წიხლთა, ხოლო თქვენ რომელნიმე
სცემთ მოყვასთა თქვენთა ჰელითა, რომელნიმე წიხლითა და რო-
მელნიმე ბოროტ-მეტყველებითა. არცაღა იყოთლა ციცათა ოდენი,

¹ მიჰბაძო.

52 რომელი დაე/გო მას ჟამსა თაგვთა და არა ავნებდა, ხოლო თქვენ გნებაესთ მაწნებელობა ყოველთა და არა განკრძალვა ღმრთისა.

მრცხვენნიან, საყვარელო, ვინაათჳან ესოდენ[ნი] ბოროტნი ვთქვენ თქვენდა მომართ. მეშინის, უფალნო ჩემნო და მთავარნო, ვინაათჳან ვიკადრე მე, უღარესმან თქვენმან, უღარესისა მიმართ ჩემთასა ესეთი კადნიერება; არამედ არა სიძულვილისათვის თქვენისა მიჰმინეს, არცა მტერობისა შურითა. თქვენცა უწყით, რამეთუ აღშენებისა თქვენისათვის ვიტყვი, ნუუკვე რომელმანცა სიტყვამან შეგაკდმინეს, და მოიკვეთნეთ ეკლესიისა შეურაცხყოფა, ნუუკვე

53 რომელიმე სიტყვა / შთავარდეს ყურთა თქვენთა, და არღარა უბნობდეთ წინაშე საკურთხევლისა.

უკეთუ მეუფეთაგანი ანუ მეპატრონე ვინმე ჯდეს ადგილსა ერთსა, ყოველნივე წინაშე მდგომარენი ღუმლით განეკრძალებიან, რათა არა ეწყინოს უფალთა მათთა. საყვარელო, ეკლესიასა შინა მეუფე მეუფეთა ქრისტე მჭლომარე არს, დაღაცათუ ვერ ხედვიდეთ. მეპატრონისა წინაშე შეკრებილნი¹ უკეთუ უჭეროდ ღაღადებასა იწყებენ, მსახურნი მეპატრონისანი აგინებენ და სცემენ, რათამცა დაადუმნა, რათა არა განრისხნეს მეუფე. მეცა არა თუ გინებასა

54 ვიტყვი, არამედ ვინაათჳან / თქვენ წინაშე ქრისტესა უჭეროდ ღაღადებთ და არა შეიკდმით, მეცა გკადრებთ ესევეითართა სიტყვათა, რათა არა იყოს რისხვა ღმრთისა თქვენ ზედა. თუცა მპეცნი და პირუტყვნი განეკრძალნეს ნოეს და დამშვიდნეს მძვინვარებისაგან, რამეთუ ეშინოდათ დანთქმისაგან წყალთასა, უფროასად თქვენდა არა ჯერ-არსა განკრძალება პატიოსანთა და პირმეტყველთა მაგათ ქრისტეს რჩეულთა კაცთა, რომელი მოგაციდათ სისხლითა თვისითა, რათა უფროასად თქვენ გეშინოდესთ დანთქმისაგან ჯოჯობნითისა? ვინაცა პირუტყვთა და მპეცთა არა იციან კეთილი და ბოროტი, არცა

55 თუ მოკვდენ, შემდგომად სი/კვდილისა აქვსთ ტანჯვა, არცა სუფევა და განქარვებადნი არიან და ეგრეთვე ღუმლით და მშვიდად იყვნენ, თქვენდა რა უკვე ჯერ-არს მეცნიერთა და ბრძენთა მაგათ კაცთა, რომელთა იცით ბოროტი და კეთილი და შემდგომად სიკვდილისა თქვენისა გაქვსთ კეთილის მოქმედსა სიხარული და ბოროტის მოქმედსა ტანჯვა საუკუნო?

ხელდათა, რასა ბრძანებს ღმერთი გამოსლუათას კგ თავში: „არა მეჩუენო მე წინაშე ჩემსა ცალიერად“². ესრეთ ნებაეს უფალსა და გამტნებსთ: ოდეს შეხვიდეთ ეკლესიად წინაშე უფლისა, იყვნით

¹ შეკრებულნი.

² გამოსლუათა 23, 15.

აღვსებულნი ყოვლითა კეთილითა, სიყვარულითა, მოთმინებითა, სიმდაბლითა, სიმშვიდითა, სიწყნარითა, სიმართლითა და სიწმიდითა და ყოვლითა ქველის საქმითა. შენ ცალიერსა შესლვად არა გიბრძანებს და ესრეთ ნებავს, რათა ყოვლითა კეთილითა აღსავსე შეხვიდე, [და] შენ არა თუ კეთილითა აღსავსე შეხვიდე, არამედ ყოვლითა ბოროტებითა: ამპარტავნებითა, მრისხანებითა, სიძულვილითა, შურითა, ძვირის-ჰსენებითა და ყოვლითა არა-წმიდებითა, და არცა-ღამას იკმაებ: მზრახველობ და ღალატებ და იცინი ბარე და ეგრეთვე ცალიერი შევედ. და ვითარცა არა შეგაქვს კეთილი, ნურცაღა შეგაქვს ბოროტი და ღუმლით დეგ შენ და თავმოდრეკით. რამეთუ ოდეს იხილოს მეპატრონემან მსახური მისი მის/და მისული და ჰგონოს კეთილისა ძღვენისა მიღება, ხოლო მან აღავსნეს ვაშკარანი მისნი ძვლებითა, და ქვითა და ფუტურითა და მიუძღვნას; განა-ღა ცალიერვე უმჯობეს არს მისლვა. ეგრეთვე თავთა თქვენთათვის განიგულეთ. ძმანო საყვარელნო, ოდეს შეხვიდეთ ეკლესიად, განიწმიდებით თავნი თქვენნი ყოვლისაგან სიბოროტისა და, უკეთუ ანგელოზთა მხილველიცა იყო, მღუმრიად დეგ და ისმინე სიტყვანი წერილისანი, რამეთუ, რომელნი ყმანი მეფისანი უსაყვარელს არიედ, უფრორე განეკრძალებიედ. და ეკლესიათა შინა მარადის რიცხევდე ცოდვითა შენთა, მარადის იყავ გულმდღუღარედ, მარადის ლმობილ./

საყვარელო, უკეთუ მეცა არა გაუწყყო ეკლესიათა შინა ცუდად მზრახველობისათვის, თვით შენ რასა ეტყვი თავსა შენსა, ანუ გონება შენი რასა გეუბნებთ? ვერა ხედავა, რამეთუ რაოდენისა კეთილისაგან გამოაქვებ¹ თავსა შენსა, და ლოცვა შენი ცოდვად შეგერაცხების? რაოდენნი გხედვენ, გგმობენ, სხვანი ბოროტსა გიზრახვენ, რომელიმე თავკედლობით გიწოდს? ნუ, ძმანო, ნუ საყვარელნო, ვითარცა პატიოსან ხართ და მოსყიდული სისხლითა წმიდითა პატიოსნითა და განწმიდელი ემბაზილა მიერ, ეგრეთვე პატიოსნებით დეგ და ღუმლით ისმინებით ლოცვა[ნი] და მქურვალითა გულითა/ვევედრებით ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა, რათა მოგიტევენ შეცოდებანი თქვენნი და დაგამკვიდროს ზეცისა სასუფეველსა, ამონ.²

4. სწავლა აღსარებისათვის

„რომელი ჰფარვიდეს უსჯულებასა თვისსა, არა წარემართოს, ხოლო რომელი მიუთხრობდეს და იმხილებოდეს, საყუარელ

¹ გამოაქვებ.

² ხელნაწერი უმატებს: „ქრისტე, შეიწყალე საბა ორბელიანი“.

იყოს“ — იგავსა შინა იტყვის სოლომონ.¹ ამისთვის ეკლესიასა შინა შემავალთა კაცთა თანა-აძს, რათა ზედასა ზედა განიწმედდენ თავთა თვისთა აღსარებითა მიერ მოძღვრისა სულიერისა თანა, რამეთუ

60 აღსარება. არს განწმედელი სულთა და წარმრღველი ცოდვათა. ვითარცა კაცისა გვამსა შემწვირიანებულსა განბანს აბანო კეთილი და არღარა დაშთების ზედა მწვირე იგი, გინა სამოსელსა შესვარულსა განსწმედს განრცხა, ეგრეთვე სულსა შემწვიკვლებულსა განსწმენდს აღსარებისა წარმოთქმა.

ვითარცა კაცი მსმელი და მკამელი განსცხრების და არა მოექსენის სნეულება გვამისა თვისისა და, ოდეს დასნეულდეს და იწყოს ასოთა მისთა ტკივილი, და მოუწოდოს მკურნალსა და ეტყვის ყოველსა ნასვამ-ნაქამთა მისთა და ნაქმართა მისთა და ტკივილთა, სადა არიან და ვითარ სტკივიან, და არა დაუფარვან ასოთა მათ სასირცხოთა და / ყოველთა საქმეთა მათთა, რათამცა მით იკურნა მან განცხრომილებისა მისისაგან შექმნილი სენი; და ფრიადსა წარაგებს მკურნალთა ზედა და წამალთა ზედა, რათამცა სრულობით განიოტოს სნება იგი მისგან.

უკეთუ თვინიერ სმისა და ჭამისა ვერ ეგების გვამი ცხოველობასა ზედა, არამედ სმა და ჭამავე არს მიზეზი სენისა მის შექმნისა და დამასნეულებელი გვამთა, არა უფროსად განმრყენელ ექმნეს ცოდვანი ჩვენნი სულსა ჩვენსა და დამასნეულებელ უკეთუ არა ჭამა 62 კაცმან, მოკვდების ცხოველებისაგან და, უკეთუ არა ქმნა / კაცმან ცოდვა, არა მოკვდების, არამედ უფრორე განცხოველდების. და უკეთუ გვამისა ამის სნეულებასა უნებს მკურნალი და თქმდ სატყვართა მისთა და რამან აწყინა და აღუდგინა სენი იგი, მაშა არა უჭმსა სულსაცა მკურნალი და წარმოთქმა აღსარებისა, რომელი ცოდვა არს მომაკვდინებელი სულთა საუკუნომდე?

ეგრეთვე ჭერ-არს ცოდვილისაგან, რათა მოიბოვოს მკურნალ სულთა და აღუაროს ყოველნივე ქმნილი მისნი, ვიდრე თვალთა 63 ხილვათაგან, რომლისათვის იტყვის მაცხოვარი: „რომელმან იხილა თუალითა შუენიერი გულის-თქმად, მან იმრუშა გულსა შინა თვისსა“².

ამისათვის თვალთა ხილულითგანვე, ვიდრე გულის-თქმით და საქმით ცოდვადმდე, ყოველივე ჭერ-არს წარმოთხრობად წინაშე მოძღვრისა პატიოსნისა, რათა აღუარნეთ კდემით და მოწიწებით სრულიად.

ამისათვის იტყვის დავით ლა ფსალმუნსა შინა: „ცოდვანი ჩემნი

¹ იგავ. 28, 13.
² მათე, 5, 28.

გაუწყნე შენ და უსჯულოებანი ჩემნი არა დაეფარნე შენგან. ვთქუ: აღუარო ბრალი ჩემი უფალსა, და შენ მომიტეო უღმრთოებაჲ გულისა ჩემისაჲ¹. /

ხედავა წინასწარმეტყველი ვითარ წინა დაგიდებს? ოდესცა აღუარნე ბრალნი შენნი და ცოდვანი შენნი, ქეშმარიტად მოგეტყვნენ ყოველნივე და განიწმიდოს სული შენი. უკეთუ პორციელნი ასონი ესე დაფარვით აქვან კაცთა და ჰრცხვენინან ხილვისა მისისათვის და, ოდეს ტყვილი შეუპდის, მკურნალთა უჩვენებნ და არლარა სირცხვილულოზს ამისათვის, რამეთუ მის მიერ წამლობითა აქვს სასოება განაჟურნებისა; უკეთუ გვამათთვის ესრეთ იჭირვიან, სირცხვილსაცა განიშორებენ და რაოდენთა მწარეთა წამალთა / მოიხმენ, არა ჯერ-გვიჩნსა სულისა ჩვენისა სნეულუებისათვის განვაგდოთ სირცხვილი იგი საეშმაკო და სულისა მკურნალსა აღუაროთ ქმნილნი ჩვენნი, რათამცა მის მიერ ეკურნოს სულთა ჩვენთა, რომელი-იგი მკურნალი არცა მოგვეცემს მწარეთა წამალთა, არცა მოგვეკეთოს პორცთა, არცა დაგვეწავს სადაგველითა, არამედ სიტკბოთა და სიმშვიდითა ესრეთ გვეკურნებს; ვითარცა ჰკურნა იესუმ მარიამ მაგდალინელსა, რომლისაგან განასხნა შვილნი ეშმაკნი?

მკურნალი ოდეს დასნეულდების, თვით ვე/რლარა ჰკურნებს თავსა თვისსა, არამედ სხვასა მკურნალსა მოუწოდს კურნებად. ეგრეთვე თვით კაცი ვერა იკურნებს ცოდვათა თვისთა, უკეთუ სხვასა არა აღუაროს, ცუდად მაშვრალოზს თავით თვისით კურნებად.

იხილე სახე ესე: ოდეს კაცი ვინმე იყოს შემცოდე მეფისა და მივიდეს კეთოლ მონისა ვისმე მეფისა თანა და შეუჯრდეს ფერპთა მისთა და ჰრქვას: «უფალო, ესე შეცოდება შეესცოდე სიცოფითა ჩემითა მეფესა და რამე მეყოს მე, რათამცა განვერი სიკვდილსა?» / არა შეიწყალისა მან მონამან მეფისამან კაცი იგი შემცოდე და არა ასწავლისა კეთილად? და თვითცა მეხვაიშნედ აღუდგის და ეტყვიან: «კვალად ნურლარა სცოდავ და ესრე სახედ ქვენ მონება მეფისა და მოგიტევენეს მეფემან». და უკეთუ დაადგრა სწავლასა მისსა ზედა, მეფემანცა შეისმინის ვედრება მსახურისა და მიუტევის შეცოდება კაცსა მას.

ეგრეთვე განიხილე: უკეთუ კაცთა მიერ მეხვაიშნობითა მეფენი მიუტევებენ შეცოდებათა მისთა, არა უფროხსად, მიუტეოს დაჰბადებელმან კაცთამან შენაცოდარნი მი/სნი, რომელი აღუაროს მონათა ღმრთისათა გულითა მკურვალითა? არა აღმოგიკითხავსა, ოდეს იგი მოვიდა იონანე ნათლის-მცემელი, ქადაგი სინანულისა,

¹ ფს. 31, 5.

რომელ მისა მივიდოდინან და ნათელ-იღებდინან და აღუარებდენ ცოდვათა მათთა და მიიღებდინან შენდობასა ცოდვათასა? ეგრეთვე ჩვენცა არა გვიღირსა აღსარებისა წარმოთქმა?

69 ვითარცა ოქრო განრყენილი შთავადო ბრძმელსა შინა და ცეცხლითა მიერ განიწმინდოს განრყენილება მისი და ოქრო იგი ოფაზ წმიდა გამოვიდეს ცეცხლისა მის/გან, ეგრეთვე, ოდეს განრყენილება სულისა ჩვენისა შთავადოთ ყურთა შინა მოძღვრისათა, ცეცხლმან მადლისა დიდისა მოძღვრისამან შეჭამნეს განრყენილება და შესვარულება სულისა ჩვენისა და გამოვიდეს განწმენილი და განახლებული უმჯობეს ოქრომასა.

70 უკეთუ წყალთა ძალ-უც განრცხა მწიკვლისა სამოსელთაგან და ეგრეთვე ცეცხლსა განწმენდა განრყენილებისა ოქრომასა დაღნობითა, გინა მკურნალსა ქორცთასა წარმოთხრობითა სნეულისა მიერ სენთა მათ, რომელიცა სჭირან მას განკურნება მისი, არა ძალ-უცა მადლსა ღმრთისასა, რომელი მოსცა წინამ/ძღვართა ჩვენთა და მღვდელთა წმიდათა და უბრძანა: «რომელთა მიუტევენ ცოდვანი, მიეტევენ და გრწმენინ ჩემი», რამეთუ აღსარებისა წარმოთქმითა აღმოცებიან ცოდვანი კაცთანი? არა გასძია იოანეს მიერ მოხსენებული „კლემაქსა“ შინა კაცი ცოდვილი, რომელმან აღუარა მოძღვარსა თვისსა საანჯნოდ ცოდვანი თვისნი ურიცხვნი და ჰხედვიდა კაცი ღმრთისა ანგელოზსა, რომელსა ჰქონდა ჰელთა ჰელით წერილ[ნი] ცოდვათა მისთანი, და რაოდენ[ნი] აღიარნა ცოდვანი, ეგოდენ[ნი] აღმოშალნა ანგელოზმან მან და დასრულებასა აღსარებისასა განხეთქა ქარტა იგი და წარვიდა? / ანუ დიდისა ბასილის ზე ოდეს მოუქდა დედაქ[ა]ცი ცოდვილი და მოართვა ქარტა აღწერილი ცოდვათა მისთა და დასდვა ზედა მკვდრისა მის და ევედრებოდა გულითა ტკივნეულითა დედაქაცი იგი ტირილითა მწარითა და თვინიერ ჰელისა აღმოცნა წერილნი იგი მადლითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ბასილისითა?

72 საყვარელნო, გულისხმა-ყავთ და გრწმენინ, რამეთუ აღსარებისა მიერ აღმოცებიან ცოდვანი კაცთანი და არა სხვით რაჲთმე საქმით. უკეთუ ვისმე სირცხვილ-უჩნდეს კაცისა ერთისა წინაშე წარმოთქმა ცოდვათა თვისთა, რომელი / მის მიერ მიეტევენის, ესეცა იცოდეს, რამეთუ¹ ოდეს ქრისტე მოვიდეს განსჯად ცხოველთა და მკვდართა და ზეცისა ძალნი სრულიად და კაცთა ნათესავნი ყოველნივე მუნ შეკრებილნი რა დგენ, მაშინ წარმოითხრობიან ცოდვანი იგი მისნი; რომელი აქა ნებსით თვისით არა იტყოდეს წინაშე

¹ ხელნაწერი უმატებს: „ცოდვა იგი ქმნილი მისი“.

ერთისა მოძღვრისა, რათა მიეტევნენ, მაშინ უნებლიეთ აღიაროს ცოდვანი თვისნი წინაშე ყოველთასა და არღარა მიეტეოს; რამეთუ მას ჟამსა წარმოუდგეს მას კაცსა მფარველი მისი ანგელოზი, რომელი დაადგინა უფალმან მცველად მის ზედა და დაღად-ყოს წინაშე ზეცათა მეუფისა და ყოველთა დაბადებულთა მისთა თანა: / — «ამან კაცმან უმჯულომან არა ქმნა ნება ღმრთისა და არა განმისვენა მე, რამეთუ შეუდგა ნებასა ეშმაკისასა; ცოდა ამან სიძვითა და მრუშებითა და შეატუნნა სულნი კაცთანი და წარწყმიდნა მონანი ღმრთისანი», გინა თქვას: «ამან კაც კლა და დასთხია სისხლი უბრალო ანგარებისათვის და გინა თუ პარვათა და ტაცებათათვის», და ყოველთა თვითოჲსა და თვითოჲსა ცოდვისათვის მალლითა ჰმითა სასმენელად ყოველთა დაღად-ყოს, რათა ესმოდესთ აღმოსავალით ვიდრე დასავალდმდე ანგელოზთა და კაცთა, და მას კაცსა ცოდვილსა, განშიშვლებულსა და სირცხვილეულსა ყოველნივე ჰხედვიდენ, / მერმე მისცენ განქიქებული ეშმაკთა, რათა წარიყვანოს ცეცხლსა მას საუკუნესა. 74

აწ მითხარ, ძმარ საყვარელო, აჟა ერთისა კაცისა, რომელ არს მოძღვარი პატიოსანი, წინაშე მისსა უმჯობეს არს შერცხვენა თავისა შენისა, უკეთუ მაშინ, ოდეს ბევრის ბევრე-ულნი ანგელოზნი დგეს წინაშე ღმრთისა და კაცნი ყოველნი — ძენი ადამისნი?

მითხარ, სადა უფროსი სირცხვილი იყოს?

საყვარელნო, დაუტევეთ უგუნურება და პირუტყვებრივი საქმენი! ისმინეთ საღმრთოჲსა წერილისა, რომლისათვის დასწერს იოანე პირველსა კათოლიკესა, მეორესა თავსა შინა: „უკუეთუ ეთქუათ, ვითარმედ: ცოდვაჲ არა გუაქუს, თავთა თჳსთა ვაცთუნე/ბთ და ჭეშმარიტებაჲ არა არს ჩუენდა და, უკუეთუ აღვიარნეთ ცოდვანი, სარწმუნო არს და მართალ, რათა მოგუეტევნეს ცოდვანი ჩუენნი და განვიწმიდნეთ ჩუენ ყოვლისაგან სიცრუვისა“¹. 75

ამისთვის შეიწყალუნით სულნი თქვენნი, მოიპოვეთ მკურნალი სულისა თქვენისა, მიისწრაფეთ მის თანა მპურვალითა გულითა, აღუარნით ცოდვანი თქვენნი გამოწველილვით და ნურარასა დაჰფარავთ წინაშე მისსა, რომლისათვის იტყვის დავით ლ³ ფსალმუნსა შინა: „უმჯულოებაჲ ჩემი მე უთხარ და ვზრუნვიდემ მე ცოდვათა ჩემთათჳს“².

იზრუნეთ აწვე ცოდვათა თქვენთათვის, რათა განერეთ დღესა მას საშინელსა, რამეთუ რაოდენი ცოდვა / შემოკრებითა გულ- 76

¹ იოანეს I კათ. 1, 8—9.

² ფს. 37, 18.

თა თანა და სინანულითა მწუხარითა აღუარო მოძღვარსა შენსა და მან გუჟროს, იგი კეშმარტიად აღიპოცოს და არღარა წარმოგიდგინოს დღესა მას სამსჯავროდ მოსლვასა დიდისა მეუფისა იესუ ქრისტესა.

77 ამისათვის დასწერს იოანე პირველსა კათოლიკესა, ზე თავსა შინა: „შვილნო ჩემნო, ამას მივსწერ თქუენდა, რათა არა სცოდნოთ და, უკუეთუ ვინმე ცოდოს, ნუგეშინის-მცემელი გვივის მამისა მიერ ქრისტე იესუ მართალი და იგი არს მომტევებელი ცოდვათა ჩუენთა, არა ხოლო ცოდვათა ჩუენთა, არამედ ყოველისა სოფლისა“¹. ვინა-
მთგან ნუგეშინის-მცემელად გვივის უფალი / ჩვენი იესუ ქრისტე და აღსარებისა წარმოთხრობითა მოგვიტევებს ცოდვათა, ჩვენცა მივისწრატოთ სულიერისა მკურნალისა, რათა აღიპოცნეს ცოდვანი ჩვენნი სინანულისა და აღსარებისა მიერ.

იუწყეთ: უკეთუ არა აღვიარნეთ, ყოველნივე მუნ წინა დაგვიხვდენ, ცხადად იხილნეს მაშინ აქა დაფარულნი ქმნილნი ჩვენნი.

ამისთვის გევედრები და გასწავებ, რათა დღესა მას საშინელსა განერეთ პელთაგან შურის-მეძიებლისა ეშმაკისათა და დაგადგინოს მფარველმან შენმან ანგელოზმან მარჯვენით დიდისა მის მეუფისა და სუფევედ მის თანა უკუნისამდე².

78

5. სწავლა წმიდისა ზიარებისათვის

„განმზადე წინაშე ჩემსა ტაბლა!“ — დავით იტყვის კბ ფსალმუნსა შინა³.

ჰხედავთ, რა არს განმზადება ტაბლისა ამის ესრეთ?

79 ქვეყნიერნი მეფენი რა აღაშენებენ პალატთა თვისთა, უწინარეს მოსაზრვენ, და განემზადებიან და იტყვიან: «ესოდენნი სტუმარნი მოვლენან და ყმანი ჩემნი შეკრებებიან». და ლხინისა მისთვის განემზადების და შეკრებს წვეულთა. და რომელნი ლხინსა მას შინა ზნე-კეთილობით და საქციელითა პატიოსნითა გამოჩნდების, მისცემს მრავალთა ნიჭთა, და სხვათათვის ოქროსა განამზადებს და სხვათათვის სამოსლუბსა, ვიეთთა გაიმეგობრ/ებს და სხვათა გვერდს დაისვამს და თანა-ზიარ მისდა კამადთასა ჰყოფს სხვათა ძმად და შვილად სახელ-სდებს და რომელსამე მამად და ესევითარითა პატივითა და დიდებითა აღავსებს. და თუ ვინმე ბოროტად მოიქცე-

1 იოანეს I კათ. 2, 1 — 2.

2 ხელნაწერი უმატებს: „ქრისტე, შეიწყალე საბა, ძე ორბელისა“.

3 ფს. 22, 5.

ვის და სიტყვანი და ზნენი არა კეთილნი ჰქონან, უგვანად ქამნ და ღვინოთა დასთხვენ, ანუ გახელდიან, განაძებენ და განსდევნიან და მრავალთა სირცხვილთა მოაწევენ მის ზედა.

ეგრეთვე ვინაათგან ეკლესია აღაშენა ქრისტემან, პირველადვე განიზრახა და შეგვკრიბნა ესოდენნი ერნი ქრისტეანედ სახელდებულნი, შვილნი / ემბაზისანი. აწ მასპინძლობს თქვენთვის ქრისტე, მეუფე მეუფეთა, ზეციერი, არა-ქვეყნიერი, ღმერთი განკაცებული, არა კაცი განზვავებული.

მოვედით, შვილნო და ძმანო, ვის გნებავთ წვევა ქრისტესი! არავინ არს დამაყენებელ თქვენდა, რამეთუ თვით ბრძანებს იოანეს მიერ ვ, ლხ: „რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძოო“¹.

ხედავთა, ყოველთა მოგიწოდსთ, გესმითა არავის განაძებს? არცავინ დაგაძმავსთ კართა მისთა, ვითარცა მეკრენი მეფეთანი, არა გიმასპინძლებს მსგავსად ქვეყნიერთა უფალთასა, არა მოგართმევსთ პურთა თავთასა, არა დაგიკლავს პირუტყვთა მშვინივერთა, არცა გასმევს ღვინოსა უნებურსა, არცა მიგიღებს სიმორვალთა ცნობასა, არამედ დაგიკლავს თავსა თვისსა განპორციელებულსა, გასმევს სისხლსა თვისსა საღმრთოსა და გაკმევს პორცსა თვისსა მზიარულითა გულითა. რა არს, ძმანო, შესაძრწუნებელი სიტყვა ესე: «პორცი ქრისტესი ვკამოთა და სისხლი მისი ვსვათ»? ჰვე, ჰეშმარიტად, რამეთუ თვით ბრძანებს პირითა იოანესითა ვ, ნე: „პორცი ჩემი ჰეშმარიტი საკმელი არს და სისხლი ჩემი ჰეშმარიტი სასუმელი არს“². და ნუმცა ვის გონებათა შინა განუელის გულის-თქმა ურწმუნოებისა, ვინაათგან მრავალნი კაცნი უგუნურ არიან, ვითარცა დავით იტყვის იგ ფსალმუნსა შინა: „თქუა უგუნურ/რმან გულსა შინა თვისსა: არა არს ღმერთი“³.

აწ, თუ ვისმე ეშმაკისა მიერ ეკვი რამე შთაგეტესოსთ გულთა შინა თქვენთა, ყური მომიპყართ მე და გითხრა, ვითარ პირველნი მამათმთავარნი და წინასწარმეტყველნი გამოცხადებით მოასწავებდენ ქრისტეს პორცისა და სისხლისა შეწირვასა:

დაბადების იდ თავში აბრაჰამ რა მოიქცა განმარჯვებული ქოლოლ-გომორელთა ზე და მოვიდა და იხილა მელქიზედეკ მლდელი; აკურთხა და მისცა პური და ღვინო შესაწირავისაგან ღმრთისა, რომელი მოასწავებდა ზიარებასა.

ისაკმან რა აკურთხა იაკობ, ძე თვისი, იფქლითა და ღვინითა განამტკიცა. უწყით ყოველთა: იფქლი და / ღვინო ვერა განამტკიც-

1 იოანე 6, 37.

2 იოანე 6, 55.

3 ფს. 13, 1.

ცებს კაცსა, არამედ პორცი და სისხლი ქრისტესი, რომელი სახე იყო მისი განსამტკიცებლად სულისა.

ღაბადების მთ თავში იაკობ რა მოუწოდა ძეთა თვისთა, და ეტყოდა ქრისტესათვის: „განრცხას ღვნითა სამოსელი მისი და სისხლითა ყურძნისათა სამკაული თვისი“¹. ღვინო და სისხლი არა თუ სამოსელთა განრცხის, არამედ უფრორე შებღალავს, გარნა ესე მომასწავებელი იყოს ქრისტეს სისხლისა, რომელმან განრცხნა პორცი ესე ჩვენნი, ცოდვათა მიერ შებღალული სამოსელი სულთა ჩვენთა.

84 ისრაელთა რა უწვიმა მანანა უდაბნოსზე, პუ/რი იგი ზეცისა, ესე იყო მსგავსება ცხოველს-მყოფელისა ქრისტეს პორცისა. აპრონ რა შიიღებდა შესაწირავსა თანა ღვინოსა და პურთა, სახე იყო ზიარებისა.

გამოსლვათა კგ, კე მოსეს რა პრქვა უფალმან: „და მსახურებდე უფალსა ღმერთსა შენსა. და ვაკურთხო პური შენი, ღვინო შენი და წყალი შენი და გარე-წარვაქციო სნეულება თქუენი“², ესე გამომსახველი ზიარებისა არს. და სცანთცა მართლმადიდებელთა, რამეთუ სამნი საქმარ არიედ პური, ღვინო და წყალი ზიარებისათვის და, უკეთუ აკლს ერთიცა, არა არს ზიარება იგი.

85 ზედავა, რასა ეტყვის უფალი მოსეს გამოსლვათა / ოზ თავსა შინა: „კურთხი იგი, რომელი ეც მდინარეთა³, მიიღე ჰელთა შენთა და წარვედ, და მე ვდგა მუნ მოსლვადმდე კლდესა მას ზედა ქორებს. და სცე კლდესა მას და გამოადინო წყალი მისგან და სუან ერმან ჩემმან“⁴. რომლისათვის მოუწერს პავლე პირველსა კორინთელთა ო, ე: „ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე, ამისთვის რასა იტყვან მწვალებელნი, წყალი ქრისტეს გუერდისა სასუმელად ერისა მოსცა, ანუ საბანელად ნათლის-ღებისა, რომელი მოასწავებდა ზიარებასა“⁵.

დავით რა მივიდა ლტოლვილი აბიმელიქ მღვდელთ-მომღვრისასა და პურნი იგი შესაწირავთანი აჭამნა, ესეცა მომასწავებელი იყო 86 ზიარებისა, /ხოლო თვით იტყვის რგ ფხალმუნსა შინა: „ღვინო ახარებს გულსა კაცისასა და საცხებელითა მზიარულ-ყოფად — პირი და პური გულსა კაცისასა განამტკიცებს“⁶.

სოლომონ დასწერს იგავის ზ თავსა შინა: „განამზადა ტაბლა თვისი და განზავა ღვინო ტაჭუკთა თვისთა და თქუა: მოვედით და ჭა-

1 შესაქმე 49, 11.

2 გამოსლ. 23, 25.

3 ეცემოდა არეთა.

4 გამოსლ. 17, 6.

5 I ებ. კორ. 10, 4.

6 ფს. 103, 15.

შეთ პური ესე ჩემი და სუთ ღვინო ესე ჩემი, რომელი განგიძაღდე; დაუტევეთ უმეცრება და მოველით გზასა მას ქეშმარიტებისასა¹.

იციტ ყოველთა, რამეთუ ყოველი ღვინის მსმელი დაუტეობს ქეშმარიტებასა და შეუღგების უმეცრებასა. ეს არა თუ სახე იყო ზიარებისა, რომლისა მიერ ვისწავეთ ქეშმარიტება, ვინა ღვინის მსმელი განაკრძალა სოლომონ სიმართლედ და ქეშმარიტებად. / ხოლო ესეცა განიხილუ: „ღვინო განზავა ტაკუქთა თვსთაო“², სცა-
ნით, რამეთუ ესე იგი არს განზავება, რამეთუ ღვინოსა თანა წყალი ჯერ-არს განზავებად წმიდასა ზიარებასა შინა, რამეთუ აქა სოლო-
მონცა გამოაჩინა სიმტკუენე მწვალებელთა მათ, რომელნი არა განა-
ზავებენ წყალთა.

87

ტობია ასწავებს ძესა თვისსა: „დასდგა პური შენი და ღვინო შენი საფლავსა მართალთასა და უშჯულოსა არა მისცე“³. გესმა, რამეთუ აქაცა წმიდისა ზიარებისათვის ქადაგა და ასენებს მართალ-
თა საფლავსა? ესე იგი არს, რამეთუ წმიდა მსხვერპლი მართალთა და მონანულთათვის შეიწირვოდეს და არა უნანელთა და უშჯულო-
თათვის. /

88

გესმისთ, საყვარელნო, რაოდენნი მამათმთავარნი და წინასწარ-
მეტყველნი ქადაგებენ წმიდისა ზიარებისათვის და მოასწავებენ და პურსა და ღვინოსა სახედ მისა ღმრთივ კურთხეულად იტყოდეს და პირველვე შესწირვიდეს ღმერთსა სასოებითა ქრისტეს ასო-
ყოფისათვის?

ამისთვის მაცხოვარმან ბრძანა პირითა იოანე მახარებელისაჲთა ვ. ნგ: „უკუეთუ არა შეამოთ ჰორცი ძისა კაცისა და არა სუათ სი-
სხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუნთა“⁴. და კვალად თქვა: „რომელი ჰამდეს ჰორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არა და მე მის თანა“⁵.

და ყოველთა უკვირდათ, რაოდენთა ესმოდათ სიტყვა ესე, და იტყოდეს: «ვითარ იქმების ჰორცი კაცისა, / ანუ ვითარ ისმის სისხ-
ლი მისიო?» და არა იცოდეს ძალი სიტყვისა ამის, ვითარ რა იყო ესე.

89

შემდგომად ჟამთა, მოიწია რა ცხოველის-ყოფელი გნება მაცხო-
ვრისა, სერობასა მას აღიღო პური, აკურთხა და პრქეა მოწაფეთა თვისთა: „მიიღეთ და ჰამეთ! ესე არს, რომლისათვის გეტყოდი. ჰორცი ჩემი თქუნთვს და მრავალთავს განტეხილი მისატევებელად

1 იგავ. 9, 1 — 6.

2 იგავ. 9, 1.

3 შდრ. ტობია 4, 18.

4 იოანე 6, 53.

5 იოანე 6, 56.

ცოდვათა“¹. ეგრეთვე სასმელი აღიღო, აკურთხა და თქვა: „სუთ ამისგან, ესე არს სისხლი ჩემი თქუენთვის და მრავალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა“².

ჰოი, ნიჭი უცხო, ჰოი საბოძვარი დიდძალი რომელმან მეფემან ქმნა ესე მონათა თვისთათვის?

- 90 იხილენით: / მეპატრონენი ქვეყნისანი სისხლთა ყმათასა დასთხევენ. რათა თვით შეიძინონ მსახურებითა მათითა, არა თუ თვისი სისხლი დასთხიონ მონათა თვისთათვის. და უფალნი სოფლისანი წინაშე თვისსა მოაკვდინებენ ბრძოლასა შინა მკედართა მათთი, არა თუ თვით მოკვდენ ყმათათვის. ხოლო ქრისტემან ღმერთმან ჩვენმან არა ეგრე ქმნა ჩვენთვის, არამედ თვით მოკვდა და დასთხია სისხლი მისი წმიდა ჩვენთვის, რათა ჯოჯოხეთით მიჰსწავს ჩვენ.

- იხილეთ, იხილეთ, ვითარ შეგიყვარათ! იგულეთ, იგულეთ, ვითარ შეგიწყალათ! რა უკვე ძალ-გიცთ სიყვარულისა ამის წილ, ჰოი კაცნო? ვითარი დიდება მოგცათ, ჰოი მიწანო! რაზომი პატივი იმ/ოვნეთ, ჰოი მართალნო! რაბამი შეწყალება გაქვსთ, ჰოი ცოდვილნო! ნეტარ ხართ ნეტარებითა, ძენო ადამისნო, რომელთა გელირსათ თქვენ ესე!

ნუმცა ვინ ხართ ურწმუნონი, ნუმცა ვისგან ითქმის უცებთაგან: «პური ვითარ ჰორცი არს უფლისა და ღვინო სისხლი?» გაჰსოფსა, წელან რომელნი გითხარ და მოვიმოწმენ საღმრთო წერილთაგან წინასწარმეტყველთა თქმულნი და ქმნილნი? და უკეთუ ყურნი თქვენნი დაზრქელებულ არიან და საცნობელნი თქვენნი ვერა კეთილად გამოამეძიებელ, აწ დაგიდებ სახესა მსოფლიოსა, რათა უგანცხადებულესად გაჩვენო: /

- 92 ქვეყანისა ამის მეფენი რომელნი მძლავრობენ სოფელსა ამას და განფენილ არს შიში მისი თქვენ ზედა, უკეთუ მან მოიყვანოს ჰაბუკი ერთი, შვილი გლახაკისა ვისიმე, და დაადგინოს წინაშე თქვენსა და გიბრძანოს თქვენ: «სცანთ ყოველთა ყმათა ჩემთა: კაცი ესე, რომელსა ხედავთ, ძმად შემითვისებოეს, და დღეის წაღმა ძმა არს ჩემი; რომელი ამას პატივსცემთ, მე პატივმცემთ და, რომელი ამას შეურაცხ-ჰყოფთ, მე შეურაცხ-მყოფთ; და ვისა გენებოს ნიჭი ჩემ მიერ, ამის მიერ ითხოვდინ და მიგცე თქვენ», — რასა იტყვი: კაცი იგი გლახაკი ძმა მეფოსა შეიქმნების, ანუ არა? შიში და ზარი მისი გექმნებისთა, ანუ არა? / — ჰე, ჰეშმარითად მრწამს, რამეთუ

¹ მათე, 26, 26.

² მათე 26, 27—28.

მეორე მეფე იგი იქმნების და ძმა მეფისა — არა არსებით, არამედ საქმით.

ვინაფთვან პორციელსა მეფესა ესე ძალ-უც. რათა გლახაკისა თქვას ძმად-ყოფა მისი და იქმნას თქვენ შორის წარჩინებულ, არა უკვე ძალ-უცა დამბადებელსა მეფეთასა, რომელმან თქვა: «პური ესე პორცი ჩემდა იქმნას და ღვინო ესე სისხლად ჩემდაო», რომელმან თქვა და იქმნა ბნელი ნათლად? ქრისტემან ბრძანა და შეაყენა ზღვა ქვიშასა და არა განედინების; მან თქვა და დაემტკიცენს სამყარო, და ცანი მოძრავ ყვნა სამკაულით მათით; თქვა და იქმნეს ანგელოზნი და უკანასკნელს შექმნა კაცი. უკეთუ/ესენი ძალ-ედვა, არა უკვე ძალ-უცა პურისა პორციად და ღვინისა სისხლად შეცვალება? 94

ჰეე, ჰეშმარიტად, ოდეს ითქმიან სიტყვანი იგი საუფლონი, რომელი აღმოთქვა სერობასა მას უფალმან და აკურთხნა, მყის პური პორციად და ღვინო სისხლად შეიცვალეების სრულითა საქმითა და არსცა, რომლისათვის მიუწერს პავლე კორინთელთა: „სასუმელი ესე კურთხეული, რომელსა ვაკურთხევთ, არამე ზიარება სისხლთა ქრისტესთა არსა? პურსა ამას, რომელსა განვსტებთ, არამე ზიარება პორცთა ქრისტესთა არსა?“¹

აწ მოვედით, ყოველნო ცოდვილნო, რომელთა მოვიწოდოსთ ქრისტე წვეულებად, მასპინძელი იგი უხვი და/ტკბილი ნუ ივლტით, ცოდვილნო! მოვედით, თქვენთვის გარდამოქდა ძე ღმრთისა, არა ანგელოზთათვის, თქვენთვის დაგლახენა, არა მართალთათვის. ვითარცა მიუწერს პავლე პრომაელთა ვ, ვ: „რამეთუ ქრისტე, ვიდრე-იგი ჩუენ უძლურ ვიყუენით, ჟამსა ოდენ უღმრთოთათვს მოკუდა, რამეთუ ძნიად ვინმე მართალთათვს მოკუდის“². 96

მხიარულ იყავ, ცოდვილნო, თქვენთვის დაილახვრა პორცი ესე საღმრთო!

განცვიფრდით, ცოდვილნო, თქვენთვის დაბთხია სისხლი ესე პატიოსანი!

დაუტევეთ ცოდვა, ცოდვილნო, და შეინანეთ, რამეთუ თქვენ გვიძიებსთ ქრისტე, წარწყმედილთა!

მადლობდით ღმერთსა, ცოდვილნო, რამეთუ თქვენთვის აღდგა/იესუ მკვდრეთით და აღგადგინათ მკვდარნი ცოდვითა და დაფლულნი არა მხოლოდ საფლავთა, არამედ ჭოჭოხეთსა შინა! 96

ნეტარ ხართ, რომელნი მოუძღვებით სინანულით, და ვამ არს,

¹ ებ. კორ. 10, 16.

² ებ. პრომ. 5, 6—7.

რომელნი მოუტდებიან წარმდებად, რამეთუ პავლე მოციქული მი-
უწერს ა კორინთელ[თა] ია, კთ: „რომელი არა ღირსებით ქამდეს
ქორცა ამას და სუმიდეს სისხლსა ამას, დასაჯელად თავისა თვისი-
სათჳს იქმს“¹.

97 გამოიკადენით კაცად კაცადმან თავი თვისი და ესრეთ პურისა
მისგან ქამეთ. ნუ ვინ მოუტდებით უნანელი და ნუ ვინ განივლტით
ლოთა მით უშრეტითა და, / უკეთუ ცოდვილნი განივლტით, წარიტა-
ცებით მგელისა მიერ, რომელ არს ეშმაკი, განშორებისათვის
ღმრთისა.

ჰოი ქრისტიანენო, დიდ არს პატივი ესე თქვენნი! ნუ განიშო-
რებთ ნებითა თქვენითა ნიქსა ამას ღმრთისასა, ვითარცა იტყვის
პირითა ბარუქ წინასწარმეტყველისაჲთა ღ: „ნუ მისცემ დიდებასა
შენსა სხუასა და კეთილსა შენსა ნათესავსა უცხოსა“².

98 ქრისტე მოსრულ არს ეკლესიად და გვიწვევს შემთხვევად მის-
და და თქვენ მას დაუტოვებთ და წარხვალთ მეგობართა თქვენთა
თანა და ჰყოფთ სიცრუესა, განსცხრებით, იშვებით და სცოდავთ
მრავალითა ცოდვითა ბოროტებისაჲთა. ქრისტე მასპინძლობს და
განუშნადებიეს ტაბლა / უხრწნელებისა და მიუტდინხართ პურის-
მტედ მისდა და თქვენ მუნ არა მიხვალთ და ნაყროვანობთ, სვამთ
მოსმურთა თანა, ითრობით, როკავთ, იმღერით და განიქიქებით.
ქრისტეს მზა უყოფიეს სასმელად სისხლი თვისი, რომლითა მოგიცი-
დათ სოფელი ესე ეშმაკთა მიერ დამონებული, და თქვენ არა შეეხე-
ბით მას და წარხვალთ მოკლვად კაცთასა და დათხევად სისხლთა უბ-
რალოთასა ანგარებისა და მამონასათვის. ქრისტე დავიგებსთ პურსა
ცხოვრებისასა და თქვენ არა მიიღებთ და მირბით პარვად და ტაცებად
და მოხვეჭად გლახაკთა, ობოლთა და უღონოთა და მსგავსთა მათ-
99 თათვის. / ქრისტეს ჰწებავს ზიარება თქვენი და თქვენ არა შეუდ-
გებით და მიძწირაფით მოყვასთა თქვენთა ბრძოლად და მეზობელ-
თა გინებად და იწვრთით ტყუილითა, ცრუფიცობითა და ძვირის-
ზრახვითა. ქრისტე გობრძანებსთ მის თანა დადგომასა და თქვენ
ევლტით და შეერთებით ეშმაკთა გნებავსთ საწადლისა მისისა აღ-
სრულება და საქმეთა მისთა ქმნა, რომელი სძულს ღმერთსა.

ნუ, ძმანო, ნუ, საყვარელნო, ნუ, პატიოსანნო, რომელთა არა
გეცოდოსთ, აღუზვავებელითა და მღაბლითა გულითა მოუტედით
წმიდასა ზიარებასა და, რომელთა გეცოდოსთ, ნუ დაბრკოლდებით;

1 1 ებ. კორ. 11, 29.

2 ბარუქ. 4, 3.

არამედ / აღსარებისა მიერ განიწმიდენით თავნი თქვენნი და მოიკვე- 100
თენით ქმნილნი ცოდვანი თქვენნი და კეთილად მონანულნი შიშით
და ძრწოლით მოუკედლით წმიდა ზიარებასა და შეეერთენით ქრის-
ტესა, ცოდვილთა მოწყალესა, რომელთათვის დასთხია სისხლი თვისი
პატიოსანი, და მოგიყიდათ სისხლითა თვისითა მძღაერისა მისგან
მტერისა მონებისაგან და განგამზადათ ზეცისა სუფევისათვის, რათა
არა გამოსცვივნეთ მუნით.

და იხარებდეთ ქრისტე იესუს მიერ თანა დაუსაბამოსა მამით
და სულით წმიდით მისითურთ აწ და მარადის და უკუნიით უკუ-
ნისამდე, ამინ!

6. სწავლა შობის წინა კვირიაქისა მამათმთავართა და 101 მოთმინებისათვის

იხარებთ დღეს, ერნო ქრისტესნო, ვინაჲთვან კრება არს დღეს
მამათმთავართა და წინასწარმეტყველთა, კრება არს შობისათვის
უფლისა, კრება არს მიდგომილებისათვის ქალწულისა, კრება არს
განსაცხრომელად. დღეს მოიწევიან სულითა მხიარულებად, დღე-
ისათვის განემზადებიან: რომელიმე სიტყვით წინასწარმეტყველებს
და იხარებს, რომელიმე ჰელითა იქმს საქმესა და მოასწავებს, რომე- 102
ლიმე მუშაკობს, ვითარცა სტუმართა შემკრებელი მასპინძელი, რომ-
ელიმე მოიყიდის აგარაკთა სავანედ, / რომელიმე გალობს შევნი-
ერად შობილისა ყრმისათვის, ვითარცა მგრგვალთა მწყობელი, და
სხვანი როკვენ, ვითარცა მეფერქისენი.

მივბაძვიდეთ, ერნო ქრისტესნო, ჩვენცა მამათმთავართა, რაო-
დენ ძალ-გვედვას!

აღამი, მამა პირველი, ევას სახელ-სდებს დედად ცხოველისად.
ამით გვასწავებს მარიამის მიდგომილებასა, რამეთუ იგი არს დედა
ცხოველისა, რამეთუ არავინ არს სხვა, გარნა მარიამ მხოლო — დე-
და უკვდავისა ღმრთისა.

აბელი განამზადებს ცხოვარსა პირშოთაგან ცხოვარისათვის
წვენთვის დაკლულისა და ახლისა კრავისა, ძველისა ცოდვისა ამკმე-
ლისათვის².

ენუქი აღფრინდების შემთხვევად გაბრი/ელისა, რათა ესმას სა- 103³
იღუმლო დაფარული ანგელოზთაგან, ვითარ ეტყვის ღმერთი კაცთა
ქსნისათვის ხარებასა მარიამის თანა³.

¹ ხელნაწერი უმატებს: „ქრისტე, შეიწყალე სულხან-საბა, ძე ორბელისა“.

² შდრ. შესაქმე 4, 4.

³ შდრ. შესაქმე 5, 18 — 24 და ლუკა 1, 26 — 35.

ნოე დაშვრების კილობანთა კრვისათვის, რათა მოასწაოს ბაგა პირუტყვეთა, რომელსა შინა მწოლარემან ქრისტემან გვიჰსნა სოფლისა ამის დელგვათაგან და აღგვიტაცა ზეცად¹.

აბრაჰამ მოიყიდის ქვაბსა სუქემისაგან ბეთლემის მსგავსად, რომელი ბეთლემს შობილმან აღგვადგინა მკვდარნი².

ისაკი განასნის ბერწობასა დედისასა უჟამოდ შობისათვის უამსა სიბერისასა და მოასწავებს ქალწულისაგან შობასა³. /

104 იაკობი გამოირჩევს იუდას, ძესა თვისსა, და ახარებს შობასა ტომისაგან მისისა ცხებულსა უფლისასა⁴.

ბაილამ იტყვის: „ამობრწყინდეს ვარსკულავი იაკობისაგან“⁵.

გედეონ განჰფენს საწმისსა ცვარისა გარდამოსლვად⁶.

მიქია იტყვის: „გამოსლვანი მისნი დასაბამითგან დღეთა მათ საუკუნეთა“⁷.

ესაია იტყვის: „ყრმა იშუა და ძედ მოგუეცა, რომლისა მთავრობა [იქმნა] მართა ზედა მისთა“⁸.

ბარუქ ლაღადებს გ, ლვ: „ესე არს ღმერთი ჩუენი და ვერ ესწოროს მას სხუად ღმერთი. განაცხადა ყოველი გზა მეცნიერებისა და მისცა იგი იაკობს, მონასა თვსსა და ისრაელსა საყუარელსა თვსსა; ამისა შემდგომად ქუეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა შორის იქცეოდა“⁹. /

105 დანიელ იტყვის: „მთისაგან გამოეკუეთა ლოდი თვნიერ ძელისა და დაწვლილა რკინა, რვალი, ვეცხლი იგი და ოქრო“¹⁰.

დავით გალობს: „მეფეთა არაბისთა და საბაჰსთა ძღუენი შეწირონ“¹¹.

სოლომონ განმზადებს ცხედარსა საწოლად ქალწულსა.

ესე ყოველნი და სხვანიცა მრავალნი იხარებენ დღეს, შობისათვის შემოკრებებიან დღეს, დღესასწაულისათვის განემზადებიან, სიხარულისა დიდისა ამისათვის შეკრებებიან, შეითქმიან, ილხენენ, გალობენ, ვითარცა მგრგვალთა მწყობრი, სახიობითა კმობენ.

1 შესაქმე 6, 8 — 22.

2 უღრ. შესაქმე 25, 8 — 10.

3 შესაქმე 21, 2 — 3.

4 შესაქმე 29, 35.

5 რიცხ. 24, 17.

6 მსაჯ. 6, 36 — 40.

7 მიქია 5, 2.

8 ესაია 9, 6.

9 ბარუქ 3, 36 — 38.

10 დანიელ 2, 45.

11 ფხ. 71, 10.

მოვედით, ძმანო, ჩვენცა ყოველთა წარმართთა თანა, აღვი-
ტყველნეთ ჰელნი ჩვენნი და ღალად ვყოთ კმითა სი/ხარულისაჲთა 106
და ვროკვიდეთ მსგავსად დავითისა წინაძღომისა კიდობნისა შჯული-
სასა, დაღაცათუ გვეცინოდეს ასული საულისა.

განჰაბუენით მოხუცებულნი, დასნილნი და მოუძღურებულნი
ძალითა, იშვებდით მაცოვანნი, ილხენდით ჰაბუენი, განსცხრებოდეთ
ყრმანი ამისთვის, რამეთუ ღმერთი ჩვენთვის ჰორციელ იქმნა.
მდიდარ იქმენით, გლახაკნო, გიხაროდენ, დავრდომილნო, რამეთუ
უფალი თქვენთვის დაგლახაკნა. მოიქეცი, ცხოვარო წარწყმედილო,
მორბის მწყემსი უკანა დევენად შენდა და გეძიებს, დაღადებს და
სრბით შვრების. სასოება გაქვენდესთ, ცოდვილნო, მოახლოვებულ 107
არს სასუფეველი ცათა, რომლისა გამო / ისმაჲ მამა: „არა მოვედ წო-
დებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“¹. ნუ მწუხარე
ხარო, მშიერნო, მადლისგან საღმრთოჲსა, რამეთუ აღგავსნა კეთი-
ლითა დამბადებელმან. ნუ მომედგრდებით, მოთმინენო, რამეთუ
თქვენ გასწავათ მოთმინება.

ქრისტემან, კაცთა სათნოებნათვის განკაცებულმან, დაითმინა
სიმადლისაგან სიმდაბლედ ყოფა, დაითმინა იწროთა ადგილთა გარე-
შემოუწერელმან დატევნა, ცათა უმაღლესმან — ქვაბსა შობა, საყ-
დართა მჯდომარემან — ბაგასა მიწვენა, სერობინთა უფალმან —
ბურღოთა ზედა გორვა, ქერობინთა შემოქმედმან — პირუტყვთა 108
მიერ ღოშნა. / მოითმინა მეფეთა დამბადებელმან მთავართა სიტყვა-
თათვის თავს დება, აგვისტოს კენისისაგან — აღწერა, ჰეროდესა-
გან — ეგვიპტეს ღტოლვა, ჩხვილთაებრ ხოჭიქთა ზედა გაკრება,
ორთა წელიწადთა აკვანთა მიერ რყევა, უსაკოთა მსგავსად ფოფი-
ნი და ენა-ბრგვნილობა, ყრმათაებრ აღზრდა, ქვეყნისა დამბადებელ-
მან — სძითა გამოზრდა, კაცთა მსგავსად ოფლითა შრომა. და რაო-
დენ ჯვარ-ცმასა გასმია და სიკვდილი და რაოდენიცა მოითმინა, მო-
ითმინენით, ძენო ქრისტესნო, რამეთუ თვით ბრძანებს: „სადაცა მე
ვიყო, მუნცა მსახურნი ჩემნიო“².

ვინა არს მსახურ ქრისტესა? — მომთმინენი არიან მს/ახურ 109
მისა, რამეთუ: უკეთუ არა ვიდოდეს მონა უფლისა თვისისა გზათა,
იგი არა არს მონა მისი და ვერცა მიეახლოს უფალსა თვისსა. ხოლო
თქვენ, ქრისტეანენო, ქრისტეს მონანო, ქრისტეს თანა მოთმინე
იქმენით. უკეთუ არა მოთმინე იქმნეთ, გრცხვენეს სახელისა მისი-
საგან, ხოლო მოთმინეთა არაოდეს ჰრცხვენეს.

¹ მათე 9, 13.

² იოანე 12, 26.

იხილე, მომკალნი ყანათანი ვითარ მოითმენენ სიცხესა მზეთასა და სიგრძეთა დღეთასა; მუშაკობენ ცხელთა და ურწყულთა ველთა, შერებიან, ბოროტსა ჰაერსა არა რიღებენ,¹ რამეთუ მაშინ არს დრო სნეულებისა და ცხრო-ჰურვებისა, მაშინ არს გესლოვნება ბოროტი / გველთა და მკბენარობა ღრიანკალთა, არამედ არა განეკრძალებიან და არცა წამისა განსვენებასა მისცემენ თავთა თვისთა, რამეთუ იციან, უკეთუ მას ჟამსა არა შეუკრიბა იფქლი თავთა თვისთა, ვერ-ღარა გამოიზრდების წელიწადთა სიგრძესა მისსა.

110 ეგრეთვე ჩვენცა წინა გვიც სამკალი ესე შრომისა მოთმინებისა. უკეთუ ჟამსა ამას მცირისა სოფლისასა ვიდრელა ვალთ და არა მოვითმინოთ ჰირი, შრომა და იწროება, ვერცა ჩვენ შეუკრიბოთ თავთა ჩვენთა იფქლი იგი ცხორებისა და ვერ გამოვზარდნეთ თავნი ჩვენნი წელიწადთა მას სიგრძესა, რომელნი გვისხენან წინარე ჩვენსა საუკუნეთა მათ დაუსრულებელთა/.

111 განიცადენით: მუშაკნი, მომთმინენი სიცხეთა და სიცივეთანი, ვითარ ოფლთა დენითა განაჰარვებენ და განდევნიან უმაშვნოთა ჰაერთა და მავნეთა სნეულებათა. და იშვით არიან მუშაკნი შრომისა მოთმინენი სნეულ, არამედ, რომელნი უღებ და მკამელ და უთმინო არიან, იგინი არიან სნეულ და მონა მკურნალთა და მკვენსელ და მევალალე და ვერცალა მოითმენენ სნეულებათა მათთა.

112 ეგრეთ სახელ, უკეთუ ამას სოფელსა შრომისა მოთმინება მრთელად ამყოფებს გვამთა, ბოროტთა ჰაერთა და სნეულებათა განდევნიან, არა უწყითა სულიერი შრომისა მოთმინება უფროსად / განაცხოველებს და კეთილად და მყუდროებით ამყოფებს სულთა?

113 მოთმინება არს მამათმთავართ მიბაძვა, რომელთა საძსენებელი დღეს აღესრულების:

მოთმინება მსგავსება არს აბრაჰამისა, რომელმან მოითმინა მამულისაგან გამოსლვა და მსხემ-ყოფა ბრძანებისათვის უფლისა და რომელმან მოითმინა ძისა სიყვარული და განმზადა დაკლვად სიყვარულისათვის ღმრთისა და ღმრთის საყვარელ იქმნა, — გინა იაკობ[ისა], რომელი გამოვიდა სახლით თვისით ცალიერი, ერთისა კვერთხისა მწყრობელი, მოუთმინა ძმასა თვისსა ესავეს და თვით მწრობდა სახლსა ლაბანისასა და აღავსო უფალმან სახელი მისი სიმდიდრ/ითა, — ანუ იობ[ისა], რომელმან მოითმინა სახლეულთა თვისთა მოწყვედა და ხვასტაგთა თვისთა იავარ-ყოფა და ქორცთა თვისთა დაწყლულება, და სიმყრალით ჯდომა სკორესა ზედა და

¹ აქ წყდება C ნუსხა. მას აკლია რამდენიმე რვეული. მომდენო ქადაგება „სწავლა საუკუნესა ზედა შიშისა“ (იხ. აქვე, გვ. 55 — 61).

უდიდებულესობა შეიძინა, — ეგრეთვე თვითოეულთა ყოველთავე წმიდათა ამათ მამათმთავართა, რომელნი არიან სათნო მყოფელნი ღმრთისანი და რომელნი იხსენებიან წინა დღესა ამას ქრისტეს შობისასა მოთმინებითა მათითა მომთმინესა ქრისტეს თანა. ამისთვის ბრძანებს უფალი: „მომთმინებთა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი“¹.

ჰხედავა, ვითარ კეთილ არს მოთმინება, ვინაჲთგან წარწყმედულსა სულთა ჩვენთა მოგვიპოვებს და მკვიდრ სასუფეველისა/ იქმს?

აწ, ძმანო საყვარელნო, განმზადებულნო სიხარულად ქრისტეს შობისათვის და შეკრებილნო წმიდათა მამათმთავართა ამათ თანა, ისწავეთ წერილთა და შეუდეგით მოთმინებასა და ევედრენით მამათმთავართა, დღეს შემოკრებულთა შობისათვის უფლისა ჩვენი-სათვის, წინა კვირიაკესა სიხარულად, რომელნი განსცხრებიან ქრისტეს მოთმინებისათვის, რომელმან აღაორძინა მოთმინება მათ ყოველთასა. და თქვენცა ისწავენით მოთმინება, ვინაჲთგან მათ რომელ მოითმინეს და შემდგომად მათსა ქრისტემანცა მოითმინა. უწყოდეთ, რამეთუ უთმინონი კაცნი ვერა მოეახლებიან ქრისტესა და მის თანა მყოფთა მამათმთავ/ართა თანა.

აწ თქვენცა სთხოვეთ ძალი ქრისტესა მოცემად მოთმინებათა და მეოხება — წმიდათა მამათმთავართა, რათა მოგცესთ მოთმინება, და მოთმინებითა თქვენითა მოიგოთ სასუფეველი მამისა და უგალობდეთ ძესა მასა ბეთლემს შობილსა სულით წმიდითურთ აწ და მარადის უკუნისამდე, ამინ.

7. სწავლა შობისათვის უფლისა ჩვენისა იესუ ძრისტესნი, სიმდაბლისათვის

„შენ, ბეთლემ, ქუეყანა ეგე იუდასი, არა სადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდასსა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღუარი ცხორებისაჲ, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაელი“. — იტყვის წინასწარმეტყველი მიქია ე, ბ²./

გიხაროდენ, ქრისტეანთა ერნო, რამეთუ თქვენთვის იტყვის წინასწარმეტყველი დამწყსასა ამას, რამეთუ თქვენ იქმნებით ერნი ღმრთისანი. ახალი ისრაელი, რომლისა ამბავსა სმენად იხარებდა წინასწარმეტყველი, თქვენთვის იშვა დღეს, წინამძღვარი იგი ცხორე-

¹ ლუკა 21, 19.

² მიქია 5, 2.

ბისა, თქვენთვის გარდამოჰდა მთავრობათა და უფლებათა უფალი და განპორციელდა მარიამისაგან ქალწულისა, რომლისათვის იტყვის ესაია ზ, იღ: „აჰა, ქალწული მიუდგეს, და შუას ძმ და უწოდინ სახელი მისი ევმანოელ, რომელ არს თარგმანებით ჩუენ თანა ღმერთი“¹.

117 დღეს მარიამ შვა ქალწულმან პირველ მამისაგან შობილი ძე. ხედავთა დამდაბლებასა ღმრთისასა და ამადლებასა კაცთასა? სიმდაბლითა მისითა ღმერთი უსხეულო განპორციელდა მარიამი/საგან ქალწულისა, აღიწერა აგვისტოს კეისრისაგან, ნაზარეთით ქალწული მიდგომილი ბეთლემად წარიგზავნა.

მსოფლიოთა დიდებულთა ცოლნი მიდგომილნი არა თავს—იდებენ ცხენთა აკაზმულთა ზედა აღჯდომათა ზეაობისთვის და მოაბითა ტვირთულნი მართა კაცთათა ვლენან საბურველებითა და გავალაკებითა ოქრო-ქსოვილითა, ხოლო დედა უფლისა, კაცთა დამბადებლისა, ვირითა ტვირთული მივალს ბეთლემად.

118 მსოფლიონი მთავარნი განამზადებენ პალატთა დიდთა, შეამკობენ ნოხ-ფარდაგითა და კრეტ-საბმელებითა, ბადე-კარვითა, ოქრო-ვეცხლ / -პეტლებითა, და საგებელთა სხეპლათა ჩარყაფად კერუ-ლითა, რაჟამს ცოლი მისი უშობდეს, ხოლო დედა მთავრობათა და პელმწიფებათა ქვაბსა შინა დაუგველსა და განუმზადებელსა შობს ღმერთსა განკაცებულსა.

119 მსოფლიონი აზნაურნი მოკაზმვენ აკვანთა ხარატულთა საგებელითა ლბილითა და ზეწრითა პიროქროთა და დედა მძსნელისა ჩვენისა მიაწვენს ძესა ღმრთისასა ბაგასა ვირისასა დორბლითა შესვარულსა, და დაუფენს ქვეშე წველსა ყანისასა ნაჭამთა პარისათა და შეხვევს მცირითა მჩვრითა უნდოთა. ამისთვის იტყვის ესაია ზ, გ: „პარმან იცნა მომ/გებელი თვისი და ვირმან — ბაგად უფლისა თვისისაჲ, ხოლო მე ისრაელმან არა მიცნა“². ვინაჲთგან უპირველესად ამბორ-უყვეს ვირმან და პარმან ბაგასა შინა თვისსა, ამას მოასწავებდა პარი და ვირი, რამეთუ პარი სახე იყო ურიათა მოქცევისა, ვინაჲთგან ზრქელ არიან გონებანი ჰურიათანი, ხოლო ვირი — წარმართთა უსწავლელობისათვის, რომელნი აღრე შეუდგენ ქრისტესა.

იხილეთ კაცობრივი სიმდაბლე და ვითარ გამოიჩინა ღმრთაებრავი სიმადლე, რამეთუ: მოვიდენ ანგელოზნი და ზეცისა ძალნი, გალობდეს და იტყოდეს: „დიდებაჲ მალალთა შინა ღმერთსა, ქუეყა-

¹ ესაია 7, 14.

² ესაია 1, 3.

ნასუ ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოებაჲ!¹ ხოლო მწყემსნიცა დგენ გარემოს ქებათა / და, რა ესმათ გალობა ესე, შეძრწუნდეს. ხოლო ერთმან ანგელოზთაგანმან ახარა შობა უფლისა და განსლვა უბრძანა და თაყვანის-ცემა ყრმისა. ხოლო მოგვნიცა მოვიდენ სამნი მეფენი აღმოსავლეთანი წინაძლომითა ვარსკვლავისაჲთა და დაცვიეეს და თაყვანის-სტეს. ანგელოზნი უგალობდენ „დიდებაჲ მაღალთას“ ღმრთაებისა ბუნებისათვის. ხოლო მწყემსნი შესწირვიდენ მწყემსსა. მას სულიერსა, მიუძღნობდეს კრავსა ცხოვართასა, კრავსა მას ცოდვისა ამკმელსა, რომელმან ყო ქვეყანასა ზედა მშვიდობა, და მოგვნი თაყვანის-სტემდენ მეუფესა მოკვდავსა კაცთა შორის სათნოებისათვის. /

იხილეთ თავით თვისით სიმდაბლე ღმრთისა და განიგონეთ ძალისაგან საღმრთოჲსა სიმაღლე კაცისა. ამისთვის გამოაჩინა სიმდაბლესა ამას შინა სიმაღლე დიდი უფალმან, რამეთუ: რომელი დაიმდაბლებს თავსა თვისსა გულითა, ღმერთი აღაძლუებს და გამოაჩინს დიდებასა ძალისაგან საღმრთოჲსა. ამისთვის იტყვის მათე მახარებელი: „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდესო“². /

რასა ზეაობ, კაცო, შობასა ძისა შენისასა? — განიხილე და გულისხმა-ყავ სიმდაბლით შობა ძისა ღმრთისა! ღმერთი დამდაბლდა და სიმდაბლით იშვა და ბრძანებს პირითა წინასწარმეტყველთაჲთა: „ვის ზედა განისუენოს სულმან ჩემმან? — მშვდსა და მდაბალსა ზედა“. /

ჰოი, სიმდაბლეო კეთილო და მრავალფასო და არა ადვილად სავაჭრებელიო!

ჰოი, სიმდაბლეო პატიოსანო, რომელი არა არს სასყიდელი შენი სასუფეველისა უმციერესი!

ჰოი, სიმდაბლეო უბოვარო, რომელი არა იბოვების, გარნა ღმრთისა სიყვარულთაგან კიდე! —

რასა გამსგავო სიმდაბლე და შეურაცხება თავისა თვისისა?

— ჰგავს სიმდაბლე მიწასა შავსა და ფერჳითა დასათრგუნველსა, რომელი³ ნაყოფად აღმოაცენებს⁴ მწვანვილსა კეთილსა და ყვავილთა შევნიერთა. სიმდაბლე მსგავს არს ვაზსა დახრილსა და აღსაჯესსა ნაყოფითა კეთილითა. სიმდაბლე მსგავს არს ყურძენსა დაწნეხილსა და ღვინ/ოსა ნაწყაროებსა. სიმდაბლე მსგავს არს სანთელსა სახლთა მანათობელსა და მომკლებელსა არსებისა თვისისასა. სიმ-

1 მარკოზ 11, 10.

2 მათე 23, 12; ლუკა 18, 14.

3 რომელნი.

4 აღმოაცენებენ.

დაბლე მსგავს არს კაცისა მიწასა საღმრთოდ განმზადებულსა. სიმ-
დაბლე მსგავს არს აბელსა პირველ მოკლულსა, მოსესა ფარაოს
შვილობით მწყემსობა-ჩჩეულსა, რასალა ვაგრძელებ: მარიაშისა
კარაულსა ზედა ჯდომასა, დედისა ღმრთისა ქებად შესლვასა, ქრის-
ტეს მშობლისა სიგლახაკითა შობასა, იესუს ბავასა მიწვენასა, ქრის-
ტეს ჩალაზე გორვასა, პართა და ვირთაგან ლოშნასა.

124 სიმდაბლე მსგავს არს ღმრთისა სიტყვისა სრულ-ყოფასა / და,
უდიდესიცა ვთქვა, მსგავს ღმრთისა დამდაბლებასა.

ჰოი, დიდი და საკვირველი სიმდაბლე, პატროსანი და საქებელი,
სიმდაბლე ძნელად მოსაეაჭრებელი და ადვილად საპოვნელი!

გინაჲთგან ქრისტე სიმდაბლით იშვა და განგვიპატროსნა შეუ-
რაცხი სიმდაბლე, ნეტარ ხართ, ჰოი მდაბალნი!

რა არს სიმდაბლე? და იგიცა ვიძიოთ:

— სიმდაბლე არს სიმდიდრისაგან სიმცირისა ნდომა, რომელ
არს სიმადლისგან დაბლა ჩამოსლვა, და არა უდიდესისა და უდიდე-
სისა წადილი. სიმდაბლე არს ამპარტენებისა მოკვეთა, აღუზვავებ-
ლობა. სიმდაბლე არს მორჩილება არა მხოლო უფალთა და წინაჲ-
125. ძღვართა/, რამეთუ იგინი უნებლიეთცა დაგიმორჩილებენ, არა მხო-
ლო მოყვისთა, რამეთუ იგინიცა მსგავს შენდა არიან, არამედ
უმრწემესთა და უდარესთა თქვენთა მორჩილება, რამეთუ ქრისტე
ოდეს დამდაბლდა და მორჩილებასა ქვეშე მოვიდა, არა ჰყვა უფა-
ლი, არცა უპირატესი ვინმე, არცა მოყვასი, არამედ მონათა თვისთა
დაემორჩილა, აგვისტოსის აღწერასა ქვეშე მოსახლე იქმნა, სიმდაბ-
ლით ჰეროდეს შიშისაგან ლტოლვილ იქმნა, სიმდაბლით იოანეს თა-
ვი მოუდრიკა, ასის თავისა მიჰდასა მივიდა, მეზეერეთა და ცოდვილ-
თა თანა ქამდა, მოწაფისაგან განიყიდა, პილატეს მიერ განიკითხა და
126 სხ/ვანი რაოდენი შეურაცხობა თავს-იღვა სიმდაბლით.

ვინა ეძიებდით სიმდაბლესა, ესე არს სიმდაბლე!

ვისა გნებავსთ ძიება სიმდაბლისა, მივედით ბეთლემად და იხი-
ლენით ცათა შემოქმედისა სიმდაბლით შობილისა სავანედ ქვაბი,
საყდრისა წილ — ბავა, ღმრთაების სიმდიდრისა წილ — თივა და
სახვეველი, სერობინთა წილ — პირუტყვნი.

ვისა გენებოს ხილვად სიმდაბლე, მივედით და იხილეთ ნაზარეთს
ქვეყნისა დამბადებელი, ერთისა კვართითა და ქაძლითა სიარული,
ფერჯითა და შვრომითა სლვა, ოფლთა დათხვევა, თავისა მისადრეკე-
127 ლისა სართულისა უქო/ნელობა, არა ოქრო, არა ვეცხლი, არა შთა-
სადებელი, არა ორი სამოსელი.

ვისა გინდა პოვნა სიმდაბლისა, მივედით და იხილენით იერუსა-
ლიმად ზეცისა იერუსალიმისა აღმაშენებელისა სიმდაბლით დგომა

მსაჯულისა წინაშე, ყვრიმლისა მცემელისა მეორისა კერძისადა მიპყრობა, გინება, გმობა, ბასრობა, კიცხევა, ნერწყვა და შიშვლივ მოვლა ქალაქსა და ყოველთავე სიმდაბლით თავს-დება.

ვინა მოიგოს სიმდაბლე, ნეტარ მას!

ვინა დაიმდაბლოს თავი, მსგავსება არს ქრისტესა, რომელი პირველ საუკუნეთსა იშვა მამისაგან დიდებით და ეამთა უკანასკნელთა იშვა ქალწულისაგან სიმდაბლით. /

უკეთუ ვაჩვენოთ თავისა ჩვენისა სიმდაბლე, აწ სულთა შინა ჩვენთა იშვების მადლითა თვისითა. და ვითარცა დაიცვა უხრწნელი დედა თვისი ქალწულად შობითა თვისითა, ჩვენსადა სულსა დაიცვავეს შეუშწიკლებელად ჩვენ შორის შობითა თვისითა. 128

აწ, ძმანო, ვინაჲთაგან სიმდაბლე ესრეთ შევნიერ არს და კეთილთა კაცთა მიერ საწადელ და ღმრთისა საყვარელ, რამეთუ: სადაცა არს სიმდაბლე, მუნ — ქრისტე, ამისთვის შევიყვაროთ სიმდაბლე და ვეველტოდეთ ამპარტავნებასა, რომელმან გარდამოსთხივნა ანგელოზნი ზეცით და შესცვალა ნათელი ბნელად და შთასთხივნა ქვესკნელისა¹ უფსკრულთა, და მოვიგოთ სიმდაბლე, რომელ სიმდაბლით შობილი ქრისტე სიმდაბ/ლით შთავიდა ჯოჯობეთად და აღმოიყვანა ადამ და ძენი მისნი და აღასხნა ზეცისა სასუფეველსა და ჩვენთვისცა განმზადებულ არს, უკეთუ მოვიპოოთ სიმდაბლე, მუნ აღყვანებად, რათა ამპარტავნებით ჰვებული რომელი ანგელოზ ყოფილთა დაცალეს, და მცნებათა გარდასლვითა წარხმული, რომელი ადამ დაგვიშა და მალლობამან და დიდროვამან კაცობრივმან სოფლისამან განგვაშორა, აწ ქრისტეს სიმდაბლით შობამან განგვილო. 129

რბიოდეთ, მდაბალნო, შესლვად კართა სასუფეველისათა, ვიდრემლის დაგვიშვედეს ამპარტივნებისა გონება სასძლოსა მას შევნიერსა, არამედ მსთვად მივედით შესლ/ვად და აღიდებლით ქრისტესა ბეთლემს ბაგასა შინა მწყემსთა, მოგვთა და ანგელოზთა თანა და იტყოდეთ: „დიდებაჲ მალალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ²“, რათა ღირს-იქმნეთ მონად და მგალობლად ქრისტესა, ანგელოზთა მათ თანა უკუნითი უკუნისამდე, ამინ³. 130

✓ 8. სწავლა საშაჲმენსა ზედა შიშისა.

არა უწყი მე, რომელი ჭადაგება ნებავეს დღეს კრებულსა ამას: სჯულსა ზედა, ანუ შიშსა ზედა ღმრთისასა უქადაგებდემ, ვერა განმირჩევიეს:

¹ ქვესკნელსა.

² მარკოზ 11, 10.

³ ხელნაწერი უმატებ: „ქრისტე, შეიწყალე საბა“.

131 ვინააფთგან ვხედავ, გულნი თქვენნი მადლისაგან ღმრთისა განშორებულ არიან და ქრისტეანობისა წესთა მოწყალე/ბა უგულუბელს-გიყოფიესთ და ველურთა მკეცთა ბუნებათა ზედა იქცევით, იესუ ქრისტეს სჯული დაგიტევებიესთ, ამისთვის უმჯობეს არს შჯულსა გასწავებდე.

132 ვინააფთგან გრწამს ერთი ღმერთი — მამა ყოვლისა მპყრობელი, ცათა და ქვეყანისა შემოქმედი, კეთილსა საქმესა ზედა კეთილს მომნიჭებელი და ბოროტთა საქმეთათვის სატანჯველთა მიმცემელი, ესე უწყით და კვალად არა დასცხრებით ცოდვათა თქვენთაგან, არა ვგონებ მე, რომელსამცა გრწამდესთ, თუცა იყოს სასუფეველი, ადგილი განსასვენებელი და აღსაჯე ღმრთისა სიმდიდრითა და მადლითა, ანუ სხვა, გრწამდესთ ჟოჯობითი, ადგილი ერთი, სატანჯველთა საუკუნო / დაუსრულებელი მუნ იყოს. თუცა ესე უწყოდეთ, არამცა შესძინეთ ცოდვანი ცოდვათა ზედა; ამისთვის არა გიჯერვარ და ამისა სინჯვათა მიერ უმჯობეს იყო შჯულსა ზედა ქადაგება, არამედ ვხედავ პირთა თქვენთა, რომელ ქრისტეანობასა იჩემებთ და ურცხვად და გულუშიშრად ცოდვისა ქმნასა¹ მიჰყოლიხართ, და აღსარებასა² და ზიარებასა ზედასა-ზედა მიიღებთ, ამისათვის შჯულსა ზედა არღარა ვიტყვი და შიშსა ზედა ღმრთისასა გეტყვი. ამისთვის ერთმან ბრძენ-მან და წმიდამან კაცმან მასწავლნა, რომელ ქრისტეანეთა კაცთა სჯულსა ზედა არღარა უქადაგო, ვინააფთგან სჯულნი დაგიტევებიესთ და სარწმუნოებასა / გარდასრულ ხართ, ბოროტისა მოქმედება მარადის განგითვისებიესთ და სჯული გულისაგან განგიშორებიესთ. ამისათვის მწვრთნა შიშსა ზედა ღმრთისასა ქადაგება, რომელ სულთა თქვენთა ცხოვრებისა მონატრე ვშვრებოდე, რათა გულსა შინა თქვენსა შიში ღმრთისა შთაფთესნე, და ეშმაკისა საცთურნი განიოტოთ. არამედ ვითარ შთაითესების შიში ღმრთისა, უკეთუ რომელ გიქადაგებ საუკუნესა ამისათვის, თუცა ზედასა-ზედა იგონებდეთ, რომელ ამისითა გონებითა ცხოვრებად მიხვალთ, და ჯერ-არს ვიგონებდეთ მისა სიგრძეთა დაუსრულებლობასა, და რაცა სხვათა კაცთა ზედა უქმნიეს, და ჩვენ ზედაცა ნებაჲს ქმნა.

134 დღე ყოველ, ოდესცა ამას საუკუნესა მოვიქსენებ, ამისი / საგონებელი ესრეთ გამძღის: თავით ვიდრე ფერჯთამდე ძრწოლა შემედების, ფერი მიმეძღების და შიში მისი ცნობასა ჰემსა შესწავას, და უმეტეს ვიგონებდე, სისხლი გამიშვრების და დაბნედასა მივეწურვი. ესრეთ შემამშფოთის საუკუნოჲსა ქსენება.

¹ ქნასა.

² ახსარებასა.

ორნი საუკუნონი არიან: საუკუნო დიდება და საუკუნო სატან-
ჯველი, და ამისი გამოძიება დიდსა შიშსა შთაუთესავს კაცსა. რა-
გინდ ქვეყნისაგან უფრორე შემცოდე იყოს კაცი, მაშინვე ცნობასა
მოვალს კაცი. ესე საუკუნოაჲსაჲ კმა, წინასწარმეტყველთა და მოცუ-
ქულთაგან ქადაგებული, საყვირისაებრ ისმის და ცოდვილთა ყურ-
თა შინა დადგების და გულსა / შინა არა შთავალს.

135

ვაი, ცოდვილნი საწყალობელნი, რამათვის არა იგონებთ სო-
ფლისა ამის აღსასრულისა მოსლევასა და საუკუნოაჲსა დაუსრუ-
ლებლობასა და მძიმისა ძილისაგან არა განიფრთხობთ?

ერთგზის სასოება მივიდა ჯოჯოხეთისა კართა და კართა დაურე-
კა უბადრუკთა სულთა ვასახარებელად. შინათ გამო კმა უყო სა-
უკუნომან: «აღიხედენ ზე და იხილენ თვალითა შენითა, რა-ძი წერილ
არს მაგა კართა ზედაო». ოდესცა სასოებამან აღიხილნა, იხილნა
წერილნი ესრეთ: «ვერაოდეს გამოვალთ, ვერაოდეს ვილხენთ, მარა-
დის ვიტანჯებით, ვერაოდეს ვიხილავთ / პირსა ქრისტესსა და მარა-
დის ვხედავთ პირსა ეშმაკთასა, განშორებულ ვართ ანგელოზთა მე-
გობრობისაგან და წუთსაცა ერთსა ეშმაკთა ვერ განვეშორებით».

136

ესე ორნი სიტყვანი მნებაჲს, რათა გულთა თქვენთა ზედა დაი-
ბეჭდნეთ და გაქვინდეთ ყოველთა ჟამთა: უკეთუ სიცოდავთ წინაშე
ღმრთისა, ჯოჯოხეთით გამოუსლველ იქნებით და სასუფეველისა
საშვებელთა ვერდაარადეს იხილავთ, და შეორე: სიცოცხლესა
თქვენსა შინა მქადაგებელთა სწავლასა არა დაიმარხავთ და ღმრთი-
სა სულგრძელებასა არა ჰმადლობთ, ანგელოზისა ვალობისა ნაცე-
ლად ეშმაკთა კივილისა და ყვედრებისა მსმენელ იქმნებით. /

სიმრთელისა ჟამთა კაცნი არა ზრუნვენ საუკუნოაჲსთვის და, რა
დასწვეულდენ, მწოლარენი სარეცელთა ზედა, სიკვდილსა მიახლე-
ბულნი, მაშინ გამოეძიებენ და ამას არა გულისხმა-ჰყოფენ: საუკუ-
ნოთა შეცვალება არაოდეს იქმნების. უკეთუ კეთილი რამე უქმნიეს,
საუკუნო ნეტარება მიეცემის და ბოროტისა მოქმედსა — საუკუნო
ტანჯვა. არამედ, საყვარელნი ჩემნი ქრისტეანენო და მართლმადი-
ლებელნი, ნუ აღროებთ ვიდრე სულთ ბრძოლადმდე. საუკუნოაჲსა
გამოძიებათა. უწინარესვე გიჰმსთ გამოძიება, რა-ძი ძალ-უც საუკუ-
ნეთა მსენებასა. უკეთუმცა გნებაგსთ ცხოვრება სულთა თქვენთა,
ვიდრე-ღა სიმრთელე გაქვდესთ, გულისხმის-ყოფა / გიჰმს ამისა მი-
ზეზისათვის, რომელ, უკეთუმცა ცოდვილი გპოვა სწეულებამან და
უნანელი დამთი, სიკვდილისა მოახლებულსა ნუთუ მთელი ცნობამ-
ცა მიგელოს და სწეულებისა ტკივილმან თავი ჰელთა არღარა
მოგცეს.

137

138

და წინასწარმეტყველისა დავითის მსგავსად ვიტყოდეთ და მარადის საუკუნეთათვის გული გვითქვემდეს!

მოვედით და აღრიცხეთ რიცხვითა გულთა თქვენთა წელიწადნი ათნი და ათსა შეუდგინე სხვა ოცი და ოცსა შესძინე ორმოცდაათი, კვალად გარდაუმატე ასი და შემდგომად მოკლედ დასთვალო: ათი, ოცი, ორმოცდაათი და ასი. ხოლო ჯოჯოხეთსა შინა შესრულისა ტანჯვათა რიცხვი უთვალავ არს და მოჟლუველ. /

139 გულისხმა-ყავ: თუცა ასი ათასთა წელიწადთა შინა ერთგზის მოვიდოდეს ჭინჭველი ერთი და ზღვისგან შესმიდეს წვეთსა ერთსა წყალსა, მრავალგზის ერთისა მის ჭინჭვლისა მიერ ერთისა წვეთისა შესმითა აღილევის და, თუცა ჯოჯოხეთსა შეხვედით, მისისა სატანჯველისაგან გამოჰსნა არაოდეს დაესრულების.

140 განიხილე კეთილად: უკეთუ ქვეყანა ვიდრე ცადმდე ღომითა აღსავსე იყოს და ათიათასთა წელიწადთა შინა სირი ერთგზის ერთსა მარცვალსა შესქამდეს, აღირიცხე: რაოდენგზის ათიათასი წელი გამოჰქდეს მის ღომისა შექმამდე? იგი ღომიცა აღილევის, ხოლო ჯოჯოხეთისა სატანჯველი არაოდეს დაილევის.

გესმეს ესეცა: ყოველნი ზღვანი რომე განამელ იყოს და არცა წვეთი წყალი დგეს, მოვიდეს კაცი ვინმე, დადგეს კიდურსა მას ნაზღევთასა, ათიათასთა წელიწადთა შინა თვითთთა ცრემლთა შთამოაგდებდეს ზღვისა მის აღვსებადმდე, რაოდენნი ბევრნი წელნი გამოჰქდენ? იგი ზღვისა ადგილი ცრემლითა აღივსების და, თუცა ჯოჯოხეთსა შინა შეხველ, გამოსლვა აღარ იქმნების.

141 შეახვავე ერთად ყოველივე მტვერი მიწისა და ყოველივე ქვიშა ზღვისა, ყოველივე ცვარი წყალთა, ყოველივე ნაკრტენი ფრინველთა, ყოველნივე¹ თმანი კაცთანი. ყოველივე ერთად შეგროვებულთაგან ათასთა წელიწადთა / შინა ერთმან ვინმე ამათგანი თვითო წარიღოს: ანუ ერთი მტვერი, ანუ ერთი ქვიშა, ანუ ცვარი, ანუ თმა, ანუ ნაკრტენი, რაოდენნი ათასნი წელნი გარდაქდენ? ცნობა მიეღების აღმრიცხველთა, არამედ იგიცა აღილევის და, მართალსა გეტყვი, ჯოჯოხეთისა ტანჯვა არა დაილევის.

142 ჰოი საუკუნოო, ჰოი საუკუნოო, ჰოი საუკუნოო, რაბამ უწყალო ხარ! მიკვირან დიდად, ქრისტეანენო, რომელთაცა გესმისთ სახელნი საუკუნეთანი, და თავით ფერჯამდე არა მძრწოლარე ხართ! ქრისტეანენო, არა გამოიკითხავთა, რა არს საუკუნე, და ცოდვათა მატებთ? საყვარელნო მართლმადიდებელნო, არა გამოეძიებთ, რა ძალი აქვს საუკუნოსა, და საუკუნოსა ცნობა / ვერ გულისხმა-გიყოფივსთ.

¹ ყოველივე.

კაცი ვინმე იყო ფრიად ბოროტის-მოქმედი და არცა აღსარება ეთქვა, არცა საკანონო გარდაეხადა და არცა ეწადა მისი ცოდვის აღსარება. დღესა ერთსა ერთისა ცოდვისა აღსარება გულმან უთქვა, მივიდა და მოძღვარს აღუარა. მოძღვარმან საკანონო დასდვა და არა მოუსმინა, ამისთვის რამეთუ ფრიად ნებიერად აღზრდილი იყო. ოდესცა მოძღვარმან ურჩება შეატყო, უთხრა: «შვილო, წარვედ კაცისა ამის წმიდისა და, რაცა გრქვას, იგი ქენო.» ნება დართო და წარვიდა კაცსა მას წმიდასა თანა და ყოველივე აღუარა. მან წმიდამან კაცმან სცნა ყოველივე /საქმე მისი, საკანონოდ დასდვა ესე და უთხრა: «წარვედ, შვილო, და საგებელნი შენნი¹ რბილნი დაიფინენ და მას ღამესა ერთსა გვერდსა ზედა დაწევ, მეორესა ზედა ნუ გარდაიცვლიო». მან ცოდვილმან კაცმან დაუმაღლა ადვილი საკანონო, წარვიდა და ყო ეგრე. გაუკრთა ძილი და ღამისა სიგრძემან დიდად გატანჯა და შეაწუხა, სხვასა გვერდსა ზედა ვერ გარდაბრუნდა და მწუხარე იყო. მამინ მოაგონდა საუკუნო ჭოჯოხეთისა ტანჯვად თავისა თვისისა, ესრეთ იტყოდა: «ვაი-მე, თავო ჩემო, ამა ჩემთა რბილთა² საგებელთა ზედა ვერა გამძლია, ჭოჯოხეთისა ცეცხლსა უკუნისამდე ვითარ გაუძ/ლო?» ესევეითარი საგონებელი ისეთისა მპურვალეებითა ჰქონდა, რომელ დიდად საკანონოდ შერაცხა და საუკუნოჲსა სატანჯველთა განერა.

143

ქრისტეანენო და მართლმადიდებელნო, მისთანასა საგონებელსა გულთა თქვენთაგან ნუ განიშორებთ! უკეთუშეცა თქვენცა გენებოსთ ბედი კაცისა ამის მოგხვედესთ მარადის, ესე ორნი სიტყვანი დაიმარხეთ ყოველთა დღეთა თქვენთა. ვაი, ცოდვილნო, თუცა მას საზარელსა სამყოფსა შინა შთახვალთ, ცად აღსლვა, ანგელოზთა თანა ყოფნა და ღმრთაების ხილვა არღარაოდეს გელირსებათ და დაწყეულნი სულნი ჭოჯოხეთისა სიმყარაღესა, ბნელსა წყვედიადსა, მოუთმენელთა კვამლთა და მყი/ნვართა კბილთა ღრქენითა დაემკვიდრებიან.

144

145

ვითარ გულისხმა-იყოფების კაცთა მიერ, თუ ვითარ საზარელ არს საუკუნოჲსა ჭოჯოხეთისა ალო, შემწველი ცეცხლი და რისხვა ღმრთისა უკუნითი უკუნისამდე?

ჯოჯოხეთი მოტყინარე; მკეცი საშინელნი, ეშმაკნი უწყალონი. განსაკვირვებელი არიან, წყეულნი სულნი ვითარ თავს იღებენ მუნ მათ თანა ყოფასა, მას მოუთმენელსა სატანჯველსა საუკუნოდ? ეშმაკნი მძვინვარნი, ვითარცა ძალლნი განცოფებულნი, გლეჯენ სულთა მათ, მრავლითა სხვითა და ძხვითა სატანჯველითა სტანჯვენ.

¹ საგებელი შენი.

² ჩემსა რბილსა.

146 იგონებდეთ, რაოდენთა წელთა თანა-გაცთ ტანჯვა უკუნითი უკუნისამდე! /

და ვიდრე ღმერთი ღმერთ არს, ვერაოდეს გამოხვალთ ჭოჯობებით. ვიდრემდის ღმერთი ღმერთ არს, მათ მოუთმენელთა სატან-ჯველთა შინა იქმნებით.

ვაი-მე, რად განუშზადებთ ესეთთა დაუსრულებელთა¹ სატანჯველთა თავთა თქვენთა, კაცნო ცოდვილნო, მეგობარნო ბოროტნო, ძვირის-მოქმედნო, მეძაენო, უძღებნო, მემორვალენო და მექრთამენო?

და თქვენცა, დედაკაცნო, რომელნიცა ამპარტავან ხართ და ურწმუნო და ეკლესიასა შინა სდგახართ და არა ისმენთ საღრმთოთა სწავლათა და აღსარებასა სირცხვილთა არა აღიარებთ და ცოდვათა თქვენთა დაჰფარავთ, თქვენთვის განშზადებულ არაან, ჰოი, ესე-
147 ვითარნი სატანჯველნი. /

ნუ იტყვი მსგავსად უმეცართა, ვითარ იგი იტყვიან, ვითარმდე: «შემდგომად ღმრთისა მის საშინელისა განკითხვისა ყოველნი სულნი გამოვლენ ჭოჯობებითო და სასუფეველსა შინა შევლენო». ამით აცთუნებენ თავთა თვისთა. უკეთუმცა ერთგვის შეხვალთ ჭოჯობეთსა შინა, ვერლარა ოდეს გამოხვალთ. დღესა მას საშინელსა განკითხვისასა ყოველნივე გამოვლენ და აღდგებიან და თვისთავე ქორციტა შეიშოსენ და მერმე სულითა და ქორციტთა შევლენ და უფრორე უწყალოთა² სატანჯველთა მიეცემიან. აწ ჭოჯობეთსა შინა მხოლოდ ოდენ სულნი იტანჯებიან ეშმაკთა მიერ და შემდგომად მეორედ მოსლვისა სულითა და ქორციტთა საწყალობლად და სასტიკად დაიტანჯებიან³, ვითარცა ბრძანებს წინასწარმეტყველი:
148 «ყოველნი ტანჯვანი ჭოჯობეთისანი და რი/სხვანი ღმრთისანი განშზადებულ არს ცოდვილთათვის».

ჰოი უცნობელნო, ჰოი ცოფნო, ჰოი უგუნურნო ცოდვილნო, არა უწყითა, რომელნი სულნი ჭოჯობეთსა შინა არიან, ერთისა მომაკვდინებელისა ცოდვისათვის რაოდენნი ტანჯვანი აქვთ უკუნითი უკუნისამდე, გრძელისა საუკუნოთათვის არაარაა ზრუნვენ?

უკეთუ ვისმე გნებავს, რათა განერეთ სატანჯველთა მათ, მას კაცსა მიჰბაძენით, რომელიცა მარადის საუკუნოთათვის იგონებდა და ცოდვათა მოიკვეთდა და საკანონოთა გარდაიძლიდა. ქრისტეანენო, რომელიცა ამა საუკუნოსა მარადის იქსენებთ, ნამდვილევ⁴

¹ დაუსრულებელსა.

² უწყალოსა.

³ იტანჯებიან.

⁴ ნანდვილევ.

ცოდვასა მოიკვეთთ. საყვარელნო, ცხორებასა თქვენსა გაქვდონ საგონებელი ესე და დღე ყოველ ამა ორთა სიტყვათა იტყოდეთ და ქეშმარიტად / განერეთ ჯოჯოხეთისა სატანჯველთაგან, ხოლო უკეთუ არა იზრუნოთ აწვე თავისა თქვენისათვის, მაშინ სცნათ, ოდეს შეხვიდეთ, რა ძალნი აქვან ამა ორთა სიტყვათა. ამისათვისცა ვიდრე ცნობასა იყვეთ და ცხოველ იყვეთ, ამა საქმისათვის იგონებდეთ[თ] და ღმერთსა ევედრებოდეთ[თ], რომელ ესე საგონებელი¹ გულთა შინა თქვენთა დაბადნეს.

149

უკეთუმცა თქვენისა ცხორებისა აღსასრულსა იგონებთ, რომელ არს სიკვდილი და განკითხვისა დღე, და სამოთხესა და ჯოჯოხეთსა იასენებთ, ცოდვასა განეკრძალებით. უკეთუმცა გენებოსთ ვისმე სიელტოლა ჯოჯოხეთისაგან, ლოცვასა ამას იტყოდეთ: «მამაო ჩვენოსა» და «კირიელისონისა» ნაცვლად — «ჰოი საუკუნოო, ჰოი საუკუნოო, / ჰოი საუკუნოო», და «შემიწყალეს» ნაცვლად — «ჰოი სიკვდილო, ჰოი განკითხვაე, ჰოი ჯოჯოხეთო და ჰოი სამოთხე!»

150

ქაბუკი ერთი ცოდვისა მწვირეთა დაფლულ იყო და დღესა ერთსა სულისა წმიდისა მიერ ეთხრა, გონებასა მოეგო და ესე ლოცვა «კირიელისონისა» ნაცვლად წარეთქვა და მას საგონებელსა დაადგრა და დღე ყოველ ამას ილოცვიდა. შემდგომად შვიდეულისა ერთისა აღსარებად იწყო თვისთა ცოდვათა², აღუარა თვისსა მოძღვარსა და წმიდად მიიცვალა, ამისათვის რომელ საგონებელსა ამას და ლოცვასა ამას, სიკვდილისა და განკითხვის დღის ჰსენებასა, სამოთხისა და ჯოჯოხეთისა დაუვიწყებლობასა ესეთი/ ძლიერება აქვს. რომელიცა მარადის იგონებს, ცოდვასა განეკრძალება და მიზეზითა ამით საუკუნოჲსა ჯოჯოხეთისაგან განერება³.

151

9. სწავლა ჯოჯოხეთის სატანჯველისათვის

ჯოჯოხეთი არს, ჰოი ცოდვილნო, უეჭველად. თუცა მრავალნი არიან, რომელნი არა ჯერან და ჰგონებენ, რომე, რომელიცა საღმრთო წერილი და წმიდანი მამანი ჯოჯოხეთისათვის გეასწავლიან, სრულიად კაცთაგან მოგონებული იყოს ქვეყნისა შესაშინებლად, მაგრამ არა. რომელიცა ქრისტეანე არის, ვერ იტყვის, რომე ჯოჯოხეთი არ იყოს. თუცა ცოტანი ვინმე არიან, რომელნი მას გასინჯვენ, და უფრორე მცირე/ნი, რომელნი მისგან შეშინდებიან.

152

1 საგონებელი.

2 ცოდვილთა.

3 ხელნაწერი უმატებს: „ქრისტე, შეიწყალე საბა“

ჯოჯოხეთი არის, ამრიგად, და ვამტკიცებ და ნურავინ ჰგონებთ, რამეთუ ამის მეტი არაოდეს უთქვამსთ, რომე შემდგომად ცხოვრებისა ამის კეთილისა კაცისათვის საუკუნოდ ნეტარება არ იყოს. პირველთა მეცნიერთა კაცთა ესრეთ უთქვამსთ. ეგრეთვე წმიდა პავლე მოციქული თავისა თვისისათვის ბრძანებს: „რომელი მესამედ ცად ამალდა, და საკვრველებანი ღმრთისანი იხილნა, რომელთა კაცნი ვერ გულისხმა-ჰყოფენ“¹. და ესაია წინასწარმეტყველი ბრძანებს, რომე: „ვერავინ გულისხმა-ყოს გონებითა განსასუენებელი, რომელი შეუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თვსთა“. უკეთუ გრწამს დიდება სასუფევლისა კეთილის კაცისათვის, საუკუნო / ნეტარება აქვს, ესეცა უნდა გრწმენეს, რომ ბოროტისა კაცისათვის საუკუნოთა სატანჯველი განმზადებულ არს. რაჟსათვის არა ჯერან ადამიანი ჯოჯოხეთისა ყოფასა, ვინაჲთგან ყოველთა წმიდათა მრავალი გვემა და ტანჯვა თავს-იდევს და მსწრაფლ სიკვდილი აღირჩიეს ერთისა ცოდვისა ქმნასა ჯოჯოხეთის შიშისაგან? რომელიცა წმიდათა მოწამეთა აქა განსაცდელი მოითმინეს, არა თუ განცხრომისათვის და შვებისათვის მოითმინეს, არამედ ამისთვის, რათა ჯოჯოხეთისა ტანჯვათაგან განერენ და საუკუნო სუფევა დაიმკვიდრონ. წმიდანი წინასწარმეტყველნი ჯოჯოხეთისათვის ასწავებდენ და ქადაგებდენ მარადის, რათა კაცნი ცოდვათაგან განათავისუფლენ და ჯოჯოხეთისაგან განარიზონ. ამისათვის ქვეყანასა ზედა მრავალთა ადგი/ლთა შინა ჩინან პირნი ჯოჯოხეთისანი: საფრანგეთს სამნი მთანი არიან, რომელ თავთა ზედა მათათსა არიან მთხრებლნი და პარეზნი, რომელთაგან აღმოდინ კვამლი, ნაცარი და ალი ცეცხლსა. ამისთვის გამოაჩენს წმიდა გრიგოლი: „ესე არს პირნი ჯოჯოხეთისანი, სადა ეშმაკნი ჩაითხივნეს, ოდეს ზეცით გარდამოცვივნებულ იქმნეს. და შემდგომად მეორედ მოსლვისა მუნ შთაცვივიან გუამნი ცოდვილთანი“.

აჰა, არს ჯოჯოხეთი და არავინ მთქმელთა ამისთაგანი განმართლდეს, რომელნი იტყვიან არა-ყოფასა ჯოჯოხეთისასა. სამართლად იტყვიან ყოველნი წმიდანი და თვითცა აჩვენებენ და დაამტკიცებენ. თვით იესუ ქრისტე ბრძანებს წმიდის პირითა, წმიდა სახარებასა / შინა მრავალგზის იტყვის: „წარვედით, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა“². არამედ აწ ქრისტიანეთა არა ვკითხავ, უკეთუ იციან ჯოჯოხეთი რა არს, ამისთვის რამეთუ კეთილად ვიცი, რომელ მრავ-

1 შლრ. II კორინთ. 12, 2.

2 მათე 25, 41.

ვალნი არიან, რომელნი ხუმრობენ ტანჯვათა ზედა ჯოჯოხეთისათა და არა ხედვენ, რომელ მას დიდსა და ძნელსა სატანჯველსა სიცოფით შევარდებიან.

ვაი, კაცო, ჯოჯოხეთი ერთი ბნელი და მყარალი ადგილი არს გულსა შინა ქვეყანისასა¹, ყოვლითურთ ღმრთის რისხვითა და გულის წყრომითა სავსე, სადა საწყალობელნი ცოდვილნი, ვითარცა ძაღლნი მშიერნი და მარადის ცოფიანნი², რბიან, ვინაჲთგან მართალი განსვენება საუკუნოთა განეშორათ, სადა არს / უბადრუკება და წარწყმედილთა გულთა მარადის ტკივილი, სიმწარე დაუღვენელი, მატლი დაუძინებელი, სადა იგი სულნი შეწყვედულნი საუკუნოდ ღმრთისაგან მანქანებითა და კაჩალოებითა ტანჯვათა შინა შთაგდებულნი³. სადა თავი და ბოლო არა შეიტყობის, სადა საწყალობელნი იგი სულნი მარადის, დღე და ღამე, მოუთმენელად იტანჯებიან, და არა ქმნეს, რათამცა მცირედი რამე მადლი ღმრთისა მოეპოვნათ და შვრომითა და ოფლითა ერთიცა არის საკანონო ექმნათ, რათამცა ღმერთსა არა ექმნას ესევითარი.

156

ჰოი ჯოჯოხეთი, ჰოი ჯოჯოხეთი, ქრისტეანენო! ამა ჯოჯოხეთსა შინა არიან არა თუ მძვინვარენი მკეცი, არამედ საზარელნი ეშმაკნი, მტერნი ადამიანთანი, რომელნი დაზბადებულსა ვერა სძლ/ევვენ, დაზადებულსა ზედა გულის წყრომითა, უმადლოთა ცოდვილთა ზედა თვისთა მძვინვარებათა იმარებენ და აჭირვებენ და აშთობენ და ბასრობენ და ყოველთა ბოროტთა უყოფენ.

157

ჰოი ადამიანნო, ჯოჯოხეთი არს ერთი ცეცხლიანი ზღვა — სასოწარკვეთილებისა, გულისწყრომისა და ცრემლისა ადგილი, რომელი არა დაშრტების უკუნითი უკუნისამდე, არიან ღელენი მძვინვარებისანი, რომელნი ურიცხვითა სატანჯველითა და საგვემელებითა არ აღივსებიან⁴, არს საზარელისა სიკვდილისა სახლი, რომელსა შესავალი აქვს და გამოსავალი არა ეპოვება⁵, სადა ყოველი სასოება გამოქსნისა გარდასრულ არს, კეშმარიტი სატანჯველის ადგილი არს, რომელ გარეგანი / ყოველი სატანჯველი უტკბილეს და უსაწადალეს არს მისგან, ვაებისა და სულთქმისა და ყოვლისა სატანჯველისა ადგილი არს.

158

ვაი, ქრისტეანენო, ესე არა არს ჯოჯოხეთი, არამედ უმცირესი ერთი მისგანთა ნიშანი რამე.

1 ქვეყანისათა.

2 ცოფიანი.

3 შთაგდებული.

4 აღივსება.

5 იპოება.

შემდგომად მეორედ მოსლვისა ჯოჯობეთსა შინა რა ქორცი და სული შეიერთებინან, პატიმრობა გარდაემატებათ. ამისთვის წარწყმედილთა თვალთა მარადის ცრემლი დაუწყვეტელი ექმნებათ, ყურთა — საზარელისა დაღადებისა და ვაებისა სმენა, ცხვირთა — სიმყრალე, ენათა — მოუთმენელი წყურვილი, კბილთა — ტყვილი და ღრქენა, პელთა — განუქსნელნი ჭაჭენი, ფერქათა — უქსარნი ბორკილნი, სტომაქში — სულთქმანი, გულთა — შიში, მუცელთა — შიმშილი, ასოთა შინა — შერომა და გვამში — დაუშრეტელი ცეცხლი.

ამისთვის იტყვის იოანე მახარებელი თვისსა მოხილვათა წიგნსა შინა: „მას უამსა ცოდვლნი სიკუდილსა ეძიებდენ და ვერა ჰპოვებდენ, სიკუდილსა ინატრიან და არავენ არს, რათამცა აღუსრულა საწადელი მისი“¹.

ქრისტეანენო, ესე ჰეშმარიტებით არს, რომე საწყალობელნი² წარწყმედილნი რა მის მძვინვარისა ცეცხლისა სიმწარეთა დაწყულულებიან, არა აქვსთ საღბუნი სამთელებელი; აქვსთ წყურვილი მოუთმენელი და არა ეპოვება წყალი, რათამცა განიგრილა ენა; ვითარცა ძალთა, აქვსთ შიმშილი და არა აქვსთ, რათამცა ჰკამეს; აქვსთ დაღრეჯა დიდი, ვერ/განისვენებს, რათამცა შცირედი დაეძინა; აქვსთ სირცხვილი მოუთმენელი არა დაფარულთა ადგილთა. ამისთვის ინატრიან სიკვდილსა, რომელ ესოდენთა ვაებათა და გვემათა და სატანჯველთა დასასრული იყოს, და სიკვდილსა ვერ ჰპოვებენ. ამისთვისა საწყალობელნი ცოდვილნი გზათა ცეცხლისათა ვლიან და იტყვიან: «ჰოი სიკვდილო, სიკვდილო, სადა ხარ? სიკვდილო, რაჟსათვის ვედრებათა ჩვენთა არა ისმენ?...» მაგრამ სიკვდილი ამა მოწყალეებათა არა უყოფსთ. ესრეთ ექმნებათ ცოდვილთა ტანჯვა ესე საუკუნოდ. ყოველნი უმძვინვარესად და უსაზარლესად ნატრობენ სიკვდილსა, მაგრამ არაოდეს/ექმნებათ ბედნიერება ესე და ამისთვის მრავლისა მწუხარებისა მიერ განცოფებულნი უღალადებენ სიკვდილსა: «ჰოი სიკვდილო, სადა ხარ? ჰოი ეშმაკნო, გვწყალობდე, რათა ერთგზის მოგვაკვდინო! ვაი, ჩვენდა უბადრუკთა! ვაი, ჩვენდა დაღონებულთა! რა-მე ვქნათ ესოდენთა ტანჯვათა, საგვემელთა ალაგათა შინა? და ცეცხლთა შინა ერთიცა რამე თავთა ჩვენთა მოსაველი არა სადა იპოვების? რასა ჰყოფთ, მატლნი უძილნი? განხრწენით ქორცნი ჩვენნი! ცეცხლისა აღნო, მსწრაფლ დასწვევით ქორცნი ჩვენნი!»

¹ აპოკალიპსი 9, 6.

² საწყალობელი.

შემდგომად უბადრუკნი იგი სულნი ყურეთა ერთსა ჭოჯ/ოხეთი- 162
სათა, სადა წუნწუბნისა ტბა ენთების, მუნ მიილტვიან და მსწრაფლ
შთაცვივიან, რათამცა მუნ პოვონ სიკვდილი, არამედ არა იპოვებიან.
მაშინ ტანჯვისაგან განცოფებულნი მუნით გამოვლენ და სხვათა აღ-
გილთა ეძიებენ სიკვდილსა. სადა არს ფრიადი სიმყარაღე, ანუ მახ-
ვილნი და საგვემელნი, მუნ შთაიყრიან თავთა და დაეხევიან მახ-
ვილთა და პრმალთა, რათამცა შოიკლნეს თავნი, არამედ ყოველივე
ცუდ არს ამისთვის, რომე მუნ არა არს სიკვდილისა წყალობა, მუნ
ყოველი ტანჯვა, გვემა და ტკივილი იპოვების და სიკვდილი არა-
ოდეს. ამისთვის საწყალობელთა ცოდვილთა არარა დარჩების,
მხოლოდ უბადრუკებათა თვისთა ტირილი.

და ჯოჯოხეთი ესეთი არს, ვაი ცოდვილნი! /

არამედ ესე არა არს ჯოჯოხეთი, ესეცა ერთი ჯოჯოხეთისა მცი- 163
რედი ნიშანი რამე არს. უმჯობეს არს, რათამცა მსენება მისი დაუ-
ტეო. ამისთვის კმარა, ჯოჯოხეთი რა არის, არ აღსენების და არავის
ძალ-უც ჯოჯოხეთისა სატანჯველთა მცირედისაცა მსენება და ვერცა
საგონებელთა მოიღების. კმარა, რათა ვთქვა რამე: ჯოჯოხეთი ერთი
ადგილი არს, რომელ დიდმან ღმერთმან, სიმართლითა ცოდვილთა
ზედან განრისხებულმან, მათ ზედა ჩაოდენნი ბოროტნი ძალ-უც და
ღირსად უყოფს. ამისთვისცა საწყალობელნი და უბადრუკნი სულნი
ჯოჯოხეთსა მას შინა/არიან, სადაცა არცა ერთი მცირე შეება, 164
ლხენა და განსვენება არა არს და არცა იქმნების, და მას სატანჯველ-
სა შინა დაემკვიდრების უკუნითი უკუნისამდე.

მაგრამ, ვაიმე, რა ზრუნვა და სატანჯველი შეექმნებათ, როდე-
სცა იხილვენ, რა ღმრთისა მიერ დაწყეულნი იქმნებიან და, რა
თვალთა აღიხილვენ ღმრთისა მიმართ, რომელმანცა ჯოჯოხეთში
შთაყარნა, და ნახვენ, რომელ შეწყალუბისა ნაცვლად მზიარულ არს
და განსცხრებლს და მათისა ტანჯვათაგან სიამე და სიმზიარულე
აქვს, ვაიგონე, ვითარი სიმწუხარე და ზრუნვა ექმნებისთ და ზრუნ-
ვით საფე ესრეთ იტყვიან: «ჩვენ ვიწვით და ღმერთი გვეცინის,
ჩვენ ვიტანჯებით და ღმერთი / იხარებს. ჰოი უწყალოო ღმერთო, 165
ვინაფთვან ერთგვის არაოდეს მოგვაკვდინე და ჩვენსა ტანჯვასა
ზედა გვეცინი და განსცხრები?», და სხვა არარა ძალ-უცთ. თავთა
თვისთა უფროსად განსტანჯვენ და ენათა იკბენენ, თმათა დაიფხვ-
რიან, თითითა თვისითა თვალთა აღმოითხრიან, რათამცა არა იხი-
ლონ მათ ღმერთი, ვინაფთვან სიცილი მისი ეგოდენ შეაურვებს მათ,
მაგრამე საწყალობელთა მათ ჩაოდენნი რამე ქმნან, უკუნისამდე ცე-
ცხლსა მას შინა იწეებიან და დღე-ყოველ¹ უშავეს და უდამწერეს,

166 უბილწეს და უმყარლეს შეიქმნებიან. მოიგონეთ, რაოდენნი¹ წყევ-
ლანი და გმობანი გამოვლენ მათის პირისაგან, ვინამთგან დაიჭე-
რეს, მათი / ლხენა და გამოასნის იმედი გარდასწყდა, ვინამთგან მათის წყალობის სასოება არღარა არს. ამისთვის ღმერთი მათ ვიდრე ამას სოფელსა ზედა იყენეს, მრავალგზის შეიწყალა, მრავალგზის წყალობა ყო და ესეოდენი დააცადა, რომე მათი შეცოდებანი შეენან, და ესეოდენი მათი ცხოვნება მოენება. ამისთვისა არათუ მხოლოდ მათსა გვემათათვის არა ზრუნავს და არცა ტანჯვათათვის შეიწყალებს, არამედ ეციინს და იხარებსცა:

167 ჰოი ღმერთო ჩემო, ჰოი ტკბილო მაცხოვარო ჩემო, ქვეყანასა ზედა ესეოდენი მოწყალება და შემდგომად სიკვდილისა ესეოდენი² უწყალობება, პირველ სიცოცხლესა ამას ესეოდენი სიტკბო, მეორეს სიცოცხლესა შინა / ესრეთი დასჯა ვითარ არს?

168 ჰოი ღმერთო ჩემო, გული შენი ვითარ განფიცხნა ესრეთ, ვინამთგან არა მოწყალე იქმენ? ერთითა ცრემლითა, რომელი სოფელსა ამას ცოდვილთა თვალთაგან გარდამოვარდნილიყო, მუნთქვესვე მიუტევებდი, და ესეოდენი³ ცრემლნი წარწყმედულთა თვალთაგან დიან და გულნი არა. შეგელმთან? სოფელსა ამას შინა ღიდ-ღიდად ცოდვილისა ერთი სულთქმითა, ერთი სიარულთა, ერთი მკერდისა ცემითა მიუტეობდი და არღარა მომკსენე იყავ მისთა ცოდვათა, და ჯოჯოხეთსა შინა რაოდენი კვნესა, რაოდენი ცრემლი, რაოდენი სულთქმა, რაოდენი საკანონო, და არა ლმობილ ექმნები და ეციინი და იხარებ და ჰელთა იტყ/ველაჲ?

არა, არა, ღმერთი ბრძანებს: «ჯოჯოხეთსა შინა იმედი არა არს. მუნ არცა წყალობა, არცა შეწყალება, არცა მიტეება, არცა შენდობის ადგილი არის. ცეცხლი იგი არაოდეს დაშრტების, უკუნითი უკუნიამდე უღხენელად იქმნების, უამებელად და განუსვენებლად, ხოლო მარადის წყეულნი სრულიად უკუნიამდე და უკუნითი უკუნიამდე».

ვაი, ცოდვილნი! ვაი, ჯოჯოხეთო, რომელ დასაბამი გაქვს და დასასრული არაოდეს!

მაგრამ ვაიმე კვალად, ვინამთგან კაცთა უწყყიან, რომელ ჯოჯოხეთი არს და მას შინა სატანჯველნი უწყალონი, და არა მოიქცევიან: მპარაენი და უმსჯავრონი კაცნი ბოროტნი მონახვევთა რვისთა პატრონთა არა უკუ სცემენ ამისთვის. რომელი ისიძვის და სიძვასა

1 რაოდენი.

2 ესეოდენ.

3 ესეოდენი.

არა / განეშორების, რომელსაც მტერობა აქვს მტერთანა და აზა 169
დაეგების, რომელიცა თვით ტყუელსა მოიგონებს და სხვის სა-
ხელს გასტეხს და უბრალოსა ქებას არ მიაბრუნებს, ბოლომდე
ცოდვილთა შინა დაეინებულან და უფრო შესცოდებენ.

ვაი, კაცნო ხელნო და ცოფნო, ესრეთ სულელ ხართ. რომელ
ერთისა ბილწისა კორცისა გემოვნებისათვის სულთა თქვენთა მას
საუკუნოხსა სატანჯველთა შინა ჩააგდებთ, მცირისა ნატაცების ქო-
ნებისათვის გენებავსთ სულნი თქვენნი მას მწარესა ცეცხლსა შინა
უკუნისამდე დაიწვას!

ცოდვილნო, გულისხმა-ყავ[თ]: უკეთუ სხვათა სიკვდილსა მარ- 170
თლად მოინდომებთ, ანუ ერთი/ ბოროტი გულთა დაიმარხოთ, ანუ
ერთსა დანგსა მოიპარავთ, ანუ მეშორვალეობთ და, რომელსაცა მო-
მაკვდინებელსა ცოდვასა იქმთ, მუნთქვესვე სულნი თქვენნი მას
საზარელსა ჯოჯოხეთსა შინა შთავარდებიან ესე არა ერთსა დღესა,
არცა ერთსა თვესა და ერთსა წელიწადსა, არამედ უკუნითი უკუ-
ნისამდე.

ნუ იტყვიან, რომელ ბევრი მიცოდავს, რაჟსათვის არა შთავარ-
დი ჯოჯოხეთსა შინა?

აჰა, მომავალ არს და მოვალს რა იგი, რომელ განრისხებულმან
ღმერთმან ყოველთა ცოდვათა თქვენთა ღირსი მოგაგოსთ და სულ-
ნი თქვენნი კსნისა უიმედოდ ჯოჯოხეთსა შინა შთაყაროს, სადა
იტანჯებიან უკუნითი უკუნისამდე, რომელ ღმერთმან მოგარჩი-
ნოსთ, ამინ. /

10. სწავლა მეორედ მოსლვისათვის ძრისტმსა.

171

„აღდგა იესუ განთიად ერთშაბათისა მის“. — წმიდა [მარკოზ]
მახარებელი იტყვის!

ძმანო, ერთშაბათი კვირიაკედ გამოითარგმანების, დიდსა მას
დღესასწაულად, რომელსა მოველით აღდგომისა დღესა უფლისა
ჩვენისა იესუ ქრისტესა და განვეშაღებით ყოველნი და გვიხარის
დღისა მისთვის მხოლოდ არა ერისკაცთა, არამედ ჩვენ მონაზონთა-
ცა, და გვენებავს სწრაფით მოსლვა. და დღე და ღამე არს საგონე-
ბელ ჩვენდა: ვითარ ვიყვნეთ და ვითარ განვეშაღნეთ და რა-ძი
ვპოვოთ მას დღესა პირის საქსარი, ანუ სამოსელი გვაშთა ჩვენთა-
თვის?

¹ ხელნაწერში მითითებულია ლუკა მახარებელი, მაგრამ ცატატი ამოღ-
ებულია მარკოზის თავიდან (16, 9).

172 ამა სამეოცი დღე არს, ვიდრე ზატიკაღმდე, და აწვე მას ვიგონებთ და მისსა / მოსლვასა ვხარობთ და ზვალე და ზეგე მოვალს მარხვა ესე წმიდა და პატიოსანი, არცა მოსლვისა მისისა სიხარული გვაქეს, არცა განვემზადებით მისთვის, რომელ არს განმწმედელი სულთა ჩვენთა და მაცხოვარი ჩენი.

173 ძმანო, უკეთუ მას ერთსა კვირიაკესა მოსლვასა იხარებთ, რომელსა შინა ქრისტე აღდგა, ესე ორმეოცი დღე, რომელიცა ქრისტემან იმარხა, ესეცა რად სიხარულად არა მიგაჩნსთ და სთვლით დღეთა მისთა, ოდეს შემოკლდეს, და ესწრაფებისთ აღდგომის დღესასწაულისათვის? თურე არა ქრისტეს აღდგომისა სიხარული გაქვსთ, — ღვინისა, სანოვავისა და ნაყოფიანებისა და ზეობისა და სილაღისა. შეილთა მა/თათვის განემზადებით და მოსლვა მათი გიხარისთ. თუცა არა მარხვა, ესეცა რად არა მოსალოდებელ არს, რომელსა შინა არს მარხულობა, ლოცვა, ცრემლი, მუქლთ-დრეკა, სიმდაბლე, სიმშვიდე განმაბრწყინებელი სულთა? ქრისტე აღდგა, ერთგზის აღდგა, ვითარცა მოციქული იტყვის: „ქრისტე მოკუდა, ერთგზის მოკუდა, ცოდვით მოკუდა, არღარა მოკუდეს და სიკუდილი მის ზედა არღარა უფლებდეს“¹.

174 ხოლო დღესასწაული შემდგომად აღდგომისა მრავალგზის მოსრულ არს და წარსრულ არს და მრავალგზის მოვალს, იგიცა წარვალს. რასა განემზადები მისთვის? ქრისტე მოკვდა და აღდგა; არღარა მოკვდეს, არამედ შენ მოჰკვდები და აღდგომად ხარ, ამას აღდგომასა / მოელოდე, ჩვენ აღვდგებით და მკვდრეთით აღდგომილი ქრისტე მოვალს. რასა ემზადები ამა დღესასწაულსა აღდგომისასა? იხილო აღდგომა, არა იხილო ქრისტე აღდგომილი, არცა ანგელოზნი, არცა წმიდანი, არამედ აღდგომასა შენსა ქრისტე იხილო აღდგომილი და ყოველნი სათნო ყოფილნი მისნი, მისთვის განემზადებოდე. მას ჩვენსა აღდგომასა უეპველად მოვალს ქრისტე, მოვალს მეორედ, მოვალს ორითვე მით ბუნებითა, ვითარცა პირველ მოვიდა; მოვალს პორციტა, რომელ მარიამისაგან მიიხვნა წმიდისა ქალწულისა, მოვალს არამედ არა ეგრეთ სიმდაბლით, ვითარცა პირველ სიგლაბაკით:

175 მაშინ ღმრთაებისა ბუნებასა კაცებისა ბუნებითა ჰფარვიდა წინაშე თვალთა კაცთასა, აწ კაცებისა ბუნებასა ღმრთაებისა ბუნებასა გარდაჰრევს. მაშინ ქვაბსა შინა იშვა და ბაგასა პირუტყვთასა მიიწვინა, მერმე ქერობინთა ზედა მჭდომარე მოვალს. მაშინ მარიამ და იოსებ იყვნენ, მერმე სრულობით ზეციერნი წინა მოუძღვიან.

1 რომ. 4, 9 — 10.

მაშინ ჰეროდესაგან ივლტოდა, მერმე ყოველნი მეფენი ზარ-განაღლი-
ნი შეძრწუნდებიან. მაშინ სიმშვიდით და სიმდაბლით შრომით ვი-
დოდა, მერმე სიმადლით მოვალს, რათა, რომელიცა მისთვის დაშვრა,
მას სასყიდელი მიაგოს. მაშინ ასისთავი და მეზვერენი აწვევდენ
სახლად მათდა და მერმე წამისყოფა შემოჰკრებს საუკუნოადთან
მიცვალბულთა. მაშინ მეძაენი და მემრუშენი ამბორს-უყოფდენ
და მერმე ცოდვილნი ს-ვალალოდ შეიქმნებიან. მაშინ ჰუ/რიანი მის-
თვის წარწყმელად შეითქმოდენ და მერმე მიგებად მათდა მოჰაუა-
არს. მაშინ პილატე და ჰეროდეს მიერ განიკითხებოდა და მერმე
ყოველნი მსაჯულნი ამის მიერ განისაჯებიან. მაშინ ჰურიათაგან იგი-
ნებოდა, მერმე ზეცისა ძალთაგან იდიდების. მაშინ ავაზაკთა მიერ
იყვედრებოდა, მერმე მთავრობათაგან იქების. მაშინ მოციქულნი
დაუტევებდეს და ივლტოდეს და მერმე ნათლის ღრუბლითა აღტა-
ცებულნი მოუძღვიან. მაშინ ჯვარსა ზედა ამაღლდებოდა, მერმე
ძველი დიდებითა საყდართა ზედა მჯდომარე იქმნების. მაშინ სისხ-
ლი ქრისტესი ქვეყნად ჩამოეწვეთებოდეს, მერმე მდინარენი ცეცხ-
ლისანი აღმოედინებიან / წინაშე მისა ცოდვილთა შესაჰმელად. მა-
შინ იუდა ერთი მოიშობოდა თავსა თვისსა, მერმე ყოველნი ცოდ-
ვილნი დაიშობიან ცეცხლსა საუკუნესა. მაშინ ქვეყანა შეიძროდა,
მერმე სრულიად ძენი კაცთანი შეძრწუნდებიან. მაშინ მცირედნი
კლდენი განსქდებოდეს, მერმე ჯოჯობეთი განსქდების ცოდვილთა-
თვის შექმად. მაშინ კრეტსაბმელი განიპებოდა, მერმე ცანი წარიგ-
რაგნებიან. მაშინ მზე დაბნელდებოდა, მერმე მზე და ვარსკვლავნი
შთამოცვივიან. მაშინ ქრისტე საფლავად დაიდებოდა, მერმე საფ-
ლაეთა მყოფი ყოველნი შიშით აღდგებიან.

176

177

რასა განიზრახავთ, ძმანო, ამა აღდგომისათვის განვიზრახოთ.
ძმანო, მის აღდგომისათვის ვშვ/რებოდეთ. მაშინ გვექმარების სამო-
სელი, მაშინ გვიმს ქამადი, მაშინ გვინდა, რათამცა შევიკრიბოთ
ნუზლი, ვინამთგან გრძელსა გზასა მიმავალ ვართ. მოვალს უფალი
ჩვენი, მოვალს ღმერთი ჩვენი, მოვალს მოძღვარი ჩვენი, ჩვენთვის
დამდაბლებული, ჩვენთვის დაგლახაკებული, ჩვენის ტყვეობისათვის
განყიდული, ჩვენ წარწყმედულთათვის ჯვარცმული. მივეგებოდეთ
ნებისით, ვინამთგან ძალად მისაგებად ვართ. იგი მოვალს ძლიერი
ძალითა უძღვევლითა, მოაქვს ჩვენდა საჩვენებელად და გვეტყვის:
«ჰოი დაბადებულნო ჩემნო და შექმნილნო მიწანო ჩემგან განცხო-
ველებულნო, ესე მიქმნია თქვენთვის, / ესეოდენნი ტანჯვანი თავსა
მისხმან». თავსა გვაჩვენებს ეკლის ნაწერტსა, ყვრიმალსა ნაცემსა,
პირთა პატიოსანთა ნანერწყვთა, ბექთა შოლტითა ნაცემთა, ქელთა

178

179

და ფერბთა დამსკვალულთა, გვერდთა ლახვრითა განდებულთა და გვეტყვის: «ამით გამოვიხსენ, ამით აღმოვიყვანე ჯოჯობეთით. აჰა, ამისი მაგიერი რა ძღვენი მოვაქვსთ თქვენ ჩემდა?» რა-მე მიუპყრათ, ძმანო? ამისთვის განემზადენით: რა-მე უთხრათ? რა-მე მიუგოთ? განარჩევს ღირსთა ცოდვილთაგან, ვითარცა კრავთა და თიკანთა, ვითარცა ბრძანებს მათეს სახარების კე, ლდ და ეტყვის მარჯვენითა მათ: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო / და დაიმკვდრეთ სასუფეველი ცათა, რამეთუ შშიოდა და მეციო მე ჭამადი, მწყუროდა და მასუთ მე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ, სნეულ ვიყავ და მომხედეთ, საპყრობილესა ვიყავ და მოხვედით“... და შემდგომი ამისი.

ჰოი, რა სანატრელი არს კმა იგი, რა ადვილ საშოვარ სასუფეველი? მცირედისა წყლისა სმევისათვის მისცემს კურთხევასა მამისა შისისასა, სნეულთა ნახვისათვის დაუმკვიდრებს სასუფეველსა, უცხოთა შეწყნარებისათვის ჰყოფს მსახურ თვისად.

ვაი, ჩვენდა! რა მცირედისა ღვაწლისათვის მოგვიძულბიეს სასუფეველი?

181 სასუფეველი გასმიესთ, ძმანო, და არა უწყით საშვე/ბელი მისი, თუ რა არიან ანუ ვითარ არიან მყოფნი მუნ, არა ითქმის კაცთა შიერ, გულსხმა-ყოფების, ვითარცა იტყვის წმიდა პავლე: „ენამან კაცობრივან ვერ გამოთქუნეს და გულსა არა მოუტდეს“, ხოლო წმიდა სახარება ბრძანებს: „მაშინ მართალნი, ვითარცა შზენი, გამობრწყინდენო“².

182 ჰხედავა ნიჰსა ამას ღმრთისასა? შენ თუ შიშველსა უნდოსა სამოსელსა შეჰმოს, იგი მსგავსსა მზისასა შეგმოსს განუხარწუნელსა სამოსელსა. შენ თუ მწყურვალსა წყალსა ასმევ, იგი გასმევს ცხოველსა მას წყალსა, რომელი დიან მუცლისა მისისაგან, რათა არღარა გწყუროდის. შენ თუ მშიერთა პურითა განაძღებ, იგი განაძღებ ცხორებითა დაუ/სრულებელითა. შენ თუ უცხოთა ორ-სამ დღე შეიწყნარებ, იგი დაგიმკვიდრებს სამყოფთა ყოველთა წმიდათასა საუკუნოდ. შენ თუ სნეულთა მცირე ჟამ ნახავ, იგი გაჩვენებს დიდებასა მამისა თვისისა. შენ თუ საპყრობილედ მიხვალ წუთ ერთ, იგი მიგიყვანს სამყოფსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და დაგამეგობრებს წმიდათა მოციქულთა. ამისთვის განემზადეთ, ძმანო!

ხედავთა: წუთისა ჟამისა მეფეთა ვინა ყმობენ და მათ თანა

¹ შათე 25, 34—35.

² შათე 13, 43.

ახლორე არიან, რაოდენნი კაცნი ევედრებიან მას, ანუ ერისთავთა და დიდებულთა მეგობართა ვითარნი კაცნი ჰნატრიან? უმჯობეს არს დამბადებლისა ღმრთისა კეოილმსახურება ანუ წმიდათა მისთა მეგობრობა. /

იხილე და განეკრძალე, რათა მოგცეს ღმერთმან და არა გესმეს 183
ჰმა იგი საზარელი, მებხის ტეხისაგანც უბოროტესი, რომელსა მარცხენითა ეტყვის ძნელთა ამთ სიტყვათა: „წარვედით, წყეულნო მამისა ჩემისაგან, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისა და მსახურთა მისთათვის. რამეთუ მშოიერი ვიყავ და არა მეცით ჰამადი, წყურიელ ვიყავ და არა მასუთ“¹... და შემდგომი ამისი.

ვაი, რა ძნელი სასმენელი არს სიტყვა ესე!

ვაი, რა შესაძრწუნებელია!

ვაი, რა ზარის-საძღელია: „წარვედით, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა!“

რამსათვის? — და ერთისა მწურვალისა უსმელობისათვის!

არა გამართებსთა, ყოველი / სოფელი შენიმცა იყო და იგი განაბ- 184
ნიო, თუცა წამსაცა ერთსა ჯოჯოხეთი არა იხილნე, არა თუ საუკუ-
ნოდ ჯოჯოხეთი?

რა არს ცეცხლი საუკუნე საუკუნეთა?

— დაუსრულებადი ტკივილი და არა ღხენა, დაუსრულებადი 185
წვა და არა განღვევა, დაუსრულებადი ტანჯვა და არა გამოქსნა, და-
უსრულებადი კვნესა და ტკივილი და არა დადუმება, დაუსრულე-
ბადი ღრქენა კბილთა და არა დაცადება, დაუსრულებადი შეკრვა
ჯაჭვითა და არა განქსნა, დაუსრულებადი ყვედრება ეშმაკთაგან და
არა ნუგეშინის-ცემა, დაუსრულებადი სიმყარაღ და არა განქარ-
ვება.

განეკრძალეთ დღესა მას საშინელსა / და განვემზადნეთ აღდ- 185
გომისა ჩვენისათვის და მოველოდეთ ქრისტესა და შევიტკობთ მარ-
ხვა ესე მომავალნი და უფრომს გვიხაროდეს ზატიკობისა და დღე-
სასწაულისა, რათა მარხვისა ამის მიერ განვიწმიდოთ შებლალული
სული ჩვენი და განწმედილი მივაგებოთ ქრისტესა, რომელსა მცირე-
რედი რამე ძღვენი გაგვეყვეს საგძლისაგან ჩვენისა, რათა შევართვათ
ჩვენთვის ჟვარ-ცმულსა მცირედნი ესე მოღვაწეებანი: მარხვა, ლოც-
ვა, მღვიძარება, ცრემლნი, მუკლთ-დრეკანი, მკერდსა ცემანი, ნუ-
უკვე შეიწირნეს, ვითარცა ორნი მწვლილნი ქერისანი, და მოგვი-
ტევენს ჩვენნი აუარებელნი ცოდვანი და არა მიგვეყნეს ჩვენ ცეცხ-

¹ მათე 25, 41—42.

186 ლსა მას საუკუნესა, რამეთუ მასა შვენის / დიდება მამისა თანა და ძისა და სულისა წმიდისა აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, ამინ¹.

11. სწავლა ალღომისათვის მკვლართასა.

„მოვალს უამი და აწვე არს, ოდეს მკუდართა ისმინონ სიტყუანი ძისა ღმრთისანი... გამოვიდოდინ კეთილისა-მოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტის-მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა“ — იოანე მახარებელი იტყვის ე, კმ².

გესმისთ, მორწმუნენო, ვითარ განცხადებით გვიბრძანებს აღდგომასა მკვლართასა და მეორედ პორტო-შესხმასა და კეთილის-მოქმედთათვის სუფევასა დაუსრულებელსა, ხოლო ბოროტის-მოქმედთათვის სატანჯველსა საუკუნესა? /

187 იყვენენ ჰუროათა შორის სადუკეველნი, რომელთა არა რწამდათ აღდგომა მკვლართა და აწცა არიან კაცნი ინდოთა შორის და წარმართთაგანნი ვინმე კვალად. ხოლო აქაცა მესმა კაცთაგან, რომელთა მათ სმენოდეს ვისგანმე უცებთაგან: «ვითარ აღდგენ მკვლარნი, დამპალნი პორტნი და შიშველთა ძვალთა სადამე-ლა შეიმოსნენ მპეტათაგან შექმულნი პორტნი?»

აწ, საყვარელნო, ესე ვითარი გულისთქმა არც-და თუ პირუტყვეთა მიერ ჭერ-არს, არა თუ პირმეტყველისა და სიტყვიერისა კაცისა მიერ. ვინა მეტყველებს ჩვენ შორის? რომელი არა პირუტყვებრ მძასა ერთსა რაჟსა-მე იძახებენ? ვინა არს ესე, რომელი აღდგების წადილსა ჩვენსა და არა მპეტებრ იქმს? რა იგი უნებს? მაშა, / ვინაჲთგან უფალი და უპატიოსნესი გვამისა ჩვენისა. გვეზრახების შინაგან ჩვენსა, რომელსა აქეს პელმწიფება დიდი თავთა მომართ ჩვენთა, რომლისათვის გარდამოქდა და მოკვდა ქრისტე და აღდგა-მაშა, იგიცა ჭერ-არს, რათა აღდგეს ქრისტეს მიერი და შეიმოსოს კვალად პორტნი, ვითარცა ქრისტემან!

188 არა თუ, ძმანო, პირმეტყველნი ესე მოკვდებით მსგავსად პირუტყვეთასა, რომლისა სამშენიველი სისხლი არს და უსიტყვეო, და, ვითარ მოკვდა, არლარა აღდგეს, რამეთუ იგინი განქარებადნი არიან, ხოლო ჩვენ პირმეტყველნი და ქრისტეს მიერ განთავისუფლებულნი ჭეშმარიტისა საქმითა და მართლისა ცხოველებითა აღდგ-

¹ ხელნაწერი უმატებს: „ქრისტე, შეიწყალე საბა ორბელიანი“.

² იოანე, 5, 25 — 29.

გეთ უეჭველად, ვითარცა თქვა ზემორე იოანე მახარებელმან, და
კაცად-კაცადმან მიიღოს ქმ/ნილთა თვისთა შემსგავსებული მისაცე-
მელი.

189

ამისთვის იტყვის დანიელ წინასწარმეტყველი: „მრავალნი რომელნი დაძინებულ იყვნენ ქუეყანასა მიწასა, აღდგენ ერნი ცხორებ-
დალ საუკუნოდ და რომელნი მაყუედრებდა, სიცხვილად საუკუნოდ,
და გულისხმის-მყოფელნი გამობრწყინდენ, ვითარცა ბრწყინვა-
ლება სამყაროსი, და მართალთაგანნი, ვითარცა ვარსკულაენი ცისა-
ნი, საუკუნოდ მარადმცა“¹.

აწ უკვე პკონებთა, ძმანო, მკვდარნი ესე, რომელნი ქრისტეს
მიერ მიიცივალნენ, არღარა აღდგენა? რაჟსათვის იტყვი ესევეთარსა
სიტყვასა მსგავსად უგუნურთასა, რომელთა არა პკონიეს ღმერთი
და შექმნილნი მის მიერ ყოველნი? ნუ ემსგავსები კალმახსა მძვინ-
ვარესა: რაჟამს იხილის სამკედღურთა ზედა თევზი / აცმული, გინა
სხვა რაიმე ხილვითა მით განუნახველთა შთანთქის და სიკვდილი
შეამთხვივის თავსა თვისსა, ხოლო ორაგულთა და სხვათა ვიეთთა
ოდეს იხილიან ეგვეითარნი, განიზრახვიან და იტყვიან, ვითარ:
«კაცნი ჩვენდა საზრდოსა არა მოგვეცემენ, / არამედ ჩვენი ნებავსთ
თავისა თვისისა საზრდელ-ყოფა» — და განივლტიან.

190

უკეთუ თევზთა უკმოთა და უცხოზოთა ეგეოდენი ცნობა აქვსთ;
რომელი იხილის სამკედღური დაფარული პორცთა შინა, სტნის და
განევლტის და არა შეკვამის, შენ პირმეტყველსა არა გაქვსა გამოძი-
ება საქმეთა? და ოდეს იხილი გვაძი მკვდრისა მდებარე უსულო,
პკონი, ვითარმედ: არღარა არს დაფარული / საიდუმლო მას შინა;
და შთანთქა შენცა ეშმაკისა მიერი სამკედღური დაფარული და გა-
ება უსასოებისა ანკესსა ზედა.

191

უკეთუ გვაძი კაცისა სულიერი გიხილავს უსულოდ მდებარე:
და აღდგომილი არა გიხილავს, გაჩვენო მე სხვა უსულო დაფლულთ
მიწათა და კვალად უმრავლესად აღდგომილი, რომლისათვის ვიჭირ-
ვით ყოველნი დათესვად ყანათა და მტილთა, რომელნი უსულონი
დაეფლვიან და უმრავლესად აღდგებიან და ნაყოფთა უმრავლესთა
პყოფენ.

უკეთუ უსულო აღდგეს მკვდრეთით, სულიერი კაცი არა აღდგე-
სა? რომლისათვის მიუწერს პავლე მოციქული პირველსა ებისტო-
ლესა კორინთელთა იფ, ლვ: „უკეთუ ვინმე თქუას: ვითარ-მე აღდ-
გენ მკუდარნი, ანუ რომლითა-მე პორცითა მფვიდეს? უგუ/ნურო,
შენ რომელი დასთესი, არა ცხონდის, ვიდრემდის არა მოკუდის. და

192

¹ დანიელ 12, 2—3,

რომელი იგი დასთესი, არა იგი გუამი, რომელი ყოფად არიან, დას-
თესი, არამედ შიშუელი მარცხული იფქლისა, გინა სხვაა თესლი,
და ღმერთმან მოსცის მას გუამი, ვითარცა უნებს“¹.

აქა იხილეთ და გულისხმა-ყავ: ვითარცა მარცხალი დაეთესა, მი-
წასა დაეფლა და დალბა და აღმოაცენა ღმერთმან ჭეჭილი ახალი
და აღივსო ნაყოფითა მრავალითა იგივე გეამი მარცვლისა მის, ეგ-
რეთვე აღადგინეს კაცთა დათესილი მიწათა შინა და დამპალი მე-
ორედ და აღავსოს ნაყოფითა უმრავლესითა, ვითარცა არს თესლი
იგი მწარისა ნაყოფისა, გინა ტყბილსა და კეთილისა მსგავსად საქ-
მეთა მათთა.

193 კაცი გიხილავს უძრავად მყოფი და შთასრული / ქვეყანასა ქვე-
შე და არა აღდგომილი, ხოლო მე გაჩვენო ცხოველიცა², რომელსა
კუდ სახელ-სდებენ, და გველნი და მყვრელნი, ოდეს მოეახლებათ
სიკვდილისა მსგავსი ზამთარი უნაყოფო³ და განმხრწნელი⁴, მაშინ
თვით განსთხრიან საფლავებსა მათთვის და მოკვდებიან; რომელ-
ნი არა სჭამენ ექვს თვე, არცა ჰაერსა იყნოსებენ, არცა მზესა იხილ-
ვენ, რომელი შეუძლებელ არს ყოველთა კაცთა მიერ, და რა მზე-
სა სიციხე აღმატების და მოიქცევის ჩრდილოეთ კერძო, შარავანდე-
დნი მზისანი აღადგინებენ მკვდართა მათ და განაცხოველებენ და
იწყებენ სლვასა.

94 უკეთუ ღმრთისა მიერ შექმნილსა მზისა სითბოჲსა შემოსასა ესე
ძალ-უც, რათა აღადგინოს მომკვდარნი და დაფლულნი⁵ კუნი / და
გველნი და სხვანი ეგვეითარნი, არა ძალ-უცა სიმართლისა მზესა
მას მაცხოვარსა ჩვენსა იესუს, ოდეს მოვიდეს შემოსილი დიდე-
ბითა თვისითა, პირმეტყველნი კაცნი აღადგინოს მკვდრეთით, რო-
მელთათვის აქვს მისაგებელი მართალთა და ცოდვილთათვის?

მრავალსა ჰხედავთ თვალითა თქვენითა მწერთა, ბუზთა და მკალ-
თა და ჭიათა, რომელნი ყოველნივე მოკვდებიან ჟამსა ზამთრისანა
და ღმერთმან აღადგინოს გაზაფხულ. რომლისათვის დასწერს პაულე
პირველს კორინთელთა ეპისტოლისა იე თავში: „არა ყოველნი
ქორცი ერთოქორც არს, არამედ სხუა არს ქორცი კაცთა და სხუა
ქორცი არს პირუტყუთა“⁶.

იხილეთ აქა: უკეთუ პირუტყვთა ქორცი ბუზთა და ჭიათანი

1 კორინთ. I 15, 35 — 38.

2 ცხოველიცა.

3 უნაყოფონი.

4 განმხრწნელი.

5 მომკვდარი და დაფლული.

6 I კორ. 15, 39.

ესრეთ პატიოსან ყო ღმერთმან, რათა მომკვდარნი კვალად აღ/აღ- 195
გინოს, ჰორცი ესე კაცთა პირმეტყველთა, რომელი ესრეთ პატიო-
სან შექმნა და შეიყვარა ვიდრე თვითცა ვანჰორციელდა, ესე არა
უფროასად უდიდებულესად არა აღადგინოსა?

უკეთუ გონება შენი არა აზმნობდეს აღდგომასა კაცთასა, ვინა-
მთგან დალპებიან ჰორცინი ჩვენნი და განიბნევიან მიწათა შინა:
რომელიმე სადა, რომელიმე სადა და ძნიად აღგიჩნდეს შეკრება და
შენაწევრება ამისი, მოილე, ძმავ, ვეცხლის წყალი და დასთხიე
სახლსა შინა ერთსა მტვრიანსა და დაუგველსა და განიხილე, თუ
ვითარ განიბნევის და უჩინო იქმნების. და შემდგომად დაგავე სახ-
ლი იგი და შეჰყარე მტვერი იგი ერთად და აღურიე ჰელითა შენი-
თა და შეაფ/რქვიე მტვერი ნელიად, შეაგროვე ვეცხლის წყალი 196
ერთად, უკეთუ ყოველი გვაში მისი არა ყოველივე შეიერთოს და
დაადგრეს ვგრე, ვითარ იყო.

უკეთუ შენ მიერ განბნეულსა უსულოსა ვეცხლის წყალსა შე-
აგროვებ და შეაერთებ თვით შენვე, არა ძალ-უცა დამბადებელსა
შენსა და მის ვეცხლის წყალისასა, რათა შეაგროოს და შეანაწევ-
როს დამპალნი და განბნეულნი ჰორცინი კაცისანი?

სხვასცა რასამე სახესა გაჩვენებ მკვდართა აღდგომისასა: შე-
იყარ ბზიკი ერთი, ანუ მწერი და ბუზი და შთააგდე ღვინოსა შინა,
ვიდრე დაიშთოს და არღარა იყოს სამშვინველი მისთა. შემდგომად
სიკვდილისა მისისა დაფალ მარილთა შინა მცირედ წამ ოდენ / და 197
იხილე, ვითარ აღდგეს და განცოცხლდეს.

უკეთუ შენ მიერ მომკვდარი ბუზი¹, მარილთა შინა დაფლული²,
აღდგეს, არა აღდგენა კაცი ძედ ღმრთისა წოდებულნი და ქრისტეს
მიერ მიცვალებულნი ძმანი მისნი, ქრისტეს მიერ მიწათა დაფ-
ლულნი?

საყვარელნო, უწყოდეთ, რამეთუ მძინარეობა, რომელი დაგვდვა
ჩვენ შემოქმედმან, იგიცა სიკვდილისა მოსაძენებელი არს, რამეთუ
ვითარცა რა განიღვიძის მძინარემან და აღდგის ძილისაგან და განუ-
ქარდის, რაცა იგი იხილის სიზმარსა მას შინა, ვგრეთვე მსგავს მის-
სა ჩვენდა არს ძილი ესე, ვითარცა სიკვდილი, რამეთუ არა იციან
მძინარეთა, რასა იქმან ქვეყანათა ზედა, ვითარცა მკვდართა, ვიდრე
არა განიფრთხონ. და სოფელი / ესე მსგავსად სიზმართა რამეთუ 198
ცულ არს და საწუთო და აღრე განქარვებადი. ვინამთგან მრავალნი
წინასწარმეტყველნი მტყვიან ჩვენ მკვდრეთით აღდგომისა ჩვენი-

¹ ბუზნი.

² დაფლულნი.

სათვის და სხვანიცა მრავალნი მისხენ წინა, ვინამთგან თავთა შორის ჩვენთაცა მაჩვენებს ძილი და მასწავებენ მკვდრეთით აღდგომასა და განცხოველებასა, ჩვენცა დაჰამტკიცენით გონება ჩვენი და ნულარა ცუდსა გულისთქმასა მივჰყვებით, რამეთუ ჰეშმაზიტად აღვსდგებით მკვდარნი მერმისა მას უეჭველად.

199 რამეთუ იტყვიან ფრინველსა ერთსა, რომელსა უწოდიან ფინიქსი, რომელი მოიღებს შეშასა მრავალსა და შეახორაებს და დაჭდების მას ზედა და უბერაუნ ფრთითა თვისითა, ვიდრე აღდევას ცეცხლი, ხოლო შემდგომად ცეცხლთა აღ/დებისა და დაწვისა ფინიქსისა მის, ოდესცა მობერის ქარმან და განაბნის ნაცარი იგი, იპოვის მუნ შინა რაიმე, ვითარცა რკინა, მსგავსი ისრის პირისა, და ძალმან სიცხისამან შექმნის იგი, ვითარცა მატლი¹, და აღიზარდის იგი და იქმნის ფინიქს.

ანუ არა გიხილავსთა აქა ყოველთა ჳიანი აბრეშუმისანი? ვიდრე ჳაბუკ არს, იზრდების ჳამადისა მიერ და არარა ეურეებონ თვისისა მუცელთა მეტი, და, ოდეს დასრულდების, იწყებს მუშაკობად აბრეშუმთა; დაშვრებინ და თვითვე შეამზადებს სახლსა მუცლისაგან თვისისა მსგავსად საფლავთასა და არს რაოდენ ეამ მას შინა მკვდარი. და შემდგომად იგიცა აღადგინის ღმერთმან და გამოვიდის საფლავით.

200 საყვარელნო, ამით ყოვლითა სახითა და/ამტკიცეთ გულთა შინა თქვენთა, რათა ჩვენცა აღდგომად ვართ შემდგომად სიკვდილისა ჩვენისა და ნურღარა ვიცელობით ამა საქმესა. ზედა და ნურცაღა გულთა შინა მცირედ განვივლებთ ბოროტსა ამას გულისთქმასა, ვინამთგან ვიარწმუნებთ: აღდგომასა მკვდართასა, და განმზადებულ ვართ სიკვდილად. და უწყით: შემდგომად სიკვდილისა მიეცემის კეთილისა მოქმედსა კეთილი, ხოლო ბოროტისა მოქმედსა — ბოროტნი² საკანონონი.

201 აწ ვიწყით კეთილისა ჳმნად კაცთა ამათ პირმეტყველთა და თავისუფალთა, ვისმინოთ წერილისა და აღვასრულნეთ მცნებანი ღმრთისანი და რომელთამე უმეტრებით გვეცოდოს, შევინანოთ³ და ვიდვაწოთ, რათა კეთილისა მოქმედნი აღვდგეთ აღდგომასა მას ცხორებისასა. / ანუ მივემსგავსნეთ ჳიასა მას და ვიმუშაკოთ თავით ჩვენით სამოსლები გლახაკთა, ბრალთა ჩვენთა შესანდობელად, ანუ შევკრიბნეთ ფინიქსისაებრ შეშანი სინანულისანი კანონად და და-

¹ მტლი.

² ბოროტი.

³ შევინანეთ.

საწვავად ცოდვათა ჩვენთასა მოძღვრებითა სულიერისა მამისა ჩვენისაითა, ანუ ვიქმნეთ მწერტელ მწარე, ვითარცა ბზიკი მანენებლისა ბუდეთა გულისა ჩვენისათა, და განვიოტებდეთ სრბით გულის სიტყვათა ჩვენთა, რომელი ავნებს ბუდეთა გულისა ჩვენისათა, ანუ ვიქმნათ მწერთა და ბუზთაგანი, ვითარცა ფუტკარი შემშხადებელ თაფლთა უტკბილესთა მოწყალეებათა და ძმთმოყვარებისა, ანუ აუთა მსგავსად ვიყვნეთ მშვიდ და არა გესლოვან, / ანუ გველებრ მეცნიერ და განვექრძალნეთ თავთა ჩვენთა, რა იგი არს დამბარკოლებელ ჩვენდა, ღღესა მას აღდგომისასა არა ვქმნათ იგი, ანუ განვისპეტაქნეთ ცოდვათა ჩვენთაგან თავნი ჩვენნი მსგავსად ვეცხლის წყალთასა, რომელსა არა მიეხების ბიწი მცირე ერთისა ცახეთაცა ოდენი, ანუ ვიქმნეთ მარცვალი იფქლისა და არა ღვარძლისა, რომელი კაცთა ამის სოფლისათა შეჰკრიბა იესუ ქრისტემან, ღმერთმან ჩვენმან, და განარჩია ღვარძლისა მისგან წარსაღებულად საუნჯესა თვისსა, რომელთა მსგავსად სახეთა მათთასა მკვდარნი, მსგავსად სახეთა მათთა მოქმედებულნი კაცობრიუსა აღდგომასა და პირმეტყველთა კაცთა განცხოველებასა ღირს ვიქმნეთ. /

202

რომლისათვის მიუწერს მოციქული პავლე თესალონიკელთა პირველისა ებისტოლისა მეოთხესა თავსა შინა: „ხოლო ამას გეტყვთ თქუენ სიტყვთა უფლისაათა, ვითარმედ: ჩუენ ცხოელნი რომელ დაშთომილ ვიყუენით, მოსლუასა მას უფლისასა ვერ უსწროთ დაძინებულთა მათ, რამეთუ თავადი უფალი ბრძანებითა და ქმითა ანგელოზთ-მთავართაათა და საყვირითა ღმრთისაათა გარდამოქდეს ზეცით და მკუდარნი იგი ქრისტეს მიერნი აღდგენ პირველად“¹.

203

საყვარელნო, ვინაფთგან მკვდარნი აღდგომად ვართ, ყოველნი ნათესაენი შეკრებად და ანგელოზნი და ძალნი ზეცათანი მოსვლად, და ღმერთი მართლმსაჯული განსჯად, ცხოველთა და მკვდართათვის დაჯდომად არს, და მუნ ყოველნი მეფენი და მონანი, მდიდარნი და გლახაკნი, მართალნი და ცოდვილნი / ქედღადრეკითა წარდგომად ვართ, მაშა, აწვე გვიღირს განმზადება ღლისა მისთვის და ჟამისა, სადა არა საქმარ არს სპათა სიმრავლენი, მკვდართა განწყობანი, დიდებულთა შეკრებანი, საუნჯეთა განსაჯებანი, ოქროთა და ვეცხლთა უამავრობანი, თვალთა და მარგალიტთა ძვირფასობანი, შესამოსელთა ფერად-ფერადობანი, ცხენთა და იარაღთა სხვადასხვაობანი, სადა არა სარგებელ არს მეფეთა და მთავართა კეთილ-განმზრახე-

204

¹ I ებ. თესალ. 4. 15—16:

205 ობანი, წარჩინებულთა მეგობრობანი, მეგობართა და მოყვარეთა. შეერთებანი, ძმათა და შვილთა უწესურად სიყვარულნი, ყმათა და შინათა არა კეთილად-სამსახურებანი, / სადა ოპერ არს მონახვევითა, ნატაცებთა, ნაანგარევთა შეკრება და მოღებულთა ქრთამთა, არღარა არს განცემა, რათა მის მიერ შეიწყალო ვინმე, სადა არა არს განვლენა შიშთა. ჩვენთა ქადილთა და ზვაენი სიტყუენი, სადა ცელ არს მსოფლიონი ლხინნი, სმანი, სიმთვრალენი, სანოვავეთა და ქამადთა გემოვნებანი, ლაღობანი, განცხრომანი, სიცილნი, სიმღერანი და ყოველნი მსგავსნი ამათნი, არამედ მუნ — კეთილი და ნუნალად წარსადებელნი, რომელნი მიერთმიან ძღვენად დიდსა მას მეუფესა, რომლისა მიერ იხილვების პირი მისი მხიარულად, გლაბაკთ-მოწყალებანი, სტუმართ-მოყვარებანი, უცხოთ-შეწყნარებანი, მშეერთა. 205 კმევეანი, მწყურვალთა სმ/ვეანი, შიშველთა შემოსანი, სნეულთა ნახვანი, პერობილთა მიხედვანი და მსგავსნი ამისნი.

აწ, საყვარელთო, ირწმუნეთ, რამეთუ მკვდარნი აღვსდგებით და წინაშე უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისასა წარვსდგებით. ამისთვის აწვე განემზადეთ და შეუკრიბეთ ნუზლი და საგზალი პატიოსანი. თავსა თქვენსა, რამეთუ: რომელი წარვიდის წინაშე მეფისა მსოფლიოხსა, განამზადებს ძღვენთა, რა იგი სთნავს მეფესა მას, და მოივაჭრებს ანუ მოიშოებს მას მირთმად მისსა, სადაცა იპოვა, ხოლო მეუფესა მას, რომელი მას დღესა პელმწიფებს, არა უნდა ძღვენი მრავალფასისა, არცა რომელი არა აქვს კაცსა, არამედ რა 207 იგი მოგაჰსენე ზემორე, იგი არს ძღვენად მისალე/ბელი მისდა და სიმართლეს, სიმდაბლეს და მოთმინება, რათა მას თანა დაემკვიდროთ უკუნისამდე, ამინ.

✓ 12. სწავლა სიკვდილის ღლისათვის.

„მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც“, — დასწერს მოსე ზ თავსა შინა შესაქმისასა¹, რომელი ღმერთმან უბრძანა აღმას, მამასა ჩვენსა, ოდეს მოიღო მიწა და შემზადა პორცი და შთაბერა სული ცხოველი და დაადგინა სამოთხესა შინა.

მსოფლიო მეპატრონემან რა კაცსა შერისხოს და განაძოს, ვითარ შეწუხდებიან მოყვასნი მისნი?

208 და ამცნო ცნებათა დამარხვა, ხოლო იგი გარდაჰდა განზრახვითა ეშმაკისაჲთა და გამოაძო ღმერთმან საშვებელით და უბრ/ძანა:

¹ შესაქმე, 3, 19.

«მინა ხარ და მიწად მიიქეცო, რამეთუ შენება, რათამცა უკვლავ გუომცა, და აწ მოკვდავად დამისჯისარ მიწა ეგე მიწიერი». არა თუ მარტო ადამ დასაჯა სიკვდილითა, არამედ ყოველნი ძენი და ნათესაენი მისნი მოკვდავ ვიქმენით უქენისამდე.

განიხილე ესე, ვითარმედ: რა პორციელი ესე კაცი სხვათა ვისმე მოყვასსა განუჩრისხნების და მტერობასა იქემებს, იგი მეორე განემზადების და განიკრძალვის თავსა თვისსა მრავლის ღონისძიებითა: აღაშენებს ცისეთა და მოიპტიცებებს ზღუდეთა და აღავსებს ნუზლითა და განამრავლებს წყალთა და დაადგენს ებგურთა და გუშავთა. და უკეთუ გამოვიდის მუნით, აღიპურვის ჯაჭვი/თა და შეიბამს მახვილთა და საჭურველთა და ეგრე განიკრძალვით მზა ჰყოფს თავსა თვისსა.

269

ჰხედავა, ღმერთი ბრძანებს მოკვდავებასა ჩვენსა? მოსე დასწერს დასაბამსა: „და სიკუდილი, მტერი ჩუენი, გვექადის“. და ჩვენ არა განვემზადებით და არა მოველით სიკვდილსა: გვესმის მამა-პაპათა ჩვენთა დაჰოცა, ვხედავთ თვალთა ძმთა და მოყვასთა ჩვენთა სიკვდილსა, საფლავთა თვით ჩვენვე უხბრით და ჩვენი სიკვდილი რეცა არა გვეგონიეს და არცა განვემზადებით; შვილთა და შვილისშვილთად მათისა თესლისათვის ვამზადებთ სამარხოთა აკლდამათა და დიდებულთა მონასტერთა, რათა იგინი დაე/ფლან, რათა გვექმნენ გვარდილობა სასაფლაოთ ჩვენით ამპარტავენებისათვის, ხოლო ჩვენსა სიკვდილსა არა მოვიგონებთ, არცა გულისხმა-ვყოფთ, არცა განვემზადებით. თუმცა მამა-პაპანი მოკვდენ და ძმთა და მეგობართა ჩვენთა ვმარხავთ და შვილისშვილთათვის სამარხოთა ვამზადებთ, ჩვენ არა მოკვდეთა? ჩვენცა გვიღირს განმზადება სიკვდილად, არამედ გვძულს და სახელისა მისისა ქსენება გვეძაგების, არამედ სიძულვილითა ვერ განვერებით, უწყოდეთ.

210

რამეთუ ესე წმიდა მარხვა არს განმამზადებელი ჩვენი და განმწმედელი სულთა ჩვენთა, ხოლო თქვენ, ძმანო და მოღვაწენო, რაოდენთა დღეთა წმიდათა ამათ/მარხვათასა განვლეს, ფრიად გვიხარის და ვთვლით დღეთა მათ ზატიკობადმდე, რალა მაკლს ჩვენ. და ვიხარებთ უზომოდ მოსლვისათვის ზატიკისა. მივალს მარხვა და მოვალს ზატიკი. გვინებს ადრე მოსლვა ზატიკისა და თანა ჰყეება უკანა მისა, ვისი არა გვენებაეს მოსლვა ახლორე და იგიცა მოვალს, ვისისაცა სახელისა ქსენება გვძულს, თანა-შეუდგს, რომელი სათქმელად გვძაგს. ვიგონებთ ზატიკობისა ღონისა და მოვიგონოთ სიკვდილისა გოდებაცა; ვითარცა განვემზადებით აღვსებისათვის, ეგრეთვე განვემზადნეთ სოფლით განსლვისათვის. გვეტკობის აღვსებისა მოსლვა, არამედ დავემწარდების, რომელი თანა მოჰყავს უნებლიეთ ჩვენსა, მისი მოსლვა.

211

212

კეთილ-არს აღდგომისა დღე, ბოროტ-არს დაპოვისა ჩვენისა დღე.

რაოდენ დღე და დამენი ესე განვლიან, ეგოდენ სიკვდილი მოგვეახლები. ამისთვის იტყვის წმიდა ეფრემ ასური: „ვაჲ, რა ავი მოსასულელი მოგვევალს! ვაჲ, რა უწვევარი სტუმარი არს! ვაჲ, რა საძაგელ არს კმაჲ ჰამბვისა მისისა! ვაჲ, რა შესაძრწუნებელ არს განმზადება მისთვის მასპინძლობად! ვაჲ, რა საზარელ არს შეყრა მისი და საშინელ ხილვა პირისა მისისა!“

213 და თუ იკითხო: სიკვდილი რაჲ არს, ანუ რის / არსებისაგანი არს, მე ვითხრა შენ: სიკვდილი ვითარცა არარაჲ არს და განმსაქარებელი ჩვენი არს; სიკვდილისა არსება უჩინო არს და ხილულისა ჩვენისა არსებისა უჩინო მყოფელი არს; სიკვდილი უპორცო არს და პორცთა ჩვენთა დამადნობელი არს; სიკვდილი უსულო არს და სულთა ჩვენთა წარმტაცებელი არს; სიკვდილსა ძარღენი არა ასხენ და ნაწევართა ჩვენთა დამქსნელი არს; სიკვდილსა ძვალნი არა აქვს და ძვალთა ჩვენთა განმაშიშვლებელი არს; სიკვდილი უკმო და უსიტყო არს და სიტყვათა ჩვენთა დამადუმებელი არს; სიკვდილი უცნობო არს და ცნობათა / და გონებათა ჩვენთა მიმღებელი არს.

214 გვეშინოდენ სიკვდილისაგან!
უკეთუ არა სჯერ-ხართ, სიკვდილი მესისხლე არს ჩვენი; სიკვდილი მამის მკვლელი არს ჩვენი; სიკვდილი მშობელთა ჩვენთა დამპოცელი არს; სიკვდილი ძმათა და ნათესავთა ჩვენთა ამომწყვეტელი არს.

ვეჭრძალნეთ სიკვდილსა!
ჩვენდაცა მზა არს მოსიკუდილ და წარწყმედაცა ნებაჲს და შთაყვანა, ვიდრე ჭოჯოხეთამდე. სიკვდილისა ზარმაცი ცხენი გვეწევა და ჩვენი სწრაფი ცხენი ვერ წარელტვის. სიკვდილისა უქონელი პრმალი ჩვენთა პორცთა განჰკვეთს და ჩვენი რკინის მახვილი მას ვერას ავენებს; სიკვდილისა უკმო კმა გაგვანქრავს და ჩვენი მრავალმოუბარი ენა მას ვერას შეასმინებს; ჩვენი ვედრება მას ვერ მოამშვიდებს; ჩვენი ლიქნა მას ვერ დააწყნარებს, ქრთამი ვერ დაგვამეგობრებს; ოქრო და ვეცხლი ვერ დაგვაწყობს. ესრეთ უწყალოა ჩვენ ზედა.

215 ვაი, მოსლვისა მისისა მოლოდინსა!
წმიდათა კაცთათვისცა საზარელ არს მოსლვა მისი, რამეთუ იტყვის ფსალმუნნი ნდ: „შიში სიკუდილისა დამეცა ჩემ ზედა“¹, და სხვაგან იტყვის: „მიწად სიკუდილისა შთამჰადე მე“². რასა-ლა

¹ ფს. 54, 4.

² ფს. 21, 16.

ვიტყვი დავითისა და სხვათა წმიდათა, თვით მაცხოვარი იტყოდა მარკოზის იდ თავსა შინა: „შეძრწუნებულ არს სული ჩემი, ვიდრე სიკუდილმდე“¹.

უკეთუ ესრეთ შესაძრწუნებელ არს სიკვდილი / მართალთათვის, 216
ვაი, რა-მე ეყოს ცოდვილსა?!

რამ მოეახლოს და შეედეგას სნება, ურიცხვი, ნაანგარები მისი საუნჯე წარაგოს მკურნალთა ზედა და არა ეკურნოს, წარიწიროს სასოება და უმატოს კენესასა, მოედნეს ფერჰნი და არღარა ერჩიდეს ჰელნი, მოაკლდეს თვალნი და არღარა აქენდეს სმენა, დაუღუძდენ ენანი და შექმნან ხრტიალნი, აწყვეტდეს ჰელთა და ელოდეს შემწე-
თა. მას უამსა განახვნას თვალნი, იხილნეს დედაწულნი თვისნი მკმუნვარე, — მოიხედნეს მარჯვენით კერძო, იხილნეს გუნდ-გუნდ-
ნი ეშმაკნი, — მოიხედნეს მარცხენით, იხილნეს ცოდვანი მისნი ური- 217
ცხენი, — დაიხედოს ქვე, იხილის ჯოჯობ/ეთი პირ-ამკით, — აღიხი-
ლის ცად, იხილის ღმერთი განრისხებულნი, — წარხედის წინა
კერძო, იხილნის სატანჯველნი მისთვის განმზადებულნი, უკუიხედოს
ზურგით, იხილნის საუნჯე თვისა და სახლ-კარნი და მონაგები თვისი
ურგებად მისად დაშთომილი. რამ ვერღარა ღონე იძიოს, შეშფო-
თებულმან, შიშისა ზარისაგან უსასომან დაცალის გვამი და წარიტა-
ცის სიკვდილმან, რომელსა მრავალი ეგვევითარი უქმნიეს.

რაოდენი სიმრავლე მოუსპოლავს და რაოდენი შენებულობა
აღუოპრებდეს! რაოდენნი² სახლნი დაუცალიერებდეს და რაოდენი
დედაწული მოუწყვეტიეს! რაოდენნი მძლავრნი მეფენი დაუციეს
და რაოდენნი დიდებულნი ჰვებულ-უქმნიეს! / რაოდენნი შვილმრავ- 218
ალნი უშვილო უყოფიეს და რაოდენი მწოვებელი გაუქმდეს! რაო-
დენნი ჩჩვილნი მშობელთათვის წარუგვრიეს და რაოდენი მხოლოდ
შობილის დედა აუტირებდეს; რაოდენი საქორწინე ჰაბუკი მამის
წინ მოუკლავს და რაოდენი სასძლო ქალი დედისათვის მოუტაცდეს!
რაოდენნი ორსულნი, ყრმის მსასოებელნი, თვითცა მოუკვეთიეს და
რაოდენნი ლზინად განმზადებულნი ჰაბუკნი ჰირისათვის მიუციეს!
რაოდენნი საყვარელნი ურთიერთს განუყრიეს და რაოდენნი მო-
სურნენი ერთმანეთისათვის მოუშორებდეს! რაოდენი სამკაული
მუდრეგ-უქმნიეს და რაოდენი თვალ-მარგალიტი სხვისად-სხვისთვის
მიუციეს! რაოდენი ძნიად და / მრავლის ჰირით ნაშოვარი ოქრო და 219

1 მარკოზ 14, 34.

2 რაოდენი.

ვეცხლი ადვილად გაუბნევიეს და რაოდენი მოკაზმულობა მოუმტვერებოეს!

ამას განვეკრძალნეთ დღითი-დღე! ამისა საგონებელსა ვიყოთ!

220 რასცა ხვალე და ზეგე მოველით, გინა მერმისა მას წელიწადსა მოვიცდით, უკანა შეუდგს სიკვდილი და სწრაფით მოვალს ჩვენ კერძო. ამისთვის ბრძანებს მაცხოვარი მათეს სახარების კდ თავსა: შინა: „უკეთუმცა უწყოდა სახლისა უფალმან, რომელსა საძმილავსა მპარავი მოვალს, იღვძებდამცა და არა უტევა დათხრად სახლისა თვისისა“¹. ამისთვის თქვენცა იყვენით განმზადებულ და ვიღვიძებდეთ, რათა არა უტეოთ დათხრად სახლისა ჩვენისა, არა თუ ამა სახლისა დათხრად, მას წარუ/ვალისა სახლისა დათხრად, — ვიღვიძებდეთ, რათა არა უტეოთ საუნჯისა ჩვენისა წარპარვად, არა ამა საუნჯისა, რომელსა მლილისა საქმლად სახელსდებს უფალი, არამედ მის წარუპარველისა საუნჯისა, რამეთუ მღვინძარება და არა-ძილი აწვე განმზადება არს და მპარავი სიკვდილი — მოაქარი ყოვლისა სოფლისა. უკეთუ სიკვდილი გვეწიოს და განუმზადებელი გვპოოს, დაითხრების სულისა ჩვენისა სახლი და ქვე-ჩამოიზვლევს და წარიპარვის და წარიტაცების სულისა ჩვენისა საუნჯენი.

221 ნუ, ძმანო, ზედასა ზედა ვიგონებდეთ სიკვდილსა და განვემზადებოდეთ მრათის და ვსტიროდეთ. მოველოდეთ წარსლვსა ჩვენსა, გულისხმა-ვყოფდეთ საწუთოჲსა სიმოკლესა. შევიშინებდეთ / საუკუნოჲსა მის სატანჯველისაგან. სასოება გვაქვნიდეს მკვდრეთით აღდგომისა. ვიგონებდეთ მეორედ მოსლვასა ღიდისა მეუფისასა. მოვიქსენოთ ბილვა საშინელისა მის დღისა, რომლისა წარდგომად ვართ, რათა არა ეპოოთ განუმზადებელ ჰელთა შინა მპარავისა მის სიკვდილისა, რომელსა ნებავს მოკლვა ჩვენი, და ჩვენცა განვემზადნეთ და ვიყოფოდეთ განკრძალვით.

222 მოვიმტვიცნეთ სინანულნი ციხედ ჩვენდა, მოვივლნეთ ზღუდედ ლოცვანი მხურვალენი, შევზიდნეთ ნუზლად გლახაკთ-მოწყალეზანი, განვამრავლნეთ წყლად ცრემლნი მწარენი, დავიდგინნეთ ებგურად მოღვაწეზანი, შევიმოსნეთ ჯაჭვად სიმართლენი, შევიზნეთ მახვილად მოყვასთა სიყვარულნი და ამათ მიერ მზა ვყვენეთ / თავნი ჩვენნი, რათა განმზადებული შევემთხვივნეთ მტერსა ჩვენსა — სიკვდილსა და ვერღარარა საჯაბნე პოვოს ჩვენ თანა, და ესრეთ განწმენილი მივეახლნეთ ჩვენთვის სიკვდილად დასჯილსა ქრისტესა. რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

¹ მათე 24, 43.

13. სწავლა უდროოდ და ურბებად სინანულისათვის ᄑ

„ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინს-ცემულ იქმნენ“, — მათე იტყვის მახარებელი სახარებისა მისისა მეხუთესა თავსა შინა¹.

ნატრის მაცხოვარი ჩვენი მგლოვარეთა და უქადებს ნუგეშინი-ცემასა კაცთა გულითა შემუსრვილითა. ნუ ჰკონებთ, თუცა ნატრადღეს, რომელნი იგლოვენ მამა-დედათა, გინა ძმათა და დათა, ანუ მეუღლეთა და შვილთა, გინა მოყვარეთა სიკვდილსა ზედა, რომელთა რეცა არა აქვს სასოება აღდგომისა, და მსგავსად წარმართთასა ტირიან და იგლოვენ ამა უნდოასა სოფლისაგან მიცვალებისა და საუკუნოასა მის დიდებასა შინა მისლვისათვის. მათ არა ნატრია. არამედ ნატრის, რომელთა განუცდიათ ცოდვანი თვისნი და გულისხმა-უყოფიათ სიბოროტითა სლუათა მიერ და სნეულება სულისა თვისისა და უცნობიეს წყლულებანი, რომელნი ნებსით შეიმთხვივნეს. მას იგლოვენ და ინანიან გულითა. ამათ ნატრის და ნუგეშინსა სცემს. 223

რამეთუ ვითარცა მტერისა უწყალოასა მიერ ნაკრავნი ისარნი და სხვანი მახვილნი დაჰკოდენ და დააწყლულებენ ჰორცთა კაცთასა, ეგრეთვე უდიდესად / და უმძიმესად ცოდვანი მოსწყლვენ სულსა კაცთასა და დაჰკოდენ უწყალოდ; ვითარცა მკურნალნი და დასტაქარნი წყლულთა² მათ წამალთა და ემპლასტროთა და სალბუნთა მიერ უმსწრაფლესად და უადვილესად განჰკურნებს, [ეგრეთვე] სულსა შეცოდებულსა — გლოვანი, ტირილნი და სინანულნი მწუხარენი. და ვითარცა გვიან რა მოუნახონ მოყვანებად სნეულსა მკურნალი და მოწყლულსა მას. — დასტაქარი, და გარდაეკცეს სასიკვდილედ, და მიჰდეს სიკვდილი და არღარა ერგოს მის მიერ და უჰმარქმნეს მოსლვა მკურნალისა და ცუდ წამალნი მისნი მისთვის; ეგრეთვე უყამოთა და უდროოთა ყამათა ურ/გებელ და ცუდ არს სულისათვის ცოდვათა სინანული, არამედ ყამსა მარჯვესა და წესიერსა ჰამს, რათა ყოს სინანული და გლრვა. 225

ვითარცა ჭეჭილი ახალი აღორძინდებოდეს, ჭერ-არს მას ყამსა კაცმან ვინმე პოვოს მდელი, ანუ შამბი და გამარგლოს, ხოლო, უკეთუ მაშინ არა განიწმიდა, შეიშობის ეკალთა მიერ. და უკეთუ კვა-

¹ მათე 5, 4.

² წყლულებთა.

ლად. თავ-ასხმისა ესმთა არა განიმარგლა, არღარა არს ესმი გამარგვ-
ლისა მკისა ესმსა, რამეთუ ეკალნი და ყანანი მის მიერ შესთობილნი
ერთბამად მოიმკებიან. ეგრეთვე რომელსა ენებოს სინანული, ესმი
არს სინანულისა, რათა აღრე იქმოდეს და სწრაფით იწყოს გლოვად;
226 წილ/ არა აღმოიფხვრას ჭეჭილი; ეგრეთვე კაცთა მიერ ჭერ-არს, რა-
თა ცოდვათა ჩვენთა მოვიკვეთდეთ და მას ვინანებდეთ, არა თუ
განუქრძალველობისაგან ცოდვისა წილ მოკვეთისა აღმოფხვრნეთ
სათნობანი და მოვაკედინნეთ თავნი ჩვენნი, ვითარცა საწყალობელ-
მან იუდა შეინანა, რამეთუ დაისაჯა იესუ, და დააბნია ვეცხლი და
შიშთვილ იბა; შეინანა ურგებად და არა სარგებელად.

იუდა იყო რჩეული მოწაფე, საყვარელი მოციქული, სასწაულთა
მოქმედი, ესმოდა სწავლა ქრისტესი და არა დაიმარხა, მპარავი იყო
და ძელთა მისთა მისცა უფალმან გვადრუცი თვისი და არა მიიწოდო.
227 კეთილი ნახა მქდავისა მიერ და დრტვინიდა, მიიღო ტაბლისაგან
საღმრთოჲსა და / განსცა, უღირსად განყიდა მოძღვარი თვისი და
განაბნია ფასი. მივიდა შეპყრობად და ამბორს უყოფდა ურცხვად.
ესეოდენი ცოდვა ქმნა და არა ინება კურნება. და ოდეს იხილა
იესუ, რამეთუ დაისაჯა, მოვიდა წინაშე მღვდელთ-მოძღვართა და
ჰრქვა: „ესცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი“, და წარვიდა
და შიშთვილ იბა.

იხილეთ სინანული მისი: ესოდენთა ცოდვათა ზედა არა შეინანა,
არცა გულისხმა-ყო, ვითარცა პეტრე, რაჟამს უარყო და მოექსენა,
გამოვიდა და ტიროდა მწარედ, — არცა მივიდა მოციქულთა მათ
თანა და აღუარნა მათ ბრალნი მისნი და მეხვაიშნედ აღიდგინნა იგი-
ნი, — არცა მივიდა წინაშე ჭვარისა მის ცხოველს-ყოფელისა, რო-
228 მელმან ავაზაკი / სისხლით შებღალული სამოთხის მოქალაქე ყო და
ასისთავი იგი ქრისტეს განმგვრემელი ლონგინოს აცხონა, რათამცა
ეტქვნეს: «მის წინაშე ესცოდე, რამეთუ სიკუდილად მიგეც; არამედ
სიკუდილითა შენითა იქსნი ცოდვილთა და მეცა შემინდევ», — არცა
თქვა ავაზაკებრ: «მომიქსენე, მეუფეო, ოდეს მოხვიდე სუფევითა
შენითა», — არცა თქვა ასისთავებრ: «კაცი ესე ძე ღმრთისა იყო»,
რათამცა მისტვეებოდა, არამედ წარვიდა სიგლისპით და შიშთვილ-
იბა. არა თუ სინანულსათვის დაიშთო თავი, არა, არამედ სირცხვი-
ლსა მისთვის, რამეთუ მაშინ მოექსენეს, რაცა უწინარეს ჰრქვა მას
უფალმან, ყოველივე აღესრულა და ურგებ იქმნა მისთვის სინანუ-
ლი იგი ესმსა უღროსა.

ეგრეთვე არს ყოველთა ცოდვილთა / სინანული. უკეთუ ეამსა სინანულისასა არა ყო გლოვა, არად შეერაცხების და ურგებ ექმნების სინანული იგი უდროოდ. 229

პეტრე და იუდა ორნივე მცოდველ იქმნეს მას ღამესა. პეტრე უარ-ყო და თქვა: „არა ვიცი კაცი იგი“¹, ხოლო იუდა წინა უძლოდა კრებულთა ჰურიათასა და ეტყოდა: „მე ვიცი კაცი იგი და მიგცე თქვენ“². პეტრეს ოდეს მოესენა, ტიროდა მწარედ და იტყოდა სინანულით: «ვინა უარ-გყავ, რომელი ვიცი ჰეშმარიტი ძე ღმრთისა მოსრული სოფელთა ქსნისათვის?» ხოლო იუდა ოდეს იხილა ქრისტე დაისაჯა, დააბნია ვეცხლი და მოიკლა თავი.

ჰოი, საქმე ბოროტი და სინანული ურგებელი!

თქვენცა, ცოდვილნო, ემსგავსენით სინანულითა პეტრეს ეამსა მარჯვესა, რათა მსგავსად მისად მოგე/ტვენესთ, და გეშინოდესთ ურგებისა სინანულისა, რაჯამს არლარა სარგებელ გეყოსთ, რამეთუ არავინ უწყნის ეამნი სიკვდილისანი, რათამცა მას ეამსა შეინანოს ვინმე: მრავალნი დაინთქმიან წყალთა შინა, სხვანი მათათა შინა დაიშობიან, სხვანი მალლით შთამოიჭრიან, სხვათა წამსა შინა ეუფლის სიკვდილი. სადა სცნას დღენი სიკვდილისანი, რათა ინანოდეს და შეენდენეს? უკეთუ ათასთაგანსა ერთსა ვისმე სნეულსა მოესენეს სიკვდილი, არა თუ ინანის ცოდვათა თვისთათვის, არამედ ძმათა და მოყვასთა განყოფისათვის და ჰვეყანისა ამის დატევებისათვის. სადა-და იყოს მართალი სინანული? უკეთუ ნებსით არა ინანო, ცოდვა შენი რათამცა მოგეტვენენ, უწყოდე; რამეთუ უნებლიეთ შეგანანონ და არლა/რა მოგეტვენენ. 230

სინანული ესე არს მარგებელი: რაჯამს ცოდვილი აღრე მოეგოს თავსა თვისსა და გონებათა თვისთა, განიხილვიდეს და შესტირებდეს ნაცოდავთა თვისთა, და წინა-დაიდებდეს და განიცდიდეს სულგრძელებათა ღმრთისათა: «ვითარ-ძი ღმერთმან მე შემეყვარა და რაოდენწი პატივნი მომანიჭნა, და მე სიყვარული ღმრთისა დაუტევე. და ესოდენსა სიბილწეთა შინა ვიყავ, და ესეოდენ ღმერთი სულგრძელ მექმნა», და ტიროდეს მწარედ მსგავსად პეტრესა, და მივიდეს მოძღვრისა და განიწმიდოს აღსარებით თავი, და ეგრე მოიძულოს ცოდვა, ვითარცა უჯვარდა. 231

ხოლო ურგები სინანული ესე არს, რომელი ყო იუდა, რამეთუ სირცხვილისათვის მოიკლა თავი და არა გულითა შემუსრვილითა ვიდოდა სიმდაბლითა, / და მეორე მსგავსი ამისი: რაჯამს თქვას 232

¹ მათე 26,72.

² მათე 26,15.

კაცმან: «ღმერთი მოწყალე და სულგრძელ არს, ცოდვა ესე აღვასრულო და შემდგომად შევიწინაო». იხილე, თუ სოფელსა აჰას შინა თქვას მონამან ვინმე: «პირველად შევსცოდო მეფესა ჩემსა და მერმე შევიწინაო და ვმსახურო?» არამედ ღლითი-ღლე ჰმატებს სამსახურთა. უკეთუ საწუთოსა მეფისა არა განივლების გულთა კაცისათა, ვითარ იტყვი ამასა, რამეთუ: ჯერეთ ცოდვა ესე აღვასრულო და შემდგომად შევიწინაო, რამეთუ ღმერთი მოწყალე არს და შემინდობსო? კვალად თქვას ვინმე: «უამსა სიბერისასა შევიწინაო». ჰოი საწყალობელი, უამსა სიბერისასა გნებავს სინანული და არა გიხილავს, ყრმანი-ცა ჩჩვილნი მოკვდებიან? შენ ვინა / უწყი დაბერება შენი?! და უკეთუ ეგე ეგრეთ იყოს და დაბერდესა, სადა არს უამსა სიბერისასა სინანული? სიყრმე შენი და სიქაბუკე შენი და სიმკნე და ძლიერება შენი ცოდვასა შინა აღასრულე და, ოდეს დაბერდე და ძრწი. მაშინ მოხვალა სინანულად? წელანვე გარქვ: «უკეთუ არა ინანოთ ნებსით, შემდგომად უნებლიეთ მოგანანიონ და ურგებ გექმნესცა».

ესე არს უნებლიედ მონანება: რაჟამს ფერკნი მისნი სიმკნესა შინა არა დააცადა ცოდვათა მავლობისაგან და უნებლიეთ დაიძნეს მუქლნი მისნი და არღარა ძალ-უც ზე აღდგომად; ჰელნი მისნი არა შეასვენეს ცემათა და ბრძოლათა მიერ და აწ ძრწი/ან; თვალნი მისნი არა დააყენა შურისაგან და აწ დაბრყვილებულ არიან და ცუდად ცრემლოის და ურგებად; ენა მისი გინებისა და ტყუილისა მთხზველ იყო და აწ ფლაფნით მეტყველებს; პირნი მისნი იყვნეს სახლ ცრუფიცობისა და აწ მკვნესარ და მკველებარ არიედ; შვილთა მოსძულეების, სახლეულნი ერისხვიან, ყრმანი ეკიცხვიან; თვით არ ძალ-უც აღდგომა, გინა დაჭდომა და ვლა და ბეცებითა და რყევითა როინებებს არგანთა ბრჩინებითა, ვითარცა მთრვალი.

სადა იქმნების აქა სინანული? ესე არს უნებლიეთ სინანული და ურგები მისთვის. ამისთვის იტყვის დავით ფსალმუნსა შინა: „იხილი თუ / მპარავი, თანა-ურბიოდე მას და მეძავსა თანა დასდვი ნაწილი შენი. პირმან შენმან განამრავლა უკეთურება და ენამ შენი თხზვიდა ზაკუვასა. სჯდი რამ ძმისა შენისათვის, ბოროტსა იტყოდი და ძისათვის დედისა შენისა დასდვი საცთური. ესე ყოველი ჰყავ და დავიდუმე. ჰგონე უშჯულოებამ, ვითარმედ მეცა შენ გემსგავსო; გამხილო და წარმოვადგინე ცოდვანი შენნი წინაშე პირსა შენსა“¹.

ჰხედავთა ვითარ გექადისთ ღმერთი პირითა წინასწარმეტყველისადათა: უკეთუ არა მოინანოთ, წარმოვადგინე ცოდვანი თქვენნი წინაშე პირსა თქვენსაო?

¹ ოს. 49, 18 — 21.

შეინანეთ, შეინანეთ! და თქვენ ნუ აღროებთ სინანულად, რათა არა ურგებ გექმნესთ, რამეთუ სინანული ჭაბუკ/თა ჭერ-არს. უკეთუ ჭეჭილი პირველ აღმოიფხვრას, ანუ ყანა თავ-წარსხმული მოიჭამა წველმან და ჩალამან, სადა-ლა კმნან ნაყოფი კეთილი? ეგრეთვე უკეთუ სიჭაბუკე ცოდვასა შინა დაბერდა, სადა-ლა რქმნეს სინანული? ცოდვილსა ნებავს ეჟმსა სიჭაბუკისასა ცოდვა და ეჟმსა სიბერისასა სინანული. მცონარსა მუშაკსაცა ნებავს ეჟმსა მკისასა განსვენება და ჩრდილთა შინა ყოფა და სიმამლრე ეჟმსა გაზაფხულისასა და სავსება პურითა, არამედ ორნივე ურგებ და ცუდ მაშვრალ არიედ, რამეთუ ეჟმთა მისთა ჰამს შრომა ორთაგანვე.

ოდეს მეფემან და წინასწარმეტყველმან დაევით იხილა თავი თვისი ცოდვასა შინა, რაჟამს შეედღა ისრ/აილთა სრვა, მყის გამოვიდა გარე სრბით, დამთხედ დაეცა ქვეყანასა ზედა, განაგდო გვირგვინი და იტყოდა: „უფალო, მე ვსცოდე, არა ერმან ამან შენმან, ესე უბრალო არიან, აწ ჩემი არს ცოდვა“. ესეთისა მპურვალთა გულისითა კმნა ესე, წამსავე შინა მიეტეუნა ცოდვანი მისნი, და იხილა ანგელოზი მახვილითა წვდილი და შთადღა კრმალი ქარქაშსავე თვისსა და დაეყენა სრვა.

ეგრეთვე მარიამ ოდეს მოვიდა ქრისტეს თანა, ესეთისა გულისა სიმპურვალთა მივიდა, მიუტეუნა უფალმან ცოდვანი მისნი და ასულად სახელსდღა და ქვეყანასა ზედა განჰფინა ჰამბავი მისი საქსენებელად მისსა.

თქვენცა, ცოდვილნო, ეწიენით ეამიერსა სინანულსა / და სარგებელსა სულისა თქვენისასა, უკეთუ არა დიდი ბოროტი გიძთ წინაშე თქვენსა და არა ძალ-გიცთ განრინებად, რამეთუ დიდ არს დღე იგი, რაჟამს მოვიდეს ქრისტე განსჯად ცხოველთა და მკვდართა. მაშინ იხილოთ ორნივე მცოდველნი: პეტრე მონანული ეამიერად დიდითა დიდებითა და პატივითა, ხოლო იუდა მონანული ურგებად და დიდითა სირცხვილითა და სიბოროტითა. მაშინ იხილნეთ ორნი ქვეყანანი ცოდვილნი მუნ განკითხვად — ნინევი და სოდომ-გომორი: ნინევი ცოდვილი და იონას ქადაგებითა მსწრაფლ შემნანებელი ძაძითა, ნაცართა ზედა მსხდომარენი მუნ დიდითა სიხარულითა, ხოლო სოდომ-გომორი ცოდვილი და აბრაჰამის ქადაგებისა არა/მემწყუნარებელი, აქ დანთქმული და დამწვარი ცეცხლითა და მუნ უფროძსად დანთქმული ჯოჯოხეთსა შინა, ტანჯვითა სავსესა.

განიცადენით საქმენი თქვენნი, მოიკვეთენით ცოდვანი, იწყეთ სინანული; გამოიძიენით წერილთაგან კურნებანი სულთა თქვენთა-

ნი! ცოდვასა უგრძელეთ ჟამნი და ეტყოდეთ: «დღეს არა მცალს და ხვალე აღვასრულო», და ხვალენიცა ეგრეთვე და სხვანი დღენიცა, ხოლო სინანულსა იქმოდენ სწრაფით და ნუ უგრძელებ ჟამსა, ნუცა იტყვი: «ხვალე ვინანო და გინა ზეგე», რამეთუ არა ვიცით სიკვდილი ხვალე მოვალს, ანუ დღეს, გინა წამსა შინა ამას თვალისასა, რათა არა გვ/პროს უნანელად და განუგრძალველად, არამედ მონანულად და შემუსრვილად, რათა მოველოდეთ ლხინებასა ცოდვილთასა ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩვენისა, რომელსა შვენის დიდება აწ და მარადის უკუნისამდე, ამინ.

14. სწავლა სიხვარულისათვის.

„ძმანო, არა მცნებასა ახალსა მივსწერ თქუენდა, არამედ მცნებასა პირველსა, რომელ გაქუნდა [დასაბამითგან]. სიყუარული მცნებაჲ იგი პირველი არს, სიტყუაჲ იგი, რომელი მესმა პირველითგან“ — დასწერს იოანე მახარებელი პირველის კათოლიკესა, შენი თავსა შინა¹.

241 ხედავთა მახარებელსა, ვითარ სწავლა ესე არა ახალი, პირველითგანვე უფლისა მიერ მცნებული და /სჯულსა შინა მოცემული. აწ განგიახლათ და მოგასენათ ძველითა იგი, რათა გულნი თქვენნი უმტკიცესად-რე დაემყარნეს სიყვარულსა ზედა?

ამისთვის მოგაქენა, რომელსა დასწერს მოსე წიგნსა გამოსლვასა მეოცესა თავსა შინა: „შეიყუარე მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“². ესე მცნება არა ახალი ვითარცა ყოველივე, არამედ პირველი იგი, რომელ მოსცნა ღმერთმან მოსეს ფიცარნი თითითა ღმრთისადთა მას შინა წერილნი, რომლისათვის დაამტკიცებს პეტრეცა, თავი მოციქულთა, პირველსა მისსა კათოლიკესა შინა: «სიყვარული გარდამეტებული გაქვნი, რამეთუ სიყვარულმან დაფარა სიმრავლე ცოდვათა»³.

242 რაღაა, ჰოი პეტრე, ამის-უფროსი სიყვარული, რომელი ბრძანა უფალმან: „შე/იყუარე შოყუასი, ვითარცა თავი თვისიო?“

დიდ არს სიყვარული ესე, უკეთუ ვყოთ!

გესმისთა, ძმანო, იოანე გვიბრძანებს პირველისა მის მცნებისა აღსრულებასა, რათა გვიყვარდენ მოყვარენი ჩვენნი, ვითარცა თავი ჩვენი. არამედ თავი მოციქულთა პეტრე ახალსა მცნებასა მოგვცემს,

¹ იოანეს I კათოლიკე 2, 7.

² გამოსლ. 20, 12. შდრ. მათე 19, 19.

³ პეტრეს I კათ. 4, 8.

რათა გარდამეტებული სიყვარული გვაქვნიდეს მოყვასთა ჩვენთა თვისისაგან თავისა, რათა ცოდვათა სიმრავლე დაიფარნეს.

ხედავთა, მოციქული ვისა მიბაძვასა გვიბრძანებს? გვაჩვენებს, რა ყო ჩვენთვის მაღალმან ძემან ღმრთისამან, ოდეს შემეყვარნა ჩვენ მრავალ-ცოდვილნი სიყვარულითა მით გარდამეტებულითა. რომელმან სულიცა თვისი დადვა ჩვენთვის და ჭვარითა სიკვდილი / დაითმინა, რომლისათვის იტყვის იოანეს სახარების იგი თავსა შინა: 243

ხოლო იესუ ქრისტემან არა თუ მეგობართათვის დადვა სული თვისი, რომელსა არა სადა ჰყავს მოყვასი, არცა სწორი, არამედ — ჩვენ უქმართა მონათათვის, ვინაჲთგან გვიხილნა უწყალომსა მტერისა მიერ დამონებულნი, და დილეგთა გამოუქსნელთა შინა შეწყვდიულნი და არა უგულვებელს გვყვნა ურჩებითა მისითა წარწყმედილნი; სიყვარულითა მით გარდამეტებულითა მომიძია ჩვენ, დამდბლდა და მსგავს ჩვენდა იქმნა, არამედ არა მსგავს ჩვენდა მოკვდა ჩვენთვის, არამედ, ვითარცა ერთი ცო/დვილი და შეურაცხი, 244

ჭვარსა დამოკვიდა, სიყვარულისა ჩვენისათვის გვაჩვენა ჩვენ თვალითა, ხოლო სიტყვითაცა გვასწავა, რომელი იტყვის პირითა იოანესათა: „უკეთუ ჩემნი მოწაფენი ხართ, ამით ვსცნა, რათა იყვარებოდეთ ურთიერთარს“¹.

ესე არს მოწაფე-ყოფა უფლისა ჩვენისა. ესე არს სჯული ქრისტეს მიერ მოცემული — პირველ მოსეს ზე და მეორედ მოციქულთა ზე, რათა გვაქვნიდეს სიყვარული და, უკეთუ არა გვაქვნიდეს სიყვარული, ნუ სახელ-ვსდებთ ქრისტიანედ ყოფასა.

ამისთვის დასწერს წმიდა პეტრე, თავი მოციქულთა, პირველსა მისსა კათოლიკისა პირველსა თავსა შინა: „გულითა წმიდითა ურთიერთარს იყვარებოდეთ გარდამეტებულადო“².

რა არს, ძმანო საყვარელნო, გარდამეტებული სიყვარული გულითა წმიდითა? 245

ესე არს, რათა შეურყეველად, შეუორგულვებლად, სიწმიდით გიყვარდნ ყოველნი კაცნი, არა მხოლოდ ნათესაენი და მოყვარენი, არამედ უცხონიცა და მტერნიცა, ვითარ იესუმ შემეყვარნა ჩვენ, არა მხოლოდ მოყვარენი მისნი, არამედ განდგომილნიცა და უარისმყოფელნიცა მისნი ერთბაშად, რომლისათვის იტყვის მახარებელი

¹ იოანე 15, 13.

² იოანე 13, 34.

³ პეტრეს I კათ. 1, 22.

მათე ე, მვ: „უკეთუ გიყუარდენ მოყუარენი, ხოლო თქვენნი. რამ უკუე სასყიდელი გაქუს, რამეთუ მეზუერეთა და ცოდვილთა ეგრეთ ყენიან“¹

246 ხელავთა, ძმანო ქრისტესნო, რამეთუ არა ჯერ-არს მიმსგავსება თქვენი მეზუერეთა და ცოდვილთა, არამედ მსგავსება ქრისტესნი? რამეთუ მსგავსებამან მეზ/ვერეთა და ცოდვილთამან მიგიყვანოსთ, სადა იგინი არიან, ხოლო მსგავსებამან ქრისტესამან მიგიყვანოსთ, სადა ქრისტე მთავრობს, რამეთუ არა ჯერ-არს ქრისტეანეთაგან ბაძვა მსოფლიოთაგანსა, არამედ ბაძვა უფლისა ჩვენისა, ვინაჲთგან შემეყვარანა ჩვენ ქრისტემან და შვილ ღმრთისად გამოგვაჩინა, რომლისათვის იტყვის იოანეს სახარების იფ, თ: „ვითარცა შემეყვარა მე მამამან, მეცა შეგიყუარენ თქუენ, დაადგეერთ სიყუარულსა ჩემსა ზედა“².

247 ამისთვის ჩვენიცა გვიღირს, რათა შემეყვარებელი ჩვენი შევიწიოთ და ზეციერთა ვბაძვედეთ საქმეთა კეთილთა, რამეთუ: რომელსა ლოცვათა შინა მამად ვხადით, იგი მოსცემს საზრდელსა მართალთადაცა და ცოდვილთა, იგი ნაყოფითა აღაძვებს კეთილისა მოქმედთა და ბოროტთაცა, / რათა კეთილის-ყოფითა მისითა გულისხმაცონ საქმენი მათნი და მოიქცენ სიბოროტისაგან და კეთილთა პკონ სასუფეველი ყოველთა.

248 ვინაჲთგან მამად ჰხადით ღმერთსა, და იგი არა მოიძულებს ბოროტის მოქმედსა, და ელის ღმრთისა და შენ გძულს ნათესავი შენი ძეთაგან ადამისა, ვითარ-ღა იტყვი ძედ ღმრთისად წოდებულ და თხოვად მამისა მიმართ ნიჭთა რამესაჲ, ანუ ძმად ქრისტესა საბელის-დებად, რომელმან შეიყვარა პავლე განმრყენელი სამწყსოთა ქრისტესთა? რომელი თვით პავლესა მიუწერს კორინთელთა პირველსა ებისტოლესა შინა: „ენასადა თუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყოდი, ხოლო სიყუარული არა მაქუნდეს. ვიქმენ მე, ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ... მაქუნდესლა / თუ ყოველი სარწმუნოებაჲ, ვიდრე მათთა ცვალებადმდე, და სიყუარული არა მაქუნდეს, არა რაჲვე ვარ. შე-ღათუ-ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი, და მივსცენუ ქორცნი ჩემნი დასაწველად და სიყუარული არა მაქუნდეს, არა რაჲვე სარგებელ არს ჩემდა“³.

გესმისთა დიდისა მოციქულისა, ძმანო, რამეთუ არცა-ღა კაცობრივთა ენათა მოუბრობა, არცა ანგელოზებრივი ქადაგება, არცა

¹ მათე 5, 40.

² იოანე 15, 9.

³ ების. კორ. I 13, 1 — 3.

წინასწარმეტყველება და სიბრძნით საიდუმლოს ცნობა, არცა მრავალნი სასწაულნი და სარწმუნოება, არცა მონაგებთა გლახაკთა განყოფა, არცა-ლა თუ ქრისტესათვის ტანჯვათა დათმენა და ცეცხლითა და მახვილითა განაკათა სარგებელ გვეყოს, რო/მელთა არა გვაქენდეს სიყვარული, და, თუცა ვიყოთ მოძულე კაცთა, ყოველნივე უკმარ ჩვენდა ჩყვნეს და არცა-ლა შემიყვარნეს ჩვენ ღმერთმან და ვერცა კეთილი რამე მოვიღოთ მისგან, უწყოდეთ ყოველთა!

არამედ სიყვარულითა უცოდველითა რომელ გვიყვარდენ ნათესავნი ჩვენნი, ძენი ადამისნი ყოველნი, შემიყვაროს ჩვენ ღმერთმან სიყვარულითა მით გარდამეტებულითა და დაფარნეს ცოდვითა ჩვენთა სიმრავლე უეჭველად.

არა თუ სიყვარული ბოროტი უყვარს უფალსა, არცა სიყვარული ბილწებისა, არცა სიყვარული ზაკვისა, რომლისათვის იტყუეს იოანე პირველსა კათოლიკესა შინა: „შვილო ჩემო, ნუ იყუარებით სიტყვითა, ნუცა ენითა, არამედ საქმითა/ ქეშმარიტებისაჲთა“!

ისმინე, ვითარსა სიყვარულსა გიბრძანებსთ საყვარელი ქრისტეს მოწაფე: არა უნდა მას სიყვარული ოდენ სიტყვითა. რომელნი იჩემებენ კაცთა სიყვარულსა და ეტყვიან ტკბილად და ნატრობენ ხილვასა მისსა და იზახიან დღეთ სიგრძესა მათსა, ხოლო გულნი მათნი განშორებულ არიან, და არა უნდა! აუბნებენ ენათა ზაკვით, რეცა ეჩვენონ მოწყალედ, კაცთა საჩვენებელად იქმან ოცნებით რადმე სიყვარულსა, ხოლო გონება მათი აღსავსე არს სიძულვილითა მოუკლებელითა, რომლისათვის მიუწერს პაველე მოციქული რომაელთა: „განეშორებით მათგან, რომელნი ეგე ვითარნი უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა არა ჰმონებენ, არამედ თვს/თა მუცელთა და ტკბილითა მეტყუელებითა და კურთხევითა აცთუნიან გულნი უმანკოთანი“².

ხედავა, ვითარ მოციქულნი ტყუვილსა სიყვარულსა შორად განიოტებენ და ქრისტეს მონად არა სახელ-სდებენ? არამედ სიყვარული მრთელი და უზაკველი უყვარს უფალსა, ვითარცა ენითა, ეგრეთვე გულითა, ეგრეთვე საქმითა და ეგრეთვე აღსრულებითა, ვითარცა აღუსრულა მამამან ზეცისამან აბრაჰამს, რაჟამს სიყვარულისთვის ღმრთისა არა რიდა ისაკს, ძესა თვისსა, დაკლვად; ღმერთმანცა მოსცა ძე თვისი საყვარელი და დაკლა აბრაჰამ ნათესავთა კაცთათვის და აღასრულა სიყვარული მართალისა საქმითა.

ჰხედავა, სიყვარულმან რა ყო?/ ვინაჲთგან ქრისტემან არა რიდა

1 იოანეს I კათ. 3, 18.

2 რომაელთა 16, 17 — 18.

თავსა თვისსა დამდაბლებად, დაგლახაკებად და შეურაცხებად, ყვედრებად, ტანჯვად და უწყალოდ სიკვდილადცა, რამეთუ ჯვარსა ზედა განქიქებით დამოეკიდა სიყვარულისათვის ჩვენისა, — ჩვენ რაიმე-ღა გვიღირს, საყვარელნო? უკეთუ ქრისტემან ჩვენ განდგომილნი ესრეთ შემეყვარნა, წყევასა ქვეშე მოიკლა თავი თვისი, რათა მით განაქარვნეს წყევანი ჩვენნი, ჩვენდა არა ჯერ-არსა, რათა შევიყვარნეთ ნათესავნი ჩვენნი, კაცნი, ძენი აღამისნი, ნუ უკვე და მაწყინარცა ჩვენდა იყოს? რაჟსათვის უკვე გძულან, საყვარელო, მტერნი თქვენნი? არა იმისათვისა, რამეთუ შემცოდე არიან შენნი და ბოროტი უყოფიეს შენდა? უკ/ეთუ ესრეთ არს, შენცა არა შეგიცოდებიესა ღმრთისათვის და ბოროტი არა მიგიძღვისა წინაშე მისსა, რომელ უყვარხარ ფრიად, და არა ბოროტსა გიყოფს, და დღითი-დღე გწყალობს, და განიქებს და აღგაფხებს ყოვლითა კეთილითა ქვეყნიერითა და კვალად გიჭადებს სასუფეველსა-თქუთ? ვინა იყოთ მართალ წინაშე უფლისა და უტოდველი? რომელი მოელოდეთ სიმართლისა თქვენისათვის? არამედ ყოველნი შემცოდენი დღითი-დღე მოიღებთ წყალობასა ღმრთისასა კაცთმოყვარებისა მისისაგან. ვითარცა თქვენ გნებაფხთ, რათა უყვარდეთ უფალსა ღმერთსა თქვენსა და კეთილსა გიყოფდეს, ეგრეთვე მას ნებავეს, რათა გიყვარდენ თქვენ კაცნი და მტერნი თქვენნი და კეთილსა / უყოფდეთ, რათა ძე მადლისა გეწოდოსთ.

253
254
უკეთუ შვილი მამისგან კეთილსა ხედვიდეს და თვით არა იქმოდეს ნაქმარსა მამისა თვისისასა, ვითარ ძე მისი იქმნების? არა განდგომილად შეირაცხების იგი? მამა, უკეთუ მამად გვნებავეს ღმერთი, ჩვენდა ჯერ-არს საქმეთა მისთა ქმნა, რაოდენი გვამცნო და ძალ-გვედვას, რომლისათვის დასწერს იოანე მახარებელი პირველსა თავსა კათოლიკესა შინა: „საყუარელნო, ვიყუარებოდეთ ურთიერთარს, რამეთუ სიყუარული ღმრთისაგან არს და ყოველივე, რომელსა უყუარდეს, ღმრთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყუარული არს“¹.

255
ჰოჲ, დიდ არს სიყვარული და ყოვლისა სათნოებისა უაღრესი და ყოველთა მადლთა/ უდიდებულესი და ყოველთა კეთილთა უკეთესი და ყოველთა პატიონებათა უწარჩინებულ!

ვინაჲთგან ღმერთი არს სიყვარული, რაღა-მე გვნებავეს, სიყვარულისა მეძიებელნო? რომელმან მოიგოთ სიყვარული, ღმერთი მოგიგის და, რომელმან ჰპოოთ სიყვარული, ღმერთი გიპოვნის.

¹ I კათოლიკე იოანესი 4, 7—8.

სიყვარული სხვა არღარა რა არს, გარნა ძედ მალლისად წოდებად. ნეტარ ხართ, რომელმან მოიგოთ ესე!

საყვარელნო, უკეთუ ორნი მსახურთა შენთაგანნი, რომელნი მარადის შენთა თანა იყოფებიან, ერთი იგი იყოს მოძულე მეორისა, და ღლე ყოველ აგინებდეს, და ემტერებოდეს და ზედასა-ზედა შეგასმენდეს, ხოლო მეორე იგი ტკილად ეტყ/ოდეს, და არა ელა-ღვოდეს, არცა დრტვინვიდეს, და სიყვარულსა მისსა იტყოდეს წინაშე შენსა და კეთილ მსახურებასა მისა გიქვებდეს და საქმენი მათნი არა დაფარულ იყოს თვალთაგან შენთა, რომელი უფრორე შეგიყვარდებიან-თქუთ? ჭეშმარიტად, რომელსაც უყვარს მოყვასი თვისი, და არა ელაღვის და კეთილსა იტყვის მისთვის, იგი შე-მტყ-ვიყვარდეს შენცა.

257

ამით საცნაურს არს უხილავად სიყვარული ღმრთისა, რომელსა უყვარდეს მტერი თვისი და კეთილსა უყოფდეს მას, რამეთუ იგი საყვარელ ღმრთისა იქმნების და ძედ მალლისად წოდებული.

საყვარელნო, ვინაფთგან სიყვარული ნათესავისა შენისა საყვარელ-გყოფს/ ღმრთისა და დაჰფარავს ცოდვათა სიმრავლესა მიმს-გავსება ქრისტესი და ძმად წოდება იესუსი, ძედ მალლისად გამომა-ჩინებელი და დამამკვიდრებელი სასუფეველისა შვილად, რამსა-და სხვისა სასწავლომსა სწავლად ვიჭირვით და არა სიყვარულისთვის? რასა-და ვმუშაკობთ სხვათა სამუშაკოთა და არა სიყვარულსა? რამსათვის ვშვრებით სოფლისა ამის დევნისათვის და არა შეუღლებით სიყვარულსა, ვინაფთგან ღმერთი არს სიყვარული?

256

—სადა უცოდველი სიყვარული არს, მუნ ეშმაკისა მანქანება უქმარ იქმნების; სადა წმიდა სიყვარული არს, მუნ სატანას საცთური განქარდების; სადა პატიოსანი/ სიყვარული არს, მუნ ბელიერისა მზაკვარება ვერა დაადგრების; სადა სრული სიყვარული არს, მუნ ჯოჯოხეთისა სახელი აღიპოცების, არამედ ანგელოზთა ზეცისათა მოცივიან, მთავარანგელოზთაგან მოიზლუდვიან, სერობინთაგან შეიქურვიან, ქერობინთაგან შეითვისებიან, ზეციერნი განემზადებიან, სასუფეველი კარს განუღებს, სიყვარულის მქადაგებელნი მოციქულნი წინა მოეგებვიან, კაცთმოყვარებისათვის ჯვარცმულსა ქრისტეს თანა მიიყვანენ, სიყვარულისათვის ძისა დამკვლელსა მამასა სახიერსა ათავყანებენ და წმიდათა თანა მოდასე ჰყოფენ.

258

აწ, საყვარელნო ღმრთისანო, შეუკრიბეთ თავთა თქვენთა სიყვარული არა სიტყვითა და / ენითა, არამედ საქმითა და აღსრულებით, ვითარცა მოციქულნი სწერენ, და მოიგევით საუნჯე ესე პატიოსანი, რათა სიყვარულსა მას და მოყვასსა სიყვარულისა მოქმედისასა მიეახლნეთ და მის თანა იხარებდეთ უკუნისამდე!

259

¹ ხელნაწერი უმატებს: „ქრისტე, შეიწყალე სულხან-საბა“.

„დავგლახავენ და დავმდაბლდი სრულიად“ — დავით იტყვის ლე ფსალმუნსა შინა¹.

260 საყვარელნო, სადა დაგლახავენა დავით სრულიად, რამეთუ მეფე იყო ისრაელთა, ძლიერი და მდიდარი ფრიად? ამა სიტყვათა ქრისტესთვის იტყვის, უფლისა ჩვენისათვის, რომელი დავლახავენა სრულიად, ვიდრე სახითა უდარეს ჩვენსა იქმნა და ყოველთა გლ/ახაკთა უმოკლოვნეს, რამეთუ გლახაკთა სახლი აქვნდა საყოფელი, ხოლო მას არცა-ლა თუ სართულსა ქვეშე თავთა მისადრეკი აქვნდა. ესრეთ დავლახავენა სრულიად, ვიდრე სუდარნი და საფლავნიცა იოსებ მისცნა თვისი, რომელ მას იგიცა არა ეპოვებოდა.

ხედავთ, საყვარელნო, დამბადებელი ჩვენი და ღმერთი ჩვენი ჩვენსა განმდიდრებისათვის, და ამალღებისათვის და ზეცად აღყვანებისათვის ესრეთ დავლახავენა, ხოლო ჩვენ არა თუ სახელისა მისისათვის დავგლახავენებით, არამედ, უკეთუ მსგავსსა მისსა გლახაკთა ვიხილავთ, არცაღარა თუ მას მივხედავთ, არცა მოვიძინებთ გლახაკისა მის მოსლვასა ზედა და ვიტყვით: «ვაი, ჩვენდა!»

261 უფალმან ჩვენმან/ იესუ ქრისტემ ესრეთ შემოიყვარა, ვიდრე ღმრთაებრსა მისისა სიდიდითა, ჩვენთვის ესრეთ დავლახავენა, მსგავს ამისა იქმნა, რათა გლახაკისა მის ხილვითა მოგვექსენეს ქრისტეს ჩვენთვის დავლახავენა, და ღმობიერ გვექმნენეს გულნი ჩვენნი და ვსცნათ სოფლისა ამის სიტუდე და მოკლეობა და უხანოება, რომელ: სოფელი ესე რომელთამე ესრეთ განამდიდრებს კაცთაგანსა და ნათესავეთა მისთაგანსა, რომელთამე ესრეთ დაავლახავენს, ვიდრე შიშველსა კართა მისთა თხოვად პურისა მოიყვანს და შემდგომად მდიდარსა და მას გლახაკსა სწორითა სიკვდილითა მოაკვდინებს და არას მისცემს არცა ერთისა უნჯთაგან თვისთა, რათამცა წარიღონ თანა.

262 ამას არცა ერთსა მოვიქსენებთ, ოდეს მოვიდეს გლახაკი თხოვად პურისა, არცა შეგვეწყალებთ იგი და არცა სული ჩვენი, არამედ განგვიფიცხნების გულნი ჩვენნი და გვეწყინების მოსლვა მისრ.

ჰხედავა, რასა იტყვის ესაია წინასწარმეტყველი ნჲ თავსა შინა: „უკეთუ დაუტოოთ სიკრუე და ღრტვინვა და სცე მშვიერსა პური გულითა მსნილითა, მაშინ გამოგიბრწყინდეს ნათელი, ვითარცა შუა სამპრისა, და უფალი ღმერთი იყოს შემ თანა“².

არა თუ გულითა მსნილითა ვსცემთ მისაცემელსა, ვაიმე, რამე-

¹ ფს. 37,6.

² ესაია 58, 9 — 11.

თუ არამედ პირსაცა შევიკვავთ, და თვალთა მივრიდებთ და ყურთა დავიწმავთ, რათა სიტყვა მისი არა ვისმინოთ.

უკეთუ მექიანურენი გვაქებდენ, გვეამების/ და, უკეთუ მოკი- 263
ცხარნი გვაგინებდენ, გვიხარის. განზახრვა ჩვენი პატროსნად შეგვი-
რაცხიეს და, ოდეს გლახაკმან იწყოს ტკიბილითა სიტყვითა თხოვა.
გულთა ლახვრად განგვეწონების. მეფანდღურეთა და მექიანურეთა
და მოკიცხართა ვალხენთ ფრიად და, უკეთუ არა გვაქოს, ავიღებთ
ვალსა და ფრიადითა ნიჭითა წარვავლენთ გინებისათვის ჩვენისა:
ხოლო მსგავსი ქრისტესი და ძმად იესუსი წოდებული გლახაკი რა
ქებასა შეგვიმკობდეს და მდაბლითა სიტყვითა ენებოს გულთა ჩვენ-
თა მოღობობა, უფრორე განვექვავნებით და მიზეზთა მრავალთა და-
უღებთ, რათამცა არა რა/ მივსცეთ; არცა თუ პურნი განუტეხნეთ. 264
ვეტყვი: «აწ არა მცალს და კვლავ მოგცე».

ამისთვის იტყვის სოლომონ იგავსა შინა: „ნუ დაიყოვნებ კეთი-
ლისა ყოფასა ნაკლულევიანისა, რაყამს აქუნდეს ჰელთა შენთა შე-
წევნა, ნუ ეტყვ: «წარვედ აწ და ხვალე გცი, ძალ თუ მეღვას კე-
თილის ყოფა შენდა»“¹.

უკეთუ მაგინებელთა და განმკიცხართა შენთა არა ეტყვი: «აწ
წარვედ, არა მაქვს», რომელი ეშმაკთა მოუტლენია, და აღიღებ ვალ-
სა და მისცემ მრავალსა, გლახაკსა ქრისტეს მიერ მოვლინებულსა
რად-ლა ეტყვი მცირისა პურისათვის, გინა ფოლისა ერთისათვის
მიზეზსა წარსლვისასა?

ჰოი, დიდი უგუნურობა კაცისა და სიცო/ფე: გამზახრველი თვი- 265
სი აღაფსოს კეთილითა და კეთილად მაქებელი თვისი განავლინოს
ცუდად, წარაგებდეს ეშმაკთა სიციბილისათვის უნჯსა ღმრთისასა და
არა მონასა ქრისტესათვის მონიჭებულსა ქრისტესსა!

იხილე, რასა იტყვის მოციქული იაკობ კათოლიკისა მეორესა
თავსა შინა: „უკეთუ შევიდეს შესაკრებელსა თქვენსა კაცი ოქრო-
მთა შეჭედილი დბ სამოსლითა ბრწყინვალითა და შევიდეს გლახა-
კიცა სამოსლითა შეურაცხითა, მიხედოთ მას, რომელსა იგი ემოსოს
სამოსელი. ბრწყინვალე, და ჰრქუათ: «შენ დაჯედ აქა კეთილად», და
გლახაკსა ჰრქუათ: «შენ დეგ იქი, ანუ დაჯედ აქა ფერბთა ქუეშე
ჩუენსა», არა/ განიკითხუნით თავთა შორის თქუენსა და იქმენით 266
მსაჯულ გულის-სიტყუათა ბოროტთა“².

¹ იგავნი 3, 27 — 28.

² კათ. იაკ. 2, 2 — 4.

დასხნეთ უპატიოსნესა ადგილსა გლახაკთაგან, ოდესცა მჟვიდენ, ხოლო შენ კაცთა თანა დგომადაც არა უტევებ?

რა არს, ძმანო, სიციოფე ესე? უკეთუ მდიდარი მოგადგეს კართა, კეთილად განუხვენებ, ხოლო გლახაკი დაჭირვებული თუ მოვიდა, გინებით განსდევნი!

267 არა გესმიანა, რამეთუ გლახაკნი გლოცვენ, ხოლო მდიდარნი გაგინებენ, გლახაკნი გმონებენ და მდიდარნი მიგხვეჭენ, გლახაკნი გაქებენ, მდიდარნი გაძაგებენ, გლახაკნი მოგეწიწვიან, მდიდარნი გავედნიან, გლახაკნი გაამებენ, მდიდარნი გაწყენენ? რა უკვე კეთილნი გინახვან მდიდართაგან შენდა მოქმედებულნი უფროსს გლახაკთასა? უკეთუ რამე მოგცეს მდიდარმან, უფროსი მისგან მიგიღოს, ხოლო თუ რა წარგიღოს გლახაკმან, უმრავლესი შეგძინოს ქრისტემან.

268 უცებო, შენ შენისა კეთილისა მოქმედისათვის იქმ ბოროტსა და ბოროტის-მყოფელისათვის — კეთილსა. ესე არცა-ღა თუ მკეტთა ყვიან. არცა-ღა თუ ესოდენთა ბოროტთა იკმაებ: არამედ, ოდეს მოგადგეს გლახაკი, შენ ამპარტავანად ზი და განსცხრები და იგი მშვიერი და მწყურვალნი სიციფეთა ანუ სიციხეთა მზისათა დგას და ვერარასა იკადრებს, არამედ იურვიან გულსა შინა თვისსა და მწუხარე არიედ, რამეთუ კაცსა კაცი გთხოვს მოცემულსა ღმრთისასა და არა ისმენ. ამისთვისცა დასწერს დავით მეცხრესა ფსალმუნსა შინა: „ამპარტავნებასა უღმრთოთასა შეიწვიან გლახაკი“¹. თვითვე განებრძვე თავსა შენსა, თუ რაოდენისა პატივისა თანა-მდებ ხარ.

269 ვინაჲთგან ღმერთსა მოუციეს შენთვის ესეოდენი ღირება, რომელსა ძმა და ნათესავი შენი შენდა მთხოველად კართა მოუვლენიეს, და იგი შეურაცხად განავლინო, რა-მე ჭერ-არს გიყოს ღმერთმან? განიცადე თავი შენი და, რა იგი არა გაქვდეს, მივედ მოყვასისა შენისასა, უკეთუ არა აღასრულა საწადელი შენი; იხილე, თუ ვითარ გულებულ მისა იქმნე და კვნესით ღმერთსა შეასმინო./

დადაცათუ გლახაკი არს, ხოლო იგიცა შენებრ კაც არს და მამისა შენისა ადამისა ძე. არამედ ღმერთსა დაუგლახაკებნიეს, ანუ სნეულებათა მიერ თვალი აკლს, გინა ასო სხვა რამე, ანუ უღონოებით დაგლახაკებულ არს, და არარა აქვს მას ნივთთაგანი. უკეთუ არა გთხოვა და ვერცა-ღა იშოვნა, კიდევცა მოკვდეს. უკეთუ შენ მრავალი რამე ნივთი გაქვს და ერთი რამე გაკლს და სთხოვე მოყვასა

¹ ფს. 9, 22.

შენსა და არა მოგცა, და განრისხენ მას ზედა, ჰყვი გულისკლება მას გლახაკსა, რომელი იგიცა მოყვასი და თვისი შენი არს და არაა აქვს ნივთთაგანი და საძმარ არს მისდა თხოვა. უკეთუ არა ითხოვა, მოკვდეს./

რამე უნდა ყოს, არა გთხოვოსა?

270

ჰე, კეთილ: უკეთუ შენ ეგრე კეთილ ხარ და ქველისა სიმრავლესა ამრავლებ და არა გნებავს, რათა გლახაკი მოვიდეს კართა შენთა თხოვად, ესე არს უმჯობესი, რათა მიხვიდე შენ ნაკლულევანისა ძმისა მის და თვით პელითა შენითა მიაჩთვა, რა იგი გაქვს, და იგი არღარა დააშრო შენდა წყინებად, თვარა რამცა უკვე ჰქმნეს, რომელსა არა რა ეპოვების და მუნ არა წარსცემ საძმარსა? რა იგი უქმს? და სიკვდილისა უმჯობესად ესე უქმნიეს: მოსრულ არს შენადვე ნათესავი თხოვად, რათა შენ მიერ გამოიზარდოს. მაშა, რა ყოს? მუცელნიცა შენნი დღითი-დღე და ჟამითი-ჟამად/ შენ 271
გთხოვენ და შენ მიერ იზრდებიან. და არა შეგძაგდების, არცა მოგეწყინების თხოვა მის მიერ, არამედ უფრომხად იჭირვი, რათა მრავალგზის განაძლო და უცხო და კეთილი საწოვად უძღვნა. არამედ განძლება მუცლისა შენისა შეგამთხვევს საცთურსა, ჰორცთა სნეულებასა და სულთათვის ვნებსა, არამედ არა ოდეს ეტყვი: «არა გცე, არა განგაძნე, გუშინ გიჭამიეს, ანუ ძოლან, ანუ დილას», არა უქმ ჰყოფ მუცელსა წარმწყმედელსა შენსა, ხოლო ძმასა ქრისტესსა გლახაკსა ერთგზის უკეთუ მიგიპყრიეს პური, არღარა მისცემ. არა უწყია: გლახაკი იგი და მუცელი შენი ერთისა არსებისაგანი/ არიან, 272
ერთისა კაცისა ტომნი, ერთისა შემოქმედისა შექმნილნი და ერთად მოკვდავნი?

უკეთუ წარმწყმედელსა მუცელსა შენსა ჟამითი-ჟამად განაძლებ, მაცხოვნებელსა შენსა ნათესავსა და ძმასა ქრისტესსა გლახაკსა მას უპოვარსა რადა ორგზის და სამგზის არა განაძლებ?

უკეთუ მრთელ ვინმე არს გლახაკთაგანი, მიზეზსა უყოფ და ეტყვი: «ჰელი არა გაკლს და ფერჰნი, არცა თვალნი, იმუშავე და ოფლითა შენითა ცხორებდი!»

ნუ, ძმანო, ბოროტ არს სიტყვა ესე. ქრისტე ქელთა და თვალთა დამბადებელი ოდეს დაგლახაჲნა, არა რა აკლდა ასოთაგანი, არამედ უძმოდ გლახაკთა. ცუდ არს მიზეზი ესე/ და უძვირესი ამისიცა ესე: 273
რომელ უკეთუ ბრმა მოვიდა, გამოსცდით საბრაზითა და ყრუთა — სასმენელითა ბოროტითა, ეგრეთვე უტყვთა — კიცხევითა რითამე, და იცინით მას ზედა და მოძმე უფლისა განსაქიქელ გიქმნიესთ.

ამისათვის დასწერს მოსე ლევიტელთა მეცხრამეტეს თავსა შინა:

„არა ბოროტი ჰრქუა ყრუსა და წინაშე ბრმისა არა დასდვა საცთუ-
რი“¹.

საყვარელნო, ესევეთარი უწესოება წარმწყმედელი არს სულთა
და გარდამავალ სჯულისა. ნუ ესევეთართა იქმთ, რომელი არა სათ-
ნო იყოს ღმრთისა, არამედ სადაცა ჰპოოთ გლახაკნი, შეიყვარენით;
274 მოვედით გულისხმად, რაჟსათვის და/გლახაკანა ქრისტე, რომელმან
სიგლახაკითა თვისითა გამოგვისნა ჯოჯოხეთისა მძლავრობისაგან,
რათა არლარა შესცვივნეთ მუნ, სრულიად განერნეთ მას უკუნისაჲ-
დე, ამინ.

16. სწავლა უცხოთ-მოჰპარებისათვის და ვნებისათვის უფლისა.

„უცხო ვიყავ და არა შემიწყნარეთ მე“ — უფალი ჩივის უმა-
ღლომსა ჰურიათაგან დღესა მას დიდსა სასჯელისასა, რომლისა-
თვის დასწერს მათე მახარებელი სახარების კე თავსა შინა². ამისა-
თვის რამეთუ მოვიდა უცხო უცხოა აღგილსა, დამბადებელი ცათა
და ქვეყანისა, სახითა სიგლახაკისაჲთა და არა შეიწყნარეს; მოვიდა
275 მეუფე მალ/ალი, მონებასა ქვეშე უცხო მონათა თვისთა თანა და არა
პატივსცეს; მოვიდა ძე მამისა მის ყოვლისა მპყრობელისა ძედ ქალ-
წულისა, უცხო და ეშვილა კაცთა და არა შეიწყნარეს; მოვიდა
თანასწორი სულისა წმიდისა უცხო ძმად ადამიანთა თანა და არა
შეიტკბეს; მოვიდა უფალი უფლებათა უცხო მეფედ ერთა განდგო-
მილთა თანა და არა დაემოხრჩილნეს; მოვიდა დიდისა ზრახვისა ანგე-
ლოზი უცხო ქადაგად სინანულისა, მიმტევებელად ცოდვათა და არა
უსმინეს.

უცხოჲსა ბუნებისა მქონებელმან უცხოჲსა ქალისა თანა დაივა-
276 ნა, კაცთაგან უცხოა მუცელ/სა დაისადგურა, უბრწუნელად, უტკი-
ვრად ევას ღმობასა უცხოა შობითა უღმობელ ექმნა, უცხო ქვაბ-
მან ისტუმრა, ბაგამან განუსვენა, პარმან და ვიარმან შეიწყნარეს,
ხოლო ისრაელთა არა იცნეს. საზნი მეფენი აღმოსავალთანი რბიო-
დეს უცხოჲსა მის ძღნობად, ვარსკვლავი უსულო წინა მოუძღვებო-
და და ჰეროდე უცხოჲსა მისთვის სიკვდილად განემზადებოდა.
ღმერთი უკვდავი კაცთა მოკვდავთაგან უცხოდ ივლტოდა; უცხო
იგი ყრმა უცხოდ არა შემწყნარებელთა დაემალებოდა; სხვათა

¹ ლევიტელთა 19, 14.

² მათე 25, 43.

მზრდელი უცხოდ აღიზრდებოდა; ცათა და ქვეყანათა მტვირთველი უცხოდ დედა/კაცისა მიერ ტვირთულ იქმნებოდა, ნათელი ნათლის მომცემელი იოანეს მიერ უცხოდ ნათელს-იღებდა; უცხო დაშვრებოდა, უცხოთა მოემშოდა, უცხოთა მოეწყურებოდა, უცხო სიცივესა და სიცხესა თავს-იღებდა, უცხო მეძავთა და მემრუშეთა მიერ პატივ-იცემოდა, უცხო მეზვერეთა და ცოდვილთაგან გამოიზრდებოდა, ხოლო ისრაელთაგან ქენსა დაკრებდალ განიშზადებოდა.

277

უცხოთა ვირით მომავალსა ჩივილნი ოსანნასა უგალობდეს, მოხუცებულნი პირთა მირიღებდეს; უცხოთა გლახკანი წინა მიეგებედეს და მდიდარნი კართა დაუქვიდეს; უცხოთა მოწაფე გამცემელ ექმნებოდა, ერნი შეიპყრობდენ, მღვდელნი მოიძაგებდენ, მწიგნობარნი მოიძულდენ, მღვდელთ-მოძღვარნი შეპყრვიდენ, მსაჯულნი სიკვდილად მისცემდენ; უცხოთა კეთილის განსვენებისა ნაცვლად ბოროტსა უყოფდენ, მიგებებისა ნაცვლად განბასრევედენ, მოკითხვისა ნაცვლად განკიცხვედენ, სიტკბოჲსა საუბრისა ნაცვლად ავინებდენ, ფუფუნებისა ნაცვლად სცემდენ, შვებისა ნაცვლად შებოროკილვიდენ, შემოსისა ნაცვლად შიშველსა ქალაქსა მოავლებდენ, ბანებათა ნაცვლად სისხლითა შეღებდენ, კვართისა მიცემისა ნაცვლად შოლტითა დააწყულდებდენ, / ვარცხნისა ნაცვლად ლერწმითა სცემდენ და თმათა და წვერთა ფხვრიდენ, ნელსაცხებლისა ცხებისა ნაცვლად პირთა ნერწყვიდენ და ყვრიმალსა უმეტქდენ, ქუდისა ნაცვლად ეკალთა დაადგმიდენ, ბიალონისა ნაცვლად კიცხვისა ძოწეულსა შემოსდენ, საგებელისა ნაცვლად ჯვარსა გააჯრვიდენ, ბალიშისა ნაცვლად ბრალის ფიცართა დაუღებდენ, განსვენებისა ნაცვლად ქელთა და ფერათა დაუმსქვალვიდენ, სანოვაგეთა ნაცვლად ნაღველსა და მურთა მოუპყრობდენ, ღვინისა ნაცვლად ძმარსა ასმევდენ./

278

279

ესრეთ შეიწყნარეს უცხო იგი, ესრეთ უმასპინძლეს სტუმარსა მას, მჰსნელად მოსრულსა მათდა. ეს ქრისტე, უცხოდ დამდაბლებული, უცხოდ შობილი, უცხოდ მკვდარი, უცხოდ აღდგომილი, უცხოდ ამაღლებული, უცხოდაც მოვალს მეორედ მოსლვასა მას დიდსა დღესა განკითხვისასა, რომელი აყვედრებს კაცთა შეუწყნარებლობასა თვისსა, არა მხოლოდ თვისსა, არამედ ერთა მცირეთაგანთასა, რომლისათვის იტყვის: „რომელი არა უყავთ ერთა მცირეთაგანთა, მე არა მიყავთ“¹. ვინ არს ესე მცირეთაგანი, შესწორებული ქრისტესი? რომელი მოვიდეს შენდა უღონო ვინმე კართა

280

¹ შდრ. მათე 25, 45.

281 სახლისა შენი/სათა და არა აქენდეს ადგილი დასავენებელად მისდა, და იგი არა შეიწყნარა, ესე არს შეუწყნარებლობა ქრისტესი.

უკეთუ მდიდარი ვინმე მოგადგეს კართა, უმასპინძლებ დიდად და მოიშოვებ¹, რა არა გაქვს, რათა მდიდრისა მისგან შეიძინო მცირედი რამე, და დაუტელი სახლთა შენთა და წარხვალ მეზობელთასა და ყოველთა სახლთა შენთა მიუთვალავთ მათ, რათა გაქებდენ. უკეთუ მოვიდეს ძლიერი, მათ უადრესად მიხადით, რამეთუ უწყით: უკეთუ არა ნებსით უმასპინძლოთ, უნებლიეთ გაგიმასპინძლებს, ხოლო უკეთუ ქრისტე მშვიდი და ანუ მისი მოძმე უცხო მოგადგეს კა/რთა; მრავალსა მიზეზსა დაუღებ სიტყვითა, რათა ყურესა ერთსა სახლისა შენისასა არა განუსვენო ღამესა ერთსა. ელი მდიდრისაგან მონიჭებასა რამსამე და გეშინის ძლიერთაგან და დასკლი სახლთა შენთა სრულიად; უკეთუ ზამთარი, ყინულიცა იყოს, იტვირთავ სიცივესა, რაოდენ დღე იყოს სახლსა შენსა, ხოლო ქრისტეს მოძმე უცხოსა ზაფხულის დღესა არცა ეზოთა შენთა შინა შეუტევებ და არცა ელი ქრისტეს მიერ სასუფევლისა სიმდიდრისა მოცემასა და არცა გეშინის იესუს ძლიერებისაგან, ნუ უკვე ჯოჯოხეთად დაგსაჯნესთ.

282
283 არა უწყია, ოდეს მოვიდეს უცხო, კარად/ შენდა შეიწრებული უღონოებითა და არა შეიწყნარო და განავლინო მწუხარე, მაშინ მოეკსენოს ქრისტესა უცხოებით მოსლვა ჰურიათა თანა, რომელთა არა შეიწყნარეს, და მაშინ მოაგონდეს წყლულებანი იგი უმადლოთანი, რომელთა იგი უგმირნეს, მაშინ განუახლდენ ტკივილნი, რომელ ძელსა ზედა დამსკალნეს? არა უწყია, რამეთუ შენცა ხვალე უცხო ექმნები სახლსა ამას შენსა და სახლეულთა და დედაწულთა განქმორები?

284 მოიასენენ მამანი შენნი, სადა მიმავალ არიან უცხოობასა შინა, და შენცა მიხვალ უცხოება მის ქრისტეს კართა თანა უცხო და უცნო/ბელი, რომელსა არა გექონების მას ეამსა შინა მუნ უნჯთაგან სახლთა შენთასა, არცა ოქრო, არცა ვეცხლი და არცა რავე ხვასტაგთაგანი; არა გეყოლები მუნ შემწედ მეგობარნი, მოყვასნი და მცნობელნი შენნი, ვითარცა არა ჰყავნდა შენსა კართა ზედა უცხო-სა მას, რომელი განაძე, რათა მათ კარნი განგიხვან და განგისვენონ. არავინ შეგიწყალეზს დღესა მას, ვითარ შენ არა შეიწყალე იგი ძმა და ნათესავი შენი და ტომი მამისა შენისა ადამისი. ვინაჲთგან შენ უგულუბელს ჰყავ მოვლინებული ღმრთისა მიერ, შენცა უგულუბელს იქმნები ღმრთისა მიერ, რამეთუ გეტყვის უფალი: «არა გიცნი თქვენ»./

¹ მოიშოვებ.

არა აღმოგვიჩინებდა, ვითარ განიწმინდა თავი თვისი რაბ მძებ- 285
მან, როსკიპმან დედაკაცმან, და ღმრთისა წმიდად და ისრაელთაგან
რჩეულად გამოჩნდა უცხოთ-შეწყნარებისა მისთვის, რაჟამს მოვი-
დენ ზისა უცხონი იგი ისრაელთაგანნი და სამ დღე განუსვენა და
დამალნა სელისა ზვინთა ქვეშე, გინა ლოთ, ძმისწული აბრაჰამ
მამათ-მთავრისა, რამეთუ ენებათ სოდომელთა სახლისა დაქტევა
მისი უცხოთა მისთვის შეწყნარებისა და განერა მით დაწვასა მას
ცეცხლითა ზეცით წვიმებულისაათა?

უცხოთ-შეწყნარება ღმრთისა მასპინძლობა არს. უცხოთ-შეწყნა- 286
რება უფლისათვის განმზადება არს. უცხოთ-შეწყნარება ქრისტეჲ
მიწვევა არს, უცხოთ-შეწყნარება იესუს ძნობა არს.

უცხოთა ზედა წარსაგებელი არა წარგიწყმდების მსგავსად მდი-
დართათა, რამეთუ მდიდარნი თვისისა სიმდიდრისაგან უკეთუ
უმრავლესი მოგცეს ორნი ღრპკანნი, ანუ სამნი და ნაკლები მისა,
გინა არცა იგი მოგცენ, არამედ ოდენ გაქონ. და უკეთუ ქრისტე
ისტუმრნე, მოგცეს სიმდიდრისაგან მისისა კურთხევა მამისა თვი-
სისა, რომელი უმჯობეს არს ყოვლისა სიმდიდრისაგან, და დამკვიდ-
რება სასუფეველსა ცათასა, სადა მკვიდრ არიან ყოველნი მსახურნი
ღმრთისანი.

რასა შეწუხდები უცხოთა/ მოსლვისათვის? რასა ზრუნავ მცი- 287
რედისა პურისა დაგებისათვის? რაასა სამნაურ გიჩნს სახლად შეყ-
ვანება მსგავსისა შენისა? არა მეცნიერ ხარ, თუ რაოდენთა კეთილ-
თა შეუტერებ თავსა შენსა უცხოთა შეწყნარებითა? პირველად:
რამეთუ კაცსა ისტუმრებ; მეორედ: ნათესავსა შენსა სახლად შე-
იყვან, რამეთუ იგიცა ადამისა ძე არს; მესამედ: უღონოსა, დაჭირ-
ვებულსა ულბენ; მეოთხედ: მშიერსა განაძლებ; მეხუთედ: მწყურ-
ვალსა ასმევ, რომლისათვის იტყვის წმიდა მათე მახარებელი: „რო-
მელმან სცეს წყალი ერთი გრილი სახელად მოწაფისა, არა წარუ-
წყმდეს“; / მეექვსედ: მცივანსა განატობ; მეშვიდედ: ქრისტეს ის- 288
ტუმრებ, და შვიდთა მცნებათა ღმრთისათა ერთისა უცხოთა შე-
წყნარებითა აღასრულებ, და შვიდთა გვირგვინთა ქრისტეს მიერ
დღესა მას დიდსა განკითხვისასა დაიღვამ და დიდებასა სუფევისა
ღმრთისასა ღირს იქმნები.

ჰოი, სასყიდელი მრავალ-ფასისა ადვილად მოპოვნებული!

ჰოი სავაჭრო პატიოქსანი, მცირითა მოვაჭრებული!

ჰოი სიმდიდრე დაუღევენელი, ადრე დასალევენელი მოშო-
ებული!

ამისთვის იტყვის მათე მახარებელი იგ, მე: ..მსგავს არს სასუფე-

289 ველი ცათა კაცსა ვაჰარსა, რომელმან პოვა მარგალიტი მრავალ-
ფასისა და განყიდა ყოველივე და მოიყიდა იგი¹. / ესე უცხო არს
მარგალიტი უსასყიდლო, რომელი შეწყნარებითა მოგიყიდა, და
არცა ყოველი მონაგები შენი განგიყიდა, არამედ წუთ ოდენ სახლი
გითხოვებია და მცირედი პური და წყალი მიგიპყრია. არა თუ უცხო
იგი ლიტონად მარგალიტი იგი არს, უკეთუ განიგულო, — დამბადე-
ბელი მის მარგალიტისაცა, უბრწყინვალესი ყოველთა თვალთა პა-
ტიოსანთა და უმრავლფასესი ანთრაქთა, რამეთუ ქრისტე მუუფე
ბრძანებს: „რომელმან შეიწყნარა უცხო, მე შემეწყნარაო“².

290 ზედავა, საყვარელო, ქრისტე შორს გგონიეს და ახლორე მოგ-
სვლიეს; ქრისტეს სასუფეველთა შინა ეძიებ, კართა შენთა მოსრულ
არს; ქრისტეს მიმართ ვედრებასა/ ამრავლებ, რათა შეგიწყალოს და
თვით შენთანა დავანებასა გეტყვის? რა-ლა ვნებავს უდიდესი ამისი,
რომელ დღეს მოაწია შენ ზედა?

აწ, საყვარელო, ოდეს მოავლინოს ღმერთმან უცხო ვინმე კართა
შენთა, მიეგებოდე სიხარულითა, განუღებდე კართა სისწრაფითა,
შეიწყნარებდე კეთილითა გულითა, ნუ ეტყვი: «არა გიცი», რათა
არა შენცა გესმეს მამა ესე, ნუ ეტყვი: «ცოდვილ ხარ, გინა ბოროტა»,
რათა არა შენიცა ცოდვანი გამოგიცხადდენ, ნუ ეტყვი: «არა ნათე-
სავ და ტომ ხარ ჩემი», რამეთუ ყოველნი ერთისა ტომისაგან
ვართ და ყოველთა საზოგადოდ გვეძმო ქრისტე, არამედ მსგავსად
291 სიტყვისა უფლისა განუსვენეთ უცხოთა, / რათა თქვენცა განგისვე-
ნოს ქრისტემან, მოყვასმან უცხოთა მან, სასუფეველსა ცათასა უკუ-
ნითი უკუნისამდე. ამინ.

17. სწავლა სტუმართ-მოყვარებრისათვის ჟამსა ელიაობასა.

„სტუმართ-მოყუარე იყუნით ურთიერთარს, თვნიერ დრტვნვი-
სა“, — იტყვის პეტრე, თავი. მოციქულთა, პირველის კათოლიკის
მეოთხესა თავსა შინა³. კეთილ არს სტუმართ-მოყვარება და ღმრთი-
სა ნეტარებითა შემსგავსებული, რამეთუ უცხოთ-შეწყნარება სტუ-
მართ-მოყვარებავე არს, რომლისათვის იტყვის მაცხოვარი მათეს
კმ, ლდ: „დღესა მას საშინელსა მოვედით, კურთხეულნი მამისა
ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ სასუფეველი ცათა..., რამეთუ უცხო/
292 ვიყავ და შემეწყნარეთ მე“⁴.

¹ მათე 13, 45.

² მათე 10, 40.

³ პეტრეს I კათ. 4, 9.

⁴ მათე 25, 34.—35.

ამისავე შემსგავსება არს სტუმართ-მოყვარება. ვინცა შეიწყნარა უცხო, და ორივე ერთ არს.

სტუმართ-მოყვარე იყო აბრაჰამ: და ოდეს ეწვივნეს დიდნი იგი სტუმარნი, თვით თავადი აბრაჰამ მირბიოდა სამროწლედ და აღიქვა მპართა თვისთა კბო და მოიყვანა დაკლვად, და შეუმზადა სარრა ცოლმან მისმან, რომელთა ჰყვეს სამასათრვაშეტნი მონანი და მკე-ვალნი და სხვანი. არცა ერთსა უბრძანეს მსახურება, არამედ თვით მათ თავადთა მსახურეს სტუმართა და ფერჰნი დაბანნეს და დაუტევს კბო იგი მგბარი.

ჰეე, დიდი სიმდაბლე მასპინძლისა, რომელსა მონანი და მკე/ვალ-ნი ესხნეს; და თვით მსახურონ სტუმართა სიყვარულისათვის ღმრთისა და მოყვარებისათვის სტუმართაჲსა მამად წოდებულმან ღმრთისაჲსან!

იობ სტუმართ-მოყვარებისათვის შემზადნა შეიდნი სახლნი და შეიდნი ტაბლანი შეიდთა მათ დღეთა შეიდისა ძისა თვისისათვის და დღითი-დღე იმასპინძლის თვითოსა ძესა სახლთა შინა და განუ-სვენის სტუმართა და უცხოთა მისრულთა სახლსა მისთა, და მეორე-სა დღესა შეწირის¹ ზვარაჲნი ღმრთისათვის, უკეთუმცა ძეთა მის-თა, ანუ სტუმართა მისთა ცოდეს რაიმე მას დღესა, მიუტეოს ღმერ-თმან. ესოდენ განამრავლა სტუმართ-მოყვარება კაცმან ღმრთისა-მან, რამეთუ სერი/ დაუდგის და კვალად მსხვერპლი შეწირის ღმრთისა ცოდვისა ლხინებისა სტუმრისა მისთვის.

რააბ მეძავმან, ცოდვილმან დედაკაცმან, დაუტევა შიში მეფისა, რაჲამს ისტუმრნა მსტოვარნი ისრაელთა, და დამალნა ზეინსა შინა სელისასა სამ დღე და განუტევნა მშვიდობით. უკეთუმცა ეცნეთ ქალაქსა მაშინ ანუ მეფესა მისსა, სრულიადმცა მოესრნა სახლეულნი მისნი, არამედ სტუმართ-მოყვარებამან არა უტევა, და ამას სოველ-სა სახელოვან იქმნა და საუკუნო ცხორება დაიმკვიდრა.

აბიმელიქ მლდელმან არა ჰრიდა პურსა შესაწირავთა ღმრთისა-თა და აჰამა სტუმართა თვისთა, ოდეს ესტუმრა დავით და მისთან-ნი, რომელთაგან / არა-ჯერ იყო ჰამა, გარნა მლდელთა ხოლო, არა-მედ სტუმართ-სიყვარულმან აღძრა მლდელი უფლისა და კრმალი-ცა გოლიათისა უძღვნა.

სერეფთეს სიდონია დედაკაცმან გარდამეტა სტუმართ-მოყვარე-ბა და ქმნა საკვირველი მასპინძლობა, რაჲამს მივლინებული წინას-წარმეტყველი ელია მივიდა მისსა გამოზრდად. პირველად იხილე

¹ შეწირის.

სიმდაბლე წინასწარმეტყველისა, ვითარსა მკოდოვანსა დედაკაცსა და გლახაკსა ქვრივისა ესტუმრა და არა მეფეთა, არცა დიდებულთა სიყმილსა მას შინა, რომელთა აქვნდა სანოვაგე ფრიადი, არამედ სიმდაბლით ესტუმრა ქვრივისა გლახაკსა, რომელსა არცა-ღა შეშა აქვნდა, სხვა რამცა ჰქონოდა, და ჰკრებ/და იგი ფიჩხთა, არამედ ამან გლახაკმან უფრორე საკვირველ ყო. მასპინძლობა თვისი, რომელ არ ძალ-უცთ მეფეთა და მთავართა ყოფა მისი. ვინაჲთგან სიყმილსა მას შინა აქვნდა მკელი ერთი ფქვილი და რქითა მცირედი ზეთი, რომელი ამზადებდა მისთვის შეშათა, რათა შეაცხოს და შექამონ მან და შვილთა მისთა, და არღარა აქვნდა სასოება, რათა სხვა იშოა, გარნა სიყმილითა მოწყვედა. ოდეს სთხოვა წინასწარმეტყველმან საზრდო, არა პირველად შეაწუხა, არამედ სთხოვა წყალი, რომელი ადვილ საშოგარ არს ყოველთა კაცთა და, რა კეთილისა გულსმოდგინებით მირბიოდა მოღებად წყალთა, შესძინა წინასწარმეტყველმან და/ კმა უყო უკანა მისა და სთხოვა პური. ხოლო მან არა ჰრიდა თავთა თვისთა, არცა შვილთა ჩჩვილთა მოწყვედად, არამედ სტუმართ-მოწყვარებისათვის ისწრაფა, შეუცხო პური და მოართვა ზეთი და ესრეთ საყვარლად ისტუმრა ელია.

დიდ არს ესრეთ სტუმართ-მოყვარება და შეუძლებელ, რომელი ქმნა ქვრივმან მან!

და არღარა მოაკლდა სამ წელს სიყმილსა მას შინა ფქვილი ქვრივისა მას და არცა ზეთი, არამედ ზრდიდა უფალი სტუმართ-მოყვარებისა და უცხოთა გამოზრდისათვის.

რალაა უდიდესი ამისი სხვა-ღა სტუმართ-მოყვარებისთვის, რომელ ქმნა ქვრივმან ამან?

არამედ გითხრა ერთი-ღა უდიდესი, რომელი ქმნა უდიდესმან/ მან მამამან ჩვენმან ზეცათამან, რომელმან მისტუმრნა ჩვენ, და დაკლა ჩვენთვის ძე თვისი საყვარელი და დაგვიღვა სერი უკვდავებისა, რომელი ამას საწუთოსა კეთილითა აღგვავესებს და ცხორებასა საუკუნოსა დაგვიმკვიდრებს.

იხილეთ, მორწმუნნო: დაგვიგო წმიდა ჰორცი მისი საკმელად ჩვენ მომყმართა მადლისაგან ღმრთისა და ცხორებისაგან და გვახვა წმიდა სისხლი მისი მოსატევებელად ცოდვათა ჩვენ მწყურვალთა საღმრთოჲსა სწავლისაგან, რომლისათვის დავით სულითა ღაღადებს და იტყვის რიგ ფსალმუნსა შინა: „ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან. ვიხარებდეთ და ვიშვებოდეთ ამას შინა“¹.

ვიხარებდეთ ჩვენცა სულითა ამას მასპინძლობასა შინა, გან-

¹ ფს. 117, 24.

ვძლეთ საკმლითა წმიდითა ამით და დავით/რვნეთ სულიერითა სა- 299
ღმრთოთადათა ამის სასმელითა, განვსცხვრებოდეთ დღესა ამას შინა
და განვისვენოთ საუკუნოსა მას ცხორებასა უფლისა თანა. მასპინ-
ძელი ჩვენი უხვ არს, სახლისა უფალი ჩვენი მოუკლებელ არს,
მიმწოდებელი ჩვენი ჩვენთვის არა იძუნწვის.

ვიხარებდეთ ჩვენცა სტუმარნი ღმრთისანი ტაბლასა ზედა
ღმრთისასა.

ჰეე, შეიყვარეთ თქვენცა, კაცნო, სტუმართ-მოყვარება და ჰბა-
ძეთ ღმერთსა დაშბადებელსა: უკეთუ ძე თქვენი ვერა დაუკლათ
სტუმართა თქვენთა, დაუკალით სიხარულით კრავნი ცხოვართანი;
ანუ ემსგავსენით მამათ-მთავარსა აბრაჰამს: და უკეთუ თვით არა 300
თავს იღვათ მოყვანა ჰბოძასა და მზარეულობა, მონა/თა უბრძანეთ
მხიარულებით ყოფა სამსახურისა სტუმართა თქვენთა; ანუ ემსგავ-
სენით აზნაურსა მას მართალსა იობს: და უკეთუ შვიდნი ტაბლანი
შვიდთა დღეთა ვერა განშადნეთ¹ და ვერა შესწირნეთ მსხვერპლ-
ნი² ცოდვისათვის მათესა, ოდესცა გესტუმრნეს უცხონი, მაშინ
უმასპინძლე კეთილად; ანუ ემსგავსე [აბიშელქ] მღღელსა: და უკე-
თუ არა გაქვნიდეს საღმრთო შესაწირავთაგან, დაუგე კეთილთა გუ-
ლითა, რა იგი გაქვნიდეს ჰელთა შენთა, რამეთუ ესრეთ წერილ არს:
„სჯობს მცირელი მართლისა ვიდრე-ღა მრავალსა სიმდიდრესა ცოდ-
ვილთასა“; ანუ ემსგავსე რააბ მეძავსა: და შეიწყნარენ სახლად 301
შენდა უცხონი იგი. უკ/ეთუ სამ დღე ვერ თავს იღვა, სამ ეამ ოდენ
უმასპინძლე და იგი კმა ყავნ. უკეთუმცა ემსგავსები სერეფთელ
სიდონიას, არა გეტყვი სიყმილთა შინა თავთა და შვილთა განწირ-
ვასა, არამედ ემსგავსე სიხარულით სტუმართ-შეწყნარებასა.

ჰვრივი არა შეწყუხებულნი იყო წარგებად საზრდოძასა, რაიცა
აქვნიდა, არცა ელია ზრუნვიდა გლახაიკისა მასპინძლისა წვევასა.
ჰვრივი არა იღებდა ვალსა, არამედ მცირედითა პურითა და ზეთითა
ისტუმრა, არცა ელია სთვლითა თითო ფერთა სანოვავეთა. ჰვრივი
არა ასმევდა ღვინოსა, არცა დათრობად აიძულებდა, არცა ელია 302
ეტყოდა მასპინძელსა თვისსა სხვათა და სხვათა? ჰაშნიკთა მოღებასა.
ჰვრივი არა უმზადებდა ჰორცთა ნივთებითა შემკულსა, არცა ელია
ითხოვდა ფერად-ფერადთა მოსამატთა. შეიყარნენ მას დღესა სტუ-
მარი მღაბალი და მასპინძელი გულფართოდ მხიარული, სტუმარი
მცირისა მჰამელი და მასპინძელი ცოტაძასა მიმღებელი, არამედ იგი

1 განშადო.

2 მსხვერპლი.

3 სხვისა და სხვისა.

მცირე მას ეამსა დიდთა უდიდესი. ქვრივი არა მწუხარე იყო შვილ-
თა სიყმილით მოწყვედისათვის, არამედ მხიარულ იყო სტუმრისა
303 მოსლვისათვის. ქვრივი არა მალეველა მცირესა ფქვილსა, არცა ფუც-
ვიდა მცირისა ზეთისა არა-ქონებასა, ვითარცა ძუნწნი მდიდარნი,
არამედ სიხარულით ეტყოდა ელიას: «მოვედ და შეკამე საცხორე-
ბელი შვილთა ჩემთა». ქვრივი არა უკან აქცევდა სტუმარსა, არა
ეტყოდა: «გლახაკ ვარ მე, მივედ მდიდრისა. უპოვარ ვარ მე, არა
ძალ-მიც მასპინძლობა». არამედ სიხარულით აწვევდა: «მოვედ, მოის-
წრაფე, უფალო ჩემო, შეკამე, რაცა მაქვს, და შვილითურთ მოვსწყ-
ლები და დამფალ მიწათა».

თქვენცა, საყვარელო, მისსა ემსგავსენით სტუმართ-მოყვარებასა:
უკეთუ სტუმარი მოგივლინოს უფალმან, განუმზადე სახლი და, რა
304 იგი გაქვს, მიუძღვენ კეთილითა გულითა, რამეთუ მოციქ/ული იტყ-
ვის: „სჯობს სტუმრობა მხლითა და გულითა კეთილითა“¹.

ნუ სწუხარ მოსლვასა ზედა სტუმრისასა, ნუ სდრტვინავ კეთილ-
სა საქმესა ზედა, ნუ შეაწუხებ მხიარულად მოსრულსა კართა შენთა,
ნუ უსასო-ჰყოფ, რომელსა უნდა დავანება სახლთა შენთა, რათა
შენცა დაიმკვიდრო სტუმართ-მოყვარისა აბრაჰამ მამათ-მთავრისა
და იობ პატროსნისა და ღირს იქმნე ხილვად დიდისა ღმრთისა მამი-
სა, რომელმან დაკლა ჩვენთვის ძე თვისი სიყვარულით, ოდეს გვის-
ტუმრნა, რომლისა არს დიდება თანა დაუზაბამოსა ძით და სულით
წმიდითურთ აწ და მარადის — და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.

305

18. წყავლა ვეცხლის-მოყვარებისათვის

„ვეცხლი მათი ისრიოს უბანთა ზედა და ოქროჲ მათი შეურაცხ
იქმნეს. ვეცხლი მათი და ოქროჲ მათი ვერ შემძლებელ იქმნეს
განრიებად მათდა მათ დღეთა შინა რისხვისა უფლისაჲსა“ —
იტყვის წინასწარმეტყველი ეზეკია 8, ით².

ვეცხლის-მოყვარება არს უბოროტესი ყოვლისა ცოდვისა, ვი-
ნაფთვან მოციქული პავლე ვეცხლის-მოყვარებასა კერპთმსახუ-
რებად სახელ-სდებს, რამეთუ ჭეშმარიტად ეგრეთცა არს, რამეთუ:
რომელსა აქვს საფასენი მრავალნი, არა აქვს სასოება ღმრთისა
მიმართ, არამედ დაუც სასოება თვისი საფასისა თვისისა თანა; არა
306 აქვს გონება სიმართლესა ზედა, არამედ / შეძინებისა ფასისა თვისი-

¹ იგაენი 15, 17.
² ეზეკ. 7, 19.

სათა; არა აქვს ცნობა მადლთა განმრავლებრსა, არამედ უნჯთა გან-
მრავლებისა; რამეთუ საცნობელნი მისნი მის შორის არიან და მტერ
არიან ყოვლისა კეშმარიტებისა და მოძულენი ყოვლისა სიმართ-
ლისა; რამეთუ თხზვიან ზაკვასა და იქმან ვერაგობათა, რათა მოი-
გონ უმრავლესი და შეიძინონ ურიტები; ფიცვენ სიტყუით, უბნო-
ბენ ტყუილით, რათა დაფარონ სიმრავლე უნჯთა თვისთა; მოყვა-
რე ექმნებიან მდიდართა, რათა შემატონ საფასეთა თვისთა, და
უგულებელს-ჰყოფენ გლახაკთა, რათა არა მისცენ ქველის საქმე; და
თვალთა დაიწუხვენ და პირთა მირიდებენ, რათა არა იხილონ
მათხოვარი ვინმე, ოდ/ეს წინა შეემთხვიოს; მოიძულებენ ნათესავ-
თა და თვისთა, რათა არა რა მიანიჭონ და შეიყვარებენ ვაშთა ამ-
ლებელსა, რათა სახლი მისი აღაოხრონ. ვისა ნებაეს მიღებად ვა-
ლისა, მიიწვევენ, და ეუბნებიან მოწულედ და მისცემენ ტკბილობით
და უხვად, რათა ორი წილი მოილონ, და, უკეთუ დავრდომილ იქმ-
ნა კაცი იგი სიმდიდრისაგან და არღარა ძალ-უც აღნადგინებისა
ჰიციემა, შეიპყრობნ და შეაშთობნ და პირველსა სიყვარულსა გინე-
ბად შეუტკვალებს და ესოდენ შეაჭირვებს, რათამცა განყიდნა ავა-
რაქნი, ანუ ცოლი და შვილნი და მისცა მას. მტერ არიან ყოველთა
კაცთა; რათა ნებაეს მას, რაიცა/ იხილის ქონება სხვათა, რათამცა
თვით მიიღოს ღონისძიებითა რითამე.

307

308

და ყოველნივე კაცნი მტერ მისა არიან, რამეთუ მოყვარენიცა
მტერ მისა იქმნებიან, უფრომხად მტერთასა; იწყებენ მეზობელნი
მისნი მისგან გამორჩომასა და მსახურნი მეფისანი ზედასა-ზედა
შეასმენენ, საბრძესა დაუდგემენ მოქელენი, რათამცა მწყყრომ ექმნენს
მეპატრონენი და საქმისა ამით წილი ხვდეს სიმდიდრისაგან მისისა.
ქვე-განმხედველ ექმნებიან მეფენიცა, რათა მათცა გამოილონ რამე
უნჯთაგან მისთა. განემზადებიან მანდატურნი შეპყრობად მისდა,
რომელმანცა პოვა ჟამი რისხვისა მეფისა მის-ზედა. განიმსტრობენ
მპარავნი/ კედელთა ზღუდისა მისისათა, სადაჲთ შევიდეს, და ეძიე-
ბენ ჟამსა მარჯვესა, რათამცა იპარა რამე, და, ვინა უწყყის, თვით
იგიცა მოაკვდინა, რაჟამს სცნა შესლვა მპარავისა და არა უტევა
მონაგებთა თვისთათვის. განემზადებიან მეკობრენი და იკითხვენ
მგზავრ წარსლვისა მისსა, რათა ეწიონ და იავარ-ყონ, ვინა სახლთა
მისთა ფორიაკი დასცენ. შეიჭურვიან ავაზაკნი მის ზედა, ვითარცა
მამის მკვლელთა, უმზირიან და გზათა ზედა დგებიან, რათამცა მოკ-
ლან და უნჯითა მისითა მოშოებითა იქებდენ სვესა და ბედსა მათსა.
ძვირის-მზრახველ ექმნებიან ძმანი მათგან უმრავლესისა ქონებისა-
თვის და ურჩ ექმნებიან შვილნი: და ნებაეს, რათამცა თვით ქელმწი-
ფე იქმნეს მონაგებთა მისთა ზედა და განაბნოს. დრტვინაჲს ცოლი

309

310

მისი და იტყვის მარადის მეზობელთა შინა: «ქმარი ჩემი მონა არს ვეცხლისა და მე არა პატიოხნად შემოსს და მამკობს».

ესრეთ ყოველნი კაცნი მტერ მისა არიედ და თვით მონაგებიცა მისი მტერ მისა არს, რამეთუ არა დაამშვიდებს, არა განასვენებს, არამედ აშფოთებს, აშრომებს და არა მოგვრის ძილსა, არა განუძნის გონებათა, რათამცა მოიცალა აღნადგინებისაგან, რათამცა სვა და ჭამა, ანუ ალხინა გემიერ. ვიტყვი: თავიცა თვისი მტერ მისა არს, ვინაჲთგან არა დაჯდების ად/გილსა ერთსა განსვენებით, არა მიანდობს მონასა, ანუ მოყვართა, რათა ავაჭროს იგინი, არამედ თვით წარვალს და წარიხვამს მრავალთა. ვისაცა ესმის მდიდრისა მის მისლვა, მიზეზსა დაუდგმენ, მსოფლიონი შეაწუხებენ, მეზობელნი შეაჭირვებენ, მკედარნი და ავაზაკნი სწყლვენ.

უკეთუ ამათცა განერა, იხილე, თუ რაოდენნი ჰირნი და შრომანი აქვს გზა-მავლობათა მათთა ზედა: მყინვარება ზამთართა, ქარნი ბუქიანი ველთა, ლელვანი სასტიკნი, ზღვათა შინა დანთქმა და შემუხრვა ნავთა. ვინა უწყის, სადა მოკვდების; ვინა იცის, სადა დაინთქმის; ვინა ჰპოებს, სადა სნეულ/არს? ესრეთ მტერ არს თავი თვისი.

უკეთუ ამასცა განერე, გასწავლის ტყუილსა და ცრუფიცებათა და უცხო-პყოფის სიმართლისაგან, ასწავლის სიძულელისა კაცთასა და გინებათა და ბრძოლასა და შურსა, აღიყვანს ამპარტავნებასა და ზვაობასა ზედა.

რომელსა ერთსა უანერეს ამათგანსა?

ამისთვის ასწავებს მოციქულთა უფალი ჩვენი და ეტყვის: „ნუ მოიგებთ ოქროთა და ვეცხლთა“¹. არა თუ თვით ბოროტ არს ოქრო და ვეცხლი არსებითა თვისითა, ნუ იყოფინ, არამედ კეთილ და შევნიერ, ხოლო მოყვარეთა მათთა განმბოროტებელი და ესეოდენი საცთური და სიბოროტე შეუდღეს სიყვარულსა მისსა./

რამათვის მოიგებთ, ვეცხლის-მოყვარენო, მრავალთა? არა უწყია: შიშველი იყავ და არარა გამოილე დედის მუცლით შენით და, რაოდენი შეგიკრებიეს, სხვათა შეგიკრებიეს და სხვათათვისვე გნებავს დატევებად?

ოდეს მოჰკვდე და შეხვიდე პირველსა დედისა მუცელსა შინა, რომელ არს მიწა, საფლავი შენი, ერთი ოდენ სამკედრო სამოსელი შეგმოსონ საუნჯისა სიმრავლეთაგან შენთა და სხვა ივარ-ყონ. უკეთუ ქვეყნისა მპყრობელიცა მეფე იყოს, თვისისავე საუნჯისაგან ესევე სამოსელი წარიღოს და, უკეთუ უპოვარ გლახაკი მოკვდეს,

¹ მათე 10, 9.

სხვამან უყიდოს მონაგებისაგან თვისისა და მითივე შემოსოს და დაუ/ლას.

314

ჰოი, რა სარგებელი აქვს სიმდიდრესა საუნჯისაჲსა, ვინამთგან ცოცხალსა ესოდენსა ბოროტსა გიყოფს და მკვდარსა არარასა გარგებს?

ამისთვის იტყვის დავით ლმ ფსალმუნსა შინა: „რამეთუ იუნჯებს და არა იწყის, ვის შეუკრიბოს იგი?“¹ უკეთუ იუნჯებ და შერები დღეთა შენთა ოფლითა და სიმწარითა, და მოიღვაწებ მრავლითა ჰირითა, და არა თავსა ეწევი და ბოროტად შეკრებილსა არა-კეთილად განაბნევ, და ძრწი დღე, რათა არავინ აგრძნას სისავსე საუნჯეთა შენთა, და ღამე გეშინის და განფრთხობილ ხარ, რათა არა შოვიდეს მპარავი, რათამცა წარიპარა.

ესე ყოველი ცხორება შენი ამა ორთა ვაებათა შინა დალივე/ და შოვიდა აღსასრული და ურიცხვთა შენთა მონაგებთაგან მოგცეს ერთი ოდენ სამკვდრო სამოსელი და სხვა ყოველივე თვით შეიძინეს. უკეთუ ძეთა შენთა ანუ ძმათა შენთა შეიძინეს, ნუ უკვე და სამკვდროსა სუდარსა ზედა უმეტესნი მოგანიჭნა და შემოსა კუბოცა საკაცისა შენისა ნაქსოვითა, ნუ უკვე და მცირედნიცა აღაბნი გიქმნნა; ნუ უკვე ურჩინ ძენი გესხნეს, ანუ სხვანი ვინმე ნათესავნი, და მრავალნიცა უნათესავონი იქმნებიან. და მას რომელიმე აქებს ვიდრე სამ დღემდის, რათა შეიძინონ მონაგებნი მისნი, ხოლო სხვანი გმობენ და აგინებენ: «ვისდა დამარხნა ამან ცოდვილმან». სხვანი იტყვიან: / «ვიდრე ცოცხალ იყო ბოროტი, არა სეა, არა ჭამა, არა შეიმოსა, მოყვასნი და მოყვარნი მოიგ[ი]ნა და აწ მტერთა დაშთა». სხვანი გმობენ და იტყვიან: «შერებოდა, გლახაკობდა, იჭირვოდა და შეჰკრებდა ნაანგარევთა; გლახაკთა პურნი² არა განუტეხნა, სტუმარნი სძულდა, უცხო არა შეიწყნარა და აწ უცხო ექმნა მონაგებსა თვისსა»; სხვანი იტყვიან: «კეთილი კაცი ყოფილ-არს და ბრძენი. წინასწარ უცნობიეს ჩემნი სიგლახაკენი და ჩემთვის მოუღვაწებვის, რათა მე მერგოს»... და ესრეთ განიკითხვენ.

315

316

ანგელოზნი მწუხარე არიან მისთვის, რამეთუ კეთილი ოქრო ბოროტად იქმარა. ეშმაკნი მოხარულ არიან მისთვის, რამეთუ ჰრისიტეს მცნება/ არა დაიმარხნა და დაემონა ვეცხლის-მოყვარებასა და ემსგავსა იუდასა. წმიდანი განცვიფრებულ არიან, რამეთუ ესმოდა სწავლანი წერილთანი და ხედვიდა თვალთა მიმავალსა მამა-პაპათა საფლავად და თვით არა შეიგონა. ღმერთი სამართლად განმზადებულ არს, რათა ჰრქვეს დღესა მას საშინელსა: „მშოიდა და არა მეც

317

¹ ფს. 38, 6.

² პური.

საზრდელი, მწყუროდა და არა მასვ, შიშველი ვიყავ და არა შემ-
მოსე, უცხო არა შემიწყნარე¹.

ვაი, ვეცხლის-მოყვარეთა რა-მე უნდა ეყოს დღესა მას სააწველი-
სასა? სადა არს საფასე მისი ურიცხვი, რათა მისცეს მაშინ ქრთამად
და აღადგინონ მეხვამიშენი ანუ მეოხნი? /

318 ვაი, ვეცხლის-მოყვარეთა! იხილეთ და სცანთ: ვინაფთგან უვეცხ-
ლოდ შიშველი იშვების კაცი, თვინიერ ვეცხლისაცა შემძლებელ
არს ცხოვრებად, ვინაფთგან, ოდეს დასწეულდეს, ვერა არგებს ტკი-
ვილსა ვეცხლთა და ოქროთა ზედა დადება, ვინაფთგან ვერა გარე
მიაქცევს ვეცხლი და ოქრო სიკვდილსა, ვინაფთგან საფლავთა შინა
არარა გერგების საუნჯისაგან შენისა, თვინიერ სუღარისა შენისა
კიდე, ვინაფთგან ოქრო შენი ვერა დაშვავს კარსა ჯოჯოხეთისასა. და
ვეცხლი შენი ვერა განახვამს ბჭეთა სასუფევლისათა და სიმღიდრე
შენი ვერა შესცვლის მსჯავრსა მეუფისასა, ცუდ სამე არიან მონა-
გებნი შენნი. ქვათა / სიმრავლესაცა ესეოდენი საქმე ძალ-უც,
319 მდგლოთა ფურცელნი და ხეთა რტოებიცა ამას იქმენ, ქვიშა ზღვისა
და ოქრო შენი და ვეცხლი სწორ სამე ყოფილ არიან.

ნუ, საყვარელნო, ნუ დაემონებით ვეცხლსა, არამედ ვეცხლი მო-
ნობისათვის ქრისტესა განაბნიენით, სადა იგი შეგიკრებთ და დაგი-
უნჯებთ მუნ, სადა მღილთა და მჭამელთა არა განრყენიან, სადა
მპარავთა არა დათხრიან, სადა თვით ქრისტე სუფევს უკუნითი უკუ-
ნისამდე, ამინ.

✓ 19. სწავლა უთმინოებისათვის.

320 ვითარცა ზღვისა მყუღროსა შინა კეთილმავალსა/ ნავსა ეკეთ-
ნეს ქარნი სასტიკნი და შეაჟეთქნეს კლდესა და დაინთქეს შემუს-
რვილი, ეგრეთვე სული მყუღრო რა იყოს გონებასა შინა თვისსა.
ოდეს ეცეს ქარნი უთმინოებისა, იგი დაინთქმის სიღრმესა ქვესკნე-
ლისასა. რამეთუ ესავ უთმინოებამან წარწყმიდა და მიეღო პირმშო-
ება, ვინაფთგან ვერ მოითმინა მცირედ ჟამ ოსპისა უქმელობა და
საძაგელ ღმრთისა შეიქმნა და მიეღო კურთხევა მამისა.

უთმინოება არს აღმაგზნებელი ცეცხლთა გენიისათა დასაწვა-
ვად თავისა თვისისა და დასასჯელად სულთა თვისთა, რამეთუ უთმი-
321 ნოება დასთესს ყოველსა ცოდვა/სა და აღაოჩინებს და ნაყოფიერ-
ჰყოფს, ამისთვის რამეთუ არა არს სიბოროტე ქვეყანასა ზედა, რო-

¹ მათე 25, 35 — 36.

მელიცა უთმინობისა მიერ არა იშვებოდეს. ვითარცა თევზი განა-
შორო წყალთა და წამსა შინა მოკვდეს, ეგრეთვე, რომელიცა ცოდ-
ვა განაშორო უთმინობისა, წამსავე შინა განქარდეს. ვითარცა აბე-
დი მიუპყრა სიმრავლესა ნაკვერცხალთაა და მოედვას ცეცხლი,
ეგრეთვე უთმინობა რა იხილონ ცოდვათა სიმრავლემან, ზედან შე-
ეწებნენ.

უთმინობა არს უარისყოფა ღმრთისა, ვინაჲთგან ღმერთი მოთ-
მინებასა გვიბრძანებს, ხოლო უთმინობა დაჰსნის მცნებათა მისთა.
უთმინობა შეიქმს/ სიძულვილსა მოყვასისაჲსა, რომლისათვის ბრძა-
ნებს უფალი: „შეიყუარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“¹. ხო-
ლო უთმინობა დაჰსნის ამასაცა.

322

უთმინობა იქმს ცრუფიცობასა და დღესასწაულთა არა დამარ-
ხვასა; უთმინობა შეიქმს არა პატივისცემასა მამა-დედათა თვისთა;
უთმინობა იქმს ბრძოლასა და კაცის კლვასა; უთმინობა განამრავ-
ლებს პარვასა და ავაზაკობასა და დაცემასა; უთმინობა აღადგენს
ღირწებასა, სიძვასა და მრუშებასა; უთმინობა ასწავლის ცილისწა-
მებასა² და შურსა და ნდობასა ხვასტაგთა მოყვასთა და მეზობელ-
თათა; უთმინობა ესრეთ ათთავე მცნებათა/ სჯულისათა დამქსნელ
და გარდამავალ ექმნებთან.

323

უთმინობა მოაოხრებს ქვეყანასა და აღადგინებს შეფეთა ბრძო-
ლად შეფეთა ზედა და განამრავლებს შფოთსა და ჰდომასა კაცთა
შორის.

უთმინოთა კაცთა ლოცვასა არა შეისმენს ღმერთი, ამისათვის
ვინაჲთგან ყოველთა ცოდვათა აღმორძინებულ არიან. უთმინოთა
კაცთა არა მეოხ ექმნებიან წმიდანი ღმრთისანი, რამეთუ გარდამა-
ვალ სჯულისა არიან. უთმინოსა კაცსა არა წარუძღვებიან წმიდანი
იგი მომთმინონი მოწამენი და მამანი მიყვანებად უფლისა თანა, რო-
მელთა მოითმინეს ამის სოფლისა მიერი მათ ზედა მიღებულნი
ტანჯვანი, იწროება, ცეცხლი და მახვილი, ვინაჲთგან ვერ ჰპოვებენ
მაშინ სათნო/ებასა მცირესა; პეტრე, თავი მოციქულთა, არა განგი-
დებს კარსა სასუფეველსაჲსა, რომელსა ჰქონან კლიტენი მისნი,
რომელმან მოითმინა ქრისტესათვის თავდამოქცევით ჯვარცმა; მო-
ციქულნი არა მოეგებებიან უთმინოსა კაცსა, რომელთა დაითმინეს
შრომა, ქვეყნით ქვეყნად სლვა, გვემა, ტანჯვა, ჯვარცმა, განხერხვა,
ტყავთა განჰდა და თვითთ ფერი სიკვდილი. ქრისტესა ვერ იხილავს
უთმინო კაცი, რომელმან დაითმინა ჩვენ ცოდვილთათვის ფრიადი

324

¹ მათე 19, 19.

² აქ წყდება C ნუსხის ტექსტი.

325 შრომა, განსყიდვა, შეპყრობა, გვემა, ნერწყვა, ჭვარცმა და მრავალ-სახე სატანჯველი სხვანი. უთმინო კაცი არა-მცირედსა ხანსა და უექველად ჯოჯობეთსა დაემკვიდრების, სადა საუკუნოდ მოთმენად არს ტანჯვისა.

ვაი, რა საზარელი და ძნელი არს!

თუცა, ძმანო, აქა ამა წუთისა-სოფელსა ძნელ არს მოთმენა შიმ-შილისა და წყურვილისა, აღვილ არს ჯოჯობეთსა შინა საუკუნო შიმ-შილი, საუკუნო წყურვილი და კმობა ენათა?

თუცა აქა არა მოითმინების სიცხე და სიცივე, ვითარ დაითმენთ მარადის მოუკლებლად ცეცხლითა წვასა, მდინარესა ცეცხლისასა ჯდომასა, მდუღარისა კუპრისა ტბათა ტურვასა, აღნთებულსა წუნ-წუბასა შინა დაღუპვასა, ფისსა მფოფინარსა შინა დანთქმასა?

326 თუცა აქა ვერა მოითმენთ ყვედრებასა, / ბოროტის-ზრახვასა, გინებასა, ვითარ დასათმენელ არს მარადის მძინვართა ეშმაკთაგან საკვირველი ყვედრება, ბილწი გინება, უცხო და უცხო შინება, სა-ზარელნი ოცნებანი, შესაძრწუნებელნი ჩვენებაები?

თუცა აქა ვერ მოითმენთ მცირეთ ჟამ დუმილით იყოთ და ბო-როტსა არა ზრახვედეთ, ვითარ მოითმენთ ჯოჯობეთსა შინა დაუცა-დებლად კენესასა, მარადის ვაებასა, წამ და წუთ ღალადებასა, დღე და ღამე კივილსა და კრჩხიალებასა და არავისგან შებრალებასა?

327 თუცა აქა ვერ მოითმენთ შიშლოებასა და მცირედისა ქონებასა, ვითარ დაითმენთ ცეცხლისა. ალითა შემოსასა, ცეცხლისა ჯაჭვე/ბითა შეკრვასა, ცეცხლისა ვეშაპებთა თანა ყოფასა, უკვდავთა გველებთა ყელთა და წელთა ხვევნასა, ასპიტთა და იქედნეთა ძუძუთა ზედა კიდებასა, მატლთა უძილთა ხვევნასა?

ნუ, ძმანო, უთმინოებასა ესე ყოველივე წინა უსხენ, ოდესცა მოვიდეს, და ამისგან უძნელესი უკანასკნელ სხვა: ოდეს მოვიდეს ქრისტე განსჯად ცოცხალთა და მკვდართა, ოდეს დაჯდეს საყდართა დიდებისათა, და ყოველნივე მეფენი და მთავარნი მის წინაშე დგენ შეძრწუნებულნი და ქედღადარეკილნი და გვეტყოდეს: «აწ, ერო ჩემო, რჩეულო ჩემო, თქვენთვის დავმდაბლდი, თქვენთვის/ განვ-ქორციელდი, თქვენთვის ტანჯვანი თავს ვისხენ»; გვიჩვენოს თავი თვისი ეკლის გვირგვინისაგან ნაწერტი, პირი ნანერწყვი, ჰურიათა-გან ბეჭნი ნაგვემნი, ყვრიმალნი ნაცემნი, პელნი და ფერჰნი-დამსჭვა-ლულნი, გვერდნი განგვარემულნი; — «ესე ყოველი თქვენთვის და-ვითმინე, რათა ჯოჯობეთით გიჰსნა. აწე თქვენ რა უკვე მოითმინეთ ჩემთვის, რა ძღვენი მოგიღებინეთ მოთმინებლსა? — მომართეთ მე!»

328 ვაი, რა-მე მიუგოთ, მითხარით მე?

მაშინ დიდად სირცხვილეულნი იქმნებიან უთმინონი კაცნი! სა-

ზარელ არს მას დღესა განვარდნა პირისაგან მისისა, უძნელეს არს ყოველთა ტანჯვათა ჟოჯოხეთისათა; მაშინ ვინ-ლა იყოს/ შეგმწე მისი? 329
რომელი-ლა გამოჩნდეს მეოხი მისი, ოდეს გამოჰდეს განჩინება და მიეცეს ეშმაკსა წარმწყმედელსა?

წუ, ძმანო საყვარელნო, შევიშინოთ დღისა მისთვის და ეამისა და აწვე სოფელსა ამას შინა მოვითმინნეთ ეამნი მოსათმენელნი, რათა არა ძნელსა მას და უთმინოთა მოსათმენელისა მოთმენად შევიქმნეთ. აქავე თავს-ვიდვათ წუთისა ამის ეამისა ჳირნი და შრომანი, რათა მას ძნელსა ჳირსა და პყრობილობასა განვერნეთ და საუკუნოჲსა სატანჯველთაგან ვიჰსნეთ და ჳრისტეს თანა ვიხარებდეთ უკუნისამდე, ამინ./

20. სწავლა ურჩებისათვის, მარხვისა

„განიყვანა იესუ სულისაგან უდაბნოდ და იმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ლამე“ — მათე იტყვის წმიდის სახარების დ, ა¹.
რამასათვის იმარხა ჳრისტემან, რა ცოდვა ჳქონდა, ძმანო?

იმარხნა წმიდანი ესე ორმეოცნი დღენი ურჩებისათვის აღამისა, რომელ გარდაჲდა მცნებათა უფლისათა და ექსორია-იქმნა სამოთხით, რამეთუ ურჩება არს თავი ყოვლისა ცოდვისა.

ვინათგან ეშმაკი პირველ ამპარტაუნებით დაეცა, ხოლო აღამ ურჩებით გამოვარდა, კაცთა ცოდვათა დასაწყისი ურჩება არს და ფესვთა მის/თაგან აღმოსცენდებიან ყოველნი ცოდვანი. ურჩება 331
სხვა არაარა არს, თვინიერ წინააღმდეგობისა, და წინააღმდეგობა ამპარტაუნება არს, ორნივე და ერთ არიან — ამპარტაუნება და ურჩება, ვინათგან:

ურჩებამან დასცა აღამ, ურჩებამან გამოაძო სამოთხით, ურჩებამან ზეცად აღმყვანებელი ქვესკნელად შთასთხია, ურჩებამან სამოთხის საშვებელნი სოფლის ზრუნვად შესცვალ[ნ]ა, ურჩებამან სამოთხის გემოვნება ქვეყნის უგემოებად გარდუქცია, ურჩებამან უკვლავი მოკუდავად შექმნა, ურჩებამან ასმინა ჰმა იგი ძნელი: „მიწა ხარ და მიწადვე მიიქეცი“², ურჩებამან აღმოუცენა ეკალი და ეუ- 332
როსთავი და პირითა უფლისაჲთა უბრძანა ჳამა პურისა, ურჩებამან მოჲადა წყლით რღვნა ძეთა ზედა აღამისთა, ურჩებამან შთასთხია ფარაო ზღვასა მას მენამულსა, ურჩებამან დანთქ[ნ]ა დათან და აბირონ, ურჩებამან აღუღვა ცეცხლი ბანაკსა კორესსა, ურჩებამან

¹ მათე 4, 1—2.

² შესაქმე 3, 19.

ქვებულ-ყო საულ მეფობისაგან, ურჩებამან განქეთქა დედოფალი იეზაბელ, ურჩებამან განაკეთროვნა გეზი — მსახური ელსესი, ურჩებამან აღძრ[ნ]ა ჰურიანი მაცხოვარსა ზედა, ურჩებამან შეკრიბნა მღვდელთ-მოდღვარნი ჯვარ-ცმად ქრისტესა და მრავალნი სხვანი 333 ესევითარნი ქმნ[ნ]ა ურჩებამან, რომელ სიგრძითა მოჰსენებისათა თავნი შეგეწყინნეს.

ურჩება არს საფუძველი უშჯულობისა და აღმარძინებელი ამპარტავენებისა ესრედ სახედ: ვითარცა ხე რამე ნერგი იდგეს ველსა ერთსა უდაბნოსა და ურწყულსა და კმებოდეს სიცხისაგან მზისა, კაცმან ვინმე განუღოს რუნი და მორწყოს ზედასა-ზედა ხე იგი და ახაროს და გამოიღოს ნაყოფი, ეგრეთ არს ურჩებაცა. უკეთუ კაცი- 334 სა ვისასმე გულთა შინა იყოს დანერგული ამპარტავენება და მან კაცმან მოიგო მორჩილება, განკმებოს ამპარტავენებისა ხე იგი და, უკეთუ ურჩებისა წყლითა მორწყო, ზედასა-ზედა გამოიღებს/ ნაყოფსა ამპარტავენებისასა.

ამისთვის განგვაკრძალებს წმიდა მოციქული პავლე და იტყვის: „დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა, რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქუენთათვის“¹.

ისმინოთ აწ პავლესი და შეუდევით მორჩილებასა, ვინამთვან წინა გვიძს საცთური ესოღენი ურჩებისა.

ჰხედავა ურჩებასა, რაოდენ ბოროტ არს და უძვირეს ყოვლისაგან ცოდვისა?

შენ პირმეტყველად დაგბადა შემოქმედმან და ნებაგს, რათა დიდებასა თვისსა აღგიყვანოს, და შენ ესეთსა საქმესა იქმ, რომელ არა იქმენ პირუტყვნი.

განიხილე ძაღლი, რომელი გძაგს შენ, და რომელთამე ძმათა 335 შენთაგანსა შერისხავ ანუ სხვათა/ ბოროტის-მოქმედთა კაცთა შეამსავავსებ ძაღლსა. არა უწყია, რამეთუ ძაღლნი მორჩილებასა ქვეშე არიან და არა ურჩებისა მოქმედისა სწორნი?

ძაღლი გლახაკისა კაცისა ვისიმე დიდად მჰვლე, რომელ არა რა ეპოების უფალსა მისსა, რათამცა აჭამა, წარვაღს სხვაგან და ჰპოებს მძორსა და განირინის ძვალთა და მოვალს და უღარაჯებს უფალთა თვისთა და ხვასტავთა მისთა და ჰყეფს გარემოს საჭლისა მისისა. უკეთუ მპარავი ნახა, ებრძვის და, უკეთუ უფალმან უბრძანა, უკებენსცა მორჩილებსათვის პატრონისა თვისისა.

336 ძაღლი მდიდრისა მსუქანი არა განლაღნების, არცა/ ამპარტავენ

¹ ებრ. 13, 17.

იქმნების, არცა უარის-მთქმელ, ვითარცა ურჩინი კაცნი, არამედ წარპყვებიან უფალთა თვისთა ნადირობად: რომელნიმე ფრინველთა კვალთა ჰკვლევენ, რომელნიმე ნადირთასა, სხვანი შეიპყრობენ და დამაშვრალნი არა შესკამენ თვისთა შეპყრობილთა ნადირთა, ვიდრე პატრონი არა მივალს, ნადირსა მის თანა წვანან და, ვიდრე პატრონი არა შეაგობს და ჭამად არა უბრძანებს, არა იკადრებენ ჭამად.

ვინაჲთგან პირუტყვი და უმეცარი ძალლი ესრეთ მორჩილი არს, არა ჯერ-არსა ჩვენ კაცთა გულისხმიერთა და სიბრძნის მოყვარეთა მორჩილება ჩვენი უალრესთა ჩვენთა? მაშა, რა/მცა უნდა ეყოს ურჩისა კაცსა, არა თუ განძება პირისაგან ღმრთისა? 337

ჰოი, ურჩება ბოროტი და სარცხვენელი, რომელ ყოველთა კაცთა უდარეს ჰყოფს და ძალლთაგანცა უარესს იქმს კაცთა!

ნუ, ძმანო, ვინაჲთგან ესრეთ ბოროტ არს ურჩება, მოვედით და შევიყვარნეთ ესე წმიდანი ორმეოცნი დღენი მარხვათანი, რომელწინი პირველად მამამან ჩვენმან ადამ იმარხნა და შემდგომად მისსა ყოველთა მამათ-მთავართა და წინასწარმეტყველთა, ვიდრე ქრისტესამდე, და ქრისტემანცა მით დაასნა ურჩება ადამისი.

ამისთვის ნუ მაბრალობელ ექმნებით მამასა ჩვენსა ადამს პირველ ურჩებისათვის: უკეთუ მან ურჩება ყო და გამოიძო სამოთხით, შენ მორჩილება ჰქმენ და შევედ-/ უკეთუ იგი მცნებასა გარდა და მოკვდა, შენ შჯული დაიმარხე და უკვდავ იქმნები. მას არა გამოცდილება აქვნდა და დაეცა, შენ გამოცდილება გაქვს, კეთილად ჭეგ და არა დაეცე. მას ეშმაკი და დედაჯაცი ორივე ეტყოდა ჭამად და არავინ იყო დამაყენებელ მისსა, ხოლო შენ არავინ გივის მთქმელი, თვინიერ ნებისა შენისა, და დამაყენებელი მრავალნი წმიდანი და წერილნი მათნი და ჰამბავი და საქმენი ადამისნი. 338

ნუ მიზეზობ ადამის ცთუნებასა!

მონაზონი უკეთუ ყოვლითა სათნოებითა შემკობილ იყოს, უკეთუ ურჩება აქვს, მსგავს არს ხილსა მარმარილოთა ნაგებსა: და რა განვლო ყურე ერთი ჩატეხი/ლი იყოს და ვერა განჰქდე. 339

მონაზონი რეცა ანგელოზის მსგავსი იყოს და ურჩებასა ვერ მოიკვეთდეს, მსგავს არს იგი წყალთა დიდთა შინა ფონსა კეთილსა: და რა განვლო წყალი იგი, კიდურსა კბოდე იხილო აღმართებული და ვერა აღზვიდე.

მონაზონი დადაცათუ ფრიად მოღვაწე და მშრომელ იყოს და ურჩებისა უღელსა ქვეშე შებმულ იყოს, მსგავს არს ველსა დიდსა და სიციხოვანსა განსლუასა და ველისა დასასრულსა ხეთა შევნიერთა-საზილავთა საჩრდილობელად სიციხოვანისა კაცისა მის: და რა გან-

340 ვლოს ველი იგი, ესრეთი ღელე იხილოს განსლვად შეუძლებელი ხეთა მათ ძირის კე/რძო.

მონაზონი დაღაცათუ მსგავსად დავითისა ცრემლითა დაალტობდეს სარეცელთა თვისთა და ურჩება აქვნდეს, მსგავს არს იგი ზღვასა შინა მავალსა ნავსა: რა პელაგონი განვლოს და ნავსაყუდელსა მიეახლოს და მუნ ეკვეთოს კლდესა და შეიმუხროს.

მონაზონი თუცა დლითი-დღე ათასთა მუპლთა მოიდრეკდეს და ურჩებისა უფალი იყოს, მსგავს არს კიბესა ერთსა მაღალთა ქორთა აღსავალთა: რა აღვიდეს დასასრულსა, კიბეთა ხარისხი შეიმუხროს და ქვეჩამოიხრეს.

341 მონაზონი დაღათუ სიწმიდით შემოსილი იყოს და ურჩებასვე შინა იყოს, მსგავს არს კაცსა დაბალსა, ბრწყინვ/ალითა სამოსლითა შემოსილსა და გარეშებლალულსა მწვირითა მყრალითა.

ვინაჲთვან ესრეთ ყოვლისა სათნოებისა განმაშორებელი არს ურჩება, ძმანო, მოვიკვეთნეთ და შევიყვარნეთ მარხვანი ესე, დამსნენ-ლნი ადამის ურჩებისანი, უფროჲსად ზატიკობისა და დღესასწაულისა და ვიმარხოთ პირითა არა ფარისეველურითა, არამედ მხიარულითა. და ნუ მოვიკვეთთ მარტოოდენ ღვინოსა და საჭამადსა, არამედ მოვიკვეთთ ურჩება, ამპარტანება, სილაღე, ზვაობა, სიძულვილი, ძვირის-ზრახვა, გულბოროტება, თვითსჯულება, თავ/დაჯერებულობა, შური, ლალვა, ბრძოლა, ცუნდრუქება და ყოველნივე ესევეითარნი, ხოლო ამით წილ მოვიგოთ მარხვა, ლოცვა, შეგვრ[დ]ომა, ფსალმუნება, ცრემლნი, სულთა-თქმა, მკერდსა-ცემა, მუპლთა-დრეკა, სიმდაბლე, სიმშვიდე, სიყვარული.

342 და ესენი შეუკრიბნეთ თავთა ჩვენთა საგზალად და თანა ღირქსიანებელად, რამეთუ შორიელსა გზასა განმზადებულ ვართ წარსლვად და გვიანად მოსაქცეველ და არავინ გვივის გზასა ზედა მეგობარი, რათამცა გვისტუმრა, არავინ არს მოწყალე, რათამცა ჰელნი აღგვიყრნა, არა სადა არს სა/ვაჭრო, რათამცა ვიყიდნეთ რამენი. გასმიესა ხუთთა მათ ცოფთა ქალწულთათვის, რომელთა მუნ მცირედისა ზეთისა შოვნად ვერ ღირს იქმნეს?

აწვე განვემზადნეთ და ვიტვიროთთ ქედთა ჩვენთა მორჩილებითა მოძღვართა ჩვენთათა წმიდანი ესე მარხვანი სიხარულით, გამომზრდელი ჩვენი სიყმილისაგან, რათა დაუბრკოლებლად მივეახლნეთ ქრისტესა, ჩვენთვის ჯვარ-ცმულსა, რომელმან განგვიწესა მარხვა ესე დასაქსნელად ურჩებისა და განმანათლებლად სულთა ჩვენთა, რათა ვადიდებდეთ ღმერთსა უკუნისამდე¹.

¹ ხელნაწერი უმატებს: „წართქვენ კვირიაკესა ყველიერისასა, ადამის ექსო-რიობასა, გინა მარხვათა შინა, ოდესცა გინდეს“.

„ხოლო მე გეტყვ თქვენ: რომელი განურისხნეს ძმათა თჳსთა ცუდად, თანამედებ არს სასჯელისა“ — იტყვის მახარებელი მათე 5, კმ¹.

ზედაცა, ვითარ ცუდად მრისხანებისათვის სასჯელსა მისცემს უფალი, რამეთუ არს მარადის მრისხანება გლისპი?

მრისხანება არს უბოროტესი ყოვლისა ცოდვისა. არა ვიტყვი სწავლათათვის შერისხევასა ბოროტად ქელქვეშეთთა თვისთა ზედა, რომლისათვის იტყვის დავით დ ფსალმუნსა შინა: „განრისხნებოდეთ და ნუ სცოლდეთ. და რა სთქუათ გულთა შინა თქუენთა, სარეცელთა თქუენთა ზედა შეინანეთ“². ვსძაგებ ცუდსა მრისხანებასა, რომელ არს სივლისპე, / რომელი საძაგელ არს წინაშე ღმრთისა და საძულელ კაცთა.

345

ცუდად მრისხანე კაცი ვერარასა სათნოებასა მოიღვაწებს და, უკეთუცა მოიღვაწა, რისხვითავე თვისითა დაარღვევს. ცუდად მრისხანესა კაცსა არა უფის კაცთაგანი მოყვასად, არცა კეთილსა მთქმელ, არცა ძმანი, არცა შვილნი, არცა სხვანი რაივე. მრისხანესა კაცსა ვერა შეაგონებს ერთგული, ვერა შემართებს კადნიერი, ვერარასა უმჯობესსა ეტყვის თანა-განმზრახნი. მრისხანე კაცი ვერასოდეს განისვენებს, ოდესცა მოცალე იყოს, ვერაოდეს მხიარულ-ჰყოფს თავსა თვისსა, თუცა შვილისაცა ქორწილი აქვნდეს, ვერაოდეს დამ/შვიდნების, თუცა უცხონიცა შეემთხვივნენ. მრისხანისა კაცისა და გლისპთა გულთა შინა კეთილი არა დაეთესვის.

346

ამისთვის განიოტებს მოციქული ჰაელე რისხევასა და იტყვის: „ნუ მრისხანე, ნუ მოლაღე, არამედ მშვიდ იყოს და მდაბალ“.

მრისხანისა კაცისა მეგობრობა მსგავს არს ასპიტისა ძელთა ჰირვისა, რომელსა მარადის აქვს გესლი მაკვლინებელი. მრისხანისა კაცისა მოყვრობასა უმჯობეს არს უბეთა შინა ჭლომა ღრიანკალისა, რომელი უკბენს თავითა და უცემს კუდითა. მრისხანისა კაცისა საუბარსა უტკბოას არს კოცნა ჭინჭრისა მსხუნავისა. მრისხანისა კაცი/სა თანა ყოფასა უფრორე განსვენება აქვს, თუცა მძინარემან დაიდვას ბალიშად გძლარბი ეკლოვანი, სადითაც გარდაბრუნო, უმწერტელეს იყოს. მრისხანესა კაცსა თანა სლვასა უმჯობეს არს, რათა უსამურითა ფერძითა ვიდოდეს კუროსთავთა ზედა, რომელსა ყოვლით კერძო აქვს საწერტელი. მრისხანისა კაცისა თანა ჭდომასა

347

¹ მათე 5, 22.

² ფს. 4, 4.

უსაწადელეს არს ქაცვთა შიგან ჯდომა მრავალ-ეკლოვანთა. მრისხანე კაცი მსგავს არს ბზიკთა, რომელი უცემნ, კაცთა ავნებნ და თავსაც მოიკლავნ; ეგრეთვე ესეცა კაცთა აწყენს და თვითცა დაიხრებნ.

- 348 მრისხანე კაცისა შეგონება ესრეთ უსასო არს, / ვითარცა ალიზი-სა რეცხით განწმედა: რაოდენ წყალი ასხა, ეგოდენ დათიბდება ალიზი, ხოლო რაოდენ შეაგონო მრისხანე, ეგოდენ განრისხნება. მრისხანე კაცი არა უპატიოსნეს არს ძალსა განცოფებულსა, ვინა-მთვან არცა მან იცის კეთილი და ბოროტი და არცა მან, ორივე¹ სწორედ ჰკბენს. მრისხანე კაცი უფალთა თვისთა აწყინებს, უპატიოსნესთა თვისთა აწუხებს, მოყვარეთა აყვედრებს, მეუღლეთა აგინებს, შვილთა სწყყევლის, მოყვასთა რისხავნ, მეზობელთა ჰკედნის, მონათა და მძევალთა ჰტანჯავნ, თაეთა თვისთა ზედასა-ზედა შე-იჩქენენბნ, პირუტყვთა კვერთხითა/ ჰკვემნ, ჭურჭელთა შემუსრავნ, რომელთამე განაქექნ, ღმრთისათვის დრტვინავნ, ჰაერთა სწუნობნ, სიცხეთა სძაგებნ, სიცივეთათვის ბოროტს-მზრახველობს, წვიმათათვის წუხნ, გვალვათათვის ვაებნ. მრისხანე კაცი უქონელობისათვის ტირნ, ქონებისათვის იბრძვის, შიმშილისათვის ოხრავნ, სიმაძღრისათვის კვნესის, რალასა ვაგრძელებ, ყოველთა ჟამთა მრისხანეობნ: არა დაყუდნების, არა დამშვიდნების, არა დასცხრების წუთსაცა ერთსა.
- 349

- 350 მრისხანესა კაცსა მტერი რადმცა უნდა?² თვით არს მტერი თავისა თვისისა. მტერი უმტერებს ერთჯერ, ანუ/ ორჯერ და იგი დაუცადებელ არს თავისათვის მტერ.

უკეთუ წვეთი მარადის სიძთა ქვითა დასდიოდეს, ლბილი წყალი მას განაჰრეტს და შევალს, ხოლო მრისხანისა კაცისა გულთა კეთილი სწავლა არა შევალს. რკინასა ფიცხელსა და უცნობოსა, ფეშხუმთა ზედა მდებარესა, ფეშხუმთა ქვეშე მალნიინტი რა განავლო, შესძრავს და მრისხანესა კაცსა³ ყურთა შინა საღმრთო სწავლა შთაუვდო, ვერა შესძრავს.

- 315 ამისთვის იტყვის სოლომონ იგავსა შინა: „უგუნური იგი დღითი-დღე მიუთბრობნ რისხუასა, ხოლო იფარავნ უპატიოებასა გონ/იერი“⁴.

ჰხედავა, საყვარელნო, ვითარ საძაგელ არს წინაშე ღმრთისა

1 ორთავე.

2 უნდეს.

3 კაცთა.

4 იგავ. 12, 16.

მრისხანება? რამეთუ თვით თავადსა ღმერთსა რაოდენსა შევსცოდებთ და წინაშე მისსა რაოდენსა ბოროტსა ვყოფთ, და არა განგვიჩისხნების, რომლისათვის იტყვის ღვთისმეტყველმა: „არა სრულიად განჩისხნეს, არცა უკუნისამდე ძვირი იქნესო“¹.

უკეთეს ღმერთი ჩვენი ჩვენ დაბადებულთა მისთა ესოდენთა ბრალთა ზედა სულგრძელ გვექმნების და არა შეგვიჩისხავს და წმიდანი მისნი გვაწავებენ, რათა არა განვიჩისხებოდეთ, რომლისათვის მიუწერს პავლე მოციქული კოლასელთა გ. მ: „განიშორეთ თქუენგან ყოველი რისხუაჲ, გულის-წყრომაჲ, უკეთურებაჲ, გმობაჲ, უშვერი სიტყვაჲ/ პირისაგან თქუენისა“², არა ჭერ-არსა ჩვენ-გან, რათა არცა ჩვენ სიტკბოება ჩვენი შევსცვალოთ სიმწარედ და რისხვად ძმათა და მეგობართა ჩვენთა ზედა, გინა ქვე უღარესთა ჩვენთა პელქვეშეთა? არამედ ჩვენ უფროსად განვიჩისხნებით და აღვეგზნებით, ვითარცა საქმილი, და შევსწავთ კაცთა გონებათა და მოვრუგავთ საცნობელთა გულთა მათთასა.

325

რამეთუ ცეცხლი აღდებული ძლიერი წყალთა მიერ დაშრტების და განგლისპებული კაცი ლიქნითა არა დამშვიდნების. ხანძარი ველთა აღტყინებული ნედლისა ბალახითა და ნოტიოთაგან დაეცადების და გლისპისა ღალადება არა დაწყნარდების./ ქარნი სასტიკნი არა მარადის ჭრიან, ხოლო გლისპი მარადის მრისხანეობს. ყინვა-ღა ნეფხვა რა მზისა სიტყოსა იხილვენ, დაყუდნებიან, ხოლო მრისხანემან რომელიცა დიდებული იხილოს ანუ მთავარი ვინმე, არა შეიკადმს. ბუქთა კვეთება პევთა და მალნართა შინა დაყუდნებიან, ხოლო გლისპნი ვერარამან დაამშვიდნის, არამედ უფროვე მძინვარედ ჰყევნ. ზღვათა ქოთებათა წიაღსლვა უადვილეს არს, ვიდრე-ღა მრისხანეთა საუბართა თავსდება. ნაღვარევი უამით-უამად განქმებიან და უამად ღვაროვან იქმნებიან, ხოლო მრისხანეთა³ არცა უამნი და არცა უუამობა იციან, წამითი წამად მიმო/იკბინებიან. მღი-ნარეთაგან წარტაცებული კაცი ჰპოებს რასამე, თუცა მელი მოჰკიდა და განერა, ხოლო მრისხანისა თანა მყოფი კაცი ვერარამასა ღონისძიებითა ვერასადა განერავის. რაღავე ვაძაგო, ამ სოფლისა ჭოჯოხეთი არს მოუშორებლად მრისხანისა თანა ყოფა.

353

354

ამისთვის მიუწერს პავლე მოციქული ეფესელთა დ. ღა: „ყოველი სიმწარე და გულისწყრომა და რისხუაჲ და ღალადება და გმობაჲ მოისპენ თქუენ შორის!“⁴.

1 ფს. 102, 9.

2 ებ. კოლ. 3, 8.

3 მრისხანემან.

4 ებ. ეფ. 4, 31.

355 ვინაშთაგან ესრეთ ბოროტ არს მრისხანება გლისებრივი, მოიკვეთინით და დაიმშვიდენით გულნი თქვენნი, რომლისათვის იტყვის მათე მახარებელი ე, ე: „ნეტარ იყვენენ მშვდნი, რამეთუ მათ/დაიმკვდრონ ქუეყანა“¹.

შეუდევით და შეიყვართ სიმშვიდე პატიოსანი და სიყვარული ღმრთისა, დამამკვიდრებელი ქვეყანისა, ზეცისა ძალთაჲსა. შეიყვართ სიტკბობება, რომელ არს მსგავსება ღმრთისა და მომტვევებელი უკუდავებისა, შემაერთებელი მოყვასთა და დამზავებელი მტერთა, მზიარულ-მყოფელი ანგელოზთა და სირცხვილელულ-მყოფი ეშმაკთა, მომაახლოებელი სერობინთა და განმაძევებელი სატანათა და ესრეთ განწმედილი მრისხანებისაგან აღვიდეთ ქრისტე იესუს თანა, ამინ.

22. სწავლა მახინებელთათვის

356 „ყოველივე სიტყუაჲ დამპალი პირით თქუენით ნუ გა/მოვალნ, არამედ რაჲ იგი იყოს კეთილ აღსაშენებლად სახმრისა მის, რათა მისცეს მადლი მსმენელთა მათ“. — წმიდა პავლე მოციქული მიუწერს ეფესელთა².

ამისათვის ვამცნებ მაგინებელთა მათ, რომელნი მარადის აღავსებენ პირთა მათთა საღნიოშითა, ვითარცა რა აღავსოს გოდორი მეცხენემან ჩონჩორიკითა გარე განყრად დღე ყოველ, რათამცა მოიკვეთნენ და არღარა აშრომდენ ენათა თვისთა გინებითა.

357 რამეთუ ღმერთმან პირნი კაცისანი შექმნნა საღიდებლად თვისა, რათა დღე ყოველ იკითხავდეს და აქებდეს ღმერთსა, რომელმან დაბადა და მისცა გულისხმის-ყოფა, რათა/მცა განარჩიოს კეთილი ბოროტისაგან და მით დაიმკვიდროს სასუფეველი ცათა და თანამოდასე იქმნეს ანგელოზთა.

აწ ვერ-ღა იქმნების მაგინებლისა მიერ კურთხევა უფლისა; ვერ გამოვიდეს ერთისა წყაროჲსაგან თბილი და გრილი, ვერ იტვირთოს ჭურჭელმან ერთმან ტბილი და მწარე, ანუ პირმან ერთმან გინება და კურთხევა.

358 არცა გასმიესა მაცხოვრისა მიერ: მწყევართა შენთა აკურთხევედე და მაგინებელთა შენთა ულოცვიდო? ხოლო მაგინებელი პირველად მადლობისათვის ღმრთისა შექმნილსა ჭურჭელსა ჭურჭელ საღნიოშოთათვის ჰყოფს და/მეორედ დამკსნელ ქრისტეს მცნება-

¹ მათე 5, 5.

² ებ. ეფ. 4, 29.

თამაშა იქმნების. სიტყუთ: რა-მე უნდა ეყოს ღმრთისა მიერ მაგინებელთა, ვინამთგან მადლობა ღმრთისა დაუტევა და მცნებასა ქრისტესსა დამძნელ ექმნა? და ნაცვლად მადლობისა ღმრთისა შეიკრებენ¹ გინებათა ბილწთა, და წარწყმედელთა სულისათა და განმშორებელთა² კაცთა დიდებისაგან ღმრთისათა და შემაწუხებელთა მოყვასთა და მოყვარეთა თვისთათა, — და გამოიღებენ გულისა თვისისა საუნჯეთაგან სხვასა და სხვასა, ვითარცა გამოიღის ვაჭარმან მდიდარმან სხვადასხვა საეაჭრო საჩვენებლად მომსყიდელთა მათათა, და ზედასა-ზედა დაურთავს/ უარესსა; და გამოეციებს, 359 რათა მოიგონოს სხვადასხვა უსაწყენესი და უაღსაშფოთებელი სიტყვა, რათამცა განახლოოს და განარისხოს მოყვასი თვისი; იჭირვის შეკრებად სიმყარალისა პირსა³ შინა თვისსა, ვითარცა მიდამოვალს ღორი ჭყვირილით, რათამცა სადამე პოვა ბილწი განავალი და მით განაძლო მომყმარება თვისი; და კეთილისა საზრდელისა წილ, რომელი განუმზადებვის უფალთა მისთა მათათთვის, ამან მიიტაცესიბილწე და ყო საზრდელად თვისსა; გინა ყვავნი და ყაჯირნი, იყნოსიან სიმყარალე მძორთა დამპლისა დამატლიანებ/ულისა, შეკრებებიან 360 მის ზედა და ჭამნ მას, ვითარცა კეთილი რამე, და ზედან განცხრომით ჩხავიან და იხარებენ და პატიოსნად შეუარაცხვისთ; ეგრეთვე მაგინებელნი ეძიებენ აქა და იქი ღონისძიებითა სიმყარალეთა ბოროტთა, სკორეთაგან უბილწესთა და მატლიანთაგან უღნიომესთა. რათამცა შეიკრიბნა პირთა შინა თვისთა და ესროლა უნითა თვისითა, ვითარცა ისარი მაკედინებელი; რომლისათვის წინასწარმეტყველი დავით სწყევს და იტყვის პბ ფსალმუნსა შინა: „რისხვთა შენითა შეაძრწუნენ იგინი და აღავსე პირი მათი გინებითა“⁴.

ჰხედავა, ვითარ საძაგელად სჩანს წინასწარმეტყველსა ღმრთისა გინება?

ჰოი მაგინებელთა, ოდეს განცოფებულ იყონ, და ჰყეფდენ, ვითარცა ძა/ღლნი შემეავალთა მპარავთა და უღორენდეს ზედასა-ზედა 361 მოყვასთა თვისთა, რაჟამს მირბიოდეს მაგინებელი მწვირესა შინა განსაბანებლად, ვითარცა კამბეჩი, გინა ღორი, რომელთა ჰგონიეს განბანა, არამედ უფრორე შეიმწიკვლებიან მწვირითა მით მყარლითა!

ამისთვის იტყვის სოლომონ იგავსა შინა: „რომელნი წარმოიღებენ გინებასა, იგინი უგუნურ არიან“.

¹ შეიკრიბენ.

² განმშორებელსა. ;

³ სიმყარალისათა პირთა.

⁴ ფს. 82, 16 — 17.

362 ჰგონიეს მაგინებელთა ბოროტის ყოფა მოყვასთა თვისთა და არა უწყის, რამეთუ პირველად ბოროტი უყო გულსა თვისსა, რომელი აღავსო მრავლითა სიბოროტითა და არა-წმიდებითა; მეორედ ბოროტი უყო პირსა თვისსა, რომელ გზად შექმნა უშეჯულობისა; მესამედ ბოროტი უყო ენასა თვისსა და სასასა, რომელ შე/სვარა ცოდვითა და არა-წმიდებითა, თვარა მას კაცსა არარა ევნო, ვისიცა ენება გინება, ესრეთ სახეთ: ვითარცა კაცმან ვინმე მრისხანემან აღიღოს სკორე ახალი ჰელითა თვისითა და შესტყორცოს ჰაერსა და ჰგონებდეს განსვარასა და შებილწებასა ჰაერისასა, არა პირველად შეისვარა და შეიბილწა ჰელი თვისი? და ჰაერს არარა ევნო და ვერცა მიეახლა. ეგრეთვე მაგინებელი ჰგონებს სხვათა შებილწებასა და თვისთა პირთა და ენათა განისვრის სიბილწითა.

363 ჰოი, სიცოფე მაგინებელთა! რაჟსათვის განეშორებიან მადლისაგან საღმრთოჟსა? არა უწყიან, გინება ბოროტი უკეთუ მოითმინა/კაცმან, მსგავსება აქვს წინასწარმეტყველისა დავითისი: ოდეს იგი ივლტოდა აბესალომისაგან და წინა მოეგებოდა სემია და აგინებდა ბოროტად და ესროდა ქვათა? და მონანი დავითისნი აღივსნეს გულისწყრომითა, ხოლო დავით არა უტევებდა მოსიკვდიდ მისა და ეტყოდა მათ: ნურაჩასა აფნებთ, რამეთუ ცოდვილ ვარ, და ნუუკვე შემენდოს ღმრთისა მიერ, და მით მიეტევნეს ცოდვანი. ხოლო აწ რომელმანცა მოითმინოს გინება, მიეტემის სასყიდელი იგი დავითისი. და, უკეთუ არა მოითმინა გინება იგი, განძლიერდის ბოროტი იგი საძაგლეზა.

364 გინება აღაშფოთებს გონებასა კაცთასა; გინება მიუღებს საცნობელსა ბრძენთა/სა; გინება მოამზადებს ცემად ჰელთა ყვრიმალთათვის და შეჰკრავს მჯილთა ქედთა და ღაწვთათვის; გინება მომუხვავს ფჩხილთა და თითთა მოფხრვად თმათა და მოგლეჯად წვერთა; გინება განმარტებს მკლავთა და მოჰზადებს დაკვრად კვერთხთა; გინება განლესს კრმალთა და წამახვავს ლახვართა; გინება დასთხევს სისხლთა და იქმს კაცთა წყლვასა და სიკვდილსა.

ამისათვის უკვე დასწერს პეტრე მოციქული პირველსა კათოლიკესა შინა თვისსა: „ნუ მიაგებ ბოროტსა ბოროტისა წილ და ნუცა გინებასა გინებისა წილ“¹.

365 იხილეთ, ჰოი მაგინებელნო, ვითარ მრავალნი ბოროტნი ქმნნა გინებამან ერთმან — ცოდვა/ მრავილი და მცირემან დიდი!

ამისათვის მოუწერს მოციქული პავლე კორინთელთა: „არცა

¹ პეტრეს I კთ. 3, 9.

ამპარტავანთა, არცა მაგინებელთა, არცა მპარავთა, არცა მემრუშეთა სასუფეველი ვერ დაიმკვიდრონ“¹.

ვაი, მაგინებელთა, რომელნი თანა-ზიარ არიან ამპარტავანთა და მემრუშეთა და მპარავთა! უფრომასად გინებულ იქმნებთან გინების მოყვარენი, ვინაჲთგან მოციქული განაყენებს სასუფეველისაგან და უცხო-ჰყოფს პირისაგან ღმრთისა.

ვაი, მაგინებელთა, რამეთუ გინებისაგან უძვირეს არს მოკლება საფარველისა ღმრთისა!

ვაი, მაგინებელთა, რამეთუ გინებისა უძნელეს არს ჰელთა ეშმაკთასა მიცემა!

ვაი, მაგინებელთა, რამეთუ გინებისა უფრორე/ განმაცოფებელ არს ჯოჯოხეთად შთასლვა, რაჟამს მაგინებელსა კაცსა ეღებოდეს ალი ცეცხლისა, აყვედრებდენ და აგინებდენ საკვირველითა და შესაძრწუნებელითა. გინებითა ეშმაკნი წყეულნი, მოეკიდებოდეს ბაგეთა გველნი, მსგავსნი აღისანი, უცემდენ ღრიანკალნი გესლოვანნი ღრძილთა მათთა და ვეშაპნი ცეცხლისანი სწოვდენ ენათა მათთა და ჯოჯოხეთისა სიმყრალე აღავსებდეს სასათა მათთა; კვალად წარიყვანებდენ ეშმაკნი ბოროტნი და დამოჰკიდებდენ ენითა კაჩოთა ზედა განჰურვებულთა და აღმოჰკვეთდენ მახვილითა შვიდ-პირითა მაგინებელთა ხახათა/ მათთა, და შთაუღებდენ შიდა შანთთა განჰურვებულთა მსროლელთა ნაკვერცხალისათა; და სხვანი შთასხმიდენ პირთა შინა კუპრთა აღნადულართა და სხვანი ფისთა გამდნართა და სტანჯვიდენ ძვირ-ძვირად გინებისა ამის მცირისათვის, რომელ კეთილად შეურაცხიესთ მაგინებელთა და იქადის მათითა და კეთილად სჩანს ლანძღვა მოყვასთა.

ნუ, ძმანო საყვარელნო, თქვენ განეკრძალენით სიტყვათა ბოროტთა და საძაგელთა, რომელთა მიერ წარწყმდებძს სული კაცისა, და ნუ შეიქმთ პირთა თქვენთა ჰურვებელ სიბილწისა, რომელ უსაძაგელეს არს ორმ/ოთა სანეშტეთასა, სადა განვლენ კაცნი განსაველით, რამეთუ: ორმოთა მათ პირნი იძულებითა კაცთათა შეიბილწების, ვინაჲთგან შთააგდებენ სკორეთა, ხოლო პირი მაგინებელთა თვით ნებსით თვისით შეიგინების, სადამცა არს სიმყრალე, შეპკრებს და გამოუტყვევებს.

აწ თქვენ, საყვარელნო ღმრთისანო, პირნი თქვენნი ჰქმენით სადიდებლად ღმრთისა და საქებლად დამბადებლისა თქვენისა და სავედრებელად წმიდითა მისთა, რათა მეოხებითა მათითა განიწმინდნეთ ცოდვითა თქვენთაგან და ზედასა-ზედა მიიღებდეთ პირთა

¹ შლრ. I კორინთ. 6, 9 — 10.

თქვენთა წმიდათა და უხრწნელთა ქორცთა და სისხლთა ქრისტესთა განსაწმენდელად თქვენ/და, რათა დაიმკვიდროს თქვენ შორის სულმან ყოვლად წმიდამან და საღვურ ღმრთისა გეწოდოსთ, რათა არღარა პირით თქვენით ითქმოდის ქება ეშმაკთა, რომელ არს გინება, და მარადის იყოს ქება ღმრთისა პირთა შინა თქვენთა და დაუცხრომლად აღიღებდეთ მამსა და ძესა და სულსა წმიდასა, რომლისაგან მოველით ცხორებასა დაუსრულებელსა და სიხარულსა საუკუნოსა, ამინ.

23. სწავლა სნეულთა მიხედვისათვის

„მოვედ, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ სასუფეველი ღმრთისაჲ, რამეთუ... სნეული ვიყავ და მოზხედეთ მე“ — მათე მახარებელი იტყვის კმ, ლვ¹.

370 ნეტარ ხარო თქვენ, რომელნი მიხვალთ ზედასა-ზედა ხილვად სნეულთასა, ვინაჲთგან იესუ ქრისტე დღესა მას საშინელსა მიგიწოდოსთ კურთხეულად მამისა მიერ და დაგიმკვიდრებთ სასუფეველსა.

განიგულე, თუ ვითარი დიდება მოგეცემის ერთისა სნეულისა ხილვისათვის, თუ ვითარი პატიოსნება მოგენიჭების უძლურისა მიხედვისათვის. ჰხედავა, ამა მცირისა შრომისათვის ვითარი სამკვიდრებელი დაგემკვიდრების, რომელი ვერ მოიგონ მრავალთა მეფეთა და დიდებულთა მდიდართა? არა გიბრძანებს ძნიადსა რასამე საცხოვრებლად თქვენდა, რათამცა არა ძალ-გედვა ქმნა; არა გეტყვის, რათამცა აღადგინე სნეული იგი, ანუ წარაგე წამა/ლნი მრავალ-სასყიდლისა, არამედ ოდენ ნახვისათვის დაგიმკვიდრებს სასუფეველსა ღმრთისასა და უკვდავებასა დაუსრულებელსა მოგცემს.

371 რა უმჯობეს არს ხილვასა სნეულთასა? ვინაჲთგან ხილვა სნეულისა არს ხილვა ქრისტესი და ქრისტე თვისად მიიჩემებს, არა უმჯობეს არსა ხილვა ქრისტესი ხილვასა ანგელოზთასა?

ჰოი მდიდარი მოწყალეა უფლისა, რამეთუ უკეთუ სნეული იხილა კაცმან, კაცი ნათესავი და ტომი თვისი, ქრისტე თვისად მიიჩემებს და თვისა თანა-ზიარ ჰყოფს მოქალაქედ ზეცისა სუფევისასა!

ამის უადვილეს იქმნებისა პოვნად სამოთხისა?

და ესე კვალად უდიდესი ამისი, რამეთუ უფალი ბრძანებს:

¹ მათე 25, 34—36.

«რომელმან იხილა სნეული, მე მსახურა და/ ჩემდა მოვიდა და მო- 372
შვრაო». ხოლო რომელმან თავს-იდვას სამსახურიცა სნეულისა და
თავს-ღება შრომისა მის ზედა, იხილე, თუ ვითარქნი გვირგვინნი
განემზადებინან მისთვის და რაოდენ უაღმატებულესქნი პატივნი მი-
ეცემიან.

გესმისა, რასა იტყვის ლუკა მახარებელი ია, იზ: „ღედაკაცმან
ვინმე აღიმაღლა ჰმა თვისი და თქუა: «ნეტარ არს მუცელი, რომელ-
მან გიტვირთა შენ, და ძუძუნნი, რომლითა სწოვდი შენ». ხოლო მი-
უგო ქრისტემან და ჰრქუა: «არა, არამედ რომელთა სიტყუაჲ
ღმრთისაჲ ისმინონ, დაიმარხონ იგი»“¹.

ვინ არს ესე სიტყვისა ღმრთისა მსმენელი, რომელი მიამსგავსა
მაცხოვარმან მშობელსა თვისსა, გესმით, საყვარელნო? სიტყვისა
ღმრთისა მსმენელნი და დამმარხველნი ივინი/ არიან, რომელნი მიე- 373
ლენან ნახვად სნეულისა, და დაუტეობენ ზრუნვასა სხვისა ამის
სოფლისასა და შეუდგებიან მსახურებასა სნეულთასა. ესე შეამს-
გავსა უფალმან ჩვენმან იესუ ქრისტემან მუცელთა დედისა თვისი-
სათა და ძუძუთა სიტკბობასა მისსა, რამეთუ: რომელი მსახურებ-
დეს უძლურსა და მოითმენდეს შრომასა მის ზედა, მას შეიყვარებს
უფალი, ვითარცა მუცელსა დედისა თვისისასა, და სანატრულ იქმნე-
ბის ყოველთა კაცთა მიერ; და რომელი განაძლიერებდეს სნეულსა
და კეთილითა სიტყვითა შეუსუბუქებდეს სიმძიმესა სნებისა მისისა-
სა და იღვწიდეს მისთვის, ესე უტკბილეს სჩანს ქრისტესა სძისაგან
წმიდისა მარიამისა, რომელი/ იზრდებოდა მისგან უფალი. 374

ჰოი, განატრიან ყოველნი პატიოსანნი, სნეულთა-მოღვაწენო!

ჰოი, გაქებენ ყოველნი მღვდელთ-მოძღვარნი, უძლურთა მსა-
ხურნო!

ჰოი, დაგიკვიდრებს ანგელოზთა სამყოფსა ქრისტე ჩვენთვის
განკაცებული, ავადმყოფთა მხილველნო!

რალა-მე გიქოს პატიოსნება და დიდება, რომელი მოგებად
გაქვსთ, სნეულთ-მოღვაწენო, ვინაჲთგან თვით ქრისტე თვისითა
უტყველითა პირითა მშობელსა თვისსა მივაგმავსებთ?

რალა-მე ამის უდიდესობა იქმნების, განიგულეთ, და რაისათვის
მოგანიქათ პატივი ესე, ჰოი სნეულთ-მოღვაწენო?

ესე დიდება ვერა პოვეს მამათ-მთავართა, რომელთა მიერ იშვა
წმიდა ღმრთისმშობელი. ესე პატივი ვერ/ მიიღეს წინასწარმეტყ- 375
ველთა, რომელნი ქადაგებდენ მოსლვასა ქრისტესსა, ვერცა-ლა --
მღდელთ-მოძღვართა, რომელთა ფრიადი შრომა და ღვაწლნი თავს-

¹ ლუკა 11, 27—28:

ისხნეს, არცა თუ — მოწამეთა, რომელთა დაითმინნეს მრავალსახენი სატანჯველნი და სისხლი დასთხიეს ქრისტესათვის, ხოლო თქვენ [პოვეთ] მცირისა ამის სათნოებისათვის, რომელი ნათესავსა და ტომსა შენსა მსახურებ, რომელი მსგავსსა შენსა კაცსა იღვაწი. რომელსა არა გაქვს ტანჯვა მწარე, არცა ყვედრება, არცა ცემა და სიკვდილი, რომელი ხვალე შენცა დასწეულებად ხარ და სხვანი შენ- და მოსამსახურებად.

376 ნეტარ ხართ მსახურნი სწეულთანი! ნეტარ ხართ, რომელთა ესე აღვილად მოივაჭრენით სასუფეველი ღმრთისა, რამეთუ: შენ სწე-ულსა იღვაწი, ხოლო შენ ქრისტე გიღვწის; შენ უძლურსა მსახურებო ხოლო ქრისტე შენ შოჯის დაიმკვიდრებს; შენ მკენესარეთათვის იჭირვი, ხოლო ქრისტე სულთქმასა შენსა სიხარულად სცვალებს და შენ ზედა დაუდგინებებს ანგელოზი მფარველი, რომელი რაცხს მსა-ხურებათა შენთა!

რაოდენი ძილნი განიფრთხევე, რაოდენი სმა-ჰამანი დაიმწარენ, რაოდენგზის მოუტარენ სწეულსა და შეუშზადენ თავი, გინა გვერდ-ნი უცვალენ ანუ მკერდთა მიიყრდენ, ყოველთავე სთვალავს და სწერს, რათა მიერთვას ქრისტესა, რომლისათვის მოგენიჭის თვითო-ეულთათვის დიდებანი ურიცხვნი და გვირგვინნი ბრწყინვალენი.

377 ამისთვის იტყვის დავით შ ფსალმუნსა შინა: „რამეთუ ანგელოზ-თა მისთადა უბრძანებებს შენთვის დაცვად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა“¹, რამეთუ: ვითარცა რაცხს მსახურებათა შენთა მფარველი იგი ანგელოზი შენი, ეგრეთვე დამცველი არს გზათა შენთა, რათა არა საბრჯე დაგიგოს ეშმაკმან. ამისა შემდგომად, ოდესცა დასწეულდეს მსახური იგი სწეულთა, პატიოსან იყოს იგი წინაშე ყოველთა კაცთა და განდიდნეს სახელი მისი წინაშე უფლი-სა; მაშინ მოუვლინოს უფალმან მას მცველნი და მფარველნი მისნი ანგელოზნი მოღვაწედ მისთვის; მაშინ მოეგებოს დავით წინასწარ-მეტყველი მგალობელთ-მთავარი ქნარითა მით კმატკბილითა; მაშინ მოვიდენ წმიდათა გუნდნი, რათა შევნიერითა ვალობითა იტყოდენ ფსალმუნსა ამას: „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმი-დათა მისთა“². — მაშინ იხილო დიდება შენი აურაცხელი და კაცთა

378 გინება განსაკვიფრებელი, რაჟამს შეპყვანდეს ჯული შენი ზე/ცად მიმართ და უბრწყინვალეს ქმნილ იყოს მზისა მის შარავანდელთაჲსა. და აღყვანებასა სულისა შენისასა იხილო დიდება ღმრთისა და გან-კვირებულ იყო სამკვიდრებელისა შენისათვის, თუ ვითარ ესრეთ

¹ ფს. 90, 11.

² ფს. 115, 6.

მცირისა მოღვაწეებისათვის აღვიყვანეს დიდებასა მას და დაგამკვიდრეს სიხარულსა მას საუკუნესა, სადა არღარა გესმის კვნესა სნეულისა, სადა არღარა შეგაჭირვებს უძლურთა მსახურება, სადა არღარა გეტყვიან: «აღმადგინე, გინა მიმაწვინე, კვალად გვერდი მიცვალე». სადა არღა გეყნოსების ოფლნი და სიმყარალენი სნებოვანისნი, რომელსა არღარა გტკივიან წელნი და მკლავნი ზიდვითა მწოლარისაჲთა, რომელსა არღარა დაგმძიმებთან თვალნი მთვლემარესა ძილითა განფრთხ/ობისაგან, არამედ მხედველ არს თვალი შენი პირსა ღმრთისასა და ესმის ყურთა შენთა ვალობანი სერობინთანი, სავსე არს გული შენი სიმდიდრითა ღმრთისაჲთა და განმტკიცებულ არიან წელნი და მკლავნი შენნი ძლიერებითა უფლისაჲთა.

378

ნეტარ ხართ და კვალად ნეტარ ხართ, მსახურნო სნეულთანო, რომელთა მცირედითა მოივაჭრენით მდიდარი და დაუღვენელი საუკუნო ღმრთისა დიდებისა!

აწ გევედრებით, საყვარელნო: რომელნი ხართ მოღვაწენი უძლურთანი, ნუ მოაკლებთ მადლსა ამას პატიოსანთა და, რომელთა არა გიმსახურებიესთ, აწ მოიგევით მადლი ესე და ისწავლეთ მსახურება სნეულთა და ნუ იტყვით, რამეთუ: «სნება იგი გარდამდებ არს და უკეთუ შემედვა, მომკლავს ანუ მრავალხან უძ/ლურ მყოფს», გინა ათგან სიკვდილსა ვერასადა განვევრებით და ამა პატიოსანთა სავაჭროთაჲცა უღირს ვეჭმნებით, რამეთუ: ქრისტესა მცნებისათვის მომკვდარი ქრისტეს მიერ აღდგების და ცხორებასა საუკუნოსა დაიმკვიდრებს, ხოლო უკეთუ სოფლისაგან მოკვდეს, არა უწყით, თუ რომელსა საუკუნოსა დაემკვიდრების.

380

ამისთვის შესძინებს დავით უ ფსალმუნსა შინა: „არა შევიდეს შენდა ძჭრი და გუემა არა მიეახლოს საყოფელთა შენთა“¹.

ჰხედავა, სხვანი ძვირნი და გვემანიცა განგაშორნა უფალმან თქვენგან, სნეულთ-მოღვაწენო, არა თუ სნეულთაგანმცა გარდაგედვას, რომელსა სიტყვისათვის ღმრთისა მიხვალთ და მსახურებთ!

ნუ, საყვარელნო, გულსმოდგინედ მირბიოდეთ მოკითხვად/ სნეულთასა, რამეთუ დიდ არს სასყიდელი მისი და არა არს სავაჭ[რო] ესე განსარყვნელ მდილთა და მპირავთა, რომელთათვის ოქრო და ვეცხლი წოდებულ არს, არამედ არს სავაჭრო ამისი მოგებად სახლ ღმრთისა, დიდება უფლისა, წყალობა მაცხოვრისა ზეენისა იესუ ქრისტესი. მთირბინეთ და მოიღვეით სწრაფად და დაუზარებლად, გულსმოდგინედ და უმცონაროდ, რათა ღირს იქმნეთ ხილვად პირსა ქრისტესსა და კურთხევასა მამისა მისისასა და სამკვიდრებელსა სასუფეველისასა, ამინ.

381

¹ ფს. 90, 10.

382 ნეტარ იყვენენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანაჲ — იტყვის მათე სახარების ვ, ე¹.

ხედავთა, მშვიდნო, რასა გიქადაგებთ ფუფალი: რომელი იყოს მშვიდ, მან დაიმკვიდროს ქვეყანა, და მერმე კიდევ ნეტარეულ გყოფსთ? რომელსა ქვეყანასა გიქადაგებთ სიმშვიდით დამკვიდრებასა? — პირველად ამას საწუთოსა და გიბრძანებთ: ნუ მრისხანებით განძვინდები, ნუ გინებით აღივსები, ნუ სიგლისპით განცოფნები, ნუ შფოთით აჭირვებ თავსა შენსა, სანატრელი სიმშვიდე მოიგე და მე დაგიმკვიდრო ქვეყანა, ნუ აღიჭურვი ჯაჭვითა, ნუ განეწყობი მკედრებითა, ნუ აღიღებ მახვილსა, [რომლისათვის იტყვის] მათეს სახარების კვ, ნბ: „რამეთუ რომელმან აღიღოს მახვლი, მახვლითა წარწყმდესო“², მშვიდ იყავ, სანატრელო, და მე დაგიმკვიდრო ქვეყანაო.

383 არა ნეტარეულ-ჰყოფს/ ქრისტე მძლავრთა, არცა გმირთა, არცა ქვეყნისა მათხართა, რომლისათვის იტყვის წინასწარმეტყველი დავით რმვ ფსალმუნსა შინა: „სხვილ ბარკალი მამაკაცისა არა სთნდეს უფალსა, არამედ სთნდეს მოშიშნი მისნი“³.

ვინა არს მოშიში უფლისა? — მშვიდი, რომლისათვის იტყვის წინასწარმეტყველი: „მშვიდა ზედა განისუენა სულმან ჩემმან“.

საყვარელნო, სიმშვიდე ვითარ სანატრელ არს, იცია, რამეთუ მსგავსება არს ღმრთისა, რამეთუ იტყვის წმიდა მათე ია, კთ: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ შვიდ ვარ და მდბაღ გუღითა“⁴.

ხედავა, ვითარ ნეტარეულ იქმნები, ვინაჲთგან ღმერთს მიემსგავსები?

უკეთუ სიმშვიდით ღმერთსა მიემსგავსები, რაჲსათვის არა მოიგებთ ყოველნი სიმშვიდესა?

384 ქრისტე რაჲსათვის შეამსგავსეს წინასწარმეტყველთა ცხ/ოვარსა და ტარიგსა?

— სიმშვიდისათვის!

ვითარცა ცხოვარი უკმობლად დგას წინაშე მრისველისა, რომელი სძრცვის საბოსელსა მისსა და აღკვეცს მატყლთა და სიმშვიდით არა განევლტის, ეგრეთვე ქრისტე დგა წინაშე მტანჯველთა მისთასა

¹ მათე 5, 5.

² მათე 26, 52.

³ ფს. 146, 10—11.

⁴ მათე 11, 29.

სიმშვიდით, ოდეს ქსნისათვის ჩვენისა იტანჯებოდა და არარასა მიუგებდა.

ხედავა ცხოვართა უგულისხმოთა და უტნობოთა, რომელ სიმშვიდითა მათითა ვითარ დაიმკვიდრეს ქვეყანა და ვითარ განამრავლა უფალმან ყოველსა სოფელსა?

ცხოვარნი წელიწადთა შინა ერთსა შობენ კრავთა და ძაღლნი, და მგელნი და სხვანი მკეცი რომელიმე ორგზის, რომელიმე ერთგზის ათორმეტთა, ათთა, რვათა და გინა ექვს[თა] შობენ და არა/სადა არს სიმრავლე მათი. ცხოვართა ჩვენ კაცნი ვსჯამთ და უფროხსად მგელნი და სხვანი მკეციცა, და ცხოვარნი არავის მავნებელ არიან, არამედ მშვიდ და უწყინარ. ხოლო მრავლის მშობელნი იგი, რომელსა არცა ჩვენა ვსჯამთ და არცა მკეცი, ღმერთმან არა განამრავლა, და არცა დაუმკვიდრა ქვეყანა მტაცებლობისა და სხვათას მგლეჯველობისათვის და ქმნა იგინი იშვით ქვეყანასა ზედა, ხოლო ერთისა მშობელი და ყოველთა საკმელი და სატაცებელი ცხოვარი ესრეთ განამრავლა ქვეყანასა ზედა, რომელ ვერა რომელმან აღრიცხვნეს არვე-არვეობა მათი სიმშვიდისათვის მათისა.

ეგრეთვე ტრედნი და გვრიტნი ვითარ უნდო ფრინველნი არიელ/ და მცირისა ფასისანი, რომელ თვითო ტრედი სამ ფოლად, გინა ოთხ ფოლად განისყიდებიან, ეგრეთვე გვრიტნი. ხოლო ქორნი და შავარდენნი და მისთანანი — შეენიერ და მრავალ-ფას, და დიდებულთა საყვარელ და მეფეთა სანდომ, რომელთა შინა მისცემენ დრაქანთა მრავალთა; არამედ უნდონი ტრედნი და გვრიტნი შეიწირვიან ღმრთისათვის მსხვერპლად სიმშვიდისათვის მათისა, ხოლო რჩეულნი და მრავალ-ფასისა ქორნი და შავარდენნი არა შეიწირვიან ღმრთისა უმშვიდობობისათვის მათისა და სხვათას ქორცის ქანისათვის. უმეტესი ესე: რამეთუ სული წმიდა მოვიდა სახედ ტრედისა და ნათლის-მცემელი წმიდა იოანე ამსგავსეს გვრიტსა, ხოლო ქორთა და შავარდენთა არა რომელი/წმიდა ემსგავსა მძვინვარებისათვის მათისა და მტაცებლობისათვის.

ვინაჲთგან სიმშვიდე ესრეთ საყვარელ არს, რომელ ყოველნი წმიდანი მას ზედა ქადაგებენ და ყოველნი წმიდანი მას ზედა გამოისახვიან, გვიღირს ყოველთა გლისპთა, რათა დაუტეოთ მრისხანება და მოვიგოთ სიმშვიდე პატიოსანი.

გვემისთ და ხედავთ: მშვიდსა ტრედსა ემსგავსა სული-წმიდა. მშვიდსა ზედავე განისვენებს სული ღმრთისა, მშვიდსა ცხოვარსა ემსგავსა ქრისტე, მშვიდსა გვრიტსა შეამსგავსეს ნათლის-მცემელი, მშვიდსა ნეტარებასა მისცემს ქრისტე და უბრძანებს სოფლისა დამკვიდრებასა!

385

386

387

თქვენცა მოიგევით სიმშვიდე პატიოსანი!

ბრძანებს: „ნეტარ იყვნენ მშვნნი, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქუეყანაა“¹.

388 სადა დაიმკვიდრ/ების საწუთო ესე, რომელ კაცნი ოთხმოცსა წელსა ვერა იცოცხლებენ? სადა იქმნა დამკვიდრება? ვიდრე ცოცხალ იყოს მშვიდი, ზოფელიცა ესე დაიმკვიდროს, ხოლო ქრისტეს მიერ ქადაგებული სასუფეველი დაიმკვიდროს უკუნისამდე, რომელ არს სოფელი წარუვალი და სამკვიდრებელი მშვიდთა, მოუშლელი სამარადისოდ.

რა გნებავსთ, ჰოი მშვიდნო, უდიდესი ამისი? ვითარსა პატივსა გყოფსთ უფალი, ვითარ განიჭებსთ, ვითარ მივიზიდავსთ, ვითარ აღგამაღლებსთ!

„ნეტარ იყვნენ მშვნნი, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქუეყანაა“², ქვეყანა იგი, სადა ღმერთი მთავრობს!

დაიმკვიდრონ მშვიდთა სუფევა მამისა, დიდება ძისა, მადლი სულისა წმიდისა!

389 დაიმკვიდრონ მშვიდთა ქვეყანა ზეცისა, ნათელი სამებისა/, პირისპირ მზერა ყოვლად წმიდისა, სამყოფელი სერობინთა, ადგილი ქერობინთა, საშვებელი ანგელოზთა, მეგობრობა მთავარ-ანგელოზთა!

დაიმკვიდრონ მშვიდთა ქვეყანა წარუვალი, ქვეყანა მართალთა, თემი წმიდათა, სავანე მოციქულთა, სახლი წინასწარმეტყველთა, სადგური მოწამეთა, განსასვენებელი მღვდელთ-მოძღვართა, ყოფნა მამათ-მთავართა!

დაიმკვიდრონ მშვიდთა და არა გლისბთა და მტაცებელთა ქვეყანა აღთქმისა, ზეცისა იერუსალიმი, უკვდავება, უზრუნველყოფა, მზისაგან უნათლესყოფა, ელვათაგან უბრწყინვალესობა, ყოველთა ზეციერთა წესთა მინიჭება!

390 მშვიდნო, ღმრთისაგან ნეტარეულნო, მშვიდნო, წინასწარმეტყველთაგან სანატრელნო/ და მღვდელთ-მოძღვართა მიერ საქმებელნო, თავს-იღვეით სიმშვიდე და ნუ მოაკლებთ კეთილსა საქმესა მაგას, ნუ მოუძღვრდებით, რათა არა გამოსცვივნეთ სასუფეველისა და ნიჭისაგან ღმრთისა და დიდებისა მისგან წარუვალისა, ვითარცა გლისპნი და მნისხანენი, ვითარცა მტაცებელნი და მძლავრნი, განშორებულნი ღმრთისაგან, არამედ თქვენ უფროსად თავს-იღვეით და მოიგეთ სიმშვიდე ქრისტეს მიმსგავსებული და მოიგეთ ქვეყანა

¹ მათე 5,5.

² მათე 5, 5.

იგი, რომელი გიქადათ ქრისტემან, და დაიპყვიდრეთ ყოფნა მისთანა, რათა სამარადისოდ იხარებდეთ მისთანა და ილიდებოდეთ უკუნისამდე, ამინ.

25. სწავლა ჭრისტიან ვნებისათვის და გლოვისათვის სულისა.

„მკუდარსა ზედა არა იტყებდეთ“ — მოსე დასწერს მეორეს სჯულის ოდ თავსა შინა¹. 391

ღმერთი გიბრძანებთ და თავი წინასწარმეტყველთა მისთა მოსე სჯულად დაგიდებთ, რათა არა ბოროტად სტიროდეთ მკედართა თქვენთა. არამედ თუ ვისმე მოუტკვდეს საყვარელი მისი, არა ისმენს ბრძანებათა ღმრთისათა, არცა მოიქსენებს სჯულსა, დაწერილსა მოსეს მიერ, არამედ უმეტესად, გულმპურვალედ ილტობის ცრემლითა, და ტირს ჟამითი-ჟამად და გოდებს განთიად და მიმწუხრი დაუცადებლად, იტყებს თავთა და იცემს მკერდთა, იფხვრის თმათა და წვეერთა და იხოკნ ღაწვთა უწყალოდ, შეიმოსნ ძაძათა და ფლასთა და დალტობილნი აქენ კალთანი და საყელონი, ვითარცა ნაწვიმარნი. არა კან არა თუ პორცთა და თევზთა, არცადათუ ზქეთითა ზავებულთა, არამედ მარილთაცა არა ურთვენ საკამადთა მხალთა და ცერცვთათა, ვიდრე ორმეოცთა დღეთა, რომელიმე წლამდის და რომელიმე უმეტეს და უნაკლულეს. ამა მწუხარებითა და გლოვითა და ტირილითა აღასრულებენ; არცა ნუგეშინსა იცემენ მეგობართან, არცა მოილხენენ მოყვასთა ნახვითა მიერ, არცა მოსწყინდებთ, არცა მოსძაგდებთ, არამედ უმეტესად და უფროსად ჰმატებენ გლოვასა და ტირილსა, რათა დაჰსნან სჯულნი ღმრთისანი და წერილნი წინასწარმეტყველთანი. 392

ვინამთგან მოყვარულ არს ერი ესე გლოვისა და ტირილისა, მეცა გაუწყნე ამბავნი საგლოველნი და მოგახსენნე საქმენი სატირალნი, თუცა არა ადრე შესძაგდებოდეს მარბულობად და გლოვად მის საგლოველისა დიდისა, რომელი გცემსთ ნუგეშსა და შეგიცვალეებთ გლოვასა სიხარულად, რომლისათვის იტყვის დავით კოფსალმუნსა შინა: „მოაქციე გლოვად ჩემი სიხარულად ჩემდა. და განქეთქე ძაძა ჩემი და გარე შემარტყ მე სიხარული“². 393

აჰა, ძმანო, უწყოდეთ, რამეთუ ორნი მკედარნი გისხენ აწ წინაშე თქვენსა, უსაყვარელესი ძმათა და უპატიოსნესი მშობელთა, უტკბონი მეუღლეთა და უსაწადელესი ძეთა და ასულთა, უკეთუ ხედავთ:

¹ II შჯ. 14.

² ფს. 29, 12.

პირველი მკვდარი, რომელსა ხედავთ ჯვარსა ზედა განშიშველ-
394 ბულსა, — ქრისტე, რომელი მოკვდა თქვენთვის, და/ ვითარ მოკვ-
და, განიხილეთ: არა თუ ცოდვა რამე აქენდა თავით თვისით, არამედ
ცოდვათა ჩვენათთვის მოკვდა და, ოდეს მოკვდებოდა, მას ლამესა
ილოცვიდა ჩვენთვის, ვიდრე შუა ლამედმდე ზე დგომით, და დავარ-
დის ზედასა-ზედა, პირსა ზედა საღმრთოსა, ვიდრე ოფლნი მისნი
იქმნა, ვითარცა სისხლი. „შუა ლამესა ოდენ განიცა მოციქულისაგან
და განისყიდა მოწაფისა მიერ და შეპყრობილ იქმნა ჰურიათაგან,
სცემდეს უწყალოდ და შეპყრვიდეს საბლებითა და მითრევდეს,
395 ვითარცა ძვირის მოქმედსა, და სცემდეს მძიღვითა. მიიყვანეს
ეზოსა კაიაფასა, და განაშიშველეს, და დააბეს/ სვეტსა ზედა და
სცემდეს შოლტითა, რომელიმე ლერწმითა, რომელიმე ქურთითა,
რომელიმე ეკლითა, რომელიმე კვერთხითა და დასდგნეს წყლულე-
ბანი მრავალნი, რომელსა არა დაშთა ტყავი მრთელი. სხვანი აგ-
ნებდენ, სხვანი განბასრევდენ, სხვანი ეკიცხოდენ, სხვა პირსა ნერ-
წყვიდა, სხვა ყვრიმალსა სცემდა, სხვანი ეკლის გვირგვინსა დაადგ-
მიდეს, რომლისა საწერტელნი შეჰდეს, ვიდრე ტვინამდე. მოცი-
ქულნი ივლტოდეს, მოწაფენი დაიმაღნეს, ცრუმოწამენი შეკრბნეს,
მაყვედრებელნი განმრავლდეს.

396 ამისთვის დასწერს დავით ლდ ფსალმუნსა შინა:/ „რამეთუ
აღსდგეს ჩემ ზედა მოწამენი ცრუნი დაჟ რაჲ იგი არა უწყოდე,
მკითხვიდეს მე, მომიგეს მე ბოროტი კეთილისა წილ და უმკვიდრო-
ბაჲ სულისა ჩემისა იზრახეს“¹.

შემდგომად ამისა მიიყვანეს პონტოელის პილატეს მიერ, დასა-
ჯეს და წარაქციეს ჯვარ-ცმად, განშიშველებულს ქალაქი მოავლეს და
შთაველნეს კარნი მარიამ წმიდისა დედისა მისისანი, რომელ მან
არარა იცოდა; გარნა დგა და ილოცვიდა. ვითარცა ესმა ღაღადება,
კრჩხიალი განკიცხვისა ძისა მისისა და სცნა, გამოიჭრა, ვითარცა
განხელებული, იზახებდა, ვითარცა ლომი ლეკვისა მოშორებული,
მორბიოდა, ვითარცა ირემი ნუკარ-წარტყვენილი, ეწეოდა ძესა
397 თვისსა საყვარელსა, და იცემდა ძლ/იერად მკერდსა თვისსა,
და ტიროდა მწარედ და გოდებდა მწუხარედ, ძრწოდა დაუ-
წყნარებლად და ილაღებოდა სასტიკად, ვინაჲთგან ეწია და იხილა
ძე თვისი, საყვარელი, განშიშველებული, ყელჯაჭვიანი, პელსაბელი-
ანი, მპართა ზედა ჯვარი ეტვირთა, და მიაქენდა, და დამძიმებული
დაეკვეთებოდის ქვეყანასა ზედა და სცემდეს უწყალონი ჰურიანი.
ამისი მხილველი მარიამ შეშფოთებული ზარის საძღელ-ქმნილიყო

¹ ფს. 34, 11—12.

და მტკივნეულ იყო გული მისი, შეიწვებოდეს ნაწლევნი მისნი, კენსოდეს ძუძუნი მისნი, ელმოდა მუცელი მწარედ და დაბნელებოდეს ნათელნი მზისანი, მიჰდის ცნობასა, და დაეცის/ ზედასა-ზედა დაბნედად, და აღადგინიან დედათა მათ და ეწიის ძესა თვისაა სრბითა ნაღვლიანითა.

396-

ოდეს მიიწივნეს გოლგოთას, განსხირპეს ჯვარსა ზედა სამსჯვალეებითა, დამსჯვალნეს ქელნი და ფერჰნი, ვითარცა იტყვის დავით კა ფსალმუნსა შინა: „განხურიტნეს ქელნი ჩემნი და ფერჰნი ჩემნი და აღრაცხნეს ყოველნი ძუალნი ჩემნი; მათ მიხილეს მე და განმიცადეს მე, განიყუეს სამოსელი ჩემი და კუერთხსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“¹.

ხოლო მარიამ მწუხარითა სულითა, აღტყინებულთა გულითა ტიროდა და გოდებით იტყოდა:

— «ჰოი ძეო ჩემო საყვარელო, ვითარ გხედავ შენ? შვილო, შვილო, მხიარულებაო ჩემო, რა-მე ვყო? ნათელო თვალთა დედისათაო, დამიბრმო/ თვალთა ნათელი გვირგვინმან ეკლსამან, რომელი გწერტს თავთა შენთა! შვილო ჩემო, შვილო ჩემო, ყოველთა შესავედრებელო. ვისსა-მე მივივლტოდე მეხეაიშენეა თანა? განმცემიან ღვიძლთა სამსჯვალნი ქელთა და ფერჰთა შენთანი. ვინა მიოხებს საზარელსა ამას საქმესა?/სადა ვეძიო შეჰწე წყალობისა ჩემისა, რომელსა განმიბობს გულსა ლახვარნი გვერდისა შენისანი? ვაი არს ჩემდა, ძეო ჩემო, სმენით და ხილვით! გხედავ შენ ჯვარსა დამოკიდებულსა და ვერარასა გარგებ; გელმიან, შვილო, ქელნი და ფერჰნი და არ ძალ-მიც კურნება; საესე ხარ ტკივილითა მწარითა და ვერა შეგეწევი; გხედავ ავა/ზაკთა შორის მოკიდებულსა და ვერა გარდამოგანსი; [გხედავ] გვერდგანლებულსა და წამალსა ვერა დაგდებ; გხედავ მწყურვალსა და არა მაქვს წყალი, რათამცა გასვა, ხოლო უსჯულონი გასმევენ ნაღველსა და ძმარსა აღრეულსა. ვაი, საწყალობელსა დედასა: წარვიდე წყალთა მოღებად, ვინა უწყის, ვერლარა მოგისწრო, ვიდრე სიკვდიდმდე? რა-მე ვყო შეიწრებულმან?» — ესრეთ მწარითა ტირილითა ვაებდა მარიამ და დადადებით ამობდა.

399

400

ძე სისხლითა ჯვარსა ღებვევლა, ხოლო დედა ცრემლითა რცხიდა; ძე მოწყლული კენსოდდა, ხოლო დედა შემწვარი ვაებდა.

ესრეთ მოკვდა თქვენთვის ქრისტე და შთავი/და ჯოჯოხეთად და აღმოიყვანა ადამ, მამა ჩვენი, და ყოველნი ძენი მისნი სათნოყოფილნი ჯოჯოხეთით ქვესკნელისაგან, სადა სულნიცა ჩვენნი მუნ მიმავალ იყვნეს, ხოლო ქრისტემან მოიყიდა სისხლითა პატოხნითა.

401

აწ იცითა¹, თუ მეორე მკვდარი ვინა გივისთ², მეორე საგლოველი ვინა გიცთ, მეორე სამარხულო რა არს თქვენი?

— თქვენთვის მკვდარის ქრისტეს მიერ განცოცხლებული, თქვენთვის ჯვარცმულის იესუს მიერ აღმოცენებული, თქვენთვის განსყიდულის მიერ სისხლითა მოსყიდული და თქვენთვის ტყვისაგან გამოჰსნილი სული თქვენი, დღეს თქვენის ცოდვით მკვდარა; 402 წინა გიცთ უხილავად სული თქვენი მაც/ოცხლებელი, სული თქვენი ქვეყანასა ზედა გამუფლებელი, სული თქვენი ყოველთა კეთილთა უმჯობესი, მშობელთა უპატიოსნესი და ძმათა უსასურველესი, მუღლეთა უტყბოსი, შვილთა უსაყვარლესი.

რამეთუ სხვა რომელიცა საყვარელი მოუყვდეს, კაცი თვით ცოცხალი მოიღვნეს და, უკეთუ სული განქცა, ყოველივე უმარ იქმნების, რამეთუ მოძრაობა მისი დადგების, ჰორცი მისი დაღების, თვალთა მხედვარობა დაუბრმების, შვენიერობა პირთა იავარ-იქმნების, გაწყობილობა ჰაეროვნებათა უშვერ-იქმნების, თმანი ნათხაზნი და წვერ-ულვაშთ სიჰშირე მომტვერდების, ბაგე-კბილთა თეთრ- 403 წითლობა მოიშლების, ფერთა ელვა/რობა წუთხოვან იქმნების, კეთილმოუბარი ენა დაღუშნების, განზვავებული გული განლიგდების, ქედისა სიმადლე შეიმუსრვის და ყოველ[ნი] ძალნი ნასხამოანნი მიწათა შეერევიან³, რომლისათვის იტყვის დავით რბ ფსალმუნსა შინა: „კაცი ვითარცა თივა არიან დღენი მისნი; ვითარცა ყვავილნი ველისანი, [ეგრე აღყუავდენ]; რამეთუ განვლო სულმან მის შორის, და არღარა იყოს, და არცაღა იცნას ადგილი მისი“⁴.

ვინაშთვან სული თქვენი ესრეთ უპატიოსნეს და უსაყვარელეს არს თქვენთვის ყოველთა საყვარელთასა და აწ დამბადებელი შენი ქრისტე და მისგან გამოჰსნილი სული ორნივე მკვდარნი გისხენან, არა ჯერ-გიძსა, რათამცა ორმეოცთა ამათ დღეთა იგლოვნეთ სიკვ- 404 დილი ქრისტესი და სიკვდი/ლი თქვენგან მოკლულისა სულისა თქვენისა?

თუცა საყვარელისა თქვენისა სიკვდილსა გარდაჰვლით უზმობით ორთა და სამთა დღეთა და არა გნებავსთ ჭამა და სმა, ორთა ამათ მკვდართათვის იყო უზმა, ვიდრე მწუხრადმდე, რადამცა გასურის საზრდელი? [თქვენთა მოყვართათვის უკეთუ ორმეოცთა დღეთა სჭამთ მხალთა და ცერცვთა მარილითა უზავებელითა და არა მოგინ-

¹ იცით.

² გივისთ.

³ შეეურვის.

⁴ ფს. 102, 15—16.

ღებისთ კეთილი სანოქვაგე ამა ორმეოცთა დღეთა შინა, რადა გსურის კორცთა და საურწყოთათვის, რომელნი სჰამთ შეზავებულითა ნივთებითა საქამადთა მრავალჳერთა და სიზილალათა და ოდესმე თევზთაცა? მოკვდავთა კაცთათვის ორმეოცთა დღეთა იტყებთ თავთა, ღამე-დღე მწუხარედ სტირთ დაუცადებელად და არა გნებაესთ სიცილისა სენნად, მკირეთა ჟამთა ორთა ამათ უკვდავთა მკვდართათვის იცემდეთ¹ მკერდთა და სტრემლეოდეთ, — რაჲსათვის შეგძაღდებისთ? წლამღის მწუხარენი ჰკენესით საყვარელისა გაყრისათვის და ოხრავთ და ძაძითა შემოსილი ხვალთ, ლოცვისა დასრულებადმდე მწუხარე და სულთქმით მკენესარე ეჩვენოთ ქრისტესა, — რად არა იღვწით? გლოვასა შინა რაოდენნი ჟამნი განგიგრძელდესთ. არა გეწუხებინ და მოკლედ შეგირაცხიესთ, ხოლო სთვლით მარხვათა ამათ დღეთა, და ოხრავთ ორმეოცთა ამათ/დღეთა სიგრძეთა და ფსურისთ მოსლვა აღდგომისათვის.

უკეთუ ქრისტემან იმარხა ორმეოცი დღე და პურნი არა ჰჰამა შენთვის, რათა განგათავისუფლოს ცოდვათაგან, შენცა იმარხენ შვიდნი ჟამნი დღისანი მომკვდრისა სულისა შენისათვის, რათა განცხოვლდეს. უკეთუ ქრისტესა ლოცვათა შინა ურვითა და შრომითა ოფლნი ექმნენეს, ვითარცა სისხლნი, შენცა დაშვერ ესოდენ, რათა გედინნეს ოფლნი მსგავსად წყალთასა. რათა სცხონდე. უკეთუ ქრისტემან დაითმინა ტანჯვანი, რათა აღგამაღლნეს, შენცა მოითმინე ზრუნვანი ამის სოფლისანი და ყვედრებანი მოყვასთა შენთანი და აჰაღლდე. უკეთუ ქრისტე განშიშვლდა თქვენთვის, რათა შეგმოსოსთ პირველი იგი/სამოსელი, თქვენცა განშიშვლდით ცოდვათა მძლავრობისაგან და შემკობილ იქმენით. თუცა ქრისტემან დაიმსჳეალნა ფერანი და ჰელნი სამსჳეალთაჲთა და ეღმოდა მწარედ, თქვენცა დეგით ფერათა ზედა ვიდრე დაბუჳებამდე და ჰელგაყრობილ ლოცვდით, ვითარცა ჳეარტმულნი. უკეთუ ქრისტემან მოითმინა წგრტანი ეკალთა გვირგვინთანი, არა ჳერ-არსა, რათამცა თავმოჰდით ილოცვიდეთ და მოქითმინოთ სიცივე ქუდთა დაუბურველობითა მიერ, რამეთუ მოთმინება ესე თქვენი უადვილეს არს მოთმინებასა ქრისტესსა, რომელ თქვენთვის მოითმინა, და პატივი თქვენი დიდ არს, რომელი განუშზადებიეს ქრისტეს თქვენთვის?

და ესე არს გლოვანი ორთა მათ პატიოსანთა მკვდართანი. ვინა-
ათგან გლოვანი საყვარელთა თქვენთანი ავნებენ თავთა თქვენთა, და ვერ შეეწევიან მოყვასთა თქვენთა, ხოლო გლოვა და მარხულობა ორთა ამათ მკვდართა შეგეწევიან ფრიად და არა მავნებელ გექ-

¹ იცემდე.

მნებიან, არამედ განმაცხოვრებელ; გლოვა საყვარელთა თქვენთა დაჰქსნის ბრძანებასა ღმრთისასა და გლოვა. სულთა თქვენთა აღასრულებს მცნებასა უფლისასა.

409 შეიყვარეთ მარხვა ესე, ნუ მოგეწყინებათ შიმშილი მცირესა ესმსა, ნუ შეგძაგდება გლოვა სულისა თქვენისა, ნუ გწადსთ სიცილი უფრომს ცრემლისა, რამეთუ ცრემლსა და გლოვასა და მარხულობასა სულისა თვისისათვის მოაქვს მხიარულება, / რომლისათვის იტყვის დავით რღვ: „რომელნი სთესვიდეს ცრემლით, მათ სიხარულით მოიმკონ“¹.

ესე არს ცრემლით თესვა სინანული და საკანონოსა მწუხარითა გულითა და შემწვართა გონებითა ქმნა და გარდაჰდა. რომელი მოიმკით სიხარულით დღესა მას განჩინებისასა ნაშრომთა თქვენთა სიხარულით, რამეთუ არავინ უწყით რიცხვი ცოდვათა თქვენთა დღითი-დღე ნაქმართა თქვენგან, ხოლო ამისათვის დავიწყებულისა ცოდვისათვის უფრორე გამსთ ტირილი და სინანული. რამეთუ უკეთუ თქვენ აქა დაგივიწყებდეს, მაშინ ოდეს მსაჯული იგი სიმართლისა დაჰდეს საყდართა ზედა, წინაშე მისსა წარმოგიდგნეს განცხადებულად ცოდვანი თქვენნი; მაშინლა მოგეცხენნეს, / 410 რა იგი გიქმნიეს, რომელი თვალითა შენითა იხილო და არღარა ძალგედვას თავისა თვისისა განმართლებად.

აწ, საყვარელნო, ამა ორთა მკედართა სტიროდეთ, ამისათვის იგლოვდეთ, ამისათვის შეაწუხენით თავნი თქვენნი, რათა ცოდვითა სინანულისათვის ნებსით კაცობრივ მკედარმან და ნებსით ღმრთაებით აღდგომილმან ქეშმარიტმან ღმერთმან ჩვენმან იესუ ქრისტემან თქვენისა სინანულითა მოგიტევენოს ცოდვანი თქვენნი და დაგამკვიდროსთ მსახურთა მისთა თანა, სადაცა თვით უფალი ჩვენი არს უკუნისამდე².

26. სწავლა მნებისათვის უფლისა და აღამის თანანადების ბარდაყდისათვის

411 „წარიყუანეს იგი, რათა ჯუარსა აცუან“ — [იტყვის] მათეს საბარების [თავი კჴ, ლა]³.

რამესათვის აცუეს ჯუარსა ქრისტე, მაცხოვარი ჩვენი?

ისმინეთ, მორწმუნენო, რამეთუ დასაბამსა ოდეს შექმნა აღამ,

¹ ფს. 125, 5.

² ხელნაწერი უმატებს: „ქრისტე, შეიწყალე საბა“.

³ მათე 27, 31.

ესრეთ პატიოსნებით შექმნა და სიწმიდით შეამკო, რათა სამკვიდრებელ თვისად ყოს; ესრეთ პატიოსან ყო ბუნება კაცთა, რამეთუ ეამთა უკანასკნელთა ღმერთი ზეცით გარდამოჰდა და კაც იქმნა და ბუნება ჩვენი განაღმრთო, არა თუ აღვიდა კაცი და ღმერთ იქმნა, არამედ ღმერთი დამდაბლდა სიყვარულისათვის კაცთაჲსა, გარდამოჰდა და ბუნება კაცთა მიიღო, აღამალლა და განაღმრთო, ესრეთ პატიოსან შექმნა ბუნება ჩვენი.

ხოლო ადამ არა აცადა დროს-ცემა დამბადებლისა ჩვენისა, და განზრახვითა ეშმაკის/ამთა გარდაჰდა მცნებასა ღმრთისასა და ენება წარპარვით განღმრთობა ჭაპითა ხილისაჲთა, რომლისა მიერ გამოვსცვივენით სამოთხით სამეგებელით და მიგვეტაცა და მიგველო პატიოსნება ჩვენი. და ძედ ადამისად უწოდა თავსა თვისსა ძემან მადლისა ღმრთისამან, რათა განწმიდოს შეტოლება ადამისი და არა დაგვიტეოს ფალი იგი ჰაპათა ჩვენთა ჩვენ, და მამინ მიპარვით ღმერთყოფისა წადილმან, რომელმან მოკლა ადამ, აწ სიკვდილითა იუისითა მიანიჭოს და აღამალლოს ზეცად.

აწ, ძმანო და საყვარელნო მეგობარნო, ვინაჲთგან ქრისტემან, დამბადებელმან ჩვენმან, გარდაიჰდა თანანადები იგი მამისა ჩვენისა დაგლახაკებითა მამისა თვისისა, რამე თანა-გვაც ჩვენ და რამე უნდა ვყოთ ამისად ნაცულად მადლობისა შეწირვად გამოშქსნელისა ჩვენისა მიმართ?

თუცა მამასა ჩვენსა ვისიმე ემართა ვალი მცირე რაიმე, და სხვამან ვინმე კაცთაგანმან გარდაიჰდა თანანადები იგი, ვინა უწყის, რაოდენსა მადლსა მიუძღვანებთ და რაოდენსა მადლობასა და ქებასა მისდა¹ განვჰფენთ, სადაცა მისწედეს მამნი ჩვენნი. უფროჲსად არა გვიღირსა მადლობა და ქება მისი, რომელ უფალმან ჩვენმან დაგლახაკებითა თვისითა/ გამოგვიქსნა ჩვენ თანანადებისა მისგან გამოშქსნელისა საუკუნედ მიმართ?

მეუფე ჩვენი დაგლახაკა ჩვენთვის და ჩვენ არა დაგვლახაკნებით მისთვის და არცა-თუ გლახაკთა მივსცემთ ფოლსა ერთსა, არცა სიტყვათა კეთილთა ვეტყვით, ვინაჲთგან ვინილავთ, რათა მოგვემსენნეს ჩვენ უფალი ჩვენთვის დაგლახაკებული და სახელითა მისითა ვყოთ მას ზედა კეთილი რამე.

ქრისტე იღინა ჩვენთვის, ინერწყვა და განიბასრა, რათა გვაწაოს ჩვენ მოთმინება, ხოლო ჩვენ იგი შეურაცხად და საკიცხელად მიგვაჩნს, რომელი ჩვენისა ქსნისათვის უფალმან თავს-ისხნა, და არა მოვითმინებთ, არცა მოვიგონებთ დღესა მას, რა იგი მოითმინა იესუმ.

¹ მისთა.

415 ქრისტე განიყიდა მოწაფისა მიერ ურ/წმუნოხსა, რათა აღმო-
ყვანოს სული ჩვენი ჯოჯოხეთისაგან, ტყვექმნილი თანანადებისა
მის მამისა ჩვენისა ვაშთა სიმრავლისაგან, და ჩვენ არა განვეკრძა-
ლებით და ვგენებაეს, რათა ცოდვითა ჩვენითა მეორედ განვყიდნეთ
სულნი ჩვენნი და მოსყიდულება ქრისტეს მიერი იგი ცუდ ექმნათ.

ერთი ვინმე კაცთაგანი რომელი იყოს გლახაკ და უსახლო, და
მოვიდეს უფალი მისი, და აღუშენეს სახლი და განამდიდრნეს კაცი
იგი, და მან ჰელითა თვისითა დაარღვიოს სახლი იგი და განაბნიოს
სიმდიდრე მოცემული უფლისაგან თვისისა, ოდეს მოვიდეს უფალი
იგი, რა-მე სიტყვა უგოს უფალსა კაცმან მან? სახელამისა იხილეთ:
416 ვითარი სირცხვილი თანა გვე/დვას, ძმანო, ვინაფთგან ქრისტე ჩვენ-
თვის განისყიდა, რათა მისისა განსყიდვითა თავისუფალ იქმნეს სუ-
ლი ჩვენი, და აწ ჩვენ თვით თავით თვისით განვიყიდნეთ? რა-მე
სიტყვა უგოთ, მოვიდეს მომავალი იგი ქრისტე დღესა მას საში-
ნელსა?

თავთა დაადგეს ეკლისა გვირგვინი, ვიდრეღა საწერტელნი მისნი
შეჰაღეს ტვინადმდე; იგვემა ქრისტე მოლტითა ეგოდენი, ვიდრე
არა დაშთა ტყავი მრთელი ჰორცთა მისთა ზედა, რათა ტყავისა იგი
სამოსელი, რომელი შეგვემოსა ურჩებით გამოვრდომითა მამისა
ჩვენისაფთჳ იგი განგვძარცოს და შეგვემოსოს უხრწნელი სამოსელი
საქორწინე, ღირსი ზეცისა სასუფევლისა, ხოლო ჩვენ ნებსით ჩვე-
417 ნით განვიძარცვათ სამოსელსა/ უფლისა მიერ მოცემულსა და
შევბლაღვთ ცოდვითა.

მეფემან ვინმე მსოფლიომან შემოსოს აზნაურსა¹ ვისმე თვისსა²
შეჰამოსელი ბრწყინვალე და მან განიძარცოს და განაგდოს, იხილე,
თუ რამე უპატიურობა ეყოს მას ყოველთაგან. ამით სახით სცანით:
რა-მე უნდა გვეყოს ჩვენ, ვინაფთგან არა დავიშარხავთ პატიოსნად
სამოსელსა, ქრისტემას მიერ მოცემულსა?

ქრისტე ჯვარს ეცვა ორთა შორის ცოდვილთა, რომლისათვის
იტყვის წინასწარმეტყველი: „უშჯულოთა თანა შეირაცხა და თავს-
იღვა უკეთურთა თანა სიკვდილი“, ხოლო ჩვენ არცაღა მოყვასთა
ჩვენთა თანა ჯდომასა თავს-ვიდებთ, არამედ ვიტყვით: «იგი არა ჩვე-
418 ნი სწორი არს და ვით/ კადნიერ იქმნა დაჯდომად ჩემთა ანუ ჰამად³
ჩემთა»? არა თუ სიკვდილი და მეგობარ-ყოფა თავს ვიდვათ ცოდ-
ვილთა თანა, რათა მეგობრობითა ჩვენითა მანცა უკეთურმან კეთი-
ლი რამე შეიძინოს, და კეთილისყოფითა მისითა ჩვენცა მოვიღოთ

¹ აზნაურთა.

² თვისთა.

³ ჰამა.

შადლი ღმრთისა, რომლისათვის ბრძანებს ჩვენთვის ჯვარცმული: «უკეთუ მოაქციოთ ცოდვილი გზათაგან მისთა, სული თვისი იძინეს სიკვდილისაგან და ცოდვანი თვისნი დაფარნეს». ხოლო ჩვენ არა ვეძიებთ, რათამცა ცოდვილი მოაქციოთ და ცოდვანი ჩვენნი დაიფარნენ, არამედ ვეძიებთ, რათა თავნი ჩვენი უსჯულოებად შევსცვალნეთ და ცოდვანი ჩვენნი საცნაურ იქმნენ.

ჰოი, უგუნურება ჩვენი, მორწმუნენო!

ჰოი, თავკედლობა ჩვენი და განურჩეველ/ობა ჩვენი!

სახელად ოდენ ვიწოდებთ ქრისტიანედ და საქმეთა ქრისტესათა არარასა ვიქმთ, რა იგი ქმნა და გვიჩვენა თვალითა და გვასწავა წერილითა!

ამისთვის ბრძანებს წმიდა სახარება იოანეს იე, კბ: «უკეთუმცა არა მოვედ, და ვეტყოდე მათ: ცოდვამცა არა აქუნდა, ხოლო აწ მიზეზი არა აქუსთ ცოდვათა მათათუს»¹.

ვაი, ჩვენდა ქრისტიანენო, რა საზარელ არიან სიტყვანი ესე!².

დაგვბადა უფალმან ესრეთ პატიოსანი, ვიდრეღა ღმერთმან შეიყვარა და გარდამოქდა და განკაცნა და ჩვენნი ქორცნი მიიხვნა, ხოლო ჩვენ წარვსწყმიდეთ პატიოსნება და სიყვარული უფლისა და მტერმან დაგვიმონა, არავე უგულუბელს-გვეო, და ჯვარს ეცვა ჩვენთვის, განსყიდული ჩვენთვის და აღმოგვიყვანა სიღრმეთაგან ჯოჯობეთისათა ჩვენ, ტყვენი, ტყვემან მან მსნისათვის ჩვენისა, და გვამცნო, გვასწავა გზანი კეთილნი, რათა შევიდეთ, სადა თვით იგი არს სასუფეველსა ღმრთისასა. კვალად ჩვენ არა დავსცხრებით სიბოროტისაგან და ცოდვისა და გვწადის, რათამცა გამოვახვენეთ სულნი ჩვენნი ზეცისა იერუსალიმისაგან. აწ თქეთ: რომელიღა მიზეზი გვაქვს, ვინაფთგან თვით პირითა მით უტყველითა გვიბრძანებს: «არღარა ვაქვსთ მიზეზიო, ვინაფთგან მოველ და გეტყოდე თქვენ»?

აწ შემდგომად ღღეთა ამით, ვინაფთგან უმიზეზო უქმნა წარწყმელა სულთა ჩვენთა, და თავისუფლება მოუციეს უფალსა და კეთილი და ბო/როტი უსწავებზეს განჩვევად და ძალ-გვიც, რაცა გვინდა, ვქმნათ; ნურღარა ვიქმთ საქმესა ესეთსა, რომელ თავთა ჩვენთა დასჯიდეს, და სულთა ჩვენთა ზე აღსლვად დააბრკოლებდეს, და მიზეზისა თქმა არა ძალ-გვედვას და სიტყვისა მიცემა ვერ თავს ვიდვათ და სიყვარულისა წილ დაშბადებელსა ჩვენსა ვაჩვენოთ სიძულვილი. ვინაფთგან სულთა ჩვენთა მსნისათვის ჯვარს ეცვა, მოვიპ-

1 იოანე 15, 22.

2 აქ წყდება E ნუსხის ტექსტი.

სენებდეთ ეამ ყოველ დღეთა მათ სატანჯველსა მისისათა, რომელ აღამის ცოდვათათვის თავს ისხნა და სულნი ჩვენნი თავისუფალ ყვნა.

- 422 აწ განთავიჭულვებულ/სა სულსა ჩვენსა ნურღარა დავამონებთ მტერთა ჩვენთა, რამეთუ არავინ მებრძოლთაგანმან შეიკრის პელი, ოდეს იხილის მტერი თვისი, და არცა მეორემან შემუსრის საჭურველი თვისი, ოდეს ღვაწლი ენების, არამედ უფრომასად მანე იქმნის და განძლიერდის, რათა მრე ეყოს მტერთა. ხოლო თქვენცა მკედარნი ქრისტესნი და მებრძოლნი ეშმაკთანი შეიჭურენით საჭურველითა უძღვევლითა, პატიოსნითა ჭვართა, და დაღეგით მნედ და გაქვნიდეთ გულთა თქვენთა ვნებანი ქრისტესნი, რომელ ჩვენთვის თავს ისხნა, და განგემარჯოსთ. და ღვაწლი/სა მძლენი სიხარულითა დიდითა წარემართენით თქვენთვის ჭვარცმულისა მიმართ, ხოლო მუნითცა მოგეგებნენ დასნი ანგელოზთანი და გუნდნი წმიდათანი, რათა მოდასე გყონ მათდა, და აღიდებდეთ ღმერთსა უკუნისამდე.
- 423

27. სწავლა ბზოზასა ამა სოფლისა დიდებისა სიცუდისათვის

„და ერი იგი, რომელიმე წინა უვიდოდეს და რომელიმე უკანა ჰყვებოდეს, დაღადებდეს და იტყოდეს: ოსან[ნ]ა ძესა დავითისასა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაათა! გვაცხოვნენ, რომელი ხარ მაღალთა შინა!“ — იტყვის წმიდა მათე სახარების კა, თ.¹

- 424 ჰხედავთა ერთა ჰურიათასა, დღეს ვითარისა/ დიდებითა შეიყვანეს იესუ ქალაქად იერუსალიმისა? რამეთუ ვირსა ზედა მკდომარესა ფერქთა ქვეშე დაუფენდეს სამოსელთა² მათთა და ოსანანასა უღაღადებდეს და სახელითა უფლისაათა მოსლვად იტყოდეს, მცირედთა დღეთა შემდგომად შეიპყრეს და მაცდურობით ხადოდეს; დღეს უგალობდეს გალობასა და რტოათა ბაიასათა წინა უძღოდეს და ხვალისა შემდგომად ჭვარსა დამოჰკიდეს განშიშვლებული; დღეს ეტყოდეს: «გვაცხოვნენ, რომელი ხარ მაღალთა შინა», და ხვალესა უკან ეკიცხოოდეს: «სხუანი აცხოვნა და არ ძალ-უც თავისა თვისისა ცხონებდალ»³.

- 425 ამისთვის იტყვის სოლომონ იგავსა იღ თავსა შინა: „მხიარულე-ბასა თანა-ჰყ/უების მწუხარებაჲ და სიხარულსა შეუდგს გლოვაჲ“⁴.

¹ მათე 21, 9.

² სამოსლებთა.

³ მათე 27, 42; მარკოზ 15, 31.

⁴ შდრ.: იგავ. 14, 13.

იხილეთ, მოყვარენო სოფლისანო და მიმნდობნო და მტკიცედ შეთვისებულნო საწუთოასა ამისნო, რამეთუ ვითარ-ძი იქცევის სოფელი. ესე და ვერა დაადგრების წესსა ზედა ერთსა და დღითი-დღე იცვლის საქმეთა თვისთა და სხვადასხვა .იქმნების უამითი-უამად, რამეთუ: რომელსამე უამსა მყინვარე არს და სხვა უამ სიციხით დამწველ, სხვასა დროსა მწუვანითა და ყვავილითა შემკულ და სხვასა დროსა განშიშვლებული სრულიად, კვალად ნათელ ბრწყინვალე და კვალად ბნელ საცთომელ. ესრეთ აქცევს არსებათა თვისთა ზედასა-ზედა და თვით ვერა მტკიცედ მდგომელი წესსა ზედა ერთსა კეთილსა გი/ნა ბოროტსა. ვითარმცა დაადგინნა¹ მოყვარნი თვისნი უცვალეზლად და კეთილად და მხიარულებით?

ვინაჲთგან ქრისტესა, დამზადებელსა ყოველთასა, დღეს ესეთი დიდება შეასხა: ვირთა მჭდომარესა ყოველივე ერი წინა ურბიოდა, და ზარისა მიგან ქალაქი იგი შეიძრა და ყოველთა უკვირდა შესლვა მისი და შემდგომად ექვისისა დღისა განშიშვლებულსა მოავლო ქალაქი იგი განბასრებით, სხვათა ვისალა გაქვენდესთ სასოება, რათამცა თქვენა კეთილი გიყოსთ და დაემკვიდროს თქვენ თანა მტკიცედ?

იხილენით: მეფენი ქვეყანისანი ვითარ განუძლავრებიეს და სიმაღლედ აღუყვანიეს და მისნი სახელნი კიდეთა სოფლისათა განუფენიეს და ხვალე საფლავისა სილ/რმეთა შთაუტევებს; ვითარ მონანი და მსახურნი განუმრავლებიეს და ყმანი და აზნაურნი ურიცხვნი მძრწოლარე შიშსა ზედა საშსახურად განუტრძალავს და მერმე ნიჩბითა მტვერთა მიიყრიან; ვითარ ლაშქრითა დარაზმულნი ვლიან და მკედართა სიმრავლისაგან გზათა ვერა წარვლიან [და] უკანასკნელ მარტოდ დაუტევებს; ვითარ საუნჯენი ოქროჲთა და ვეცხლითა აღუესია და ზარდაშანი პატიჲსანითა თვალ-მარგალიტითა და კიდობანნი ნაქსოვითა უამავრითა და ერთსა ოდენ სამკვდროსა ტილომასა სამოსელსა მიაცემენ, სხვასა არარასა; ვითარ ნელსაცხებელთა სუნელთა მცხებელნი და ინანითა/ და ვარდის წყლითა მბანებელნი სოფლისა ვითარებათაგან მყრალთა წუთბთა და წალათა მადინებელ არიან; ქვეყანათა მპყრობელნი და მტერთა ზარისა დამცემელნი, ვიეთთა მომაკვდინებელნი, ვიეთთა დამაპატიმრებელნი, თვისთა მონათაგან კელითა და ფერკითა შეკრულნი წარიღებიან უპატიურად; თვისთა მამულთა არა-კმამყოფნი, სხვათა ადგილთაცა მცილობელნი ცალიერნი განვლიან; ოქრო-მოთვალულთა სავარძელთა ზედა მჭდომელნი მიწასა. ზედა წოლათა დასჯერდებიან?

¹ დაადგინოს.

ამისთვის იტყვის წინასწარმეტყველი დავით მშ ფსალმუნსა შინა: „ნუ გეშინინ, რაჟამს გამდიდრდეს კაცი და რაჟამს განმრავლდეს/ 129 პატივი სახლისა მისისაჲ, რამეთუ არა სიკუდილსა მისსა წარიღოს მან ყოველი და არცა შთაყვეს დიდებაჲ მისი მის თანა, რამეთუ სული მისი ცხორებასა მისსა ოდენ იკურთხოს“¹.

ჰოი, სოფლისა მოყვარენო, იცანთ სოფელი ესე, რამეთუ მოკლე არს და ცუდ და წამსა თვალისაჲსა განქარვებადი! ვინაჲთგან თვით ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა, რომელმან შექმნა სოფელი და რაი არს მას შინა, მას ჭვართა სიკუდილი მიაგო და ორთა ავაზაკთა შორის დაშოკვიდა და მძლავრთა მეფეთა ესრეთ ბოროტად განამგზავრებს, ვითარ გგონიესთ თქვენთვის კეთილსა მყოფელად და თქვენ თანა დამდგრომელად? მკატური და მატყუებელი ყოვლისა კაცისა სოფელი ესე გერჩენების ტკბილად/ და დაგმწარდების ძნელად, მოგეცემის უხვად და წარგებარვის სწრაფად; თვით სავსე არს ტყუილთა და გერჩენების შენ მართლად, გასწავლს პარავსა სხვათასა და თვით განმზადებულ არს წარპარვად სულისა თქვენისა; გწერთას რბევად შეზობელთასა და თვით ნებაჲს მორბევა სახლთა თქვენთა; გეტყვის ბოროტის ყოფასა ძმათასა და თვით არს ბოროტის მყოფელი ყოველთა; გირჩევს შექმნასა საჭურველთასა და აღლესვასა ფრიად და მოკლედ მოყვასთა თქვენთა და წამსა შინა მოკლედ თქვენდა განმზადებულ არს. ამისთვის, რათა მოგაცთუნოს და ტყუილითა თვისითა განგაშოროსთ ღმრთისაგან და გამოგიყვანოსთ 431 სასუფეველისა დიდებისაგან/ და მიგცეს უწყალოთა ეშმაკთა დასამკვიდრებლად ჯოჯობეთსა შინა.

ნუ სცთებით, საყვარელნო, ნუ მიპყლობხართ სოფლისა ამის სიმუხთლესა, ნუ დაგივიწყებდით წარუვალი დიდება სასუფეველისა მის და ნეტარება ზეციერი შვირისა და წუთისა ამის სოფლისათვის.

რასა ხედავთ სოფელსა ამას შინა კეთილსა განგრძობილსა და ბოროტსა მოკლებულსა?

უკეთუ დიდება მოგეცეს, სიმდიდრე შეგაწუხებს და მრავალნი გაჭირვებენ, ხოლო, უკეთუ გლახაკ ხარ, გული გითქვამს სიმდიდრისათვის; უკეთუ გშობის, მუცელი გაშფოთებს და, უკეთუ განსძელ, სტომაქი შესჭირდების² მოდნობად; უკეთუ შიშველ ხარ, გცივის 432 და, უკეთუ შეიმოსე რამე, გა/ცვეთასა ზრუნავ; უკეთუ ქვეითი ვლი, დაშვრები და, უკეთუ ცხენოსან ხარ, განუსვენებელ ხარ ცხენისა მსახურებისაგან; უკეთუ უქორწინებელ ხარ, გეოცნების ქორწილი. დაქორწინებულსა შეუდგს მიზეზი მწუხარებისა მრავალი. უკეთუ

¹ ფს. 48, 17—19.

² შესჭირდების.

უშვილო ხარ, დამძიმდები გონებითა უმკვიდრობისათვის და, უკეთუ შვილიერ ხარ, გაშფოთებენ საქმენი მათნი მრავალ რიგად; უკეთუ მეფეთა მონებასა ქვეშე ხარ, გეშინის მეფეთა მიერ და, უკეთუ თავისუფალ ხარ, განგარისხებენ ყმანი მარადის.

არა არს სოფელსა ამას განსვენება: არცა კეთილი რამე მოუწყინარი, არცაღა გექსოვნების გუშინ რა კეთილი იხილე, ანუ ძოდან რა ბოროტი მოგეცა, და არცაღა იცი ხვალე/ გინა მწუხრი რა ყოფად არს შენ ზედა. ვითარცა სიზმრისა წუხანდელისა მსენება, ეგრე არს დილანდელი საქმე შუადღე.

ვინაფთჳან ესრეთ არს სოფელი ესე, საქმენი მისნი წარმავალ და ცუდ, რაჲსათვის დაემონები სოფელსა ამას და მოიძღლებ სასუფეველსა? რა სარგებელ არს, უკეთუ პირველად სოფელმან ამან კეთილი გიყოს, მას საუკუნესა დასასჯელად მიგზიდნეს, ვითარცა იტყვის მათეს სახარების ივ, კვ: „რა სარგებელ არს, უკეთუ ყოველივე სოფელი შეიძინოს და სული თვისი იზღიოს? ანუ რა მისცეს კაცმან საქსრად სულისა თვისისათვის?“¹ რა სარგებელ არს, უკეთუ სოფელმან ამან ყოველივე სამეფო მოგანიჭოს და ყოველივე საშვებელი მოგცეს და სასუფეველსა განგაშოროს და მწართა სატანჯველითა იტანჯებო/დეს? რა სარგებელ არს, სოფელი ესე მცირე უამ დღე ყოველ ლხინთა გიმზადებდეს, და სმა-ჰამათა და სანოვაგეთა გიმრავლებდეს და მას საზარელსა ჯოჯოხეთსა შინა ენასა წყურვილით გიმობდეს, პირს ვაებითა, ჰახასა კვნესითა, კბილთა ღრქვინითა და მუცელსა შიმშილითა ადგიესებდეს? რა სარგებელ არს, ესე წარმავალი სოფელი თვალთა სიხარულითა, ყურთა ქებითა, გულთა მღვეანებითა, ცხვირთა სუნნელებითა და წარუვალსა საუკუნესა თვალთა სისხლისა ცრემლითა, ყურთა ეშმაკთა ყვედრებითა, ცხვირთა ძნელისა სიმყრალითა და გულთა შიშითა უთმინოთა ადგიესებდეს? რა სარგებელ არს აქა, თუ გვამნი სტაერთა მოსილნი, წელნი ზოსტერიითა მორტყმულნი, ყელნი მანიაკითა, პელნი ბეჭდითა პატიოსნითა, ფერჳნი ოქროსა მოთვალულითა შეგიმკვნეს და მას ძნელსა უფსკრულსა ჯოჯოხეთსა შინა სული ცეცხლითა შემწველითა, პორცი უძილისა მატლითა, წელნი ვეშპითა მოხვეულნი, ყელნი ცეცხლ-გველებითა, ძუძუნი ასპიტ-ჩამოკიდებულნი, პელნი მპურვალე ჯაჭვითა, ფერჳნი დაუქსნელის ხუნდითა, ძვალნი ტკივილითა საუკუნომდე გქონდეს? აქა საჩივთა და მარამრილოთა ნაშენებთა სახლთა დაგსმიდეს და მუნ ტარტაროზთა შინა მარადის გტანჯვიდეს, აქა აზანოთა ვა/რდის წყლისაჲთა გაბანებდეს და მუნ

433

434

435

436

¹ მათე 16, 26.

კუპრთა მღუღარეთა და წუმწუბათა აღნთებულთა შინა დაინთქ-
მოდე?

ესოდენი ბოროტი შეუდგს სოფელსა ამასა.

ვითარცა არა სარგებელ არს სიზმართა შინა სიმდიდრე, და შვება
პატიმროსა კაცისა და განელვიძოს, ჯაჰეთა შინა კრულ იყოს,
ეგრეთვე არად სარგებელ არს ამის სოფლისა დიდება და შვება და
მუნ ტანჯვა დაუსრულებელი.

უკეთუ აქა დღე ყოველ იტანჯებოდე და მუნ განსვენება მოგე-
ცეს, არა გასოვდეს ტანჯვა და, უკეთუ აქა დიდითა დიდებითა იყო
და მუნ იტანჯებოდე, არა სარგებელ არს, რამეთუ ათასთა წელი-
437 წადთა შინა წა/მ და წუთ ტანჯვა სოფელსა ამას შინა უადვილეს
არს ერთისა უამისა ჯოჯოხეთისა ტანჯვასა, რამეთუ ესრეთ მწარე
არს, და ათასთა წელიწადთა სრულიად ქვეყნისა პელმწიფობასა
უდიდებულეს არს ერთსა წამსა შინა სასუფეველისა ხილვა, რამეთუ
ესრეთ ტკბილ არს და მდიდარ დიდებით, რამეთუ სასუფეველსა
შინა ყოფა ღმრთისა თანა-ყოფა არს და პირისპირ მისისა დიდებისა
განცდა, ხოლო ჯოჯოხეთსა შინა ყოფა მარადის ღმრთისა რისხვასა
შინა ყოფა არს და მძვინვარეთა ეშმაკთა პირისპირ ჰკრეტა.

ყოველთა უწყით, ვითარ საზარელ არს ჯოჯოხეთი, არამედ მის-
სა უსაზარლეს — განვრდომა პირისაგან ღმრთისა. ყოველთა
იციო, ვითარი სიმწარე აქვს ტანჯვასა ჯოჯოხეთისასა, არამედ
438 უფრომად დიდი/ ტანჯვა აქვს, რაჟამს თქვას ქრისტემან: „წარვე-
დით ჩემგან, დაწყეულნო მამისა ჩემისანო, ცეცხლსა მას საუკუნესა,
რომელი განმზადებულ არს ეშმაკთათვს და მსახურთა მისთათვს“¹.

დღეს ვირთა ზედა მჯდომარე ქრისტე მოსრული იერუსალიმად
შოლტითა განასხამს ტაძრისაგან ღმრთისა განმსყიდველებსა და
მეკერმეთა და ტაძართა შემაგინებელთა, ხოლო მეორედ ოდეს
მოვიდეს ქერობინთა ზედა მჯდომარე, მაშინ განასხამს პირისაგან
თვით ღმრთისა განმსყიდველებსა სულთა მათთასა და შემაგინელ-
თა² ჰორცთა მათთათა, ცოდვილთა სატანჯველად საუკუნოდ.

ნუ, ძმანო, ნუ საყვარელნო, ნუ მიენდობით სოფლისა ამის
439 შვებათა და განცხრომათა, ნუ დაივიწყებთ დაუსრულებელსა მას/
საუკუნესა, არამედ თავითა დამდაბლებულითა და გულითა შემუსრ-
ვილითა მივეგებოდეთ სიმდაბლით მოსრულსა ქრისტესა, ღმერთთა
ჩვენსა.

მდიდართა დაუფინეთ სამოსელნი, გლახაკთა მოჰკაფენით ხეთა

¹ მათე 25, 41.

² შემაგინელსა.

რტოები და სიხარულით უღალადოთ ოსანა და ვიტყოდეთ: «გვატ-
ხონენ, რომელი ხარ მაღალთა შინა მიღვენებული», შეუდგეთ
კვალსა ქრისტესა, რომლისათვის იტყვის დავით პე ფსალმუნაა
შინა: „დადვას გზად სლუაჲ თვისი“¹.

ამისთვის ჩვენცა დავმდაბლდეთ, ვინაჲთგან ქრისტე დამდაბლ-
და; ამისთვის გვიყვარდეს სიგლახაჲ, ვინაჲთგან ქრისტე დაგლახაჲ-
ნა; ამისთვის ჩვენცა ვიღვაწოთ, ვინაჲთგან ქრისტემან ჩვენთვის
იღვაწა; ჩვენცა მოვკვდეთ სახელისათვის ქრისტესისა, ვინაჲთგან
იგი მოკვდა ცოდვათა ჩვენთათვის.

უკეთუ მისთვის/ მოვკვდეთ, ჭეშმარიტად მის თანაცა აღვსდგეთ 440
და მის თანა-ვსუფევდეთ უკუნიით უკუნისამდე, ამინ.

28. სწავლა მნებისათვის უფლისა და იოსების ბანსუიღვისათვის და ურგების სავაპრომესათვის ✓

ძველი სჯული სახე იყო ახლისა ამის სჯულისა: ვითარცა რა
მხატვარი პირველად დახატის აჩრდილსა ხატისასა საჩვენებლად
კაცთასა, ხოლო შემდგომად ფერებითა შეასრულებს, ხატი ვისიცა
იყოს, ეგრეთვე ყოველი სახე ახლისა სჯულისა პირველსა მას
სჯულსა შინა წინასწარ წარმოიჩინა მოსწავებითა საქმეთა მიერ,
ვითარცა იოსებისა მიერ მცირედნი რამე ქრისტეს ტანჯვანი
მოესწავეს.

ვითარცა მამამან იაკობ საყვარელი ძე თვისი იოსები მიავლინა
ძმ/ათა მათთა თანა სამწყსოთა შინა, რათა მათ თანა მწყსიდეს, 441
მამამანცა სახიერმან მოავლინა ძე თვისი იესუ ძმათა მათ პორცი-
ელებრივ კაცთა თანა მწყემსად ცხოვართა წარწყმედულთა, რათა
მათ თანა შერებოდეს და მოიპონეს. იხილეს იოსებ მისრული
მათდა, აღივსნეს შურითა, შეიპყრნეს, განძარცვეს და გვემეს.
იესუცა ოდეს იხილეს ჰურიათა მოსრული სოფლად, შეიპყრეს,
და განძარცვეს და ჯვარს აცვეს. იოსებ მიპყიდა ძმამან მისმან იუდა
ისმაიტელთა ოც დრაჰკანად, იესუცა განყიდა მოწაფემან მისმან
იუდა ოცდაათ ვეცხლად. იუდა, ძმამან იოსებისამან, ამისათვის
განყიდა ძმა თვისი, ვინაჲთგან სხვათა ძმათა ენებათ სიკვდილი/
იოსებისი, რათამცა განარინა სიკვდილისაგან და არა დასთხოინ 442
ძმათა მათ სისხლი მისი. ხოლო იუდა ისკარიოტელმან განყიდა
ქრისტე და არა განეკრძალა დათხევად სისხლისა მისისასა, არამედ
დასთხია და არა შეიგონა. იუდამან განყიდა იოსებ ამისათვის, რათა

¹ ფს. 84, 14.

მამასა უდიდესად უყვარდა ძმათაგან და მოსევდა სამოსლითა ქრელებულითა. არამედ ისკარიოტელმან იუდა რამსათვის განყიდა იესუ, რამეთუ მამამან მოავლინა არა ქრელითა სამოსლითა, არამედ რათა იუდასათვის ჯვარს-ეცვას? იუდამ განყიდა ძმა თვისი, რამეთუ ძმა ძმისა მამულისა წილისა განმყოფელ არს და თვისად ენება ძმისაცა. არამედ იუდა ისკარიოტელმან რამსათვის განყიდა ქრისტე, ვინაფთგან მოვიდა, რათა სასუფეველიცა/ თვისი იუდას მოსცეს? იუდამ განყიდა ძმა თვისი, რამეთუ ჩვენებისა ხილვითა ძმათაგან თაყვანისცემა თქვა. იუდამ რამსათვის განყიდა ქრისტე, ვინაფთგან ფერაჲნი დაბანნა და მონურად მსახურა? იუდამ განყიდა იოსებ, ვინაფთგან უპატროსნესად ვიდოდა ძმათაგან. იუდამ რად განყიდა იესუ, ვინაფთგან ესრეთ პატროსან ყო, რამეთუ იქმოდა სასწაულებსა და ნიშნებსა?

ეჰა, განყიდა ყოველივე! განყიდა და ვითარ განყიდა?

იხილეთ, მორწმუნენო, უსარგებლო მონაგები! ვაჰარნი იჭირვიან და შერებნიან, რათა მონაგები თვისი განყიდონ უმრავლესად, ხოლო იუდა ისკარიოტელმან განყიდა მომგებელი თვისი და თვისთა სულთა დამბადებელი და არა სარგებელი ქმნა.

444 ქვეყნისა მოქმედნი/ შერებნიან ოფლითა ჰირისა მათისაფთა და შემდგომად ნამუშაყევთა აღრიცხვენ და ჩაოდენნი წლითი-წლად ეკმარების მას, თვით დამარხვენ და, უკეთუ ნაკლებ არს, მოიყიდნიან და, უკეთუ ნამეტნავი, განყიდნიან. ხოლო ბოროტმან იუდა არა განიგონა, არცა თქვა გონებასა თვისსა: «ესე ჩემი ნამუშაყევი არა არს და მე შემმუშაყებელისა ჩემისა ვითარ პელ-ვჰყო განსყიდალ? ანუ თუ ესე განყვიდო, რომელიდა დამიშთება სწორი ამისი? ანუ ვითარ შეიძლების შეუძლებელი კაცთა მიერ?»

445 მოგზაურნი წარვლენ შორთა გზათა და ზღვათა შინა ვლენან, რათა განყიდონ სავაჭრო თვისი სარგებელად, და, ოდეს ქარნი აღდგებიან დანთქმისათვის, ევედრებიან ღმერთსა; ხოლო იუდა უსჯულო/ ქართა შემრისხველისა და ღელვათა დამაყენებელისა განსყიდალ მირბის.

ღედაკაცნი სთვენ თითისტარითა ძოწეულსა ზეზისასა, რათა მათითა განიმრავლონ სარგებელი, და კაცნი ქსოვენ საქსოველთა ოქრო-ქსოვილთა და სხვანი შართა და ლაინთა და ხამთა, რათა მოიგონ მოსაგებელი რამე, ხოლო იუდა იჭირვის და ქსოვს ბადესა ვერაგობისასა, რათა ზაკვით შეიპყრას უფალი.

ანგარი განსცემს ვაჰმთა ვეცხლთასა, რათა საუნჯენი აღავსნეს, იუდა მოიყიდის ვეცხლსა მრავლითა ფასითა, რათი ერთა შორის განაბნოს.

ფერეზიკნი ორისა დანგისა სავაპრომთა ეცდებიან, რათა შეს-
ძინონ ოთხი, და/ ეჩინჩვიან, რათამცა შემატა მწველილისა ნაოთხალი, 446
ხოლო იუდა განჰყიდის თვალთა და მარგალიტთა დამბადებელსა
ოცდაათ ვეცხლად აღვილად და არა ეჩინჩვის.

ვეცხლის-მოყვარენი შეიკრებენ ტყუფილითა და ცრუფიცებითა
განმრავლებსათვის ვეცხლთა და განუფართებენ ვაშქარანთა პირ-
თა, რათა აღრე აღივსნეს, ხოლო იუდა უსასყიდლოსა განყიდის
და მოიყიდის შიშთვილსა და მოუმახვრებს, რათა აღრე დაიშთოს
თავი თვისი.

იუდა ჰოი, ჰყიდი მოძღვარსა შენსა? აწ მითხარ, რაჲსათვის
ჰყიდი? მცირისა ფასისა არს განსყიდული ეგე და ფასმრავლად 447
ჰყიდი? ანუ ღღეთა სიგრძე მოივაჰრე და/ საზრდოდ ჰყიდი? ანუ
ღედაწულნი მომყმარნი გყვანან და გამოსაზრდელად ჰყიდი?
რაჲსათვის იქმ, უბადრუკო? მხოლოდ თავისა შენისა კიდე ხოლო
არაჲინ გივის და მაგასაცა დაიშთობ ღღესვე? ვისთვის გნებავს
ფასი უსასყიდლოჲსა მაგის?

იუდამ გაყიდა უფალი და ფასი იგი დააბნია წინაშე ჰურიათა,
იწყო სინანული და შიშთვილი იბა.

იხილეთ, მორწმუნენო, ანუ განსყიდა ვითარი ქმნა, რომელ
დააბნია ფასი, და ანუ სინანული, რომელ დაიშთო თავი?

იხილეთ, მორწმუნენო, და განეკრძალენით ურგებისა სავაჰ-
რომსაგან, რომელი მომაკვდინებელ არს თავისა და წარმწყმედელი
სულთა. უფროჲსად მოივაჰრენით სულნი თქვენნი, რომლისაგან/
დიდი სარგებელი გეყოსთ. უკეთუ სულნი თქვენნი განსყიდულ 448
იყვნეს¹ და სხვანი მრავალნი კეთილნი მოივაჰრნეთ, რა სარგებელ
გიყოსთ თქვენ? ამისთვის ბრძანებს იუდასაგან განსყიდული მაც-
ხოვარი ჩვენი: „რაჲ სარგებელ არს, უკეთუ ყოველი სოფელი
შეიძინო და სული თვისი იზღვიო?“² ყოვლისა სოფლისა შეიძინე-
ბადცა არა სარგებელ არს სულისა თვისისა წარწყმედა, არა თუ
სხვისა რაჲსაჲე მცირისათვის წარიწყმიდო.

იხილეთ. ვითარ ცუდ არს ამის სოფლისა სიმდიდრე და ცოდვი-
თა მონაგები: იუდამ განთიად მოიგო ვეცხლი და სამისა ჟამისა
შემდგომად განაბნია წინაშე ჰურიათასა, წარვიდა და მოიკლა თავი 449
და არარა არგო საშოვარმან მან და ვეცხლისა სიყვარულ/მან;
ეგრეთვე ცუდ არიან მონაგებნი ამის სოფლისანი და უჰმარ ღღესა
მას სიკვდილისა ჩვენისასა ესრეთ:

ვითარცა რა ფარშამანგი ერთი ჯდეს გალისა შინა ერთსჲ

¹ იყოს.

² მათე .16, 25.

მცირესა და ბოლო მისი არა განემართებოდეს და შეიმუსროდეს და არა განუფართო გალია იგი, რათა განსვენებით ვილოდეს, და არა აქამო საზრდელი მისი, რათა განაოხნეს, არამედ პრცხილე გალიათა მისთა და კმოსლე ნაქსოვითა, გინა შეამკობდე მძივებითა, და განირყვნას ფარშამანგმან მან ბოლო და ფრთენი, და არა იზრუნო, და შემდგომად მოკედეს, — რა სარგებელ იყოს გალიისა მის რცხა და მძივებითა კაზმა? არა უმჯობეს არსა ფარშამანგისა განძლ/ება?

450 ეგრეთვე პატიოსნისა სულისა თქვენისა გალიანი გვამნი თქვენნი არიან.

რა სარგებელ არს, რათა გვამთა თქვენთათვის მოიღვაწებდეთ უსამართლოდ და ცოდვითა და სულსა თქვენსა მშვიერსა უტევებდეთ?

ამისთვის იტყვის წმიდა მათე სახარების ვ, კვ: „ანუ არა სული უფროჲს არს საზრდელისა და გვამი — სამოსლისა“¹, რამეთუ ოდესცა განეშორნეს სული გვამსა მას, უპარ და საძაგელ იქმნების.

ამისთვის გვიღირს პირველად, რათა მოვიყიდნეთ სულნი ჩვენნი ძვირფასად და არა განვყიდნეთ სულნი ჩვენნი ვეცხლსა ზედა უპარსა, ვითარცა ყო იუდა საწყალობელმან.

451 მიზრიოდა იუდა მღდელთმოდღვართა თანა, რათა განეშოროს მოძღვარსა თვისსა და მისცეს მათ ჰელ/თა შინა, ხოლო თქვენ მიზრინეთ მღდელთმოდღვართა თანა, რათა განეშოროთ ცოდვასა და აღსარება და სინანული ჰელთა შინა მისცეთ. განყიდა იუდა უფალსა თვისსა და ვეცხლსა აღიღებდა და განაბნევედა ცუდად, ხოლო თქვენ განყიდენით მონაგები თქვენი, რა იგი გაქვსთ, და განაბნიეთ გლახაკთა ზედა. წინამავალ ექმნებოდა იუდა ერთა უსჯულოთათა, რათა შეიპყრას ძე ღმრთისა, ხოლო თქვენ წინამავალ ექმენით ერთა უმეცართა და ასწავეთ გზანი ძისა ღმრთისანი, რომელი მან გვასწავა. ამბორს-უყოფდა იუდა პირსა მოძღვარისასა სიცრუით, რათა შეიპყრან ერთა მათ, ხოლო თქვენ ამბორს-უყავით ფერკთა წინამძღვართა თქვენთათა სიყვარულით, რათა ერთა 452 შეიყვარონ./ მშვიდობასა ეტყოდა იუდა დამბადებელსა, რათა უმშვიდობლობა და შფოთი აღძრას, ხოლო თქვენ მშვიდობასა ფიქვბდით ქრისტესსა, რომელი მან დაგიტევათ. შეინანა იუდა დასჯისათვის იესუსა, და იშთო თავი თვისი და წარწყმდა საწყალობლად; შეინანეთ თქვენცა ცოდვანი თქვენნი ნუ თავის მოკლვითა, არამედ გულისა სიმპურვალითა და სულთქმითა და შეგენდვენ.

¹ მათე 6, 25.

ესე არს საზრდელი სულთა თქვენთა, ესე არს განფართება გალიათა მისთა, რომელმან არა განრყენას ფრთენი და ბოლონი თვისნი და ეგოს უკვდავად საუკუნოდ.

უკეთუ სირთა და ფრინველთა ფრთენი განრყენას კაცმან, ფრინველნი იგი უშვერ იქმნებიან; არა უფროჲსად ჯერ არსა ჩვენ მიერ, რათა არა განვრყენეთ ფრთენი სულთა ჩვენთ/ანი? რამეთუ ფრინველი უკეთუ აღფრინდეს, აღვალს ვიდრე ორთა, გინა სამთა მილიონთა სიმაღლედ ჰაერისა, ხოლო სულთა ჩვენთა თანა აც, რათა აღფრინდეს ყოველთა ცათა უმაღლესად. 453

ხედავა, რაოდენისა სიმაღლისა აღფრენად განმზადებულ არს და ვერ აღვალს განრყენილითა ფრთითა? და უკეთუ მუნ ვერ აღფრინდა უეჭველად დაითქმიან ქვესკნელად. და ქვესკნელთა დათქმად არს შთაჲდა ჯოჯოხეთად და მეგობარ-ყოფა დამშთვარისა იუდასი. რა სარგებელ არს? უკეთუ არა დაიშთო თავი შენი და განრყენა ფრთენი სულისა შენისანი, ეგრეთვე იქმნე, ვითარცა ნებსით მოშთობილი, რამეთუ თავისაცა მოშთობა შთაიყვანს კაცსა/ჯოჯოხეთად და სულისა ფრთეთა განრყენაცა. და რომელმანცა ცოდვამან კაცი წარწყმიდა, ყოველივე გზა ჯოჯოხეთად მიმყვანებელი არს. და ჯოჯოხეთად შთასლვა იუდასა თანა ყოფა არს და მეგობრობა მისი, დადაცათუ მას უმეტესი სატანჯველი აქვნდეს, არცა განსვენებით არიან სხვანი ცოდვილნი. 454

ნუ, საყვარელნო, თქვენ ეციოთ საზრდელი სულთა და განკაზმენით ფრთენი სულთა თქვენთანი, რათა განმარტებითა მათითა აღფრინდეთ სიმაღლესა ჰაერისასა და აღმაღლდეთ ზეცად, სადა აღამაღლნა წმიდანი თვისნი ქრისტემან, ღმერთმან ჩვენმან და მეუფემან, მის თანა სუფევეითა დაუსრულებელითა. და უბრწყინვალესად მზისა ნათობენ სიმრავლეთა თანა ზეცისა ძალთათა, და ხედვენ მარადის/ პირსა მამისა ზეცათასა, და თანა მოდასე არიან წმიდათა წინასწარმეტყველთა და მოციქულთა და მოძღვართა თანა. 455

ხედავა, ვითარი სიპატიოსნე აქვს და დიდება სულისა ფრთეთა განურყენელობასა და ვითარი ბოროტი ტანჯვა განრყენასა, რომელი გამოიყვანს პირისაგან ღმრთისა და პირსა ეშმაკთასა ხედვენ მარადის?

განეკრძალენით და გეშინოდესთ მისგან, რათა განერეთ მას, და გაქვნდესთ სასოება უფლისა იესუ ქრისტესი, რამეთუ მისი არს ყოველი დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

29. სწავლა ფერკთა საბანლად მიჰყროზისათვის და
ამპარტავნებისა

456 ჰოი, სერი ტკბილი და მომტევებელი ცოდვათა/ ჩვენთა, რომელსა ზედა მოგვეცნეს ორნი დიდებანი ღმრთისანი ჩვენ კაცთა ცოდვილთა, რამეთუ დღესა ამას მოგვეცა საკმალად ჰორცი თვისი პატიოსანი და სასმლად სისხლი თვისი წმიდა და ამათ თანა ზიარგვეო თვისა და მეორედ მოიდრიკნა მუქლნი და დაბანნა ფერკნი მოწაფეთა და ამცნო მათცა ეგრეთ ჩვენდა ყოფად. და ჰორცისა მისისა ჭამითა აღგვამალლნა დიდებითა და დაბანიითა ფერკთაჲთა გვასწავა სიმდაბლე.

ჰოი, ურცხვინობა იუდასი დღესა მასვე, რამეთუ მიილო პური ჰელთაგან უფლისათა უღირსებით და წარუბყრნა ფერკნი მეუფესა დაბანად ამპარტავნებით.

457 ამისთვის იტყვის დავით ფსალმუნსა ლე: „ნუ მოვალნ ჩემ ზედა ფერკნი ამპარტავნებისა და ჰელნი ცოდვილისანი ნუ შემძრავნ მე.“¹

იხილეთ ურცხვინოჲსა იუდასი მას ღამესა ამპარტავნება მისი: სერობასა ზედა ჰელთა შთაუყოფს პინაკთა შინა; ამპარტავნებითა მიიღებს ჰორცსა და სისხლსა ცოდვათა მომტევებლისასა; ამპარტავნებით ეტყვის მოძღვარსა, რაჲამს იგი ეტყოდა საზოგადოდ მოწაფეთა: „ერთმან თქუენგანმან მიძცეს მე“,² ხოლო მან თქვა: „ნუ უკუე, მე ვარ, მოძღვარ“³; ამპარტავნებით წარუძღვა ერთა, ეტყოდა: „მე მიგცე თქუენ ღმერთი შეკრვად“;⁴ ამპარტავნებით ჰრქვა: „მოძღვარ, გიხაროდენ“⁵, რომელსა შეკრვასა ახარებდა; ამპარტავნებით ამბორს-უყო პირსა მეფისასა; რომლისა მოსე ძვილ მხილველ იქმნა.

458 ჰოი, ურცხვინო ამპარტავნება იუდასი! მეუფესა თვისსა ფერთა მწიკვლიანთა შთაუღებს ჰელთა შინა შემოქმედსა ადამისსა და არა იწიწვის, ამბორს-უყოფს პირსა სულთასა და არა შეშინდების. ჰეტრე შეიკდემს და ჰელთა და თავთა დაბანადცა არა უტევებს, ხოლო იუდა შესევარულთა ფერკთა არდაგსა შინა უფლისათა წარუბვევს, სერობასა მას იუდა ჰელთა მიჰყოფს საჭამადსა ჰრისტესსა, და იქმს დიდსა ამპარტავნებასა. და საძაგელ ყოველთასა იქმ-

¹ ფს. 35, 11.

² მათე 26, 21.

³ მათე 26, 22.

⁴ მათე 26, 48.

⁵ მათე 26, 49

ნების. იოანე მოენვევის მკერდსა მეფისასა სიმდაბლით და სანატრელად განითქმის.

ჰოი, სიბოროტე იუდასი და ამპარტავენება! უფალი ყოველთა და მეუფე ფერქთა დაბანად მისა მოვალს და არა შეიკდემს და თვით ფერქთა უფლისათა დამსკვალვად მირბის და არა შეიცხვენს. ამისთვის იტყვის დავით რმ ფსალმუნსა შინა: „**მომაგეს ბოროტი კეთილისა წილ და სიძულვილი სიყუარულისა წილ**“¹. 459

ჰოი, სიბოროტი იუდასი! რა არს სიძულვილი ესრეთ ბოროტი, რომელ მან მოიძულა მოძღვარი თვისი? რა ბოროტი იხილა მისთანა, რომელ უჯერობა ასწავა? რა იყო მას შინა საძაგელება, რომელ ესრეთ მოიძაგა, ვიღრე მოძღვარი სხვათა მისცა მოკლვად და თვით თავი თვისი მოიკლა?

იხილეთ, მორწმუნენო, იუდა განმცემელი, ამპარტავენის იხილეთ იუდა—მტერი ყოვლისა ჭეშმარიტებისა: მოძღვარი ასწავლიდა სიმდაბლესა, იგი სწავლობდა ამპარტავენებასა; მოძღვარი ამცნებდა სიყვარულსა ყოველთასა, ხოლო იგი დაიძარხვიდა სიძულვილსა დიდსა; ქრისტე წარავლინებდა მოციქულად წარმართთა/ მოქცევისად, ხოლო იუდა მიისწრაფოდა მღვდელთმოძღვართა თანა ქრისტეს განცემად; მეუფე მიავლინებდა ქადაგებად ყოველთა სოფელთა² სინანულისათვის, იგი მირბიოდა კრებულთა თანა ჰურიათასა წარწყმედად; ქრისტე მისცემდა მადლსა განსხმად ეშმაკთა, ხოლო იუდა მოიწვევდა მოყვასად; ქრისტე მისცემდა ძილთა კურნებათა სნეულთა, ხოლო იუდა სწყლვიდა მრთელთა; ქრისტე მისცემდა ჰელმწიფებასა აღდგინებად მკვდართასა, ხოლო იუდა მოკლვიდა აღმადგინებელსა მკვდართასა; ქრისტე ასწავლიდა აღსლვად სასუფეველად და დაჯდომად საყდართა დიდებისათა, ხოლო იუდა იჭირვოდა განლებად ჯოჯოხეთთა და შთაძლად მუნ; რაოდენსა მოძღვარი კეთილსა ასწავებდა, იუდა/ ამპარტავენებითა კეთილისა წინა-აღმდგომად ბოროტსა იჭმოლა. 461

ამისთვისცა დამოკვიდა მოძღვარი თვისი შორის ავაზაკთასა განშიშვლებული; ხოლო თვით დამოეკიდა შიშთვილსა განბასრებულნი.

იხილეთ, მორწმუნენო, ამპარტავენებამან რა უყო მოწაფესა, ვითარ მომაკვდინებელ ექმნა მოძღვარსა, სიმდაბლით მოსარულსა ცხორებად ჩვენდა!

ამისთვისცა, საყვარელნო, უკმარ არს გონიერთაგან ამპარტავენისა

¹ ფს. 108, 4.

² სოფლებთა.

- კაცისა სწავლება და შეუსმინარისა შეგონება, რამეთუ: ვითარცა ცუდად შვრებიან მუშაჲნი დათესვად მარილისა, რათა მწყურნებასა აღგილსა აღმოეცენოს მარილი და განმრავლდეს, ეგრეთვე ცუდად მაშვრალ იქმნებიან მოძღვარნი ამპარტავანთანი, რამეთუ, რა იგი/
- 462 მას ნებავეს, მას ისწავლის და, რა იგი მოძღვარსა სწავდს, არა შეის-
 463 მენს, რამეთუ ეშმაკნი ღმერთმან შექმნნა ანგელოზად და ამპარტავ-
 ნებისა მიერ გარდამოცვივნეს, რამეთუ: რა იგი იყო ნება ღმრთისა,
 არა ქმნეს და, რა იყო ნება თვისი, იგი ისწავეს. არამედ მისცა
 კაცთა ღმერთმან თავისუფლება და, უკეთუ უნებს ვისმე ამპარტავ-
 ანთაგანსა, განერებისცა ამპარტავნებისაგან ძალითა ღმრთისადათა.
 მე ესრეთ მგონეს, რამეთუ: ვერა აგრძნობს ამპარტავანი ამპარტავ-
 ნებასა თავისა და თვისისა. და უკეთუ სხვამან ჰრქვას, არა ირწმუნ-
 ებს და ჰგონეს თავი თვისი მდაბალ და მოქმედებულნი მისნი
 სიმდაბლით, რამეთუ: სადაცა შეეგალს ამპარტავნება, მუნ შეუძლე-
 ბელ არს/ დადგრომად ყოველნი სათნოებანი კეთილნი; დააბნელებს
 გონებასა კაცთასა, ვითარცა დააბნელოს კვამლმან ძლიერმან თვალ-
 463 ნი კაცთა თვალტკივნეულთანი. სადაცა მოედების ცეცხლი მალ-
 ნართა დიდთა, წინა კერძო სიცხე მისი განაჰმობს სინოტივესა და
 სინედლესა ხეთა და თივათასა, ხოლო შემდგომად აღეგზნების
 ცეცხლი და დაიწვის და არღარა დაშთების წაყოფიერება. ეგრეთვე
 სადაცა გულსა კაცისასა შეეგალს ამპარტავნებისა ცეცხლი, წინარე
 მისა განაჰმობს ძალი მისი სათნოებათა კეთილთა და შემდგომად
 ამპარტავნება დაიმკვიდრებს და უწაყოფო იქმნების.
- 464 ვითარცა არიან მკაცდინებელნი თვალნი ვაჰილისკოთანი, რო-
 მელიცა ცხოველი იხილა თვალთა, არა დაშთა ცო/ცხალი, ეგრეთვე
 ამპარტავნებისა თვალმან რაოდენიცა იხილნის კაცთა შინა კეთილნი
 და ქველნი, ყოველნივე მოაკვდინოს და განლიოს. ვითარცა ქარი
 სასტიკი რა ეცვეთოს ხვავსა ბზისასა და განაბნისოს, ეგრეთვე
 ამპარტავნება რა შევიდეს კაცთა შორის, მადლთა ხვავთა მისთა
 სრულიად განაბნევს. ამპარტავანი გონებითა მივალს ზე აღმართ
 დიდებისად, ხოლო საქმითა მიერ აღმოჰკვეთს ქვე მთხრებლთა და
 შთავალს ჯოჯოხეთისა მიმართ. ხოლო თქვენ განეშორებით,
 მორწმუნენო, ბოროტსა ამას სნეულებასა განმაგდებელსა პირისა-
 გან ღმრთისათა, რამეთუ ამპარტავნებამან განაგდო პირისაგან
 ღმრთისა სამოილ დასითურთ თვისით. ამპარტავანება ძეთა სასუ-
 465 ფევლისათა გამოიყვანს და/ დაჯედ ტარტაროზისა იქმს.
- ამისთვის იტყვის ლუკა მახარებელი ა: „განაბნინა ამპარტავანნი

¹ ლუკა 1, 51.

გონებითა გულთა მათთა“, რამეთუ საძაგელ ღმრთისა არს და საძულელ კაცთა.

ამპარტავენებისაგან იშობებიან შეურაცხება მოყვასთა, სიძული-
ლი ძმათა, უმორჩილოება უხუცესთა თვისთა, მრისხანება უღარესთა
თვისთა და ამათ გამო იშვების ბრძოლა და კაცის კლეა. ამპარტავე-
ნებისაგან დაიბადების მოუსმინარობა, თავდაჯერებულება და ცუდ
დიდება და ამათ მიერ იქმნება მიღება ცნობისა, დატევება სჯუ-
ლისა. რაღასა ვაგრძელებ, ამპარტავენებისა შვილნი არიან ეშმაკნი
და მის მიერნი მოქმულნი/ ცოდვანი, რომელნი იქმნებიან კაცთა 466
მიერ შემაწუხებელნი ღმრთისანი. არაეინ ამპარტავენთაგან დაე-
მკვიდრა ქრისტეს თანა, გარნა მდაბალნი და შეურაცხების მოყვა-
რენი. არა-ზევანი მოწათე-იქმნეს უფლისა, არამედ სათნოების
მყოფელნი. არა ზეშთა-მჩენნი იქმნეს ქედ სასუფევლისა, არამედ
თავგანწირულნი, არა ცუდდიდების მოყვარნი აღფრინდებიან
ზეცად, არამედ ნებსით დაგლახაკებულნი.

ამისთვის, ძმანო საყვარელნო, განიშორეთ თქვენგან ამპარტავე-
ნება უფრომასად ასპიტისა მკვედინებელისა და ნუ მიეახლებით უფ-
რომასად გესლისა მისგან მწამლველისა, რათა არა მოსწყდეთ
სრულიად. არამედ გაქვენდენ თერიყად/ გესლისა შის განმაქარებე- 467
ლად სემდაბლედ და უპოვარებისა მოყვარება და შეიყვარეთ ნაკ-
ლულევანებისა მოთმინება და არა მრავალისა ქონებისათვის ზრუნვა
და კმა-საყოფელისა დაჯერება, რამეთუ ესენი არიან მომაკვდინე-
ბელნი ზეშთა-მჩენობისა და განმაძებელი ამპარტავენებისა. ესე არს
აღმაფრინებელი ზეცად და შემყვანებელი სახლსა ღმრთისასა, მე-
გობარ-მყოფელი სულთა თქვენთა წმიდათა თანა ღმრთისათა და
მხიარულ-მყოფელი განსვენებასა შინა. ესე არს განმწმედელი
ქორცთა თქვენთა და წმიდა-მყოფელი, რომელ იქმნეს ტაძარ
ღმრთისა და მოვიდეს, დაემკვიდროს მას შინა, რომლისათვის
ქრისტე ბრძანებს/: «მე და მამა მოვიდეთ და სავანე ვყოთ მისთანა 468:
და დაიმკვიდროს თქვენ თანა სულმან ყოვლად წმიდამან აწ და
უქუნისამდე, ამინ».

30. სწავლა დიდის ხუთშაბათისა

„რომელი ჭამდა პურსა ჩემსა, მან განადიდა ჩემზედა შეტყუ-
ლი“ — იტყვის მგალობელთ-მთავარი მეფე დავით მ ფსალმუნსა
შინა¹.

¹ ფს. 40, 10.

ვინ განადიდდა მის ზედა შეტყუილი?

— იუდა ისკარიოტელმან, ერთმან ათორმეტთაგანმან. რომელი ჭამდა სერობასა ქრისტეს თანა პურსა მას კურთხეულსა, მან განადიდდა მის ზედა შეტყუილი.

- 469 როსკიპმან უპატიურმან, მპოვნელმან პატიოსნებისამან, ქრისტეს თანა განადიდდა განმართლება დამოციქულმან პატიოსანმან, მკამელმან საღმრთოხსა ტრაპეზისამან, განადიდდა შეტყუილი. მეძავი სახლთა სამეძაოთა, რომელი მარადის ისმენდა სიტყვათა საძაგელთა და ჰყოფდა სიმღერათა და ზილოდათა, ვითარ აღდგა [და] იუდა უბადრუკი. მოწაფე ქრისტესი, რომელსა მარადის ესმოდა სწავლა საღმრთო, იხილეთ, ვითარ დაეცა საწყალობელად! უწმინდური დედაკაცი და სხვათაცა სიწმიდისა განმძარცველი დიდი წმიდა იქმნა და მოწაფე სხვათა განმწმედელი, და თავისა თვისისა წარმწყმედელი და უფლისაგან წმიდად რჩეული, სრულიად უწმიდურ იქმნა. მარიამ უცხო, უცნობი ქრისტესი, მეძაობისა დამტევებელი,
- 470 ქრისტეს მეცნიერ იქმნა და მოყვასი ქრისტესი, ურ/ცხვი, უგლიმი, ქრისტესგან უცხო იქმნა. მარიამ — სამეძაოსა სამკაულთა განმსყიდველი, მომვაჭრებელი ნელსაცხებელისა, ქრისტეს მპოვნელი და იუდა — ქრისტეს განმსყიდველი, ოცდაათს ვეცხლად შიშთვილის მპოვნელი. ლირწი სრბით მომავალი ფერკთა ქრისტესთა შემოვალს მოციქულთა კრებულთა შინა, რათა ცოდვანი მიეტევენეს, წმიდა ქრისტეს მიერ ფერკდაბანილი სრბით მივალს ჰურიათა კრებულთა თანა. რათა ცოდვანი განიმრავლენეს. მწიკვლევანი დედაკაცი მოსწრაფის ამბორის-ყოფად ფეძთა ქრისტესთა, რათა ზეცას აღმაღლდეს. რჩეული უფლოთა მოვალს ამბორებად ქრისტესა პირსა ზედა წარმდებად, რათა ქვესკნელად შთაქდეს. / მემრუშე მოივლტის და ცრემლითა განზანს ფერკთა უფლისათა და თმითა წარჰპოცს, რათა მადლი ღმრთისა მოიყიდოს, და სასწაულთა მოქმედი იუდა მოვალს შემთხვევად, რათა ღმერთი განყიდოს. მარიამ არა ჰრიდებს ძვირფასისა ნელსაცხებელისა დათხევასა და მოციქული დრტვინავს სხვისა საუნჯისა საქმარად ყოფისათვის დღეს. მარიამ ისმენს: «წარვედ, შვილო, მიგეტევენენ შენ ცოდვანი შენნი», და მოწაფე ისმენს: «ადრე ჰქმენ, რა იგი გნებაეს». მარიამისათვის იტყვის უფალი: „სადაცა იქადაგოს, სახარება ესე საჰსენებლად მაგისა იყოს“¹, და იუდასათვის იტყვის: „უმჯობეს იყო მისთვის,
- 471

¹ მათე 26, 13.

თუცა არა შობილიყო კაცი იგი¹. მეძავე განათლებული/ და 472
მოციქული დაბნელებული, ორნივე დღეს შეიყრებიან; მარიამ
მრავალ-მცოდველი, დღეს სრულიად უცოდველი, და იუდა უცოდ-
ველი, ცოდვისა გარდამეტებულისა მოპოვნებელი, დღეს იასენე-
ბიან.

აწ, ძმანო საყვარელო, თქვენცა, რომელნი შემოკრებულ ხართ
დღეს აქა, იცით და გესმისთ ორთავე საქმენი; რომელნი ხართ
უცოდველნი, განეკრძალენით თავთა თქვენთა. რჩეულსა მოწაფესა
და სასწაულთა მოქმედ[დ]სა მოციქულსა რა უყო უკრძალველობამან?
ცოდვილო, გიხაროდესთ და მიჰბაძეთ მარიამს, მოქცევამან და
სინანულმან ვითარ ქრისტეს საყვარელი შექმნა! გესმეს, არა
მცოდველნი, და ესევედ უფალსა და დაიფარე/ თავი შენი საფარვე- 473
ლითა ღმრთისაჲთა და ეკრძალე ვეცხლის მოყვარებასა, რომელმან
წარწყმიდა იუდა. გულისხმა-ყავ, ცოდვილო: უკეთუ მარიამს მიე-
ტევა ცოდვა, შენცა მოგეტევებისა. ისწრაფე დატევებად ცოდვთა
შენთა, ვითარცა დაუტევა მარიამ. ვეცხლის-მოყვარება. ნუ
განლანები, უცოდველო, ცოდვისა უქმნელობისათვის. შენ თუ
გგონეს თავი შენი უცოდველ, გარნა არავე ხარ უცოდველ. ნუ
უსასო იქმნები, ცოდვილო, რამეთუ ქრისტე ცოდვილთათვის
დაისაჯა დღეს, — არა ანგელოზთა და მართალთათვის. ნუ ზვაობ,
უცოდველო, თუცა ვერა ხედვიდე ცოდვასა შენსა. დავით იტყვის:
„ვიდრე დედისა მუცლით ჩუენით/ ვსცოდეო“. და ეგრეთვე შე- 474
რაცხე თავი შენი ცოდვილად. ნუ გკონინ. ცოდვილო, და ნუ
იტყვი: «დიდ არს ცოდვა ჩემი და არღარა მომეტევების». ესეოდენ
დიდ ვერა არს ცოდვა შენი, თუცა გარდაემატა ღმრთისა მოწყალე-
ბასა. განიგონე, უცოდველო, რომელსა შეგირაცხიეს მადლის-
მოქმედად თავი: არაინ არს უცოდველ; გარნა მხოლოდ ღმერთი,
და ნუ მიენდობი სიბრძესა გულისა შენისასა, ნუცა განიკითხავ
ცოდვილსა. უკეთუ შენ იგი ცოდვა არა გაქენდეს, მეორისა საც-
თურითა შეპყრობილ ხარ.

აჰა, იუდა მარტო ვეცხლის მოყვარებამან წარწყმიდა და
ვეცხლიცა იგი განაბნია და არა არგო, არამედ გამოიწვლილენ
საქმენი შენნი და მცირედი ცო/დვა შენი უდიდეს სხვისა ცოდვი- 475
ლისასა გიჩნდეს და ღმრთისა თანა დაემკვიდრო. ეგრეთვე შენ.
ცოდვილო, ნუ აღროებ შენ სინანულსა და იტყვი: «ხვალე ვინანო,
ანუ ზეგე და ანუ სიბერისა ეამსა». ოდეს სცნა მარიამ და მოევო

გონებასა თვისსა, მყის განყიდა მონაგები თვისი და იყიდა ნელსა-
ცხებელი მრავალ-სასყიდლისა, მისწრაფა ქრისტესა და დაასხა
თავსა, ამბორს-უყო ფერპთა და ცრემლითა დაალტვნა და მიეტევ-
ნეს ცოდვანი. უკეთუ ქრისტესა ვერა ხედავ, ხატნი მისნი პატიოსან-
ნი წინა გისხუნ. მისწრაფე და ეგრეთ ყავ, ვითარცა ყო მარიამ, და
476 კეშმარიტად ხატისა მის პირმშომსა მიერ მოგეტევნენ ცოდვანი
თქვენნი. თვით ბრძანებს: „რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო-
ძიო“¹. არა თქვა, თუ, უკეთუ მართალი მოვიდეს, არა განვაძო, რა
სამართალ არს მართლისა განძება ანუ უცოდველის არა-შეწყ-
ნარება? არამედ ესრეთ თქვა: «რომელიცა ცოდვილი რომლითაცა
ცოდვითა შეპყრობილი მოეგოს გონებასა თვისსა, და დაუტეოს
ცოდვა და მოვიდეს ჩემდა, დაღაცათუ იგი უსასო იყოს. ფრიადისა
ცოდვისა მიტევებისა, არცა იგი განვაძო და არცა სხვა». ვინათგან
ესრეთ თქვა: «რომელი მოვიდეს, ესე იგი არს: დაღაცათუ ბორო-
ტის-მოქმედი იყოს, იგიცა არა განვაძო, არა თუ კეთილის მყოფე-
ლიო».

აწ, მოვიდეთ ყოველნი ცოდვილნი და შეუდგეთ უცოდველთა
მათ პატიოსანთა ნუ უსასოდ. არამედ კდემით და. სულთქმით, ნუ
477 მოწყინებით და/ უღებებით, არამედ სიხარულით და სწრაფით,
მსგავსად მარიამისა მივრბოდეთ ქრისტესა, რომელი არა განგვა-
ძებს, და ვიყიდოთ გულისა ჩვენისა სიმპურვალითა ნელსაცხებელად
ცრემლნი ჩვენნი და დავასხათ ხატსა მაცხოვრისასა და მოვიდოთ
მისგან სმენა: «მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი, სოფელსა ამას
შინა ქმნილნი, და დაიმკვიდრე სასუფეველი უკუნისამდე, ამინ».

31. სწავლა ცოდვასა ზედ დაუღბრომლობისათვის. ნააღგომევის ძაღაბება

„ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა
და გზასა ცოდვილთასა არა დადგა“ — დავით იტყვის წინასწარ-
მეტყველი ა ფსალმუნსა შინა?.

478 რადასათვის იტყვის: „ნეტარ არს/ კაცი, რომელი არა მივიდა
ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა?“ ვინა-
თგან გზასა ზედა ვლა ჯერ-არს და არა დგომა გზასა ზედა წეს არს,
ვინ დადგება გზათა ზედა, არამედ მარადის ვალს? რადასათვის ნატ-

¹ იოანე 6, 37.

² ფსალმუნი 1, 1.

არის, რომელი არა დგა გზასა ცოდვილთასა? — ამისათვის რამეთუ გზა ცოდვილთასა არს მარადის ცოდვასა ზედა სლვა და ცოდვილმან რომელმან დაუტეოს ჩვეულებისა მისი, იგი არს, რომელი არა დადგა გზასა ცოდვილთასა. პირველად ნატრის, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა, ესე იგი არს: რომელმან დაიცვას თავი თვისი ცოდვათაგან და არა მიჰბაძოს უღმრთოებათა წარმართთასა და დაიცვას თავი თვისი ქალწულებით და მოწყალებით და ანგარებისა/ და მოხვეჭისაგან და ყოვლისა ცოდვისაგან უბიწოდ. ხოლო 479 შეუდგენს ამას და თანა-ზიარ-ჰყოფს უცოდველისა ამის ცოდვილსა მას, რომელი არა დადგეს გზასა ზედა თვისსა, არამედ მოიკვეთოს და მოიქცეს, რომლისათვის იტყვის მაცხოვარი წმიდა მათეს სახარების: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“¹.

ცოდვილნო, არს სინანული, ნურკინ წარიკვეთთ სასოებასა, უქველად არს სინანული, უკეთუ გენებოსთ, ცოდვილნო.

ამისათვის იტყვის ლუკა მახარებელი იგავსა უძღვებისა მისთვის შვილისა, რომელი განეყო მამასა თვისსა და განუყო მონაგები თვისი და წარვიდა შორს სოფელსა და განაბნია მონაგები იგი და ცხონდებ/ოდა არა წმიდებითა. შემდგომად სიგლახაკისაგან დადგა მელორედ და განძღვებად ძირთაგან მწვანეილთათა აღმონაღებთაგან ღორთასა. გული ეტყოდა, და უკანასკნელ შეინანა, და წარვიდა მამისა და ეტყოდა: „მამაო, ვსცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არღარა ვარ ღირს წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ მე, ვითარცა ერთი მუშაჲთა შენთაგანი“², და აღადგინა იგი მამამან და ამბორს-უყო და შემოსა სამოსელი პირველი და დაუკლა ზვარაკი ჰამებული და ყო განცხრომითა. 480

ამა იგავსა ცოდვილთათვის იტყვის, რომელი განუდგა მამასა ზეციერსა და წარვიდა ეშმაკისა სოფელსა და წარაგო მადლი ღმრთისა და ცხონდებოდა არა წმიდებითა, უკანასკნელ შეინანა და შოვიდა სინანულად და ღმერთმან მამამან არღარა უქსოვნა შეცოდებანი. არამედ უზუეესსა მას უცოდველსა ძმასა ახარებს: „ძმა ესე შენი წარწყმედული იყო და ჰპოვა, მოჰკვდარი იყო და განცოცხლდა“³. 481

ჰოი ცოდვილნო მოქცეულნო, ნეტარ ხართ ჰეშმარტად და დავითცა სამართლად გნატრისთ, ვინაჲთგან მრავალმოწყალებმან ღმერ-

¹ მათე 9, 13.

² ლუკა 15, 18 — 19.

³ ლუკა 15, 32.

თმან არა ადრე მოაველინა თქვენ ზედა სიკვდილი და სულ გრძელ გექმნა, და აწ სინანულად მოხველ და ღმრთისა მიხვალთ.

ჰოი ცოდვილო, იცან თავი შენი და შენცა ადრე ჰყავ მოქცევა ცოდვისაგან და მისლვა სინანულთ მამისა ღმრთისა, რომელსა მართალი უყვარს და ცოდვილსა სწყალობს, და შეინანე, რათა არა გეწიოს სიკვდილი.

482 ყოველნივე სოფლისა ამის ბუნებანი შეი/ცვალეზიან ადრე, ვინა-
ათგან სოფელიცა იქცევს ზნეთა თვისთა და საქმეთა. შენცა, მოყვა-
რემან სოფლისამან, ჰბაძე საყვარელსა შენსა და ისწავე სოფლისა-
გან ერთსა საქმესა ზედა დაუდგრომლობა და ნურცა შენ დაადგრე-
ბი მარადის ცოდვასა ზედა.

არცა დაადგრების ჰაერი მარადის ზამთრისა მყინვარებასა ზედა,
მოიზიდვენ მზისა შარავანდელთა სიტფოსა და დაიწყებენ დნობად
თოვლთა, რცხად მყიათა ნაზამთრთა. შენცა განაგდე სიზამთრე და
ყინვისა მიერი უნაყოფოებისა მსგავსი ცოდვა შენი, რომელი არა
უტევეებს ნაყოფისა გამოღებად თავსა შენსა, და მოიზიდე მადლი
483 მზისა მის სიმართლისა ქრისტესი, და აღინე ცრემლი თვალთა შენ-
თა, მსგავსად თოვლისა ლანქერისა, და განბ/ანე გვამი შენი და
იყოფოდე განბანილი, ვითარცა იტყვის ესაია: „განიბანენით, განიწ-
მიდენით და მოისპეთ უკეთურება“.

ქვეყანა უძრავი და უჰმო იწყებს ძრვასა და მცენარეობასა და
განჰყრის შარშანდელთა მდელითა ჰმელთა და დამპალთა და შე-
იმოსს მწვანეთა შევნიერთა. შენცა განიღვიძე უძრავისა მისგან ძი-
ლისა და იწყე ძრვად აღმოცენებად ნაყოფთა და განაბნიე განჰმე-
ლი და დამპალი, ძოდან ნაქმარი ცოდვა, და შეიმოსე მწვანე შევ-
ნიერი, რომელ არს სინანული, და მიისწრაფე, სადა დავითს გული
უთქმიდა და იტყოდა: „ადგილსა მწვანევილსა მუნ დამამკვიდრო მე“¹.

484 ზღვანიცა შეიცვლიან ბანებასა თვისსა/ და დაუტევებენ ზამ-
თართა, მქსინვარეთა ქართა და ქოთებათა და ღელვათა თვისთა და
ნიაგ-კეთილითა ავლენენ ნავთა და ხომალდთა.

ჰბაძევედ შენცა და დაუტევე ცოდვისა ქარნი, რომლითა იგვემე-
ზიან საცნობელნი შენნი, და ადავლინე გონებლსა შენისა ზღვასა
სალმრთოთა წერილთა სწავლათა ნავნი წინამძღვართა შენთანნი.

მდინარენიცა განჰეთქენ ხორგთა და განაბნევენ თოვლთა და მის-
ცემენ გზათა მეზადურთა და განუსვენებენ მესათხეველეთა და ანა-
დირებენ ოვეზთა. შენცა განჰეთქე შეშინებული გულისხმა შენი და
მიეც მეთევზურთა ქრისტესთა მოციქულთა გზა შენი, რათა ქადა-

¹ ეს.

გებანი მათნი შევიდენ გულად შენდა და ნადი/რობითა განისვენონ 485
შენთა თანა.

გზილაუსა, ქანდარნი¹ უგრძნობელნი ვითარ განჰყრიან ქერქთა მქისეთა და არა მარადის უტევებენ გვაჟსა ზედა თვისთა? არცაღა ნერგთა ოდენი ძალი გაქვს, რათა ცოდვისა შებღალული ქერქი მოიძარცო და ახალი შეიმოსო ქრისტეს მიერი ძალი?

ირემთა უგულისხმობთა რქანი დაეზარდნენ და დაუდიდდენ და დაუძძიმდნენ, წლითი-წლად განაგდებენ და არღარა იქონებენ და ჩხვილთა აღმოიქეთქენ. მეცნიერო, შენცა განაგდე დამძიმებული ცოდვა, რომელი განხმელ არს კეთილთაგან, და აღმოიქეთქე ახალი რქა თავსა შენსა, ძლევა ქრისტესი, მოტეხელი მტერთა უკეთურთა. 486

ფრინველნიცა განჰყრიან, რა განერყვნას [ფრთენი] და დაუშ-წიკვლდეს ნაქრტენითა თვისითა, და ახალთა და კეთილთა შეიმოსენ. შენცა ნუ უღარეს იქმნები ფრინველთა და განიყარე ფიცხელნი და მწიკვლევენი ვნებანი და კეთილი სინანული შეიმოსენ.

არწივნი რა დაბერდებიან, აღფრინდებიან ჰაერთა შინა და მუნით შთაძღებიან წყაროსა² რასამე შინა და განახლებიან და განჰაბუქნებიან სიბერისაგან. შენცა აღაფრინე გონება შენი ზეცად მამისა მიმართ და შთაიოიჭერ მუნით წყაროსა მას, რომელ არს მოძღვარი სულიერი, და აღსარებისა მიერ განაჰაბუქე ცოდვით დაბერებული/სული შენი. 487

გველნიცა განიძრობენ ქერქთა თვისთა მრავალე ამობისათვას და შენ არა განიძარცო ცოდვა და ეგო უკურნებელად, არცაღა გველად საგონებელ იყო.

დათვი მძვინვარე და ყაპუზუნა მებრძოლი შეიცვალებენ ბუნებათა თვისთა და კაცთა მიერ სწავლითა დამშვიდნებიან და დაუტევებენ ველურებასა და, ვითარცა კაცი, ვლენან და როკვენ და საბელთა განვლიან, და შენ პირმეტყველი და გულისხმიერი ისმენ სწავლასა და მრავალსა მოძღვრებასა და არა დაუტევება მაგას ველურებისა უსამაგლესსა ცოდვისა ჩვეულებასა?

ამისათვის იტყვის/ იერემია წინასწარმეტყველი: „მოაქციე ფერხი შენი გზისაგან ფიცხელისა და სასა შენი — წყურვილისაგან, რამეთუ ცოდვისა ვზა ფიცხელ არს სლვად და განმამომბელ სასათა, განშორება ღმრთისაგან“.

მამა ზეციერი მოგელის, ცოდვილო, სინანულად. ძე, ზვარაკად წოდებული, განმზადებულ არს შენთვის დაკლვად, სული წმიდა მზა

¹ ქანდარი.

² წყაროთა.

არს შემოსად სამოსლისაებრ, განცხრომა და სინარული ანგელოზთა განწესებულ არს ცოდვითა მოქცევისათვის. დავით წინასწარმეტყველი განატრისთ წინასწარ.

489 მოვედით, ცოდვილნო, მოისწრაფედ უფლისა მიმართ, დაუტევენით ძველნი იგი ნაქმარნი თქვენნი, საქმით, ხოლო ნურღარა იქმთ, არამედ ასენებით მარადის გაასოვდესთ ბოროტის მოქმედება/ თქვენი და სულთქმით იტყოდეთ წინაშე უფლისა: „ვსცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არა ღირს ვარ ძედ შენდა წოდებად“¹, და ნურღარა მიიქცევით, ცოდვისა მიმართ და დაიმკვიდროთ სასუფეველი ცათა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

32. სწავლა ახალ კვირიკასა კვირის არაქსენებისათვის

„პრქუა: მე ვარ იოსებ, ძმა თქუენი, რომელი მიმყიდეთ ეგვიპტელთა, ხოლო აწ ნუ სწუხართ, ნუცა ფიცხელ გიჩნსთ თქუენ, რამეთუ მომყიდეთ მე აქა, რამეთუ ცხოვრებისა თქვენისათვის მომავლინა მე ღმერთმან წინაშე თქუენსა“ — დაბადების მე თავსა შინა იოსებ ეტყვის ძმათა თვისთა².

490 გესმისთ, საყვარელნო, ოდეს/ იოსებ იხილნა თვისნი შეურაცხისმყოფელნი და განმსყიდველნი ძმანი, ვითარ მოწლედ ეუბნებოდა, ვითარ შეიტკბნა, ვითარ განაძლიერნა და განამტკიცნა, რათა არა შეშინდენ ძმისაგან არა-ძვირის მომპსენისა და ტკბილისა და საყვარლისა გამომზრდელისა? ეგრეთვე აქა იხილეთ: იესუ ოდეს შევიდა ძმათა თვისთა მოციქულთა თანა, რომელთასა ეტყვის მარიამ მაგდალინელს: «წარვედ და უთხარ ძმათა ჩემთა და პეტრეს», ამა ძმათა თანა ოდეს შევიდა კართა კშულთა, ვითარ მშვიდობასა მისცემს, ვითარ განამტკიცებს, ვითარ განაძლიერებს და ვითარ არწმუნებს მათ? ვინაჲთგან არა არს ძვირის მომპსენე მათთვის, ეტყვის: «მშვიდობა თქვენთა», მისცემს შე/ბერვით სულსა წმიდასა:

491 — «ვითარცა მე. მომავლინა მამამან, მეცა წარგავლინებ თქვენ. მე ვარ ძმა თქვენი იესუ, მომეახლენით და ნურღარა მევლტით. ვე ვარ ძმა თქვენი იესუ, რომელი განმყიდა ერთმან თქვენთაგანმან. ცხოვრებისათვის სოფლისა მომავლინა მე ღმერთმან წინაშე თქვენსა, ხოლო აწ ნუ სწუხართ, რომელი ჩემთანა სიკვდილსა იქადოდით და დაიმალენით, ნუცა ფიცხელ გიჩნს უარისყოფა შენ, პეტრე, რა-

¹ ლუკა 18, 19.

² შესაქ. 45, 4 — 5.

მეთუ კაცი თავისა თვისისა მინდობილი დაცემად განმზადებულ არს. აწ მოვედით, ამბორს-მიყავით და მიიღეთ ნიჭი ჩემი სული წმიდა და წარვედით ყოველსა სოფელსა და არქვით მამასა ჩემსა, ვითარმედ; ცხოველ არს ძე შენი; არქვით მამასა ჩემსა, რომელიც არს ნებისყოფელი ჩემი, ვითარცა იტყვის მახარებელი მათე იბ: 492 „რომელმან ყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათამასა, იგი არს მამაჩემი, დედაჩემი, ძმა ჩემი და დაი ჩემი“¹. არქვით მამასა ჩემსა ნებისყოფისათვის ღმრთისა, აღმასრულებელსა სჯულთასა და განწორებულსა ბოროტთაგან, სათნოყოფისათვის ჩემისა და უთხარით: მიგიწოდს ძე შენი საყვარელი: აპა, კარაულები და ჯორები, ტვირთული სამკაულითა და სამოსლებითა მისითა! აპა საზრდო და ნუზლი, ქვეყნით ცად აღმყვანებელი. მიუთხარით დედათა ჩემთა პატიოსნება, დამარხულთა მართალ მეუღლეთა ახარეთ შეყრა ჩემი და პურისმტედ ყოფნა ჩემთანა; მოუსწრაფეთ ძმისწულთა ჩემთა, მარტვილთა და მოწამეთა, რომელთათვის განმიმზადებთეს გვირგვინი პატიოსანი და ღვაწლისა მძლეობისა სანიჭარნი, მოუწოდეთ დათა ჩემთა ენკრატისად ჭახელდებულთა, რომელთა არა ინებეს საწუთრომსა ამის წარმავლობანი და ნებაყოფლობისათვის ჩემისა იჭირვოდენ აქა და აწ ჩემთანა იხარებდენ. მიართვით ეტლნი სძალთა ჩემთა, ქალწულთა წმიდად მყოფელთა, რათა ეტლთა ღმრთისათა აღმქედრდენ და შევიდენ მარიამ მშობელისა ჩემისა თანა, რომლისათვის იტყვის დავით მდ ფსალმუნსა შინა: „მიერთვნენ მეუფესა ქალწულნი, შემდგომად მოყუასნი მისნი“². მოუწოდენით ყოველთა მომყმართა ჩემდამო, რამეთუ იფქლი ჩემი ურიცხვ არს საუნჯეთა ჩემთა. უქადაგეთ ჰურიათა: ნუ რცხვენისთ შეურაცხებასა ჩემსა ზედა, ნუ ეკდემისთ ტანჯვათა/ ჩემთა ზედა, ნუ იშიშვიან სიკვდილისა ჩემისათვის. აპა, ცხოველ ვარ, ცხორებისათვის თქვენისა მომავლინა მე ღმერთმან. ავაზაკი მოიქცა, სისხლით შებღალული ვაცხონე, ლონგინოზ, რომელმან გვერდსა მიგმირა, სახელსა ჩემსა ქადაგებს. ვინა მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო. უქადაგეთ, რათა აღრე მოიქცენ ჩემდამო. ესე არს უამი იგი, რომლისათვის იტყოდა წინასწარმეტყველი: „საჭურველი თქუენი შექმნათ საქნისად და მახვილები თქუენი მანგლად“³. აწ იხილეთ, რამეთუ ჩემთვის ავაზაკმანცა და ასისთავმან საჭურველი და მახვილნი მათნი შექმნეს მანგლად. ჰხედავთა, რამეთუ მსოფლიოთა მეფეთა მსგავსად არა არს ბრძოლა სიკვდილისა

492

493

494

¹ მათე 12, 50.

² ფს. 44, 14.

³ ესაია 2, 4.

495 ჩემისა?/ იხილეთ, ვითარ მონათა ჩემთა არა აღიღის მახვილი, ამისთვის არა უტევე, რათა მშვიდობა ვყო და სიმშვიდითა ჩემითა გაცხოვნენ თქვენ».

იოსებ განისყიდა წინასწარ მისა და განსყიდვასა ამას ქრისტესასა მოასწავებდა. იოსებ განსცა ძმამან მისმან იუდა, ხოლო ქრისტე — ძმად წოდებულძმან მოწაფემან იუდა. იოსებ მოუწოდა ძმათა მისთა სიმშვიდით გამოზრდად იფქლითა, ქრისტემანცა მოგიწოდა ძმათა თვისთა, ჰურიანო, გამოზრდად ზეცისა სანოვაგითა.

მოვედით, ნუ ჰყოვნით!

გესმისთ, საყვარელნო, უბრალოდ განსყიდულძმან იოსებ ვითარ შეუნდო ძმათა მისთა შეცოდებანი და ვითარ სიტკბოებით შეიწყნარნა და ვითარ გამოზარდნა სიყმილსა შვიდისა წლისასა, ეგრეთვე უცოდველი ქრისტე ვითარ მოუწოდს მგვემელთა/ თვისთა და ჭვარის მცემელთა და ნათესავთა მათთა სიტკბოებით და ასწავებს გზასა სასუფეველისასა, ვითარ მიუტეობს ყოველსა კაცსა შეცოდებათა მისთა და შეცოდებისა წილ განუღებს კართა სასუფეველსათა?

496 აწ თქვენ მიერცა ჭერ არს, ქრისტეანად სახელდებულნო, რათა მიუტევენთ თქვენცა შეცოდებანი მტერთა თქვენთა, ვითარცა იტყვის მათე მახარებელი ვ: „უკეთუ არა მოუტევენთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან ზეცათამან მოგიტევენოს შეცოდებანი თქუენნი“¹.

იხილეთ, ძმანო საყვარელნო, უკეთუ შენ არა მიუტეობ მტერთა შენთა ცოდვასა მას, რომელ კაცი ხარ და ნათესავ მისი და ტოპი სახლისა მისისა, ვითარღა გნებავს მოტევება ღმრთისა მიერ ცოდვითა შენთასა,/ რომელი გასწავებს სჯულსა შენსა: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“? და შენ ბრძანებათა მისთა გარდახვალ და ძმათა და ნათესავთა შენთა შეცოდებათა არა მიუტეობ, ვითარღა იტყვი ქრისტეანე ყოფასა? ქრისტეს რომელიცა სტანჯვიდეს, მათთვის ევედრებოდა: «მამაო, მიუტევე, რამეთუ არა იციან რასა იქმან»², და შენ ოდეს დასდგები ლოცვად, მაშინ იწყებ ძვირის-ჰსენებასა ძმისა შენისასა და განიზრახავ, რა ბოროტი შეამთხვიო შენ მას და ანუ ღმრთისა მიერ რა ბოროტი მოუხდეს, ვითარ გისმინოს უფალმან ლოცვა იგი, რომელი ბრძანებს პირითა მათე³ მახარებლისაჲთა: „უკეთუ შესწირვიდე მსხვერპლსა და მოგექსენ/ოს: ძმაჲ შენი გულძვირ რამამე არს, დაუტევე მსხვერპლი იგი, და პირ-

¹ მათე 6, 15.

² ლუკა 23, 34.

³ ხელნაწერშია: „ლუკა“.

ველად მივედ, და დაეგე ძმაა შენსა და შემდგომად შეწირე მსხვერპლი¹?

პოი საყვარელო, შენ უკეთუ უთხრა მონასა შენსა ანუ ქელქვე-შესა შენსა უდარესსა ვისმე: «ესე მნებას და ყავ ესე», და შენ არა გისმინოს სიტყვა იგი, და შემდგომად მან გთხოოს ნიჭი რამე, უსმინება და მიანიჭება კეთილსა რასამე, ანუ არა ეტყვი: «რომელსა შენ თანა-გაც სმენად სიტყვათა ჩემთა და რომელი გიბრძანე არა ჰყავ, ვითარ ითხოვ ნიქსა შავას ჩემგან, ბოროტო?»

აწ შენ გიბრძანებს უფალი, რათამცა მიუტეო მტერთა შენთა. შენ არა თუ მიუტეობ ლოცვათა შინა შენთა, გონებანი შენნი არა თუ ღმერთთან არიან, არამედ — ძვირის-ქსენებასა შინა მტრისა შენისსა, და განიზრახავ მისთვის ბოროტსა. 499

ჰხედავა, რა მიუგო პეტრეს უფალმან, ოდეს ჰკითხვიდა პეტრე: «უკეთუ შემცოდოს ძმამან ჩემმან, მიუტეო, ვიდრე შევიდგზისამდე?»² ხოლო უფალმან მიუგო: „არა გეტყვი შევიდგზის, არამედ სამოცდაათშვიდგზის“³, რომელი იქმნების ოთხას ოცმეოცდაათგზის მიტეება. 500

არა იცია, კაცო ცოდვილო, თუ ვითარ დღითი-დღე სცოდავ და ეამსა ერთსა შინა რაოდენსა შესცოდებ ღმერთსა, არამედ არა გულისხმა-ჰყოფ და არა შეგირაცხიეს ცოდვად? და უკეთუ მრავალგზის შესცოდო დღითა ცოდვითა, წამსავე შინა გნებას მოტეება ღმრთისა მიერ, ხოლო უკეთუ/ შეგცოდოს შენ ნათესავმან შენმან მცირედი რამე, არა თუ მიტეება მისი გნებას, არამედ იავარ-ყოფა მისი და მოსპოლვა ქვეყნისაგან სრულიად. შენნი მრავალნი ცოდვანი არად შეგირაცხიეს და; ძმათაგანმან შენმან უკეთუ გაწყინა რამე, იგი მარადის შენ წინაშე ჩანიედ. შენ არა იგლოვ საგლოველსა ბრალთა შენთა, რომელ არს წარმწყმედელი სულთა შენთა, და მწუხარედ მოიქსენებ ძვირის-ზრახვასა, რომელი შეუცოდებია მოყვასსა შენსა. უკეთუ მიუტეობდე, რომელი დაძვარავს ცოდვათა შენთა სიმრავლესა, და ილოცავ მარადის მამისა: „მომიტევე, ვითარცა ჩვენ მიუტეობთ თანამდებთა მათ ჩვენთაო“. მარქვე, რომელიდა მოგიტეოს მამამან, ვინაჲთგან არცა/ რასა შენ ხარ მომტევებელი სხვათა? არა იქმენა თვით თავით შენით შემასმენელ წინაშე ღმრთისა თავისა შენისა, რომელი ითხოვ მიტეებასა მსგავსად შენდა, რომელი მარადის იქსენებ ძვირსა ძმისა შენისსა და იშთობი მუნამდის, ვიდრე მიაგო ერთისათვის ათი წილი უბოროტესი, რომელი 501

¹ მათე 5, 23 — 24.

² მათე 18, 21.

³ მათე 18, 22.

შეგცოდა? მაშა, თვით შენვე ექმნები მსაჯულ თავსა შენსა და თვით შენვე განუშადებ სატანჯველსა სულსა შენსა, ვინაჲთგან გნებაეს ბოროტისათვის მიგება ბოროტისა, შენცა მოლებად ხარ ბოროტისათვის ბოროტისა!

502 ნუ, ძმანო საყვარელნო, მოიხსენებით იოსებ, ვითარ იგი უბრალოდ განყიდეს ძმათა, და მან კეთილი მიაგო ბოროტისა წილ და იქმნა დიდ ყოველთა შორის! მოიგონეთ მეუფისა ჩვენ/ისა ქრისტესნი, ვითარ დაბადებულთა მისთაგან ვითარ-ძი ბოროტნი შეემთხვენენ, რომელნი არა აღირიცხვიან კაცობრივითა ენითა: გვემა, ტანჯვა, კიცხევა და ბასრობა, შიშვლივ ჯვარსა დამოკიდება და დამსჭვალვა, და იგი მათთვის ილოცვიდა და რაოდენნი კეთილნი უყო და არა ბოროტნი მიაგნა, რამეთუ დღესაც ცხოვრებენ ჰურიანი სიმდიდრითა ფრიადითა და არა მოსპოლვა ნებაეს მათი.

503 თქვენცა, საყვარელნო, მიუტევენით ბოროტნი მოყვასთა თქვენთა და განიწმიდენით გულნი თქვენნი ძვირის-ზრახვისაგან ნათესავთა თქვენთა, რათა აღასრულნეთ ბრძანებანი ქრისტესნი, და განწმენილთა და წმიდათა მოგცესთ სავანე იოსების თანა ძმათმოყვარ/ისა ქრისტემან, ღმერთმან ჩვენმან, სულგრძელმან და არა ძვირის მოქსენემან, რომელსა შეენის დიდება უკუნისამდე, ამინ.

33. სწავლა სასუფეველისა დიდებისათვის¹

„მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო, ნეტარ არიან, რომელნი დამკვიდრებულ არიან სახლსა შენსა“ — დავით იტყვის პე ფსალმუნსა შინა².

504 გულისხმა-ყავით, ვითარ სანატრელ არს ადგილი უფლისა და სახლი ღმრთისა. უკეთუ ქვეყნიერნი მეფენი აღაშენებენ სახლთა ტურფათა და შეამკობენ მარმარილოჲთა და სარკითა და მოხატვენ საკვირველად და მოჰფენენ კეთილად, რომელთა არა ეხილვოსთ, ინატრიან შესლვად მუნ, განიგულე: რომელმან შექმნნა მეფენი და ასწავა გულისხმის-ყოფა და სიბრძნე აღშენებად უც/ხოთა პალატთა, თვით დიდებული მისი უფრორე უსაკვირველესთა სახლთა არა აღაშენებდა თავისა თვისისათვის? არა სანატრელ იქმნებთა იგი ბრძენთა და მეცნიერთა მიერ ხილვად, რომელი შემზადა უფალმან განსასვენებლად წმიდათა თვისთა და სადგურად ანგელოზთა და ზეცისა ძალთათვის?

¹ ეს სწავლა B ნუსხას არ მოეპოვება.

² ფს. 83, 3—4.

აღიზილენ თვალნი და იხილენ სიმრავლენი შვენიერთა ვარსკვლავთანი, რომელ შეამკუნა სამსახურებლად ჩვენდა; და განიგულენით, ვითარ დიდ არიედ ვარსკვლავნი, რამეთუ ქვეყანათა მრავლისა ზომითა უდიდე არიან თვითო და თვითო ვარსკვლავთაგანი; და მოიგონე, თუ ვარსკვლავთა შორის ცალიერნი ცანი ვითარ ვრცელ არიან; და გონებით განზომენ სიდიდე ცათა მათ, თუ რაოდენ/ისა ათასისა ბევრისა ეჯითა უდიდეს არს სრულიად ქვეყანათასა; და განიხილენ სიდიდე გარემოს ცათასა სასუფევლისა, ვითარი სიფართე ყოფად მისსა არიედ, რომელ აღშენებულ არიან ქალაქნი ღმრთისანი, ზეცისა იერუსალიმნი, უმჯობესნი ყოველთა ქალაქთა მსოფლიოთა განხრწნადთა მეფეთათა, — სადა მყოფობენ კაცნი წმიდანი და ანგელოზნი ღმრთისანი, რომელთა სახლთა აქვენ ზღუდენი იაგუნდთანი და იატაკნი ზურმუხტისანი, კედლნი ანთრაცისანი და სართულნი აღმასისანი, — [სადა] წალკოტთა ყვაილნი, ლალთა და მარგალიტთანი არა დამოცვივიან, არა ეშინის ზამთართა, არა სწევას სიცხე, არა დაშვრებიან მუშაკნი, სადა/ არა არიან სამარგელნი ეკალნი და კუროსთავნი, [არამედ] — ფშვა მიმდემად სუნნელებათა დაუცადებელი, საყნოსელთა შემამკობელნი, თვალთა განმანათლებელნი, გულთა განმამხიარულებელნი, — სადა არა არს ზრუნვა, მოწყენა, დაღრუჯა, [არამედ] მუნ არს ღვინი გულთა, განცხრომა გონებათა, — სადა არა არს ჭირი, ურვა, სულთქმა, პყრობილება, არამედ — შეება, უფლება, მეუფება, თავისუფლება, — სადა არა არს შური, შულლი, ცემა, გინება, სნეულება, კვნესა, წყლულება, დაკოდა, სიკვდილი და წარწყმედა, არამედ — სიმრთელე, სიხარული, სყყვარული, მშვიდობა, მყუდროება, — სადა არა არს სიგლახაყე, ოხრა, დავრდომილება/, მკოდოვნება, არამედ — სიმდიდრე, დიდება, მღევანება დაუღვენელი და მოუკლებელი.

ამისთვის ნატრობენ წინასწარმეტყველნი და წმიდანი და იტყვის დავით პგ ფსალმუნსა შინა: „ვირჩიე მე მივრდომა სახლსა ღმრთისა ჩემისასა უფროჲს, ვიდრეღა რაჲ დამკვიდრებად ჩემდა საყოფელსა ცოადვილთასა“¹.

არა ითქმის ენათა მიერ კაცობრივთა დიდება და ქება. და საშეებელნი სასუფევლისანი დაუსრულებელნი უკუნისამდე მაშინ იხილო შენ, უკეთუ სოფელსა ამას სძლიო და ეშმაკსა მრე ექმნა, ოდეს მიაღდე სიკვდილსა სანატრელსა, რომლისათვის წერილ არს: პატროსან არს სიკვდილი წმიდათა მისთა წინაშე უფლისა, ოდეს მოვადეს მხიარულად მფარველი შენი ანგელოზი და გახარებდეს სიხა-

¹ ფს. 83, 10.

- 808 რულსა დიდსა და/ გიჟადებდეს დიდებასა დაულევენელსა და წარიყვანოს სული შენი მხიარულებითა, და მოეგებოდეს მას ზეცისა ძალნი მგალობელად და დაჯით, მცემელი ქნარითა, და აღამაღლებდენ სიმაღლესა ცათასა და მიიყვანებდენ სამყოფთა ანგელოზთასა, სოფელთა წმიდათასა და ქალაქთა ღირსეულთასა, სახლსა მამათნთავართასა და სავანესა წინასწარმეტყველთასა, გუნდსა თანა მოციქულთასა და მწყობრსა თანა მოწამეთასა, მეგობრად ნათლისმცემლისად და ნათესავად წმიდათა უწმიდესისა მარიამ ღმრთისა დედისა, მსახურად ქრისტესა, მონად მამისა და ყმად სულისა წმიდისაჲ.
- იხილე, თუ რა ნეტარება ექმნების აქა! რომელითა დიდებითა აღივსების კაცი? მე ვგონებ: უკეთუ საქმე ესე მარ/თლისა გულისხმითა განიგონოს, ნამეტნავისა სიხარულითა სულნი წარჰდეს. გარნა ვინა ღირს არს ხილვად ამისა? — სადა უგალობდენ ანგელოზნი და ეტყოდენ: «ნეტარ ხარ, სულო ქრისტეს მორჩილო, რომელი მან განგვისვენე ჩვენ შენთანა და ჰქმენ ნება ღმრთისა», — მადლობენ წინასწარმეტყველნი და ეტყოდენ: «ნეტარ ხარ შენ, მშვინვიერო, რომელმან ისმინენ წინასწარ თქმულნი ჩვენნი», — აქებენ მოციქულნი და ეტყოდენ: «ნეტარ ხარ შენ, კურთხეულო, რომელმან აღაორძინე დათესული იფქლი ჩვენ მიერი და მოგაქვს ნაყოფი ოცდაათეული, სამოციეული და ასეული», — ნატრიდენ მოწამენი და ეტყოდენ: «ნეტარ ხარ შენ, მანეო, რომელმან შესძინენ ღვაწლთა ჩვენთა და ცრემლნი დასთხიენ და სიხარულნი მოიმკევე», —
- 810 ეტყოდეს ღმრთისმშობელი: «ნეტარ ხარ/, კაცო, რომელმან არა არცხვიენ ნათესაობა ჩემი და აწ ჩემ თანა იხარებ», — ეტყოდეს ქრისტე: «ნეტარ ხარ, მსახურო, რომელმან აღმიარე მე წინაშე კაცთა და აღილე ჰვარი და ნება ჩემი და აწ მეცა აღვიარე წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა,» — ეტყოდეს სული წმიდა: «მოვედ ჩემ თანა, სადგურო ჩემო, მოისწრაფე, სავანეო ჩემო, დაემკვიდრე ჩემთა თანა, ვიდრემდე მე ვიყო», — ეტყოდეს მამა: «კურთხევა შენდა, მონაო ნების მყოფელო ჩემო და მოსყიდულო სისხლითა ძისა ჩემისათაო, რომელმან განამრავლე ტალანტი სოფელსა ამას წუთისასა, რაოდენიცა მოგცა ძემან ჩემმან საყვარელმან, და აწ დაიმკვიდრე დიდება ჩემი წარუვალი უკუნითი უკუნისამდე», და დაადგამს გვირგვინსა პატიოსანსა, რომლისა მსგავსსა ვერა ჰპოვებენ მეფენი
- 811 ქვეყნისანი, უკეთუცა განყიდა სამეფო თვისი, და შემოსს სამოსელსა უბრწყინვალესსა მზისა ამის საიწინოსა, რომლისათვის იტყვის წმიდა სახარება: «მაშინ მართალნი, ვითარცა მზენი, გამობრწყინდენო»¹.

¹ მათე 13, 43.

გესმისთა, შემოსა სამოსლისა უზრუნელისა? და შეასხამს სამკა-
ულთა უსასყიდლოთა, რომელ არა განიცადების თვალითა ქორცუ-
ვლითა და არცა მოიუბნების ენითა კაცობრივითა, და დაადგინებს
ადგილსა ღირსსა მისსა განწესებისასა, ვიდრე მეორედ მოსლვამდე
ძისა თვისისა. მაშინ წინა მოაგებებს ყოველთა წმიდათა ღრუბლი-
თა ნათლისადათა, რათა იხილონ განსჯა ყოველთა ადამიანთა და თვით
მხიარულითა გულითა და უზრუნველითა გონ/ებითა ჰხედვიდენ და 512
იხარებდენ დიდებასა ზედა ძისა ღმრთისაჲსა. ხოლო შემდგომად მე-
ორედ ქორცთ-შესხმისა მიანიჭებენ პატივსა უდიდებულესსა, რო-
მელი თვალსა არა ეხილვოს და გულსა კაცისაჲსა არა მოუძდეს, ვი-
თარცა შვენის დიდებულებასა ნიჭისა ღმრთისაჲსა, და განუსვენებს
სამკვიდრებელსა, მართალთათვის წარუვალსა მას და უოხჰნოსა,
რომლისა არა არს დასასრული უკუნისამდე. უჭვრეტს პირის-პირსა
დიდებასა ღმრთისაჲსა, ჰხედავს მარადის მარიამს, დედასა ღმრთისა-
სა, თანა-ექცევის სერობინთა, მარადის ეზრახების ქერობინთა,
თანა-უგალობს ძალთა და თანა-შესცხრების ანგელოზთა, აქვს ესე-
თი დიდება, მარადის მოუკლებელი, განუძღომელი, დაუღვენ/ელი 513
უკუნითი უკუნისამდე.

აწ, ძმანო საყვარელნო, სარგებელ არს მუნ შესლვად, დავაბრ-
კოლნეთ თავნი ჩვენნი, დავიწმენთ ბქენი სასუფეველისანი ნებსით
ჩვენით; ანუ დავარღვივნეთ სახლნი იგი ცოდვითა ჩვენითა, რომელ
მიშენა ღმერთმან საცხორებლად, და აქა ვაშენებთ თიხითა და ალი-
ზითა წუთსა შინა მოსაოპრებელსა; გინა განვიძარცვნეთ სამოსელნი
მზისა მსგავსნი, რომელ ჩავგაცუნა ღმერთმან. და აქა ვიმოსებოდეთ
ქამ ერთ მატყლითა, გინა ბამბითა და უმეტეს მისსა — ოქრო-ქსო-
ვილითა; ანუ განვაბნივნეთ საუნჯენი, მონიჭებულნი ღმრთისა
მიერ დაუღვენელნი და მოუკლებელნი პატიოსანნი, და აქა შევიკ-
რი/ბნეთ მლილთა და მპარავთა განსარყვენლნი, რომელი სხვათა 514
დაშთომად არს; გინა მოვიძაგნეთ სუნნელებანი საღმრთოთა სამო-
თხეთანი და შევნიერება განცდად ყოველთა მისთანი და აქა ვრგვი-
დეთ ყაყაჩოთა მყრალთა, რომელი მწუხრი დამოცვივიან და
განამებიან და აღმოაცენებს ეკალთა და კუროსთავთა. ნებსით
ჩვენით დავიწმვიდით ყურთა არა სმენად გალობათა ანგელოზთასა
და ფსალმუნებათა და კმა-ტკბილობათა მრავალათა და აქა მგო-
სანთა და მემღერეთა განვაწყობდეთ, რომელთა მიერ იქმნებიან
უშვერებანი ფრიადნი; ანუ გამოვეპვებოდეთ მეგობრობათაგან
წმიდათასა და აქა ვისმიდეთ მეგობართა ქორციელთა/, რომლისა 515
ხვალე სიკვდილი განგვაშორებს.

ნუ, ძმანო, ნუ დაუტეობთ ესეოდენთა დიდებასა მცირისა და

წუთისა ამის სოფლისათვის, რამეთუ ვითარცა არა ესწოროს ცრემლი ერთი ზღვასა უკიანესა, არცა შემძლებელ არს ჰამბავი ესე სასუფევლისა სიმდიდრისა, არამედ სიტყვით ოდენ გაცნობებ საქმესა მას გონება-მიუწლომელსა.

და ევედრებით ქრისტესა, რათა არა გაუფლოს ნება თქვენი და აღვიყვანოსთ მუნ და აღიდებდეთ მას უკუნისამდე.

34. სწავლა ყოვლად წმიდისა ჩვენი ზედა გვარველობისათვის.

516 „დადგა დედოფალი მარჯვენით შენსა სამოსლისა ოქრო-ქსოვი-ლი/თა შემკული და შემოსილი პირად-პირადად“ — დავით იტყვის მღ ფსალმუნსა შინა¹.

ვინ არს დედოფალი ესე მარჯვენით ღმრთისა მღგომარე და შემკული პირად-პირადად?

— ესე არს მარიამ წმიდა ღმრთისმშობელი, რომელი შეამყო ღმერთმან სამკაულითა თვისითა ზეციერთა, და დგა მარადის მარჯვენით მისა მეოხებად ჩვენ ცოდვილთათვის ამისათვის, რამეთუ: ვინაჲთგან ნათესავი ჩვენი არს და ბუნებისა ჩვენისაგანი და იხილნა ძისა თვისისა შრომანი და ყვედრებანი, გვემანი, ჯვარსცმა და სიკვდილი, და ჰელთა და ფერჰთა დამსკვალვა და მრავალი შეურაცხება სხვანი; ამისთვის დაუცხრომელად მეოხებად ჩვენდა დვას და ეტყვის ძესა თვისსა: «ნუ უგულვებელს-ჰყოფ შენსა ეგოდენსა ტანჯვასა/, რომელი ცოდვილთათვის თავს ისხენ, არამედ მიუტევენ მოსავთა ამათ შენთა».

517 ამისთვის იტყვის წერილი წმიდასა ღმრთისმშობელსა ზეთისხილად და ღმერთსა — ზეთად, რამეთუ ზეთისხილი თუცა არა მოჰკრიფო ქაშიერსა დროსა, ოდეს დამწიფდეს, თვით ჩამოცივნების, არამედ ზეთი თუცა ჰახრაკითა არა მოუჭირნე ანუ დიდითა შრომითა არა გამოჰჰადნე, არა გამოჰკლებს. ეგრეთვე მსგავსად ჩვენცა უკეთუ არა ვევედრნეთ მარიამს, წმიდასა ღმრთისმშობელსა, თვით მოწყალეებასა მისსა შთამოუტევებს ჩვენ ზედა და მეოხებად არა დასცხრების წინაშე ღმრთისა ამისთვის, რამეთუ ბუნებისა ჩვენისა არს და ნათესავი ჩვენი თვინიერ ცოდვისა.

518 არამედ ღმერთი მოსამართლე არს და, უკეთუ ზეთისა გამ/ოდინება დიდისა შრომითა იქმნების, თუცა ცოდვანი ჩვენნი შრომითა არა

¹ ფს. 44, 9.

შევინანებით, ღმერთი არა მოწყალე გვექმნების, რამეთუ სამართალ არს ცოდვილთათვის ტანჯვა და უბრალოთათვის პატივი, ხოლო მონანულთათვის — შენდობა.

და სინანულსა ფრიადი შრომა მოაქვს და სინანულსა და შრომასა — გულისა სიმპურვალე და ამათ მიერ გამოედინების ზეთი პატიოსანი, მოწყალეა ღმრთისა, მოტევება ცოდვათა ჩვენ ცოდვილთათვის, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისა მარიამისითა.

ესე დედოფალი, მდგომარე მარჯვენით, პირად-პირადად შემეკული, მეოხ არს დაუცხრომელად ჩვენთვის, რომლისათვის იტყვის წმიდა იოანე მახარებელი მოხილვასა შინა: „და იყო დედაკაცი ერთი, რომელსა შეემოსა მზე, და თავსა მისსა იყო გვრგვნი ვარსკულავთაგან და ფერქთა მისთა ქუეშე იყო მთოვარე“¹. სამოსლად მისა მზესა და ელვარეთა ამისათვის იტყვის წერილნი, რამეთუ რომელნიცა წმიდანი და ღირსნი მამანი და დედანი სახელისათვის ძისა მისისა სოფელისა ამისაგან მოძულებულ იქმნეს და ღმრთისა სიტყვისათვის დაუტევეს ზრუნვა. ხოლო მთოვარე ფერქთა მისთა ქვეშე მამათა და დედათა სახე არს, და ცოდვით განლეულთა და აღსარებისა მიერ განათლებულთა, რამეთუ მთოვარეცა, ოდეს მოეშოროს ნათელსა მზისასა, განილევის და, ოდეს პირის-პირ უმზერდეს, განნათლდების. ეგრეთვე, სიმართლისა მზესა რა მოეშოროს კაცთა გონება, განილევის ცოდვითა, / ხოლო აღსარებისა მიერვე იხილავს სიმართლისა მზესა და კვალად განათლდების და მივალს ფერქთა თანა მარიამ წმიდისა ღმრთისმშობელისათა. ვინაჲთგან დაუცხრომელად მეედრებელი არს ჩვენთვის და მადლიანისა ახლორე მიყვანა, ვითარცა სამოსელი თვისი, და ცოდვილთაცა ფერქთა თანა, ვითარცა მთოვარე განლეული, და არა დააცადებს ჩვენთვის მეოხებასა, ნურცა ჩვენ უღებ ვიქმნებით ვედრებად მისსა.

519

520

და უკეთუ რტოთა მისთა ვერ შემძლებელ ვიქმნეთ შეწდომად, ქვეყნით აღკვირბნეთ ჩამონაცვივნისა ზეთისხილისა მისგან, რომელსა არა შურს ჩვენთვის მოწყალეა მისი და მოგვეცემს ჩვენ უთხოველად ნიქსა მისსა. და გამოვხადნეთ მისგან ზეთი შრო/მითა ჩვენითა, ვინაჲთგან არა გამოვალს უშრომელად ზეთი მოწყალეობისა ღმრთისა, ცოდვილთა კაცთა ზედა, უკეთუ წმიდასა მარიამს ჩვენ არა ვევედრებით. და მას ესოდენი სიყვარული აქვს ნათესაობით ჩვენი, თვისსა მოწყალეობასა მარადის ჩამოგვიცვივენებს, რათა აღგვიყვანოს ჩვენ, მიწიერნი, ზეცისა სასუფეველსა და ძისა თვი-

521

¹ გამოცხადება 12,1.

სისა საშვებელსა, მამისა სავანესა, ჩვენდა არა ჯერ არსა სიყვარული მისი, რომელი ჩვენი ნათესავთაგანი, უადრესი და უპატიოსნესი ქერობინთა არს და ჩვენთვის მეოხი ცათა შინა დგა მარჯვენით შემოსილი სამოსლითა ელვართა?

- 3000 ქმანო, გვიყვარან ჩვენ მსოფლიონი მეფენი და დიდებულნი და თავადნი წუთისა ამის სოფლისა პატივისდებისათვის და მცირე/დისა საზრდომასა მოცემისათვის, ვდგათ კართა მისთა და მოვიხიონებთ ერთგულთა მისთა და ვაქებთ პირად-პირადითა სიტყვითა და ვგმობთ ორგულთა მათთა და ვასწავებთ სხვათა მორჩილებათა მათთა, უფრომასად არა ჯერ-არსა ვედრება მისი და დგომა კართა მისთა და მეხეაიშნობა ერთგულთა მისთა და სწავლება სხვათა მორჩილებისა მისისა და გმობა ურჩთა მისთა, რომელი-იგი არს დედა დამბადებლისა ჩვენისა, მშობელი მკნელისა ჩვენისა, მტერთველი ტყვეობით განმთავისუფლებელისა ჩვენისა, განმზრდელი უკვდავების მომცემელისა? თუცა ჩვენ მას ესოდენ საყვარელ უჩინთ, არარამასა შემძლებელნი, არარამასა კეთილის-მოქმედნი და ყოვლად უქმარნი/ მისნი, ჩვენ რად არა გვიყვარდეს ურიცხვისა კეთილისა და უამრავისა დიდებისა ჩვენისა მომატყვებელი?
- 522
- 523

აწ, მოვედით, მორწმუნენო, მიეახლენით ზეთისხილსა ამას წმიდასა, რომელი მარადის ჩამოაცვივნებს ჩვენ ზედა ნაყოფსა თვისსა, და შეუქრდით წმიდასა მას დედოფალსა, რომელი დგას მარჯვენით მამისა, რომელსა მოსიეს სამოსლად მზე და ფერქთა მისთა ქვეშე არს მთოვარე. ვითარცა იგი უთხოველად მოგვეცემს ხილსა თვისსა, ჩვენცა ჟამად და უჟამოდ მივართვათ ვედრება. ნუ განვეშორებით კარისა მისისა რეკითა, ნუ დავაცადებთ წყინებისაგან, რამეთუ მაცხოვარი ამისათვის იტყვის წმიდასა სახარებასა, ლუკა 11, 2: „მსაჯული ვინმე იყო, რომელსა ღმრთისა ეშინოდა და კაცთაგან არა ჰრცხუნოდა, არამედ ქურთისა ერ/თისა ზედასა-ზედა წყინებისათვის უსაჯო, რათა განვისუნენო“¹.

- 524
- უკეთუ მსაჯულმან, რომელსა ღმრთისა არა ეშინოდა და კაცთა არა ჰრცხვენოდა, მრავალგზის წყინებისათვის აღუსრულა სათხოველი ქერიგსა მას, უკეთუ ჩვენ მრავალგზის ვევედრენით უფლისა ჩვენისა დედასა, არა გვისმინოსა და არა მოგვეცესა სათხოველი ჩვენი, რომელ არს მეოხება მისი სიყვარული? უკეთუ ჩვენ არა ვსთხოვთ და იღწვის ჩვენთვის, ოდესცა ვსთხოვნეთ, უფრორე იღვაწოს!

¹ ლუკა, 18, 2.

ჰოი ძმანო, წმიდა ღმრთისმშობელი ვიდრე თხოვდამდე მოგვა-
ნიკებს მეოხებასა მისსა, არამედ უკეთუ არა ვითხოვნეთ, ღმერთმან
არა მოგვეცეს მეოხება იგი, რამეთუ ღმერთსა ნებაეს ზედასა-ზედა 525
სათხოველი და რეკა კართა და/ ძიება მარადის. უკეთუ არა ითხოოთ,
და იყვნეთ უღებებასა და ძილსა შინა, რა იგი მოგვეს უთხოვრად
წმიდამან ღმრთისმშობელმან, უმარ იქმნების შენდა, რამეთუ შენ
მძინარე და უღებ ხარ და მას სხვანი, წარიპარვენ, რომელნი მღვიძარე
არიან და ითხოვენ მარადის, რამეთუ მღვიძარენი ამისათვის შერე-
ბიან და იღვიძებენ: მრავალნი შეიკრიბონ, და თვისსა და შენსა
ზეთისხილსა ორთავე იგი წარიღებს. და შემდგომად განღვიძებისა
შენისა, ოდეს არღარა გაქვენდეს ნაყოფი ზეთისხილისა, დაშთე
მშვიერი და ბრალეული და გაყვედრებდენ შენ უწყალოდ მტერნი
შენნი, ვითარმედ: «დედა უფლისა ღმრთისა შენისა, რომელი დგას
მარჯვენით მამისა შემოსილი სამოსლითა პირად-პირადითა, მან 526
შთამოგვიყარნა ზეთისხილნი, ნაყოფი/ თვისი, და შენ დაიძინე და
მიგიღეს სხვათა და იქმენ გლახაკ მადლისაგან ღმრთისა».

აწ, საყვარელნო, განვიფრთხოთ და მზა ვიყვნეთ აღკრებად
ნაყოფისა მისგან მეოხებათა დიდისა ღმრთისათა და შეუკრიბოთ
თავთა ჩვენთა, რათა მოგვენიჭოს შეძლება შრომათა და გამოძღა
ზეთისა, ღმრთისა მოწყალებითა პოვნა და შენდობა ცოდვათა
ჩვენთა მეოხებითა წმიდისა მარიამ ღმრთისმშობლისაჲთა, ამინ.

35. სწავლა ღმრთისა ნიჭისა და ჩვენისა უმაღლობისათვის.

„იხარის უფალი ქმნულსა ზედა თვისსა“ —დავით იტყვის რა
ფსალმუნსა შინა¹.

რა არს სიყვარული ესე, ქრისტეანებო, რომე ღმერთი იხარებს
ჩვენ ზედა, ქმნილთა მისთა ზედა?

და ჩვენ არა ვიხარებთ და უმაღლო ვართ ღმრთისათვის, რომ
მიწა გან/გვაცხოველნა, უკვდავნი სულნი შთაგებერნა და სიტყვიერ- 527
ნი შეგვექმნნა და სიბრძნე და გონიერება მოგვანიჭნა; მეგობარი
ჩვენი, მიწა, ფერხთა ჩვენთა ქვეშე დაგვიღვა, ისრე შავიცა არა
გვაკადრა, მწვანითა და ფერად-ფერადითა ყვავილითა მოგვიფინა;
კეალად ამხანაგთაგანნი ჩვენნი ცხოველნი რომელნიმე ზედ აღ-
საჯლომელად მოგვეცნა, რათა ფერხითა სლვითა არა დაეშვრეთ,
რომელნიმე საკიდრად, რათა ნუზლნი ჩვენნი ზიდნეს და გვემსახურ-
ნეს, რომელნიმე მხნველად და მუშაყად და ძალდნი ჰუმილად და
განმკრძალველად და ქორნი, მწევარნი ნადირთა შემპყრობელად

¹ ფს. 103, 31.

და სხვანი ყოველნი პირუტყვისი პელთა ქვეშე ჩვენთა მონა ყვნა და / ჩვენ — მეფე ყოველთა ცხოველთა ზედა. არა კმა გვიყო ესე და ჩვენთვის შემზადნა ცანი, და მზე და მთოვარე და ვარსკვლავები, მსახურ ჩვენდა ყო, რათა ღრუბელთა და წვიმათა და ქართა მოგეცემდენ და ნაყოფთა განგვიმრავლებდენ, და ოქრომთა და ვეცხლითა აღგვაესნა. არა თუ კმა გვიყო ამასა, სასუფეველისა შეილაღ აღგვწერნა და თვისად მონად მოგვიწოლა.

ესრეთ იხარებს უფალი ჩვენ ზედა!

ხოლო ჩვენ უმადლოთა არა დაეიმარხეთ და მცნებისა მისისა გარდასლვითა გამოვსცვიენით სამოთხით და ჭოჯოხეთსა დავემკვიდრენით.

არაუგულებელს-გვეყვნა უფალმან ქმნილნი მისნი: ჟამთა უკანასკნელთა მომვიღინა ძე თვისი საყვარე/ლი განაოციელებად მარია მისაგან ქალწულისა; ვითარცა კაცი, მსგავს ჩვენდა იქმნა: დაშერა, მოიშშია, შეურაცხ-იქმნა ჩვენთვის, იყვედრა, იგინა, ინერწყვა, იცა, ჭვარს-ეცვა და დაეფლა და აღმოგვიყვანნა განხრწნისაგან ჭოჯოხეთისა.

ესრეთ იხარებს [უფალი] ჩვენ ზედა!

აღდგა მკვდრეთით და აღმადგინნა ჩვენ, ამალღდა ზუცად და აღამაღლა ბუნება ჩვენი და მარჯვენით მამისა დასვა და ღმრთით ყო კაცება.

ესრეთ იხარებს უფალი ჩვენ ზედა!

არა გვაკმია ეს და მოგვიღლინა სული წმიდა თვისი, რათა დაემკვიდროს ჩვენ თანა და ჩვენ სადგურ ღმრთისა ვიქმნეთ და მის მიერ ვიქმოდეთ ნიშებსა და სასწაულებსა საკვირველთა.

ესრეთ იხარებს უფალი ჩვენ ზედა!

აწ რა გვიღირს ჩვენ ესრეთ შეყვარებისათვის? ვინამთგან უფალი იხარებს ჩვენ ზედა, ჩვენ არა უმეტეს ჭერ გვიჩნსა შეყვარება? ვაი, ჩვენდა ამისდა ნაცვლად რა გვიყოფიეს და რასა ყოფად ვართ?

იხილე: ქვეყნიერნი მეფენი უკეთუ მსახურთა თვისთა ვითარ წარმავალსა კეთილსა უყოფენ და იგი არა განეკრძალება, ვითარი პატიუი მიიღოს მას ზედა, ვითარი ბოროტი შეაცნოს?

და ჩვენ უკვლავმან მეუფემან ვითარნი დაუსრულებელნი ნიჭნი მომცნა და არა ვმადლობთ, ვითარი საუკუნო დიდება მომანიჭა და არა გულისხმა-ვყოფთ და ჩვენ დღე ყოველ მცნებისა მისისა გარდასლვასა ვიქმთ. მამა ჩვენი ადამ თვით ძელითა თვისითა შექმნილი ერთსა მცნებასა გარდაღდა და ჩვენ ერთისა მცნებისა

გარდ/ასლვისათვის მამასა ჩვენსა ვითარ ვაყვედრებთ, ჩვენ დღე

ყოველ მრავალსა მცნებასა გარდაეძღვებით და თავსა ჩვენსა არა ვაყვედრებთ. ადამ ერთისა მცნებისა გარდასლვისათვის ხუთი ათას ხუთას წელიწადს დაისაჯა და ჩვენ მრავალისა მცნებისა გარდასლვისათვის არა გვეშინის დასჯისათვის ჩვენისა, არა ვზრუნავთ სულისათვის და ვზრუნავთ ქორცათვის, ვაქცევთ სასუფევლისა სახლსა, ჩვენთვის განმზადებულსა, და ვაშენებთ აქა თიხისა სახლსა, რომელი ადრე ოქერ იქმნების, დავაბნელებთ სულსა ჩვენსა ღმრთივ განთავისუფლებულსა და ვაფოფინებთ ქორცთა ამათ, მატლთა საზრდელსა და წუთხსა მყარლსა. კაცმან რომელმან განაბნია მარგალიტი და აღკრიბა კუროსთავი, ჩვენ ვემსგავსებით მას. ყოველი სამკაული/ სულისა განგვიბნევიეს და მოსურნე ვართ საქორციელოთა საქმეთა.

532

რა არს სულისა სამკაული მსგავსი და უმჯობესიცა მარგალიტისა?

— სიმშვიდე, სიმდაბლე, სიყვარული, მოთმინება, სიგლახაყე და სოფლისა ამის შეურაცხება, რომელი განგვიბნევიეს. და აღგვიკრფვიეს უმწერტელესი კუროსთავისა: სიბოროტე, ამპარტავნება, ზვაობა, ნაყროვანება, სიძულილი, ლალვა, მრისხანება და სოფლისა ამის სიყვარული.

ვითარ მოვიყვებთ ქმნილისა ჩვენისა მოტევებასა? ვითარ ვემსგავსებით მოძღვარსა ჩვენსა? იგი გვიბრძანებს: „რომელმან არა დაუტეოს ყოველივე მსოფლიონიო და არა აღილოს ჭუარი თვისი და [არა] შემომიდგესო, არა არს იგი ჩემდა ღირსიო“¹.

რომელსა დაგიტევიების სოფელი ესე, ანუ მყოფნი სო/ფელსა ამას შინა მოყვარნი ჩვენნი?

533

— იგინი არა დაგვიტევიებიეს ჩვენ, უფრორე შეგვიყვარებიეს. ჩვენ დაგვიტევიებიეს სული, სჯული, სასუფეველი, თვარა არა სოფელნი და მოყვარენი ჩვენნი. ვიდრე ვიყავით ძმათა და მოყვარეთა თანა, ველაღვოდით და ვებრძოდით, ვაყვედრებდით და, რა იგი აქვნდათ, მასაც მოუღებდით. აწ დაუტევენით ყოველნი და შეუღევით მხოლოდ ქრისტესა. ჯერ-არს, რათა მხოლოდ ესე გვიყვარდეს, რომელმან ჩვენ შეგვიყვარა და ქმნილსა თვისსა ზედა იხარებს. აწე არა დაჯერებულ ვართ აღთქმასა და მივსდევთ სახლეულთა და მოყვარეთა ჩვენთა და ზედასა-ზედა განვალთ მონასტრით და მივალთ ნახვად მათდა, რომელთა ველაღვოდით; გამოვახვამთ და გამოვხვევით/ მონასტერთათვის მონაღვაწთა ქონებათა და მივსცემთ მოყვართა და ძმათა ჩვენთა, რომელი სოფელსა შინა საძაგლად გვიჩნდა და აწ ეკლესიის ქონებისა გაროქვისათვის შეგვიყვარებიეს.

534

¹ მათგ 10, 38.

ჰხედავთ, ვითარ უმადლონი ვართ ღმრთისანი? ვიდრე ძმათა თანა ვიყავით, მაშინ ღმერთსა სიძულოლი მისი ვაჩვენეთ, რომელი ძმათმოყვარებასა გვასწავებს, და, ოდეს გამოვედით სოფლით, და დაუდევით აღოქმა ქრისტესა: აღარასა ყოლა, გარნა მხოლო ქრისტე. და ჯვარისა.

აწ გვისხენან მრავალნი მეგობარნი, მოყვარნი და ძმანი. რომელნი სოფელსა შინა მეზობელთა საზღვართა შუუცვლიდით და აგარაჯ-თათვის ვებრძოდით, ძმათა წილთა არა მივსცემდით, მოყვარეთა 535 პურისტემად დავემლოდით, დღეს მათი/ შემყვარებელი და მოძმე ვიქმენით. ნუ ჰგონებთ, თუცა ესე ძმათა და მოყვარეთა სიყვარული იყოს. ძმათა და მოყვარეთა სიყვარული მაშინ ჰამდა, ოდეს მათ თანა ვიყვენით, მაშინ ვიქმნებოდით ბრძანებისა ღმრთისა აღმსარუ-ლებელი, ხოლო აწ დამძსნელ მისისა ბრძანებისანი ვართ, ვინაჲთ-გან გამოვედით სოფლით და სოფლადგე მივრბიოდეთ და ძმათ მოყ-ვარებასა ვიჩემებდეთ ეკლესიისა ურჩებითა.

ძმანო, ძმანი და მოყვარნი აწ ჩვენ ვართ, ერთად შეკრებილნი და ერთისა ქრისტეს შედგომილნი. გვიყვარდეს ერთმანერთი! უკეთუ სოფლად მისლვამან გვძლიოს, მივიდეთ ძმათა სენაკად და მოვი-კითხნეთ. უკეთუ მეფისა ხილვა გვინდეს, მივიდეთ წინაშე წინამძ-ვარისა ჩვენისა. უკეთუ/ ქალაქთა ხილვა გვინდეს, მივიდეთ ეკლე- 536 სიად: იგი არს ქალაქი ჩვენი. უკეთუ უნჯთა განმრავლება გვენებოს, განვაშრავლოთ საღმრთოთა წერილთა კითხვა. უკეთუ მოვაჭრება გვეტებობოდეს, მოვივარჯინეთ სწავლანი სულთერნი.

ნუ, ძმანო, ნუ უმადლო ვიქმნებით ყოველთა ზედა ღმრთისა, ვინაჲთგან იგი იხარებს ჩვენ, ქმნულთა მისთა, ზედა. არამედ ყო-ველთა ზედა ვმადლობდეთ უფალსა: აღდგომასა და დაჯდომასა შინა, სლვასა და დგომასა შინა, მღვიძარებასა და დამინებასა შინა, სმასა და ჰამათა შინა და, რათა უფალიცა იხარებდეს ჩვენ, ქმნილთა მისთა, ზედა და ღირს გვყოს მისთანა სიხარულსა და უს-რულებელსა უკუნისამდე, ამინ.

537 36. სწავლა გიორგობის დღისა და ქართველების
თათრობისათვის¹

„სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახურნი ჩემწიო“ — იოანე იტყვის მახარებელი ქრისტეს მიერსა ბრძანებასა².

ვინ არს მსახურ ქრისტესა?

¹ ეს სწავლა B ნუსხას არ მოეპოვება.

² იოანე 12, 26.

— გიორგი მთავარმოწამე და სხვანი მოწამენი, რამეთუ უკეთუ მსახური არა ემსგავსოს ბრძოლასა და ღვაწლსა შინა უფალსა თვისსა, არა არს მსახურ უფლისა თვისისა, არამედ კიცხვეასა ჰყოფენ მის ზედა სიჭაბუნისათვის. ამისთვის იქმნა გიორგი მსახურ ქრისტესა, რამეთუ იტვირთნა ტანჯვანი ქრისტესნი, აღიღო ჭვარი და შეუღდა მას:

ქრისტე დაგლახაჲნა ღმრთაებრ[ი]ქისა საყდრისაგან და ღმრთა-
ებითა უცვალებელითა კაცთა მსნისათვის, გიორგიცა დაგლახაჲნა
ქრისტესთვის, რამეთუ დაუტევა დიდება თვისი და კომსობა და
ერისთავობა. ქრისტე შეპყ/რობილ იქმნა, განძარცილ და გიორგიცა 538
ეგრეთევე. ქრისტე იცა შოლტითა, გიორგი იცა ზროხისა ძარღვითა
უხეღელითა. ქრისტესა დაედვა ჭვარი თვისი მპართა, ხოლო გიორ-
გის — ლოდი დიდი მკერდთა. ქრისტესი დაიბძარნეს პორცნი, გი-
ორგისნი დაიჭრნეს ურმის თვალსა ზედა. ქრისტესი დამსკველა
ქელნი და ფერაჲნი სამსკვლითა, გიორგისი — სამსკვლითა განპურ-
ვებულითა, ოდეს შეასხნეს პაპლნი რკინისანი და ვიღოდა მით.
ქრისტესი განიგმირა გვერდნი, გიორგისა განიგმირა გული. ქრისტე
დაეფლა საფლავსა შინა, გიორგი დაეფლა კირთა შინა დამბალთა.
ქრისტეს საფლავსა ზედა გარდაგორა ლოდი ანგელოზმან, გიორგი
დაჭრილი განაცხოველა ანგელოზმან, ვითარცა მიუწერს პავლე
პრომელთა/ იგ: „ვიინ განმამოროს ჩუენ სიყუარულსა ქრისტესსა: 539
ჭირმან ანუ იწროებამან, დენამან ანუ სიყმილმან, შიშლოებამან
ანუ ურვამან, ანუ მახვლმან? ვერარამან განმამორნეს სიყუარულ-
სა ქრისტესა“¹.

ესე არს მსახურ ქრისტესა: ვინაცა ქმნა მსგავსება მისი და სვა
სასმელი მისი, რომელ არს სიკვდილი, ესენი იქმნებიან, სადჲ არს
საყოფელნი ქრისტესნი, ხოლო თქვენ, ქრისტიანებო, სახელ ქრის-
ტესად წოდებულნო, ხედავთა, მას ეამსა რა მძლავრნი და უწყა-
ლონი მეფენი იყვენენ? რომელნიცა აღიარებდენ ქრისტესა, არცა
ძმათა, არცა შვილთა, არცა კეთილ ჭაბუკებთა არა რიდებდენ და
ესოდენსა სატანჯველთა შეამთხვევდენ. და არცა ქრისტიანენი შე-
უშინდიან სატანჯველთა და შეიბრალნიან პორცნი/ თვისნი, არამედ 540
ერთითა გონებითა წარდგიან; უკეთუმცა დლითი-დღე ასკერ მოეკლ-
ნეს, ყოველსა სიხარულით მოითმენიან: სიკვდილი და ტანჯვანი
შათნი.

და ამით მიიღეს გვირგვინი პატიოსანი, თანა-ყოფა ქრისტესთანა.
დიდება სოფელსა ამას, რომელნი იქმონენ ძალთა მრავალთა და

¹ რომ. 13 (?).

კურნებათა ურიცხვთა ნაწილნი მათნი. და სამარხოთა მათთა მტვერ-
სა მეფენი ძლიერნი მოიყიდიან მრავლითა საფასითა და იცხებენ
თვალთა!

ესრეთ აღიდა ქრისტემან მსახურნი თვისნი მცირისა ჳირისჳთვის
საუკუნოდ, ამას სოფელსა ესრეთ განაძლიერნა და მას ზეცისა სა-
სუფეველსა თანა-მოდასე ყო ქერობინთა, და, სადაცა არს ქრისტე,
მუნშცა — მსახურნი მისნი.

- 541 ხოლო აწ თქვენ, ქრისტიანნო, ესრეთ დაგიმშვიდნათ ღმერთმან
და მსახურთა/ მისთა ქვეყნის მპყრობელნი მეფენი მძლავრნი: არცა
ქრისტეს სახელის ქსენებისათვის გტანჯავენ, არცა ქრისტიანობისა-
თვის გაყვედრებენ, რაღა ვარგძელო, არცა თუ წამითა შეგაწუნებენ,
არამედ დიდთა პატივთა მოგცემენ და ნიჭითაცა აღგავსებენ. თქვენ
ამისთვის არა მადლობთ ღმერთსა, არცა აქებთ წმიდათა მსახურთა
მისთა, რომელთა ჳირნი თვით იტვირთნეს და მადლითა მათითა
მფარველ-გვექმნებიან, არამედ დაუტეობთ მათთა მეოხებათა და
წარხვალთ მცირედისა ნიჭისათვის, გინა მეზობელთა შურისათვის
და ნებისით თვისით დაუტეევბთ სჯულსა ქრისტესსა. ამისთვის გა-
ყვედრებს მოსე გალობათა შინა და იტყვის: „განსუქნა, განსხვა,
542 განვრც/ნა და დაუტევა ღმერთი, შემოქმედი თვისი“¹.

ვის დაუტეობთ და სადა წარხვალთ?

ქრისტე თქვენთვის ზეცით გარდამოძდა, და ჳვარს ეცვა, და ჳო-
ჯოხეთად შთაძდა და მუნით აღმოგიტაცნა, რათა ზეცად აგიყვანოს,
და შენ ევლტი ქრისტესა, რათა სისხლითა მისითა მოსყიდული სუ-
ლი შენი ნებითა შენითა შთააგდო ჳოჯოხეთად.

ამისთვის მიუწერს პავლე მ კორინთელთა ე, იე: „რამეთუ სიყუ-
არული იგი ქრისტესი მაწუევეს ჩუენ გამორჩევედ ამის, ვითარმედ:
ერთი იგი ყოველთათჳს მოკუდა, ყოველნივე სამე მოსწყდეს. და
ქრისტე ყოველთათჳს მოკუდა, რათა ცხოველნი იგი არღარა თავთა
თჳსთათჳს ცხოველ იყუნენ, არამედ მათთჳს მომკუდრისა მის და
აღდგომილისა“².

- 543 რასა ეტყვი მიზეზსა, ოდეს ქრისტე მოვიდეს განსჯად ცხოველ-
თა და მკვ/დართა?

რომლისა ჳირისა და იწროებისათვის უარყავით?

უკეთუ იტყვიოთ: «გლახაკ ვიყავ, ანუ სიმღიდრისაგან დავერღო-
მილ», თვით მეუფე შენი და დამბადებელი ოქროჲსა და ვეცხლისა

¹ 11 შჳ. 32, 15.

² ებ. კორინ. 11, 3, 15—17.

შენთვის ესრეთ დაგლაბაკნა, ვეცხლსა ზედა განიყიდა, ნუგეშინსა-
გეცემს: „ნეტარ იყუნენ გლაბაკნი სულითა“¹.

უკეთუ იტყვი: «მეზობელთა ყვედრება ვერ მოვითმინე და მტერ-
ნი მებრძოდენ», მან ჰურიათ ყვედრება და წარმართთა ბრძოლა
შენთვის თავს იღვა და შენ სიტკბოთი გასწავებს: „ნეტარ იყავნ
თქუნ, რაჟამს გღვენიდენ და გყუედრიდენ და თქუნან ყოველი სა-
ტყვაჲ ბოროტი თქუნდა მომართ სიცრუით ჩემოვს“².

უკეთუ მიზეზსა იტყვი: «სახლეულნი ჩემნი სამკვიდროთაგან
უმკვიდრო იქმნებოდა», ამისთვის გამცნებს: / „ნეტარ იყუნენ ღვე-
ნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“³. 541

უკეთუ იტყვი: «ფრიადი მოვითმინენ და ვერღარა თავს ვიდევ»,
მითხარ მე, სხვა რალა მოითმინენ ესეთი, რომელ ჯოჯოხეთისა სა-
ტანჯველთა მსგავსი იყოს ანუ სასუფეველთა სიხარულისა დამვი-
წყები, — სთქუ აწ? იტყვი, ორგულნო, წარვიდე და არა უარს
ვყო ქრისტეს სახელი. შემდგომად არა გაქვს ჰირი, არცა ტანჯვა.
ლზინსა და განცხრომათა შინა უარ-ჰყოფთ ქრისტესა და მერმე
იტყვი: «გულითა არ მიყოფიეს უარი, ოდენ ბაგითა ვთქუ, შევი-
ნანო».

რასა შეინანებ? უკეთუ ტანჯვა ვერ მოითმინენ და უარყავ, და
ჰყოფ სინანულსა, ესეცა ძნიალ სათქმელ არს და, უკეთუ არცა
ტანჯვა/ იყოს, არცა შეკრვა, არცა გინება, არცა შიმშილი და რალა-
სთვის ინანი და ვითარი [არს] სინანული ეგე, ანუ გმობა ეგე? 545

ქრისტე ბრძანებს: „რომელმან უარ-მყოს წინაშე კაცთა, მეცა
უარ-ვყო წინაშე მისა ზეცათასა“⁴.

მაშინ რა-მე სიტყვის მაგებელი გაქვს, პოი ორგულო?

იხილე რა შენ მდიდრისა ვისიმე სამოსელი ბრწყინვალე, სტავ-
რა ანუ ოქრო-ქსოვილი, შურისაგან მისისა აღვისი და იწყი პირვე-
ლად ანგარება, ანუ პარვა, ანუ ტაცება და დაჰრთი ცოდვა ცოდ-
ვათა და უსჯულოება უსჯულოებათა და ნიჭისა რამასათვის მსოფ-
ლიომასა აგინე ქრისტეს სარწმუნოება და უგულებელს ჰყავ სასუ-
ფეველისა ღიდება წარუვალთ.

ვაი, უგნურებასა თქვენსა! არა/ იცით, რამეთუ გვარი კაცისა 546
უადვილეს არის შესამუსერელად, ვიდრეღა ჰქიჲ ღვინისა, და სიკვ-
დილი უმანლობელეს არს, ვიდრეღა თვალთა დაწამწამება და სოფ-

¹ მათე 5, 3.

² მათე 5, 11.

³ მათე 5, 10.

⁴ მათე 10, 32.

ლისა ამის დიდება უადვილესად განზნევალი არის, ვიდრეღა ქარისა სისასტიკისაგან ბზე?

ამისთვის იტყვის დავით: „არა ესრე უღმრთონი, არა ესრე. არამედ ვითარცა მტუერი, რომელი აღგავის ქარმან პირისაგან ქუეყანისა“¹.

მრავალნი მინახვან მე მგომობარნი ქრისტესნი, ოდეს მოვიღიან ეკლესიად, იწყიან ლოცვად და ვედრებად და რეცა ქრისტიანუ ყოფად; ოდეს იხილონ უსჯულონი, და წესსავე მათსავე ზედა მიიქციან.

347 ამისათვის იტყვის მაცხოვარი: «რომელი შეექცა ნათნევარსა თავისა თვისსა და ღორმან ინწობა სანგ/ორელსა თვისთა».

ერთი ვინმე უარისამყოფელთაგანი მელიზღებოდა და მე ვარქუე: «განმეშორე, შვილო ჯოჯონეთისაო-მეთქი!», ხოლო მან მომიგო და მრქვა: «არა, ნუ იყოფინ, მე შვილი ვარ სასუფეველსაო». მე ვკითხე: «ვითარ?» მან მომიგო: «ოდეს ქრისტე მოვალს მეორედ მოსლვას, უკეთუ იგი არს ძე ღმრთისა და მაცხოვარი სოფლისა, ვაჩვენებ შუბლთა ჩემთა აღბეჭდილთა ბეჭდითა მით მირონისა მისისა-მთა და, უკეთუ მოჰმადი უდიდებულეს არს, ვაჩვენებ სერსა მისსა წინადაცვეთილებისასა. და ანუ ერთი აღმიყვანს ზეცად ანუ მეორეო», და იცინოდა ფრიად...

ვაი, უგუნურება ესეთი, კაცნო ცოდვითა აღსაგსენო და უსჯულოებითა გარდამატებულნო!

518 თქვენ უკეთუ მონა/თაგანი ვისმე წარგივიდეს და მიუვიდეს მტერთა თქვენთაგანსა, იხილე, რამსა გულითა იქმნები. მას ზედა. ანუ რაოდენნი მეხვაიშენნი აღადგინონ, ვიდრე ხილვადმდე პირისა შენისა, და ვითარ სირცხვილეულ იყოს შენთანა? აწ შენ რაღა გიჰმს მონისა შენისა უფლისა, რომელმან თვით დამბადებელი შენი განარისხე და რომელმან შენთვის ჯვართა სიკვდილი დაითმინა, იგი უარ-ჰყავ და შენ აწცა ორგულეზ და არა ინანი, არა იცემ მკერდთა ორითვე მჭილთა, არა განბან სარეცელთა შენთა ცრემლითა, არა ოხრავ და სულთქმავ დღე და ღამე?..

519 აჰა განვლო დღემან და ღამემან! აჰა, წარბადა /მსგეფსი, თვე და წელიწადი! აჰა, მოაწია სიკვდილი! აჰა, შეგედვით სნეულება ღვიძლთა, ანუ ტვინთა, ანუ თირკმელთა და მობერა მაკვდინებელმან ქარმან და იავარ-იქმნა შენნი სულითა მოსყიდული ნაანგარეგნი სამოსლები და უნჯნი!

ქრისტემან დადვა სული თვისი და მოგიყიდათ სულითა თვისითა და მამისა თანა მიყვანება შენი ნებაგს ძღვნად, შენ დასდევ

¹ ფს. 1. 4.

სული შენი ქრისტესგან მოსყიდული სასყიდლად სამოსელთა და ეცხლთა განქარვებადთა და იგი დაუტევეთ ძღვნად ეშმაკთა.

ნუ საყვარელნო, შეიწყალენით სულნი თქვენნი, მოწყალე ექმენით ჭიბუკობასა თქვენსა, რამეთუ სიკვდილი მოახლოებულ არს, ჯოჯოხეთი პირაშკმულ არს, / ტარტაროზი განუძლომელ არს. ნუ მისწრაფით ფართოთა გზათა ზედა, რამეთუ მუნ მიგიყვანებსთ, არამედ მოიქეცით და იწყეთ სინანული, ეძიეთ გზა სწორად საველი და ბჳე ვიწრო, რომელ არს სინანული, რომელი მიგიყვანებს სასუფეველსა ცათასა, სადა არიან წმიდანი ღმრთისანი და ცოდვილნი მონანულნი და მოქცეულნი ცოდვათა მათგან, რომელ სუფევენ უკუნისამდე და აღიდებენ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა აჲ და მარადის უკუნისამდე, ამინ.

550

37. სწავლა ნათლისმცემლის შობისათვის.

ძველი საქმე ყოველივე სახე იყო ახლისა ამის ყოფადისა, ვითარცა აჩრდილი რისამე არსებობსა მყოფისა. ამისათვის, ძმანო, პირველად ჯერ-არს ჩვენდა, რათა ძველისა მამათ-მთავართა გითხრნე და შემდგომად ახლისა სჯულისა, რამეთუ წინასწარ ყოველივე მოესწავა საქმითნი და სიტყვითნი წმიდათა მამათ-მთავართა და წინასწარმეტყველთანი ახლისა სჯულისათვის, რამეთუ: მსგავსება აქვნდა ისაკისა სახითა რაფთამე მცირედითა იოანე ნათლისმცემლისა. ვინაფთგან აბრაჰამ ასის წლისას და სარრა ოთხმეოცდაათის წლისასა აუწყა ანგელოზმან შობა ისაკისი, ხოლო ზაქარია და ელისაბედცა გარდასრულ იყვნენ დღეთა სიბერისათა, ოღეს ეხარა გაბრიელ მთავარანგელოზისა მიერ. სარრა ეცინოდა ანგელოზსა, რამეთუ არა ჰგონებდა მიდგომილებასა თვისსა, ხოლო ზაქარია ურწმუნობით დაუდუმნა. სარრამანცა/ დღეთა გარდასრულმან შვა და ელისაბედცა ეგრეთვე. ისაკისა უბრძანა ღმერთმან აბრაჰამს ნათესავთა განმრავლება, ხოლო იოანესცა განუმრავლა უფალმან ნათესავი ქალწულებით შობილთა მონაზონთა გუნდისა, რამეთუ ყოველნივე იოანეს ძმანი-ვართ, რომლისათვის იტყვის წიგნი მეფეთა პირველისა ზ თავსა შინა: „რამეთუ ბერწისა მას ესხნეს შვიდ შვილ, ხოლო შვილმრავალი იგი მოუძღურდა“¹. ისაკი ოცდა ხუთის წლისა წარიყვანა აბრაჰამ მსხვერპლისა შეწირვად, ხოლო იოანე ოცდაათისა წლისა მოვიდა ნათლისცემად. ისაკისა თანა ვიდრედეს ორნი მონა-

551

552

¹ 1 მეფეთა 2, 5.

553 ნი, იოანეს თანა იყვნეს ორნი მოწაფენი: ანდრია და იოანე — ძენი ზებედესნი. ისაჲ აღვიდა მთასა/ მალალსა შესაწირავად ღმრთისა, იოანე მოვიდა უდაბნოდ ქადაგებად სიტყვისა ღმრთისა. ისაჲცა დააკლვასა ემონაცელა და იხილა ცხოვარი რქითა დამოკიდებული დაკლვად, იოანემან იხილა ცხოვარი ქეშმარიტი მოსრული ნათლის-ღებად, რომლისათვის თქვა: „აჰა, კრავი ღმრთისა, რომელმან აიხვნეს ცოდვანი სოფლისანი“¹. ისაჲცა ესხნეს ორ ძე მარჩებნი და უხუცესი დაამონა უმრწემესსა და უკანასკნელი აუფლა პირველსა, ხოლო იოანეს მოეცნეს ორნი სჯულნი, პირველი და მეორე, და პირველი დაამონა მეორესა და უკანასკნელი აუფლა პირველსა, რამეთუ ძველისა და ახლისა სჯულისა შუა-მდგომელ იქმნა და ძველი დაამონა ახალსა./

554 ესე იოანე რომელმან ნათელ-სცა უფალსა ჩვენსა იესუ ქრისტესა, რომელმან ქადაგა გზა სინანულისა და რომელი არს მამა მონაზონთა, ამისი შობის დღე არს დღეს, ძმანო საყვარელნო!

ვინაჲთგან ვიტყვით მამად და მოძღვრად და გზად მონაზონებრსა, ვითარ ვალთ გზათა მისთა? იგი თავადი ოცდაათ წელსა უდაბნოს მკვიდრ იყო და ჩვენ ოცდაათს დღეს უკეთუ დაჰყავით, განგვეგრძობის და საძნელოდ აღგვიჩნდების/ იგი დიდისა შიმშილისათვის ჰამდა მცირესა თაფლსა ველურსა და მკალსა, ხოლო ჩვენ მრავალფერთა სანოვაგეთა არა ვიკმაებთ/ იგი ვიდოდა შიშველ, მცირედითა სტევითა მოსილი, თავ/შიშველი, უპამური და ჩვენ შევამკობთ.

555 სამოსელთა ჩვენთა მატყლისათვის, ესრეთ წვლილადითა თხზულე-ბითა ქსოვილთა, უმჯობესთა ჰიქნაურთა და ოქრო-ქსოვილთათა, სიშავის ფერთა, მოელვარეთა, უკეთესთა მეწამულთასათა, პალეკარტთა ნაოქიანთა, უმჯობესთა აღმაგთასა, ჩაფულათა და ცანდალთა გაწყობილთა, უფროჲს მქედართასა, კუკულთა და ქუდთა მოზაგებულთა, უსაწადელესთა რიდეთა და სკუპათათა. იგი თავადი უსართულო იყოფებოდა, არსადა თავისა მიდრეკისა ქონებისა მპოვნელი/

556 ხოლო ჩვენ ვაშენებთ სენაკებთა სხვათა და სხვათა და ვამკობთ განგოზითა და ფერებითა წამალთაჲთა, არდაბაგებითა და ლანძვებითა და დავიფენთ ნოხებთა და შატროვნებთა და გულისხმა-ვერგვიყოფიეს, თუ ვისთვის ვაშენებთ. ესე ჩვენ მიერ აღშენებული სხვათა მიეცემის, რამეთუ ჩვენ მსხემ ვართ და აღრე წარმავალ, ხოლო რომელი ღმერთმან აღაშენა, მასცა მიგვიხმენ.

აღიხილენით თვალნი თქვენნი ცად მიმართ, ვითარ შეუწყვიეს უფალსა ვარსკვლავითა და ღრუბლითა შვენიერითა და, ვინმცა

¹ იოანე 1, 29.

უწყის, უზენაესნი მისნი შემოკობილნი უპატიოსნესად ჩვენთვის ალუგიეს ღმერთსა, და მას არა მოვიცდით და მისთვის არა გვიტყვამს გულნი და/ აქა ვაშენებთ. კლდეთა და მყიათა შინა სხვათათვის. 557

რად საქმარ არს სიმღიდრე ამის სოფლისა? ვერა ჰხედავთა სიგლახაქესა ამას ჩვენსა, ვითარ შეამყო და განამღიდრა ქრისტემან დაგლახაქებითა თვისითა?

მღიდარნი და ძლიერნი, რომელნი არა აქსენებენ სხვათა მღიდართა, არცალა ზე ალუდგებიან თავადთა, და მოვლენ ჩვენ გლახაქთა თანა და დავარდებიან წინარე ჩვენსა და გვეაჭებიან ვედრებით. მოვლენ მეფენი დიდებულნი, მომკლველნი მძლავრთანი და დამპყრობელნი ქვეყანათანი, და ამბორს-გვიყოფენ ჰელთა. მოვლენ თავადნი და წარჩინებულნი, მქონებელნი სოფელთა და აგარაკთანი და საუნჯეთა ურიცხვთანი, და/ გვევედრებიან და ითხოვენ ჩვენგან ლოცვასა. 558

რამცა-ლა გინდა¹ სიმღიდრე უფროსი ამათსა?

რამეთუ შენი სიგლახაქე მათისა სიმღიდრისაგან უმღიდრე არს, თქვენი² მდაბალი მოთმინება მათთა მალალთა ამპარტავანებათა უმაღლე არს, თქვენი სიშიშველე და ძონძთა მოსა მათისა სტავრათა და ნაქსოვთა საპოსელთა უბრწყინვალე არს, თქვენი საბელთა რტყმანი მათისა მანიაკისა და ზონატერისა უპატიოსნე არს, თქვენი საფლავთა მსგავსნი სენაკნი მათთა პალატთა უწარჩინებულეს არს, თქვენი³ უნდო საზრდელი მათთა სანოვაგეთა უტკბილეს არს.

შეისწავე, რამეთუ თქვენ მსახურნი ხართ ღმრთისანი და იგი მღიდარნი — მონა/ნი თქვენი. 559

ნუ ზრუნავთ სოფლისათვის, ვინათგან სოფელი ზრუნავს თქვენთვის და, უკეთუმცა სოფელმან არა იზრუნა თქვენთვის, იგი უმჯობეს არს, რამეთუ ქრისტე გვიბრძანებს: „უკეთუმცა სოფელი გძულობდესთ, უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომიძულა“³. სოფლისაგან ჩვენი სიძულილი ამით უფრომსად ჯერ არს გვიხაროდენ, ვინათგან პირველად მოძღვარი მონაზონთა იოანე და უფალი ყოველთა ქრისტე მოიძულა.

უკეთუ ორნი ესე მოიძულნა სოფელმან, რადმცა გვინდეს, თუცა ფუყვარდეთ ჩვენ სოფელსა, მონანი ქრისტესნი და შეილნი იოანესნი? ვერარა შეგვძინეს სოფელმან შეილთა იოანესთა, გარნა მრავალი ცოდვა, და შეგვძინოს იოანეს შედგომამან მოტყეება ცოდვათა. 560

დღეს იოანე იშვების ბერწისაგან, რათა ბერწი სული ჩვენი შეი-

¹ გინდეს.

² თქვენი.

³ იოანე 15, 18.

ლიერ ყოს სინანულითა. დღეს იოანე განჰსნის კრულებასა მამისა
ენითაჲსა, რათა კრულება უქმისა სულსა ჩვენისა აღსარებად მოგ-
ვიზიდნეს. დღეს იოანე წინასწარმეტყველი მალისა იქადაგა, რათა
დაგვაზონოს ჩვენ მტერნი ჩვენნი. დღეს გვიძლევებს მტერთათვის,
ვინაჲთგან დაითრგუნა მძლავრი მტერი ჩვენი ეშმაკი იოანეს ქადა-
გებულსაგან, რამეთუ კრავმან იოანეს მიერ ჩვენებულმან შეკრა
მგელი მტაცებელი.

561 აწ, ძმანო, ნურღარა განვჰსნით კრავისა მიერ შეკრულსა მგელ-
სა, ნურღარა მიუღშვებთ თავთა ჩვენთა ზედა. უკეთუ ჩვენ არა/
მოვხადოთ, იგი ვერ შემძლებელ არს მოსლვად ჩვენ თანა. უკეთუ
ჩვენ არა ვაწვივინეთ, არა ძალ-უც მას ვნებად ჩვენდა. მაშინ გვევენე-
ბის მისგან, ოდეს მოვაკლოთ კეთილისა საქმე. მაშინ გვევენების
მისგან, რაჲამს მოუძღურდეთ მადლისაგან და მოვინებოთ
ცოდვა, რამეთუ ცოდვასა ჩვენსა იხმარებს ჩვენ ზედა საჭურველად
და მახვილად და მით გეწყლავს და მოგვაკვდინებს ჩვენ.

ამისთვის მიუწერს წმიდა პავლე პ რომაელთა: „ნუცა წარუდგი-
ნებთ ასოთა მაგათ ჩვენთა საჭურველად სიკრუისა ცოდვათა“.

562 ჰხელადა, რამეთუ ასოთა ჩვენთა და ცოდვათა ჩვენთა უქმევს
საჭურველად მისა? სახედ თქმულთა, ხეთა პრქვეს ცულსა: «თუმცა
ტარი შენი რტოთაგან ჩვენთა არა გესხნეს, არა ძალ-გიც მოკვეთა
ჩვენითა». ეგრეთვე, საყვარელნო, უკეთუ გულისთქმათა ჩვენთა
რტონი ცოდვათანი არა პოვა ეშმაკმან მახვილად და საჭურველად,
არა ძალ-უც ვნებანი ჩვენნი. იოვანემან, დღეს შობილმან, ოდეს
ქრისტეს ნათელ-სცა, ლელვათა დაანთქა ეშმაკი, იოანეს თქმულისა
კრავისა მიერ ქვესკნელად შთაჲდა მაცთური, ისაკის ნაცვლად დაჟ-
ლულისა ცხოვარისა მიერ ჯოჯოხეთსა შთაყრილ-იქმნენ ვეშაპნი
და გველი ადამის გამომძღელი. და შენ გიწვეს ქრისტე საძილოსა
ზეცისასა, მიგიძღვის იოანე გზასა წრფელსა და კეთილსა, რათა
აღგვიყვანოს სასუფეველად.

563 რად უკუმოქცევი იოანეს? რად არა ეწვევი/ ქრისტესა? რად
შეიყვარებ სოფელთა გემოვნებათა? რად აჰსნი ჯვარისა მიერ დაბ-
მულსა ეშმაკსა? რად მოისტუმრებ ნებითა შენითა მტერსა შენსა?
რად შეიკრავ თავით თვისით პელთა შენთა და მიეცემი პელთა მტე-
რისათა? რომელსა ხელსა უქმნიეს ესე, გინა განცოფებულსა ანუ
ულონოხა და უღებსა ნებსით თვისით?

ნუ, ძმანო საყვარელნო, მოვეგნეთ გონებასა, ვევედრნეთ დღეს
შობილსა იოანეს და ესრეთ ვეტყოდეთ: «პოი, დიდო წინასწარმე-
ტყველო, რომელმან მუცლით გამო ჰქადაგე დაჰბადებელი და გან-
ჰსენ საკრველნი დედისა ბერწობისანი და აღახვენ უტყვებანი მამი-

სა შენისანი და ჰქადაგენ სინანულნი ცოდვილთანი! შენ გვედრებით, შეგვიწყალენ მონანულნი ესე და მონღობილნი/ მეოხებათა შენთა წრფელითა გონებითა, მკურვალითა გულითა, ცრემლიანითა თვალითა, მკვნესარიითა სულთქმითა».

564

და ჰეშმარიტად მეოხ გვეყენეს და მოგვეტევენეს ცოდვანი ჩვენნი იესუ ქრისტეს მიერ ძისა ღმრთისა უეჭველად.

უკეთუ არა, ორგულებითა მთქმელთა და კაცთა მაჩვენებლობისა მოქმედთა შეურაცხად მოგვიგებს: «ნუ შევედრები, ნუ შერები. მრავალნი მინახვან მსგავსნი შენდა, ვითარცა ფარისეველი, იგი, რომელი აყვედრებდა მეზვეერესა და აქადებდა ღმერთსა ქველის საქმესა თვისთათვის; კვალად იუდა, რომელმან შეინანა და თქვა: საქმე ბოროტი ვყავ, და დააბნია ვეცხლი იგი და შიშთვილ იბა; გინა პეროდე, რომელსა არა უნდა მოკლვა ჩემი და მსგავსი ამისი»...

ნუ, ძმანო საყვარელნო, ნუ ორგულებით შეუერდები, ანუ ამპარტავნებით ვევედრებით სინანულისა ჰადაგსა, რამეთუ ამან გვასწავა ჩვენ ცოდვითა გზა სინანულისა, რომლისათვისა იტყვის მგალობელი: „არს სინანული, ნურგინ წარიკვეთთ სასოებასა“.

565

ვინაჲთვან სინანული არს და გზა მონანულთა იოანე, მონანულთა შემწყნარებელი ქრისტე, რომელი იტყვის: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“¹, ჩვენცა მივივლტოდეთ მისა, რომელი მოვიდა ცოდვილთა სინანულად, და ვრბოდეთ გზასა იოანე სინანულითა ჰადაგისასა, რათა მოგვეტევენეს ცოდვანი ჩვენნი და ღირს ვიქმნეთ სასუფეველსა სადიდებლად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.

38. სწავლა ზმიდათა მოციქულთა ღმრთისაწაშლისა.

566

„კუთხეულ არს ღმერთი და მამა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელმან მაკურთხნა ჩუენ ყოვლითა კურთხევითა მით სულიერითა, ცათა შინა ქრისტეს მიერ, ვითარცა იგი გამოგვიჩვენა ჩუენ მის მიერ უწინარეს სოფლის დაბადებისა, რათა ვიყვნეთ ჩუენ წმიდა და უბიწო წინაშე მისსა“ — პავლე მოციქული მიუწერს ეფესელთა ა, დ².

იხილეთ, საყვარელნო, ვითარ უწინარეს სოფლის დაბადებისა გამოირჩინა წმიდანი მოციქულნი ღმერთმან, სიბრძნით განმგებელ-

¹ მათე 9, 13.

² ეფესელთა 1, 3 — 4.

მან ყოველთამან, რამეთუ საიდუმლონი დაფარულნი შემოქმედისა-
ნი ჟამთა უკანასკნელთა საცნაურ იქმნეს.

567 რამეთუ დასაბამსა შექმნა ღმერთმან სამყარო, და ორნი სფე-
რონი სხვანი, და ერთი ცა ვარსკვლავთა და შეიღნი სარტყელნი ცა-
თანი შეიღთა მათ ცთომილთანი, რომელ არიან/ ვარსკვლავნი მოძ-
რაენი: კრონოსი, დია, არია, მზე, აფროდიტი, ერმი და მთოვარე, და
დასასარულსა მათსა ეთერი, რომელ ამათ მიერ განათლდების ქვეყა-
ნა და ის ავსებს ნაყოფითა და ივლტიან მკეცინი ღამისანი.

რ'ხოლო არს რიცხვი ცათა ამათ ვიდრე ათორმეტ მოსასწავებე-
ლად ათორმეტთა მათ მოციქულთასა, რამეთუ შეიღნი იგი ვარსკვ-
ლავნი შეიღთა საიდუმლოთა მომასწავებელ არიან, რომელი მოგვე-
ცემის მოციქულთა მიერ.

568 კვალად შექმნნა ათორმეტნი ზოდნი: ვერძი, კურო, ტყუბა,
კირჩხიბი, ლომი, ქალწული, სასწორი, ღრიანკალი, მშვილდოსანი,
თხის რქა, წყლის საქანელი, თევზი, რომელთა შინა ვალს მზე და/
მათ [მიერ] მოეცემის ქვეყანასა წვიმა, თოვლი, ქარი, დარი და ნაყო-
ფიერება.

569 ეგრეთვე სახენი ათორმეტთა მათ მოციქულთანი დასხნა, რამეთუ:
ვერძი, პირველი ზოდიაქო, ემსგავსების მშვიდსა თავსა მოწაფეთა-
სა, პეტრეს, ხოლო კურო — ლუკას, მუშაქსა სახარებისასა, ტყუ-
ბი — თომა მარჩვიბსა, კირჩხიბი — სვიმეონ განხერხილსა, ლო-
მი — მარკოზს, ქალწული — იოანეს, სასწორი — მათეს, სიმართ-
ლისა მწერალსა, [ღრიანკალი] — იაკობს, რომელმან უწერტა ყო-
ველთა ფარისევლთა და მოაკვდინა გესლოვანება მათი, მშვილდო-
სანი — ბართლომეოს, რომელმან მოინადირნა წარმართნი, თხის
რქა — ფილიპეს, რომელი ჰკურნებს მოწყულულთა, წყლ/ის საქანე-
ლი — პავლეს, რომელმან მოარწყო ქვეყანა მდინართა სიტყვითა,
თევზი — ანდრიას, რომელმან შტიპყრნა კაცთა მკამელნი თევზნი.
რომელთა ზედა ვალს ქრისტე და ამათ მიერ მოეცემის ქვეყანასა
წყალობა, მშვიდობა, სიმართელე და ნაყოფიერება, რომელთათვის
მგალობელნიცა იტყვიან: „ამჟედრდი ეტლთა მოციქულთა შენთა,
საუკუნო“ და შემდგომი ამისი.

570 კვალად დასხნა წელიწადად თვენი ათორმეტნი და დღეთა ჟამნი
ათორმეტნი, რათა ყოველნივე ჟამთა მოქცევანი სახელსა მათსა ქადა-
გებდენ, შემდგომად გამოიჩინა ათორმეტნი ძენი ისრაელისნი
ტომად-ტომადნი, განამრავლნა, რომელთა თესლთა ეწოდა/ მონანი
ღმრთისანი, ხოლო სხვათა ნათესავთა უცხო თესლნი, რომელნი
არიან მოციქულთა მომასწავებელნი, რამეთუ რომელთა ისმინეს

სიტყვანი ამათნი, შვილ ღმრთისა იქმნეს, რომელთა — არა, და აწცავე უცხო თესლ არიან.

ამის სახისათვის აპრონს გამოსლვათას იზ თავსა შინა: თვალთა დასხმა სამოსელთა თვისთა, რათა მოციქულთა მიერ შეიმკობოდეს სახლი ღმრთისა, ეკლესია — ახალი კარავი საწამებელი, სამირდელო წესი სჭულიერებისა.

გამოსვლათა იზ თავსა შინა: ამისთვის მოსწრაფა მოსე სმად უდაბნოდ ელმინს ათორმეტთა წყაროთა მიმართ და სამეოცდაათთა ხეთა დანაკის კუდოვანთა, რათა ათორმეტნი წყარონი ათორმეტნი მოციქულნი არიან და მომრწყელებნი ყოვლისა/ სოფლისანი და სა-
მეოცდა ათნი ხენი დანაკის კუდისანი — სამეოცდა ათნი მოწაფენი

571

გამოსვლათა კლ: ეგრეთვე მთასა სინასა აღასხნა სამეოცდა ათნი მოხუცებულნი სმენად სიტყვისა ღმრთისა და აღუშენა საკუთხეველი ქვითა.

ეგრეთვე ისო ნავეს ზე წასლვასა კიდობნისასა დაეყენა იორდანე და დამტენარდა და განძღეს კმელად. და უბრძანა ღმერთმან აღება. მუნით ქვათა ათორმეტთა და დამარხებად მოსაქსენებლად დღისა მისთვის.

ესრეთ იწყო უფალმან წინასწარ მოსწაეება, რაჟამს ეგულებოდა გამოცხადება საიდუმლოჲსა მის დაფარულსა. ძისა თვისისა განაორციელებისათვის, რომელნი მისცნა მას ათორმეტნი მოციქულნი, რომელნი გამოირჩივნა ქრისტემან სოფლისა ამისგან და/ სამეოცდა ათნი მოწაფენი მას თანა მყოფნი; და წარავლინა ყო-
ველთა სოფელთა ქადაგებად და თესვად თესლისა მის კეთილისა საყანურთა გულისა ჩვენისთა, რომელთაგან ნატყორცნი იფქლნი შთავარდნილ არს ჩვენ ყოველთა საცნობელთა შინა.

572

ვითარცა იტყვის დავით: „ყოველსა ქუეყანასა განძღა კმაჲ მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი“¹, თქვენდა მომართცა მო-
უწვიან, ძმანო, ქადაგებასა მათსა.

აწ ვინაჲთგან იფქლი მათი დათვისილ არს თქვენ შორის, ნუ ეკალთაგან შეაშთობთ და ნუცა ფრინველთა აღაკრებინებთ, რათა არა სიტყვა მიგეჲდაღოსთ მათგან, რომელთა ქრისტემან პირველ მოსწავებულთა აწ თვით მიანიქა, რომელთა მიუტევენთ, მიეტევენ და, რომელნი შე/იპყრნეთ, შებყრობილ იქმნენ. ძალ-უც ჩვენდა წმიდა-
თა მათ მოციქულთა მეოხებად ჩვენდა და შესმენად, ვინაჲთგან
რჩეულნი ღმრთისანი არიან და პირველად ცათა დაბადებამდე

573

¹ ფს. 18, 5.

გამოირჩინნა მამამან ზეცათამან და მოგვივლინნა ჩვენ ქვეყნისა ცოდვილთა მოსაქცეველად.

აწ რომელთა გაქვსთ დათესილი სიტყვათა მათგან და მიგიცემისთ ნაყოფი ასეული, განსრულებულ ხართ და ნურღარა დააქლებთ წლითი-წლად. რომელთა გაქვსთ ნაყოფი სამოციეული და ოცდაათეული, თქვენცა აღვივისთ სასწაული. არამედ რომელთა აღმოაცენეთ და შეაშთვეს ეკალთა, განმარგლენით გონებანი თქვენნი ვეცხლის მოყვარებისაგან, და სოფლისა ამის დიდებისაგან და დღეის წაღმართ კეთილ ნაყოფიერ იქმნენით. რომელთა არა გაქვსთ სიღრმე მიწისა, და მზისა სიმსურვალემან განაჰმო. შესძინე საბოება და გულსმოღვინება და მოეცეს გონებასა შენსა სურვილი სასუფეველისა და არღარა განაჰმოს სიცხემან ამის სოფლისამან ნაყოფი შენი. ეგრეთვე, მზად გონებისა მქონებლო, ნუ აჰმევე იფქლსა მოციქულთა თესულსა ფრინველსა უხილავსა და განაძიენ შენგან, რათა სიტყვის მიცემად მიგაძიან დღესა მას საშინელსა, რომელთა ეტყვის თვით ქრისტე მოციქულთა სახარებასა შინა: „თქუენცა დასხდეთ ათორმეტთა საყდართა განსჯად ათორმეტთა ტომთა ისრაელისათა“¹.

574 მას უამსა/ რაიმე ვყოთ, ოდეს გვიკითხევდეს ჩვენ მაშინ მოციქულნი: ქადაგებულისა ჩვენთა რომელნი დაიმარხენით და ნათესავთა ჩვენთა ნაყოფნი რა მომიძღვენით, შრომათა ჩვენთა სარეწავი რა მოიღვეით, რათა მიგიძღვეთ წინა და მიუძღვნათ ქრისტესა? რაიმე მიუგოთ? ვაი, ვითარ საზარელ იქმნების დღე იგი!

საყვარელნო, სეფეწული ვინმე იყოს მწყალობელი თქვენდა და მარადის გასწავებდეს მსახურებასა და მორჩილებასა მეფეთასა და შორითაცა წიგნითა გწვრთიდეს, რათა არა უგულბებლს-ჰყო, და მეხვაიშნედ შენდა მდგომარე იყოს კართა უფლისა თვისისათა; შემდგომად შენ არა-ჰყო თქმულთაებრ მისთა და ყოველივე სიბოროტე აღ/სარულო, ოდეს მოვიდეს უამი მოსლვისა მეფისა და მიგიყვანონ წინაშე მისსა და შეგემთხვიოს მწვრთელი შენი მეფესა თანა მეხვაიშნე, რამცა უნდა მიუგო მას სიტყვა?

576 აქა განიხილე: ოდეს მოგიყვანებდენ წინაშე მოციქულთა, რომელნი არიან მეხვაიშნენი ჩვენნი და ფრიად დაამაშვრალნი, უკეთუ არა გვაქვს რა ნაყოფთაგან მისთა მისაღებელად, ფრიადი ვაება იქმნების ჩვენ ზედა.

ნუ, ძმანო, მოვიტყეთ ბოროტისაგან და ვევედრნეთ წმიდათა მათ მნათობთა სოფლისათა, რომლისა მიერ ცოდვილნი განიწმიდებიან მოციქულთა უფლისათა და ვეტყოდეთ: «ჰოი, სანატრელნო და რჩეულნო უფლისანო, მწყემსნო კეთილნო და დევნულბასა ჩვენსა

¹ მათე 19, 28; ლუკა 22, 30.

და ზადილსა შინა/ დამაშვრალნო, მოქცეულ ვართ წარსაწყემდელნი 577
ესე და მოვივლტით თქვენდა! ნუ უგულვებელს გეყოფთ, რომელი
არა მიაქცევთ მრავალ მკოდველსა სირცხვილეულსა. ჩვენცა გვეყ-
ვით ერთი მათთაგანი და გვიოხეთ წინაშე თქვენგან ქადაგებულისა
ქრისტეს ღმრთისა თქვენისაჲ.

უკეთუ მრავლითა გულითა და შეუორგულებელითა სასოებითა
ვევედრენით, დაღაცათუ იყოს ცოდვანი ჩვენნი უდიდეს მათთა და
უმრავლეს ქვიშათა, ჰეშმარიტად ძალ-უც მეოხებად ჩვენი და მო-
ტვევებად უფლისა მიერ, რამეთუ მათ ჰრქვეა უფალმან უკუნისამდე:
„თუ ჰრქუათ მთასა ამას: აღიფხუარ, აღიფხუარს“, და სხვაგან
ჰრქვა: „მიმიცემიეს თქუენდა [ქელმწიფება] დათრგუნვად გუელთა,
და ღრიანკალთა და ყოველთა ძალთა მტრისათა“².

ამისთვის ძმანო, ნათესანი მათნი ნაყოფიერ ვყვენთ და ვრწყვი- 578
დგთ სწავლათა მდინარითა კითხვითა წერილთა მათთა, და ჯეჯილთა
მათთა, მარადის განვმარგლიდეთ ეკალთა და შამზნაროვანთაგან
აღსარებითა წინაშე მოძღვართაჲთა, რათა არა შევშოთ ყანა იგი
იფქლ-წმიდა, რომლისათვის წარავლინნა იგინი სამკალად ქრისტე-
მან.

მოგრწყოთ კალონი იგი, სადა განილუწებიან გეამნი ჩვენნი
ცრემლითა, რათა ზევი იგი ზეარბალთა არა შეიმწიკვლოს, და განვე-
ნიავნეთ ბზენი იგი ქართთა სულთქმისაჲთა, რათა დასაწყელი რაჲმე
არა მიჰყვეს თანა, ოდეს მივიხმევდეთ იფქლთა ჩვენთა საუნჯეთა
შინა ქრისტესთა, რათა არა სირცხვილეულნი გვიხილნეს ზედა
მდგომართა მათ ჩვენთა, რომლისაგან დაგვეეთესა იფქლნი იგი წმი- 579
დათა ქადაგებათა მისთანი, რათა სიხარულითა/ აღვსებულნი მივე-
ყვანნეს სამსჯავროსა მას საშინელსა და ჩვენ მადლითა მისითა სავ-
სენი უშიშრად მოველოდეთ სასუფეველსა ღმრთისასა და დაუსრუ-
ლებელსა ნეტარებასა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

39. სწავლა აბგისტოს 6. ფარისცვალებრისათვის და საპვირ-
ვილისა და არა-საპვირვილისა მოსხეს მიერ და ელიას მიერ
თქმულთათვის.

„უფსკრული უფსკრულსა ზადის მითა ზეგარდამოჲთა“ — და-
ვით იტყვის შა ფსალმუნსა შინაჲ.

ისმინეთ, საყვარელნო, თქმულნი წინასწარმეტყველისანი, ვითარ

¹ მათე 17, 20.

² ლუკა 10, 19.

³ ფსალმუნი 41, 7.

გამოაჩინა წინასწარ კმა იგი მამისა, რომელი იყო ზეცით დღესა მას, ოდეს ძემან ღმრთისამან იესუ წარიყვანა პეტრე, იაკობ და იოანე და აღვიდა მთასა მაღალსა და იცვალა მათ წინაშე სხვად ფერად: განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, და სამოსელი მისი, ვითარცა თოვლი. და/ მისთანა ზრახვიდეს მოსე და ელია, და კმა იყო მისა ზეცით უფსკრულისა მისგან მიუწდომელისა მამისა მის, რომელმან გვიჩვენა ჩვენ ძე მისი საყვარელი, თანა არსი ღმრთაებითა, და უფსკრული მიუწდომელეებითა, რომლისათვის იტყვის დავით იჴ ფსალმუნსა შინა: „მაღალმან მოსცა კმაჲ მისიო“¹. მამამან მაღალმან მიუწდომელმან მოსცა კმა თვისი, რათა გულისხმა-ყონ მოციქულთა, ვითარმედ: იესუ არს ძე ღმრთისა, „მაღალმან მოსცა კმა“, რათა მოწაფეთა დაამტკიცონ, რამეთუ: თანა არსი არს მამისა მოძღვარი მათი და არა კაცი ლიტონი, ზრახვიდეს მის თანა მოსე და ელია ვნებისათვის, რა იგი იქმნა იერუსალიმსა შინა, რათა მაშინ მოექსენენ მოციქულთა, ვითარმედ: ვნება იგი განზრახვით არს მამისა და ნებსით ძისა და არა შეორავულდენ.

581 საყვარელნო, აღვიდა ქრისტე დაბლი/სა ქვეყნისა მიერ მთასა მაღალსა, რათა გვასწავოს ჩვენ, მიწიერთა, ჰორცითა ამით აღსლვა ზეცად.

დაუტევოთ ჩვენცა ზრუნვანი ქვეყნისა[ნი] და აღვიდეთ მთასა მაღალსა სათნოებათასა, რათა მუნ გვესმნეთ კმა ღმრთისა საცხოვრებლად ჩვენდა.

ქრისტემან აღიყვანა სამნი მოყვასნი თვისნი, რათა აჩვენოს სუფევა ღმრთისა.

ჩვენცა აღვიტანოთ თანა სამნი მოყვასნი სულთა ჩვენთანი: გონება, ცნობა და სასოება, რათა ჩვენცა ღირს ვიქმნეთ ხილვად დიდებასა ღმრთისასა. უკეთუ დაუტევოთ და განვეშორნეთ სოფლისა ამის სიღრმეთა და დავშვრეთ აღმამავალობითა და დავდგეთ თხემსა ზედა მთათასა, რომელ არს მტკიცე სარწმუნოება და კეთილ მოქმედება, მაშინ განაბრწყინოს/ იესუმ, უფსკრულმან მოწყალეებისამან, პირნი ჩვენნი, ვითარცა მზე, რამეთუ იტყვის პირითა უტყველითა: „რაოდენი მე ვიქმენ, რომელსა ჰრწმუნენს ჩემი, მან უღდიდესი ქმნესო ჩემგანო“².

განვრცხათ სამოსელნი სულთა ჩვენთანი ცრემლითა მღუღარი-თა, რომელნი შევამწიკვლეთ ცოდვითა, რათა იქმნეს სპეტაკი, ვითარცა თოვლი, რომლისათვის იტყვის დავით ნ ფსალმუნსა შინა:

¹ ფსალმუნი 17, 14.

² იოანე 14, 12.

„მასხურო მე უსუპითა, განმწმიდო და განმბანო მე და უფრომს თოვლისა განვსპეტაქენ“¹.

განვიფროთხოთ ძილისაგან მძიმისა, ვითარცა მოწაფეთა, რომელთა გვამძღაფრებს უღებება ჩვენი, რათა ვიხილოთ ღმრთაება ჩვენთვის განკაცებულისა ქრისტესი, რათა ჩვენცა აღგვადგინნეს დაცემულნი და განგვაძლიერნეს/. ვქმნათ სამ ტალავარ სულთა, გონებათა და საცნობელთა ჩვენთათვის ქრისტეს საფარველისა რტოთაგან, რათა სიმპურვალემან სოფლისა ამისა ტრფიალებ[ისა]მან არა დაგესიციხნეს.

ყურნი მიუპყრნეთ და ვისმინოთ მოსესი და ელიასი, რასა იგი ზრახვენ ქრისტეს თანა შესაძრწუნებელისა მის ვნებისათვის ჯოჯოხეთად შთასლვისა და აღღგომიანათვის და გამოვსახნეთ გულთა შინა ჩვენთა ვნებანი ქრისტესნი. დავადგრეთ მას ზედა, რათა მისთანა ვნებულთა მისთანავე ლხინებასა ღირს ვიქმნეთ.

ვისმინოთ მოსესი და ელიასი, რასა იგი ზრახვიდეს განსაკვირვებლისა მის ვნებისათვის და იტყოდეს რომელსამე საკირველსა და რომელ/სამე არა-საკვირველსა:

(მიმწუხრი სერობასა და კურთხევისა პურისასა იტყოდეს არა-საკვირველსა, ხოლო შორცა კაცისასა საქმლად და კაცთა საცხოვრებლად — საკვირველსა; ლოცვასა მპურვალესა და დაერდომასა — არა-საკვირველსა, ხოლო სისხლისა ოფლისა დინებასა — საკვირველსა; მოწაფისაგან გმობასა — არა-საკვირველსა, ხოლო ღმრთისა განსყიდვასა — საკვირველსა; კბცისა შეპყრობასა და ერთა სიმრავლისა მიტევებასა — არა-საკვირველსა, ხოლო შეპყრობილთა პირადღმა დაცემასა — საკვირველსა; შეკრულსა სამსჯავროდ წარდგომასა — არა-საკვირველსა, ხოლო დაბადებულთაგან დამბადებელისა განკითხვასა — საკვირველსა; გვემასა, ტანჯვასა და ჯვარცმასა — არა-საკვირველსა, ხოლო უყამოდ მზისა დაბნელებასა — საკვირველსა; განძარცვასა, განშოშვლებასა — არა-საკვირველსა, არამედ კრეტსაბმელისა განუებასა — საკვირველსა; ჯვარსა ზედა დამსკვალვასა — არა-საკვირველსა, არამედ ქვეყნისა შერყევასა — საკვირველსა; გვერდისა განღებასა — არა-საკვირველსა, არამედ კლდეთა განჰეთქა[სა] — საკვირველსა; გარდამოქსნა[სა] და საფლავსა დაღება[სა] — არა საკვირველსა, არამედ გვამთა განუხრწნელობა[სა] — საკვირველსა; სუდართა შინა შეკრვა[სა] — არა-საკვირველსა, არამედ საუკუნითგან კრულთა და შებორკილებულთა განქსნა[სა] — საკვირველსა; ჯოჯოხეთად შთასლვა[სა] — არა-საკვირველსა, არამედ

¹ ფსალმუნი 50, 7.

586 ჯოჯოხეთსა შინა პერობილთა აღმოყვანება[სა] — საკვირველსა/.
საფლავისა დაბეჭდვა[სა] — არა-საკვირველსა, არამედ მკვდრებით
აღდგომა[სა] და მოწაფეთა თანა კართა კშულთა შესლვა[სა] —
საკვირველსა, მოციქულთა კურთხევისა — არა-საკვირველსა, არამედ
პორცთა ზეცად აღმალღებ[სა] და ჯოჯოხეთით ქსნილთა მათ თანა
აღყვანება[სა] — საკვირველსა.

ამას ზრახვიდეს მოსე და ელია, ესე ესმოდათ მოციქულთა მათ,
რომელთა ჩვენცა თანა გვატ სმენად ამათ ყოველთა და რწმუნება
მათი.

მარადით საყვარელნო, ჩვენცა ვიცვალნეთ ფერნი ცოდვთა
ჩვენთანი, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი ესაია: „უკეთუ
იყვნენ ცოდვანი თქუენნი მეწამულ, ვითარცა მატყლი განვასპე-
ტაქნე“¹.

587 აწ, საყვარელნო, განვიცადოთ კაცად-კაცადმან სვინილისი თვისი
და მიე/ისწრაფნეთ აღსარებისა მიმართ, რომელი გვიცვალებს
ფერთა მათ ცოდვისათა და განასპეტაკებს. ვიცვალთ დღეს
ზნენიცა ჩვეულებათა ჩვენთანი, რომელნი გვიქმნიეს ურჩებითა
უფლისაათა და მოვეგნეთ თავთა ჩვენთა და დავადგრეთ ნებასა
მეუფისასა, რომელ არს სათნო-ყოფა მისი, და არღარა შევესძინოთ
ცოდვასა ზედა ცოდვა. ვიცვალთ ჩვენცა წაღიერება პირუტყვებ-
რივი და მოვეგნეთ გონებათა ჩვენთა და ვბაძვედეთ პირმეტყველთა
კაცთა მათ წმიდათა, რომელნი ვიდოდეს გზათა უფლისათა მარა-
დის. ვიცვალთ მიდევნება სოფლისა ამის და ზრუნვანი ამაონი და
588 წუთსა შინა განქარებებლ[ნი] და ვპოოთ გზა მი/მყვანებელი კართა
სასუფეველისათა, რათა მუხით გვესმას მამა იგი ტკბილი მამია
ზეგარდამო: «ესე არს მონა ჩემი მონანული, მაგისი ჭერ მიჩნს
ცხოვრება», რათა გვესმას მამა იგი საწადელი ძისა ჩვენთვის
ჯვარცმულისა: «ესე არს მსახური ჩემი, რომელი მოვიციდეს სისხ-
ლითა ჩემითა. მაგისი მნებავეს შეწყვალება», რათა გვესმას მამა
სანატრელი სულისა წმიდისა: «ესე არს კაცი მცოდველი, რომელ-
მან დაუტევა და მოიქცა ჩემდა. მაგისი მნებავეს განწმედა», რათა
გვესმნეს მამანი ბრწყინვალენი ყოველთა წმიდათანი, ღმრთისა
მიმართ სიხარულით მღალადებელნი: «ესე არს მოყვასი ჩემი. მაგისი
მნებავეს აქა ყოფა ჩვენთა».

589 და ესეთითა დიდებულისა მმისა სმენათა მიერ მხიარული და
დიდისა დიდებისა მიერ აღვსილი, ზეციერისა პატივითა შემკული,
სიხარულითა უოხტნოათა დამთვრალი მივიწვივნეთ სამყოფსა

¹ შლრ. ესაია 1, 18.

მას ანგელოზთასა, სუფევასა მოუკლებელსა, პატიოსნებასა დაუსრულებელსა, უკვდავებასა საუკუნოსა, განსვენებასა უკუნისამდე. ამინ¹.

40. აბვისტოს იე. სწავლა მიცვალებიანთვის ყოვლად
წმიდისა ღმრთის-მშობალისა და მარადის
ძალაწულისა მარიამისი

„მთა ესე რომელ სთნდა ღმერთსა დაძკვდრებად მას ზედა და, რამეთუ უფალმანცა დაიმკვდროს იგი სრულიად, ეტლნი ღმრთისანი ბევრ წილ არიან და ათასეულნი წარუმართებენ მას“ — იტყვის დავით წინასწარმეტყველი და მეფე 6² ფსალმუნსა/ შინა². 590
ხოლო ამას თარგმნის დიდი ათანაჲ წმიდა მღვდელთაოძღვარი ალექსანდრიელი ესრეთ: „რამეთუ მთა, რომელი სთნდა დაძკვირებად ღმრთისა, მარიამ არს, წმიდა ღმრთისმშობელი, რომელი დაიმკვიდრა უფალმან სრულიად. და ეტლ ღმრთისად იტყვიან წმიდათა მოციქულთა, რომელნი შემოკრბენ მიცვალებასა მისსა“, რომლისათვის იტყვის მგალობელი ძლისპირთა მეორისა გვერდისათა: „ამჟედრდი ეტლთა მოციქულთა შენთასა“.

და ათასეულნი წარუმართებენ მას, მამინ მოვიდენ სიმრავლე ბევრეულთა და ათასეულთა ანგელოზთა ზეცისა ძალნი, ოდეს აღიყვანებდენ მარიამს სასუფეველად და წარუმართებდენ მას, რამეთუ მიცვალებასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა მოვიდა თვით უფალი ჩვენი სიმრავლითა ანგელოზთაათა და წამის ყოფამან მისმან შემოკრბნა მოციქულნი კიდითგან ქვეყნისათა. და რომელნიმე მკვდრეთით აღდგენ, და მოვიდენ მიცვალებასა წმიდისა მარიამისსა და იხარებდენ სულითა. არა თუ ტიროდენ მიცვალებასა მისსა ზედა, არცა იგლოვდენ, არცა მწუხარე იყვენს, არამედ იხარებდენ სულითა და გონებითა, რამეთუ დედა უფლისა ქვეყნით ცად მიიცვალა. იხარებდეს: ვინაათგან კაცება ღმრთისა თანა მოზიარე იქმნა და ასული კაცთა ქვეყნიერი ზეცას დედად ღმრთისად დაეწესა. მხიარულ იყვენენ მამინ ყოველნი, რამეთუ განგდებულის ადამის შობილი ძისა ღმრთისად მშობელად გამოჩინებული დაჯდა ძისა თვისისა თანა, რათა განწმიდოს ცთომილება კაცთა ნათესავისა და მარადის მეოხ იყოს ტომთა ადამისთა და ნათესავად წოდებულთა თვისთათვის. ამისთვის მხიარულ იყვენეს, ვინაათგან მარიამის 592

¹ ხელნაწერი უმატებს: „ქრისტე, შეიწყალე სულხან-საბა ორბელიანი“.

² ფს. 67, 16 — 17.

აღსლვამან განაფართა და ადვილ საეალ ყო გზა იწრო და საჭირო სასუფეველად მიმყვანებელი. იხარებდეს ამისთვის, რამეთუ მარია-მის აღმადლებამან დაქსნა მტერობა ანგელოზთა და კაცთა, და დაიზავნეს და მეგობარ იქმნეს.

მარიამ, დაი მოსესი, წინა უძლოდა ისრაელთა და განასხნა ზღვასა მეწამულსა და აღიყვანნა მთასა სინასა, სადა ეტყოდა ღმერთი მოსესს; ხოლო მარიამ, დედამან ქრისტესმან, დღეს გამოიყვანათ დღევათაგან ამის სოფლისა ზღვისათა და მიგიძღვისთ ალყვანებად მთასა წმიდასა, სადა არს მთავრობა ღმრთაებისა ძისა მისიაა.

გესმისთა, ვინა მიგიძღვისთ ზეტასა?

უწყითა, ვინა განგიხვამთ კართა სასუფეველისათა?

იცითა, ვინა დაჯდების მე/ოხებად თქვენდა ძისა თვისისა თანა?

593 — მარიამ, ნათესავი თქვენი და წმიდა მშობელი იე/სუსი.

საყვარელნო, დღეს თქვენდაცა ჯერ-არს შემოკრბეთ წმიდა[სა] ამას დღესასწაულსა, დღეს თქვენცა თანა-გაცთ, რათა იხარებდეთ სულითა, ვინაფთგან წმიდა მარიამ მარადის მეოხ არს თქვენთვის ძისა თვისისა თანა და ეტყვის დაუცხრომელად:

— «ძეო ჩემო და ღმერთო ჩემო, შეიწყალენ ნათესავნი ჩემნი, რომელნი შექმნეს ჰელთა შენთა, და ურჩებისა მიერ დასჯილნი არა უგულებელს ჰყავ, ვინაფთგან მოიძიე ჩემით, და დამდაბლდა და ჰორცი. შეისხენ ჩემ მიერ ქალწულსა. მოიხსენე აღზრდა ჩემ მიერ და წოვნა ძუძუთა მიწიერთა; მოიხსენე შრომა შენი და ყვედრება ჰურიათაგან, რომელმან კაცთა მსნისათვის ესეოდენი

594 ილოცენ/, ვიდრე ოფლნი შენნი იქმნეს, ვითარცა სისხლნი, რომელმან ესეოდენნი გვემანი თავს ისხენ; ტყავნი შენნი დაიბრძანეს სრულიად ჰორცთა შენთანი, რომელი განგაშიშვლეს და დამოგვიდეს ჯვარსა, ვითარცა ძვირისმოქმედი, და განმსჭვალნეს ჰელნი და ფერხნი შენნი და განგვირმეს გვერდი შენი ცხოველსმყოფელი; და დაწერტეს თავი შენი ეკლსა გვირგვინითა და მწყურვალსა გასმიდეს ძმარსა და ნალველსა და მე, შეიწრებული, მწუხარე დედა, გიჭკერტლი სისხლ-ცრემლ-მდინარითა თვალითა და მკენესარე მწარისა სულთქმითა და ვვაებდი შენისა სიკვდილისათვის; ხოლო შენ, მეუფე ჩემი, ნუგეშინსა-მცემდი და მეტყოდი: ნუ სტირ,

595 დედაო ჩემო, ნათესავთა შენთათვის დავით/მენ წყლულეზასა ამას, რათა არა ტომნი და ნათესავნი შენნი იქმნენ მონა ეზაკთა და მკვიდრ ჯოჯოხეთისა. აწ, ჰოი საყვარელო ძეო ჩემო, და ტყბილო და მოწყალეო მეუფეო ჩემო, მოიხსენენ ტანჯვათა შენთა ტყვილნი, რომელნი მას ჟამსა დაითმინე, მოიხსენე აღთქმა ჩემი, რომლითა ნუგეშსა მცემდი მე, შეიწყალენ ნათესავნი ჩემნი, ძენი ადამისნი,

რათა არა დღესა მას საშინელსა ოდეს დასჯდე საყდრად სამსჯავროთა, განსჯად ცოცხალთა და მკვდართა, მაშინ სირცხვილელ იქმნენ ნათესავნი ჩემნი. მეშინის, რათა არა მიეცენ მას უამთა პელთა ეშმაკთასა ჯოჯობებით აღმოტაცებულნი შენნი. საწუხ არს, უკეთუ დადგენ მარცხენით კერძო შენსა.

«რა/დმცა ილოცვედი პირთა ზედა დავრდომით, თუცა მოიძულ-
ნე შენგან გამოჰსნილნი? რადმცა განისყიდე იუდასაგან, თუცა
წარსწყმიდო სისხლით მოსყიდულნი შენნი? რაჲსათვის მოიბი საბე-
ლი ყელთა და შეიკარ თოკით პელნი შენნი, უკეთუ მისცნე შეკრულნი
ქრისტიანენი პელთა ეშმაკთასა? რაჲსათვის ინერწყვე პირსა მაგას
საღმრთოსა, უკეთუ სარცხვენელ ჰყო ნათლისღება-შემოსილნი
სულნი? რაჲსათვის განშიშვლებული საიციხელად მოჰკვედი, უკე-
თუ განაშიშვლო მადლისაგან შენისა კაცნი? რაჲსათვის გდიოდის
ბექთა შენთა სისხლი, უკეთუ ცოცხალსა მისცნე ადამიანნი? რად
დაითმინე ტყვილნი პელთა/ და ფერჰთა დამსკვალისა, უკეთუ მწა-
რედ იტანჯებოდენ ნათესავნი ჩემნი? რად განიგმირე გვერდი შენი,
უკეთუ გველნი და ვეშაპნი ცეცხლისფერნი სტანჯვიდენ სულეშსა?
რაჲსათვის დაიწერტე თავი შენი ეკლისა გვირგვინისა მიერ, თუცა
მატლნი უძილნი აჭირვებდენ? რაჲსათვის სვი მწყურვალემან ძმარი
და ნაღველი, უკეთუ გენიასა შინა იწოდენ კაცნი? რაჲსათვის დაი-
დევ საფლაუად, უკეთუ კუპრთა და წუმწუმბათა მფოფინარეთა
დაანთქა ადამიანნი? ნუ, უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო! რომელ-
მან ასწავე კაცთა პატივი მშობელთა მისთა, თვით შენვე პატივ მეც
ნათესავთა ჩემთათვისა.»

596

597

ესრ/ეთ დაუცხრომელად ევედრების ძესა თვისსა თქვენთვის.

598

აწ, საყვარელნო, უკეთუ ნათესავი თქვენი ვინმე გყვესთ
ქვეყნიერთა მეფეთა თანა-განშზრახად, იწყებთ სათნო ყოფასა მისსა
და, რა იგი ნება არს მისი, მას ჰყოფთ და, რა იგი მას სძულს,
თქვენცა მოიძულებთ; ზედასა-ზედა მიხვალთ კართა მისთა და
მიუძღვნით სხვასა და სხვასა ძღვენსა და მარადის ევედრებით,
რათა მეოხ ჯექმნესთ, და გაქვს იგი დიდად საჭადღელ და სასოებად
ყოველსა ეამსა.

ვინაჲთგან კაცთა მონასა და კაცთა მოკვდავთა ესრეთ სასოდ
იყოფთ და გონებასა და გულსა თქვენსა მისცემთ მას, არა უმჯობეს
არსა მის დედუფლისა და მშობელ ღმრთისა წმიდა მარიამ, რომელი
მეოხ არს მარადის წინაშე წმიდისა/ სამებისა ქორცთა ჩვენთა
ცხორებისათვის, და ცოდვათა მოტევებისათვის და სულთა ჩვენთა
სასუფეველად აღყვანებისათვის?

599

აწ, საყვარელნო, უფრომასად გვაქუნდეს სასოება მარიამისა,

ვიდრეღა სხვათა მსოფლიოთა ტომთა ჩვენთა, ვითარცა იტყვიან დავით რიჳ ფსალმუნსა შინა: „კეთილ არს მოსავ ყოფა უფლისა, ვიდრე მოსავ ყოფა კაცისა მიმართ, კეთილ არს სასოება უფლისა მიმართ, ვიდრე სასოება მთავართა მიმართ“¹.

ამისთვის უფროასად ვეცადნეთ ნების-ყოფასა ღმრთისმშობელისა, ვიდრეღა მოყვართა ჩვენთასა.

რა არს ნების-ყოფა წმიდისა მარიამისი?

600 — კეთილის ყოფა და ყოველივე სათნოება და ქველის მოქმედება. ნუ ჰგონებთ: გეტყოდე ძნიადა რასამე, ანუ სოფლისა ამას დატყვევებასა, არამედ გეტყვი არა სრულიად ზედ/ შეთვისებასა, რამეთუ რაბამცა თქვენ შეეთვისნეთ, თვით არა დადგების თქვენთანა.

არა გეტყვი არა-სმასა, არა-ჰამასა, ანუ შიმშილითა მოყმობასა, არამედ გეტყვი ღმრთისა არა-ბრალოვანსა, ჰამასა უნაყროვნოსა და სმასა დაუთრობელსა და მოლოდინსა სულისა საზრდელისასა, რომელი არა დაილევის, ხოლო აწ რაოდენგზის სქამო, კვალად გშიიცა.

601 ნუ ჰგონებთ, თუ გეტყოდე არა-ჩაცმასა, არცა დახურვასა, არა კეთილთა შემოსვასა, გინა შიშვლოებითა ვლასა უპატიურად, არამედ გეტყვი ჩაცმასა უცოდველად, დახურვასა არა-ვალითა, მოკაზმასა არა-ნატაცებითა, შემოსვასა არა ქვრივთა და ობოლთა ნაძარცვითა, სამკაულთა შეს/ხმასა არა ანგარებითა, არამედ ყოველითა სამართლითა და მადლობითა ღმრთისათა; და რა იგი მოეცეს ღმერთსა, კმა იყოფდეთ, და გული გითქმიდესთ სამოსლისათვის ზეციერთა, რომელი უბრწყინვალეს არს მნათობთასა, ვითარცა იტყვის მათე სახარების [იგ, მგ თავსა შინა]: „მაშინ მრავალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზენი“².

602 არა გეტყვი თვალთა და მარგალიტთა უქონელობასა, არცა და ვეცხლთა განგდებასა, არამედ რათა იცნა საქმენი მისნი და არა დაამონნეთ ცხოველნი თვალნი მკვდარსა მას, სულიერნი — უსულოსა მას. და იგინი იყოს საქმარად თქვენდა და თქვენ არა მსახურ მათდა და მიეგოთ გონებასა და მოიგონოთ, რამეთუ: თვალთა და მარგალიტთა მაგათ მრავალნი/ პატრონნი გარდაუცვლიეს, და მრავალგზის სხვისა და სხვისა მისრულ არს, და არცა თქვენ თანა დადგრომად არს და ნებავს თქვენიცა გარდაცვალება. ვითარცა სოფელი ესე არა დაადგრების უკუნისამდე კაცთა თანა, არცა — ოქრო და ვე-

¹ ფს. 107, 8—9.

² მათე 13, 43.

ცხლი იგი, სოფელსა ამას შინა მოგებული, და თქვენ უსწროთ საქმ-
რად თქვენდა ყოფად, ვიდრეღა გაქვენდეს ჟამი და უფლება მას ზედა,
რამეთუ: ვინაჲთგან არაჲა არგო პირველსა უფალსა თვისსა, არცაღა
სარგებელ გეყოსთ თქვენ, არამედ ვითარცა ნათხოვები დაადგრეს
მცირედ ჟამ თქვენ თანა და წარვიდეს სხვისა თანა მერმე; არამედ
გსუროდის ზეცისა საუნჯეთათვის და თვალთა და მარგალიტთა
მუნებურათათვის, რამეთუ გვირგვინი და სამკაულნი რომელნი
მოგცნეს ღმერთმან/, არა ითქმის გამოთქმა სიკეთეთა მისთა, არცა
მის მიერ მონიჭებულისა დიდებისა რიცხვი, რამეთუ დაუღვენელ
არს და მოუკლებელ და განურყვნელ საუკუნომდე სრულიად.

603

არა გეტყვი ნათესავთა თქვენთა მეგობართა მოძულეებასა და
მათსა არა-სიყვარულსა, არამედ გეტყვი სიყვარულსა სულიერსა და
სიყვარულსა სიწმიდისა და სიმართლისაჲსა, და ტრფიად იყოთ სიყვა-
რულსა უკვდავთა მათ ნათესავთასა და წმიდათა მათ მეგობრობასა
და გულთა სურვილი გაქვენდესთ მარიამისი, რომელი მშობელი არს
ქრისტესი და ნათესავი და მეგობარი თქვენი, რომელი დღეს მიიტ-
ვალა და ამაღლდა ძისა თვისისა თანა და მეონ არს მარადის დაუ-
ცხრომლად თქვენ ყოველთათვის.

604

გუჲმისთა, არა/ვის დაგიშალე სოფლისა ამის სიყვარული?

ხედავთა, არავინ განგაყენე საწუთოჲსა ამის დიდებისაგან?

არამედ ვინაჲთგან მარიამ დაუცხრომელად თქვენთვის ესრეთ
მეონ არს, თქვენცა განემზადენით აღსლვად მის თანა, გსუროდესთ,
ხილვად წმიდისა პირისა მისისა, გული გითქმიდესთ წინაშე მისა,
დგომასა და იღვაწიდეთ, რათა არავინ დაგაბრკოლნეს მსახურებად
მისთა, რამეთუ დიდ არს, ვისა მეგობარ იყოს დედა მეუფის
დიდისა.

ვინაჲთგან იგი დღე და ღამე დაუცხრომელად თქვენთვის იღვ-
წის მეოხებად ძისა თვისისა თანა, რათა აცხოვნეს სულნი თქვენნი;
არა თანა-გატა თქვენცა ყოველი ნების-ყოფა მარიამისი, რათა
სცხოვრდეთ თქვენ?/

605

უკეთთ იგი განაახლებს ჟამითი-ჟამად ტანჯვასა ძისა თვისისასა
და ჯვარცმასა და მოიქსენებს მწუხარებასა თვისსა, რათა ჯოჯოხეთ-
სა განგარინნეს თქვენ, თქვენცა არა გმართებსთა მოიქსენებდეთ
დღესა მას საშინელსა ჯვარცმისაჲსა, რა იგი ყო თქვენთვის ქრის-
ტემან ღმერთმან და გამოისხვედეთ გულთა შინა თქვენთა საგვემე-
ლებსა მას, რომლითა იგვემა თქვენთვის ქრისტე შობილი მარიამ-
მისა?

41. სწავლა სიმთვრალისათვის და ნათლისმცემელის თავის კვეთისათვის

606 პოი ღვინის სმა ბოროტი და მემთრვალობა აღსავსე სიბილწითა, რომლისა მიერ დაეცნენ მრავალნი წმიდანი კაცნი და ამის მიერ/ შთაცვიეს საბრძესა ძნიად განსარინებელსა!

განმიესთა ყოველთა, რა უყო სიმთრვალემან მამასა ჩვენსა ნოეს, რომელი განწიშელდა და ქაამის მიერ საკიცხელ იქმნა, ანუ ლოთ სიმთრვალითა ვითარსა ცოდვასა შთავარდა, ანუ ისრაელნი სიმთრვალემან რაოდენ გზის დასცნა კერპთა თაყვანისცემითა, და შემდგომად მათსა ჰურიათა მეფემან ჰეროდე რაბამი ცოდვა შესძინა სიმთრვალითა, რამეთუ წმიდა იოანე ნათლისმცემელი მოკლა და თავი მოჰკვეთა?

607 მთრვალი იყო ჰეროდე არა ერთითა სიმთრვალითა, არცა მარტო სთროდა ღვინითა, არამედ ღვინითა სთროდა და უღვინო-თაცა მთრვალი იყო, რამეთუ ხუთნი არიან მთრვალობანი: ერთი ღვინისა მიერ და ოთხნი უღვინოდ. ხოლო მას, ხუთით/ავე სიმთრვა-ლითა სთროდა:

მთრვალ იყო ღვინითა და შებრუებულ, რამეთუ შობისა დღე იყო და განსცხრებოდა.

მთრვალი იყო სიძვისა გულმსოქმითა, ვინაჲთგან ენება ძმის-ცოლისა შერთვა. და უმეტეს მთრვალობა არს ღვინისაგან უღვინოდ სიძვისა ტრფიალებსა. რამეთუ ღვინით მთრვალმან იცის სიმთრვალე თვისი და გემო ღვინისა, რომელი კეთილ არს, გინა ჰმახე, ხოლო მეტრფიალემან არარა უწყის — ანუ კეთილი, გინა ბოროტი, უღვი-ნოდ სიმთრვალისაგან ვისიცა ტრფიალება აქვენ.

608 მთვრალი იყო ამპარტავანებითა, რამეთუ მეფე იყო და მსხლო-შარე ჰყვეს თანა შეინახენი და დობილნი და მჰაპინძელი იყო მდიდარი. და ამპარტავნება უმეტეს დაათრობს კაცთა/ გონებასა, ვიდრეღა ღვინო ახალი.

მთრვალი იყო ნდომითა, ვინაჲთგან უნდოდა ცოდვა დიდრ. და რაცა საქმე უნდეს კაცსა კეთილი გინა ბოროტი, წუხილი არღარა აცადებს გულისხმისყოფად, არამედ უფრორე დაათრობს ღვინისა უმეტეს.

მთრვალ იყო გულისწყრომითა, ვინაჲთგან არა შეუნდობდა იოანე და ეტყოდა არა შერთვად ძმის ცოლისა და ჰეროდე ერისხოდა. ოდესცა განრისხნეს კაცნი გულისწყრომითა, უმეტეს მთრვალ იქმნების ღვინისა და ყოველისაგან თათლუქისა.

იხილეთ, თუ ერთი სიმთრვალე ამა ხუთთაგანი ვითარ დაუბნევს

ცნობა ბრძენთა და უბადლოებს ჰეროდეს ხუთნივე სიმთრავ-
ლენი ზოგად შეემთხვევენს/ შობისა დღესა მისსა. უმჯობეს იყო 609
მისსა დღე სიკვდილისა მისისა, ვიდრეღა განცხრომა შობის დღისა
მისისა. უმჯობეს იყოს მისა გლოვის მგოსანთა შეკრება, ვიდრე მომ-
ღერალთა და მროკავთა მგოსანთა შეკდა; მოუწოდა ძმისწულსა მის-
სა როკვად და ეფიცა ფიცითა მტკიცითა, აღუსრულა ფიცი და არა
კეთილ ქმნა. უმჯობეს იყო მისა, უკეთუმცა ეცრუვა ფიცი იგი,
არღარა განიგონა კეთილი გულისთქმა და მოკლა მთრვალმან დიდი
წინასწარმეტყველი.

ჰოი სიმთრავლე წარმწყმედელი კაცთა, რომლისათვის იტყვის
მოციქული პავლე: „მემთრვალეთა ვერ დაიმკვიდრონ სასუფეველი 610
ცათა, მემთრვალენი მუნ სასუფეველსა განეშორებთან და/ ამის
სოფლისა სიმდიდრესა, რამეთუ არავინ მემთრვალეთაგანმან აღა-
შენა სახლი სიმდიდრითა, არამედ აღავსო სახლი ვაჰითა და
სიგლახაკითა“.

მემთრვალე მიზეზობს და იტყვის სტუმართმოყვრობასა და
უცხოთშეწყალეობასა.

არა, ძმაო, არა არს მემთრვალეობა სტუმართა და მოყვასთა
მოყვარება, არამედ ფრიადი სიძულილი, ვინაჲთგან:

შეიყვან სახლთა შენთა კაცსა ბრძენსა და კეთილად მხედველსა,
პატროსნად გონიერსა და ტკბილად მოუბარსა, დაუგებ ტაბლასა,
არა ზომიერ ასმევ და არცა საწყურვალთა ასმევ, რათამცა
კეთილი ეყოს, არამედ გარდამატებით ასმევ და გარდარევით აქმევ
და ას/ხამ ღვინოსა, ვითარცა ყვიბართა შინა. მოეღების სიბრძნე 611
ღმრთისაგან მინიჭებული, და აღერევის თვალნი კეთილად მხედ-
ველნი, არღარა ესმის აღერსი სხვათა და თვით უბნობს, ვითარცა
ხელი. მოდეს აღივისის, იწყის ჯლოყინად და აღმოთხვეად, ვითარცა
თხიერმან პირგანასნილმან. უკეთუ ტაბლათა შენთა აღმოძთხია,
წარგიბილწნა ჭურჭელნი შენნი; უკეთუ ზე აღდგა, ფერანნი შეჰყ-
რობილ აქენ და არა ძალ-უც დგომად, არა ჰყავნ კაცი, რათამცა
ქელპურობილ ყო, ანუ თუ პოვა ზღუდე და მიეყრდნა. ეხვევინ ბრუ
და ჰგონებს ქვეყანასა მბრუნავად, ბორტყავს მიწათა ზედა და განს-
დის/ ნანთხევი. იხილიან ძაღლთა და ლომნიან პირთა მისთა და 612
იბრძვიან ძაღლნი ზედა მთვრალისა მის, რომელთამე ზედან შეათსიან;
თუცა მგელმან ნახის, განბძარის და ფრინველთა აღმოჰქაღინ თვალ-
ნი; თუცა ზამთარი იყოს, და არა ჰყავს მწე და ყინვამან მოაკვდინის,
ანუ დააზროს ასონი; უკეთუ მცირედ განიფრთხოს და განძლიერ-
დეს, უკეთუ მაღალთა გზათა ვალს, ჩამოიჭრის და ზედასა-ზედა
დაეცის და, ვინ ცხენთა აღჯდის, ტორტმანებნ და თავდამოქცევით

613 ჩამოიჭრის; უკეთუ მტერთა იხილიან, უმტერიან და, უკეთუ მოყვართა ნახიან, არა მსახურიან, არამედ განკიცხიან და ე/ცინიან.

ესრეთ არიან მემთრვალენი კაცთმოყვარე და მოყვასთა კეთილისა მყოფელნი.

იხილეთ, ვითარ-ძი ბოროტი უყო და არა კეთილი და არცა სიყვარული!

ამისთვის იტყვის მოციქული: „ნუ დაითრვებით ღვინითა, რომლისაგან არს სიბილწე“².

614 ჰოი საყვარელნო, ისმინეთ მოციქულისა და ნუ დაითრვებით ღვინითა და ნუცალა დაითრვებით უღვინოდ, რამეთუ უღვინოდ სიმთრვალე უძვირეს არს ღვინითა სიმთრვალესა. ღვინისა სიმთრვალე იქმნების ექვს ეამ ოდენ, ხოლო ბოროტ-ტრფივალეებისა სიმთრვალე — მარადის დღე და ღამე; ღვინისა სიმთრვალე მცირედ ეამ მიუღებს ცნობასა, ხოლო ბოროტი გულისთქმათა სიმთრვალე სრულობით განაცოფებს კაცთა; ღვინისა სიმთრვალე რომელსამე ეამსა ამპარტავან ჰყოფს კაცსა; რომელსამე ეამსა დაამდაბლებს, ხოლო ამპარტაუნებისა სიმთრვალე სიმაღლისაგან ქვე ჩამოაგდებს, ვითარცა ზეცის მიერ ეშმაკთა; ღვინისა სიმთრვალისა ნდობა მრავალგზის აღემატების და მრავალგზის მოაყლდების, ხოლო თვისისა ნდომისა სიმთრვალისა მიდევნება არცა წუთსა ერთსა მოაყლდების, არამედ შობს ცოდვასა; ღვინისა სიმთრვალისა მრისხანება ადრე მომშვიდნების, ხოლო რისხვისა სიმთრვალე იქმს კაცისა კლვასა, ანუ ბრძოლასა, ანუ გინებასა.

615 ნუ, საყვარელნო, ნუ იხარებთ ჰეროდეს მსგავსად სიმთრვალითა. უ/კეთუ არა მოჰკლათ წინასწარმეტყველი მსგავსად ჰეროდესა, უეჭველად მოაყვდინებთ სულთა თქვენთა.

ნუ იხარებთ სიმთრვალისათვის მგოსნითა და მროკავთაფთა, ვითარცა ჰეროდე; და არა იხანოდა სიკვდილსა ზედა იოანე ნათლისმცემელისასა, ხოლო თქვენ მწუხარე იქმენით და ჰგოდებდეთ სულისა თქვენისა სიკვდილისათვის, რამეთუ სიმთრვალე მოჰკლავს. ჰეროდე ზვაობდა სერსა მას ზედა მოჰსენებისათვის შობისა თვისისა და ჰკლვიდა ნათლისმცემელსა, ხოლო შენ, ოდეს გენებოს სერი, ნუ ღვინითა მთრვალობისათვის იხარებ, ნუცა შობისა შენისათვის, ზვაობად მოიხსენე შობა შენი და სულთქმიდი, რამეთუ წმიდა იშვე და შემდგომად ცოდვისა შეიბილწე.

1 შტრ. იოანე ბოლნელის ქადაგებანი, 1911, გვ. 83 — 84.

2 ეფესელთა 5, 18.

ამისთვისცა ნუ იხარებ მგონითა და პროკავითა, ნუცა ღვი/ნითა 616
და უღვინოდ სიმთრვალითა, რამეთუ მოკვდავი ხარ და იტყოდე,
ვითარცა იობ: „შიშველი მოვედ და შიშველი წარვალ“¹, და ისე-
ნებდე დღესა მას სასჯელისასა, სადა არღარა სარგებელ გეყოს
სოფლისა ამის შვენებანი და უკმარ და წარმწყმედელ არს სიმთრვა-
ლე და ღვინის სმა.

ევლტოდეთ ტაბლასა ცოდვისასა, ვითარცა ყო ჰეროდე შობისა
დღესა თვისსა და შესძინა ცოდვა ცოდვასა და დაუგო მოყვართა
სერი უსჯულოებისა და ტაბლა საფსე უღმრთოებითა.

ვის უხილავს ანუ ვის ასმიეს ერთსა სერსა ზედა სიმთრვალე ხუ-
თითა სიმთრვალითა, ძმისცოლი ცოლად, მეფის ასული მოსმიერთა
წინა პროკავად, ნათლისმცემელი საკლველად და თავი ში/სი მოსა- 617
მატად მოსაღებად?

ჰოი პური სისხლითა აღვსილი და ღვინო ცოდვითა განზავებუ-
ლი, ვინამთგან ერთი ცოდვა ქმნა და არა ინანა, არამედ შესძინა
ცოდვა ცოდვასა და უსჯულოება უსჯულოებასა.

თქვენცა საყვარელნო, განეკრძალენით ზედასა-ზედა ღვინის
სმასა და მარადის სიმთრვალისა, ვინამთგან მთრვალობა არს თავი
ყოვლისა ცოდვისა/ და შემძინებელი უსჯულოებასა ზედა უსჯუ-
ლოებისა.

სტუმარნი ისტუმრენით სიხარულითა, სვით ღვინო ზომიერად
და ჰამეთ ტაბლა კეთილად, მოყვასნი შეიყვარენით უცოდველად
და კეთილსა უყოფდეთ და ნუ ბოროტსა. 1

და ევედრენით წმიდასა ნათლისმცემელსა იოანეს, რათა დაგი-
ფაროსთ მთრვალობისა და ყოველთა ცოდვათგან/ და მეოზ გეყოსთ 618
წინაშე უფლისა, რათა მოგცესთ სასუფეველი და იხარებდეთ მას
შინა საუკუნომდე, ამინ.

42. სწავლა თავის კოვნისათვის ნათლისმცემლისა, უკითხუ თევდორობა იყოს

„ჰმა ღაღადებისა უღაბნოსა ზედა“ — ესაია იტყვის წინასწარ-
მეტყველი².

რა არს ჰმა ესე?

სადა არს უღაბნოსა შენებულობა, თუცა ჰმანი იყვნენ?

¹ შტრ. წიგნი იობისი, 1, 21.

² ესაია, 40, 3.

„ამა ღალადებისა უღაბნოსა ზედა“ იგი არს, რომლისათვის იტყვის ესაია: „აჰა ესერა მე წარველინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განმზადნეს გზანი შენნი“¹.

619 **ამა ღალადებისა იგი არს, რომელმან განჰსნა ბერწობა დედისა და სიბერე მამისა განაჰბუენა, უშვილობა დედისა შვილ/იერ ყო და უტყვება მამისა — მეტყველ.**

ამა ღალადებისა იგი არს, რომელმან უჰმოდ თაყვანის-სცა მუც-ლითი გამო მაცხოვარსა ჩვენსა.

ამა ღალადებისა იგი არს, რომელი საშოად დედისა წმიდად უფლისა იწოდა და ქალწულებით დაადგრა, ვიდრე აღსასრულადმდე.

ამა ღალადებისა უღაბნოსა იგი არს, რომელი ჩჩვილი. წარვიდა უღაბნოდ და განშორება დაიმკვიდრა.

ამა ღალადებისა იგი არს, რომელმან დაუტევა კაცობრივი საზარდელი და საქმარი და ანგელოზებრივი წესი აღიღო.

ამა ღალადებისა იგი არს, რომელი მეოცდაათესა წელსა მოვიდა და მოციქულობისა ქადაგება მოართვა ერსა და ეტყოდა: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“².

620 **ამა ღალადებისა იგი არს, რომელმან თქვა: / „აწ ძეს ცული ძირთა თანა ხეთსა, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას“³.**

ამა ღალადებისა იგი არს, რომელი ფარისევლთა ეტყოდა: „თქუნ შორის დვას, რომლისა არა ღირს ვარ განჰსნად საბელთა კამლთა მისთასა“⁴.

ამა ღალადებისა იგი არს, რომელმან თქვა: „აჰა ტარიგო ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნას ცოდვანი სოფლისანი“⁵.

ამა ღალადებისა იგი არს, რომელმან ძესა ნათელ-სცა, სული წმიდა იხილა თვალითა, ვითარცა ტრედი, და მამისა ამა ესმა ზეცით: „ეგე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ“⁶.

ამა ღალადებისა იგი არს, რომელმან ამხილა ჰეროდეს უსჯულო-ბა და მის მიერ თავი წარეკვეთა და მოწამეცა სრული შეიქმნა.

ამა ღალადებისა იგი არს, რომელი თვით მაცხოვარმან აქო:

¹ ესაია, 40, 4.

² მათე, 4, 17.

³ მათე, 3, 10; ლუკა, 3, 9.

⁴ მარკოზ 1, 7.

⁵ იოანე 1, 29.

⁶ მათე 17, 5.

„დედათა/ ნაშობთაგანი არა აღდგომილ არს უფრომს იოანე ნათლისმცემლისაო“¹. 621

გესმისთა ქება უაღრეს ბუნებათა?

უკეთუ მსოფლიოთა მეფეთაგან გესმას ქება ვისიმე, განჰკვირდებიან ყოველნი კაცნი სიკეთესა ზედა მის კაცისსა და ამას თვით ყოველთა დამბადებელი ბრძანებს: „დედათაგან შობილი არავინ არს იოანე ნათლისმცემლისებრიო“.

ჰოი დიდი საკვირველი ქება ქებათა უმაღლესი!

სხვანი ყოველნი წმიდანი თვითოფთა საქმითა სათნო ეყვენს ღმერთსა ანუ წინასწარმეტყველებითა, ანუ მოციქულებითა, ანუ მღვდელთ-მოდასეობითა, ანუ მეუღდაბნოებითა, ანუ ქადაგებითა, ანუ ქალწულებითა, ანუ წამებითა, ხოლო ამან ყოველივე ერთბამდ შეიკრიბნა ძველისა და ახლისა სჯულისა სამართალნი.

სხვანი წმიდანი სასწაულსა/ იქმოდენ თვითოსათვის სათნო ყოფისა, ზოლო ამან არცა ერთი სასწაული ქმნა ესოდენთა სათნო ყოფათათვის. სიმდაბლითა უაღრესითა უდარეს ჩნდა ყოველთა კაცთა, არა მიიღო კაცობრივი საზრდელი, არა შეიმოსა თვინიერ ბებქი აქლემისა სტევისა, თავშიწველი, უქამრობელი ვიდოდა ქვეითად და განგიწესებდა მონაზონებრივთა სახეთა, ვითარცა იტყვის დავით: „დადვა გზად სლუა თვისი“. ვინაფთგან პირველ მელქიზედუკისა და ელიასი და ახლისა სჯულისა მეუღდაბნოეთა მესაშუალე იყო და ორნივე აღასრულა და თავ მონაზონებისა იქმნა, ჩვენცა გვმართებს, ძმანო, რათა რაოდენთა დავიტევებდეთ, მივბაძვიდეთ. 622

უკეთუ იტყვიოთ: იგი საშოფთ დედისა წმიდა/ იყო, უფლისა იქმოდა, ჩვენ უძლურ ვართ და არა ძალ-გვიც. უკეთუ იგი არა ძალ-გვიც, წმიდათა მამათა განწესებულთა არა ძალ-გვიცა: ზომიერი სმა-ჰამა, ზომიერი განწესება და სამოსელი? ვიცი ჩემდა იტყვიოთ თვით არა მოქმედებთსათვის. ძმანო, პავლე სამ ცამდი აღწვენილი იტყოდა: „განეკრძალე პორცთა ჩემთა, რათა დავიმონო“. უკეთუ ვქადაგებდე, არა ვიპოო გამოუცდელ, მე, არარასა ღირსი, არამედ უწყი კეთილთა მონაზონთაგან, შესაძლებელ არს განწესება მამათ-მთავართა წმიდათა. 623

რამსათვის შეგვიმოსიეს სამოსელი სხვა და არა მსგავსი ერის-კაცთა, გინა ფერთა, გინა ქმნილებითა?

— ამისათვის, რათა სხვა იყოს ჩემნი და ერისკაცთა საქმენი/ სმა-ჰამა, აღდგომა, დაჯდომა, სიტყვა, ქცევა და ყოველივე. ოდესცა 624

¹ მათე 11, 11.

გონება დაუდგრომელი სოფლისა კერძო მიგვიზიდვიდეს, სამოსელთა ჩვენთა რა ვიხილვიდეთ, მოვაქცევდეთ გულთა ჩვენთა სოფლისაგან.

რა მასათვის განგვიწესეს მატყლთა და ბალანთა სამოსელი?

— ამისთვის, ვითარცა ცხოვართა შეპყრვენ და განპარსვენ მრისველნი და არა კმობნ, არცა ივლტინ; ეგრეთვე მონაზონთა რა ბოროტსა უზმიდენ, არა კმობდეს, არცა დაღადებდეს და ღრტვინვიდეს.

რა მასათვის გვბურავს კუკული?

625 — ამისათვის, რამეთუ ოდეს დავითს აღუდგა ძე თვისი აბესალომ მტერად, მას უამსა დაიბურა თავსა თვისსა ფიჩვი და მისთათანა მყოფთა დაბურა და გამოვიდა ქალაქით/ და აღვიდა მთად და იგლოვდა და ევედრებოდა ღმერთსა განსაცდელისაგან თვისისა ქსნისათვის და ძისა მისისა მოქცევისათვის. ჩვენცა ამისათვის განგვიწესენს, რამეთუ ძმანი და შვილნი ჩვენნი ყოველნივე ჩვენნი მტერნი არიან სიტყვისაებრ უფლისა: — არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილითა¹ მოვედ განყოფად მამა ძისაგან, ძე --- მამისაგან და შემდგომი 'ამისი. ესრეთ მტერ არიან ძმანი და შვილნი ჩვენნი ერის კაცნი. ჩვენ მათთვის ვევედრებით ღმერთსა და მათსა აღსარებასა ვფარავთ, მოქცევა გვენბავს და იგინი, თუცა. ჩვენი ბოროტი სცნეს, დაგვცინიან და კეთილთა ზედა არა შემრაცხვენ. რა ძმა და შვილნი, თვით ჰორციცა ჩვენი უდიდესი მტერი [არს] ჩვენი?²

626 ამისათვის გვინებს მსგავსად დავითი/სა ქალაქით გამოსლვა, რომელ არს სოფელი, და მთასა ზედა აღსლვა და გლოვა, რომელ არს მონასტერი, და ვედრება ღმერთისა განსაცდელისაგან ქსნისა ჩვენისათვის, და მოქცევისათვის შვილთა ჩვენთასა, რომელ არიან ერისაგანნი.

რა მასათვის გვასხიან პალეკარტი ნაოჭიანი, ვრცელი და გრძელი?

— ამისთვის, ვინამთგან მფრინველი ფრთე შეწყობილი მოსურნე არს ჰაერისა და ფრინავს და ზე აქვს წადილი აღსლვისა. ეგრეთვე ფრთეთა მსგავსობა გვამხილებს, რათა სასუფეველისა გვაქენდეს სურვილი და ზეცად მიმართ ფრინვიდეს გონება ჩვენი. და ვითარცა ფრინველი დაჰფარავს ფრთითა თვისითა კვერცხთა და მართვეთა თვისთა მავნებელთაგან/ მისთა, ეგრეთვე ჩვენ ვფარავდეთ ჩვენ ქვეშე მოწაფეთა მავნებელთაგან სულისა მისისათა.

სარტყელიცა ტყავისა ამას მოასწავებს, ოდეს ადამს უქმნა სა-

¹ მახვილისა.

² მტერი [არს ჩვენი] მტერნი ჩვენნი.

მოთხით ექსორია ქმნილსა უფალმან, სამოსელი ტყავისა შემძლებელი ტვირთად სიცხეთა და სიცივეთა. ეგრეთვე ჩვენ ვიტვირთნეთ ქირი, შრომა, რუღუნება და ეგვეთარნი.

კვართისა ჭვარის სახეობა გვასწავებს სამარადისოდ ჭვარის აღებასა და ქრისტეს შედგომასა, რომლისათვის თვით იტყვის: „სოფელი ჩემთვის ჭვარსცმულ არს და მე — სოფლისათვის“. და სხვაგან იტყვის: „აღიღე ჭვარი და შემომიღეგ მე“¹.

აჰა, ძმანო, რასა შევედგომივართ, უკეთუ აქამომდე არა, აწ შეუდგეთ, — სამოსელი ჩვენი გვე/ტყვის.

628

უკეთუ თქვას ვინმე: ძნიალ სატვირთავ არს მონაზონობა, — იყავნ ეგრეთ. დაადგერ ერისგანობასა ადვილსა ცხორებასა, ვითარცა თევდორე და სხვანი მოწამენი, და სცხონდე.

მონაზონნი კვალსა ნათლისმცემლისასა შეუდგით და ერისაგანნი — მოწამეთასა; მონაზონთა — შიმშილი, წყურვილი და იწროება, ვითარცა იოანე, ერთა — სმა-ჰამა და ფართობა ზომიერი, ვითარცა თევდორე; მონაზონთა — დაბებკული სამოსელი, ვითარცა იოანე, ერის კაცთა — სამოსელი ბრწყინვალე, ვითარცა თევდორე; მონაზონთა — ქვეითად სლვა, ვითარცა იოანე, ერთა — აღმედრება, ვითარცა თევდორე; მონაზონთა — კუჟული და პალეკარტი, ერის კაცთა — ჯაჭვი და ჩაფხუტი; მონაზონთა — ქალწულ/ება, ვითარცა იოანე, ერთა — ქორწინება წმიდა და სჯულიერი, ვითარცა ევსტათე; მონაზონთა — ქადაგება ქრისტესი, ვითარცა იოანე, ერთა — აღსარება ქრისტესი, ვითარცა თევდორე; მონაზონთა — ოფლის დათხევა ქრისტესთვის, ერთა — სისხლის დათხევა, ვითარცა თევდორე; მონაზონთა — უხილავისა მტერისა ბრძოლა, ერთა — ხილულისა და უხილავისა მტერთა ომი; მონაზონთა — სულისა საზრდელისა მოღვაწება, ერისკაცთა — სულის საზრდელისა და ჰორციის საზრდელისა და შემოსის მოღვაწება; მონაზონთა მარტო თავისა თვისისა ზრუნვა, ერის კაცთა — თავისა ცოლისა, შვილისა, ძმათა, ნათესავთა და მრავალთა სხვათა ზრუნვა.

629

აჰა, ანუ მონაზონობა ქენით, ანუ ერთაგანობა. არა არს ორისაგან კიდე./

მონაზონთა — სენაკთა შინა ჯდომა, ერისკაცთა — სლვა ზღვათა დეღვათა, მათა ყინვათა და ბუქთა, ბართა სიცხეთა და ზორშაკთა, რათა მოივაჰრონ და სიძარტლითა გამოზარდენ დედაწულნი თვისანი. მონაზონთა — წიგნი და პელსაქმიერი, ერისკაცთა — ხვნა-თესვა,

630

¹ მათე 16, 24.

მკა, ბარკა და შრომა, რათა პირისა თვისისა ოფლითა ჯამდეს პურსა და ცნობდეს დედა-წულით.

პეი, იღვაწეთ, ძმანო, გამოიღვეით ნაყოფი სულიერი. რამეთუ გესმათ, რა იგი თქვა მეუფისა საქებელმან წინამორბედმან: „აწ ესე რა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს, რომელმან ხემან არა გამოიღოს ნაყოფი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას“¹.

631 ძმანო, ხე უნაყოფო კაცნი არიან მადლი/თა უქონელნი და კეთილთა უნაწილონი; ცული რისხვა ღმრთისა არს, მსწრაფლ წარმტყვენველი, და ძირით მოკვეთა — საჰსენებლით აღმოფხვრა და ცეცხლი არა თუ ამის სოფლისა ცეცხლი არს, არამედ საუკუნო და დაუსრულებელი.

ვეკრძალნეთ, ძმანო, და გამოვიდოთ ნაყოფი კეთილი და ვევედრნეთ წმიდა იოანეს, რომელმან სამება ერთ-ღმრთაება პირველ მოასწავა; შემდგომად ჰურიათ ასწავა, ქადაგა, და ამტიცა და მოასწავა მაშინ, რა მუცლით თაყვანის-სცა იესუს. შემდგომად შობისა ჩივილი ჩივილსა მოეხვია, ამბორს-უყო და თაყვანის-სცა. შემდგომად ნათლისცემასა რა იწიწვოდა იესუსაგან, კვალად-თაყვანის-სცა, ჰურიათ ამხილა, რამეთუ ჰრქვა: „აჰა თქუენ შორის დგა, რომლისა არა/ღირს ვარ ტვრთვად ჰაზლთა მისთასა“². და შემდგომად ჰრქვა: „ესე არს, რომლისათჳს იგი ვთქუ: ჩუენსა უწინარეს იყო, რომელი შემდგომად ჩუენსა მოვალს. და კუალად ესე არს კრავი ღმრთისა, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“³.

632 ქადაგა ესრეთ, რამეთუ ძესა ნათელ სცა და სული წმიდა იხილა, ვითარცა ტრუდი, და მამისა მამა ესმა ზეცით: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ“⁴.

ესრეთ დაამტიცა, შემდგომად წამებისა მისისა სამგზის გვაჩვენა წმიდა თავი თვისი, სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა საკურნებელად ცოდვათა ჩვენთათვის.

აწ მოვედით, მორწმუნენო, ვევედრნეთ ორთა ამათ წმიდათა: იოანეს დიდსა წინამორბედსა და თევდორეს დიდსა მოღვაწესა, რათა მეოხ გვექმნენ სულთა ჩვენთათვის და ჩვენ უნაყოფონი განგვა/რინონ ცულისა მისგან მომკვეთლისა და ცეცხლისა მისგან და უშრეტელისა, რამეთუ ღმერთსა შვენის დიდება აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

633

¹ მათე 3, 10; ლუკა 3, 9.

² ლუკა 3, 16.

³ იოანე 1, 29—30.

⁴ მათე 17, 5; 9, 7; ლუკა 9, 35.

43. სწავლა უდაბნოს მყოფთა თანა მოსლვისათვის და მათთა ნუგეშინის-მცემელთათვის კება.

„ვინმეცა მცნა მე ფრთენი, ვითარცა ტრედისანი, და აღეფრინდე და განვისუენო. ესე რა განვეშორო სიელტოლითა და განვისუენო უდაბნოსა შინა“ — დავით იტყვის ნდ ფსალმუნსა შინა¹.

რამათვის ნატრობს მეფე მდიდარი და ქელმწიფე ყოვლისა სოფლისა, აღვსილი ყოვლითა ნებიერობითა, რათა მივიდეს და დაემკვიდროს უდაბნოსა შინა, სადა არს შიმშილი, წყურვილი, შიმლოება,² და სიგლახაკე ფრიადი და უპოვარობა საშეგებელთა? არა თუ აკლს რამე და მუნ შეიძენს ოქროსა, გინა ეცხლსა და საბოსელთა ბრწყინვალეთა, ანუ დაიმონებს ქალაქთა და სოფელთა³, არამედ სიმდაბლისათვის იტყვის, ვინამთგან ხედავს სოფლისა ამის სიმდიდრის უხანოებასა, უდაბნოთა შინა მისლვითა ცოდვისა სინანულად განმზადებასა და ბრალთა შენდობისა პოვნასა და მადლთა შეძინებასა. ვინამთგან გლახაკნი ღმრთისანი რომელთა თავნი თვისნი დაიგლახაკნეს ქრისტე კაცთათვის დაგლახაკებულისა და მუნ შეერებილ არიან სახელისა მისისათვის, მათდა მისლვა ნებაჯს და ნუგეშინის ცემა მათი, რათა სიმდაბლით მისლვითა ქელმწიფეთა თანა განმტკიცდენ და განძლიერდენ მს/ახურონი ქრისტესნი, და აღდგენ მცონრებისაგან და იღვაწონ ძლიერად; ამისთვის უნებს სწრაფით მისლვა: არა ბრძანებს ცხენთა აღკაზმასა, არცა ეტლთა შემკობასა, არამედ ნატრობს ფრთეთა ტრედისათა, უნდოთა ნაკრტენთა, და მარტოებით მისლვასა, რათა საქმითა თვისითა სხვანი მეფენიცა მიიბაძნეს და აღძრას მსახურებასა ღმრთისასა.

თუ ვინმე თქვას: „რადი მსახურება არს უდაბნოსა მისლვა ღმრთისა, ანუ რაიმე ქველის საქმე, რათამცა მიითვალა ღმერთმან კეთილად იგი, ჰეი ჰეშმარიტად მსახურებაა ღმრთისა ესრეთ: რამეთუ იტყვის მათეს სახარების კე: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, რამეთუ მშვიერი ვიყავ და მაჭამეთ მე, მწყურვალსა მასუთ მე, შიმუელ ვიყავ და შემმოსეთ მე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე, საპურობილესა ვიყავ და მოშუერით ჩემდა, სწეული ვიყავ და მომხედეთ მე“³.

ძმანო საყვარელნო, ესე ყოველივე აღესრულებოს უდაბნოს მყოფთა ხილვითა და ნუგეშინის-ცემითა, რამეთუ ყოველივე სიგლა-

1 ფსალმუნი 54, 6—7.

2 სოფლებთა.

3 მათე 25, 34 — 35.

ბაკე შეკრებილ არს უდაბნოს მყოფთა თანა. რამეთუ გლახაკნი არიან ქრისტესათვის და განმდიდრდებიან მეფეთა მისლვითა, მშვიერ და მწყურვალ არიან უპოვარებითა და განძლებიან კელმწიფეთა ნუგეშინის-ცემითა, შიშველ არიან და შემოსილ იქმნებიან სიხარულითა მთავართა ხილვათათა, საპყრობილეთა და დილეგთა შეუწყვედევიან თავნი თვისნი და მაშინ შვებულ შეიქმნებიან და ასნილ. რომელნი მოვლენ უდაბნოდ და მუნ მყოფთა ნუგეშინსა-სცემენ, ესოდენთა შრომათა ქრისტესთვის თავს ისხმენ, და ქრისტეს მიერ მადლსა შეიკრებენ, / რამეთუ ქრისტეს მონათათვის დაშვრებიან.

საყვარელნო ჩემნო, განიცადენით საქმენი პირველნი, რაოდენნი კეთილნი პოვნეს, ვინა მივიდა უდაბნოსა მყოფთა მოხილვად:

ნემან ასური, კეთრისა მიერ განკაფული, უდაბნოს მისლვით განიკურნა. დედაკაცი სომანიტელი, ძე მომკვდარი, უდაბნოსა მისლვითა შვილ ცხოველ იქმნა ელისეს-ზე. და შემდგომად ქრისტე ნაცხოვრისა მოსლვისა წმიდათა მამათა მიერ რაოდენნი სნეულნი განიკურნეს, რაოდენნი უშვილონი შვილიერ იქმნნეს, რაოდენნი მკვდარნი აღდგეს, რაოდენნი მადლითა აღვსებულნი სახლად თვისად მიექცენ. დაღაცათუ აქა მყოფნი, არცალათუ მათთა ქსენებასა

63 ღირს ვართ და ჩვენ ცოდვათა სიმრავლითა/ შებღალულ ვართ, არამედ უდაბნო ქრისტესი არს და მადლთა და კურნებათა მიმნიჭებელი იესუ არს. რომელიცა მოშვრებით, ქრისტე არა უფულებელს-ჰყოფს შრომათა თქვენთა, რამეთუ არცალა წყლისა გრილისა მსმეველსა წარუწყშიდა სასყიდელი თვისი.

ხედავთა თქვენ რაოდენნი უფროსი წყლისა გრილისა სმებისა გარდამატეთ: ქრისტესთვის აღიძარით, ქრისტესთვის. მოშვერით, ქრისტესთვის სიცხე ჰაერისა თავს იღვევით, გზანი შორნი და ურწყულნი უდაბნონი ვლეთ, ქრისტეს სახელისათვის შეკრებულთა ეძიებთ, ნახავთ, ნუგეშინსა-სცემთ, განაძლიერებთ და საღმრთოჲს მოღვაწეზად განაღვიძებთ?

იხილეთ, თუ რაოდენი მადლი შეგიკრებიესთ უნდოჲთა ამით და 639 ცოდვილ/თა კაცთა ხილვისათვის!

კაცი ვინმე იყო მაგისტროსი, რომელ არს ოსტატი მეფისა ვისმე და წარავლინა დესპანად სხვაჲა მეფესა თანა. და ოდეს განვლო ქალაქი ერთი, იხილა გლახაკი ვინმე უძლური, მწვირესა შინა მღებარე. გარდაჲდა თვით ცხენისა მისგან, და აღმოიყვანა გლახაკი იგი კმელსა ადგილსა, და დრაჰკანი ერთი მისცა და წარვიდა. ოდეს განვლნა შორე გზანი, ნახა მკვდარი ვინმე მღებარე შიშველი. განვლო გზა და უკმორესწყდა მსახურთა თვისთა და აღიჲდა კვართი თვისი ერთი, რამეთუ შეიმოსდის ორითა კვართითა, და დაბურა

მკვდარსა მას და მიეწია მოგზაურთა თვისთა. ოდესცა მიიწინეს პირსა ზღვისასა და შთასხდენ/ ნავსა, აღელდა ზღვა, დაიქცა ნავი და დაინთქა სიღრმესა. მოვიდა ქრისტე, სახითა მის გლაზხაქისაჲთა, უპყრა ქელი და აღმოიყვანა დანთქმისაგან და ჰქრევა: «მე იგი გლაზხაქი ვარ, რომელი მწვირით აღმოიყვანე და აჰა დრაჰკანთა სიმრავლე დრაჰკანისა მის ერთისა წილ». წარვიდა კვალად გზასსა თვისსა და შემოიქცა, მოვიდა სახლად თვისთა სიახლესა, განაჰენა ცხენი, დაეცა და შეიძუსრა ფერაჲი. დაუმძიმდა მეფესა, შეკრიბნა მკურნალნი და ვერა რა არგეს, თვინიერ მოკვეთისა ფერაჲისა. ენებათ ხვალისა მუქლთა შინა მოკვეთა ფერაჲთა. შუა ღამე ოდენ შემოვიდა ქრისტე სახითა მის მკვდარისაჲთა, რომელსა ემოსა სპეტაკი კვართი მისი, და მოიციოხა, და სცხო წამალი ფერაჲთა მისთა. და აღადგინა და ჰქრევა: / «მე იგი მკვდარი ვარ, რომელი შენ შემომოსე და ესე მის წილ მიყოფიეს შენდა»¹.

440

641

უკეთუ მათ არა წარუწყშიდა ქველის საქმენი, არცაღა თუ ჩვენ ცოდვილთა მხილველთა წარგიწყმიდნეს უფალმან ჩვენმან შრომანი თქვენნი, რამეთუ: რომელნი პირველად მიშვრებოდენ და მივიდოდენ ხილვად წმიდათა მამათა თანა, იგინი წმიდანი იყვნენ, და მადლთა და კურნებათათვის მივიდიან, ხოლო რომელი აჰა მოშვრებით ჩვენ ცოდვილთა ნუგეშინის-ცემად, არა თუ კურნებათათვის მონვალთ, არამედ ქრისტეს საზრდელისათვის და იესუს სიყვარულისათვის, რამეთუ მოილოცავეთ წმიდათა ეკლესიათა, ნუგეშინსა-გვეცემო ჩვენ, მრავალ მცოდველსა ღმრთისასა.

თქვენ ხართ ქრისტეს მიერ კურთხეულად წოდებულნი დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ვინაჲთგან გვიხილენით ჩვენ გლაზხანი და მოშვერით/ ჩვენთვის...

642

თქვენ ემსგავსენით მეფეს თევდოსის, რომელი სიმდაბლით ესტუმრა მონაზონსა ერთსა, რომელსა აქენდა მცირედი მხალი მგზარი და პური ქრთილისა, და სიხარულთა მეფესა უტკბოჲს ეგონა სანოვაგეთა თვისთა.

მსგავსება არს თქვენი ესე მოსლვა დავით მეფისა აბიმელიქ მღვდლისათა. მსგავსებაა თქვენი წმიდისა დიდისა ლავსას, რომელი შვრებოდა უდაბნოსა მკვიდრთა მოსლვად, / გინა დიდისა დედოფლისა მელანიასი, რომელმან არა საღა დაუტეგნა მყოფნი მათათა და ქებათა შინა, საღა არა მივიდა ნუგეშინის-საცემელად.

643

ჰეი, უფალნო ჩვენნო, არა თუ ჩვენ ცოდვილთათვის დამაშვრალ ხართ, არამედ ქრისტესათვის: არა თუ ჩვენ უბადრუკნი გიხი-

¹ შტრ. სულხან ს. ზა. ორიბელიანი, თხზულებანი, I, 1959, გვ. 120—121.

ლავართ, არამედ ქრისტე, რომელსა მიგელის სასუფეველსა შინა. მას ხედვით და მას ესტუმრებით, ხოლო ჩვენ ცოდვილნიცა არა სასო-
წარკვეთილ ვიქმნებით ქრისტეს მიერ, ვინამთგან მის წინაშე ბრა-
ლულ ვართ, არამედ თქვენ მოგანიჰნეს მადლნი მისნი უამრავნი და
აღგავსნეს ყოვლითა კეთილითა შრომისა ამისათვის.

44. სწავლა მწყემსისათვის და სამწყრომსა დამწყმისათვის.

644 /„მე ვარ მწყემსი კეთილი და მწყემსმან კეთილმან დადვის სული
თვის ცხოვართა თვისათვის“, — იოანე იტყვის წმიდა მახარებელი¹.

ვინ არს, ძმანო, მწყემსი ესე კეთილი, რომელმან დადვას სული
თვის ცხოვართა თვისათვის?

— ესე მწყემსი იესუ არს, ქრისტე უფალი და ღმერთი ჩვენი,
რომელი გარდაჰმდა ზეცით მოძიებად წარწყმედულისა ამის ცხო-
ვართა პირმეტყველთა ჩვენ კაცთათვის, და მოგვიძივნა და წარგვი-
ტაცნა პირისაგან მგელისა გონიერისა, რომელ არს ეშმაკი, და შეგვ-
კრიბნა ერთ სამწყსოდ და დაგვადგა თვით მწყემსად და ზედ მოურ-
ნედ.

იესუ არს მწყემსი კეთილი, რომელმან დადვა სული თვისა,
სულთა ამთ ჩვენ ცოდვილთათვის.

645 ქრისტე არს მწყემსი კეთილი, რომელი/ ჰურიათა მიერ განიბას-
რა, განიკიცხა, იგვემა, ჯვარს ეცვა და მოკვდა ჰორცითა, დაეფლა
გვამითა, დადვა სული თვისი ცხოვართა ამთ ადამიერთათვის, შთაჰ-
და ჯოჯოხეთად და განგვითავისუფლნა ტყვექმნილნი სულნი ჩვენნი
და გვაცხოვნნა.

ამცნო ესე მწყემსობა და ასწავა წინამძღრობა პეტრეს. თავსა
მოციქულსა თვისსა, რომელი თავდამოქცევით ჯვარს ეცვა და დად-
ვა სული ცხოვართათვის და ფრიადი შესძინა.

ანდრია ჯვარს ეცვა, სვიმონ განიხერხა, და ყოველნივე მოცი-
ქულნი ძვირძვირითა ტანჯვითა მოსწყდეს და დადვეს სული ცხო-
ვართათვის ქრისტესთა.)

646 კვალად წმიდათა მღვდელთმოდღვართა აღასრულნეს ბრძანებანი
ქრისტესნი და არა ნაკლულევან იქმნეს/ მოციქულთაგან, არამედ
გარდამეტეს შრომა და ღვაწლნი მათნი ცხოვართა ამათთვის.

აწ მოსრულ არიან ცხოვარნი იგი ღმრთისანი პელთა მომართ
თქვენთა, რომელნი ხართ მოძღვარნი ამის ეამისანი და მღვდელთ-

¹ იოანე, 10, 11.

შოდღვარნი, არა განიფრთხობთა ძილისა მისგან უღებებისა და არა იღვწითა ცხოვართათვის ქრისტესთასა, რომელი მოიყიდა წმიდითა სისხლითა თვისითა? უკეთუ მოწაფენი ხართ ქრისტესნი, თქვენდა თანა-გაცთ დადებად სულისა თქვენისა, რათა არა იწოდნეთ ქრისტეს მიერ სასყიდლით დადგინებულად. რაჟამს იხილნის მგელი მომავალი, ივლტინ, რამეთუ არა არიედ ცხოვარნი მისნი, და წარიტაცის მგელმან; და აძოებნ ეკლოვანთა და კუროსთავთა, რომელ განეწონების სასათა მათთა, და ავლინებნ კლ/დოვანთა და ღირღლოვანთა ადგილთა და გამოსწურვენ სძეთა, რომელ არღარა დაუშთეს საბო-
647

ზლად და აღსაორძინებლად კრავთა მათთათვის, და მორისეავთ მატყლსა ძირითურთ, რომელ ვერღარა იტვირთვენ მყინვარებასა ზამთართასა, და არა ეკრძალვით მკეტთა და მპარავთა და მხვექელ-
648

თა და ამის გამო შეამცირებთ სამწყსოსა ქრისტესსა.

რაჟამე სიტყვა უგოთ, ოდეს მოვიდეს მწყემსი იგი ჰეშმარიტი, რომელმან მოიყიდა სისხლითა თვისითა ცხოვარნი ესე? რომლისათვის იტყვის პირითა ეზეციელ წინასწარმეტყველისაჲთა: „ამას იტყვის აღონაი უფალი მწყემსთა მიმართ ისრაელისაჲთა: არა თავთა თვისთა აძოებნ მწყემსნი იგი, / არცალა ცხოვართა ჩემთა აძოებნ მწყემსნი იგი. აჰა, სძესა შეშუპათ და მატყლთა შეიმოსთ და მსუქანთა დაჰკლავთ. ცხოვართა ჩემთა არა აძოებთ, მოუძღურებული არა განაძლიერეთ, სნეული არა განაჰკურნეთ, შემშუსკრილი არა შეუჟართ, და შეცთომილი არა მიაჰციეთ და წარწყმედილი არა მოიძიეთ და ძლიერისა შრომითა აქმნევთ. და განიბნინენ ცხოვარნი ჩემნი არა ჰონებითა მწყემსთაჲთა და იქმნეს საჰმელ ყოველთა მკეტთა ველისათა, და განითესნეს ცხოვარნი მათთა ზედა და ყოველთა ბორცვთა შალალთა, და პირსა ყოვლისა ქვეყანისასა განიბნინეს და არავენ იყო გამომეძიებელ და არცა მომაჰცეველ მათდა.

„ამისთვის ისმინეთ/ მწყემსთა სიტყვა უფლისა: «ცხოველ ვარ მე», — იტყვის აღონაი უფალი ამის წილ, — რამეთუ იქმნეს ცხოვარნი ჩემნი წარსატაცებელ და განსაჰრელ ყოველთა მკეტთა მიერ არა ჰონებითა მწყემსთაჲთა. ამას იტყვის უფალი: აჰა, მე მწყემსთა ზედა გამოვიძიენ ცხოვარნი, ჰელთა მათგან გამოვტაცენ ცხოვარნი ჩემნი პირისაგან მათთასა და არღარა იყვენს მერმე საჰმელ მათდა“.

გესმისთა, მწყემსნო, წინასწარმეტყველისა მიერ თქმული უფლისა, რომელმან დაგადგინათ მწყემსად ცხოვართა თვისთა ზედა შემდგომად თვისად და მოგითვალნათ ჰელთა ქვეშე თქვენსა ცხოვარნი იგი, რომლისათვის დადვა სული თვისი ქრისტემან ღმერთმან ჩვენმან, და გიბრძანათ კეთილად მწყსად?

ზედავთა, ვითარ ნებაჲს გამოძიება სამწყსოჲსა თვისისა, ვითარ

650 იტყვის პირითა/ წინასწარმეტყველისაჲთა: „თქვენთვის დადგინებულთა მწყემსად შემდგომად უფლისაჲ რომელი ბოროტად მწყსიდეს, მიეღოს მწყემსობა“?

აწ რა-მე ყონ ცხოვართა ამათ?

არლარა ესმის კმა მწყემსისა, არლარა შეკრებებიან სტვინებასა ზედა სალამურთასა, არა უყუფს ძალლი თეოსა ზედა, იავარ-იქმნა ფარებნი კრავთა და თიკანთა, განაზნივნა მქემან სამწყსონი თქვენნი, მიგტაცათ მპარავმან ცხოვარნი უფლისანი და შეკამა მგელმან.

651 განიღვიძეთ ძილისაგან მძიმისა, ნუ განსცხრებით შევებითა, ნუ მომედგრდებით გარე-ვლითა, ლაღადებითა მცირითა თქვენცა დაღევით სული თქვენი მსგავსად დიდისა მის მწყემსისა, შეიყვარებით ცხოვარნი, რაოდენიცა მოგითვისალნა უფალმან ღმერთმან ჰე/ლთა შინა თქვენთა; აძონე სიტყვისა ღმრთისა სწავლათა მწვანვილნი დაუტნობელნი და ავლინეთ მათათა მალალთა, კეთილთა სახლთა უფლისათა, დაუსტვინვიდით ტკბილად კმითა სახარებისა ნესტვისაჲთა, აღკპარსვიდით მცირედ-მცირედ მატყლთა ცოდვათა მათთასა, რათა არა შეეკრას ტვირთი მძიმე აღსატვირთველად მათთა;

652 მოსწველენით სძე ნაკლულევანად, სიტკბო იგი სინანულისა, რათა არა სასოწარკვეთილ იქმნენ; აკრძალეთ მგელსა მას ბოროტსა ეშმაკსა და მპარასა მას წარმტაცებელსა სიკვდილსა და მომხვეჭელსა ცოდვასა მას, რომელი წარუხვამს მადლსა სულისასა; აღრიცხენით სამწყსონი თქვენნი, გამოიკითხენით/ ცხოვარნი, მოიძიეთ წარწყმედული, მოაქციეთ შეცთომილი, ჰკურნეთ წყლულებსა მგელთა მიერთა, შეუკრენით შემუხრვილებანი და კვალად შეაერთენით სამწყსოსავე თქვენთა, რომელთა ამათ მიერ განმრავლდეს სამწყსონი თქვენნი და ცხოვარნი უფლისა ჩვენისანი; მოიხსენენით წმიდათა წერილთა მიერ, რამე ყვეს უწინარეს თქვენსა მწყემსთა მათ კეთილთა, წმიდათა მღღელთმოძღვართა, და მიემსგავსენით მათ!

653 ვინაჲთგან ფრიალი სიტყვის მიცემა გაც წინაშე დიდისა მწყემსისა, ოდეს მოვიდეს განჩრჩევად კრავთა და თიკანთა, დადგინებად მარჯვენით და მარცხენით, რამეთუ მაშინ გამოიკითხავს უფალი მონისაგან სამნეოთა თვისთა, ოდეს მოვალს მოზილვად და განსჯად ყოველთასა, ამისთვის ყოველთა მნეთა თანა-აც განკრძალვა უფლისა თვისისა და ჭერ-არს, რათა კეთილად იღვაწოს, რა იგი აქვს მელთა თვისთა შინა მათთვის.

ქამსა შინა ამას ჩვენსა იყო ვინმე ხვადამნისა დაბნაგან მწყემსი ერთი ცხოვართა მშვინეიერთა კაცთა, უსწავლელი და მსგავსი პირუტყვთა ზრდილობითა და უმეტარი წერილთა. წარსტაცა მგელმან ცხოვარი ერთი სიბნელესა ღამისასა. სცნა მწყემსმან მან და უწყყო

210

დევნა მგელსა მას წყვილიადისა სიბნელესა შინა და ლაღადებდა და უმობდა ძაღლთა თვისთა. ეწია უკანა მგელსა მას, ხოლო წინა კერძო დაემთხვია კლდე ფრიად ღრმა. დაუტევა მგელმან ცხოველსა იგი და შიშისაგან გარდაიქრა კლდესა მას და მოკვდა; ხოლო ვერცა კაცმან ამან მოიხსენა კლდე იგი. მწუხარებისაგან და სიყვარულისაგან ცხოვარისა და ღამისა სიბნელისა. კაცი იგიცა გარდაიქრა კლდესა და მოკვდა და ცხოვარი თვისი განარჩინა.

უკეთუ მან უმეტარმან, რომელსა არა ჰქონდა სწავლათა მეცნიერება და არცა შიში ღმრთისა, და მან დადვა სული თვისი პირუტყვისა ცხოვარისათვის, რომელი განქარვებადი არს და საკმელი კაცთა, რაჟმე თანა-გვაც პირმეტყველისა ამის ცხოვარისათვის არა ვიღვაწოთა? მას ღღესა დამსჯელ-გვექმნეს მწყემსი იგი თავპედი და უსწავლელი მსწავლულთა და მეცნიერთა მაგათ, ქრისტეს მოწაფედ სახელდებულთა მწყემსთა./

ანუ ვემსგავსენით წმიდათა მათ მწყემსთა, რომელთა იღვაწეს და დადვეს სული თვისი ცხოვართათვის ქრისტესსა, ანუ ვემსგავსენით თავპედსა ამას პირუტყვისა მწყემსსა!

ჰხედავთა, სამწყსო ესე პირმეტყველი განიბნინა მწყემსთა უღვაწელობისათვის და ითხოენ მწყემსისაგან, ოდეს მოვალს უფალი ცხოვართა?

უკეთუ არა გნებავს უამსამას ზარის-საძღელისა სიტყვისგება, ნუ გამოითხოვთ მწყსად ცხოვართა უფლისათა, ნუ სძლებით სძითა მათითა, ნუ იმოსებით მატყლითა მათითა!

არა აღმოგიკითხავსა, რა-იგი ყო იოანე ოქროპირმან, რომელი იყო მთავარეპისკოპოზი კოსტანტინეპოლისა? რამეთუ განიძო ექსორობად და მოიკლა გზათა ზედა და არა სათნო იჩინა ქვრივისა ერთისა ვენახისა წარხმა. ეგრეთვე თვითოეულმან წმიდამან მღღელთ-მომღვართა ყოველთა დადვეს სული თვისი სამწყსოხსა თვისისათვის, რამეთუ: კლიმი ანკვირელ ეპისკოპოსი ოცდა რვა წელ ღღე და ღამე ყოველ ტანჯვათა შინა იყოფებოდა; არა რომელმან მწყემსმან განისვენა, არა შვებით ილხინა, არა უღებებით დაიპსნა, არა მძინარეობით დამძიმდა, არა ღვინითა მებრუეებოდა, რამეთუ არა არს მწყემსთა ქცევა ესეთი, არცავენი იწოლა ესრეთი მწყემსად წმიდად; არავენი შეიმოსა ჰიჰნაური და ჩივილი/ სამოსელი, არავენი იყო მტაცებელ და მხვეჭველ, არავენი განიმრავლნა ცხენნი და ჰუნენი ოქროაღვირვლნი და ჯორთა მწყობრობათა საკიდრობანი, არავენი ისხვაგემოვნა მრავალ სანოვაგენი და განსცხრა შემღერებითა და მეფანდურებითა და მოკიცხართა და მშველავებითა, არავენი დააღამნა ღღენი ღვინისა სმითა და არცა განათენა ღამე მემთრ-

ვალობითა, ვითარ ეგე თქვენ. არამედ იყო საგონებელი მათი: სულ-
ნი კაცთანი ვითარ აღაფრინონ ზეცად და ცოდვილსა ვითარ მოუყ-
ვეთონ ცოდვა, უსასოსა ვითარ შესძინო სასოება, დაჰსნილნი ვითარ
განაძლიერონ, რათა შვილ სასუფეველისად გამოაჩინონ.

658 თქვენცა დაუტევეთ, სოფლისა/ ამის სიციბილი, რამეთუ არა
სოფლისა ამისნი ხართ, არამედ საუკუნოჲსა მის დიდებისანი, და
მეცა შემინდვენით, უფალნო ჩემნო, კადრებისა ამისთვის, რომელ
კადნიერ ვიქმენ წინაშე თქვენისა არა ღირსი; რამეთუ გრწყილნიცა
უკბენენ კაცთა მძინარეთა ღამესა შინა, რათა განიღვიძონ ძილისა-
გან და აღდგენ ლოცვად და ვედრებად უფლისა.

კვალად ძალნიცა რა შეშინებულ იქმნენ მკეცისა მიერ, მიირბე-
ნენ მწყემსისა მძინარისა და უკბენენ, რათა განაღვიძონ მწედ მათ-
და, რათა არა იავარ-იქმნას ცხოვარი. მეცა მსგავსად მათდა შემრა-
ცხენით და ნუ რისხეულ მყოფთ მშვიდნი, სილაღით მკადრებელსა
აჲს ცოდვილსა.

45. სწავლა სიმთრვალისათვის

659 /„ნუ დაითრვებით ღვინითა, რომლითა არს სიბილწე, არამედ
აღივსენით სულითა“ — წმიდა პავლე დიდი მოციქული მიუწერა
ეფესელთა ე [თავსა შინა]¹.

საყვარელნო, რამათვის გიშლისთ სიმთრვალესა წმიდა მოცი-
ქული, რჩეული ღმრთისა?

— ამისათვის, შვილნო, რამეთუ სიმთრვალე ყოველსა კეთილსა
დაჰსნის; არა-თუ ოდენ ყოველთა სიკეთესა დაჰსნის, არამედ კეთი-
ლისა წილ ბოროტსა აღმოაცენებს.

გეჰმისთა რასა იტყვის: „ნუ დაითრვებით ღვინითა, რომლისაგან
არს სიბილწე“?¹

650 ვინამთგან ღმერთმან მიწა განგაკაცნა და ცხოელი სული შთაგ-
ბერა, სიბრძნე მოგვით და ნათლისღებისა მიერ შვილ ღმრთისაჲ
გყოთ, პატიოსანი სისხლი თვისი დასთხია, რათა არა წარგსწყმდეთ
თვისად სამკვიდრებელად და სულისა წმიდისა სადგურად განგვა-
მზადნა, ჩვენცა თანა-გ/ვაც, რათა მცირესა რასამე შერყვნილებათა
ვეკრძალებოდეთ და სრულიად სიწმიდესა ვიღვაწიდეთ, რათა დაიმ-
კვიდროს ჩვენ შორის სულმან ყოვლად წმიდამან, და ჩვენთვის
ჭვერკმულსა ქრისტეს თანა მივიწივნეთ, სადა მსახურნი მისნი არიან,

¹ ეფესელთა 5. 18.

არა-თუ ნებსითა თვისითა ესოდენ დავითრუნეთ, ყოველნი ნიჰნა ღმრთისანი წარვსწყვიდნოთ, და სული წმიდა განვიშოროთ და სიბილწე მოვივოთ.

განიხილეთ და, რაბამ საძაგელ არს სიბილწე, თქვენვე თქუთა!

ოდეს ვისმე სამოსელი ახალი და კეთილი გემოსოსთ, ერიდებით მტვერთა და თიხათა, რათა არა მიეკრას, და, თუ სადმე მიეკრა, იწყებთ ზრუნვასა და ნავლელსა და დაგიძიმდებით დიდად და ამას არა ხედავთ, რამეთუ სამოსელიცა იგი და ყოველივე ოქრო და ოქრო-ქსოვილი/ და ჰიქნაური, რომელ არს აბრეშუმი, სრულიად მიწითგან არს და მიწა მიწასა მოეცხო. ამისათვის შესწუხდებით და შეშფოთდებით, ხოლო სულისა თქვენისა შებილწებასა არა ზრუნავთ და არცა განეკრძალებით, რომელი ღმერთმან ესრეთ შევნიერი დაბადა, მზისაგანცა უნათლეს არს, და ესრეთ პატიოსანი შექმნა, რამეთუ ღმერთმან ესრეთ შეიყვარა კაცება თვისი; კაცთა დამბადებელი ღმერთიცა განკაცნა და ჩვენი ჰორცინი შეისხნა და ესრეთ უსასყიდლოდ განაჩინა იესუ ქრისტემან, თვისი პატიოსანი სისხლი მისად სასყიდლოდ დასთხია.

ხედავთა, ვითარ უპატიოსნეს არს სული ჩვენი ჩვენსა უნდოსა ამას სამოსელსა? და თქვენისა სამოსლისა ოდენცა არა განეკრძალებით სულთა თქვენთა, რათა არა შეიბღალოს, და თქვენ სი/მთრვალითა დიდადცა შეაბილწებთ და მწვირიან და საძაგელ ჰყოფთ მას.

გგონესთ, რათა სვამთ მეტსა ღვინოთა და განმხიარულდებიან გულნი თქვენნი, სიხარული რამე მოსცეს თათა თქვენთა და არა სიბილწე? მაშინ ღვინითა ოდენცა მხიარულ ხარ, არათუ სიხარული რამე შესრულ არს ტვინად შენდა. არამედ შმაგობა შევალს და სიბრძნე ივლტის და სიშმაგე იგი განსცხრების და იხარებს, ამისთვის რამეთუ განაძო სიბრძნე და დაიპყრა ყოველი სადგური სიბრძნისა სიშმაგემან მან და, რაიცა ნებავენ, იქმნ და გაქმნევს.

[და] ესე არს სიხარული იგი!

მითხარ მე, ჰოი საყვარელო, რა სასიხარულო შეგძინა შენ სიმთრვალემან: სიბრძნე და ჰკუა მოგიმატა, სიმშვიდე და სიწყინარე/ მოგიძღვნა, საპატიო ყოფა-ქცევა გასწავა, ოქრო და ვეცხლი შეგიკრიბა, ღვინო, პური და ხვასტაგი განგიმრავლნა, საუნჯე საზრლოდთ აღგივსო, კაცთა დაგამეგობრა, მტერთა დაგაზავა, ცოდვის მოტვევებასა ღირს გყო ანუ სათნოება ღმრთისა გაქმნია? რა სასიხარულო გიძღვნა ღვინომან, მაჩვენეთ მეცა!

ბრძანებს უფალი მათეს სახარების იმ: „არა მოვედ დაქსნად სჯულისა, არამედ აღსასრულებლად“¹.

¹ მათე, 5, 17.

იხილეთ, მემთრვალენო, ვითარ სიმთრვალე ქრისტესაგან აღსრულებულსა სჯულსა ყოველსავე დამსნის და ღმრთისა მცნებათა ათთა, რომელი მოსცა მოსეს, ყოველსავე გარდაჰდების და უგულებელს პყოფს!

654 პირველი მცნება არს: დამბადებლისა/ ღმრთისა მონება და არა ეკრპთა თაყვანისცემა.

იხილე, თუ რა შეემთხვიათ ისრაელთა, რომელი წერილ არს გამოსლვასა ლხ თავსა შინა: ვითარ სჯულისა გარდასლვითა ჭამდეს და სმიდეს და სიმთრვალით როკვიდენ წინაშე ეკრპთა¹, რომელი ჭმნეს კბონი ოქროსაგან და რაოდენი საქაგელება სხვა აღსარულეს და რაოდენი ბილწება ჭმნეს, ვიდრე რისხვაცა ღმრთისა მოწვეწად იყო მათ ზედა, უკეთუმცა მოსე არა ვედრებულყო.

655 უკეთუ სიმთრვალემან ძეთა ისრაელისათა ერთა ღმრთისათა და რჩეულთა უფლისათა ესრეთ უყო, თქვენა არაარა გავნოსთა? თუცა ეკრპთა თაყვანი არა სცეს მემთრვალემან და ღმერთად არა აღიაროს, შიშთა ღმრთისათა და ცნობასა სჯულისა მისისათა უეჭველად მიუღებს და ქრისტეს სიყვ/არულისა სურვილსა მისტაცებს-ყე და სულსა წმიდასა განაშორებს და მის წილ სასოდ და იმედად მფარველად ნამთრვალეობისა უმეცრებასა და უგულისხმოებასა დაგიშთენს.

მეორედ წერილ არს: „არა მოილო სახელი ღმრთისა შენისა ამოსა ზედა“².

აღმოიკითხე დანიელისა წიგნისა მეხუთე თავი, რა ყო ბალტასარ მეფემან უშჯულომან სიმთრვალესა შინა, ვითარ გამოითხოვნა ჭურჭელნი ტაძრისა ღმრთისანი, მით სმიდა ხარკთა თვისთა თანა და სახელი ღმრთისა საგმობელ ყო და ჭურჭელნი სახლისა ღმრთისანი³ სასმელად მეძავთათა შექმნნა. ამისთვისცა

666 იხილა პელი მწერალი კედელთა/ზედა აღმოფხვრად მისდა.

მემთრვალენი ყოველნი არა იკმაებენ ღვინოთა, არამედ უფროსად და უფროსად მოიმატებენ; დაღაცათუ ჭურჭელი ტაძრისა პოვნეს, არცაღა მას პრიდებენ და მით უდიდესად სმენ და სახელსა ღმრთისასა შეურაცხყოფენ და ზედასა-ზედა წმიდასა სახელსა მისსა ჰიცრუით იმევენ და რაოდენთა ცრუფიცობათა იტყვიან და რაოდენთა უშვერებათა აღსარულებენ.

გვამცნებს დღესასწაულისა დამარხვად.

¹ ერპებთა.

² ვ. მოსლეთა 20, 7.

აღმოიკითხე პირველისა მეფეთა ზ თავი: ძენი ელი მღვდლი-
სანი უძღებნი და უწესონი იყვნენ და ნამეტნავისა მიღებითა
ვითარისა რისხვითა მოს/წყდენ და შჭულის კიდობანიცა მიეღოთ.

667

მემთრვალენი მიზეზითა ლოცვისათა მიეღენ ეკლესიად, რეცა
პატივისათვის დღესასწაულისა; არა-თუ ლოცვათა განეკრძალებიან.
არამედ ქაშათა და ძმათა ზედა აქვსთ¹ გონება და ეკლესიათა შინა
უგვანად დგანან და იცინიან და უბნობენ; და რა გამოვლენ, იწყე-
ბენ მთრვალობათა და სიმღერათა და აროკვებენ ქალთა² და
შეურაცხყოფენ ეკლესიათა და მრავალთა სიბოროტეთა იქმენ.

გვამცნებს პატივთა მამა-დედათასა³.

აღმოიკითხე დაბადების თ თავი; ოდეს დაითრო ნოე, კაცი
ღმრთისა და განშიშვლდა და ძეთა თვისთაგან საკიცხელი შეიქმნა.

მემ/თრვალენი არცა თვით უყოფენ პატივსა მამა-დედათა და
არცა-ლა შვილთაგან პატივ-იცემებიან, რამეთუ ეკიცხვიან და აყვედ-
რებენ, ჰგომობენ და ორნივე მცნებათა ღმრთისათა დამქსნელ იქმნე-
ბიან; და სახლნი ვაშითა აღევსებიან, საუნჯენი დაუცალიერდებიან,
ღვინო და პური მოაკლდებიან, და სახლეულნი მშობრნი დაუშთე-
ბიან და ესრეთ საკიცხელ იქმნებიან.

668

წერილ არს: „არა კაც კლა“⁴.

ხედავა, რა ყო ჰეროდე მეფემან? ვითარი წინასწარმეტყველი
მოკლა მთრვალობითა? დაღაცათუ აწინდელნი მემთრვალენი წინას-
წარმეტყველსა ვერა მოჰკლვენ, რაოდენი უბრალო მკლველობა
ქმნილ არს მთრვალობითა: რაოდენთა თავი თვისი მოუკლავსთ/
რომელსამე — მოყვასი თვისი და მეგობარი და სხვათა — მამა, გინა
ძმა, რომელსამე — შვილიცა და ცოლი, ანუ რაოდენნი უნახვან
ცხედარსა ზედა განსვენებისასა სიმთრვალითა მკვდარნი?

669

წერილ არს არა-მრუშება.

იხილე, დაბადების ით თავსა შინა ლოთისათვის რასა იტყვის:
სიმთრვალემან რაბამ უძვირესსა მრუშებასა შინა შთაავდო და
სხვანიცა რაოდენნი შეაცთუნნა სიძვითა და მრუშებითა. ნუ უკვე
მემთრვალემან დაიცვას ჰორცი თვისი ცოდვათაგან და განეკრძა-
ლოს, არამედ გულისთქმანი. ვინა უწყის; რაოდენ გზის შეიბილ-
წების, ანუ უშვერისა სიტყვითა და მოყივნებითა და გინებითა
წარსწყემდენ სულთა თვისთა პატიოსანთა.

¹ -ქუს.

² ქალებთა.

³ გამოსლვათა 20, 12.

⁴ გამოსლვათა 20, 13.

წერილ არს: „არა იპ/არო“¹.

აღმოიკითხე მსაჯულთა იგ თავი, ვითარ სამსონ რა უმსგავსო არა თუ ოდენ მპარაობა, არამედ ავაზაკობა ქმნა სიმთრვალითა, ოდეს იგი შვიდ ღლე სმიდა², და ნაძლევისაჲვის იგავისა მის დაესხა მოგზაურთა, დაძარცვნა იგინი, და მთრვალობითავე აღმო-უქადნეს თვალნი ამისნი და მიელო ძლიერება ღმრთივ მონიჭებულა. უკეთუ ანგელოზის ხარებით შობილსა და ღმრთივ განძლიერებულსა სამსონს ესრეთ ავნო სიმთრვალემან, აწინდელსა კაცთა რამე უყოს ღვინომან? ვაიმე, ვხედავ, უეჭველად სულითა და ქორცითა შთაიჭრეს ტარტაროზსა შინა!

არა-ცილისწამებასა გვამცნებს.

- 671 აღმოიკითხე ესთერის წიგნი, ვითარ ამან ამაღლოთ ღმრთის სიმთრვალესა შინა რა ცილისწამება შეუშხადა მარდოქეს და მოინება ისრაელთა დედაწულით მოსრვა და თვითვე დამოეკიდა ძელსა მას და მოსწყვიდნეს ძენი მისნი განგებითა ღმრთისაჲთა.

იხილეთ, ჰოი მემთრვალენო, რაოდენნი ცილისწამებანი გამოვლენ თქვენ მიერ მეტნობითა ღვინისაჲთა!

არა გული გითქმიდეს ცოლთა და ქალთა სხვისათა.

აჰა, ვითარ ყო ოლომფორემ სიმთრვალითა, ვითარ წერილ არს ივდიითის წიგნსა შინა: ბილწისა გულისთქმითა ესოდენ განძლიერებული და ქვეყნის მპყრობელი სპასპეტი ერთისა დედაკაცისა ჰელითა მოიკლა!

- 672 ესრეთ დაქსნის ყოველთა მცნებათა ღმრთისათა, ესრეთ უა/რჰ-ყოფს ყოველთა წესთა შჯულისათა, ესრეთ შეარცხვენს სიმთრვალე ამას სოფელსა და წარსწყმედს საუკუნომდე.

საყვარელნო, დადაცათუ მთრვალობა ერთსა რასამე მცირესა ბოროტსა მოგვატყვევებს, თანა-გვაც, რათა არა დავითროთ, ვინაჲთ-გან ესრეთ საძაგელ არს სიმთრვალე: ღმერთსა განგვაშორებს, მისსა შჯულსა და მცნებასა დაქსნის, ყოველთა კეთილთა მიგვი-ღებს და მრავალსა ბოროტსა შეგვიძინებს, სასუფეულიდამ განგვი-ყვანს და ჯოჯობეთსა შინა საუკუნოდ წარგვწყმედს.

მაშა, არა ჯერ-არსა განშორება სიმთრვალისაგან?

- 673 საყვარელნო, ღმრთისა წინაშე ესრეთ საძაგელ არს სიმთრვა-ლე/, გესმისთა, და შჯულისა წინააღმდეგომ?

აწ განვიხილოთ, თუცა საწუთოსა სოფელსა ამას შინა რა სარგებელი მოგვეცეს, ანუ ქორცითა ჩვენთა რამე კურნება გვიყოს.

¹ გამოსლ. 20, 15.

² სმიდენ.

უზმამან ვინმე იხილე საყვარელი შენი მთრვალი მომავალი, თუ ვითარ განგმო გულთა შინა შენთა, განჰკიცხო და საძაგლად სა-
ხილველად აღვირდეს. უკეთუ სხვა მთრვალი მოყვასი შენი საძაგელ
სანახავ არს წინაშე თვალთა შენთა, ეგრეთვე ყოველნი მთრვალნი
წინაშე სხვათა იხილვებიან, რომელნიცა დაითრვენ. კვალად
მემთრვალესა კაცსა ყოველნი ჰგმობენ და სიყვარულსა განიშო-
რებენ, სიტყვასა არღარა ურწმუნებენ, / მეფეთა და წარჩინებულთა 674
წინაშე. წყალობას ვერ ჰპოებენ, ძმათა და მოყვართაგან კიდე
იქმნების, დედაწულთაგან სასაჩივროდ გახდების, ომთა და ბრძო-
ლათა შინა დაზიანდების, სავაჭროთა შინა იავარ-იქმნების / ღვიძლი
განუქურდების, გონება დაუსუსტდების, სიმრთელე გაეცლების და
გვამთა აგებულება სნეულებითა აღევსების, თავის ტკივილი
განუმრავლდების, თვალთა სიწითლე განუაშირდების, მხედვარობა
და სინათლე მიაკლდების, ყურნი სმენად დაუშემდებიან, გულთა
მფლობელობა უსუსურ იქმნებიან, ტვინნი დაუთხელდებიან და
ჰკუა და / ცნობა დაეფანტებიან, თავი და ქელი თრთოლას დაუწ- 675
ყებენ. თუმცა სნეულება განუმძლავრდა, სიკვდილსა ვერღარა
გულისხმა-ჰყოფს; ნუ უკვე სინანულად მოვიდეს და სინანულისა
მიერ სულნი იცხოვნენ

თქვენ ყოველთავე იცით და უწყით, რამეთუ ესე ყოველივე
ესრეთ არს და ამას არა-თუ მხოლოდ მთრვალობისა მოძულენი
მიემოწმებით; არამედ თვით ივინივე მემთრვალენი და მის საქმისა
მოქმედნიცა საძაგლად სდებენ სიმთრვალესა. და სხვასა და სხვასა
აუგსა იტყვიან მემთრვალობისასა.

ჰოი მემთრვალენო, უკეთუ ბოროტ არს სიმთრვალე, რამისათვის
ზედასა-ზედა ით/რობით და ყოველივე მონაგები თქვენი გარდავი- 676
გიესთ მთრვალობისათვის? და უკეთუ კეთილ არს, თქვენს საყვა-
რელსა და მარადის თქვენგან გაუყარსა საქმესა რად იყივნებთ, და
აძაგებთ და ბოროტსა უთქვამთ?

საყვარელნო, ამით სცანთ სიბოროტე მემთრვალობისა: ვინაშთ-
გან ყოველთავე შჯულთა და წესთა განრყენის, და ღმრთისა საქულ-
ველ არს, / და ქრისტეს პატიოსნის სისხლით მოსყიდულსა სულსა
თქვენსა ბოყინსა და ნათხევარსა ზედა განჰყიდის, და საწუთოსა
ამას სოფელსა შინა ესეოდენსა სავაებოსა მოსცემს: დააგლახაყებს,
დაასნეულებს, მეფეთა და მოყვასთაგან განაშორებს, საყვარელ/თა 677
ცოლთა და შვილთა მოაძულებს, ამისსა ფასსა რასა სარგებელს
გიყოფს მემთრვალობა, ანუ რამე კეთილისა ძალ-უც შეძინებად,
მიტხარ მე?

იტყვიან ვინმე მემთრვალეთაგანნი: მაშა, რად დაბადა ღვინო ღმერთმან, უკეთუ არა ვსვათ და არა ვილხინო[თ]?

ჰეე, ღმერთმან დაბადა ღვინო კაცთათვის სასმელად, და საკურნებელად და ჰორცთა სასიმრთელოდ, არა-თუ — სამთრვალოდ და გასაშმაგებლად და სასნეულოდ და სასიკვდილოდ. ღმრთისაგან თქვენთვის სიმრთელის წამალსა ესოდენსა შესვამთ, სტომაქმან ვერ დაიტოოს და სენად გარდაგექცესთ და თვით თავისა თვისისა მკლეველი ბოროტად მოსწყდეთ./

678 ჰეე, ღვინო დაბადა ღმერთმან ლხინისათვის, არა-თუ ჰირისათვის. მემთრვალენი ვინაჲთგან ლხინად უქმობენ, იგი არა თუ ლხინი არს, არამედ უფრომსად ჰირი და ვაება:

მაშინ არს უწესური ჰამა, უნებური სმა, შეუგვანი წარსაგებელი, ამო საუბარი, უშვერი სიცილი, ურცხვინო ალერსი, ბილწო სიმღერა, ბოროტი როკვა.

ძმანო, ესე ყოველივე ჰირი არს და არა ლხინი!

მაშინ არს ცნობისა მიღება, სიბრძნისა წარდევნა, ხელობის მოწვევა, სიციფისა სწავლება, საქონელთა ურიდალ ფანტვა და ნათხევართა მოშოება.

ძმანო, ესე არა-თუ ლხინი არს, არამედ ჰირთა უჰირესი!..

679 ამისთვის მიუწერს წმიდა/ პავლე მოციქული კორინთელთა პირველის ებისტოლის ვ თავსა შინა: „არცა მეძავთა, არცა კერპთმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა, არცა მამათ-მავალთა, არცა ანგაართა, არცა მპარავთა, არცა მემთრვალეთა, არცა მავინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისა ვერ დაიმკვდრონ“¹.

ჰოი სიმთრვალე ბოროტი და ყოველთა ბოროტთა უბოროტესი!

680 გესმისთა, რაბამ საძაგელ არს სიმთრვალე და რაოდენთა უშეჯულობათა და ღმრთისა მტერობასა თანა შერაცხა მოციქულმან? ხოლო მე ვგრე ვგონებ, რამეთუ უბოროტესცა და უმძიმეს ამათსა არს მთრვალობა, რამეთუ დიდნი ცოდვანი არიან და მტერო/ბა ღმრთისა ზემო წერილნი ესე ცოდვანი, არამედ ნუ ყოს ღმერთმან, და უკეთუ შეემთხვევა ვისმე სიძვა ანუ პარვა, ანუ კაცის კლევა, წამსავე შინა შეიკდემს, შეიშინებს ღმრთისაგან და შეირცხვენს კაცთაგან, იწყებს სინანულად გულითა ღმობილითა, თავსა თვისსა ცოდვილად უწოდებს და ცრემლოან და მოძღვართა და საკანონოთა მოიძიებენ, ხოლო მემთრვალენი არა-თუ შეირცხვენენ, არამედ უხარის და უფრომსად სმენ, უდიდესთა შთაისხმენ და უფრომსად

¹ ებისტ. კორ. I. 6, 9 — 10.

ურცხვიზოდ განეშორებინან ღმერთსა, და დაივიწყებენ სინანულსა და თავსა თვისსა კეთილმოქმედად უწოდს, და უხვსა და მოღბი-
ნესა დანატრ/იან თვისთა სიბორგილეთა და იქადიან დიდად ბო-
როტთა ზედა, და გმობენ ზომიერად მკამელთა და ძუნწად და
პურშავად ხადიან მათ.

681

ოუწყეთ, საყვარელნო, იესუ ქრისტემან, ღმერთმან ჩვენმან,
კოდვილთათვის ვნებულმან ყოველი¹ კოდვილი შეიწყალა, მეძაე-
ნი და მემრუშენი აცხოვნა. თვით უწყით, მარიამ მაგდალინელი
ვითარი იყო; უარისყოფელი პეტრე თავ მოციქულად დაადგინა,
ეკლესიისა მღევარი პავლე სამ ცადმდე² აღამალა, ანგარი მათე
მეზვერე მახარებელ ყო, გრძნების მოქმედნი მოგვნი ბეთლემს
მოსლვითა სასუფეველისა ღირს ყვნა, ავაზაკი უბრალოს სისხლით
შედებილი ზეცისა სამოთხისა ზიარ ყო/, ქანანელს დედაკაცსა... და
ყოველნი კოდვილნი აცხოვნა³. არამედ არა სადა აღმოგვიკითხავს⁴
და არცა გვასმიეს მემორვალე შეწყალებული, ანუ შეწყყარებული,
ანუ კოდვისა მიტვევებული.

682

აწ, საყვარელნო, ვინაჲთვან ესრეთ საზარლად საქაველ არს
სიმორვალე, ამიერითვან იელტოდეთ და ნურლარა დაითრობით.
რომლისაგან არს ესოდენი სიბილწე, და ისწავეთ ზომიერი ჭამა და
სმა, რათა ღმერთმან ღირს გყოსთ და მოგცესთ სინანული და
ადგიყვანოსთ ზეცისა სასუფეველსა, სადა არიან ყოველნი წმიდანი.
ამინ.

46. სწავლა ზმარბისაბან დაბნელებისა და სასწაულისაბან დაცემისა

ვითარცა სარკესა შინა რა იხილვების სახე კაცისა შევნიერისა
და იქმნების საწადელ საჭვირობელად, ეგრეთვე იხილვების სარკესა
შინა ძველისა შჯულისასა ხატი ახლოსა შჯულისა შევნიერებისა და
განიცადების საწადელად.

683

ნააბ და აბიულ, ძენი აპრონ მღვდელთმოდღვარისანი, თვითცა
მღვდელნი რჩეულნი, სამღვდელთა დასთა შინა ჩინებულნი და
მსახურ სიწმიდისად განკუთვნილნი, არა ეკრძალებოდენ სიწმიდესა
შას და მსახურებასა მათსა მღვდელობისასა, ზვაობისაგან დაბნე-
ლებულ იქმნენ და სასწაულთაგან მოკლებულ, და აღმოჰადა
ცეცხლი საცეცხლურისა მიერ, ოდეს შეწირნეს ზვაობით ცეცხლნი

¹ ყოველნი.

² ცადე.

³ აცხოვნა.

⁴ აღმოგვიკითხავს.

684 უცხონი, და დაიწვ/ნეს სულით და ქორციელად, რამეთუ ზვაობა დამაბნელებელ არს ესრეთ: უკეთუ არა განემკაცრა თავსა თვისსა, სასწაულთა მოქმედიცა იყოს კაცი სიწმიდით, ზვაობა-აღლაღება დასცემს საწყალობელად.

ამათ საქმითა დაეცნეს ძენი ელოსანი, რამეთუ არა ვიდოდეს გზასა სიმართლისასა, არამედ ვეცხლის-მოყვარებითა მათითა მოსწყდეს და მიეტაცა სჯულის კიდობანი ღმრთისა ჯელთაგან.

იხილეთ, ზვაობამან ვითარნი საქმენი უყვნა ნაზარეველსა ღმრთისასა ფარისევლსა: და დასცა სიწმიდისაგან და მეზვერე უბრალო გარდამოვიდა სიმდაბლისა მიერ ლოცვისაგან.

685 ჰოი, იხილეთ, აწ ახლისა სჯულისა ვითარ გამოჩინებულ არს სარკესა შინა/ ძველისა სჯულისასა:

ვაი, საწყალობელსა იუდას, რამეთუ უსაწყალობელეს არს ესე ძმთა აპრონისათა ნააბისა და აბიუდისა, რამეთუ მათ აღტაცებისა მიერ ზვაობისა შეწირეს ცეცხლი უცხო და მით დაიწვნეს, ხოლო იუდა მოწაფემან ქრისტესამან, რჩეულმან მოწაფემან, თავმან მოციქულთამან, აღტაცებისაგან ზვაობისა განცა ცეცხლი ღმრთაებისა, და შეწირა ჰურიათა და დაიწვა ცეცხლითა ჯოჯოხეთისაჲთა სულითა და ქორციითა.

ვაი, საწყალობელსა იუდასა, რამეთუ უსაძაგელეს არს ძეთა ელისთა!

686 ოფნი და ფინეზ არა ვიდოდეს გზასა კეთილსა და მოსწყდეს და ბიედო მათგან კიდობანი სჯულისა ღმრთისა. იუდას უძვირესი შეე/მთხვია, ვინაჲთგან არა ვიდოდა გზასა კეთილსა და მოიკლა თავი თვისი, და ბიედო სჯულის მომცემელი იგი, რომელი თვით აქვნდა სხვათა მიერ.

ვაი, საწყალობელსა იუდასა, რამეთუ უსირცხვიენელეს არს ფარისევლსა წინა მას, რომელი აყვედრებდა ღმერთსა სიმართლესა თვისსა, აქებდა ათისთავთა შეწირვასა იუდა ასწავლიდა ქრისტესა დრტვინით: ნუმცა დაითხვეა ნელსაცხებელი, არამედ გლახაკთა მიეცინ განვაჭრებული დრაჰკანი. და მის წილ გარემოვიდა განმართლებული მეზვერე მათე, მანათობელი სოფლისა და აღმწერელი წმიდისა სახარებისა, საჰსრად ცოდვილთა სულთასა და მქადაგებელი სინანულისა.

687 ვაი, საწყალობელსა/ იუდასა, ვინაჲთგან საბრალობელად გვიჩნს ნაბ¹ და აბიუდის მღვდელობისა განუკრძალველობა, რამეთუ მღვდელობა მისი სახე იყო იუდასი და საცეცხლურისაგან ცეცხლი — სახე ქრისტესი

¹ ნადამ.

ვაი, ბოროტსა იუდასა, ვინაჲთგან ვბასრობთ ოფნისა და ფინე-
ზის არა კეთილად სლვისათვის და კიდობანთა წარზმისათვის, რამე-
თუ ბოროტად სლვა მათი სახე იყო იუდასი, ხოლო სჯულის კიდო-
ბანი — სახე ქრისტესა, რომელ მიეცა წარმართთა!

ვაი, უბადრუკსა იუდას, რამეთუ ფარისეველთა თანა აღსლვა,
მეზვერისა დაყვედრება სახე იყო იუდასი, ხოლო მეზვერისა გან-
მართლება — სახე მატთასი!

ესე ყოველნივე წმიდა უფლისანი იყენეს და სა/მსახურებელსა 688
შინა საღმრთოჲსა განწესებულნი და სასწაულთა და ნიშთა
მოქმედნი, არამედ ზეაობამან ესრეთ დასცნა, რომელნი აწ უბად-
რუკად სახელ იღებიან.

ამისთვისცა სნეულება ზეაობისა ძნიად საქურნებელ არს,
ვინაჲთგან იშვის სამე არიან ადგილნი, სადა არა იყოს ზეაობა. და
ნეტარ მას, რომელი მძლე ექმნეს ზეაობასა, რამეთუ ზეაობისა
ეშმაკი მარადის მოუშორებელ არს კაცისა თანა: და პირველად
ეტყვის ქმნასა ცოდვათასა და, უკეთუ არა ქმნა ცოდვა, ეტყვის
კეთილ ჰყავ, ვინაჲთგან არა უსმინე ეშმაკსა და მძლე ექმნ.
მატოურებასა მისსა ნებავეს, რათა შთააგლო ზეაობა./

იწყებს მუნით და რაოდენნი კეთილნი და ქველნი საქმენი ქმნეს, 689
ეგოდენსა ზეაობისა ქებასა შეასხამს და აღიყვანს სიმაღლესა
ამპარტაუნებისასა, რათა მუნით შთამოაგდოს, ვითარცა თვით იუდას
უყო, რამეთუ: მოციქული იყო უფლისა და რჩეული მოწაფე და
მოქმედი სასწაულისა, არამედ ოდეს შევიდა ზეაობა მის შორის
არღარა არგო სასწაულმოქმედებამან მისმან, არამედ დაეცა საწყა-
ლობელად და შეიმუხრა უკურნებელად.

სასწაულთა მოქმედი იყო პეტროს კაწრელი და ანტიოქიისა 690
პატრიარქი, არამედ ზეაობა გარდაურია სასწაულთა მოქმედებითა
და სამწმიდა არსობისა გალობასა შინა შთაურთო/ წვალება დიდი,
რომელსა სომეხნი იტყვიან, რომელ ჭვარს ეცვიო. — „ხაჩვეცარსა“.
და ვერა არგო პატრიარქობამან და სასწაულთ მოქმედებამან.

რამეთუ ზეავი კაცი ვერღარა განარჩევს კეთილსა და ბოროტსა,
ვინაჲთგან რასაცა ჰყოფს ყოველივე კეთილი ჰგონეს და არა უწყის,
თუცა ქმნას მან ბოროტი. ზეავი კაცი თუცა უშვერ იყოს, უშვერება
თვისი უშვენიერეს ჰგონიეს ყოველთა მწყაზართასა. ზეავი კაცი
თუცა ბოროტ-მეტყველ იყოს, უმჯობეს სხვათასა ჰგონიეს მეტყვე-
ლება თვისი ამისთვის, რამეთუ მოქმედებული თვისი მოსწონს და
თავი თვისი ზეშთა უჩნს.

ამისთვის იტყვის დავით ო ფსალმუნსა/ შინა: „რამეთუ იქებინ 691

თავით თვისით ცოდვლი გულის-თქმათა შინა სულისა თვისისათა და უღმრთო იკურთხევიან¹!

ვინაჲთგან ესრეთ საძაგელ არს ზვაობა და წარმწყმედელ კაცთა, ჭერ-არს ჩვენდა, რათა შეურაცხად მოგვაქვენდეს თავნი ჩვენნი და უდარეს სხვათასა — ქმნილნი ჩვენნი, რამეთუ რომელსა კაცსა თავი თვისი შეურაცხად მოაქვენდეს, იგი შერაცხოს ღმერთმან.

რასა წარბ მადლოი, ჰოი კაცო? რასა ზვაობ, ჰოი მიწაო?

დაიმზირე ქვე, ფერათა შენთა, რომელსა ზედა მდგომარე ხარ და სტკეპნი! იგი ხარ და მისგან გამოსრული!

692 რასა იქადი, ჰოი ცოდვილო, რამეთუ ხვალე იქმნები ვითარცა ნაცარი და მტვერი. დღეს მრთელი ხარ და უსნეულო და/ გგონიებ არა დასნეულება და არა ტკივილი ასოთა შენთა და ზვაობ. ხვალე მოვალს ანაზღად ტკივილი მწარე რამე და სნეულება და მაშინ რამე გეყოს ზვაობასა შენსა?

უკეთუ კეთილ არს ზვაობა შენი, ჰკურნოს ტკივილსა და სნეულებასა შენსა. ზეგე შეგეცვლების სნეულება სიკვდილად და ზვაობა. სრულობით იავარ იქმნების, სიმაღლე შენი წარიქცევის, სიმძნე შენი მოუძღვრდების, სიშვენიერე შენი დაღნიოშდების, ვაი სიმწყზარე წარიტყვევების, ფეროვნება განყვითლდების, ქედმაღლობა-
693 შეიმუსრვის, თვალთა პირმოაღომილობა/ უშვერ იქმნების, ენათა მეტყველება და რიტორება დაღუმენების, მაგინებლობა და ძორცთა მძვინვარება დაჩუმნების, მბა-ტბილოვანი და გალობათა წყობანი შეირევის, ჭბუჟთა სიმღერანი და მგრგვალთა წყობანი მოიშლების, ქალთა სიკეკლუცენი დაღუხჭირდების, პირთა სამკაულნი და მარგალიტნი მატლად იქცევის, თმათა ნელსაცხებელნი და ზეთნი სუნნელნი დაწყრალდების, ასოთა შენაწვერება და გაწყობისათვის ზვაობა თვითოეულად დაიხსნების, დაწვნი ლალებრნი, მტვერთა განმკრძალავნი, მიწითა დაიფარვის, დედ-მამათა საყვარელნი შვილნი, გინა
694 შვი/ლთათვის დედ-მამანი და და-ძმანი, გინა სასურველნი ცოლ-ქმარნი წამსა შინა საძულფელ იქმნების, საამბორებელი პირი და საკოცნელი თვალ-წარბნი, რომელთა შორს ყოფნა საჭიროდ ჰქონდისთ, მერმე სახილველად საზარო იქმნების. უკეთუ საყვარლისა შვილისა დედამან კაციმცა ვერ პოვა, რათამცა საფლავად დამარხა, თვით ივლტის და ვერღარა თავს-იდვის ხილვა საყვარელისა შვილისა.

ჰოი კაცო, გულქვაჲ და გონება მიუღრეკელო, რასა მადლოი? იხილეა თავი შენი ზვაობად მიწევნული? ესე არს თავი შენი!

¹ ფსალმუნი 9, 23.

და ყოფა შენი და მოქმედება შენი! ამისთვის ზვაობდე, ამისთვის იტყოდე მაღალსა!/
695

ნუ, საყვარელო, ზვაობა ოდესცა მოგადეს, მიიღბინე საფლავად და შთაიხედენ სამარხოთა მკედართასა, სადა არიან ერთბამად ძვალნი შიშველნი ზვაფთა და მდაბალთანი, მეფეთა და გლახაკთანი, აზნაურთა და მონათანი, შვენიერთა და უშვერთანი, მწყაზართა და გონჯთანი, და მაშინ განქარდეს ზვაობა შენი, რომელ დაგიტესა გულსა მაგას უცოდველსა და სადგურსა მცნებათა ღმრთისათა, და აღმოფხვარ ბოროტისა ხისა მის ფესვნი გონებისაგან შენისა, რათა არა სადა დაშთეს ნაწილნი მცირენი სადამე საცნობელთა შენთა. უკეთუ მცირედი რამე ზვაობისაგანი დაცარჩა გვამთა შენთა, კვალად აღივსოს სიბო/როტითა, ვითარცა რა აღივსოს ნაფი განხვრეტილი წყალთა მიერ. ამისთვის გასწავებ და გეტყვი: უკეთუ ეგოდენნი წმიდანი და ბატონიანი კაცნი დასცნა ზვაობამან და არა-რა საჩუბებელ ეყო სასწაული მათი და იუდა მოციქულებამან და ქრისტეს რჩეულებამან ვერა არგო და დასცა ზვაობამან და წარწყმიდა, თქვენცა გეშინოდეთ და განეკრძალენით ზვაობასა და სიმდაბლით აღიდებდეთ ქრისტესა აწ და უკუნისამდე, ამინ.
696

საქრისტიანო მოძღვრება

პირველად სასწავლო
ყრმათათვის, რომელსა
ენოდების სამოთხის კარი

A

სწავლა, მეცნიერთათვის თქმული აღვიარება, რომელ არს ღმერთი და ან შჯული, ორბელის-ყოფილის, საბა-წოდებულისა ნათქვამი.

მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა, მხოლოდ შობილი, რომელი სულისა მიერ წმიდისა და მარია-მისაგან ქალწულისა იშვა, პონტოელის პილატეს ზე ივნო, ჯვარს ეცვა, მოკვდა, დაეფლა, ჯოჯოხეთად შთაჰდა და აღდგა მესამესა დღესა მკვდრებით, აღმადლდა ზეცას, მჭდომარე არს მარჯვენით მამისა, ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისა, მოვალს განსჯად ცხოველთა და მკვდართა.

მრწამს სული წმიდა.

მრწამს ერთი წმიდა კათოლიკე ეკლესია და ზიარება წმიდისათანა, მოტევება ცოდებათა, აღდ-

B

საქრისტიანო მოძღვრება პირველად სასწავლო ყრმათათვის, აღწერილი სულხან-საბა ორბელიანისაგან, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი. სარწმუნოებისა მართლისა და უბიწოასა შჯული-სა, რომელიც მოგვეცა წმიდათა მამათა მიერ¹.

¹ სათაურის წინ იკითხება: „სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ“.

გომა მკვდრებით, ცხოვრება საუკუნო, ლოცვა საუფლო: მამაო ჩვენო, გიხაროდენ ანგელოზისა მიერ! გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენ თანა [არს]! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა სარწმუნოებისათვის, მართალი და უბიწო, მჯობი [ყოვლი]სა, რომელი მოგვილხენს წმიდა მამათა.

1. მოძღვარი კითხავს ყრმასა ვისმე, ვითარმედ: შენ ვინ ხარ?

ყრმა მიუგებს და ეტყვის: ქრისტიანე ვარ.

2. მ: რა არს ქრისტიანობა?

ყ: რათა გვრწმენეს მართლმადიდებლობის სარწმუნოება.

3. მ: რა არს მართალი სარწმუნოება?

ყ: რათა გვრწმენეს და ვიცნობდეთ ღმერთსა.

4. მ: რა არს ღმერთი?

ყ: არსება უმიზეზო და მიზეზი ყოველთა ძლიერთა და ყოვლისა მიზეზისა და ბუნებისა უზეშთაესი დამბადებელი.

5. მ: რა არს არსება?

ყ: საქმე თვით არსი, რომელსა სხვა არავინ ემპარებოდეს

1. მოძღვარმან კითხავს ყრმასა ვისმე, ვითარმედ: შენ ვინ ხარ?

ყრმამან მიუგო და პრქვა: ქრისტიანე.

2. მ: რა არს ქრისტიანობა?

ყ: რათა გვრწმენეს მართლმადიდებლობის სარწმუნოება.

3. მ: რა არს მართალი სარწმუნოება?

ყ: რათა გვრწმენეს და ვიცნობდეთ ღმერთსა.

4. მ: რა არს ღმერთი?

ყ: არსება უმიზეზო და მიზეზი ყოვლისა არსებისა და ყოვლისა ხილულისა და უხილავისა დამბადებელი.

5. მ: რა არს არსება?

ყ: საქმე თვით არსი, რომელსა სხვა არავინ ემპარებოდეს თა-

1 თხულები დაწერილია კითხვა-მიგების ფორმით. კითხვა ეკუთვნის მოძღვარს, პასუხი კი — ყრმას. ხელნაწერებში ყოველი კითხვის წინ წერია „მოძღვარი კითხავს“, ან „მოძღვარმან კითხა“; ან მოკლედ მ, ხოლო ყოველი პასუხის წინ — „ყრმა მიუგებს“ ან „ყრმამან მიუგო“, ანდა შემოკლებით ყ.

თავისა თვისისა შემზადებად და თვით მყოფი იყოს.

6. შ: ვითარ სარწმუნოებით ჯერ-არს, რათა გვრწმუნენს ღმერთი?

ყ: რათა აღვიარებდეთ ერთსა ღმერთსა სამითა გვამითა.

7. შ: რა არს გვამი?

ყ: არსებით ღმრთაება რომელითამე, მისთა თანა მათგან განყოფილ არიან, რამეთუ სხვანი.

8. შ: ვითარ იქმნების ერთი ღმერთი სამითა გვამოვნებითა?

ყ: ერთი ღმერთი მამა, ძე და სული წმიდა, ერთი ღმერთი სამით გვამითა.

9. შ: ვინ გითხრა, რომ ერთი ღმერთი სამითა გვამითა არს?

ყ: პირველად წინასწარმეტყველთა იგავით მოასწავეს და, მერმე ეამთა უკანასკნელთა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემ ოდეს იოვანესგან ნათელს ილო, მაშინ განცხადებულად გამოჩნდა, რამეთუ ძე წყალთა შინა ნათელს იღებდა და მამისა კმა ზეცით ეწოდებოდა. და თქვა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი“,¹ და სული წმიდა სახითა ტრედისაჲთა დადგა თავსა მისსა ზედა, ამით ვსცანით.

10. შ: ვინ იხილა ეგე თვალითა, ანუ ვის ესმა კმა იგი მამისა?

ყ: იოვანე ნათლისმცემელმან იხილა. და ანდრია მოციქული და იოვანე მახარებელი ორნივ იოვანე

ვისა თვისისა შემზადებად და თვით მყოფი იყოს.

6. შ: ვითარისა სარწმუნოებითა ჯერ-არს რწმუნება ღმერთსა?

ყ: რათა აღვიარებდეთ ერთსა ღმერთსა სამითა გვამოვნებითა.

7. შ: რა არს გვამი?

ყ: თვისგან თვით თვისით შემტკიცებით მდგომარე და განყოფილი მისთა თანა მათგან რიცხვითა.

8. შ: ვითარ იქმნების ერთი ღმერთი სამ-გვამოვანად?

ყ: ერთი ღმერთი სამ-გვამოვანი ესე არს: მამა და ძე და სული წმიდა, წმიდა სამება ერთ-არსება.

9. შ: ვინ გითხრა, რომელ ერთი ღმერთი სამ-გვამოვან არს?

ყ: პირველად წინასწარმეტყველთა იგავით მოასწავეს და, მერმე ეამთა უკანასკნელთა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემ ოდეს იოვანესგან ნათელი ილო, მაშინ განცხადებულად გამოჩნდა, რამეთუ ძე წყალთა შინა ნათელს იღებდა, და მამისა კმა ზეცით ეწამებოდა. და თქვა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი“,¹ და სული წმიდა სახითა ტრედისაჲთა დადგრა თავსა მისსა. ამით ვსცანთ.

10. შ: ვინ იხილა ეგე თვალითა, ანუ ვის ესმა კმა მამისა?

ყ: იოვანე ნათლისმცემელმან იხილა. და ანდრია მოციქული და

¹ მათე 3, 17; 17, 5; მარკოზ 9, 7.

ნათლისმცემლის მოწაფენი იყვნენ. და მაშინ მუნ მდგომარეთა თვალით იხილეს და ყურით სმენილნი დაგვიმტკიცეს და გვასწავეს ერთი ღმერთი სამითა გვაძიოთ.

11. მ: უკეთუ ერთი ღმერთი სამ-გვამოვან არს, რომელი უწინ იყო და რომელი უკან?

ყ: არა არს მათში უკანაობა, არცა პირველობა, გინა უდიდესობა, არამედ სწორ არიან.

12. მ: განმიმარტე, როგორ იქმნების?

ყ: ოდეს იყო მამა, მაშინ ძე და მაშინ სული წმიდა, რამეთუ მამა უშობველ არს, ხოლო ძე შობილ და სული წმიდა გამოსულ.

13. მ: წელან არა სთქვი: არცა ერთი უწინ და არც მეორე უკანასკნელ? უკეთუ მამამან შვა ძე, ვითარ [არა] უპირველესი არს?

ყ: არა თუ ვითარცა ჩვენ გვშენა² მამა[მან] ჩვენმან ქორციელად და უპირველეს ჩვენსა არს და ეგრეთვე არს უხილავი და უსხეულო, მსგავსად ჩვენ ხილულთა და ქორციელთასა, არამედ ისმინე ეს:

იოვანე მახარებელი ორნივ ნათლისმცემლის მოწაფენი იყვნენ. და მაშინ მუნ მდგომარეთ თვალით ხილული და ყურით ნასმენი დაგვიმტკიცეს და გვასწავეს ერთი ღმერთი სამ-გვამოვანად.

11. მ: უკეთუ ერთი ღმერთი სამ-გვამოვან არს, რომელი უწინ იყო და რომელი შემდგომად?

ყ: არა არს მათ შინა პირველობა და უკანასკნელობა, არცა უდიდესობა და უმცირესობა, არამედ სამნივე ერთ და სწორენი არიან.

12. მ: განმიმარტე, ვითარ იქმნების?

ყ: ოდეს იყო მამა, მაშინვე ძე და მაშინვე სული წმიდა, რამეთუ მამა უშობველ არს, ხოლო ძე მამისაგან შობილ და სული წმიდა მამისაგან და ძისაგან გამოსული.

13. მ: წელან არა სთქვი: არცა ერთი უწინ და არცა მეორე უკანასკნელ? უკეთუ მამამან შვა ძე, ვითარ არა უპირველესი არს?

ყ: არა თუ ვითარცა ჩვენ გვშენა მამამან ჩვენმან ქორციელად და უპირველეს ჩვენსა არს, ეგრე მსგავს ჩვენდა იყოს ხილულთა ამათ უხილავ და უსხეულო, არამედ ისმინე, რამეთუ: მამასა აქვს სიბრძნე, ხოლო სიბრძნე იგი არა არს. უგვამო და განზნევალი, ვითარცა ესე ჩვენი, არამედ მას

¹ ავტოგრაფში გამოთქმა „და ძისაგან“ წაშლილია. იქვე, „მამისაგან“ — სიტყვის წინ სხვა ხელით ჩაწერილია: „მხოლოდ“. გასწორებულ ტექსტი იკითხება: „სული წმიდა მხოლოდ მამისაგან გამოსული“ (გვ. 2).

² გვშვა.

ოდესმე იქმნა სული ჩვენი, მუნ-
თქვესვე გონება, სიბრძნე და სი-
ტყვა, რამეთუ ერთის სულისა სამ-
ნი ესე გვამნი იქმნებიან გონებისა
სიბრძნე და სიტყვა, არამედ სამ-
ნივე ერთსულ არიან: არცა პირ-
ველი რომელი და არცა შემდგო-
მი, არამედ გონებისაგან იქმნების,
გარნა იშვების სიბრძნე და გამო-
ვალს სიტყვა. და კვალად ხილულ-
სა ამას მზესა შინა არს სამნი გვა-
ნი: დისკო, შარავანდელი და ნა-
თელი, რამეთუ სამნივე ერთნი
არიან და განუყოფელნი. და ეს-
რეთ არს მამისა და ძისა და სუ-
ლისა წმიდისა ერთი ღმრთაება და
სამ-გვაგომოვნება და სამთავე სწო-
რად-ყოფა.

14. მ: უკეთუ ეგრეთ არს, რა-
მსათვის თქვა ქრისტემან იოვანეს
სახარებლასა შინა: „მამაჲემი უფ-
რომს ჩემსა არსო?“¹.

ყ: საღმრთოს წერილს დიდი
გამოძიება უნდა. ერთს ადგილს

სიბრძნესა აქვს არსება და გვაგომო-
ვნება მტკიცე, ვითარცა მამასა. და
ესე სიბრძნე არს ძე, რომელ არს
მეორე გვამი. ხოლო მამასა უყ-
ვარს სიბრძნე თვისი და სიბრძნე-
სა უყვარს თვისი მამა; ხოლო
მათგან გამოსული სიყვარული
არცა იგი არს უგვაგომო, ვითარცა
ჩვენი. და ესე მესამე გვამი არს
სული წმიდა.

14. მ: მაჩვენე სახითა რამათამე.

ყ: ოდესცა იქმნა სული ჩვენი,
მუნთქვესვე — გონება, სიბრძნე
და სიტყვა. რამეთუ გონებისაგან
იშვების სიბრძნე და გონებლსა და
სიბრძნისაგან გამოვალს სიტყვა;
არამედ სამნივე ესე გვაგომოვნებანი
ერთსულ არიან და არცა რომელი-
მე პირველი და არცა შემდგომნი.
კვალად ხილულსა მზესა ამას ში-
ნა არიან სამნი გვაგომოვნებანი: დის-
კო, შარავანდელი და ნათელი, რა-
მეთუ სამნივე ერთ მზე არიან და
განუყოფელ. ესრეთვე გულისხმა
იყოფების მამისა და ძისა და სუ-
ლისა წმიდისა ერთ-ღმრთაება და
სამ-გვაგომოვნება და სამთავე სწო-
როფა.

15 მ: უკეთუ ეგრეთ არს, რამ-
სათვის თქვა ქრისტემან იოვანეს
სახარებლასა შინა: „მამაჲემი უფ-
რომს ჩემსა არსო?“¹

ყ: საღმრთო წერილთა მრავა-
ლი გამოძიება უნდა. ერთსა ად-

¹ იოანე 14, 28.

იტყვის: „მამაჩემი უფროს ჩემსა არსო“, ხოლო მეორესა ალაგს იტყვის: „მე და მამაჩემი ერთ ვართო“¹. ქრისტე ვინათგან ორბუნება იყო — ღმერთი სრული და კაცი სრული, ეგრეთვე ორრიგად იტყვის სიტყვითა: ოდესმე ღმრთაებით, ოდესმე კაცებით, რამეთუ: სადა იტყვის მამასთან სწორებით, ღმრთაებით იტყვის, ხოლო სადა მამის უფროსობას იტყვის, კაცების ბუნებით იტყვის. არიოზ ურწმუნოებით ამისთვის შესცვალნა ალექსანდრიელნი მართლმადიდებლობისაგან და ძესა არა თანასწორად მამისა იტყვის და ქრისტეს არა ღმრთაების გონებით აღიარებს, რომლისათვის განსქდა ნაწლევნი მისნი და განეფინა მიწასა ზედა.

15. მ: ვითარ ემოწმებიან² წინასწარმეტყველნი სამების გამოჩენასა?

ყ: დავით იტყვის 32-ე ფსალმუნსა შინა: „სიტყვითა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისაჲთა ყოველი ძალი მათი“³. მრავალგან სხვაგან არიან ძისა ღმრთისა და სულისა ღმრთისა გამოჩინება.

16. მ: სამებისაგან რომელი გვაში განპორციელდა?

¹ იოანე, 10, 30.

² ემოწმების.

³ ფსალმუნი 32, 6.

⁴ ესაია 61, 1.

გილსა იტყვის: „მამაჩემი უფროს ჩემსა არსო“, ხოლო მეორესა ადგილსა იტყვის: „მე და მამა ერთ ვართო“¹. ქრისტე ვინათგან ორბუნება იყო — ღმერთი სრული და კაცი სრული, ეგრეთვე ორრიგად იტყოდა სიტყვათა: ოდესმე ღმრთაებით, ოდესმე კაცებით, რამეთუ: სადა იტყვის მამისა თანა სწორობასა, ღმრთაებით იტყვის, სადა იტყვის მამისა უფროსობასა, კაცობრივისა ბუნებასაგან იტყვის. ამისთვის შესცთა არიოზ ალექსანდრიელი მართლმადიდებლობისაგან და ძესა არა თანასწორად მამისაჲსა იტყოდა და ქრისტესა არაღმრთაების ბუნებით აღიარებდა, რომელისათვისცა განსქდა და ნაწლევნი მისნი განეფინა მიწათა.

16. მ: ვითარ ემოწმებიან წინასწარმეტყველნი წმიდისა სამებისა გამოჩინებასა?

ყ: დავით იტყვის ლხ ფსალმუნთა შინა: „სიტყვითა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისაჲთა ყოველი ძალი მათი“². და ესაია [იტყვის] ჰათავსა: „სული უფლისა ზემ ზედა, რომლისათვის მცხო მე“³. და მრავალნი სხვანი არიან წმიდის სამების მოსწავებანი.

17. მ: სამებისაგან რომელი გვაშოვნება განპორციელდა?

ყ: მეორე.

17. შ: ვითარ?

ყ: ვინათგან მოავლინნა ღმერთმან წინასწარმეტყველნი [და] ქადაგნი ისრაელთათვის და არავინ ისმინა მათი და მიდრკეს საქმესა წარმართთასა და ყოველნივე ეშმაკისა მიერ ძლეულ იქმნეს, შეიწყალნა ღმერთმან დაბადებულნი თვისნი, და მოავლინა ძე თვისი საყვარელი. და განპორციელდა მარიამისაგან ქალწულისა და აღიზარდა, ვითარცა ჩჩვილი. და იქცეოდა ჩვენ შორის ოცდაათსამშემეტ წელ.

18. შ: სადა არს მოწამე ძველის შჯულ[ის] წერილსა შინა მაგისი, ვითარმედ: ქალწულმან შვა ძე?

ყ: ბარუქის წიგნის მე-3 თავში იტყვის: „ესე არს ღმერთი ჩემი და ვერ ესწოროს მას სხვა ღმერთი. განაცხადნა ყოველი გზა მეცნიერებისა და მისცა იგი იაკობს — მონასა თვისსა და ისრაელს, საყვარელსა თვისსა. ამისა შემდგომად ქუეყანასა ზედა გამოჩინდა და კაცთა შორის იქცეოდა“¹.

19. შ: აწ ვითარ უნდა გვრწმენეს ძე ღმრთისა განპორციელებული ღმრთად, ანუ კაცად?

ყ: ღმრთად სრულად და კაცად სრულად.

20. შ: უკეთუ კაცი სრული არს, ვითარ შვა მარიამ და უხრწნელად დაადგრა?

ყ: მეორე.

18. შ: ვითარ?

ყ: ვინათგან მოავლინნა ღმერთმან წინასწარმეტყველნი და ქადაგნი ისრაელთათვის და არა ისმინეს მათი და მიდრკენ საქმეთა წარმართთასა და სოფელი ეშმაკისა მიერ ძლეულ იქმნა, შეიწყალნა ღმერთმან დაბადებულნი თვისნი და მოავლინა ძე თვისი საყვარელი. და განპორციელდა მარიამისგან ქალწულისა და აღიზარდა, ვითარცა ჩჩვილი, და იქცეოდა ჩვენ შორის და ოცდაათსამშემეტსა წელსა.

19. შ: სადა არს მოწამე მაგისი ძველისა შჯულისა წიგნსა შინა?

ყ: ბარუქის წიგნის მესამესა თავსა შინა იტყვის: „ესე არს ღმერთი ჩემი და ვერ ესწოროს სხვა ღმერთი. განაცხადნა ყოველი გზა მეცნიერებისა და მისცა იგი იაკობს, მონასა თვისსა და ისრაელსა, საყვარელსა თვისსა. ამისა შემდგომად ქუეყანასა ზედა გამოჩინდა და კაცთა შორის იქცეოდა“¹.

20. შ: აწ ვითარ ჭერ-არს გვრწმენეს ძე ღმრთისა განპორციელებული ღმრთად, ანუ კაცად?

ყ: ღმრთად სრულად და კაცად სრულად.

21. შ: უკეთუ სრულ კაცი არს, ვითარ შვა მარიამ და დაადგრა უხრწნელად?

¹ ბარუქ 3, 36—38.

ყ: მაგ წვალეზას კვირინთე და ებინოს მწვალეზელნი იტყვიან წმიდის მარიამისა არა-ქალწულეზად დადგრომასა; არამედ შვა კეშმარიტად შობითა დედობრივითა. და დაიცვა მშობელი თვისი უხრწნელად ძემან ღმრთისამან, რამეთუ მარიამ პირველ შობისა და შობასა და შემდგომად შობისა კვალად ქალწულად იყო, და ეგო და არს.

21. მ: სადა არს მოწამე ძველისა შჯულ[ის]ა წერილსა შინა მაგისი, ვითარმედ: ქალწულმან შვა ძე?

ყ: ესაია იტყვის მე-7 თავსა შინა: „აჰა, ქალწული მიუდგეს და შვას ძე. და უწოდიან სახელი მისი ევმანოელ, რომელ არს თარგმანებით ჩვენ თანა ღმერთი“¹.

22. მ: ეგ შობისათვის თქვა და ქალწულეზბის დადგრომისათვის რა?

ყ: ეზეკიელ იტყვის 44-ე თავში: „მრქუა მე უფალმან: ბჰე ესე დაძშულ იყოს და არა განელოს და არცა ერთი ვინ არა განვიდეს მის მიერ, რამეთუ უფალი ღმერთი ისრაელისა შევიდეს მის მიერ და იყოს დაძშულ“².

23. მ: ესეც მითხარ: ღმერთი სრული და კაცი სრული როგორ გვიღირს³, რომ ვირწმუნოთ?

ყ: ორითა ბუნებითა სრული-

ყ: მაგა წვალეზასა კვირინთე და ებინოს იტყოდეს წმიდის მარიამის არა-ქალწულეზით დადგრომასა; არამედ შვა კეშმარიტად შობითა დედობრივითა. და ძემან ღმრთისამან დაიცვა მშობელი თვისი უხრწნელად, რამეთუ მარიამ უწინარეს შობისა და შობასა და შემდგომად შობისა ქალწული იყო, ეგო და არს.

22. მ: სადა არს მაგისი მოწამე ძველის შჯულისა წიგნთა, ვითარმედ: ქალწულმან შვა ძე?

ყ: ესაია იტყვის მეშვიდესა თავსა შინა: „აჰა, ქალწული მიუდგეს და შვას ძე. და უწოდიან სახელი მისი ევმანოელ, რომელ არს თარგმანებით ჩვენ თანა ღმერთი“¹.

23. მ: ეგ შობისათვის თქმულა, ხოლო ქალწულად დადგომისათვის რა?

ყ: ეზეკიელ იტყვის მდ თავსა შინა: „მრქუა მე უფალმან: ბჰე ესე დაძშულ იყოს და არა განვიდეს მის მიერ, რამეთუ უფალი ღმერთი ისრაელისა შევიდეს მის მიერ“².

24. მ: ესეცა მითხარ: ღმერთი სრული და კაცი სრული ვითარ გვიღირს ვირწმუნოთ?

ყ: ორითა ბუნებითა სრული-

¹ ესაია 7, 14. შდრ. მათე 1, 23.

² ეზეკიელი 44, 2.

³ გვიღირს] + არს.

თა, რამეთუ ქრისტეს ბუნება ღმრთაებისა და ბუნება კაცებისა, ნება ღმრთისა და ნება კაცისა, საქმე ღმრთისა და საქმე კაცისა, ორივე ესე ბუნება, ორივე ნება და ორივე საქმე ჰქონდა ქეშმარიტად.

24. მ: რა არს ბუნება?

ყ: ქეშმარიტად მყოფი საქმე.

25. მ: ბუნება ღმრთისა ჰქონდა და ბუნება კაცისა მიიღო, გვაშოვანს რას იტყვის: კაცობრივი მიიღო ანუ არა?

ყ: არა, გვამი კაცისა არა მიუღიეს. მაგა წვალებასა ნესტორი იტყოდა, გონებდა ვითარმედ: ქრისტემ[ან] ბუნება კაცობრივი მიიღო, ეგრეთვე გვამი კაცისა მიიღოვო; არამედ კაცების ბუნების მიღება მართალი თქვა, ზოლო გვამისა მიღება ტყუილია.

26. მ: მაშა, ვითარ იქმნების სრული კაცი გვამი ღმრთისა, უკეთუ არა მიიღო გვამი კაცობრივი?

ყ: მიიღო კაცება უნაკლულო, მრთელი და სრული: პორცი, ძვალი, ძარღვი, ქონი, სისხლი და ყოველივე საქმე კაცობრივი და ყოველივე კაცობა, თვინიერ ცოდვისა; სრული კაცი იქმნა.

27. მ: სრული კაცი ვით იქმნების პორცითა, ძვალითა, სისხ-

თა, რამეთუ ქრისტეს ბუნება ღმრთაებისა და ბუნება კაცებისა, ნება ღმრთისა და ნება კაცისა, საქმე ღმრთისა და საქმე კაცისა, ორივე სრული ჰქონდა ქეშმარიტად.

25. მ: რა არს ბუნება?

ყ: ბუნება არს თითოეულისა მყოფთაგანისა დასაბამი, რამეთუ ბუნება ქეშმარიტად მყოფი საქმე არს.

26. მ: ვინათგან ბუნება ღმრთისა ჰქონდა და ბუნება კაცობრივი მიიღო, გვამისასა რასა იტყვი: კაცობრივი გვამი მიიღო ანუ არა?

ყ: არა, გვამი კაცისა არა მიუღიეს. მაგა წვალებასა ნესტორი იტყოდა, ჰგონებდა: ვინათგან ქრისტემან კაცობრივი ბუნება მიიღო; ეგრეთვე გვამი კაცისა მიიღო; არამედ კაცობრივისა ბუნებისა მიღება მართალი თქვა, ხოლო გვამის მიღება ტყუილი.

27. მ: მაშა, ვითარ იქმნების გვამოვნება ღმრთისა სრული კაცი, უკეთუ არა მიიღო გვამი კაცობრივი?

ყ: მიიღო კაცება მრთელი და უნაკლულო და სრული: სული, პორცი, ძვალი, ძარღვი, ქონი, სისხლი და ყოველივე საქმე კაცობრივი, თვინიერ, ცოდვისა; სრული კაცი იქმნა.

28. მ: ვითარ იქმნების კაცისა სულისა, პორცისა, ძვალითა, სის-

ლითა და ყოველთა ასოთა მიღება და არა გვამთა?

ყ: ესრეთი სახე გაჩვენო წინამდებარისა საქმითა: მოიღე სამი დრაჰკანი და დასხენ ადგილსა ერთსა და აღიღე ერთი მათგანი და შთადევე ნაკვერცხალთა შინა, რომელ განაჟრდეს. და შემდგომად რა აღმოიღო დრაჰკანი იგი, ექმნას დრაჰკანსა მას ერთისა ბუნება ოქროსი მრთელი და უმანკო, ხოლო მიუღებთეს ბუნებაცა ცეცხლისა მრთელი და სრული: სიწითლე და მწველობა და სიმპურვალე, გარნა არა ნაკვერცხალთა გვამნი მიიღო, არამედ ბუნება ცეცხლისა. ეგრეთვე გვამნან ღმრთისამან მიიღო კაცობრივი ჰორცი, სული და სისხლი — ყოველივე კაცობრივი მრთელი, ხოლო გვამი არა მიიღო.

28. მ: ღმერთი ვითარ სრული არს და რად-ღა საქმარ იყო სულისა კაცობრივისა მიღებად ქრისტესგან?

ყ: მაგას აპოლინე მწვალებელი იტყოდა ქრისტესგან არა კაცობრივის სულის მიღებასა. არამედ ჰეშმარიტად მიიღო სული კაცობრივი. უკეთუ სული არა მიეღო, არამცა იყო სრული კაცი; არამედ ლიტონი მიწა მიიღოცა, ნუ იყოფინ.

29. მ: უკეთუ ღმერთსა სრულსა და კაცსა სრულსა ერთ-გვამად იტყვი, რადასათვის ერთ-ბუნებასა არა იტყვი?

ხლთა და ყოველთა ასოთა მიღება და არა გვამთა?

ყ: ესრეთ სახედ წინამდებარითა სახითა გაჩვენო: მოიღე სამნი დრაჰკანნი და დასხენ ადგილსა ერთსა და აღიღე ერთი მათგანი და შთადევე ნაკვერცხალთა შინა, რათა განაჟრდეს. და შემდგომად რა აღმოიღო დრაჰკანი იგი, ექმნების დრაჰკანსა მას ერთსა ბუნება ოქროსი მრთელი, სრული და მიუღებთესცა ბუნება ცეცხლისა მრთელი და სრული: სიწითლე, სიმპურვალე და მწველობა, გარნა არა ნაკვერცხალთა გვამი მიიღო, არამედ ბუნება ცეცხლისა. ეგრეთვე გვამოვნებამან ღმრთისამან მიიღო კაცობრივი ჰორცი, სული, სისხლი და ყოველივე კაცება მრთელი, ხოლო გვამი არა მიუღიეს.

29. მ: ღმერთი თვით სრულ არს და რადათაღა საქმარ იყო სულისა კაცობრივისა მიღება ქრისტესგან?

ყ: მაგა წვალეზასა აპოლინარი იტყოდა ქრისტესგან არა კაცობრივისა სულისა მიღებასა. არამედ ჰეშმარიტად მიიღო სული კაცობრივი. უკეთუ სული კაცობრივი არა მიიღო, არცამცა იყო სრული კაცი, არამედ ლიტონი მიწა მიუღებთესმცა, ნუ იყოფინ.

30. მ: უკეთუ ღმერთსა სრულსა და კაცსა სრულსა ერთ-გვამად იტყვი, რადასათვის ერთ-ბუნებად არა იტყვი?

ყ: მაგ წვალეზას [ევსუქი] კოსტანტინე[პოლე]ლი მონაზონი [და] დეოსკოროს კოსტანტინე[პოლე]ლი პატრიარქი იტყოდეს დიდსა შეცოდებასა ღმრთისასა. და ღმრთაებისა და კაცებისა შერევნა თქვეს და ერთ-ბუნებად აღიარეს [ორი ბუნება]¹.

30. მ: მაშა, ვითარ ჯერ-არს რწმუნება?

ყ: ქრისტე ღმერთი სრული და კაცი სრული ორითა ბუნებითა შეურევნელად ორითა ნებითა, ორითა საქმითა, ერთითა გვამითა საღმრთოჲთა, რომელმან არა მიიღო გვამი კაცობრივი, არამედ შეიგვამა და შეიერთა, ვითარცა გითხარ.

31. მ: სამებისა თანა ვითარ იქმნების ორი ბუნება ძისა, თქვი ესეცა!

ყ: ოდეს ვთქვი, სამება ესრეთ მრწამს: მამა და ძე და სული წმიდა — ერთი ღმერთი, ერთი უფალი, ერთი ძლიერება, ერთი ჰელმწიფება, ერთი არსება, ორი ბუნება, ერთი ნება, ორი საქმე ერთითა გვამითა საღმრთოჲთა. ესრეთ დაგვიწერეს წმიდათა მამათმთავრებმან და დაგვიმტკიცეს.

32. მ: ძე ღმრთისა ვინათგან განპორციელდა, რაოდენ წელ იყო ქვეყანასა ზედა?

ყ: მაგ წვალეზასა ევსუქი კოსტანტინეპოლეელი მონაზონი და დეოსკოროს კოსტანტინეპოლის პატრიარქი იტყოდეს დიდსა შეცოდებასა ღმრთისასა, რამეთუ ღმრთაებისა და კაცებისა შერევნა თქვეს და ორი ბუნება ერთ-ბუნებად აღიარეს.

31. მ: მაშა, ვითარ ჯერ-არს რწმუნება?

ყ: ქრისტე ღმერთი სრული და კაცი სრული ორითა ბუნებითა შეურევნელად, ორითა ნებითა და ორითა საქმითა და ერთითა გვამითა საღმრთოჲთა, რომელმან არა თუ მიიღო გვამი კაცობრივი, არამედ შეიგვამა და შეიერთა შეურევნელად, ვითარცა გითხარ.

32. მ: სამებისა თანა ვითარ ითქმის ორი ბუნება ძისა, თქუ ესეცა!

ყ: ოდეს ვთქვათ, სამება ესრეთ მრწამს: მამა და ძე და სული წმიდა — ერთი ღმერთი, ერთი უფალი, ერთი ძლიერება, ერთი ჰელმწიფება, ერთი არსება, ერთი ბუნება სამიდა გვამოვნებითა. ხოლო ოდეს ვთქვა: ქრისტე ორითა ბუნებითა, ორითა ნებითა, ორითა საქმითა და ერთითა გვამითა საღმრთოჲთა. ესრეთ დაგვიწერეს წმიდათა მამათა და წმიდათა კრებათა დაამტკიცეს.

33. მ: ძე ღმრთისა ვინათგან განპორციელდა, რაოდენ წელი იყო ქვეყანასა ზედა?

¹ აღდგენილია B ნუსხის მიხედვით.

ყ: ოცდაათსამშეტ¹ წელიწადადღის.

33. შ: ვითარ ვიდოდა, ანუ ვითარ შემოსილ იყო?

ყ: ვიდოდა ქვეითად. სამოსლად მისდა იყო კვართი ერთი, რომელი უქსოვა მარიაშ, დედამან მისმან, სიყრმითგანვე და სხვანი საბლარდნელნი აქვნიდეს შინაგანცა და გარეგანცა კვართი მისა და სანდალნი ესხნეს შიშველთა ფერკთა. ესრეთ ვიდოდა.

34. შ: უკეთუ კვართი სიყრმით უქსოვა დედამან მისმან, ვითარ ექმარებოდა სიდიდესა ასაკისა მისისასა, ანუ რაჲსთვის არა დაუძველდა ოცდაათსამშეტ¹ წელიწადს?

ყ: არა უკვე შეუძლებელ არს ეგე წინაშე ღმრთისა: უკეთუ ისრაელნი ოდეს განასხნა ზღვასა, ორმოცთა წელთა არა დაუძველდა სამოსელნი მათნი, არამცა იყოს ქრისტეს კვართისა არა დაძველება. არამედ ქრისტეს ოდეს უქსოვა დედამან მისმან სიყრმითგან, ვითარცა იზრდებოდა სხეული ქრისტესი, ეგრეცა კვართიცა იგი უკერველი და მით იყო მოსილი.

35. შ: რაჲსთვის დაქსნიდა ქრისტე მოსეს მოცემულს ძველს რაჟულს?

ყ: არათუ დაქსნიდა, არამედ ყოველსავე ნაკლულევანებასა მისსა აღასრულებდა.

ყ: ოცდაათსამშეტ წელ და სამ თვე.

34. შ: ვითარ ვიდოდა, ანუ ვითარ შემოსილ იყო?

ყ: ვიდოდა ქვეითად. და სამოსელად მისსა იყო კვართი ერთი, რომელი უქსოვა მარიაშ, დედამან მისმან, სიყრმისავე და სხვანი საბლარდნელიცა და სანდალნი ესხნეს შიშველთა ფერკთა.

35. შ: უკეთუ კვართი იგი სიყრმისა უქსოვა, ვითარ ექმარებოდა სიქაბუკისა ასაკსა შინა, ანუ ვითარ არა დაუძველდა ოცდაათსამშეტთა წელთა?

ყ: რა უკვე შეუძლებელ არს წინაშე ღმრთისა: ისრაელნი ოდეს განასხნა ზღვასა, ორმოცთა წელთა არა დაუძველდათ სამოსელი მათნი, რამცა იყო ქრისტეს კვართისა დაძველებულობა? არამედ ქრისტესა სიყრმისავე უქსოვა დედამან მისმან და ვითარცა იზრდებოდა სხეული ქრისტესი, ეგრეთვე კვართიცა იგი უკერველი.

36. შ: რაჲსთვის დაქსნიდა ქრისტე მოსეს მოცემულთა შჯულთა?

ყ: არათუ დაქსნიდა, არამედ ყოველთა ნაკლულევანებათა შეასრულებდა.

¹ ოცდაათშეტ.

36. მ: ვითარ აღასრულებდა ნაკლულევეანებმა?

ყ: მოსემ თქვა პატივისცემა მა-
მა-დედათა, ხოლო ქრისტემ ამც-
ნო არცაღა თავის წყენა და სიტყ-
ვის მალღს თქმა; მოსემ თქვა
არამრუშება, ხოლო ქრისტემან —
არცაღა თუ თვალთაგან აღება
ვისიმე. ეგრეთვე ყოველივე სჯუ-
ლი მოსესი ნაკლულევეანი შეას-
რულა.

37. მ: რაოდენი იყო მცნება
მოსესი, რომელი მოსცა ღმერთ-
მან?

ყ: მცნება მისცა მოს[ეს]ს ათი.

38. მ: რაჟსათვის ათის მეტი
არ მისცა მოსეს?

ყ: მცნება მრავალი ამცნო,
არამედ ათნი იგი მცნებანი, რო-
მელნი ქვისა ფიცარსა ზედან
წერილ იყო. მას შინა შემოკრბე-
ბიან ყოველნი რჯულნი, რამეთუ
ათნი ესე მცნებანი არა თუ ჩვენ,
მხოლო ქრისტიანეთა, თანა გვაც²
დამარხვა, არამედ ჰურიათაცა და
წარმართთა, მღიღართა და გლა-
ხატთა, მეფეთა და [ა]ზნაურთა,
ბრძენთა და უმეცართა. და არა-
ვის ძალ-უც³ შეცვალებად მცნე-
ბათა ამათთა და, უკეთუ დაქსნას
მცნებათა ამათგანი, არა ძალ-უც³
ცხოვრებად.

¹ მათე 5, 22.

² გვატს.

³ ძალ-უცს.

37. მ: ვითარ ნაკლულევეანებ-
თა შეასრულებდა?

ყ: მოსემ თქვა პატივისცემა
მამა-დედათა, ხოლო ქრისტემან-
შესძინა: „რომელმან ჰრქვას ძმა-
თა რაკა, თანამდებ არს კრებული-
საგან განსლვად“¹. მოსემ თქვა არა-
მრუშება, ხოლო ქრისტემან არცა-
ღა თუ თვალ აგნას. მოსემ თქვა
არცა ცოლის ფუცვად, ხოლო
ქრისტემან სრულიად განაყენა.
ფიცისაგან. ესრეთ მოსეს სჯული
ყოველი ნაკლულევეანი შეასრულა.

38. მ: რაოდენი იყო მცნება
ღმერთისა, რომელი მოსცა მო-
სეს?

ყ: ათი.

39. მ: რაჟსათვის ათის მეტი
არა მისცა?

ყ: მცნებით მრავალნი ამცნო,
არამედ ათთა მათ მცნებათა შინა-
შემოკრბებიან ყოველნი შჯულნი,
რომელი იყო ქვის ფიცართა ზედა
წერილი. ხოლო ათნი იგი მცნე-
ბა[ნი] არა თუ ოდენ ქრისტიანეთა
თანა გვატ² დამარხვად, არამედ
ყოველთა აღამიანთა. და არცავის
ძალ-უც ცხოვრებად, უკეთუ მცა
დაქსნა ვინმე მცნებათა ამათგანი..

39. შ: რომლისა სახე იყო ორთა ფიცართა მოცემა? რა მასათვის ერთი არ მოსცა, ან სამი?

ყ: ორნი ფიცარნი ესე სახე იყო, რათა გვაჩვენოს ორნი მცნებანი სიყვარულისანი.

40. შ: რომელნი?

ყ: „შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“ და „შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“, და არა შეცოდება უფლისა და არცა შეცოდება მოყვასისა.

41. შ: ათნი მცნებანი ორთა ფიცართა ზედა როგორ ეწერ[ნ]ა?

ყ: სამნი მცნებანი ღმრთისათვის არს და ერთთა ფიცართა ზედა ეწერნა და შვიდნი მცნებანი კაცთათვის არს და მეორეს ფიცართა ზედა ეწერნა.

42. შ: რა მასათვის ერთზე სამ[ნ]ი მცნებანი ეწერნეს და მეორესა ზედა შვიდნი?

ყ: ამისთვის, რომე სამნი იგი მცნებანი გრძელი სიტყვა იყო და შვიდნი — მოკლე. ორნიც[ე] ფიცარნი შეასრულნა წერილმან. და ამასაც მოასწავებ: ერთ ზე[და] ღმრთაების სამნი მცნებანი სამების ცნობას მოასწავებს და გვიჩვენებს და მეორეზე შვიდნი კაცთათვის შვიდთა საიდუმლოთა მოასწავებს.

43. შ: რა არს პირველი მცნება?

40. შ: რომლისა სახე იყო ორთა ფიცართა მოცემა? რა მასათვის ერთი არა მოსცა, ანუ სამი?

ყ: ორნი ფიცარნი ესე სახე იყო, რათა გვასწავლნეს ორნი სიყვარულისა მცნებანი.

41. შ: რომელნი?

ყ: „შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“ და „შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“.

42. შ: ათნი მცნებანი ორთა ფიცართა ვითარ ეწერნა?

ყ: სამნი მცნებანი ღმრთისათვის არიან და ერთთა ფიცართა ეწერნეს და შვიდნი მცნებანი კაცთათვის არიან და მეორესა ფიცართა ეწერნეს.

43. შ: რა მასათვის ერთთა ფიცართა სამნი ეწერნეს და მეორესა ზედა შვიდნი?

ყ: სამნი იგი მცნებანი გრძელ სიტყვა იყო და შვიდნი იგი მოკლე. და ორნივე ფიცარნი შეასრულა წერილმან. და ამასაც მოასწავებ: ერთ ზედა სამნი მცნებანი ღმრთისანი სამებისა ცნობასა გვაჩვენებს და მეორეზედ შვიდნი კაცთათვის შვიდთა საიდუმლოთა მოასწავებს.

44. შ: რა იყო პირველი მცნება?

ყ: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანე ეგვიპტით სახლისაგან კირთებისა“¹.

44. შ: რა შეტყუება აქვს მცნებასა მაგას?

ყ: სიძრავლისაგან მოკლედ მოგასენო: პირველად, გვაჩვენებს დაბადებასა ჩვენსა, რომელ არა-რა მსაგან დაგვბადა ღმერთმან და ან ღმერთი მხოლოდ უფალი არს ჩვენი, არამედ მეორეცა და თანა-გვაც² მსახურება მისი და, რომელი არა დაემორჩილოს, იტანჯოს; მეორედ, მოასწავებს ადამის ცოდვის დასწასა და ნათლის ღების მიერ შეილ ღმრთისა ყოფად. და იგი თავადი არს მხოლოდ ღმერთი, არამედ მამაცა მოწყალე გვექმნა ჩვენ მართლმადიდებელთა; მესამედ, ეგვიპტით გამოყვანება და ფარაოს მონებისაგან ქსნა, ჯოჯოხეთით აღმოყვანებასა და ეშმაკთ მთავრობისაგან ქსნასა. კვალად პირველისა სიტყვისა განმარტება ეს[ე] არს: რათა ღმერთი ღმრთად აღვიაროთ და სხვა რამე ღმრთად არ ვირწმუნოთ და კერპს გამოდნობილს არა თაყვანი-ვსცეთ და არცა სახელი ღმრთისა ამოსა ზედა ვაქსენოთ, არცა მზესა არცა სხვა ნივთზე ღმრთად ვხადოთ, არცა მოგვთა და არცა მისანთა და მგზნებართა და მებეჭეთა და მე-

ყ: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანე ეგვიპტით სახლისაგან კირთებისა. ჩემსა გარეშე სხვა ღმერთი ნუ იცი“¹.

45. შ: რა შეტყუება აქვს მცნებასა მაგას?

ყ: მოკლედ ვიტყოდე: პირველად გვიჩვენებს რამეთუ არა რამსაგან დაგვბადა ღმერთმან და, თანა-გვაც² მსახურება მისი და ურჩინი მისნი იტანჯნენ. და მოასწავებს ადამის ცოდვის დასწასა და ნათლის ღებით შეილ ღმრთისა ყოფასა. და იგი თავადი მამად მოწყალედ გვექმნების ჩვენ მართალმადიდებელთა. ხოლო ეგვიპტით და ფარაოსაგან ქსნა ჯოჯოხეთით აღმოყვანებასა და ეშმაკთ-მთავრობისაგან ქსნასა. და იგი ღმერთი ვიცოდეთ და სხვა რამე ღმრთად არა ვირწმუნოთ, კერპთა არა თაყვანის-ვსცეთ, არცა მწამლველთა მისანთა, მებეჭეთა და მექეტრეთა კითხვად შეუღდეთ. ესე ყოველივე კერპთა თაყვანის-ცემა არს.

¹ გამოსლვათა 20, 2.

² თანა-გვაც.

წერეთა კითხვასა შეუდგეთ. ესე¹ ყოველივე კერპთაყვანის-ცემა არს. და არცა ეკლესიასა შინა ურცხვად და შეუპოვრად ვილოდეთ და ვზრახვიდეთ და ვიცაწროდეთ.

45. მ: რა არს მეორე მცნება?

ყ: „არა მოილო სახელი ღმრთისა ამოხსა ზედა“².

46. მ: რა არს ამაოდ ქსენება ღმრთისა?

ყ: ცრუ ფიცი, გინა ცუდი ქსენება სახელი ღმრთისა ანუ სახელი მისი კაცთა ზედა ანუ პირუტყვთა ანუ კერპთა ჰელით ქმნულთა, ანუ რასაც სახელი სდვა. ხოლო ქრისტეს მოცემული შჯული არცადა თუ მართლის ფიცისას გვიბრძანებს, ფუცვად სრულიად განგვაყენებს.

47. მ: რა არს მესამე მცნება?

ყ: „დღესასწაული ჩემი დაიბარხე“.

48. მ: რომლის დღესასწაულის დამარხვა ბრძანა ღმერთმან?

ყ: ურიათა შაბათისა დამარხვა უბრძანა, ხოლო ქრისტიანეთა წმიდამან ეკლესიამან კვირიაკე გვასწავა. და სხვანი წარმართნი სხვათა დღეთა იღღესასწაულობენ.

49. მ: ურიათა შაბათი რამათვის გაუწესა?

ყ: ურიათ შაბათი ამისთვის განუწესა: ვინათგან ექვს დღე და-

46. მ: რა არს მეორე მცნება?

ყ: „არა მოილო სახელი ღმრთისა შენისა ამოხსა ზედა“².

47. მ: რა არს ამაოდ ქსენება ღმრთისა?

ყ: მზესა და ციერთა, გინა ნივთიერთა ღმრთად არა სახელ ვდვით, გინა სახელი ღმრთისა ცუდად არა ვიპმიოთ. გინა ეკლესიასა შინა და ლოცვათა ზედა უმსგავსოდ არ ვიპოვნეთ და სიცოლითა და ცუდის საუბრით არ ვიყვნეთ, ანუ ცრუ ფიცი, ანუ ალთქმის გარდასლვა და ყოველივე ენითა ღმრთის შეუურაცხება.

48. მ: რა არს მესამე მცნება?

ყ: „დღესასწაული ჩემი დაიბარხე“.

49. მ: რომლისა დღესასწაულისა დამარხვა ბრძანა ღმერთმან?

ყ: ურიათა შაბათის დამარხვა უბრძანა, ხოლო შემდგომად ქრისტიანეთათვის ეკლესიამან კვირიაკე განაწესა.

50. მ: რამათვის ურიათა შაბათი უბრძანა?

ყ: ვინათგან ექვს დღე შექმნა ღმერთმან ცანი და ქვიყანა და მე-

¹ ესენი.

² გამოხსლვათა 20, 7.

ზადა ღმერთმან ცა და ქვეყანა და მეშვიდესა განისვენა, ამისთვის დღესასწაულად და უქმედ განუწესა. რამეთუ მრავალნი ფილოსოფოსნი იტყოდეს დიდსა წვალეზასა და შეცოდებზასა ღმრთისასა, რამეთუ იტყოდეს ქვეყანისასა თავით თვისით ყოფასა და არა ღმრთისა მიერ დაბადებულსა. და ამ შაბათის მიზეზით საცნაურ ყვეს ღმრთისაგან დაბადება ქვეყანისა. მეორე: რათა ექვს დღე მუშაობდეს კაცნი და მეშვიდესა] დღესა განისვენონ კაცთა და მონათა მისთა და მკეველთა მისთა, და კარაულთა მისთა და პირუტყვეთა მისთა] მოიცალონ საქმისაგან.

50. მ: ვინათგან ეგრე არს, რახსათვის ქრისტიანენი არა შაბათსა იმარხვენ, არამედ კვირიაკე შესცვალეს დღესასწაულად?

მ: ღმერთმან კეთილის მიზეზითა შესცვალა დღესასწაული შაბათისა კვირიაკედ, ვინათგან შესცვალა წინადაცვეთილება ნათლის ღებად და კრავის დაკლება წმიდად ზიარებად. და ეგრეთვე მრავალნი ძველნი სჯულნი განწესებულნი შესცვალნა ახალს სჯულსა შინა. უკეთუ შაბათი ქვეყანის დადებისათვის იდღესასწაულება, იხილე, თუ ვითარ კვირიაკის უპატროსნესი არს დღესასწაულობა: კვირიაკეს დღეს იწყო ღმერთმან ქვეყანის მოქმედება და მასვე დღესა დაიბადა ნათელი, რომელი მომასწავებელ იყო ნათლისა მიერ

შვიდესა განისვენა, ამისთვის ურიათა დღესასწაულად დაუდვა. რამეთუ მრავალნი ფილოსოფოსნი იტყოდეს ქვეყანისას თავით თვისით ყოფასა და არა ღმრთისაგან დაბადებზასა. და ამა შაბათისა უქმობისა მიზეზითა საცნაურ იქმნა ღმრთისაგან დაბადება ქვეყანისა. და მეორე: რათა ექვსთა დღეთა მუშაობდეს კაცი და მეშვიდესა დღესა განისვენონ კაცთა, მონათა, მკეველთა, კარაულთა და პირუტყვეთა მისთა მოიცალონ შრომისაგან.

51. მ: მაშა, ქრისტიანენი რად შაბათსა არა ვიმარხავთ და კვირიაკედ გარდაუცვალებიეს დღესასწაული?

მ: ქრისტემან კეთილისა მიზეზითათვის შესცვალნა უღარესნი უღარესად, შესცვალნა მეტყვეთილება ნათლისღებად, კრავის დაკლება წირვად და სხვანიცა რომელნიმე და ეგრეთვე ესეცა. უკეთუ შაბათი ქუეყანისა დაბადებისათვის იდღესასწაულებოდა, იხილე, რაოდენ კვირიაკისა დღესასწაულობა ვითარ უპატროსნეს არს: კვირიაკესა დღესა იწყო ღმერთმან ქვეყანისა მოქმედებად, მასვე დღესა დაბადა ნათელი სახედ ნათლისა მის წარუცვალისა: დღესა კვირიაკესა დადვა კილობანი ნოესი მთასა ზედა

წარუ[ვ]ალინა; დღესა კვირიაკესა დადგა კიდობანი ნოესი მთასა ზედა არარატისასა; დღესა კვირიაკესა იწვიმა მანანა — პური იგი ზეცისა, მომასწავებელი ქორცთა ქრისტესთა; დღესა კვირიაკესა აღასრულნა მრავალნი სასწაულნი ქრისტემან და წარავლინნა მოციქულნი ქადაგებად; დღესა კვირიაკესა იყო ყრმათა „ოსანნა“ გალობა; დღესა კვირიაკესა აღდგა ქრისტე მკვდრეთით; დღესა კვირიაკესა მოგვეფინა სული წმიდა და განგვაძლიერნა; დღესა კვირიაკესა მოვალს მეუფე ჩვენი განსჯად ცხოველთა და მკვდართა. ამისთვის იყო დღესასწაულობა¹ და განსვენება ღმერთსა, ოდეს შთაჲდა და აღმოიყვანა ჯოჯოხეთით ადამ ნათესავითურთ², კვალად შაბათისა განსვენება მოასწავებს: რაჟამს მსაჯული იგი სიმართლისა თვისთა წმიდათა ქორცითა სასუფეველს შინა [დაამკვიდრებს], ესე ყოველნი კვირიაკეთა მომასწავებელნი არიან. უკეთუ ურინი³ უკანასკნელსა დღესა შესწირვიდეს ღმერთსა ამის მოსწავებისათვის, ხოლო ჩვენ პირველსა დღესა შევესწირავთ მოსწავებისა აღსრულებისათვის. არა თუ კვირიაკესა დღესა ჭერ-არს [დღესასწაულისა] დაამარხვა³, არამედ საუფლონიცა დღენი და წმიდის

არარატისასა; დღესა კვირიაკესა განვლო მოსემ ზღვა და აღვიდა უდაბნოდ; დღესა კვირიაკესა უწვიმა მანანა — პური იგი ზეცათა, მომასწავებელი ქორცთა ქრისტესთა; დღესა კვირიაკესა ჭმნა ქრისტემან სასწაულნი მრავალნი და წარავლინნა მოციქულნი სოფლის მოძიებად; დღესა კვირიაკესა იყო ყრმათაგან „ოსანნასა“ გალობა; კვირიაკესა დღესა აღდგა ქრისტე მკვდრეთით; კვირიაკესა მოეფინა ადამიერთა სული წმიდა; კვირიაკესა დღესა მოვალს მეუფე ჩვენი განსჯად ცხოველთა და მკვდართა. შაბათისა განსვენება ღმერთმან, ესე იგი არს, ოდეს ქრისტე შთაჲდა ჯოჯოხეთად და აღმოიყვანა ადამ კეთილ ნათესავითურთ; და კვალად შაბათისა განსვენება მოასწავებს, რაჟამს მსაჯული სიმართლისა მსახურთა მისთა შემოსს ქორცითა და მის თანა დაამკვიდრებს, სადაცა აწ სულითა არიან. ესე ყოველივე კვირიაკისა მომასწავებელნი იყვნეს. უკეთუ ურინი ამისთა მოსწავებისათვის უკანასკნელსა დღესა შესწირვიდეს ღმერთსა, ხოლო ჩვენ პირველსა დღესა შევესწირავთ მოსწავებისა აღსრულებისათვის; არამედ არა თუ ოდენ კვირიაკისა დღისა ჭერ-არს დღესასწაულობა, გარნა საუფლონიცა დღენი და წმიდისა

1 ნათესავითურთ.

2 ორნი.

3 დაამარხვა.

A

ღმრთისმშობლისა და დიდებულთა წმიდათა.

51. მ: რაოდენთა უამთა ჯერ არს უქმობა?

ყ: ოცდაოთხთა.

52. მ: ვითარ ჯერ-არს დღესასწაულობა?

ყ: მას დღესა შინა არა ჯერ-არს ყოველივე სამუშაოდ საქმე, არცა საღმრთოთა და ლიტონთა განგრძობა, არცა ცუდმეტყველება. ამას დღესა თანა გვაც ეკლესიათა მისლვა, წირვათა მოსმენა, ლოცვათა შეწირვა, სულიერთა სწავლათა სმენა, სულიერთა საქმეთა მუშაობა¹.

53. მ: რა არს მეოთხე მცნება?

ყ: „პატივ ეც მამა-დედათა“².

54. ვითარ ჯერ-არს პატივისცემა მამა-დედათა?

ყ: სამნი საქმენი არიან მამა-დედათა პატივის ცემანი: მსახურება, მორჩილება და შეწევნა. არათუ მამა-დედანი ურწმუნო[ნი] იყვნენ და რჯულის გარდასლვითა დაემორჩილებოდეს, არამედ ქორციელთა საქმითა ემორჩილებოდნენ. მამა-დედანი³ არიან ყოველნი უადრესნი, უფალნი ანუ მოძღვარნი, ანუ გამზრდელნი, ანუ ოსტატნი და მასწავლელნი. ყოველთა პატივისცემა ჯერ-არს.

55. მ: რა არს მეხუთე მცნება?

ყ: „არა კაც კლა“⁴.

B

ღმრთის მშობელისანი და დიდებულთა წმიდათანი.

52. მ: რაოდენ უამ ჯერ-არს უქმობა?

ყ: ოცდაოთხ უამ.

53. მ: ვითარ ჯერ-არს დღესასწაულობა?

ყ: მას დღესა შინა არა ჯერ-არს რააც რავე სამუშაო საქმე, არცა სმათა და ლხინთა განგრძობა, არცა ცუდმეტყველება. მას დღესა გემართებს წირვათა მოსმენა, ლოცვათა შეწირვა, სულიერთა სწავლათა სმენა და სულიერთა საქმეთა მუშაობა.

54. მ: რა არს მეოთხე მცნება?

ყ: „პატივ ეც მამა-დედათა“².

55. მ: ვითარ ჯერ-არს პატივისცემა მამა-დედათა?

ყ: სამნი საქმენი არიან მამა-დედათა პატივის: მსახურება, მორჩილება და შეწევნა. არათუ მამა-დედანი ურწმუნონი იყვნენ და შჯულისა გარდასლვითა ემორჩილებოდნენ, არამედ ქორციელებრივისა მორჩილებითა მსახურონ. მამა-დედანივე არიან უფალნიცა, გამზრდელნი და მოძღვარნი. ვინათგან ჭირთა ნახვენ, გემართებს პატივის ცემა.

56. მ: რა არს მეხუთე მცნება?

ყ: „არა კაც კლა“⁴.

1 მუშაობა.

2 გამოსლვათა 20, 12.

3 მამა-დედათა.

4 გამოსლვათა 20, 13.

56. მ: თუმცა კაცის კლევა არა ბრძანა ღმერთმან, რადასათვის მოკლვენ მეფენი და შეიპყრობენ კაცთა?

ჟ: უკეთუ მეფენი უბრალოს მკვლელობას იქმენ, სჯულსა ღმრთისასა დაჰსნიან. არამედ მპარაუთა, ავაზაკთა და ქვეყნის შემცოდეთა სამართლით სასიკვდილნი არიან. არა არს კაცის კლევა მეფეთაგან, არამედ სამართლით, რათა მრავალნი კაცნი მშვიდობით ცხოვნდებოდენ და სოფელი უშფოთველად ეგოს. ხოლო სხვათათვის არა ბრძანებულ არს კაცის კლევა, გარნა მეფეთაგან სამართლით და მის მიერ გამგედ დადგინებულთა.

57. მ: რაოდენნი არიან საქმენი კაცის მკვლელობისანი?

ჟ: რომელმან მოკლას კაცი სხვა რომელითაცა მიზეზითა თვინიერ სამართლისა, რომელი ჯერ არს მეფეთაგან. კვალად კაცის კლევა არს თავისა თვისისა მოკლევა გულისწყრომითა იყოს, ანუ შიშით, გინა რომელისაც მიზეზით; კაცის კლევა არს საწამლაგისა შესმევა, გინა ორსულის დედაკაცის შვილის მორყვნა წამლითა, ანუ სხვისა მიზეზით. კაცის კლევა არს¹ გულის წყრომა გარდამეტებული, ტანჯვა ძლიერი, გვემა უწყალო, მოკვეთა ასოთა², დაწვა³ თვალთა,

57. მ: თუმცა კაცის კლევა არა ბრძანა ღმერთმან, რადასათვის მოკლვენ მეფენი და მეპატრონენი?

ჟ: უკეთუ მეფენი უბრალოსა მკვლელობასა იქმონენ, სჯულსა ღმრთისასა დაჰსნიან. არამედ დამნაშავეთა კაცთა კლევა სამართალი არს, რათა სოფელი მშვიდობით ეგოს მეშფოთეთა და ავაზაკთა მიერ და არა იმძლავრნენ კაცნი.

58. მ: რაოდენ არიან საქმენი კაცის კლევისანი?

ჟ: რომელმან მოკლას კაცი თვინიერ სამართლისა, რომელი ჯერ არს მეფეთაგან მიზეზითა რითამე. კაცის კლევა არს თავისა თვისისა მოკლევა გულისწყრომით, ანუ შიშით. კაცის კლევა არს სამსალის შესმევა, გინა ორსულის დედაკაცის შვილის მორყვნა რითაც ძლიერი, გვემა უწყალო, მოკვეთა ასოთა, დაწვა თვალთა და მისთანანი. კაცის კლევა უბრალოდ შესმენა, გინა პატროსანისა ვისიმე მოყივნება და ბოროტის სახელის

¹ არს+იქ მისი.

² მოკვეთა ასოთა] უკეთუ ასოთად.

³ წვა.

გინა დაკოდა მახვილითა და ამის-
თანანი. კაცის კლეა არს, რომელ-
მან პატიოსნება კაცისა ანუ ქა-
ლისა მოაყივნოს, ვისიმე ბორო-
ტითა სახელითა განთქვას ვისთან-
მე. ხოლო არა მიეტეოს მას ცოდ-
ვა იგი, რომელმან მოაყივნა, უკე-
თუ თვითვე არა სამსჯავროდ აღი-
არა: რათა მტერობით ტყუილად
მოაყივნა, და ქებით არ ასახელოს.

58. მ: რა არს მეექვსე მცნება?
ყ: „არა იმრუშო“¹.

59. მ: რა მასათვის მარტო მრუ-
შება უბრძანა არა-ქმნად და არა
სხვანი ბილწებანი?

ყ: მაცხოვარმან ჩვენმან იესო
ქრისტემან ყოველსავე მრუშებას
სახელ სდვა წმიდა სახარებასა ში-
ნა, გამოაჩინა: „რომელმან იხილა
შვენიერი გულისთქმად², მუნვე
იმრუშა³ გულსა შინა თვისსა“⁴. ვი-
ნათგან თვალის ხილვისა [გულის-
თქმა] მრუშებად შეირაცხება, ამი-
სთვის გვიღირს შეკრძალვა თვალ-
თა, რათა არა შეგებდნეთ შვენი-
ერებასა, ბოროტად გულისთქმად.
რამეთუ მრუშება არს: ძელით და-
ცემა და უსაქოსა განხრწნა, ქალ-
წულისა დამდაბლება, ქრმიანის
ცოლთან დაწოლა, ქვრივთან სიძ-
ვა, მოწესეთა თანა ბილწება, ნა-
თესავთა და ნათლიათა შეგმანება,
სოდომური ცოდვა, პირუტყვთა

განთქმა. და ცოდვა ესე არცა მიე-
ტევების მომაყივნებელსა, უკეთუ
თვითვე არა საანჯმნოდ აღიარა:
ვცოდეთ, რამეთუ მტერობით
ტყუილად მოვაყივნეთ, ქებით
უნდა ასახელოს.

59. მ: რა არს მეექვსე მცნება?
ყ: „არა იმრუშო“¹.

60. მ: რა მასათვის მხოლოდ
მრუშება დასნა და არა ყოველი-
ვე ბილწება?

ყ: უფალმან ჩვენმან იესო
ქრისტემან ყოველთა ბილწებათა
მრუშებად უწოდა, წმიდასა სახა-
რებასა შინა გამოაჩინა: „რომელ-
მან იხილა შვენიერი გულის-
თქმად, მუნვე იმრუშა გულსა ში-
ნა თვისსა“². ვინათგან თვალით
ხილვის გულისთქმა. მრუშებად
შეირაცხა, ამისთვის გვიღირს თვა-
ლთა შეკრძალვა. მრუშება არს:
ჩუკენობა, უსაქოთა განხრწნა,
ქალწულისა დამდაბლება, ქრმი-
ანისა თანა დაწოლა, ქვრივთა თანა
სიძვა, მოწესესა თანა ლირწება,
ნათესავთა და ნათლიასთან შეგმა-
ნება, სოდომური ცოდვა, პირუტყ-
ვთა თანა აღრევა. ესე ყოველივე
მრუშება არს. ამის ყოველისაგან

1 გამოსლვათა 20, 14.

2 შვენიერი გულისთქმად შვენიერება გულისთქმამან.

3 მრუშება.

4 მათე 5, 28.

თანა აღრევა¹. ესე ყოველივე მრუშება არს². ყოველთავე ვეკრძალნეთ, რამეთუ პავლე მოციქული იტყვის: „ყოველივე ცოდვა გარეგან არს, ხოლო სიძვა — შიგნით ქორცთათა“³.

60. შ: რა არს მეშვიდე მცნება?
ყ: „არა იპარო“⁴.

61. შ: რაოდენნი არიან პარვა-ნი?

ყ: პირველნი არიან ღამით იღუმალ პარვანი, დღისით ავაზაკობა, მოგზაურთა განძარცვა სიხარბით, ტაცება, მძლავრობა, მოხვეჭა, ეკლესიათა კრება, მკვდართა საფლავებით ძარცვა, სავაჭროთა შინა ანგაარებით ტყუ[ი]ლი ფიცი⁵ ნამეტნავის ფასის აღებისათვის. პარვა არს ჰაწორთა სიმრუდით წონა, საწონთა, ადლთა [და] საწყავთა მეტ-ნაკლებობა, ყოველივე მსგავსი⁶ ამისი. პარვა არს, რაც ნებით დააკლოს მოყვასსა, ანუ პოვან რამე და უწყის უფალი მისი და არა მისცა. პარვა არს ზოგადთა ძმათა, ანუ მოყვასთა. [წილი] მარტო. თავისთვის დაიმარხოს, ანუ შესვას და შეჭამოს, თვინიერ ნებისა მათისა, ანუ სხვის საქონელი, თვინიერ შენდობისა მისისა და ცნობისა მისისა მიიღოს,

უცხო ვიქმნეთ, რამეთუ პავლე მოციქული იტყვის: „ყოველივე ცოდვა გარეგან ქორცთა არს, ხოლო სიძვა — შინაგან ქორცთა“³.

61. შ: რა არს მეშვიდე მცნება?
ყ: „არა იპარო“⁴.

62. შ: რაოდენ სახე-არიან მპარაობანი?

ყ: ღამით იღუმალ პარვა, დღისით ავაზაკობა, მოგზაურთა ძარცვა, სავაჭროთა შინა ანგაარებისათვის ტყუვილი ფიცი, საწონისა და ადლისა მეტნაკლებობა, სასწორისა სიმრუდე. პარვა არს, რაიც დააკლო მოყვასსა, გინა პოვა რამე და უფალსა მისსა არა მისცა. პარვა არს ძმათა და მოყვასთა საზოგადოსაგან წილის დაკლება. პარვა იუდა ისკარიოტელის მსგავსება არს. ვივლტოდეთ ამა სენისაგან!

¹ აღრაცხვა.

² არიან.

³ პავლე?

⁴ გამოსლვათა 20, 15.

⁵ ფიცი.

⁶ მსგავსი.

ანუ სახლ-კარი აგარაკთაგან გარდასცვალოს, ანუ წილხვდომილი მიიღოს. ესე თუ ვინმე ქმნას, ჯერ არს, რათა კვალად პატრონსავე თვისსა უკან სცეს, ფაცეა გვიქმს. მპარაობა იუდა ისკარიოტელისა მსგავსება [არა], რომელ ქრისტეს მარადის პარვიდა. და ვივლტოდეთ უძლებისა ამის სენისა, რომლისათვის თავი დაიშთო.

62. მ: რა არს მერვე მცნება?

ყ: „არა ცილი სწამო“¹.

63. მ: რაოდენნი არიან ცილისწამებანი?

ყ: ცილისწამება არა ტყუ[ვ]ილი მოწმობა, გინა საცილოდ შეწამება. ხოლო ტყუ[ვ]ილი მოწმობა არს, რომელმან არ იცოდეს სწორი და ჭეშმარიტი და ტყუილად სწამოს სამსჯავროსა შინა მის კაცისასა საზიანოდ, ანუ ქრთამისათვის, ანუ სხვის მიზეზისათვის. ცილისწამება არს, რომელმან არა კაცის საზიანოსათვის, არამედ მოყვარის მოსაქმარისად წამოს ტყუვილი. ცილისწამებისაგან არს ტყუილად ხუმრობა ყოველი². და წამება რაოდენის კაცის საზიანო ჩანს, ენით გამოვალს. გინება, ლანძღვა, კაცთ მოყივნება ყოველივე ცოდვა არს, ვინათგან უფალი იესო ქრისტე ბრძანებს: „რომელმან რქვას ძმასა თვისსა: კოფ, თანა მღებ არს გეენიასა მას

63. მ: რა არს მერვე მცნება?

ყ: „არა ცილი სწამო“¹.

64. მ: რაოდენ სახე არიან ცილისწამებანი?

ყ: ცილისწამება არს ტყუვილად მოწმობა, ნაცილად შეწამება, გინა რაიც ტყუვილი, წყევლა, გინება, ცრუ მეტყველება, ძვირის ზრახვა, კაცთ მოყივნება, ხვაშიადის განთქმა და რაიც ენით კაცთა ზიანი იქმნებია.

¹ გამოსლვათა 20, 16.

² გადამწერს ქარაგმა „ყი“ (ყოველი) წაუკითხავს როგორც „ში“-თანდებული. ხელნაწერშია: „ხუმრობაში“.

ცეცხლისასა¹, რამეთუ პირი მართალი მიმდებელთა კურთხევისათვის არს კაცთათვის.

64. მ: რა არს მეცხრე მცნება?

ყ: „არა გული გითქმიდეს ცოლსა მოყვისსა შენისასა, გინა ასულსა მოყვისსა შენისასა“².

65. მ: რად გულისთქმა მხოლოდ კაცთა ამცნო ქალთა მიმართ და არა დედაკაცსა ამცნო კაცთან?

ყ: ვითარცა კაცსა დედაკაცისა მიმართ იყო გულისთქმა, ეგრეცა დედაკაცს კაცისა მიმართ, არამედ ვითარცა ქალნი უფროსლა პატიოსანნი და სირცხვილის განკრძალული არიან და კაცთაგან ქება დედაკაცისა უმეტეს განუფინებინ და ძაგებაცა ქვეყანასა ზედა, ამისთვის ქალის სახელი დადუმდა და ვაჟისა აჰსენა, თვარამ სწორ არიან ცოდვანი ქალთა და ვაჟთანი. ამისთვის დასწერს გრიგოლი თეოლოლოს: „გულისთქმანი ბოროტნი არიან სამნი: პირველ—ეშმაკის მიერ დათესილთა; მეორედ—გემოდ შეტყვებად და მესამედ — მიდევნება პირველ ეშმაკის დათესულისა“. ბოროტთა გულისთქმათა შეერთვის გემოვნებანი. უკეთუ ვინმე სძლოს მას, არცალა იქმს ცოდვასა და მძლედ გამოჩნდების და დაიცავს სულსა თვისსა. ხოლო უკეთუ გემოვნებასა შეეპყრა, შობს ცოდვასა, გარნა არლარა შობაკვდინებელსა. უკეთუ დაგე-

65. მ: რა არს მეცხრე მცნება?

ყ: „არა გული გითქმიდეს ცოლსა მოყვისსა შენისასა“².

66. მ: რადასათვის გულის უთქმელობა მხოლოდ კაცთა ამცნო დედათა მიმართ და არა ქალთაცა კაცთა მიმართ?

ყ: ვითარცა მამაცსა¹ აყენებს დიაცისა მიმართ გულისთქმად, ეგრეთვე დიაცთაცა მამაცისა მიმართ, არამედ ვინათგან დიაცი უფრორე მორცხვნი და განკრძალულ არიედ, ამისთვის ქალთა სახელი დაიდუმა და მამაცისა წარმოაჩინა, თვარამ სწორე არიან ცოდვანი მამაკაცისა და დედაკაცისანი.

67. მ: ყოველივე გულისთქმა ბოროტ არსა?

ყ: სამ არიან სახენი ბოროტთა გულისთქმათა: პირველი — ეშმაკისა მიერ დათესვა, მეორე — გემოვნება მისი, მესამე — დამტყცება. პირველი დათესული ბოროტი გულისთქმა უკეთუ აღრე განადო, აღარა იქმს ცოდვასა და მძლედ გამოჩნდების. ხოლო უკეთუ შეიტკობ, შობს ცოდვასა, გარნა არა მომაკვდინებელსა. და უკეთუ დაგემებული იგი დამტყცია, ესე არს მომაკვდინებელი

¹ მათე 5, 22.

² გამოსლვათა 20, 17.

მებული იგი ცოდვა დაიმარხოოს მყოვარ ჟამთა და მყოვრობა ნება, ესე არს მომაკვდინებელი ცოდვა.

66. მ: რა არს მეთე მცნება?

ჟ: „არა გული გითქმიდეს ყოველსა მონაგებსა მოყვისისა შენისასა“¹.

67. მ: რა არს ყოველი მონაგები მოყვისისა?

ჟ: აგარაკი, გინა სახლი, გინა ვენაჲ და წალკოტი, გინა უნჯი და ხვასტაგნი, გინა ოქრო და ვეცხლი და სამკაული, გინა სამოსელი, საფენენლი და საჭურჭლე. და რაც ნივთთაგანი იყოს მოყვისისა ჩვენისა, არა გული გითქმიდეს მისთვის, და არცა ბოროტი ვყოთ მისთვის და არცა სიტყვით, საქმით და გონებით.

68. მ: მაშ, ესე ყოველივე არა დაქსნა ქრისტემან?

ჟ: არა დაქსნა, ნუ იყოფინ! რომელსაც აკლდა შეასრულა, ვითარცა გითხარ წელან.

ცოდვა, ვითარცა იგი აღსრულებული.

68. მ: რა არს მეთე მცნება?

ჟ: „არა გული გითქმიდეს ყოველთა მონაგებთა მოყვისისა შენისათა“¹.

69. მ: რა არს ყოველი მონაგები მოყვისისა?

ჟ: აგარაკი, სახლი, ვენაჲ, წალკოტი, საქონელი და საყოლე-ლი და სამკაული მათი, არა თუ ოდენ წართმით და მიხმით, არამედ არცაღათუ გულისთქმით მოვინებოთ საწყენი სხვათა და ესრეთ სრულნი მართლმადიდებელნი ვიყვნეთ.

70. მ: უკეთუ მოყვისისა მონაგები მომეწონოს და არა შემშურდეს, არამედ გულმან მიტქვას: ჰე, თუმცა ამისებრივი მეცა მომეცეს, ესე რა?

ჟ: ეგე კეთილ არს ღვთისა მიერ თხოვითა და თვისითა სარეწავისა და მუშაკობითა მოსყიდვითა.

71. მ: მაშა, ქრისტემან ესე შჯულნი არა დაქსნა არცა ერთი?

ჟ: არცა ერთი დაქსნა. დაღათუ აკლდა, შეასრულა, ვითარცა წელან გითხარ.

¹ გამოსლვათა 20, 17.

69. მ: მაშ, რა უყო ჰურიათა ქრისტემან, რომ სიკვდილ[ლ]ად დასაჯეს?

ყ: ქრისტემან ეს შესცოდა ჰურიათა: მკვდარნი მათნი აღადგინნა, ყრმათა თვალნი აღუხილნა; მკელობელნი ავლინა, კეთროვანნი განსწმიდნა და ყოველნი საწუნელნი მათნი განკურნა.

70. მ: მაშას, რად [და]მოჰკიდეს ჯვარსა?

ყ: შურისათვის.

71. მ: ვითარ იყო სიკვდილი ქრისტესი?

ყ: მას ღამესა რომელსა მიეცემოდა, ესეოდენ ილოცა და მუჭლი მოიდრიკა, ვიდრე ოფლი მისი იქმნა, ვითარცა სისხლი.

72. მ: რა საქმარ იყო ქრისტესთვის ლოცვა, ვინათგან ღმერთი იყო?

ყ: არა თუ ქრისტესთვის საქმარ იყო ლოცვა იგი, არამედ ამისთვის ილოცვიდა: ჩვენ გვასწავა. განსაცდელსა შინა ვითარ გვიღირს გარდამატებული ლოცვა.

73. მ: გაასრულე სიტყვა ვნებისათვის.

ყ: შუალამესა მივიდა მტილსა გესამანიისასა ოუდა ისკარიოტელი ერთი ათორმეტთაგანი, სადა-

72. მ: მაშა, რა შესცოდა სიკვდილად დასაჯელი ქრისტემან?

ყ: ესე შესცოდა: მკვდარნი მათნი აღადგინნა, ბრმათა აღუხილნა, უტყვთა ენა მისცა, მკელობელნი ავლინნა, კეთროვანი განსწმიდა და ყოველნი სნეულეზანი მათნი განჰყურნა.

73. მ: მაშა, ჯვარსა რად დამოჰკიდეს?

ყ: შურისათვის, ვინათგან შჯულის მეცნიერთა მართლიად შჯულთა დამარხვასა ეტყობა.

74. მ: ვითარ იყო სიკვდილი ქრისტესი?

ყ: მას ღამესა ოდეს მიეცემოდა, ესოდენ შრომით ილოცვიდა, ვიდრე ოფლი მისი იქმნა, ვითარცა ცვარი სისხლისა გარდამომავალი ქვეყანასა ზედა.

75. მ: რა საქმარ იყო ქრისტესთვის ლოცვა, ვინათგან ღმერთი იყო?

ყ: არა თუ ქრისტესთვის საქმარ იყო ლოცვა იგი, არამედ რათა ჩვენ გვასწავოს, განსაცდელსა შინა ვითარ გვიღირს გარდამეტებული ლოცვა. და რაცა ვთხოვთ ღმერთსა, მისსა ნებასა ზედა მივაგდებდეთ: არა თუ ვითარცა მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ გენებოს.

76. მ: განასრულე სიტყვა ვნებისათვის.

ყ: შუალამესა შეიპყრეს და მიიყვანეს ეზოსა კაიაფასასა. განზასრეს, ზერწყვიდეს პირსა, დააბეს

ცა ილოცვიდა ქრისტე მუნ ერთითა მრევლითა. და ვიდრე ქრისტეს შეპყრობადმდე მისცნა ძალმან საღმრთომან პირსა ზედა მათსა, რათა სცნან მორწმუნეთა, რამეთუ ნებისთ მიეცა ჩვენთვის ქრისტე. და შემდგომად შეპყრობისა შეპყრეს და მიიყვანეს ეზოსა კაიაფასა, განბასრეს, ნერწყვეს პირსა, სცემდეს შოლტითა შიშველსა; და დაადგეს თავსა გვირგვინი ეკლისა და ყოველივე სობოროტე აღასრულეს მის ზედა; სამსა ჟამსა დასაჯეს, რათა ჯვარს აცვან. წარიყვანეს და აპკიდეს ჯვარი თვისი. და განვლეს კართა მარიამისათა. სცნა მარიამ და შეუდგა ძესა თვისსა. და თავით თვისით ძესა თვალთ ხედვიდა რა-ძი უყვეს ყოველთავე. ექვსსა ჟამსა ჯვარს აცვეს. და მეცხრესა ჟამსა გარდამოჰსნა იოსებ და ნიკოდიმიოს. მიმწუხრი დადვეს საფლავსა და შთაჰდა ჯოჯონხეთად და აღმოიყვანა ადამ და აღრჩეულნი ძენი მისნი, სათნო ყოფილნი ღმრთისანი.

74. მ: რაჲსათვის იყვნენ სათნო ყოფილნი ღმრთისანი ჯოჯონხეთსა შინა?

ჟ: ვინათჲან ადამ სცთა და გარდაჰდა მცნებასა ღმრთისასა ქრისტეს მოსლავამდე; სასუფეველის კარი არ განხმულ იყო და სად შევიდოდენ? მეორედ ამისთვის, [რამეთუ] შემცოდეს კაცის

სვეტზედა და სცემდეს უწყალოდ, დაადგეს გვირგვინი ეკლისა და ძოწეული შემოსეს და ყოველივე სობოროტე აღასრულეს მის ზედა. სამ ჟამ დასაჯეს ჯვარცმად, ექვს ჟამ ჯვარს აცვეს. და დაბნელდა მზე. მეცხრესა ჟამსა განუტევი სული და შთაჰდა ჯოჯონხეთად და აღმოიყვანა ადამ და რჩეულნი ძენი მისნი, სათნო ყოფილნი ღმრთისანი, და აღღგა მესამესა დღესა.

77. მ: რაჲსათვის იყვნენ სათნო ყოფილნი ღმრთისანი ჯოჯონხეთსა შინა?

ჟ: ვინათჲან ადამ გარდაჰდა მცნებასა ღმრთისასა, ვიდრე ქრისტეს მოსლავამდე კარნი სასუფეველისანი დაშულ იყვნეს და სადა შევიდოდეს? მეორედ ამისთვის, რამეთუ შემცოდეთა კაცთა ძენი

ძენი ცოდვას ქვეშ მამისასა იქმნენ უამადმდე.

75. მ: ყოველნი სულნი რად არ აღმოიყვანნა ქრისტემ ჯოჯოხეთით?

ყ: ყოველთა სულთა აღმოყვანებას მრავალნი მწვალებელნი იტყოდენ, რომელ ჯოჯოხეთს შინა არავინ დაუტევაო, არამედ ტყუოდენ. აღმოყვანებით მართალნი და წმიდანნი აღმოიყვანნა, ხოლო წარმართნი და უღმრთონი მუნვე დაუტევნა.

76. მ: რამასათვის იყვნენ მართალნი და ცოდვილნი ერთსა ჯოჯოხეთსა შინა?

ყ: ერთსა ჯოჯოხეთსა შინა არა იყვნეს: ცოდვილნი და უღმრთონი — ჯოჯოხეთსა შინა ტარტაროზისასა, ხოლო მართალნი და სათნო ყოფილნი ღმრთისანი — დილეგთა შინა მამათმთავართასა, სადა არა იყო ტანჯვა და არცა ნათელი. არამედ მოელოდენ გამოქსნასა ქრისტეს მიერ.

77. მ: სადა წერილ არს მამათმთავართ დილეგთა შინა შთასლვა ქრისტესი?

ყ: პეტრე[ს] პირველი კათოლიკეს¹ მე-3 თავსა შინა წერილ არს: „რომელითაცა საპყრობილესა მას სულთასა მივიდა და ქადაგა“². და მათეს სახარებობს 27-ე თავ[სა] ში[ნა]: „საფლავნი აღეხენენ და

ვიდრე უამამდე შეცოდებასა ქვეშე მამისა მათისასა იქმნებიან.

78. მ: ყოველნი მყოფნი ჯოჯოხეთისანი [რად] არა აღმოიყვანა ქრისტემან?

ყ: ყოველთა მყოფთა ჯოჯოხეთისა აღმოიყვანებასა მრავალნი მწვალებელნი იტყოდეს, რომელ ჯოჯოხეთსა შინა არავინ დაუტევაო, არამედ ტყუოდენ. უეჭველად მართალნი და წმიდანი აღმოიყვანნა და წარმართნი და ცოდვილნი დაუტევნა.

79. მ: მართალნი და ცოდვილნი რამასათვის იყვნეს ერთბამად ჯოჯოხეთსა შინა?

ყ: მართალნი და უღმრთონი არა თუ ერთსა ჯოჯოხეთსა შინა იყვნეს, [არამედ] უღმრთონი ჯოჯოხეთსა ტარტაროზისასა იყვნეს, ხოლო სათნონი... ღმრთისანი — დილეგსა შინა მამა[თ]მთავართასა, სადა არა იყო ტანჯვა და არცა ნათელი. არამედ გამოქსნასა მოელოდეს ქრისტეს მიერ.

80. მ: სადა წერილ არს მამა[თ]მთავართ დილეგსა შინა შთასლვა ქრისტესი?

ყ: პეტრეს პირველი კათოლიკეს შესამე თავსა შინა: „რომელითაცა საპყრობილესა მას სულთასა მივიდა, და ქადაგა“². და მათეს სახარებობს კ³ თავსა შინა: „საფლავნი აღეხენენ და მრავალნი

¹ პეტრე-პავლეს კათოლიკებში.

² პეტ. I კათ. 3, 19.

მრავალნი გვამნი შესვენებულთა წმიდათანი აღდგეს და გამოვიდეს საფლავით მათით. და შემდგომად აღდგომისა მისისა შევიდეს წმიდად ქალაქად და გამოეცხადნენ მრავალთა¹.

78. მ: შემდგომად აღდგომისა რა უყო მათ, რომელნი აღმოიყვანნა ჯოჯოხეთით?

ყ: აღმოყვანებთა შემდგომად აღდგა კვირიაკესა საფლავით და ორმეოცთა დღეთა ქვეყანასა ზედა იქცეოდა. და მის თანა ჰყვა ყოველივე სუფევითა დიდებითა მისითა.

79. მ: ოდეს ჯვარსა ზედა იყო ქრისტე, კაცებამანცა ივნო, ანუ ღმრთაებამანცა?

ყ: კაცებამან ივნო, ხოლო ღმრთაება ეგო უვნებლად.

80. მ: სად იყო ღმრთაება ვნებასა მას შინა?

ყ: მუნვე² მის თანა განუშორებლად იყო.

81. მ: და ვითარ იქმნების, უკეთუ მის თანა იყო განუშორებლად და დადგა ღმრთაება უვნებლად?

ყ: მაგ[ა] დიდს[ა] წვალებას[ა] პეტროს კანაფელი³ იტყოდა, რომელი იყო ანტიოქელი პატრიარქი, რომელმან მრავალნი შეაცთუნნა.

82. მ: მაშ, ვითარ იყო, განმარტე!

ყ: ესრედ სახედ, რამეთუ: ვითარცა ზესა ერთსა, რომელსა ზე-

გვამნი შესვენებულთა წმიდათანი აღდგეს და გამოვიდენ საფლავებით მათით. და შემდგომად აღდგომისა მისისა შევიდეს ქალაქად და გამოეცხადნენ მრავალთა¹.

81. მ: რომელნიც ჯოჯოხეთით აღმოიყვანნა, შემდგომად აღდგომისა რა უყო მათ?

ყ: აღდგომისა შემდგომად ორმეოცთა დღეთა ვიდრე ქვეყანასა ზედა იქცეოდა, თანა ჰყვა ყოველივე სუფევითა დიდებითა მისითა.

82. მ: ოდეს ქრისტემან ჯვარსა ზედა ივნო, კაცებამან ივნო, ანუ ღმრთაებამანცა?

ყ: კაცებამან ივნო, ხოლო ღმრთაება ეგო უვნებლად.

83. მ: სადა იყო ღმრთაება ვნებასა მას შინა?

ყ: მუნ მის თანა განუშორებლად.

84. მ: ვითარ დაადგრა უვნებლად, უკეთუ მის თანა განუშორებლად იყო?

ყ: მაგა დიდსა წვალებასა პეტროს კანაფელი იტყოდა, რომელი იყო ანტიოქელი პატრიარქი, რომელმან მრავალნი შეაცთუნნა.

85. მ: მაშ, ვითარ იყო, განმარტე!

ყ: ამა სახითა გაჩვენო: უკეთუ ერთსა ზესა ზედა აღგეს ნათელი

¹ მათე 27, 52 — 53.

² მანვე.

³ კამფილი.

დან იდგეს შზე, და კაცმან ვინმე სცეს ხესა მას ცული, ხე იგი ვნებულ იქმნებოს, ხოლო შზე უვნებელად. არამედ თანა არს ხისა მის ვნებულსა შზე იგი უვნებელად და განუშორებელად, ესრეთვე სახე იყო კაცების ვნებისა თანა ღვთაება უვნებელად და განუშორებელად.

83. მ: ოდეს აღდგა ქრისტე შემდგომად აღდგომისა, კაცობრივნი პორცინი ესხნეს, ანუ არა?

ყ: ჭეშმარიტად, პორცითა კაცობრივითა უკვდავითა და უხრწნელითა აღდგა. უპორცოს აღდგომას კაიანი მწვალებელნი იტყოდეს და მრავალს წვალებას სხვასაცა. არამედ ქრისტე ჭეშმარიტად პორცითა აღდგა, ვითარცა ეტყვის² მოციქულთა: „სულსა პორც და ძვალ არა ასხენ, ხოლო შე მხედავთ, რამეთუ მასხენ“³. და მიყო თომა პელი და იხილნა გვერდი უფლისა და სამსკვალთა აღვილნი თითითა.

84. მ: ოდეს ქრისტე აღდგა, ვის უწინ ერევნა?

ყ: პირველად მარიამ ღმრთის მშობელსა და მერმე მარიამ მაგდალინელსა და შემდგომად მოციქულთა.

მზისა და კაცმან ვინმე სცეს ხესა მას ცულითა, ხე იგი ვნებულ იქმნებოს, ხოლო ნათელი მზისა უვნებელ, გარნა თანა არს ხისა მის ვნებულსა უვნებელად იგი ესრედ სახედ: კაცება¹ ივნო, ხოლო ღმრთაება ეგო მის თანა უვნებელად.

86. მ: ოდეს ქრისტე აღდგა, შემდგომად აღდგომისა კაცობრივნი პორცინი ესხნეს, ანუ არა?

ყ: ჭეშმარიტად, პორცითა კაცობრივითა უკვდავითა და უხრწნელითა აღდგა. უპორცოდ აღდგომასა კაიანი მწვალებელნი იტყვიან. რასა ეტყვის მოციქულთა: „სულსა პორც და ძვალ არა ასხენ, ხოლო ესე რა მხედავთ, რამეთუ მასხენ“³. და მიყო თომა პელი და იხილა გვერდი უფლისა და სამსკვალთა აღვილი თითითა.

87. მ: ოდეს ქრისტე აღდგა, ვის უწინ ერევნა?

ყ: პირველად მარიამ ღმრთის მშობელსა და წარუღვინა ნათლი[ს]მცემელი და მამათმთავარნი: „ღედაო, ამათთვის იყო ვნება ჩემი და მწუხარება შენიო“. და მერმე მარიამ მაგდალინელსა ერევნა.

¹ კაცებამან.

² იტყვის.

³ ლუკა. 24, 39.

85. მ: რაოდენ გზის ეჩვენა ქრისტე მოციქულთა?

ყ: ჩვენებით ორმ[ე]ოც დღეთა დღე-ყოველ ეჩვენებოდა, ხოლო ჭამით სამგზის ჭამა ყოველივე მათსა.

86. მ: რად საქმარ იყო ქრისტესთვის ჭამა შემდგომად აღდგომისა?

ყ: ამისთვის ჭამა, რათა დამტკიცებულად რწმენეს მორწმუნეთა ქრისტეს ჰორციელი აღდგომა და არა მწვალებელთა სიტყვით მიდრკენ.

87. მ: ოდეს ამაღლდა ქრისტე, ჭოჯობით აღმოყვანებულნი თან აღიყვანნა, ანუ შემდგომად აღასხნა?

ყ: თან აღიყვანნა ყოველნივე ერთბამად.

88. მ: მინამდინ არავინ შესულიყვნენ სასუფეველსა შინა?

ყ: ავაზაკი იგი მარჯვენე მას უამსა შეიყვანა ქრისტემან, ოდეს ჰრქვა: „დღეს ჩემ თანა ხარ სამოთხესა შინა“².

89. მ: სამოთხისას იტყვიან ქვეყანასა ზედა ყოფასა. და ავაზაკი სად შეიყვანა სასუფეველსა, ვინათგან უთხრა სამოთხესა შინა შეყვანება? რად არა უთხრა სასუფეველსა შინა შეყვანება?

ყ: მაშინ სასუფეველის სახელი განცხადებულად არცადა თუ მწიგნობართა და ფარისეველთა იყო-

88. მ: შემდგომად აღდგომისა რაოდენ გზის ეჩვენა მოციქულთა ქრისტე?

ყ: ორმეოცთა მათ დღეთა ათორმეტგზის ეჩვენა, ხოლო სამგზის ჭამა.

89. მ: რად საქმარ იყო საქმელი ქრისტესთვის შემდგომად აღდგომისა?

ყ: ამისთვის ჭამა, რათა მართლმადიდებელთა დამტკიცებულად რწმენეს ჰორციეთა აღდგომა ქრისტესი და მწვალებელთა სიტყვითა არა მიდრკენ.

90. მ: ოდეს ქრისტე ამაღლდა, ჭოჯობით აღმოყვანებულნი სულნი თანა აღიყვანნა; ანუ მერმე აღასხნა?

ყ: თანა აღიყვანნა ერთბამად.

91. მ: მუნამდე არავინ შესულიყო სასუფეველსა შინა?

ყ: ავაზაკი იგი, რომელმან, აღიარა, მასვე უამსა შევიდა, ოდესცა ქრისტემან ჰრქვა: „დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა შინა“².

92. მ: სამოთხისა ყოფა ქვეყანასა ზედა წერილ არს. და ავაზაკი სადა შეიყვანა სასუფეველად, ვინათგან უქადა სამოთხედ შეყვანება? რად არა უთხრა სასუფეველად შეყვანება?

ყ: მაშინ სასუფეველისა სახელი განცხადებულად არცადა თუ მწიგნობართა და ფარისეველთ იყო-

¹ მწვალებელთათვის იტყვით.

² ლუკა 23, 43.

დეს. ავაზაკსა მას სად უკვე ეცოდინებოდა? ამისთვის სამოთხის სახელი უთხრა, რათა მისის სახელის ქალებით სასოება დაამტკიცოს, არამედ არა თუ სამოთხეს შინა შეიყვანა, არამედ სასუფეველსა შინა.

90. მ: ვინ იხილა ქრისტე ამალღებული?

ყ: წმიდამან დედამან მისმან და მოციქულთა ყოველთა იხილეს ამალღებული ზეცად და აწ მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

91. მ: არიან[ა] მოწამენი მაგისნი ძველის რჯულის წიგნში?

ყ: დავით იტყვის 96-ე ფსალმუნსა შინა: „ამალღდა ღმერთი ღალადებითა და უფალი ჰმითა საყვირისადათა“¹. და 23-ე ფსალმუნსა შინა იტყვის: „აღაპუნით ბჰენი თქუნენი, მთავარნო... და შევიდნეს მეუფე დიდებისა“². და 109-ს ფსალმუნსა შინა იტყვის: „ჰრქვა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯვენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქვეშე ფერჰთა შენთა“³. და სხვანი მრავალნი არიან წამებანი წინაწარმეტყველთანი.

¹ ფსალმუნი 96, 9.

² ფსალმუნი 23, 7.

³ ფსალმუნი 109, 1.

დეს. ავაზაკსა სადა უკვე ეცოდინებოდა? ამისთვისცა სამოთხის სახელი ქალებითა მსასოებელ ყო. და რომელთამე ენასა შინა ესრეთცა 'ითქმის: სამოთხე ზეცისა და სამოთხე ქვეყანისა, თვარემა სასუფეველად შეიყვანა და არა სამოთხედ. სადაცა ქრისტე იყო, მუნ სასუფეველი არს და მისთანა შეიყვანა.

93. მ: ოდეს ქრისტე ამალღდა, ვინ იხილა?

ყ: წმიდამან დედამან მისმან და მოციქულთა და მოწაფეთა ყოველთავე იხილეს ზეცად აღმავალი. და აწ მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

94. მ: არიანა ამალღებისა მოსწავებანი ძველის შჯულსა წიგნთა შინა?

ყ: დავით იტყვის: მგ ფსალმუნსა შინა: „ამალღდა ღმერთი ღალადებითა და უფალი ჰმითა საყვირისადათა“¹. რთ ფსალმუნსა შინა: „ჰრქვა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯვენით ჩემსა“². და სხვანიცა მრავალნი წამებანი

92. მ: შემდგომად ამალღობისა რა ქმნეს მოციქულთა?

ყ: შემდგომად ამალღობისა რა სული წმიდა მიიღეს, ქმნეს კრება და დადევს რჯული.

93. მ: რა განაწესეს მოციქულთა ანუ რჯული, ანუ სარწმუნოება?

ყ: განაწესეს: ძველი დაბადების, გამოსლვათა, რიცხვთა, ლევიტელთა, მეორის სჯულისა, ისონავეს, მსაჯულთა, რუთისი, ოთხი მეფეთა, ორნი ნეშტთა, ორი ეზეკიასი, ტობიასი¹, ივდითისი², ესთერისი³, იობისი, ფსალმუნი, ეკლესიასტე, ქება ქებათა, იგავი და სიბრძნე, ისო ზირაქის წიგნი, წინასწარმეტყველება ესაიასი, იერემიასი, ბარუქისი, ეზეკიელისი, დანიელისი, ოსესი, იოველისა, ამოსისი, აბდიასი⁴, იონასი⁵, მიქიასი, ნაუმისი⁶, ამბაკუმისი⁷, სოფონიასი⁸, ანგიასი, ზაქარიასი, მალაქიასი და ორი მაკაბელისა წიგნი და ახლის აღთქმის წიგნი — წმიდა სახარება, და სამოციქულო და იოანეს გამოცხადება. ეს არს რჯული და სარწმუნოება.

94. მ: სხვა რა განაწესეს?

1 ტობითისა.

2 იუდასთა.

3 ესრეთ ერისა.

4 აბიასი.

5 იონანისი.

6 ნაუმისი.

7 ამბაკუმისი.

8 სოფიასი.

ყ: ოთხმეოცდა ორი რჯულის
ჯანოთ თავი და მცირე მრწამსი
და მზგეფსსა შინა ორნი დღენი¹
მარხვა-ვნებისანი და მართლმა-
დიდებლობის საფუძველი — შვი-
დი საიდუმლო. და . შემდგომად
განიბნინეს ყოველსა სოფელსა
ქადაგებად.

95. მ: ვიდრე ქრისტე ქვეყა-
ნად იყო, ლოცვანი რა ასწავლნა
მოწაფეთა თვისთა?

ყ: „მამაო ჩვენო, რომელ ხარ
ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი
შენი; მოვედინ სუფევა. შენი;
იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა
შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა;
პური ჩვენი არსობისა მომეც
ჩვენ დღეს; და მომიტევენ ჩვენ
თანა ნადებნი ჩვენნი, ვითარცა.
ჩვენ მიუტეობთ თანა მდებთა
მათ ჩვენთა; და ნუ შემიყვანებ
ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიჰ-
სენ ჩვენ ბოროტისაგან“.

96. მ: რა ლოცვა არს ეგე, ანუ
რა სათხოველნი ითხოვებიან მა-
გასა შინა?

ყ: ყოველნი სათხოველნი ამის
საწუთროსანი და მას საუკუნოსა-
ნი ამა ლოცვასა შინა ითხოვებიან
და ღმრთის წინაშე კადნიერება
დიდი უფროსად ყოველთასა. და
სათხოველნი შვიდნი არიან, რო-
მელსა შინა შემოკრბებიან ყო-
ველნივე, რაც ჭერ-არს თხოვად
ღმრთისა.

¹ ორი დღე.

97. შ: რა არს კადნიერება ღი-
დი, მჭობი ყოველთა?

ყ: ესე რამეთუ ღმერთსა ცა-
თა მყოფსა მამად ვხადით ცოდ-
ვილნი კაცნი და მამა არს ჩვენი
დამბადებელობითაცა და შემდგო-
მად ნათლის ღებითა შვილ
ღმრთისა ვიქმენით. და ვითარცა
შეილნი მამასა რა გვიძს, ვი-
თხოვთ და სასოება გვაქვს მოცე-
მად. რა ვთხოვთ ჯეროვანად.

98. შ: რომელნი არიან შვიდ-
ნი იგი თხოვანი შემომკრებელნი
ყოველთა საწადელთანი?

ყ: „წმიდა იყავნ სახელი შე-
ნი“, ესე იგი არს, რათა ყოველთა
სოფელთა მართლმადიდებლობა
მიეფინოს, და ყოველთა ადამი-
ერთათვის ღმერთი საცნაურ იყოს
და ყოველთა კაცთაგან წმიდა სა-
ხელი მისი იდიდებოდეს.

„მოვედინ სუფევა შენი“, ესე
იგი არს, რათა აღნათქვამი მისი
სუფევა, რომელი მოცემად არს,
ადრე მოვიდეს და განვერეთ
ბრძოლათა ეშმაკისათა და საც-
თურთა კორციელთა და შფოთთა
მსოფლიოთა და მივემთხვივნეთ
სანატრელსა მის თანა ყოფასა,
საუკუნომდე განსვენებასა.

„იყავნ ნება შენი, ვითარცა
ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზე-
და“, ესე იგი არს, ვითარცა ცათა
მყოფნი ანგელოზთა ძალნი ნება-
მყოფელ ღმრთისა არიან. იგი

შადლი მოგვეცეს, რათა ქვეყანასა ზედა სრულობით ნება ღმრთისა იქმნებოდეს და არავინ წარწყმდე და აღვიდენ სასუფეველად.

„პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“, ესე იგი არს, რათა მღღევიართა საზრდელთა და სხეულთა სამოსელსა მოგვეცემდეს, ვინათგან თვინიერ ამათსა ვერა შემძლებელ არს ჰორცნი მსახურებად უფლისა. და ამა საქმართა მიერ ვიცოცხლოთ და არა დავაჟღდეთ აღსარებასა და წმიდასა ზიარებასა, რომელი არს პური ცხოვრებისა.

„მომიტევენ ჩვენ თანანადებნი, ვითარცა ჩვენ მივუტეობთ თანამღებთა“, ესე იგი არს, რადენიცა შეგვიცოდებია ღმრთისათვის, მოგვიტეოს. და თანა გვაც, რათა შემცოდეთა ჩვენთა ჩვენცა მიუტეოთ. და უკეთუ ჩვენ კაცთა მსგავსთა მათ ჩვენთა ძმათაგანსა არა მიუტეოთ მცირედნი, ღმერთმან მართლ-მსაჯულმან ვითარ მოგვიტეოს ურიცხვნი და უამრავნი შეცოდებანი იგი ჩვენნი?

„ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა“, ესე იგი არს, რათა დაგვიფაროს და განგვარინოს მოშავალისა ბოროტისაგან და მშვილობა გვექონდეს.

„არაჲმედ მიჰსენ ჩვენ ბოროტისაგან“, ესე იგი არს, რაცა წარმავალისა ამის სოფლისა საზრუნავი არს, აწ უამსა ამას ამისგან გვიძნას, რაცა სულსა ჩვე-

ნისა მავნებელი არიან, რათა ვიყვნეთ შვილ ღმრთისა — მამისა ჩვენისა.

99. მ: ამა ლოცვითა ესე ყოველნივე მოგვენიჭებიან?

ჟ: ჰე, ესენიცა და სხვანიცა, რაცა ჭეროვანად ვითხოვთ ღმრთისაგან სრულითა გულითა ჩვენთვის, გინა სხვათათვის, ცოცხალთა და მკვდართა მართლსაარწმუნოებით აღსრულებულთათვის.

100. მ: სხვა რა ლოცვა არს შემდგომი ამისი?

ჟ: გიხაროდენ, მიმადლებული მარიამ უფალო, შენთანა. გაბრიელ მთავარ ანგელოზმან თქვა: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა“. ესე წმიდამა ელისაბედ და სხვანი წმიდა ეკლესიამ შესძინა.

102. მ: რაჲსათვის „მამაო ჩვენო“ და „გიხაროდენი“ უფროსად მიგაჩნს ყოველთა ლოცვათა?

ჟ: „მამაო ჩვენო“, ვინათგან თვით მაცხოვარმან განგვიწესა, და საუფლო ლოცვა არს, ხოლო „გიხაროდენ“ მისა შემდგომად დედისა მისისა სახარებელი და საქებელი, რამეთუ „გიხაროდენი“ ფრიად უყვარს მარიამ ღმრთის მშობელსა — უფროსად საყვარელსა ღმრთისასა და მეოხსა ცოდვილისასა¹.

¹ ცოდვილსა.

95. მ: რაოდენთა წელთა განეგო ცხოვრება წმიდის ღმრთის მშობელისა?

ყ: სამის წლისა ტაძრად მიყვანებულ იქმნა, ათორმეტის წლისას ეხარა გაბრიელისა მიერ, მეთათცამეტეს შვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ოცდაათერთმეტს წელსა მსახურებდა ძესა თვისსა. შემდგომად ქრისტეს ამაღლებისა ათშვიდმეტი წელიწადი იცოცხლა, ხოლო იქმნა ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი წელნი სამოცდასამნი: ხოლო რომელნიმე სხვანი ექვს თვეს მეტს იტყვიან სიცოცხლესა.

96. მ: ვითარ მიიცვალა?

ყ: არა დასნეულდა, არცა ელმოდა. გაბრიელ ანგელოზმან მოართვა ამბავი მიცვალებისა¹. და ყოველნივე მოციქულნი შემოკრბეს ვინათგან ქვეყნისათა წამისყოფითა ღმრთისაჲთა, გარნა თომავერ მიეწიფა მიცვალებასა განგებითა ზეგარდამოჲთა, და შემდგომად სამთა დღეთა მოვიდა თომაცა; ხოლო სამთა მათ დღეთა და ღამეთა ისმოდენ გალობანი საფლავეით გამო. შემდგომად თომას მოსლელსა ინება ხილუა გვამისა

103. მ: ვითარ იყენეს ცხოვრებანი და ჟამნი წმიდისა მარიამ ღმრთის მშობელისანი?

ყ: სამის წლისა ტაძრად მიყვანებულ იქმნა. ათერთმეტ წელმუნ ისწავლიდა შჯულიერათა საქმეთა ზაქარია მღვდელ-მოდღერისა მიერ, რომელმან მრავალგზა იხილნა ანგელოზნი მსახურებად მარიამისა. ათოთხმეტისა წლისა იოსებს მიეთხოვა. მეათხუთმეტეზა წელსა ახარა გაბრიელ მთავარ-ანგელოზმან და შვა უფალი ჩვენი იესო. ოცდა ათსამ[მ]ეტსა წელსა ძესა თვისსა მსახურებდა. ქრისტეს ამაღლებისა შემდგომად დაყო წელიწადი ათხუთმეტი. ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი [წელნი] სამეოცდა სამ, ხოლო რომელნიმე ექვსთა თვეთა ნამეტნავსა იტყვიან.

104. მ: ვითარ მიიცვალა?

ყ: არა დასნეულდა, არა ელმოდა, ვითარცა შობასა. მიცვალებისა ჰამბავიცა გაბრიელ მთავარ-ანგელოზმან მოართვა, ყოველნი მოციქულნი მუნ მოკრიბნა წამის ყოფამან ღმრთისამან, გარნა თომა არა იყო განგებულეზითა ზეგარდამოჲთა. ოდეს დაკრძალეს საფლავეი, სამ დღე-ღამე გალობა ისმოდა საფლავეით. მესამესა დღესა მოიწია თომა მოციქული. განაღდეს საფლავეი დედოფლისა თომასთვის და არღარა პოვეს საფ-

¹ მიცვალებისანი.

წმიდისა მარიამისა. და ოდეს განაღეს, არღარა პოვეს მუნ, არამედ აღამალლა ძემან მისმან ზეცას და მიჰგვარა მამასა თვისსა და აღიდა დიდებითა, ვითარცა შეენოდა. და გვირგვინითა შეამკო და სუფევს მარჯვენით წმიდისა სამებისა.

97. მ: სადა არს მოწამე მაგასი, რომელ¹ მარჯვენით იყოს წმიდის სამებისა?

ყ: დავით დასწერს 44-ე² ფსალმუნსა შინა: „დადგა დედოფალი მარჯვენით შენსა, სამოსლითა ოქრო-ქსოვილითა შემკულ და შემოსილ პირად-პირადად“³.

ლაფსა შინა, რამეთუ მისცვალა ძემან მისმან და მიჰგვარა მამასა, და დასვეს საყდართა უმაღლეს ყოველთა ზეცისა ძალთასა და დაადგრეს გვირგვინი ღირსებრსაუბრ მისისა. და აწ მკდომარე არს მარჯვენით წმიდისა სამებისა.

105. მ: სადა არს მაგისი მოწამე ძელოს შჯულის წიგნსა შინა, რომელ მკდომარე იყოს მარჯვენით წმიდისა სამებისა?

ყ: დავით იტყვის მღ ფსალმუნსა შინა: „დადგა დედოფალი მარჯვენით შენსა, სამოსლითა ოქრო-ქსოვილითა შემკულ და შემოსილ პირად-პირადად“¹.

106. მ: შემდგომად ქრისტეს ამაღლებისა მოციქულთა რა დაგვიდეს შჯულად?

ყ: რა სული წმიდა მოევილინა და ცეცხლისა ენანი დაადგრა, თვითეულთა განგვიწესეს პატარა მრწამსი და შვიდი საიდუმლო, ქრისტეს მიერ მოცემული; ძველი და ახალი აღთქმის წიგნი და, რაც წმიდამან ეკლესიამან განგვიწესოს, მისი მორჩილებით თავსდება და არა-გარდასლვა. და წარვიდეს ქადაგებულ და მოსწყდეს ქრისტესთვის.

107. მ: რა არს პატარა მრწამსი?

ყ: აღსარება სარწმუნოებისა.

¹ რომ.

² ხელნაწერშია: „49“.

³ ფს. 44. 9.

რომელი თქვეს ათორმეტთა მოციქულთა — ათორმეტნი ტაეპნი მოკლენი.

108. მ: რომელნი არიან ათორმეტნი იგი ტაეპნი, ანუ რომელმან რომელი თქვა?¹

ყ: ა. პ ე ტ რ ე მ — „მრწამს ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა“.

ბ. ი ა კ ო ბ დ ი დ მ ა — „და უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ძე მისი მხოლოდ შობილი“.

გ. ი ო ა ნ ე მ — „რომელი სულსა მიერ წმიდისა მუცლად დებითა მარიაშისაგან ქალწულისა იშვა“.

დ. ა ნ დ რ ი ა — „პონტოელი-სა² პილატეს ზე იენო, ჯვარს ეცვა, მოკვდა და დაეფლა“.

ე. ფ ი ლ ი პ ე — ჯოჯოხეთად შთაქდა და აღდგა მესამესა დღესა მკვდრეთით“.

ვ. თ ო მ ა — „ამაღლდა ზეცად და მკდომარე არს მარჯვენით ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისა“.

ზ. ბ ა რ თ ლ ო მ ე — „მომავალ არს განსჯად ცხოველთა და მკვდართა“.

მ. მ ა თ ე — „მრწამს სული წმიდა“.

თ. ი ა კ ო ბ უ მ ც რ ო ს ი — „წმიდა კათოლიკე ეკლესია და ზიარება წმიდათა თანა“.

¹ თქვნა.

² პონტოილე.

თ. ს ი მ ო რ — „მიტევება ცოდვათა“.

ია. ი უ ლ ა თ ა დ ე ო ს — „აღდგომა ქორცითა“.

იბ. მ ა ტ ა თ ი ა — „ცხოვრება საუკუნო. ამინ“.

109. მ: მაგა ათორმეტთა თქმულთა ძალნი მნებავს განმარტებით წარმოაჩინო.

ყ: პირველად: დაამტკიცებს და აღიარებს ერთსა ღმერთსა და დაუსრულებელსა მამასა ბუნებით ძისა თვისისა, რომელ შვა პირველ ყოველთა საუკუნოთა. და კვალად მამა არს ყოველთა დაბადებულთა დამბადებლობითა, რომელმან არარაჲსაგან შექმნა ყოველივე: ხილულნი ცანი და ქვეყანა, და ცხოველნი და სამკაულნი მათნი, და უხილაენი ანგელოზნი, სასუფეველი და სულნი კაცთანი და სხვანი¹. და მამა არს ჩვენი ქრისტიანეთა ნათლის ღებისა მიერ, რომელნი შვილ ღმერთსა ვიწოდენით.

ბ. და უფალი იესო ქრისტე, ძე და სიბრძნე მამისა, თანასწორი ღმერთი ჭეშმარიტი, დაუსაბამო, დაუსრულებელი და დამბადებელი და შემოქმედი ყოველთა, ვითარცა მამა.

გ. იესო ქრისტე, სრულ ჭეშმარიტი ღმერთი, ღმრთისა მამისა განგებითა და სულისა მიერ წმიდისა მარიამ ქალწულისაგან გან-

¹ სხგანი] + რაცა.

პორციელდა. სრული კაცი იქმნა და იშვა ქვეყანასა ზედა უმამოდ, ვითარცა ცათა შინა შობილ იყო უდედოდ.

დ. და ჩვენ კაცთა ცხორებისათვის უსასყიდლო სისხლი თვისი დასთხია და აიხვნა ცოდვანთ სოფლისანი, პონტოელთ პილატეს ზე ივნო და შეურაცხად ჭვართა მოკვდა და დაეფლა.

ე. სული ქრისტესი შთაქდა ჯოჯობეთად და აღმოიყვანა მამათავარნი და წინასწარმეტყველნი და აღდგა მესამესა დღესა.

ვ. შემდგომად აღდგომისა გამოეცხადა მოციქულთა და აყვედრა ურწმუნოება აღდგომისა მისისა და განამტკიცნა იგინი და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

ზ. კვალად მეორედ მოვალს დასასრულსა სოფლისასა დიდებითა და ძლიერებითა, რათა კაცად-კაცადთა საქმენი განიხილნეს და ყოველთავე მიაგოს საქმეთა მათთაებრ: კეთილისა მოქმედთა — კეთილი და ბოროტისა მოქმედთა — ბოროტი.

შ. და მესამე გვამი სული წმიდა, ღმერთი და უფალი, რომელი მამისაგან და ძისაგან¹ გამოვალს და მამისა და ძისა თანასწორ არს, დაუსაბამო და დაუსრულებელი, ყოველთა შემოქმედი, ვითარცა მამა და ძე.

¹ ხელნაწერში სხვა პირის მიერ „და ძისაგან“ წაშლილია (გვ. 26).

თ. ვინათგან შეიყვარა ქრისტემან სძალი თვისი — წმიდა ეკლესია და ბრძანა ერთი შესაყრებელი ყოველთა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა, და რომელმანცა ნათელ ილოს და რწმენეს მართალი სარწმუნოება იესო ქრისტესი, მათგან ჯერ არს მორჩილება რომის პაპისა, რომელი დაადგინა გამგებლად ეკლესიისა და შემდგომად ქრისტესა ქვეყანასა ზედა მჯდომარე არს.

110. შ: ვინ დაადგინა რომის პაპი ეკლესიის თავად და სადა არს მაგისი მოწმობა?¹

ყ: თვით ქრისტემან, ოდეს პრქვა პეტრეს მათეს სახარებოს ივ თავსა შინა: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, რომელსა ბქენი ჟოჯოხეთისანი ვერ ერეოდინა“².

111. შ: ეგე სარწმუნოებისათვის უთხრა პეტრეს: ესრეთსა მტკიცესა სარწმუნოებასა ზედა აღვაშენებ ეკლესიასაო. მანდ რომის პაპის ქრისტეს მაგიერობა არა არს.

ყ: ოდეს ქრისტე ამაღლდა, პეტრესევე პრქვა იოვანეს კა თავსა შინა: „აძოენ კრავნი ჩემნი და დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი“-ო³. მას მიაბარა ყოველნი სამწყსო[ნი] და მისცა მწყსობა.

¹ ასევე წაშლილია 109-ე კითხვის პასუხის ბოლო ნაწილი სიტყვიდან „რომის პაპისა“ და მოძღვრის მომდევნო კითხვა „ვინ დაადგინა რომის პაპი“ (გვ. 27).

² მათე 16, 18.

³ იოანე 21, 16—17.

112. მ: ეგე სიტყვა პეტრეს-თვის იყო, სადა არს რომის პაპის სახელი?

ჟ: რამათვის უთხრა ლუკას სახარების კბ თავსა შინა ჭრისტემან პეტრეს: „სიმონ, სიმონ, აჰა ესე რა ეშმაკმან გამოგიტხოვა თქვენ აღცრად ვითარცა იფქლი, ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რათა არა მოგაკლდეს სარწმუნოება შენი და შენ განამტკიცენ ძმანი შენი“¹. რაცა პეტრეს პრჭვა მწყემსობა და კლდეობა, ყოველივე რომის პაპისათვის იყო, უკეთუ არა², სიტყვა ესე არა პეტრესთვის უნდა ეთქვა, რომელმან მას ღამესა უარყო სამგზის. ჭერ იყო, ესე სიტყვა სხვათა მათ მოციქულთათვის ეთქვა: პეტრეს მოაკლდების სარწმუნოება ამას ღამესაო და უარყოფსო და თქვენ განამტკიცეთ: არამედ ესე სიტყვანი პეტრეს მოსაყდრეთა რომის პაპთათვის ბრძანა², ვინათგან უწყოდა შემდგომად განდრეკილობა სხვათა ეპისკოპოსთა. ევალად რომის პაპის მიერ ჭერ-არს განმტკიცება მათი.

113. მ: ვიეთნიმე იტყვიან: დასაგლისა მწყემსმთავარი რომის პაპი არისო და აღმოსავლისა — სხვანი-პატრიარქნიო.

¹ ლუკა 22, 31—32.

² ხელნაწერში სიტყვები „რომის პაპისათვის იყო, უკეთუ არა“ და „რომის პაპთათვის ბრძანა“ წაშლილია (გვ. 27 და 28).

ყ: დიდი მწყემსი თვით ქრისტე იოანეს სახარებლს ი თავსა შინა იტყვის: „იყვნენ ერთ-სამწყემსო და ერთ-მწყემსო“¹. ეგე მრავალმწყემსობა ვისი თქმულია?

114. მ. რაძსათვის ითქმის ეკლესია იგი წმიდად და კათოლიკედ?

ყ: წმიდად იმისათვის ითქმის, რომ სიძე და თავი მისი არს ქრისტე. და ასონი ასხიან წმიდა ნაყოფი და მოქმედებული მისი წმიდა. და არა იქმნება მის მიერი სიმრუდე კინიცი ოდენ. სარწმუნოება, შჯული და საიდუმლონი ჰქონან წმიდა; ხოლო კათოლიკედ ამისთვის იწოდების, რამეთუ საყოველთაო არს.

115. მ: რა არს ზიარება წმიდათა თანა?

ყ: ლოცვათა და ქველის საქმეთა და მადლთა მას შინა ქმნილთა ნაწილის მიღება.

116. მ: თარგმნე მეათე ტაეპი მრწამსისავე.

ყ: წმიდასა მას ეკლესიასა მოსცა სიძემან მისმან იესო ქრისტემან ძალი და შეძლება ცოდვათა მიტევებისა და მუნ დასხნა საიდუმლონი თვისნი წმიდანი და მის გამო აქვს ჰელმწიფება. უკეთუ მოინება ცოდვილმან, შეიცვალეების მის მიერ ღირსად და ქვანი — შეილაღ აბრაჰამისად, რამეთუ ნათლის ღებითა და აღ-

¹ იოანე 10, 16.

სარებითა შვილნი ეშმაკისანი მას შინა შვილ ღმრთისად შეიცვალე-ბიან.

117. მ: მეათერთმეტე ტაეპი და მეათორმეტეცა მითხარ.

ყ: ია. ქრისტეს მეორედ მოსლვასა ყოველნი მკედარნი აღდგენ და ჰორცნი მათნი რომელ ემოხნეს, იგივე უხრწნელებით შეიმოსონ წამის-ყოფითა ღმრთისაჲთა და საყვირის დაცემითა ანგელოზისაჲთა.

იბ. კეთილის მოქმედთა მიენიჭოს ცხორება საუკუნო და ხილვა პირისა მისისა ღმრთისა, ხოლო უშჯულოთა და ცოდვილთა — ჯოჯობეთი საუკუნო და ტანჯვა დაუსრულებელი, ხოლო „ამინ“ არს „ჰე, ჰეშმარიტად“. ესრეთ მრწამს და ესრეთ აღვიარებ ყოველთა ამათ თქმულთა.

118. მ: რომელნი არიან შვიდნი საიდუმლონი?

ყ: ა. ნათლისღება, ბ. ქრისტენა, გ. ზიარება, დ. აღსარება, ე. სნეულის ზეთის კურთხევა, ვ. მღვდელობა, ზ. ქორწინება.

98. მ: რომელნი არიან შვიდნი საიდუმლონი?

ყ: პირველი — ნათლის ღება, მეორე — ქრისტენა¹, რომელი არს მირონის ცხება, მესამე — აღსარება, მეოთხე — ზიარება, მეხუთე — სნეულსა ზედა ზეთის კურთხევა, მეექვსე — მღვდლის კურთხევა, მეშვიდე — გვირგვინის კურთხევა მეუღლეთა.

99. მ: არის ძველს რჯულის წერილსა შინა მოწამე შვიდის საიდუმლოსი?

119. მ: არიანა ძველთა წერილთა მოსწავებანი შვილთა საიდუმლოთანი?

¹ ქრისტიანობა.

ყ: დასაბამსა დასხმულნი შვიდნი დღენი და შვიდნი იგი მნათობნი მთვარენი, შვიდი პერი იგი სანთელი სოლომონისი და შვიდნი რქანი კრავისანი და ნივთის ნახულნი. და კვალად იგავით მე-9 თავსა წერილნი: „სიბრძნემან იშენა¹ თავისა თვისისა სახლი და ქვეშე შეუდგნა შვიდნი სვეტნი“². ესე არს წამება შვიდთა მათ საიდუმლოთანი, რამეთუ სიბრძნე ძე ღმრთისა არს და სახლად [იშენა ეკლესია და სვეტნი] ეკლესიისანი არიან შვიდნი საიდუმლონი.

100. მ: რა ძალი აქვს შვიდსა მას საიდუმლოსა?

ყ: ესე ძალი აქვს: რომელი საიდუმლომას მის მოღებთა მადლი ღმრთისა მოგვეგების, და უკეთუ უმეცრებითა ჩვენითა უგულუბელს ვყოთ და წარვსწყმიდოთ, კვალად საიდუმლომასა მის ძალითა ვიპოვებით და მოგვეცემის.

101. მ: ვითარ ძალ-უც ეგე განმარტელ?

ყ: უკეთუმცა სულსა ჩვენსა პორცი არა ქონდეს და გვამსა შინა არ შემწყვდელულ იყოს, ვითარ ანგელოზნი ვიყოფვით; არამედ ვინათგან ღმერთმან სიბრძნითა თვისითა განაგო ესრეთ ცხოვრე-

ყ: დასაბამად შვიდნი იგი დასხმულნი დღენი და შვიდნი ვარსკვლავნი მნათობნი მავალნი, სოლომონის ქმნილი შვიდპერი სასანთლე. და იგავთა მეცხრეს თავსა თქმული: „სიბრძნემან იშენა¹ თავისა თვისისა სახლი და ქვეშე შეუდგნა² შვიდნი სვეტნი“³, რამეთუ სიბრძნე ძე ღმრთისა არს და სახლად იშენა⁴ ეკლესია და სვეტნი ეკლესიისანი — შვიდნი საიდუმლონი. და მრავალნი სხვანი არიან წამებანი.

120. მ: რა ძალ-უც შვიდთა მათ საიდუმლოთა?

ყ: მათ მიერ მოგვენიჭებიან მადლნი ღმრთისანი. და უკეთუ ჩვენ უმეცრებითა წარვწყმიდოთ, მათვე საიდუმლოთა ძალითა ვპოვებთ და მოგვეცემის.

121. მ: ვითარ იქმნების მათ მიერ ეგე?

მინდი მეწამული შემოსეს ქრის-
ტეს, ბისონი¹ — სახე ჯვრის ტვირ-
თვისა, ომფორი — სახე ქრისტეს
უღლისა, რათა თანა იწესებოდეს
და მის თანა ჯვარს ეცმოდეს, ხო-
ლო კოკიუური — ეკლის გვირ-
გვინისა. და ენქერი მოასწავებს,
ოდეს დაბურეს და სცემეს და-
ეტყოდეს: „გვიწინასწარმეტყვე-
ლე, რომელმან გცა შენ“²; ყავარ-
ჯენი — მოასწავებს პელთა ლერწ-
მის მიცემასა, ხოლო მთავრის შე-
მოსა მოასწავებს ანგელოზის სა-
ხესა და მის მსგავსებას.

165. მ: რაოდენნი არიან ძალნი
ღმრთის-მეტყველებისანი?

ყ: სამნი.

170. მ: რომელნი?

192. მ: რაოდენნი არიან დასა-
ბამნი კეთილობათანი და სათავე-
ნი, რომლისაგან გამოვლენ ყო-
ველნი სიკეთენი, ვითარცა მდინა-
რენი წყაროთაგან?

¹ ბისენის.

² შდრ. მათე 26, 68; მარკოზ 14, 65.

A

ყ: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული.

171. მ: რაოდენნი არიან ძალნი სამღვდელლოთმთავართანი?

ყ: ოთხნი.

172. მ: რომელნი?

ყ: გულისხმის-ყოფა, სახიერება, სიმართლე და მღვიძარება.

B

ყ: შვიდნი: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული ღმრთისა მიერ მოგვენიჭებინან, ხოლო გულისხმის-ყოფა, სამართალი, სარვაგი და სიმაგრე ჩვენ მიერ საღვწელ არიან. ამა შვიდთაგან გამოვლენ ყოველ[ნი] კეთილ[ნი].

193. მ: რა არიან მაგათ მიერნი სიკეთენი, მოკლედ თქუ!

ყ: ღმრთისა მიერი: სარწმუნობითა მოგვეცემიან ყოველთა შჯულიერთა წესთა სწავლად დაჯერება, სასოებითა — ყოველთა ხილულთა და უხილავთა ნეტარებათა მიმთხვევათა იმედი და სიყვარულითა — ყოველთა მცნებათა ღმრთისათა აღსრულება.

194. მ: ჩვენთა ღვწათა მიერ რა?

ყ: გულისხმის-ყოფითა — გამსინჯველობა და განკრძალვა, ავთა და კეთილთა გარჩევა, რათა არა ვსტეთ და არცავინ ვაცთუნნეთ; სამართლითა — არავის რა ვაჭირვოთ და ჩვენი ჩვენ მოგვეცეს და სხვისა — სხვასა; სარვაგითა — ზომიერება: ცოტა მის დროს ვიპმიოთ და მრავალი — მის დროსა, და უწესოდ არ წარვაგოთ და არცა მოვიგნეთ; სიმაგრითა — ღმრთის მსახურებაზე მტკიცედ ვედგნეთ, რათა არავინ შეგვარყიოს და არცა შეგვეშინ-

173. შ: რაოდენნი არიან ნიჭნი სულისა წმიდისანი?

ყ: შვიდნი.

174. შ: რომელნი?

ყ: სიბრძნე, ცნობა, საიდუმლო, მღვიძარება, მეცნიერება, კეთილმსახურება და შიში ღმრთისა.

175. შ: რაოდენნი არიან ნაყოფნი სულისა წმიდისანი?

ყ: ათორმეტნი.

176. შ: რომელნი?

ყ: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, ჰელგობეობა, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება, მარხვა, მოთმინება, სიმშვიდე, თნება.

ნეს, და ბოროტთა გზათა არა მივდრკეთ. ამა შვიდთაგან დიან ყოველნი ქველნი და კეთილნი საქმენი.

195. შ: რაოდენნი არიან ნიჭნი სულისა წმიდისანი?

ყ: შვიდნი: ა. სიბრძნე, ბ. გონიერება, გ. განკრძალვა, დ. სიმტკიცე, ე. მეცნიერება, ვ. მსახურება ღმრთისა, ზ. შიში ღმრთისა.

196. შ: რა საქმარ არიან ნიჭნი ესენი?

ყ: ამათგან მოგვეცემიან კეთილნი ქეშმარიტებისა გზისა სავალად, რამეთუ: შიშითა ღმრთისაათა ცოდვათა განვეშორებით, ღმრთისმსახურებითა — მორჩილ ღმრთისა ვიქმნებით, მეცნიერებითა ნებასა ღმრთისასა ვიქმთ, სიმტკიცითა სიმკნე გვექნების წარუვალი, განკრძალვითა ეშმაკისა მანქანებათაგან ვივლტვით, გონიერებითა შჯულიერთა საიდუმლოთა ცნობილ ვიქმნებით, სიბრძნითა სულიერთა საქმეთა წარვემატებით.

197. შ: რაოდენნი არიან ნაყოფნი სულისა წმიდისანი?

ყ: ათორმეტნი: ა. სიყვარული, ბ. სიხარული, გ. მშვიდობა, დ. მოკირვება, ე. სიტკბოება, ვ. სახიერება, ზ. სულგობეობა, თ. მყუდროება, თ. სარწმუნოება, ი. მარხვა, ია. მოთმინება, იბ. სიწმიდე.

198. მ: რა ძალ-უც მათ ნა-
ყოფის გამოღებად?

ყ: სიყვარულის ნაყოფი არს
შეყვარება ღმრთისა უფროს ყო-
ველთასა და შეყვარება კაცთა,
ვითარცა თავი თვისი, რამეთუ
ამას შინა არიან ყოველნივე მცნე-
ბა[ნი] ღმრთისანი; სიხარულისა
ნაყოფი—ჩვენის ზრუნვის უფალ-
ზე მიტეგება და სხვათა ჭირვე-
ულთა ნუგეშინის ცემა; მშვიდო-
ბისა ნაყოფი — მტერთა დამეგო-
ბრება; მოჭირვებათანი — ვინცა
გმძლავრობდეს, მისი თავსდება;
სიტკბობებათა ნაყოფი — ქრისტეს
მსგავსება; სახიერებისა — ყოვე-
ლივე კეთილი; სულგრძელობისა-
გან — ბოროტისა კეთილად შეც-
ვალება; მყუდროვებისაგან — აღუ-
ბოროტველობა; სარწმუნოებისა-
გან — დაჯერება; მარხვისაგან —
ყოველთა მცნებათა დამარხვა;
მოთმინებისაგან — ვინც შეგვეცო-
დოს, შენდობა; სიწმიდისაგან —
უღირწველობა.

199. მ: რაოდენნი არიან მცნე-
ბანი ეკლესიისანი?

ყ: ექვსნი: ა. საუფლოსა და
დღესასწაულსა დღესაწირვის მო-
სმენა, ბ. დიდმარხვასა და კოლ-
ვიზმათა დღეში ერთგვის საზრდე-
ლის მიღება და კვირაში ორი დღე
ძორჯის უკმელობა, გ. თუმცა
დროსაგან არ იქმნას, წელიწადსა
შინა ოდენ ერთგვის მაშინც აღსა-
რება, დ. აღდგომა დღეს ზიარება,
ე. შობის უწინარეს კვირიტგან

177. მ: რაოდენნი არიან მცნება და სიყვარული?

ყ: ორნი.

178. რომელნი?

ყ: შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

179. მ: რაოდენნი არიან მცნებანი კეთილისანი?

ყ: ხუთნი.

180. მ: რომელნი?

ყ: უქმობა დღესასწაულთა დღეთანი, მოსმენა წირვისა და ლოცვისა, მარხვა, განწესებულთა აღსარება, ზიარება, უკეთუ მრავალგზის არ ძალ გედვას, აღდგომას დღეს მაინც, და ქორწილის არა ქმნა დაყენებულთა დღეთა.

181. მ: რაოდენნი არიან კეთილის საქმენი ქორციელნი?

ყ: შვიდნი.

182. მ: რომელნი?

ვიდრე ნათლისღებამდე არა-ქორწინება და არცა დიდთა მარხვათა, ვიდრე ახალს კვირიაკემდე, ვ. თავის მონაგებთაგან ათეულთა საეკლესიოდ მიცემა.

200. მ: ესე განწესებული საყოველთაო არს, ხოლო ვისა სისრულე ნებავს, რომელი?

ყ: ნებისთ სიგლახაკე, მარადის სიწმიდე და უცოდველი მორჩილება. ვისაც სისრულე ნებავს, ქრისტე ამცნებს.

201. მ: რაოდენნი არიან მოწყალეებათა საქმენი ქორციელნი?

ყ: კმევა მშიერთა, სმევა მწყუ-
რვალეთა, შეწყნარება უცხოთა
და სტუმართა, შემოსა შიშველ-
თა, ხილვა სნეულთა, განთავი-
სუფლება ტყვეთა და დაფლვა
მკვლართა.

183. მ: რაოდენნი არიან კე-
თილის საქმენი [სულიერნი]?

ყ: შვიდნი.

184. მ: რომელნი?

ყ: სწავლა უსწავლელთა, გან-
მართვა დაბრკოლებულთა, წვრთა
ნაკულუღევანთა, ნუგეშინისცემა
სნეულთა, მოთმინებათა თავსდე-
ბა, ჰვედნათა მიტევება გარდასუ-
ლისად და ლოცვა ცხოველთა და
მკვლართათვის და მაჰირვებელ-
თათვის.

185. მ: რაოდენნი არიან ნეტა-
რებანი სახარებისანი ანუ თარგ-
მანნი მათნი?

ყ: ცხრანი?

186. მ: რომელნი?

ყ: ა. „ნეტარ იყვენენ გლახაკნი
სულითა, რამეთუ მათი არს სასუ-
ფვეელი ცათა“¹. თ ა რ გ მ ა ნ ი:
სიმართლესა წინა დაგვიწყებს, ვი-
თარცა საფუძველსა რასამე., ვი-
ნათგან ამპარტავნებისა მიერ და-
ეცა აღამ, ამისთვის სიმდაბლისა
მიერ აღგვმართებს ჩვენ ქრისტე,

ყ: შვიდნი: ა. კმევა მშიერთა,
ბ. სმევა მწყურვალთა, გ. შემოსა
შიშველთა, დ. შეწყნარება უცხო-
თა, ე. მოკითხვა სნეულთა, ვ. ნახ-
ცა პატიმართა, ზ. დაფლვა მკვლარ-
თა.

202. მ: რაოდენნი არიან მო-
წყალეზანი სულიერნი?

ყ: შვიდნი: ა. სწავლება უმე-
ცართა, ბ. განმართვა დაბრკოლე-
ბულთა, გ. წვრთა ნაკულუღევან-
თა და ცოდვილთა, დ. ნუგეშინის-
ცემა ჰირვეულთა, ე. მიტევება
შემცოდეთა, ვ. სულგარძელად მო-
თმენა ჰვედნათა, ზ. ცოცხალთა და
მკვლართათვის ვედრება ღმრთისა.
მტერთა და მოყვარეთათვის.

203. მ: რა გვიძმს აღსლვად სა-
სუფველისად?

ყ: სარწმუნოება, სასოება, სიყ-
ვარული და საქმე¹.

204. მ: რაოდენნი არიან ნეტა-
რებანი სახარებისანი, ანუ თარგ-
მანი მისნი?

ყ: ცხრანი:

ა. „ნეტარ იყვენენ გლახაკნი
სულითა, რამეთუ მათი არს სასუ-
ფვეელი ცათა“².

სულით გლახაკობა არს სული
შემუსრვოლი და გული მდაბალი.
ვინათგან ეშმაკნი ამპარტავნებით
გარდმოცვივდენ, მდაბალნი აღე-
ლენ სასუფველად.

¹ ეს კითხვა-მიგება ავტორის მიერ შემდეგაა ჩამატებული. მიწერილია აშოაზე.

² მათე 5, 3.

ხოლო შემუსრვილნი სულითა
გლახაყნი სულითა.

ბ. „ნეტარ იყვენ მგლოვიარე-
ნი გულითა, რამეთუ იგინი ნუგე-
შინის-ცემულ იქმნენ“¹. თ ა რ გ-
მ ა ნ ი: არა თუ სწვრთნის² ვისმე
რასამე, მგლოვიარედ იტყვის. არა-
მედ ცოდვის ქმნასა ზედა მგლო-
ვიარედ ტირს-ყე; რომელნი ცოდ-
ვათა თვისთა იგლოვდეს მარადის
არა თუ თვისთა მხოლოდ ცოდვა-
თა, არამედ მოყვასისათაცა, იგი-
ნი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ აქაც
და მუნ საუკუნესასა.

გ. „ნეტარ იყვენ მშვიდნი, რა-
მეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყა-
ნა“³. თ ა რ გ მ ა ნ ი: რომელნი-
მე ცით დამკვიდრებას იტყვიან,
ხოლო ამასც ქვეყანის გულისხმის-
ყოფით, რამეთუ მშვიდნი დაწუნე-
ბულად საგონებულ არიან და დაკ-
ლებულ მონაგებთაგან იტყვის,
ვითარმედ: უფროსად მათ ქონან
ქვეყანა, ხოლო მშვიდ არიან არა-
თუ მხოლოდ რომელნი არა გან-
რისხნებოდეს, არამედ უფროსად
იგინი, რომელთა გულისწყრომა
უკვე აქვნიდეს, გარნა იპურობდენ
და ოდესმე ჭერ-იყოს განრისხნე-
ბოდეს.

დ. „ნეტარ იყვენ, რომელთა
შიოდეს და სწყუროდეს სიმარტ-

ბ. „ნეტარ იყვენ მგლოვიარე-
ნი გულითა, რამეთუ იგინი ნუგე-
შინის ცემულ იქმნენ“¹.

ამას ცოდვის ქმნისათვის
მგლოვიარეთა ნატრის, რამეთუ
აქაცა და მუნცა დიდნი ნუგეშის-
ცემანი მიეცემიან.

გ. „ნეტარ იყვენ მშვიდნი,
რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვე-
ყანა“³.

მბრძოლნი დაიპურობენ ქვეყა-
ნასა, არამედ ძნიად დაიმკვიდრე-
ბენ, ხოლო მშვიდთათვის მარადის
დამკვიდრებულ არს ქვეყანა: ესე-
ცა და ზეცისაცა. გარნა სიმშვიდე
ორ-სახე არიედ: ურისხველობა და
რომელთა აქვნიდეს უამიერი რისხ-
ვა სწავლებათათვის. და დაიპურო-
ბდეს ოდესცა უნდეს.

დ. „ნეტარ იყვენ, რომელთა
შიოდის და სწყუროდის სიმარტ-

¹ მათე 5, 4.

² სწვრთნის.

³ მათე 5, 5.

ლისთვის, რამეთუ იგინი გან-
ძლენ¹. თ ა რ გ მ ა ნ ი: რომელ-
თა მოითმინონ ნაკლულევანება,
ყოველსავე დასჯერდენ, რა იგი
აქვენდეს სიმართლისათვის არცა
პარვად, არცა ხვეჭად, არცა ტაცე-
ბად ანგარებად იწყონ მათ ნეტა-
რისა. რომელთა ესე თავს იღვან
შეკრძალვად, იგინი განძლენ
ღმრთისა მიერ.

მ. „ნეტარ იყვნენ მოწყალენი,
რამეთუ იგინი შეიწყალნენ“².
თ ა რ გ მ ა ნ ი: არა საქმართაგან
ოდეს იქმნებიან წყალობანი, არა-
მედ სიტყვითაცა, დაღათუ არა,
რა გაქვენდეს ცრემლთაგან კიდე³
ყოველივე აქაცა, ხოლო მუნ
ღმრთისა მიერ უმეტეს.

ვ. „ნეტარ იყვნენ წმიდანი გუ-
ლითა, რამეთუ მათ ღმერთი იხი-
ლონ“⁴. თ ა რ გ მ ა ნ ი: მრავალ-
ნი არიან, რომელნი არა იტაცებენ,
არამედ უფროსად სწყალობდენ,
გინა იხიძვენ არაწმიდებითა, ცხო-
ვნებითაცა აწ უკვე ქრისტე იტყ-
ვის სხვათა სათნოებათა თანა სიწ-
მიდისა მოყვარესა წარმატებასა
არა ქორცითა ოდენ, არამედ გუ-
ლითაცა, რამეთუ თვინიერ სიწმი-
დისა ესე იგი არსა, ქორცთა მიერ
უცოდველობისა ვერავინ იხილოს
უფალი.

1 მათე 5, 6.

2 მათე 5, 7.

3 კიდე] + კიდე.

4 მათე 5, 8.

თლისათვის, რამეთუ იგინი გან-
ძლენ¹.

რომელთა მოითმინონ ნაკლუ-
ლევანება და, რა იგი აქვენდეს,
დასჯერდეს, სიმართლისათვის.
ხვეჭად, პარვად და ანგარებად
არა იწყონ, ესენი განძლენ ღმერთ-
თან ნეტარებითა.

მ. „ნეტარ იყვნენ მოწყალენი,
რამეთუ იგინი შეიწყალნენ“².

არა თუ ოდენ საქმართა მიერ
არს შეწყალება, არამედ სიტყვი-
თაცა, დაღაცათუ ცრემლთა კიდე
არარა გაქვენდეს შეწყალებითა,
შეგიწყალნეს უმეტეს ღმერთმან.

ვ. „ნეტარ იყვნენ წმიდანი გუ-
ლითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილ-
ნეს“⁴.

არათუ ოდენ ქორცითა წმიდა
იყვნენ და არა იხიძვიდენ, არა-
მედ რომელმან განიწმიდონ გულ-
ნი შურისა, მზაკვარებისა და ყო-
ლისა ბოროტის გულსთქმისაგან.
მან ქეშმარიტად ღმერთი იხილოს.

ზ. „ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდენ“¹. თ ა რ გ მ ა ნ ი: არა ხოლო თუ რომელთათვის მშვიდობა მიუგეის ყოველთა მიმართ, არამედ რომელნი სხვათცა შფოთებასა ბოროტად დააგებდა, მოიყვანდეს კვალად. მშვიდობის მყოფელნი არიან მოძღვრობად მიერ მოქცეულნი ცოდვილნი დაგებად ღმრთისა, ესევეითარნი ძედ ღმრთისად იწოდეს.

შ. „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმაართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“². თ ა რ გ მ ა ნ ი: დევნულნი სიმაართლისათვის მოციქულნი და მოწამენი არიან, კვალად მწვალებელთა მიერ მართლმადიდებელნი, თუ იმძლავრებდენ, კვალად შემწენი იმძლავრებულთანი და ყოველთა სათნოებათათვის თუ ვინმე იდევნენ, რამეთუ ყოველი სათნოება სიმაართლე არს.

თ. „ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გდევნიდენ და გყვედრიდენ და თქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მიმართ სიცრუევით ჩემთვის“³. თ ა რ გ მ ა ნ ი: არა რომელნი მართებულად იყვედ-

ზ. „ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდენ“¹.

მშვიდობის მყოფელნი არიან, რომელთა მოიგნეს სანატრელი მშვიდობა, ავრეთვე რომელთა დაამშვიდნეს აღშფოთებულნი კაცნი, გინა მსოფლიო ამბობება და ზრძოლანი დააცხრევს, გინა ღმრთისაგან განდგომილნი კაცნი ღმერთსავე დააგნეს მოძღვრობითა, ესევეითარნი ძედ ღმრთისად იწოდებიან.

შ. „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმაართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“².

სიმაართლისათვის დევნულნი იყვნენ მოციქულნი ქრისტეს[ნი] და მოწამენი, კვალად მწვალებელთა მიერ მართლ-მორწმუნენიცა, რომელნი იმძლავრებიან, და ყოველნივე ქრისტეს შჯულისათვის დევნულნი სიმაართლისათვის დევნულ არიან.

თ. „ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გდევნიდენ და გყვედრიდენ და თქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუევით ჩემთვის“³.

1 მათე 5, 9.

2 მათე 5, 10.

3 მათე 5, 11.

რებოდენ, ნეტარ არიან, არამედ ტყუილად და ქრისტესთვის, ხოლო არა თუ იყვნენ ორნი ესე, უუბადრუკეს¹ არს იგი, ვითარცა მიზეზი მრავალთა დაბრკოლები-სათა.

187. შ: რაოდენნი არიან საგ-რძნობელნი ქორციელებრივნი?

ყ: ხუთნი.

188. შ: რომელნი?

ყ: სახილავნი, სასმენელნი, ყნოსვანი², გემოვნებანი და შეხე-ბანი.

ართუ ღირსად საყვედრელნი ნეტარ არიან, არამედ ყოველთა უუბადრუკეს, ვინათგან მიზეზ. მრავალთა დაბრკოლებისა იქმნე-ბიან. არამედ რომელი ტყუვილად იყვედროს ქრისტესთვის, იგი სა-ნატრელ არიან.

205. შ: რაოდენ არიან საგრძ-ნობელნი ქორციელებრივნი?

ყ: ხუთნი: ა. თვალი, რომლითა ვხედავთ, ბ. ყური, რომლითა გვე-სმის, გ. ცხვირი, რომლითა ვიყ-ნოსთ, დ. პირი, რომლითა ვიგე-მებთ, ე. შეხება, რომლითა ვსცნობთ ცხელსა, ცივსა, მძიმესა, სუბუჭსა და მისთანათა.

206. შ: რაოდენ არიან სახენი ცოდვისანი?

ყ: ორნი: ნათესაობითნი — ადამის მიერნი, რომელთა შინა ვშობილვართ ყოველნი, რომელ-თა ეწოდებიან შესანდობელნი ცოდვანი, და შენაცოდარნი, რომელთა ეწოდებიან მომაკვდინე-ბელნი ცოდვანი³.

207. შ: რა არს შესანდობელ ცოდვა?

ყ: შესანდობელი ცოდვა არს: რომელი მოგვეცა მამისა ჩვენისა ადამის მიერ ყოველთა ტომთა მისთა. და ესე არცა ღმრთისა

¹ უუბადრუკეს.

² ყოველნი.

³ რომელსა ეწოდებან შესანდობელი ცოდვა და შენაცოდარი, რომელსა ეწოდე-ბან მომაკვდინებელი ცოდვა.

მცნებათა წინააღმდეგომ არს და არცა კაცთა სიყვარულითა. არამედ ვინათგან კაცთა სისრულე ნებავეს ღმერთსა, მისი მოკლება არს. და ესე მამეულნი [ცოდენან] აღიპოცებიან ნათლის ღებისა მიერ, ხოლო ნათლისღებისა შემდგომად ჭერ-არს ამათთვის საკანონო, ანუ აქა სოფლისა, ანუ მუნ სალხინებელსა შინა.

208. მ: რომელნი არიან ცოდვანი მომაკვდინებელნი?

ყ: რომელნიცა მცნებათა ღმრთისათა დაჰსნიან და კაცთა სიყვარულთა წინა აღუდგებიან, რომელნი მკვლელ ექმნებიან სულსა მადლთა ღმრთისათა განშორებითა. და ესე უკეთუ ნათლისღებისა უწინარეს ქმნა, ნათლის ღებითა აღიპოცებიან. და შემდგომად ნათლის ღებისა შენაცოდარი — აღსარებითა, სინანულითა. და საკანონოთა აღიპოცებიან.

209. მ: რაოდენნი არიან თავნი მომაკვდინებელთა ცოდვათანი, ანუ წამალნი მათნი?

ყ: შვიდნი და წამალნიცა მათნი შვიდნი: ა. ამპარტავნება და წამალი მისი სიმდაბლუე, ბ. არაწმიდება და წამალი მისი სიწმიდუე, გ. ნაყროვანება და წამალი მისი მარხულობა, დ. მცონარება და წამალი მისი სიმჰნე, ე. მრისხანება და წამალი მისი სიმშვიდუე, ვ. შური და წამალი მისი სიყვარული, ზ. ანგარება და წამალი მისი მოწყალება.

189. მ: რაოდენნი არიან თავნი ცოდვანი, რომელთა იგი ეწოდების მომაკვდინებელი?

ყ: შვიდნი.

190. მ: რომელნი?

ყ: ამპარტავნება, არაწმიდება, ნაყროვანება, მცონარება, მრისხანება, შური, ანგარება.

191. მ: რაოდენნი არიან ცოდვანი სულის წმიდის გმობისანი?

ყ: ექვსნი.

192. მ: რომელნი?

ყ: სასოწარკვეთილება ცხოვნებისაგან¹, ცხოვნების გონება თავისა თვისისა საქმისა და სინანულისა, წინააღდგომა ქეშმარიტებისა მეცნიერთასა, შური მადლსა ზედა სხვისასა, განგრძობით დგომა ცოდვასა შინა და სიკვდილი მოუქცეველად.

193. მ: რაოდენნი არიან ცოდვანი, რომელნიცა ღაღადებენ ზეცად მიმართ წინაშე ღმრთისა?

ყ: ოთხნი?

194. მ: რომელნი?

ყ: ნებსით უბრალოდ კაცის კლეა, სოდომური ცოდვა, უსამართლოდ გლახაკთა, ქვრივთა, ობოლთა ზედა, დაკლება მუშაკის სამუშაოთა სარეწელთა.

195. მ: რაოდენნი არიან საგონებელნი ოხჰანთანი?

ყ: ოთხნი.

196. მ: ოთხნი რომელნი?

ყ: სიკვდილი, სასჯელი აღსასრულისა, საუკუნო ჯოჯოხეთი და სასუფეველი ცათა.

197. მ: უკეთუ სიკვდილისა მსენება განუმარავლდეს და ეწიოს, რამე უნდა ყოს მორწმუნემან?

ესენი არიან დასაბამნი ყოველთა მომავლდინებელთა ცოდვანთანი და მადინებელნი და მშობელნი მათნი.

210. მ: რაოდენნი არიან ცოდვანი სულის წმიდის გმობისანი?

ყ: ექვსნი: ა. სასოწარკვეთილება ცხოვნებისა, ბ. ცხოვნების გონება თვინიერ კეთილის საქმისა და სინანულისა, გ. წინა აღდგომა ქეშმარიტის მეტყველისა, დ. შური სხვის ღმრთის წყალობასა და მადლსა ზედა, ე. განგრძობით დგომა ცოდვასა შინა, ვ. სიკვდილი მოუქცეველად.

211. მ: რაოდენნი ცოდვანი ღაღადებენ წინაშე ღმრთისა?

ყ: ოთხნი: ა. ნებსით უბრალო კაცის კლეა, ბ. ბუნების გარეგანი ცოდვა, გ. ჰირი ქვრივთა, ობოლთა და გლახაკთა, დ. მუშაკისა სასყიდლისა დაკლება.

212. მ: რაოდენნი არიან საგონებელნი ოხჰანთანი?

ყ: ოთხნი: ა. სიკვდილი, ბ. სასჯელი აღსასრულისა, გ. საუკუნო ჯოჯოხეთი, დ. სასუფეველი ზეცისა.

213. მ: უკეთუ მსენება სიკვდილისა გაუმართლდეს და ეწიოს, რამე ყოს მორწმუნემან?

¹ ცხოვრებისაგან.

ყ: პირველსა დასწავლებლასა ზედა მოუწოდოს სულიერსა მკურნალსა და აღუაროს ბრალნი და ცოდვანი თვისნი, ვითარცა ჰორციელსა მკურნალსა რა ეტყვის პირველადვე სწავლებლასა სახელებისასა, და, უკეთუმცა სწავლებლამან [მატა], ეზიაროს წმიდა საიდუმლოსა იესუს ქრისტესა და სვას¹ წამალი იგი სამთელეგელი სულთა. უკეთუ კვალადმცა განუძნელდა, იკურთხოს ზეთი, თუცა გონიერ არს; თვითონ განზრახავს და განიმზადებს ნუზლსა სული-სასა სინანულითა სულთქმითა და, უკეთუ არა, სწავლიდენ მოძღვარნი და განძლიერდებოდენ, რამეთუ მაშინ უფიცხესად ებრძვის ეშმაკი კაცთა, ვინათგან იცის მოკვდავება კაცისა; რათა ვერლარა ეწიოს სინანულსა, ამისთვის ფრიად სწავლა უქმსთ მოძღვართა სულმოზრძავისათა.

198. მ: უკეთუ სწეული იგი ანაზღად შეწუხდეს, მღვდელი წირვაზედ დგეს, რამე ყოს მოკვდავი?

ყ: უკეთუ მღვდელ მსხვერპლ-დაგდებულნი იყოს, და არა ჯერ ჰორციად და სისხლად ქმნილ იყოს, სრულიად მოჰადონ, ვიდრე სახარების წარკითხვამდე, გინა მრწამსის თქმამდე დაუტეოს დაგებული იგი და მოვიდეს, აზიაროს

ყ: პირველსავე სწეულსა ზედა ჯერ-არს აღსარება. უკეთუ მატა სწეულსამან, საზრდელი სულსა წმიდა ზიარება მიიღოს და, უკეთუ გაძნელდა, წმიდა ზეთი იკურთხოს; თუმცა თვით მეცნიერ არს, თვით განიმზადებს საგზალსა სულისასა. უკეთუ არა მოძღვარი სიტკბოებით ასწავლიდეს, რამეთუ მაშინდა უფიცხელეს ებრძვის ეშმაკი, ვინათგან უწყის არღარა ჟამისა ქონება სინანულად დროებისა.

214. მ: უკეთუ სწეული მეცხა შინა შეწუხდეს და მღვდელი წირვად დგეს, მღვდელმან დაუტეოს მსხვერპლი, ანუ უგულბებელს ყოს სწეული?

ყ: უკეთუ დაგებული მსხვერპლი ჯერეთ არა სრულ-ქმნილ არს, ვიდრე წმიდა არსისა თქმამდე, დაუტეოს დაგებული და აზიაროს სწეული და მერმე შეასრულოს მსხვერპლი. ზადა. დაუტევა, მუნით იწყოს. და უკეთუ საუფ-

¹ სგვ.

სნეული და მერმე მივიდეს, სრულ ყოს მსხვერპლი და, სადაც დასცა და, მუნვე იწყოს. და უკეთუ კურთხევასა და სიტყვასა საუფლოსა და შემდგომად მოუწოდოს მღვდელსა და არა ძალ-უც დატეგება, არამედ სრულ ყოს და შემდგომად მივიდეს სნეულისა ზიარებად.

199. მ: რა უკვე მღვდელი სწირვიდეს, წირვაზედ ეუფლოს ანაზღეული სიკვდილი, ვითარ ჭერარს შესრულება მსხვერპლისა?

ყ: უკეთუ საუფლოს სიტყვის თქმისა და კურთხევისა უწინარეს მოკვდა მღვდელი, დაეტეოს მსხვერპლი, უკეთუ სრულყოფისა შემდგომად მოკვდეს, სხვა მღვდელი წარვიდეს, შეასრულოს, რაც დარჩეს და ეზიაროს.

ლომსა სიტყვისა შემდგომად მოუწოდონ, არ ძალ-უც დატეგება.

215. მ: უკეთუ მღვდელი სწირვიდეს და წირვაზედ ანაზღეული სიკვდილი ეუფლოს, ვითარ ჭერარს შესრულება მსხვერპლისა?

ყ: უკეთუ საუფლო სიტყვის თქმამდე მოკვდა, დაეტეოს მსხვერპლი და, უკეთუ საუფლომასა სიტყვისა შემდგომად მოკვდა, სხვა მღვდელი წარდგეს და შეასრულოს, რაიც დარჩომილა და ეზიაროს და სრულყოს.

216. მ: უკეთუ მღვდელი მუნ იყოს და უზმა არა იყოს, რა ყოს?

ყ: სნეულთა ვინათგან დაჰირება აქვს, ნასამხრთა აზიარებენ, არამედ შიში ჭერარს.

217. მ: უკეთუ მღვდელი წირვად დგეს და მტერთა ლაშქარი მოვიდეს, რამე ყოს?

ყ: უკეთუ საუფლო სიტყვა არა ეთქვას, ჭურჭელი აკრიბოს და ივლტოდეს. უკეთუ საუფლო სიტყვა ეთქვას, თუ აღსრულებასა ვერ დაასწრებდეს, მაშინვე ეზიაროს და ჭურჭელი აკრიბოს და ივლტოდეს.

A

200. მ: უკეთუ წმიდა ბარძიმ-სა შინა შთავარდეს სრულყოფისა შემდგომად ბუზი, ანუ მკალი და რაცა, ვითარ ჭერ-არს?

ყ: ჭერ-არს, რათა შექამოს იგიცა.

201. მ: უკეთუ მღვდელი გულ-დამზიზღებელი იყოს და არა ძალ-ღღვას შექმა რწყევის შიშით, რამე ყოს?

ყ: თითითა ჭერ-არს აღმოღება და შთაწუროს და წმიდას ფეშ-ხუმზე განრცხას და ზიარების შემდგომად ნარეცხი შესვას და ბუზი დაწვას და ნაცარი მისი მდინარესა შინა შეაბნოს.

202. მ: უკეთუ სნეულს ცნობა აღარა ქონდეს და ეგრე მივიდეს მოწოდებული მღვდელი და ვერცა აღსარება თქვას, აზიაროს ანუ არა?

ყ: უკეთუ იცის მოძღვარმან მოკვდავისა მის ცხოვრებასა მისსა აღსარებით და სინანულით ყოფნა და არარა მომაკვდინებელი ცოდვა შემთხვევია, მაშინც ძნელი არს და აზიაროს.

203. მ: რა არს სიკვდილი?

ყ: სიკვდილი უკვე არს სული-სა და ქორცისა განყოფა.

204. მ: ვითარ განიყოფის სული და ქორცი?

ყ: ოდეს მოვალს აღსასრული, სულნი განეშორებიან ქორცთაგან

B

218. მ: უკეთუ წმიდასა ბარძიმსა კურთხევისა შემდგომად, რომელ არს საუფლო სიტყვა, ბუზი ანუ რაიმე შთავარდეს, რამე ყოს?

ყ: ჭერ-არს, რათა შექამოს.

219. მ: უკეთუ მღვდელი გულ-დამზიღველი იყოს და რწყევისა ეშინოდეს?

ყ: თითითა ამოიღოს და წმიდა ფეშხუმზედ განრცხას და ზიარებისა შემდგომად ნარცხი შესვას და შთავარდნილი დაწვას და ნაცარი მისი საკურთხეველს ქვეშე დამარხოს.

220. [მ: უკეთუ სნეულს ცნობა აღარა ქონდეს და ეგრე მივიდეს მოწოდებული მღვდელი და ვერცა აღსარება თქვას, აზიაროს ანუ არა?]

ყ: უკეთუ ნიშნება ძალ-უც და ზიარება სურის და მღვდელმან მისი ცხოვრების ჰამბავი იცის, მაშინც ძნელ არს.

221. მ: რა არს სიკვდილი?

ყ: სულისა და ქორცისა გაყრა.

222. მ: ვითარ განეყოფის სული ქორცსა?

ყ: ოდეს მოვალს აღსასრული, სული განეშორების სხეულთა და

1 220-ე კითხვა-პიგება არშიაზეა მიწერილი. ხელნაწერის დაკავშირების დროს მოძღვრის კითხვა ჩამოუქრიათ. დარჩენილია მხოლოდ ყრმის პასუხი (გვ. 54). კითხვა აღვადგინეთ A რედაქციის მიხედვით.

და ქორცი უძრავი და უქმი შეიქმნების, განიხრწნების და დაირღვევის.

205. მ: ოდეს მოკვდებიან კაცნი, ვიდრე ცოცხალ არიან, დღენი განწესებულნი აქვან ღმრთისაგან ანუ არა?

ყ: არავისნი დღენი არიან განწესებულნი.

205. მ: ვიეთნიმე იტყვიან: ყოველთა კაცთა დღენი აღწერილნი იყვნენ, რომელთამე გრძელი, რომელთამე მოკლე. და ოდეს მიიწვიან აღსასრულნი, მაშინლა მოკვდნენ და ვერ განერჩენ.

ყ: მაგას უმეტარნი იტყვიან. უკეთუ ღმერთმან განაწესნა, აღწერნა, მაშა, ვისმე ასი წელიწადი აქნდეს სიცოცხლე და სხვასა — სამოცი და სხვასა — ორი წელი და რომელნიმე მასვე დღესა მოკვდებიან? ვინ შემძლებელ არს ბრძანებასა ღმრთისასა შეცვალება? რომლისა უთქვამთ ორთა და ერთთა წელთა შემდგომად სიკვდილი? ვინმეა შესძინა დღენი მისნი, გინა ვინმეცა სამეოც და ასნი, ვერცავინ მოაკვდინნა იგი მუნამდე, არცალა თუ თვით მოკვდენ. მაშინ რათ ეშინიანთ წყალთაგან და ეძიებენ ფონთა და გასდებენ ხიდთა, ანუ ერიდებიან ბუქთა და ყინელთა, ანუ ომთა და ბრძოლათა, შეიმოსებიან ჭაჭვითა

ქორცნი უქმდა უძრავ შეიქმნებიან, და დაირღვევიან და განიხრწნებიან.

223. მ: ვიდრე ცოცხალან კაცნი, დღენი განწესებით აქვანა, ვითარცა იტყვიან მარმენიოთა?

ყ: არა, არცა მარმენიო არს კაცთა ზედა განწესებით, არცა დღენი მიცემულნი რიცხვით მოუკლებულნი.

224. მ: მაშა, კაცთა ზედა მარმენიოთა იტყვიან, იყვნენ და დღენი წილხდომით განწესებულნი: ვიეთთათვის გრძელი და რომელთათვის მოკლე. და ოდეს მარმენიო მოიწიოს მოკვდეს და ვერ განერჩეს.

ყ: მაგას უმეტარნი იტყვიან. ხოლო უკეთუ ღმერთმან რიცხვით მისცნა კაცთა დღენი: რომელსამე ასი წელი და სხვასა — ორმეოცნი და სხვასა — ორნი ანუ სამნი დღენი, რომელნიმე მასვე შობასა მოკვდებიან; მითხარ: ვის ძალუც საღმრთოასა ბრძანებისა და განგებოსა შეცვალება და რომლისაგან აგო მასვე დღესა შინა სიკვდილი, შესძინა დღეგრძელობა: და ვისიცა ასნი და ორმეოცნი წელნი მოაკლოს ვინმე და მოაკვდინა კაცი იგი? მაშა, რაასათვის ეშინიანთ წყალთაგან და განაგებენ ხიდთა და ვლენან ნავებითა და ეძიებენ ფონთა? რაასათვის რიდებენ ბუქთა და ყინელთა, ანუ ომთა და ბრძოლათა შინა შეიმოსუნ

და აღიღებენ კრძალთა და ლახ-
ვართა? ვის ძალ-უც ბრძანებისა
ღმრთისა დარღვევა ანუ ვინ მოკ-
ლავს ვისმე, რომელი ღმერთსა
ნებავს ცხოვრება მისი, ანუ ვინ
განარჩნოს თავი მკურნალისა
მოწოდებისა და შესცვალოს ბრძა-
ნება ღმრთისა?

206. მ: მაშ, რად რომელნიმე¹
სიბერითა ვაებენ სიცოცხლისა-
თვის და ჰაბუკუნი ვერ განაძღებენ
დღეთა და სხვანი მცირენი მოკ-
ვდებიან და რომელნიმე მუცელსა
შინა?

ჟ: საიკვდილი ბრძანა ღმერთთან
ცოდვათა ჩვენთათვის: ერთჯერ
უნდა მოგვედეთ. არამედ არა თუ
აღწერნა დღენი და არცა განგვი-
წესნა უამნი.

207. მ: მაშ, ვისით საქმით არს
ესევეითარნი სიკვდილნი?

ჟ: რომელნი სავსე სიბერით²
მოკვდებიან, ღმრთისა მიერ არს.
არიან ესევეითარნი, რომელთა ჰა-
ბუკთა ცენებოს სიკვდილი განგე-
ბითა საღმრთოფთა, რამეთუ მი-
უწვდომელ არს, და არიან სნეუ-
ლებითა მოკვდენ და არიან ფათე-
რაკად მოკვდენ, არიან წყრომათა
და ომთა შინა მოკვდენ, ანუ
წყალთა, თოვლთა შინა მო-
მთონ, ვინა შემთხვევისა მიერ
მოიშთონ.

აბჯართა და აღიღებენ მახვილთა?
ვის ძალ-უც განგება ღმრთისა
დარღვევად? რომელსა ღმერთთან
განუგო დღე გრძელი, იგი მოიკლა
და, რომელსა — დღე მოკლე, იგი
აცოცხლა. ვინ არს ესე მოქმედი?

225. მ: მაშა, რომელნიმე სიბე-
რითა სავსენი ვაებენ სიცოცხლი-
სათვის და ჰაბუკუნი სიცოცხლითა
ვერ განძღებინან, სხვანი ჩჩვილნი³
და რომელნიმე მუცელთავე შინა
მოკვდებიან, რამცა არიან?

ჟ: ღმერთთან ცოდვათა ჩვენ-
თათვის სიკვდილი ბრძანა: ერთ-
გზის ჯერ-არს რათა მოგვედეთ,
ხოლო უამთა სიგრძე და მოკლო-
ბა არა განაწესნა.

226. მ: მაშა ვისითა მოქმედე-
ბითა არიან ესე სიკვდილნი⁴ კაც-
თა ზედა?

ჟ: სავსენი სიბერითა რომელ-
ნი მოკვდებიან, ღმრთისა მიერ
არიან. და იქმნებიან ჰაბუკთა ცა
სიკვდილი განგებისაგან საღმრ-
თოფსა მიზეზითა რამთამე, არი-
ან სიკვდილნი სენთა მიერ, არიან
სიკვდილნი ფათერაკისა მიერ და
შემთხვევითისა, არიან ომთა შინა
და კაცთაგან, არიან წყალთა და
თოვლთა მიერ და მკეტთაგანაც
მოიკლან უცებად.

1 ძალნი მე.

2 სიბერით.

208. შ: იქმნება უღმრთოდათა სიკვდილი კაცისა?

ყ: ეგე იქმნება, რამეთუ მოკლავს უბრალო[დ] კაცი კაცსა, ავაზაკნი — მგზავრთა, ვიეთნიმე ქმანი — ძმათა, ნათესაჲნი — ტომთა. უკეთუ ღმრთისაგან იქმნა, რათამცა წარსწყვიდნა ჯოჯოხეთისა შინა მკვლელი იგი? ნუ იყოჴნი! ანუ თავმჯდომით არა რიდა წყალსა ანუ ცეცხლსა, ანუ ბუქსად მით მოიკლა, არა თუ ღმერთმან უთხრა, არამედ თვით ქმნა თავმჯდომითა.

209. შ: ოდეს კაცი მოკვდებოდან და პორცნი განიხრწნებიან, სულ[ხ]იკა კაცისანი განიხრწნებიან ანუ არა?

ყ: არა, პორცნი ოთხთა კავშირთაგან არიან: მიწათა, წყალთა, ჰაერთა და ცეცხლისა, ამისთვის განიხრწნებიან, ხოლო სული უსახელო¹ და უნივთო არს და არა მოკვდების და არცა განიხრწნების.

210. შ: რა არს სული?

ყ: სული არს ერთი ცხოველი ნათელი, მსწრაფლ² მოძრაი და წვლილი, უსახო, რომელსა ვერ დაიპყრობს კედელი, ვერცა კლდენი და მთანი. თვინიერ ღმრთისა რთხვისა არავისგან შეიპყრობის ღმრთისაგან დაბადებული უკვდავად და განუქარებლად.

227. შ: იქმნებისა სიკვდილი კაცისა უღმრთოდ?

ყ: ჰე, იქმნება, რამეთუ უბრალოდ მოჰკლავს კაცი კაცსა, გინა ავაზაკნი — მოგზაურთა. ვიეთთა ძმა და მამა მოაკვდინეს. უკეთუ ღმრთის მიერ არს სიკვდილი მათი, რალათა წარწყვიდა ჯოჯოხეთად მომკვლელი მათი? ნუ იყოფინ!

228. შ: ოდეს მკვდართა პორცნი განიხრწნებიან, სულნიცა განიხრწნებიან ანუ არა?

ყ: პორცნი ოთხთა კავშირთაგან შენაწევრებულნი არიან: მიწათა, წყალთა, აირისა და ცეცხლისაგან, ამისთვის განიხრწნებიან, ხოლო სული უსახელო და უნივთო არს, არცა განიხრწნების და არცა მოკვდების.

229. შ: რა არს სული?

ყ: არს სული ღმრთისაგან არა-რამსაგან მყოფად მოსული ერთი ცხოველი, ნათელი, გონიერი, სიტყვიერი, მსწრაფლ მოძრაი, უსახო, წვლილი, რომელი არარამსაგან დაიპყრობის, არცა კლდეთა, არცა მთათა, არცა კედელთაგან, არც სხვისა რაათამე. თვინიერ

¹ უსახელოდ.

² მსწრაფლად.

211. მ: სულნი ესე ვინათგან ღმრთისაგან დაბადებულნი არიან, სადა არიან ზეცას, ანუ ქვეყანასა ზედა?

მ: არცა ზეცას არიან, არცა ქვეყანასა.

212. მ: მამისა მიერ იშვებიენ ანუ დედისა?

მ: მამისა და დედისა მიერ ქორცნი იშვებიენ, ხოლო სულნი არცა მამისა მიერ იშვებიენ და არცა დედისა მიერ იშვებიენ.

213. მ: მამს სადეთ მოვალს მუცელსა შინა დედისა თვისისასა?

მ: ღმრთისა მიერ მოვალს მუცელსა შინა დედისა თვისისასა.

214. მ: უწინევე დაბადებულ არს სული იგი, ანუ არა აწ დაიბადებოს?

მ: ამისთვის გრიგოლი ნოსელი დასწერს: არცა უწინარეს დაბადებულ არს და არცა აწ დაიბადებოს. და ოდეს ჰრქვა¹ ღმერთმან ადამს: აღორძინდით და განმრავლდით, იგი სიტყვა არს მოქმედი ოდეს მელღლენი შეიყრებიან და ქორცნი შეიმზადებიან, და მუნთქვესვე სიტყვისვე სიტყვითა მით სული² მიეცემის ქორცსა მას.

რისხვისა ღმრთისა ვერარა შეიპყრობს. უკვდავი და განუბრუნელი და განუქარვებელი და მაცოცხლებელი კაცობრივთა სხეულთა შეგვაშობითა და თანა შეერთებითა.

220. მ: ვინათგან ღმერთმან ესრეთ დაბადნა სულნი, სადა არიან ქორცთშესხმამდე — ზეცას ანუ ქვეყანასა ზედა?

მ: არცა ზეცას არიან, არცა ქვეყანად.

231. მ: მამა, მამისაგან იშვებიანა, ანუ დედისაგან?

მ: მამა-დედათაგან ქორცნი შეიმზადებიან, ხოლო სული არცა მამისაგან იშვების, არცა დედისაგან.

232. მ: მამა, სადეთ მივლენ მუცელთა დედისა თვისისათა?

მ: ღმრთისა მიერ მოვალს მუცელთა დედისა მისისათა.

233. მ: პირველ დაბადებულ არს, ანუ აწ დაბადებოს?

მ: გრიგოლი ნოსელი დასწერს: არცა პირველ დაბადებოსა, არცა აწ ქმნასა. არამედ ოდეს ჰრქვა ღმერთმან ადამს აღორძინდით და განმრავლდით, იგი სიტყვა არს მოქმედი. რა მელღლენი შეიერთებიან და ქორცნი შეიმზადებიან, მუნთქვესვე სიტყვითა მით სულნი მიეცემიან ქორცთა მათ სიტყვითა მით ღმრთისა მიერ.

¹ ჰვა.

² სული¹ + და სულით.

215. მ: მერამდენეს დღეს მოეცემის სული ქორცსა?

ყ: რომელნიმე იტყვიან მეორე-მორცესა დღესა და რომელნიმე [მე]სამეოცესა. ოდეს ქორცნი ყოვლის სახით გამოისახოს უნაკლებლოდ, მაშინ სული მიეცემის მსწრაფლ.

216. მ: ვითარცა ქორცნი, [სულნიცა] აღიზარდებიან ანუ არა?

ყ: ქორცი ნივთი ვითარ არს და ნივთიერ და მოძრავ, აღსაზრდელად არს და მოზარდ, ხოლო სული უნივთო არს და არა აღიზარდების. არამედ ბერისა და ყრმისა სული ორნივე სწორენი არიან და ქორცის ზრდით გამოიჩინების ძალნიცა სულისანი.

217. მ: ვინაფთვან მოკვდება კაცი, ვითარ იქმნების სულისა მისისა და სად წარიყვანების, ანუ სად დაეწესებოს?

ყ: მყის სამართალი მისი ეწევის, რამეთუ სულნი მართალნი სასუფეველსა აღვლენ, ხოლო ცოდვილნი — ჯოჯოხეთს შინა შთავიდებიან.

218. მ: მაშ, იტყვიან ვინმე: არცა მართალთა სულნი აღვლენ სასუფეველსა და არცა ცოდვილთა — ჯოჯოხეთად, არამედ სხვა-სა სავანეს არიან, ვიდრე ქრისტეს მოსლვამდე.

234. მ: მერაოდენესა დღესა მიეცემიან სულნი ქორცთა მათ?

ყ: მიცემით — დათესვასა თანავე, ხოლო წარმოჩენით რომელნიმე იტყვიან მეორე-მორცესა დღესა, რომელნიმე — მესამეოცესა, არამედ ოდეს რა ქორცნი ყოვლითა ასოთა სრულ იქმნების, მაშინ სულნიცა წარმოეჩინებიან.

235. მ: ქორცთა აღორძინებასა თანა სულნიცა აღორძინდებიან ანუ არა?

ყ: ქორცნი ვინაფთვან ნივთიერ არიან, ნივთიერისა მიერ აღორძინდებიან, ხოლო სულნი უნივთო არს და არა აქვს აღორძინება. ბერთა და ყრმათა სულნი სწორენი არიან, არამედ ქორცისა მოზარდებობა წარმოაჩენს ძალასა სულისასა მის მის დროთა.

236. მ: ვინაფთვან კაცი მოკვდავი მოკვდების, სულნი უკვდავნი სადა წარიყვანებიან, ანუ სადა დაეწესებიან?

ყ: მყის სამართალი მისი ეწევის, რამეთუ მართალთა სულნი სასუფეველად აღვლენდებიან, ხოლო ცოდვილთანი ჯოჯოხეთად შთავლენ სატანჯველად.

237. მ: ვიეთნი იტყვიან: არცა მართალთა სულნი აღვლენ სასუფეველად, არცა — ცოდვილთანი შთავლენ ჯოჯოხეთად, არამედ სხვათა სავანეთა შინა ერთბამად არიან, ვიდრე ქრისტეს მეორედ მოსლვამდე.

ყ: ვითარ იქმნებოდა? აბელ და კაენ, მოსე და ფარაო, ნათლისმცემელი და ჰეროდე, პეტრე და იუდა, მოწამენი და მათნი მტანჯველნი ერთსა სავანესა იყვნენ, სადაჲთა იყოს სამართალი ღმრთისა?

219. მ: სადა არს მაგისი მოწამე საღმრთოსა წერილსა შინა, რომელ სიკვდილისავე თანა მართალნი ცხოვრდენ?

ყ: პავლე მისწერს მე-2 ებისტოლეს კორინთელთ მეხუთეს თავში: „ვიკადრებ და ჯერ-გვიჩნს უფროსად განსლვა კორცთა ამათგან და მისლვად უფლისაჲ“². და იოანეს სახარებასა შინა 32-ე თავში იტყვის: „სადაცა მე ვიყო, მუნცა — მსახურნი ჩემნი“³, რომელსა თარგმანსა შინა დასწერს იოანე ოქროპირი: „ესე იგი არს «სადა მე ვიყო, მუნცა მსახურნი ჩემნი», რათამცა ერვენა, ვითარმედ: სიკვდილისა მიერ აღდგომა შეუდგს, რამეთუ სადაცა არს ქრისტე ცათა შინა და ჩვენცა უკვე უწინარეს აღდგომისადაც მუნ მივიდეთ სულითა და გონებითა“⁴. ხოლო მაკრინა ასწავლის გრიგოლს: „ვითარცა [სიკვდილისაგან რა განიქსნას]“, კორცთა

ყ: ვითარ უკვე იქმნებოდა ყოფთა მათი ერთბამად — აბელ და კაენ, მოსე და ფარაო, ნათლისმცემელი და ჰეროდე, პეტრე და იუდა, მოწამენი და მათნი მტანჯველნი ერთსა სავანეთა მეორედ მოსლვადმდე? სადაღა გამოჩნდეს სამართალი ღმრთისა?

238. მ: სადა წერილ არს მაგისი მოწამობა საღმრთოსა წერილსა შინა, რომელ სიკვდილისავე თანა მართალნი აღძვებოდა სსუფეველად?

ყ: პავლე მიუწერს კორინთელთ მეორე ეპისტოლის მეხუთეს თავსა შინა: „ვიკადრებთ და ჯერ-გვიჩნს უფროსლა განსლვა კორცთა ამათგან და მისლვად უფლისა“². და იოანე სახარების მეთათხმეტესა თავსა შინა იტყვის: „სადაცა მე ვიყო, მუნცა — მსახურნი ჩემნი“³, რომლისა თარგმანსა დასწერს იოანე ოქროპირი: „ესე იგი არს: «სადა მე ვიყო, მუნცა — მსახურნი ჩემნი», რათამცა უჩვენა, ვითარმედ: სიკვდილსა მას აღდგომა შეუდგს, რამეთუ სადაცა არს ქრისტე ცათა შინა, და ჩვენცა უკვე უწინარეს აღდგომისადაც მუნ მივიდეთ სულითა და გონებითა“⁴. ხოლო წმიდა მაკრინა ასწავებს ძმასა თვისსა გრიგოლი

1 რომელნი.

2 ებისტ. II კორ. 5, 8.

3 შდრ. იოანე 14, 3.

4 ხელ. იკითხება: „სიგორეთ ქსნის“.

ამათგან, სული მეყსეულად ღმერთისა მიმართ ამალღებობის და სურვილსა მისსა შეესაკუთროს“. და ქვემოთ კვალად იტყვის: „და მერმე, შემდგომად სიკვდილისა სრულიად შეესაკუთროს და შეეყაროს ღმერთსა მოუგონებელთა მათ უაზმნოთა კეთილთა, სამარადისოდ იშვებდეს დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა“.

220. მ: სადა უკვე არიან სულნი ცოდვილთა მსწრაფლ ჯოჯოხეთად შთასლვისათვის?

ჟ: უკეთუ სულნი მართალნი სასუფეველსა აღვლენ, სულნიცა ცოდვილთანი ჯოჯოხეთად შთავლენ. ხოლო ლუკა იტყვის საბარებისა მე-16 თავსა შინა: „იყო სიკვდილი გლახაქისა მის და მიიყვანა იგი წიაღთა აბრაამისთა. და მოკვდა მდიდარიცა იგი და დაეფლა ჯოჯოხეთსა შინა და აღიხილნა თვალნი თვისნი“ და შემდგომნი ამისნი¹. და შრავალნი სხვაგან არს მოწამენი ამისნი. გინა რომელთა მკვდარნი აღადგინეს და ამოიყვანნეს სულნი მათნი ჯოჯოხეთით და აღიარეს მათ მკვდართა, ვითარცა წმიდის გიორგის ზე, გინა რომელთა წმიდებათა.

ნოსელსა: „ვითარცა სიკვდილსაგან რა განიშნას, ჯორცთა ამათგან, სულნი მეყსეულად ღმერთისა მიმართ ამალღდეს და სურვილსა მისსა შეესაკუთროს“. და კვალად ქვემოთ იტყვის: „და მერმე, შემდგომად სიკვდილისა სრულიად შეესაკუთროს და შეეყოს ღმერთსა და მოუგონებელთა მათ უოზმნოთა კეთილთა, სამარადისოდ იშვებდეს დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა“.

¹ ლუკა 16, 22-23.

239. მ: სულნი, რომელნი სასუფეველთა არიან, ხედვენა პირსა ღმრთისასა ანუ არა?

მ: რაოდენთა წინასწარმეტყველთა იხილეს ღმერთი, არა თუ ბუნებით იხილეს, არამედ ჩვენებით, რამეთუ ბუნება ღმრთისა უხილავ და მიუწვდომელ და გარეშემოუწერელ არს. ხოლო სასუფეველსა შინა მყოფნი გონებისა მათისა სიწმიდისა ღირსად რაოდენსაცა დაიტევენ, ეგრე იხილვენ ღმერთსა ჩვენებით, არამედ არა ბუნებით. ღმერთი არავინ სადა იხილა. მისი თარგმანი იკითხება და მუნ ჰპოებ.

221. მ: მაშ, აწვე თუ არს ცხოვნება და ცოდვილთა წარწყმედა, რამსათვის იქმენ მკვდართათვის წირვასა ანუ ქველის საქმესა?

მ: უკეთუ მაგისი გამოძიება გენებოს გრიგოლი დიოლოლოსის წიგნი იკითხე, რომელი ასწავლის პეტრეს და მუნ ყველა გამოწველილნი პოვნე. ხოლო წირვა და ქველის საქმე არცა წმიდის მიცვალებისათვის არიან, არცა უსჯულოთა და უაღსარებო კაცთათვის, არამედ მორწმუნეს თუ ვინმე ცოდვა განყვეს და აქ ვერ მოინანა, იგი ჯოჯობეთის კიდურთა მივალს და მას აღმოიტაცებს, ვითარცა არწივი მფრინველსა, წირ-

240. მ: უკეთუ აწვე მართალნი ცხონდებიან და ცოდვილნი წარწყმდებიან, რაღად სამარა არიან მკვდართათვის წირვა და ქველი საქმე?

მ: უკეთუ მაგისი გამოწველილთა გენებოს, გრიგოლი დეოლოლოსის წიგნი იკითხე და მუნ ყოველივე ჰპოო. ხოლო წირვა და ქველის საქმე არცა წმიდათათვის იქმნებიან, რამეთუ არა უპმსო. არცალა თუ უშჯულოთა და მომაკვდინებელ ცოდვათა შინა უაღსარებოდ მკვდართათვის, რამეთუ არარასა არგებს, არამედ გორწმუნეთა თუ ვისმე აქვე სრული საკანონო ვერა ექმნას და მუნ ცოდვანი გაჰყვა, იგი ჯოჯობეთსა

ვა და ქველს საქმე ცეცხლისა
შისგან.

მას სალხინებელსა მივალს და
წირვა და ლოცვა და ქველს საქ-
მე მას აღმოიტაცებს, ვითარცა
არწივი მფრინველსა.

241. მ: ჩჩვილნი უნათლავნი,
გინა წარმართნი ვინათგან უნათ-
ლაობისად სასუფეველად ვერ
აღვლენ, ვინათგან ცოდვა არა
უქმნიეს, ჯოჯოხეთად რად შთავ-
ლენ?

ყ: არა თუ ჯოჯოხეთად, საუ-
კუნოდ შთავლენ, არცა ადგილსა
ტანჯვისასა; არამედ სალხინებე-
ლისა მის გარეგან არს ადგილი
ბნელი, მუნ მივლენ და უცოდვე-
ლობისა მათისათვის არა იტანჯე-
ბიან და ვერცა ზეცისა დიდებასა
ღირს იქმნებიან, ვინათგან ნათ-
ლის ღებამან მათ ზედა ადამის
ცოდვა ვერ აპკოცა.

242. მ:¹ უწინარეს ქრისტეს
მოსლვისა, ვიდრე არა იყო ნათ-
ლის ღება, რამე იყო ჩჩვილთა
გამწმედელი?

ყ: აბრაამის შემდგომად წინა-
დაცვეთა, ხოლო აბრაამის უწინა-
რეს მსხვერპლი განსაწმედლისა,
ვითარცა შემდგომად ჰყოფდია
წმიდა იაკობ ძეთა თვისთათვის.
ვითარცა ესწავა მამათაგან.

243. მ: ჩჩვილნი ნათელღებუ-
ლნი უეჭველად ცხონდებიანა?

ყ: ჰე, ჭეშმარიტად მასვე წამსა
შინა.

244. მ: უკეთუ ყოველთავე
უამსა სიკვდილისასა მიეგებოს პა-

222. მ: უკეთუ ყოველსავე
უამსა სიკვდილისასა მიეგებოს მი-
საგებელი, რამასათვის არს მეორედ

¹ 242-ე კითხვა-მიგება მიწერილია შემდეგში ავტორის მიერვე ხელნაწერის
არშიაზე.

მოხსლვა და განსჯა ცხოველთა და მკვდართა?

ყ: ყოველთა მკვდართა მიეგევის ჟამსა სიკვდილისაჲსა სამართალი სულსა მისისა, გარნა არავინ უწყის ღმრთისაგან კიდე და ვერცაჲ ვხედავთ, ვინა იგი დაისაჯა და ვინ განისვენებს. არამედ მეორედ ქრისტეს მოსლვა ამისთვის იქმნების, რათა ყოველნი მკვდარნი აღდგნენ და პორცნი შეიმოსნენ და ყოველნი მის წინაშე გაისაჯნენ; პატივნი წმიდათანი და დასჯად პატივნი ცოდვილთანი ყოველნი ყოველთა განცხადებულად იხილონ და აწვე მუნამდე სულთა, ხოლო მაშინ სულთა და პორცთა მიაგოს მისაგებელი საქმეთაებრ მათთა ყოველთა კაცთა.

223. მ: ვითარ იქმნების დამიწებულთა ძვალთა და დამპალის პორცის აღდგომა?

ტივნი და პატივნი, რალთ არს ქრისტეს მეორედ მოხსლვა და განსჯა ცხოველთა და მკვდართა?

ყ: მრჩობლნი არიან სამართალნი მკვდართანი. სულთა სამართალნი ჟამსავე სიკვდილისაჲსა მიეგებიან, გარნა ღმერთი ხედავს და არა საანჯმნოა და ჩვენ ვერა ვხედავთ, რომელი ნეტარეულ იქმნა და რომელი დაისაჯა. არამედ მეორედ ქრისტე ამისთვის მოვალს, რათა ყოველნი მკვდარნი აღდგენ და თვისივე პორცნი შეიმოსონ და ყოველივე საცხადოდ მის წინაშე განისაჯნენ, რათა ყოველნი დაბადებულნი ხედვიდენ სამართალსა ღმრთისასა. და მისაგებელნი პატივნი პორციითა წმიდათა და ღირსთანი და დასჯა და პატივნი ცოდვილთა და უშჯულოთანი ყოველნივე ყოველთა განცხადებულად იხილონ აწ მუნამდე სულითა. ხოლო მაშინ სულითა და პორციითა მიეგოს მისაგებელი მათი.

245. მ: ვიცი სული უკვდავი არს და აღდგების აღდგომასა მას. არამედ პორცნი — განხრწნილნი და განბნეულნი: რომელნი შექამნეს ნეტა და მფრინველთა, რომელნიმე დაიწვენეს ცეცხლითა, რომელნიმე დადნეს მიწითა, ვითარლა შესაძლებელ არს მოკრებად და აღდგომად?

ყ: უკეთუ ღმერთმან არა რაჲსაგან მოიყვანა და შეასრულა კაცი,

1 პასუხის მაგიერ ხელნაწერში წერია: „ყრამე მიუგო“, შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

არა უადვილეს არსა განბნეულისა
კაცისა შემოკრება?

246. შ: სახითა მაჩვენე აღდგო-
მა მკვდართა!

ყ: ხედავა ბუზთა და ქიათა
ცხოელთა ვითარ მოარულ არიან?
და ზამთარ ყოველნი მოკვდებიან.
გარნა რა სითბო მზისა განძლიერ-
დების, განცოცხლდებიან და
მსვლელობას იწყებენ. უკეთუ
ნივთიერისა მზისა სინათლესა ესე
ძალ-უც, ქრისტესა მზესა მას სი-
მართლისასა არა ძალ-უცა აღდ-
გინება მკვდართა და მოსვლასა
მას მისსა?

247. შ: ბუზნი და ქიანი თვისი-
თავე გვამითა განუხრწნელად
ჰვიან, ხოლო ესე კაცთა ქორცი-
სადა განიბნევიან, ვინა უწყის
პოვნად?

ყ: ვეცხლის წყალი არს ერთი
ნივთთაგანი, მოიღე და დასთხიე
მიწათა და რა განიბნას, არღარა
იხილვებიან და უჩინარ, არამედ
რა მიწა იგი მოკრიბო და მოჭგაე-
ნე ცოცხითა და განანიავო მიწა
იგი, მოკრებით ჰპოო ვეცხლის
წყალი იგი უნაკლულად. უკეთუ
შენ მიერ განბნეული ნივთი შენ
მიერვე შემოკრბებიან, ღმრთისა
მიერ დაბადებული და განბნეული
ღმერთმანვე გერა შეკრიბნესა?

248. შ: ოდეს მოვალს ქრისტე-
მეორედ ქორცითა კაცობრივითა
მოვალსა ანუ უქორციოდ?

ყ: ქორცითა კაცობრივითა ჯა

224. შ: ოდეს მოვალს ქრისტე-
ქორციითა კაცობრივითა მოვალს,
ანუ უქორციოდ?

ყ: ქორციითა კაცობრივითა მო-

ვალს ჭეშმარიტად დიდებითა ღმრთაებისა თვისისაჲთა.

225. მ: ვითარ იქმნების მეორედ მოსლვა ქრისტესი?

მ: ყოველთა წმიდათა და ღმრთისმეტყველთა ვითარცა მიწოთომილ არიან გონებანი მათნი ეგრე აღუწერიათ სხვა და სხვა რიგად. უკეთუ ყველა მოგახსენო, ვრცლად მოვალს.

226. მ: მოკლედ თქვი.

მ: პირველად მოვალს ანტე ქრისტე და მის მიერ მოიკლვის ენუქ და ელია და მრავალნი სხვანი მოსწყდებიან და მრავალთა აცთუნებს. და შემდგომად მისსა იქმნას საყვირთა ცემანი ანგელოზისა მიერ და მკვდარნი აღდგებიან. და რომელნიც ცოცხალნი არიან, იგინიც წაშსა შინა მოკვდებიან და მუნთქვესვე განცოცხლდებიან. და განიღებს ჯოჯოხეთი პირსა და აღმოვალს ცეცხლი, შესწვაეს ყოველთა მტერთა ქვეყანისათა. მაშინ გამოჩნდების სასწაული ძისა კაცისა, ჯვარი ცხოველს-მყოფელი და დაიდგის საყდარნი დიდისა მეუფისა. მაშინ აღიტაცებიან წმიდანი ღრუბლითა წინა შიგებებად უფლისა და მოვიდეს უფალი, შეძრწუნდეს ყოველი ქვეყანა და მყოფნი მას შინა და მართალნი¹ წარიყვანნეს შემოსილნი პორციითა დიდებასა სასუფე-

დიდებითა ღმრთაებრივითა მოვალს ჭეშმარიტად.

249. მ: ვითარ იქმნების მეორედ მოსლვა ქრისტესი?

მ: მრავალთა წმიდათა ღმრთისმეტყველთა აღუწერიათ, ვითარცა მიწოთომილ არიან გონებანი მათნი წინასწარმეტყველებით სხვადასხვა რიგად და გრძლად მოვალს.

250. მ: რაი ძალ-გედვას, მოკლედ თქვი.

მ: პირველად ჯერ არს მოსლვა ანტე ქრისტესი და მის, მიერ მოკლვა ენუქ და ელიასი და მრავალნი სხვანი მოწყდებიან და უმრავლესთა აცთუნებს; შემდგომად მისა -- ანგელოზთაგან საყვირის დაბერვა და მკვდარნი აღდგებიან. და რომელნიც ცოცხალ არიან, წაშსა შინა მოკვდებიან და მუნთქვესვე განცოცხლდებიან¹. და განაღებს ჯოჯოხეთი პირსა და აღმოვალს მდინარე ცეცხლისა და შესწვაეს ყოველთა მცენარეთა. მაშინ გამოჩნდების სასწაული ძისა ღმრთისა, ჯვარი ცხოველს-მყოფელი და დაიდგების საყდარი დიდისა მეუფისა იესოსი. მაშინ აღიტაცებიან წმიდანი ღრუბლითა წინამიგებებად მეუფისა. და ოდეს მოვიდეს უფალი, შეძრწუნდეს ყოველი პირი ქვეყანისა და განისაჯნენ მას შინა მყოფნი ყოველნი ტომნი კაცად-კაცადნი

¹ ეს წინადადება დედანში წაშლილია გარეშე პირის მიერ.

ვლისასა, ხოლო ცოდვილნი შე-
მოსილნი ჰორცითა მიეცნენ ეშმა-
კთა და შთაინთქნენ ცეცხლსა მას
საუკუნოსა. და უკეთუ განმარტე-
ბით გენებოს წმიდა სახარებასა
შინა იძიე და ეფრემ ასურის
მიერ თქმული მეორედ მოსლვის-
ათვის და სხვანი წმიდა წერილნი,
გასწავლიან ვრცელად. ამ სიმოკ-
ლისათვის და უსწავლელობისა-
თვის შემინდევე, მამაო.

[ან დე რ ძ ი]

ლოცვა ყავთ სარწმუნოებითა¹
მართლისა, ხოლო საქმით ცოდ-
ვილისა სულხან-ყოფილი ორბელის
შვილისა, ხოლო აწ მონაზონისა²
საბა-უნდოჲსა უდაბნოჲსა ბერ-
ისა, ნათლმსცემლის მონასტრისა,
გარჯითა მრავლითა მყოფისა-
[თვას], რომლისა მიერ გამოწლ-
ვილვით აღიწერა წმიდა და უბი-
წო აღსაარება და აღიარებს ამას
და ესე არს მის მიერ აღწერილი
სიმოკლისათვის, სასწავლო უსწავ-
ლელთა ბერთა³ და ყრმათათვის.

ვიჟავ ერად, მჭობდენ⁴ ვერად,
ვიჰმენ ბერად, ვემსგავსენ⁵ ვერად.

და მართალნი ჰორცითა შემო-
სილნი წარიყვანონ სასუფევე-
ლად, ხოლო უშჯულონი და ცოდ-
ვილნი ჰორცითა მიეცნენ ეშმაკთა-
და დაინთქნან ცეცხლსა მას საუ-
კუნოსა. ვრცელად და მოწმიანად
წმიდა სახარებასა და საღმრთო
წერილთა და წმიდათ წერილთა
შინა იძიე.

[ან დე რ ძ ი]

ესე არს მართალი და უბიწო
საქრისტიანო მოძღვრება მოკლი-
თა სიტყვითა ჩემ⁶ — სულხან-საბა
ორბელიანისაგან აღწერილი, რო-
მელსა ეწოდების სამოთხის კარა.
დაიწერა ქორონიკონსა [1713],
ივნის[ის] 21-[ს].

ვიჟავ ერად, მჭობდენ ვერად,
ვიჰმენ ბერად, ვემსგავსენ ვერად.

1 სარწმუნოებისა.

2 მონაზონობისა.

3 ყრმათა.

4 ერად მჭობდენ ვერად.

5 ვემსგავსენ.

6 ჩემ მე

მუნიციპალიტეტი

საქართველო

უენიშვნები

სწავლანი

„სწავლანის“ ხელნაწერი (A 479), რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენს გამოცემას, თბილასში ჩამოიტანა 1899 წ. ზ. დავითაშვილმა და მთავრად ყოველად სამღვდელთა ლეონიდს, ამ უკანასკნელმა კი შესასწავლად გადასცა პ. კარბელაშვილს. ხელნაწერმა მკვლევართა შორის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. პ. კარბელაშვილმა თავის წერილში აღნიშნა, რომ „ჩვენ ვეცდებით რამდენიმე ნიმუში დავეძღვოთ საბას სწავლა-მოდერნებათაგან“, მაგრამ ტექსტის არც ერთი ნაწყვეტი მას არ გამოუქვეყნებია. მხოლოდ ერთი ქადაგება „სწავლა სტუმართმოყვარებისათვის, ელიაობასა თქმული“ 1958 წელს დაბეჭდა ნ. კანდელაკმა წიგნში „ქართული მკვლევარებზე“. ძეგლები და მასალები“ (გვ. 185 — 188). „სწავლანი“ სრული სახით პირველად ქვეყნდება.

ა ნუსხა (ზომით 19X14 სმ) შეიცავს 698 გვერდს, ჩასმულია ტყავ-გადაკრულ მუყაოს ყდაში. პაგინაცია ზოგან არეულია (ხელნაწერის ბოლოს 708 გვერდია მითითებული); გადაწერილია ლამაზად, ნუსხა-ხუცურით როსიზე ორბელიანის მიერ 1729 წელს ქ. მოსკოვში. წინაყდის ფორზაცზე XIX საუკუნის გაკრული ხელით მხედრულად აწერია: „სწავლანი ანუ ქადაგებანი, თქმულნი სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ვინც მისი სახელი ამოკოცოს ამ წიგნიდამ, წყვეულ იყოს უკუნისამდე. აღიწერა წიგნი ესე, ანუ გადაიწერა სამეუფოსა ქალაქს მოსკოვს, კელითა ცოდვილის ზოსიმე ორბელიანის და თვით ორბელის ძისაათა 1729 წელს, ნოემბრის 8 დღესა“. ამ მინაწერის წყაროა თხზულების ბოლოს დართული ანდერძი:

„აღიწერა სულთა განმანათლებელი წიგნი ესე თეთრს რუსეთს, ღმრთისაგან კურთხეულს სამეუფოსა ქალაქსა დიდსა მოსკოვს კელითა ჩემ ცოდვილისა ზოსიმე ორბელიანის და თვით ორბელის ძისაათა. უფალნი, მამანო და ძმანო, განიხილეთ კეფი და კაბადონი ამა წიგნისა, ვითარ უშვერ და უგებანად აღწერილ არს: რომელნიმე სხვილნი, რომელნიმე წერილნი, სხვაგან აღმოგზგვილნი, სხვაგან ტრიქონთა განუწყობლობა. ესე ამისთვის იქმნა, რამეთუ ფრიალ ავ და ყოვლითურთ უშვერ ვეყავ, ვითარცა წერილი ესე ჩემი: ავთვალადი და ფრიალ უმეტეს აეტანადო, ორისავე გოჯითა მკელობელი და უმეტეს ავგული და ყოვლითა ცოდვითა აღსავე და უფროვე მრისხანე, და ყოვლით ასოთ და ნაწევართ სრულად ავ ვიყავ.“

ვინაშათვე უფალი სიყვარულსა ბრძანებს და პირველვე ურთიერთის ჳირისა ტვირთავას, არა სიყვარულისა ჩემისათვის, არამედ მცნებისათვის უფლისა და ქადაგებისათვის პავლესა, ამა სწავლებისა მთქმელისათვის შენდობას ბრძანებდეთ და გარდამოკვირებულისა ნაბიჭვისაგან მცირე რაამე ლოცვა მეცა მახვიდნეთ, ნუთუ უფალმან შეისმინოს სიყვარულით მონიჭებული წყალობა თქვენი და ცოდვასა ჩვენთა ტვირთთა მცირედი თითთა თქვენთა მიერ შეწვენსა სარგებელ გვექმნეს, რამეთუ ფრიალ შემძლებელ არს ლოცვა მართლისა და თქვენცა ნაცვალსა ნიმლებელ იქმნით უფლისა მიერ. ჩღჲთ [1729], ნოემბერსა 8 [8]“.

ხელნაწერში თითოეულ ქადაგებას უძღვის სათაური მქადაგებლის ვინაობის აღნიშვნით: „თქმული სულხან-საბა ორბელიანის მიერ“, ზოგიერთ ქადაგებას კი ბოლოზე მიწერილი აქვს „ქრისტე, შეიწყალე საბა“, ან „ქრისტე, შეიწყალე საბა ორბელიანი“, ან კიდევ „ქრისტე, შეიწყალე სულხან-საბა“. სათაურები შესრულებულია სინგურით.

A-ს ტექსტი ყველაზე სრულია და შინაარსობლივად გამართული. მართალია, მასში შეიმჩნევა ორთოგრაფიული სიჭრელე და ა-მეტობა, მაგრამ საერთოდ ხელნაწერი უძვირფასესია და უნიკალური, ამასთან ყველაზე ძველია. ერთი თვალის გადავლევითაც ირკვევა, რომ „აეთვალადი“ და „ორითავე გოჭითა მკელობელი“ ზოსიმე თავისი სახელოვანი ძმის „ქადაგებებს“ დიდი სიფაქიზით მოჰპყრობია.

1950 წლამდე A „სწავლანის“ ერთადერთ ხელნაწერად ითვლებოდა, მაგრამ ამ წელს აღმოჩნდა მეორე (B) ნუსხაც, რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში 20068-ხ №-ით. იგი შეიცავს 146 ფურცელს. ტექსტი ადგილ-ადგილ დაზიანებულია, აქლია ორი სწავლა-მოდერება: „სწავლა ლგ. სასუფეველისა ღიღებისათვის“ და „სწავლა ლგ. გიორგობის ღღისა და ქართველთა თათრობისთვის“. ამას გარდა ტექსტში ზოგან გამოტოვებულია ფრაზები და სიტყვები. გადაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრულად „ევექინს, წელსა 1811, ივნისის 20 დღესა“ (145v), ტექსტს ერთვის: ზანდუკი ანუ შინაარსი (144r—145r), გადაწერის ანდერძი (145r—v) და მინაწერი (145v). ხელნაწერში სულხან-საბა, როგორც სწავლათა ავტორი, არსად არ არის ნახსენებული.

მესამე (C) ნუსხა დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში 574 №-ით. ხელნაწერი შეიცავს 148 ფურცელს. გადაწერილია 1774 წლის ახლო ხანში ქ. მოსკოვში A-დან. ტექსტი ნაკლებია: გადარჩენილია პირველი ხუთი სწავლა სრულად, მეექვსე წყდება სიტყვებზე „ბოროტსა ჰაერსა არა რიდებენ“ (გვ. 50); შემდეგ ტექსტი გრძელდება მერვე სწავლიდან მეცხრამეტე სწავლამდე და წყდება სიტყვებით „უთმინობა ასწავლს ცილისწამებასა“ (გვ. 111).

მეოთხე (D) ნუსხა აღმოჩნდა ამბროსი ნეკრესელის ავტოგრაფებში (S 116მ). ნეკრესელს „სწავლანი“ მთლიანად გადაუწერია, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ექვსი ქადაგება:

1. სწავლა ეკლესიისათვის, თუ რა არს შეკრება (ფ. 9r—10r),
2. სწავლა ეკლესიასა შინა ღუმლისათვის (ა. ნეკრესელით — „სწავლანი საქადაგონი ეკლესიაში უზნობისათვის“) (ფ. 5r—6r),
3. მეორე სწავლა ეკლესიასა შინა ღუმლისათვის (ფ. 10r—12r),
4. სწავლა აღსარებისათვის (ფ. 12r—13r),
5. სწავლა სტუმართმოყვარებისათვის (ფ. 13v—14v),
- და 6. სწავლა მრისხანებისათვის (ფ. 14v—15v).

მეხუთე (E) ნუსხა დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ბ-ბლიოთეკაში 379 №-ით, შეიცავს 159 ფურცელს, გადაწერილია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში A-დან მომდინარე რომელიმე ხელნაწერიდან. ტექსტი ნაკლებია, წყდება 26-ე სწავლაზე სიტყვებით: „ვაი, ჩვენდა, ქრისტიანენო, რა საზარელ არიან სიტყვანი ესე“ (გვ. 139).

ჩამოთვლილი ხუთი ხელნაწერიდან ყველაზე მნიშვნელოვანია A ნუსხა. ამიტომაც იგი საფუძვლად დაედო „სწავლათა“ კრიტიკულ ტექსტს. გამოცემა ძირი-

თადში უცვლელად იმეორებს ხელნაწერს. თუ რამე არსებითი შევასწორეთ, ხელნაწერის წაკითხვა მივუთითეთ სქოლიოებში ვარიანტების სახით. ზოგანაც ჩვენი კონიექტურა კავებში [] ჩავსკით. ძველი ასოებიდან დაეტოვეთ მხოლოდ ქ-არი, რომელსაც სულხან-საბა სისტემატურად ხმარობს, და მ-ასო ნათესაობითი და მოქმედებითი ფორმების გარკვევისათვის. უმარცვლო უ. უმ-გუფი, კ და ჰ სულხან-საბას ავტოგრაფებში ნაკლებად გვხვდება, უფრო ხშირია მათი შესატყვისი ასოების ხმარების შემთხვევები. პირველ სწავლას სათაურად აქვს „სწავლა ეკლესიისათვის, თუ რა არს შეკრება მუნ, თქმული სულხან-საბა ორბელიანისა მიერ. ვინც მისი სახელი ამოკოცოს ამ წიგნიდამ, წყველიყოს უყუნისამდე“. გამოცემაში დატოვებულ მხოლოდ ძირითადი სათაური „სწავლა ეკლესიისათვის, თუ რა არს შეკრება მუნ“. სხვა სათაურებიდანაც ბიბლიოგრაფიული მინაწერი „თქმული სულხან-საბა ორბელიანის მიერ“ მოეხსენით. ტექსტიდან სქოლიოებში ჩაეიტანეთ ბოლომინაწერები — „ქრისტე, შეიწყალე საბა“ და მისთანები. ამასთან ყველა ბიბლიური ციტატი დატოვებულ ძველი ორთოგრაფიით, ისინი შეუცდარეთ პირველ წყაროს და დაეზუსტეთ მითითებანი; ციტაციის დროს ნახშირი ქართული ასოები, რომელნიც აღნიშნავენ ამა თუ იმ ბიბლიური ტექსტის თავსა და მუზღს, სქოლიოში შეეცვალებოდა არაბული ციფრებით. შინაარსის უკეთ გაგების მიზნით ტექსტი დაეყავით აბზაცებად.

საქრისტიანო მოძღვრება

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, „საქრისტიანო მოძღვრებამ“ ჩვენამდე მოაღწია ოთხი რედაქციით. პირველი და მეორე რედაქცია ეკუთვნის თვით სულხან-საბას, მესამე — ნიკოლოზ ორბელიანს, მეოთხე კი — ეახუშტი ბაგრატიონს. დღემდე ცნობილია თხზულების 21 ხელნაწერი. ესენია:

